

მოკლე ბიოლოგიური ლექსიკონი

შეადგინა ი. ლახაშვილმა

**გამომცემლობა „განათლება“
თბილისი – 1977**

57(03)
ლ 32

70105—005
ქ $\frac{M-602(08)-77}{M-602(08)-77}$ ზრძ.—74

© გამომცემლობა „განათლება“, 1977

ფიზიოლოგია

წინამდებარე ლექსიკონში შეტანილია ბიოლოგიის სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელოებსა და სპეციალურ ლიტერატურაში ნახ-
მარი ტერმინები. მასში მოყვანილია აგრეთვე ზოგიერთი სისტემა-
ტიკური კატეგორიის განმარტება და მეცნიერებათა სხვა დარგე-
ბის ზოგი ტერმინი, რომლებიც ხშირად გვხვდება ბიოლოგიის სხვა-
დასხვა სპეციალობათა ლიტერატურაში.

ლექსიკონში, უცხო სიტყვისგან ნაწარმოები ტერმინების გარ-
და, შეტანილია ქართული ტერმინებიც, რომლებიც ჩვენს ლიტერა-
ტურაშია დამკვიდრებული და განმარტებას საჭიროებს.

განსამარტავ სიტყვათა შედგენისას მხედველობაში გვყავდა,
უპირველეს ყოვლისა, საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოს-
წავლეები, სტუდენტები, ბიოლოგიის სხვადასხვა დარგში მომუშავე
ახლაგზრდა სპეციალისტები და პედაგოგ-მასწავლებლები, რომლებ-
საც წინამდებარე ლექსიკონი, ვფიქრობთ, გარკვეულ დახმარებას
გაუწევს.

ლექსიკონი მოიცავს 7500-ზე მეტ ტერმინს, რომლებიც ანბან-
ური თანმიმდევრობითაა განლაგებული; იმ შემთხვევაში, თუ ორ
ტერმინს ერთნაირი მნიშვნელობა აქვს, ჩვეულებრივ მოცე-
მულია ერთ-ერთი მათგანის განმარტება, მეორესთან კი მითითე-
ბულია „იხ.“ ან „იხიევა რაც“ ესა და ეს ტერმინი; ხოლო თუ ერთ-
სა და იმავე ტერმინს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მასში ცალ-
კეული მნიშვნელობა ციფრებითაა გამოყოფილი.

ლექსიკონის შედგენისას გამოყენებულია შემდეგი ლიტერა-
ტურა: В. Б. Богорад, А. С. Нехлюдова, Краткий словарь ботанических терминов (1963); Д. П. Викторов, Краткий словарь ботанических терминов (1964); О. С. Гребеньщиков, Геоботанический словарь (1965); Н. Н. Забичкова и М. Э. Кирпичников, Латинско-русский словарь для ботаников (1957); Р. Ригер, А. Михаэлис, Генетический и цитогенетический словарь (1967); Б. А. Быков, Геоботаническая терминология (1967); А. А. Клин-

мов, Краткий цитологический словарь (1968); სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია (1959); გრ. ჭაველიძე, უხერხემლოთა ზოოლოგიის პრაქტიკუმი (1967); მ. ლაჩაშვილი; ბოტანიკური ტერმინების მოკლე ლექსიკონი (1968) და სხვ.

ამ სახის ლექსიკონის შედგენა ბიოლოგიის დარგში, ქართულ ენაზე, პირველ ცდას წარმოადგენს და, რა თქმა უნდა, ნაკლიც ექნება. ლექსიკონის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ შენიშვნებს მადლობით მივიღებთ.

დასასრულ, მადლობას მოეახსენებ ყველას, ვინც თავიანთი შენიშვნებითა და ჩრევიტ დახმარება გამიწიეს ლექსიკონის შედგენაში.

აბაქხიალური — ლერძიდან (საწინაღმდეგოდ) მიმართული.

აბაქხიალური მხარე — გვერდითი ორგანოს (მაგ. ყვავილის, ფოთლის) ის მხარე, რომელიც ლერძის საწინაღმდეგო მხარესაა მიმართული.

აბლომენი — თეხსახსრიანების (ციბოსნაირების, შწერების) სხეულის უკანა (მესამე) განუოთილება — შუტელი.

აბიოგენეზი — თვითჩასახვა.

აბიოგენეზური თეორია — ერთ-ერთი თეორია დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ. ამ თეორიის თანახმად ცოცხალი წარმოიქმნება არაცოცხალისაგან თავისთავად, უცერად და შესაძლებელია სიცოცხლის მუდმივად თვითჩასახვა (ბიოგენეზური თეორიის საწინააღმდეგოდ).

აბიოზი — 1. უსიცოცხლო მდგომარეობა; 2. პროდუქტების დაკონსერვების ერთ-ერთი ძირითადი წესი, რომელიც დამყარებულია მიკროორგანიზმების მთლიანად მოსაღიბად.

აბიოზტონი — წყალში ატოტივებულნი არაცოცხალი ნაწილაკები.

აბიოტური გარემო — ადგილმდებარეობისათვის დამახასიათებელი ეკოლოგიური რეჟიმი მოცემულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში. წარმოადგენს ბიოცენოზის და ფიზიკური გარემოს საფუძველს.

აბიოტური ფაქტორები — არაცოცხალი ბუნების ყველა ელემენტი, რომლებშიც მოქმედებს ორგანიზმზე. შთავს ყველაზე მნიშვნელოვანია: სინათლე, ტემპერატურა, ტენიანობა,

აგრეთვე წყლის, ჰაერისა და ნიადაგის შედგენილობა და სხვ.

აბლაზუდის გარსი ზურგის ტენიხა — სისხლძარღვებს მოკლებული თხელი გარსი, რომელიც მდებარეობს ზურგის ტენიხის გარეთა, მავარი გარსის ქვეშ.

აბლაქტირება — მყნობა ყლორტების მიახლოებით, შეხებით; როდესაც ორი გეზობლად მდგომი მცენარის ყლორტების შეზრდა ხდება ზედვე, ლეროდან მოუცილებლად.

აბორაღური — პირის საწინააღმდეგო.

აბორაღური მხარე — არამსუსხავთა (სავარცხლურები) სხეულის ის მხარე სადაც აბორაღური ორგანოა მოთავსებული.

აბორაღური ორგანო — სავარცხლურების წონასწორობის ორგანო.

აბორიგენები — ამა თუ იმ ადგილის თავდაპირველი მოსახლეობა, ადგილობრივი, მკვიდრი ბინადარნი.

აბორიგენი მცენარე, ცხოველი — ამა თუ იმ მხარის, ქვეყნის მკვიდრი, ადგილობრივი წარმოშობის მცენარე, ცხოველი.

აბორტი — ორსულობის ნადრევი შეწყვეტა.

აბორტული ორგანო — განუვითარებელი, რედუცირებული ორგანო.

აბორტული პართენოგენეზი — კვერცხის პართენოგენეზური განვითარება, რომელიც არ მიმდინარეობს ბოლომდე და ჩერდება ემბრიოგენეზის გარკვეულ სტადიაზე.

აბორტული უქრედები — იხ. პოლოციტები.

აბრევიაცია — ონტოგენეზის თანმიმდევრობითი შემოკლება მისი ცალკეული სტადიების ამოვარდნის შედეგად ანუ ორგანიზმის განვითარებისას იმ ნიშნების დაკარგვა, რომლებიც მისი წინაპრებისათვის იყო დამახასიათებელი.

აბსოლუტური წონა თხილები — 1000 ცალი თხილის წონა გრამებში.

აბსორბენტი — ნივთიერება, რომელსაც აქვს აბსორბციის (შთანთქმის) უნარი.

აბსორბენტი — აპარატი, რომლის სასაშუალებით ხდება ვაზების აბსორბცია.

აბსორბირება — იხ. აბსორბცია.

აბსორბცია — შთანთქმა, შეწოვა; ნივთიერებათა შთანთქმა აბსორბენტის — მშთანთქმელის მთელი სხეულის მიერ.

აბსორბციული მიკროსკოპია — ცხოველური და მცენარეული ორგანიზმის უჯრედის სტრუქტურისა და ქიმიზმის შესწავლის ერთ-ერთი მეთოდი.

აბულია — ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე.

აგამონი — სახეობა, რომელიც შედგება მხოლოდ ამოიქსისური ინდივიდებისაგან.

აგამეტი — უჯრედი, რომელიც არ არის ლიფერენცირებული და ასრულებს მწარმოებლის ფუნქციას (განსხვავებით ლიფერენცირებული რეპროდუქციული უჯრედისა — გამეტისა). გვხვდება მხოლოდ დამალორგანიზებულ ცხოველებში.

აგამეტანგიოზი — ორგანო, რომელშიც აგამეტები წარმოიქმნება.

აგამია — შეუღლებლობა, დაუქორწინებლობა; სქესის უქონლობა; სქესობრივ პროცესს შოკებული.

აგამობიოზი — მეტაგენეზის უსქესო სტადია — სპოროფიტი.

აგამოვამონია — იხ. ავამოგონია.

აგამოგენეზი — უსქესო გამრავლება.

აგამოგონია — უსქესო გამრავლება დაყოფის ან დაკვირტვის გზით.

აგამონტი — უსქესო მცენარე (ანუ უსქესო თაობა), რომელიც წარმოქმნის აგამეტებს.

აგამოხიერება — სქესობრივი გამრავლების გამართლებული ხერხი მდედრობითი გამეტების საფუძველზე, რომლის დროსაც არ ხდება განაყოფიერება; მამრობითი გამეტები ამ შემთხვევაში მონაწილეობენ მხოლოდ ზიგოტის დაყოფის სტიმულატორებად.

აგამური — ორგანიზმი, რომელიც მრავლდება არასქესობრივი გზით.

აგარ-აგარი — მცენარეული ლაბა, რომელიც მიიღება ზღვის ზოგიერთი (წაბლა, წითელი) წყალმცენარისაგან. ძირითადად შედგება პოლისაქარიდებისაგან. გამოიყენება საკვებ არედსოკოების, ბაქტერიების, მიკრობებისა და სხვათა დასათესად ლამბორატორიული კულტურებისათვის. იყენებენ აგრეთვე საკონდიტრო წარმოებაში მარშელადისა და ხილის თათარის დასამზადებლად.

აგეზია — გემოვნების შეგრძნების დაკარგვა.

აგზნება — ცოცხალი ქსოვილის უნარი გამოავლინოს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური მოქმედება; მაგ., კუნთოვანი ქსოვილის აგზნება გამოიხატება შეკუმშვით; ჩირკვლოვანი ქსოვილისა — სეკრეტის გამოყოფით და ა. შ.

აგზნებადობა — ყველა ცოცხალი სხეულის თვისება უპასუხოს გამღიზიანებლის ზემოქმედებაზე.

აგზნების იონოზი თეორია — თეორია, რომლის თანახმად აგზნების მექანიზმს საფუძველად უდევს იონების კონცენტრაციის შეცვლა ან სხვადასხვა იონების ურთიერთდამოკიდებულება.

აგელოფიტები — იხ. აპელოფიტები.

აგლომერატი — სხედასხვა ქანისა და მინერალის ფხვიერი შენაერთი.

აგლომერაცია — 1. სხედასხვაგვარი ქანის ერთ მთელად შეერთების ბუნებრივი პროცესი. 2. ფოტოცენოზი, რომელიც შედგება ეკოლოგიურად ერთგვაროვანი რამდენიმე სახეობისაგან.

აგლუტინაცია — 1. მტკრის მარცლის, ბაქტერიების, სპერმატოზოიდების, პლასტიდების ერთმანეთთან გუნდებად შეწყობა. 2. სითხეში შეტივტივებული ნაწილაკების (მიკრობების, სისხლის წითელი და თეთრი ბურთულების და სხვა) გუნდებად შეწყობა იმუნური შრატის მოქმედების შედეგად. 3. ცილების შედეგად ცოცხალ უჯრედში მალალი ტემპერატურის, შხამიანი (მომწამლედი) ნივთიერების და სხვ. მოქმედებით.

აგლუტინინი — ნივთიერება, რომელიც იწვევს აგლუტინაციას.

აგმატოპლოიდა — ქრომოსომთა რიცხვის გადიდება, რაც გამოწვეულია ქრომოსომების დიფუზიურ ცენტრომერთან ან პოლოცენტრულ ქრომოსომებთან ფრაგმენტაციით.

აგნაცია — ნათესაობა მამრობითი (მამისეული) ხაზით.

აგნოზია — სწორი აღქმისა და შეცნობის დარღვევა თავის ტვინის ქერქის უმალესი განყოფილებების დაზიანების შედეგად.

აგონია — სიკვდილის წინა მდგომარეობა ორგანიზმისა; სულთმობრძავის მდგომარეობა.

აგრანულოციტები — სისხლის თეთრი სხეულაკების (ლეიკოციტების) ერთერთი სახე, რომლებიც არ შეიცავენ მარცვლებს (გრანულებს) ციტოპლაზმაში. განსხვავებით აგრანულოციტებისაგან.

აგრაფია — წერის უნარის დაკარგვა (თავის ტვინის დაავადების გამო).

აგრეგატული პლაზმოდიუმი — უმდაბლესი სოკოების (მიქსომიციტების) პლა-

ზმოდიუმი, რომელიც შედგება ცალცალკე შექუჩებული, და არა ერთმანეთთან შერწყმული, ამებოიდებისაგან (იხ. ამებოიდური უჯრედები).

აგრეგაცია — თავისუფლად მოძრაი (კერძოდ, რომელიც გადააქვს ქარს) უმდაბლესი მცენარეების თავმოყრა (ი. პაროსკი). 2. ერთი სახეობისაგან შექმნილი ფოტოცენოზი (ა. გროსპეიმი).

აგრეგაცია უჯრედებისა — უჯრედების შეწყობა მრავალუჯრედიან წარმონაქმნად (აგრეგატად).

აგრიულტურა — რაციონალური, გაუმჯობესებული მიწათმოქმედება, კერძოდ შემინდვრება.

აგრიოფიტები — მცენარე ანთროპოქორი (იხ.), რომელიც დასახლებულია ბუნებრივ ადგილსამყოფელში და შეგუებულია ახალ პირობებში ცხოვრებას, ასეთია, მაგ., ელოდია, ენოთერა, ცხენის კულა და სხვა.

აგრობიოლოგია — აგრონომიული ბიოლოგია; მეცნიერება, რომელიც სწავლობს ზოგად ბიოლოგიურ კანონზომიერებას მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში; აგრონომიის თეორიული საფუძვლები.

აგრობიოცენოზი — ერთნაირ პირობებში დასახლებულ მცენარეთა და ცხოველთა ერთობლიობა.

აგრობიოფიკატორი — აგროცენოზის ედიფიკატორი.

აგროლოგია — ნიადაგმცოდნეობის დარგი; შეისწავლის იმ პროცესებს, რომელსაც ადგილი აქვს ნიადაგში მასზე ზემოქმედების (დამუშავების, სასუქების შეტანის და სხვა) შედეგად.

აგრომელიორაცია — ღონისძიებათა სისტემა, რომელსაც იყენებენ სარწყავ და ამოსაშრობ მიწებზე, ხევებში, ქვიშებზე, დამლაშებულ მიწებზე და სხვ. ამ ადგილების სოფლის მეურნეობაში გამოყენების მიზნით.

აგრომელიორაცია ტყისა — იხ. ტყის აგრომელიორაცია.

აგრონოფიტები — მცენარეები, რომლებიც დიდი ხანი არ არის რაც შეგუებულია კულტურულ ადგილსამყოფელს (დამუშავებულ ნაკვეთებზე ცხოვრებას). მათ მიეკუთვნება ის საჩვევლები, რომლებიც მუდმივ თანამგზავრია ზოგიერთი კულტურული მცენარისა, მაგ., სელის (სელის აბრეშუმა), ჭვავის (ჭვავისებრი შერივლა) და სხვა.

აგრონომია — სოფლის მეურნეობის შესწავლელ მეცნიერებათა კომპლექსი.

აგრონომიული მადანი — მინერალური ნუთიერებანი, რომელთაც იყენებენ სასუქების (ფოსფორიტების, აპატიტების, კალიუმისა და კალციუმის მარილების და სხვა) მისაღებად. შეიცავს ფოსფორის, კალიუმის, აზოტის, კალციუმის, გოგირდის შენაერთებს, რომლებიც აუცილებელია მცენარის ზრდისათვის.

აგროტექნიკა — აგრონომიული ტექნიკა; სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დამუშავების ხერხების სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს მაღალი მოსავლის მიღებას შრომისა და წარმოების საშუალებათა მინიმუმის დახარჯვით.

აგროფიზიკა — აგრონომიული ფიზიკა; მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ნიადაგის ფიზიკურ თვისებებს (სტრუქტურას, ტემპერატურისა და წყლის რეჟიმს და სხვა) ბუნებრივ პირობებში.

აგროფიტები — მცენარეები (კულტურული და საჩვევლა), რომლებიც შემოტანილია ადამიანის მიერ და იზრდება დამუშავებულ მიწებში, ბაღებსა და სხვა კულტურულ ნაკვეთებზე.

აგროფიტენოზი — იხ. აგროცენოზი.

აგროქიმიკა — აგრონომიული ქიმია; მეცნიერება მცენარის კვების, სასუქების გამოყენების და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა შესახებ, მაღალი მოსავლის მისაღებად.

აგროცენოზი — მცენარეთა თანასაზოგადოება, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროით.

აგროცენოლოგია — აგროცენოზების შესწავლელი მეცნიერება.

აგროხიმოფიტები — მინდორში მოხამთრე საჩვევლა მცენარეები. ახასიათებთ უხვი ნაყოფიერება, თესლისა და ნაყოფის სწრაფი ჩაყვანა, აღმოცენების უნარის დიდხანს შენარჩუნება. (ჭიქლაყა, ძურწა და სხვა).

ადამანტობლასტები — უჯრედები, რომელთაგან ფორმირდება კბილის ემალის (მინანქარი).

ადაპტაცია — ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან არსებობის შესაძარჩუნებლად; ელონდება ორგანიზმის აგებულების თავისებურებებსა და ფიზიოლოგიური რეაქციების ხასიათში.

ადაპტაციოგენეზი — ორგანული სამყაროს ევოლუციის პროცესში შეგუებითი ფუნქციის ფორმირება, განვითარება, გარდაქმნა, რაც ხელს უწყობს ცოცხალ არსებათა შეგუებას გარემოში გარემოს გარკვეული პირობებისადმი.

ადაპტაციომორფოზი — ორგანიზმის ევოლუციის პროცესში შეგუების განვითარება, გარდაქმნა, რაც ხელს უწყობს ორგანიზმის შეგუებას გარემოში გარემოს გარკვეული პირობებისადმი.

ადაპტური ზონა — გარემო პირობების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზმების შეგუებათა ტიპს.

ადაპტური ღაუჭები — ზღვის ზოგიერთი ლოკოინის (მუცელფხვანები) ზურგზე, გვერდებზე ან ანალური ხერხლის ირგვლივ წარმოქმნილი, კანის ფრთისებრი გამონაზარდები, რომლებიც ასრულებენ სუნთქვის ფუნქციას.

ადაპტური ნიშანი — ორგანიზმის ზო-

გერთი ნიშანი, რომელიც შეესაბამება გარემო პირობების გარკვეულ მონაცემებს.

ადამტური რადიაცია — ევოლუციის ტიპი, როდესაც ერთი წინაპარი ფორმიდან წარმოიქმნება მრავალი სხვადასხვა ფორმა, რომელთაც განსხვავებული ადგილსამყოფელი უკავიათ.

ადამტური რიგი — ადატაციის თანმიმდევრობითი სტადიები ცხოვრების გარკვეული წესისადმი. ერთი ადატური რიგის რგოლები შეიძლება ერთმანეთთან დაკავშირებული იყოს გენეალოგიურად. ამ შემთხვევაში წარმოიქმნება ე. წ. საფეხურებრივი რიგი, რომლის რგოლები განვითარების თანმიმდევრობით საფეხურს წარმოადგენს.

ადამტურობა — შეგუებულობის უნარი; შეგუებულობა.

ადამტობილური — ღერძისაკენ მიმართული.

ადამტობილური მხარე — გვერდითი ორგანოს (ყვავილის, ფოფლის და სხვა) ის მხარე, რომელიც ღეროს ღერძისკენაა მიმართული.

ადგილმოწინარება, პოვნის ადგილი — პუნქტი, სადაც ნახულია ან აღნიშნულია ცალკეული მცენარე ან ცხოველი.

ადგილსამყოფელი მცენარის, ცხოველის — იმ მონაკვეთის (ადგილის) ეკოლოგიური პირობების ერთობლიობა, სადაც იზრდება მცენარე ან ბინადრობს ცხოველი.

ადმკვატური — სრული შესაბამისი.

ადმკვატური ცვლილებები — ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებები, რომლებიც შესაბამება გარემოს შეცვლილ პირობებს და სასარგებლოა ცოცხალი არსებებისათვის. ადმკვატური ცვლილებები, ლამარკის წარმოდგენით. მემკვიდრეობით გადაეცემა მომდევნო თაობას.

ადმიფოგამია — შექარება იმ ინდივიდებისა, რომლებიც წარმოქმნილი

არიან ევკვატური გამრავლების გზით ერთი დედა მცენარისაგან.

ადენიზი — ერთ-ერთი აზოტოვანი ფუძე, რომელიც შედის დნმ-ს და რნმ-ს მოლეკულის შემადგენლობაში.

ადენიტი — ლიმფური ქირკვლების ანთება.

ადენოზინდიფოსფორმევა (ადფ) — რეაქტიუბის დროს ატფ-ს მიერ ფოსფორმევის ერთი მოლეკულის დაკარგვის შედეგად წარმოქმნილი ნუკლეოტიდი, რომელიც ატფ-საგან განსხვავებით შეიცავს ფოსფორმევის არა სამ, არამედ ორ მოლეკულას. ადფ ფოსფორმევის შეერთებით კვლავ ატფ-ად გადაქცევა.

ადენოზინტრიფოსფორმევა (ატფ) — უჯრედის ფუნქციური მოქმედებისათვის საჭირო ენერჯის ერთიანი და უნივერსალური წყარო. ქიმიური სტრუქტურის მიხედვით ნუკლეოტიდი და როგორც ყველა ნუკლეოტიდი შეიცავს აზოტოვან ფუძეს (ადენინს), პენტოზას (რიბოზას) და სამ ფოსფატურ ჩკუფს.

ადენოზი — ქირკვლოვანი ორგანოების (სარქვე ქირკვლის, ღვიძლის, ფარისებრი ქირკვლის და სხვ.) კეთილთვისებიანი სიმსივნე.

ადემკვატური — იმ. ადემკვატური.

ადენტიკვატორები — მცენარეთა თანასაზოგადოების შემთხვევითი, მოსული კომპონენტები.

ადენტიური ემბრიონია — ფარულთესლოვან მცენარეთა ჩანასახის განვითარება არა განაყოფიერებული კვერცხურადიდან, არამედ ჩანასახის პარკის სხვა უჯრედებიდან (სინერგიდებიდან, ანტიპოდებიდან და სხვა) ან ნუკლეუსის უჯრედებიდან, ვახვდება. მაგ. მანდარინში, ლიმონში, ფორთოხალში და სხვ. ციტრუსებში.

ადენტიური მცენარეები — მცენარეები, რომლებიც შემოყოლილია უცხო მხარდან შემოტანილ კულტურულ მცენარეებს.

ნარეებს მათ გზადმოყოლილ მცენარეებსაც უწოდებენ, როგორც წესი სარეველებს წარმოადგენენ.

ადვენტური ორგანიზმები — აღამიანის მიერ ახალ გარემოში შემოტანილი ორგანიზმები.

ადვენტური ორგანოები მცენარისა — დანამატი ორგანოები, ე. ი. ორგანოები, რომლებიც წარმოქმნილია არა ზრდის წერტილის ემბრიონალური ქსოვილისაგან, არამედ მცენარის უფრო ზრდასრული ნაწილებიდან და ვითარდებათ უჩვეულო (არათავის) ადგილებზე, მაგ. კვირტები ფესვებზე, ფოთლებზე ან ღეროს მუხლთშორისებზე.

ადვენტიცია — შემეგრთებელი ქსოვილის გარეთა შრე, რომლითაც ესა თუ ის ორგანო მეზობელ ორგანოებთანაა დაკავშირებული.

ადვექცია — მეტეოროლოგიაში: ჰაერისა და მისი თვისებების (ტემპერატურა, ტენიანობა და სხვ.) ჰორიზონტალური გადატანა ერთი რაიონიდან მეორეში.

ადინამია — უღონობა, უძლურება, სისუსტე დიდხნის ავადმყოფობის ან შიმშილის გამო.

ადინამიკა — ყუაილის მამრობითი სასქესო ორგანოს უუნარობა შეასრულოს განაყოფიერების ფუნქცია.

ადინამოზია — ყუაილის მდედრობითი ორგანოს უუნარობა შეასრულოს თავისი ფუნქცია განაყოფიერების დროს.

ადიპოზური ქსოვილი — ცხიმოვანი ქსოვილი.

ადოლესკარია — ლეიქის პეკელას განვითარების ერთ-ერთი ლარეული სტადია. ინცისტირებული ცერკარია.

ადრენალინი — პორმონი, რომელსაც გამოიმუშავენ თირკმელზედა ჯირკვავილი. მიიღება სინთეზურადაც. სისხლში მოხვედრისას აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას: აჩქარებს და აძლიერებს გულის მუშაობას, ავიწროებს

არტერიების სანათურს, არეგულირებს ნახშირწყლების ცვლას და სხვა.

ადრენალური ორგანო — ჯირკვლოვანი უჯრედების ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ ძუძუმწოვრების თირკმელზედა ჯირკვლის ფუნქციას ზოგიერთ თევზებში (მრგვალიპირიანებში).

ადსორბენტი — სხეული, რომლის ზედაპირზეც ხდება ადსორბცია.

ადსორბირება — იხ. ადსორბცია.

ადსორბცია — შთანთქმა, შესრუტვა, შეწოვა. სითხისებრი ან გაზისებრი ნივთიერების მოლეკულარული მიზიდვა მყარი სხეულების ზედაპირის მიერ.

ადფ — ადენოზინდიფოსფორმეჟასის შემოკლებული აღნიშვნა.

აენდემი — სახეობა, რომელიც წარმოშობილია მოცემულ ტერიტორიაზე, მაგრამ მისი თანამედროვე არეალი სცილდება ამ ტერიტორიის ფარგლებს.

აერაცია — ბუნებრივი განიავება, ვენტრაცია.

აერაცია ნიადაგის — აირმიმოცლა (გაზთა ცვლა) ნიადაგის ჰაერისა და ატმოსფეროს ჰაერს შორის. დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ნაყოფიერებისათვის.

აერენქიმა — ჰაერის შემცველი ქსოვილი; ფაშარი ქსოვილი, რომლის უჯრედშორისებში ჰაერის მარაგია დავაროილი; უვითარდება წყლისა და ქაობის მცენარეებს წყალში მოთავსებული ღეროებისა და ფესვების ნაწილებში.

აერობები — ორგანიზმები, რომელთა არსებობისათვის აუცილებელია თავისუფალი ენაგბადი.

აერობიოზი — ბიოლოგიური პროცესი, რომელიც მიმდინარეობს თავისუფალი ენაგბადის პირობებში; სიცოცხლე თავისუფალი ენაგბადის პირობებში, განსხვავებით ანაერობიოზისაგან.

აერობული ორგანიზმები — იხ. აერობები.

აეროზონია — მცენარის კვება ნიადაგის გარეშე.

აეროტაქსისი — ორგანიზმის მოძრაობითი რეაქცია თავისუფალი ენგბადის მიმართ. არჩევენ დადებით (როდესაც ორგანიზმი მოძრაობს ენგბადის წყაროს მიმართულებით; დამახასიათებელია აერობებისათვის) და უარყოფით (როდესაც ორგანიზმი მოძრაობს ენგბადის წყაროს საწინააღმდეგოდ; დამახასიათებელია ობლოგატური ანაერობებისათვის) აეროტაქსისს.

აეროტაქსიზმი — მცენარის ორგანოს (ღვსეის ან ღეროს) ზრდა იმ მხარეს, საიდანაც ენგბადს ღებულობს; ბუნებრივ პირობებში შესამჩნევია იმ მცენარეებისათვის, რომლებიც ცხოვრობს ენგბადით დაბალ ლამიან ნიადაგებზე ან ქაობებში (ამერიკული ქაობის კვიპაროსი).

აეროფაგია — პაერთის ჩაყლაპვა ცხოველის მიერ. პათოლოგიური მოვლენა, რომელიც ემართება, მაგ., ცხენს და იწვევს მის კუჭ-ნაწლავის დაავადებას.

აეროფიტები — 1. მცენარეები, რომელთაც ესაპირობებთ ენგბადით მდიდარი ნიადაგი. 2. მცენარეები, რომელთა ყველა ორგანო პაერთია მოთავსებული და ყველა აუცილებელ საკვებ ნივთიერებას იღებენ მხოლოდ პაერიდან. ჩვეულებრივ ცხოვრობენ ან ხემცენარეთა ღეროსა და ტოტებზე (ეპიფიტები ბრომელიასებრთა ოჯახიდან) ან ნიადაგზე, მხოლოდ მასზე დაუმეგარებლად (ზოგიერთი მლიერი).

აეროზიდატოფიტები — წყალში ჩაძირული წყლის მცენარეები, რომელთა ყვავილები მხოლოდ ყვავილობისას იმყოფება წყლის ზედაპირზე და იმტვერება პაერში (ვალისნერია); მოკურავე მცენარეები, რომლებიც ნა-

წილობრივია წყალში ჩაძირული (თეთრი ღუმფარა).

აენინი — ცილა პროლამინების ქჯუფიდან, რომელსაც შერის თესლები შეიცავს.

აუტენტია — იხ. აუტენტიკი.

აუტენტიაური — იხ. აუტენტიკური.

აფეკულარები — დასპეციალებული ინდივიდები ხავსელების (Bryozoa) კოლონიში; გარეგნულად ფრინველის თაეს გვანან. ასრულებენ დაცივის ფუნქციას.

ავიტამინოზი — უეიტამინოზა; ავადმყოფობა, რომელიც გამოწვეულია საკვებში ვიტამინების ნაკლებობით.

ავიფაუნა — იხ. ორნიტოფაუნა.

ავსტრალიის ოლქი — ფლორისტული ოლქი, რომელიც მოიცავს ავსტრალიას და კუნძულ ტასმანიას.

ავსტრალიათყვი — ადამიანის მსგავსი მაიმუნი, რომელიც ცხოვრობდა მესამეული პერიოდის ბოლოს. ეს იყო ორფეხა არსება, რომელიც ოდნავ მოზილი დადიოდა და გარეგნობის საერთო ნიშნებით ადამიანისს უახლოვდებოდა. მისი ნაშთები (თაყის ქალა და სხვა) პირველად ნაპოვნი იყო სამხრეთ აფრიკაში 1924 წელს. უფრო გვიან ნახული იქნა აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ზევრ ადგილას.

ავტოზიიდიოზი — სპორების მატარებელი ორგანო, რომელიც არ არის უჩრებებლად დაყოფილი. დამახასიათებელია უმაღლესი სოკოების ერთერთი კლასის ბაზიდიომიცეტების, სახელდობრ ავტოზიიდიომიცეტების წარმომადგენლებისათვის.

ავტოგამია — 1. თვითდამტვერება; მტერის მარცვლის მოხვედრა იმავე ყვავილის ბუტკოს ღინზე. 2. თვითგანაყოფიერების განსაკუთრებულ სახე, რომლის დროსაც ხდება ერთ უჩრებლში წარმოქმნილი ორი ბირთვის შერწყმა. დამახასიათებელია ზოგიერთ ერთუჩრებლიან წყალმცენარისათვის.

ავტოგენეზი — იდეალისტური თეორია,

რომლის მიხედვითაც ევოლუცია მიმდინარეობს ვითომდა შინაგანი, არამატერიალური ფაქტორების ზეგავლენით და გარემო პირობები არაერთაა გავლენას არ ახდენს მასზე; ევოლუციური თეორიის იმ მიმართულებათა საერთო სახელწოდება, რომელიც ორგანიზმს სიმუცარის ევოლუციას განიხილავს, როგორც პროცესს, რომელიც გამოწვეულია შინაგანი ძალების ზემოქმედებით, რაც თვით ორგანიზმისათვისაა დამახასიათებელი და დამოკიდებული არ არის გარემო პირობებზე.

ავტოვაქცინა — ვაქცინა, დამზადებული იმ ავადმყოფისაგან აღებული ბაქტერიებით, რომლის სამკურნალოდაცაა იგი დანიშნული.

ავტოეკოლოგია — ეკოლოგია სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ცალკეულ ორგანიზმსა და გარემოს შორის ურთიერთობას. ცალკეული სახეობების ეკოლოგია.

ავტონტოქსიკაცია — თვითმოწამევა. ავადმყოფობა, რომელიც გამოწვეულია ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის შედეგად წარმოქმნილი მომწამეველი პროდუქტებით.

ავტონიფექცია — ორგანიზმის თვითდასენიანება, რომელიც გამოწვეულია არა გარემოდან შექრილი, არამედ ორგანიზმში ძველი ავადმყოფობისაგან შემორჩენილი, ბაქტერიებით. ზოგიერთ პირობებში ბაქტერიები ხელახლა ხდებიან ავადმყოფობის გამომწვევენი.

ავტოკლავი — ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ საკვები არეს, იარაღებისა და სხვათა სტერილიზაციისათვის; ამასთან ტემპერატურა ჩვეულებრივ აყავთ +120°-მდე. პერმეტრულად დახურული კურქელი (ქვაბი) რომელსაც აცხელებენ მაღალი წნევის პირობებში.

ავტოლაზი — თვითშლა, თვითბრუნა და ა. შ. ნივთიერებათა ცეროდ ცილე-

ბის) დაშლა ორგანიზმის უკრელშივე არსებული ფერმენტების ზემოქმედებით. ხდება უკრელის კვლობის დროს, რომელიც გამოწვეულია დაბალი ტემპერატურის მოქმედების შედეგად, უკრელის გამოშრობით, ზოგიერთი მომწამეველი ნივთიერების (ქლოროფორმი, ტოლუოლი) მოქმედებით და აგრეთვე ქსოვილების მექანიკური დაქუცმაცების გამო.

ავტომატიზმი ქსოვილებსა — ქსოვილების ავზნების უნარი ამ ქსოვილებშივე წარმოქმნილი იმპულსების ზემოქმედებით.

ავტომატური ნერვული ცენტრები — ნერვული ცენტრები, რომლებიც ავზნებაში მოდიან ორგანიზმის შინაგანი გარემოს შედგენილობის შეცვლით, მაგ., მათ ირავლივ არსებული სისხლის შედგენილობის ცვლილებით.

ავტომექანოქორია — თვითგავრცელების საშუალება; იხ. მექანოქორია.

ავტომოქსეზი — თვითიანყოფიერება; ერთი ინდივიდუუმის სასქესო ელემენტების (გამეტების) შერწყმა. საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული უმარტივესებში, ბევრ სოკოში და ნაწილობრივ კაუვიან წყალმცენარეებში.

ავტომუტაციონი — თვით ორგანიზმში წარმოქმნილი (შესაძლებელია ნივთიერებათა ცვლის შედეგად) მუტაციონური აგენტები, რომელთაც შეუძლია გამოიწვიონ გენური ან ქრომოსომული მუტაციები.

ავტომუტაცია — პლასტიდების მუტაცია, რომელიც წარმოიქმნება სპონტანურად ლეიტოპური გარემოს შესაბამისად.

ავტონომიური მოსვენება — ორგანოს ღრმა სვენება (მოსვენება), რომელიც გამოწვეულია შინაგანი მიზეზებით, მაგ., ხემტენარეთა კვირტების მოსვენება შემოდგომისა და ზამთრის დასაწყისში.

ავტონომიური წერტილი ხისტემა — ხს. ვეგეტატიური წერტილი სისტემა.

ავტოპარტენოგენეზი — გაუნაყოფიერებელი კვერცხის განვითარება, რომელიც აქტივირებულია ფიზიკური ან ქიმიური სტიმულაციის მეშვეობით.

ავტოპლასტიკა — ქსოვილების გადანერგვა სხეულის ერთი ნაწილიდან მეორეზე რაიმე დეფექტის გამოსასწორებლად.

ავტოპლოიდა — იხ. ავტოპოლიპლოიდა.

ავტოპოლიპლოიდი — ინდივიდი, რომელიც წარმოქმნილია იმავე სახეობისაგან ქრომოსომა ანაწყობის ჩერადი გადიდების საფუძველზე.

ავტოპოლიპლოიდა — მოცემული სახეობისათვის დამახასიათებელ ქრომოსომა მონოპლოიდური რიცხვის გადიდება ორჯერ უფრო მეტად, რასაც მოსდევს ორზე მეტი პოპოლოგიური ქრომოსომების მქონე ინდივიდების წარმოქმნა და გენომის ქრომოსომული სტრუქტურის შესაბამისი ცვლილება. თუ მოცემულ ინდივიდს გააჩნია სამი, ოთხი, ხუთი და ა. შ. ქრომოსომა ანაწყობი, მაშინ მას უწოდებენ აუტოტრიპლოიდს, აუტოტეტრაპლოიდს, აუტოპენტაპლოიდს და ა. შ. ხოლო თვით მოვლენა კი აუტოტრიპლოიდას, აუტოტეტრაპლოიდას და ა. შ.

ავტოსომები — ჩვეულებრივი ე. ი. არა სსაქესო ქრომოსომები.

ავტოსომრები — აპლანოსპორები, რომლებიც ფორმით დედა უჯრედის მსგავსია. დედა უჯრედში წარმოიქმნება ორი ან მეტი (ოთხი) ავტოსპორა, კოლონურ სახეობებში დასაბამს აქლვევენ ახალ კოლონიებს. დამახასიათებელია ზოგიერთი წყალმცენარისათვის (პროტოკოკეანები-სათვის).

ავტოსტერილობა — თეთსტერილობა, თეთუნაყოფობა; როდესაც მტერის მარცვალს არ აქვს ჩაზრდის უნარი

თავისივე ყვავილის ან იმავე მცენარის სხვა ყვავილის ბუტყოს ღინგში. დამახასიათებელია ვაშლის, ალუბლის, კარხლისა და სხვა მრავალი მცენარისათვის.

ავტოსტილია — პირველადი ზედა ყბის უშუალო შეერთება თავის ქალასთან.

ავტოტემა — სახეობის ნიმუში (ეგზემულარი), რომელიც გააჩევიდა ამ სახეობის ავტორმა.

ავტოტომია — სხეულის ამა თუ იმ ნაწილის თვითნებურად მოცილება; თვითდასახირება, რაც წარმოადგენს თავდაცვის ერთგვარ საშუალებას. მაგ., ხელოც გასაპირის დროს შეუძლია თავისი კულის მოწყვეტა.

ავტოტროფიზმი — მცენარის ან მისი ორგანოს თვისება აღადგინოს ზრდის მიმართულება ე. ი. დაუბრუნდეს საწყის მდგომარეობას მოლუწვის ან დაზრდის შემდეგ, როგორც კი გამლზიანებული (რომლითაც იყო გამოყვანილი მოლუწვა) შეწყვეტს მოქმედებას.

ავტოტროფები — იხ. ავტოტროფულა ორგანიზმები.

ავტოტროფიზმი — მცენარეთა არაორგანული ნივთიერებებით კვება ფოტოსინთეზის ან ქემოსინთეზის საშუალებით.

ავტოტროფული ორგანიზმები — ორგანიზმები, რომელთაც შეუძლიათ მათთვის საჭირო ორგანული ნივთიერებების არაორგანული ნივთიერებებიდან (წყალი; მინერალური მარილები, ნახშირორჟანგი) წარმოქმნა ფოტოსინთეზის (მწვანე მცენარეები) ან ქემოსინთეზის (ზოგიერთი ბაქტერია) პროცესში.

ავტოფერტილობა — მტერის მარცვლის ბირთვის შერწყმა კვერცხუჯრედის ბირთვთან, რის შედეგადაც ხელახლა ხდება ქრომოსომა დამოკიდებული რიცხვის აღდგენა.

ავტოფერტილობა — თვითაყოფიერება;

მცენარის თვისება მოგვეს. ნორმა-
ლური თესლი თვითდამტვერვის შე-
დეგად.

ავტოფერტილური მცენარე — მცენარე,
რომელსაც შეუძლია მოგვეს ნორ-
მალური თესლები თვითდამტვერვის
შედეგად (ზორბალი, ქერი, შვრია,
ფეტვი, ია და სხვ.).

ავტოფხია — გვამის გაკვეთა სიკვდილის
მიზეზის დასადგენად და ორგანოე-
ბის პათოლოგიური ცვლილებების
შესასწავლად.

ავტოქოთონები — იხ. ამორიგენები.

ავტოქოთონური მცენარე, ცხოველი — იხ.
ამორიგენური მცენარე, ცხოველი.

ავტოქოთონური სახამებელი — იხ. ასიმი-
ლაციური სახამებელი.

ავტოქორები — მცენარეები, რომლებსაც
ახსიათებთ ავტოქორია ე. ი. თვით-
გავრცელება.

ავტოქორია — თვითგავრცელება; მცე-
ნარის გავრცელების ერთ-ერთი სა-
ხე, როდესაც მცენარე ვრცელდება
გარეშე აგენტების დამოუკიდებ-
ლად ნაყოფის გასკდომისა და
თესლების თვითგაფანტვით (მექანო-
ქორია), ნაყოფის ნიადაგში თვითჩა-
თესვით (გეოკარპია) ან ნაყოფისა
და თესლების უბრალო ჩამოცვენით
თავისი სიმძიმის გამო (ბაროქორია).

ავტოქორიები — იხ. ამორიგენები.

ავტოქოტონური მცენარე, ცხოველი — იხ.
ამორიგენური მცენარე, ცხოველი.

ავტოქოტონური სახამებელი — იხ. ასიმი-
ლაციური სახამებელი.

ავტოქოტოთერაპია — მეურნალობის წესი,
როდესაც ავადმყოფის კუნთში შე-
ყავთ მისივე ვენიდან აღებული სისხ-
ლი.

ავქაში ფრინველთა — ძვილი, რომელიც
წარმოქმნილია ზოლოში შეზრდილი
ორი ლავიწის ძელისაგან.

ავიგოხობორა — სპორა, რომელიც წარ-
მოიქმნება უშუალოდ გამეტისაგან
(პარათენოსპორა).

ავიგოტა — ზიგოტა, რომელიც წარმო-

ქმნება პაპლოიდური პარათენოგენე-
ზის შედეგად.

ავონალური მცენარეულობა — მცენა-
რეულობა, რომელიც არასდროს არ
ქმნის დამოუკიდებელ ზონას და არც
დაკავშირებულია ერთ განსაზღვრულ
მცენარეულ ზონასთან, მაგრამ გვხვ-
დება თითქმის ყველა ზონაში, მაგ.
სალეი მდელოები.

ავოტეოია — ორგანიზმში ზედმეტი რაო-
დენობის აზოტის არსებობა, რომე-
ლიც ნორმალურ მდგომარეობაში გა-
მოიღინება შარდთან ერთად. აღვილი
აქვს თირკმლების ზოგიერთი დაავა-
დებისას.

ავოტობაქტერია — ნიადაგში თავისუფ-
ლად მცხოვრები აერობული ბაქტე-
რიების ერთ-ერთი ჯგუფი; მათი სა-
შუალებით ხდება ატმოსფეროს მო-
ლეკულური აზოტის შეთვისება და ნია-
დაის აზოტოვანი ნივთიერებებით
გამდიდრება.

ავოტობაქტერიანი — სასუქის პრეპარატი,
რომელიც შეიცავს ავოტობაქტერის.

ავოტოგენი — იხ. ავოტობაქტერიანი.

ავოტოვანი ბალანსი — აზოტის რაოდე-
ნობის სხვაობა საკვებთან მიღებულ
და ორგანიზმიდან გამოყოფილ აზოტს
შორის.

ავოტოვანი სასუქები — სასუქები, რომ-
ლებიც შეიცავს აზოტს (გვარჯილა,
შარდოვანა, ამონიუმის მარილები და
სხვ.).

ავოტოვანი წონასწორობა — აზოტის შე-
დარებით მუდმივი რაოდენობის შე-
ნარჩუნება ორგანიზმში.

ავოტოვანი ცვლა — ცილებისა და აზო-
ტის შემცველ სხვა ნივთიერებათა
გარდაქმნის პროცესების ერთობლი-
ობა.

ავოტოფიხაცია — ატმოსფეროს მოლე-
კულური აზოტის ფიქსირებისა და
ავოტოვან შენაერთებში გადაყვანის
პროცესი.

ათავთავება — იხ. თავთავის გაკეთება.

ათერომა — კანის კეთილთვისებიანი სიმ-

სიენე, რომელიც შეიცავს ცხიმოვან წვეთებსა და ფაფისებურ მასას.

ათეროსკლეროზი — გულისა და სისხლძარღვების სისტემის დაავადება; ყველაზე გავრცელებული ფორმა არტერიოსკლეროზისა.

აირების გადატანა ხისხლით — ორგანიზმში ენგებადისა და ნახშირორჟანგის ტრანსპორტი (გადატანა) სისხლის გზით.

აირშიმოცლა, აირცვლა — ვაზთა (აირთა) შიშოცლა ორგანიზმსა და გარემოს შორის (იხ. სუნთქვა).

აქაროლოგია — ზოოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ტყივნებს.

აკვარიუმი — 1. შეშინული ყუთი ან დიდი წყალსაცავი, სადაც ამენებენ წლის ცხოველებს (მეტწილად თევზებს) და წყალმცენარეებს. 2. დაწესებულება, სადაც აკვირდებიან და სწავლობენ წლის ცოცხალ ცხოველებს (თევზებსა და სხვა) და წყალმცენარეებს.

აკინეზი — ზრდა ბირთვის დაყოფის მოვლენის გარეშე.

აკინეზია — ნებისმიერი მოძრაობის უუნარობა დამბლოს, სახსრების უმოძრაობისა და ტკივილის შედეგად.

აკინეტი — სქელგარსიანი უჯრედები, რომლებმაც იშლება ზოგიერთი მწვანე ქაფისებრი წყალმცენარის სხეული არახელსაყრელ პირობების (მაგ. გამოშრობის) შემთხვევაში. წარმოადგენს მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფ უჯრედს, რომლის მეშვეობით ხდება არახელსაყრელი პირობების გადატანა. ნორმალური პირობების დადგომისას მისგან ახალი ინდივიდი ვითარდება.

აკლიმატიზაცია, აკლიმატიზება — ორგანიზმის შეგუება მისთვის ახალ, უჩვეულო კლიმატურ პირობებთან.

აკლიმატიზება — იხ. აკლიმატიზაცია.

აკომოდაცია — თვალის უნარი ნათლად გაარჩიოს საგნები სხვადასხვა მან-

ძილზე. ადამიანსა და უმეტეს ცხოველებში ხორკიულდება თვალის ბროლის ფორმის ან მდებარეობის შეცვლით.

აკომოდაცია ორმაგი — იხ. ორმაგი აკომოდაცია.

აკონციები — მეზენტერიალური ძაფების შოლტისებრი გამოწარმები, რომლებიც განლაგებულია ზოგიერთ პოლიპის საქმლის მომწელებელ ღრუში. გალიზიანებისას გამოიყოფიანება გარეთ. ასრულებს თავდაცვის ფუნქციას.

აკროგამია — იხ. პოროგამია.

აკროდენტური კბილები — კბილები, რომლებიც არ ზის ფოსოში, და მიზრდილია ებისძვლის ნაპირებზე.

აკროკარპული — შიდაწყლვიანი.

აკროკეფალია — თავის ქალის დეფორმაციის სახე. წაწვეტებული — „კოპისებური“ თავის ქალა.

აკრომეგალია — დაავადება, რომელსაც იწვევს ტინის დანაშრის (ჰიპოფიზის) და შუამდებარე ტინის ფუნქციის დარღვევა. ხასიათდება სხეულის ზოგიერთი ნაწილის (ხელის მტევნების, ტერფების, ტუჩების, ყურების, ცხვირის, ენის) არაპროპორციული ზრდით.

აკრომელანიზმი — თეთრი შეფერვა ცხოველისა, რომელსაც შედარებით უფრო წამოწეული ნაწილები (ყურები, ცხვირი, თათები, კუდი) აქვს შვეი ან წაბლისფერი.

აკრონი — უმაღლესი კბოებისა და მწერების თავის წინა სეგმენტი.

აკრობეტალური განვითარება — გვერდითი ტოტების ან სხვა ნაწილების განვითარება თანმიმდევრობით ძირიდან დაწყებული წვერისაკენ. რის შედეგადაც ახალგაზრდა ნაწილები განლაგებულია წვერისთან ახლოს, ხოლო ხნიერი ნაწილები — ძირთან. ამ სახით ვითარდება ყლორტები და ფოთლები მცენარეთა უმეტესობის ღეროზე.

პროზინდუზი — ორი ქრომოსომის არასრული კონიუგაცია გეიოზში.

პროზომა — პატარა ქულისებრი სტრუქტურა, რომელიც ვითარდება სპერმატოზოიდის თავის წინა ნაწილში დიქტიოსომისაგან ან გოლჯის სხეულაკებისაგან სპერმატოგენეზის ბოლო ფაზაში. ფიქრობენ, რომ მისი დახმარებით ხდება კვერცხუჯრედის დამკველი გარსის გარღვევა და სპერმატოზოიდის კვერცხუჯრედში შესვლა.

პროზორება — უმეტესი ბაზიდიუმიანი სოკოების სპორები.

პროფიტები — მთაბალაის ანუ ალპური მცენარეები.

პროტეფალია — ოხ. აკროკეფალია.

აკუმულაცია — 1. რისამე დაგროვება.

2. ორგანულ და მინერალურ ნივთიერებათა დაგროვება დედაიწის ზედაპირზე, წყლის ფსიკრზე, ქარის, წყლის, ვულკანის და სხვ. მოქმედების შედეგად.

აკუმერაცია — ოხ. აქუმერაცია.

ალანტონი — ორგანული ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნება ზერხემლიან ცხოველთა უმეტესობაში შარდშეკვას დეანგვისას.

ალანტონისი — ქვეწარმავლების, ფრინველებისა და ძუძუმწოვრების ჩანასახის ერთ-ერთი გარსი. წარმოიქმნება ჩანასახის უკანა ნაწილის შუტლის კედლის გამოზერვით. ასრულებს სუნთქვის, გამოყოფისა და კვების ფუნქციას. მისი წინა განყოფილებიდან (ნაწილიდან) შემდგომში წარმოიქმნება საშარდე ბუშტი.

ალაოს შაქარი — ოხ. მალტოზა.

ალბედო — რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს დამოკიდებულებას არეკლილი სხიურის ენერჯის რაოდენობასა და სხეულის ზედაპირზე დაკემულ ენერჯიას შორის.

ალბინიზმი — მოცემული სახეობისათვის დამახასიათებელი ნორმალური პიგმენტაციის (მეფერილობის) უქო-

ნობა. გამოწვეულია შინაგანი ფაქტორებით, რომლებიც ხელს უშლის პიგმენტების სინთეზს.

ალბინოზი — ალბინიზმის ნიშნების მქონე მცენარე ან ცხოველი.

ალბუმინები — წყალში ხსნადი უმარტივესი ცილები, უმთავრესად გვხვდება ცხოველებში, მაგ. კვერცხის, სისხლის, რძისა და სხვა ნივთიერებათა შემადგენლობაში. მცენარეებში გვხვდება მცირე რაოდენობით. დიდი გამოყენება აქვს მრეწველობის სხვადასხვა დარგში (საკონდიტრო საქმეში, ღვინის წარმოებაში, საფეიქრო მრეწველობაში და სხვ.).

ალბუმიწურია — ცილის გამოყოფა შარდთან ერთად, რაც თირკმელების ნორმალური მოქმედების დარღვევის ნიშანია.

ალბუმიზმი — ცილების დაშლის შუალედი პროდუქტები.

ალგოლოგია — ბოტანიკის დარგი, რომელიც შეისწავლის წყალმცენარეებს.

ალდემიდი — ორგანული ნაერთი, რომელიც მიიღება სხვადასხვა სპირტისაგან ორი ატომი წყალბადის წართმევის შედეგად.

ალევიტი — წერილმარცვლოვანი ფხვიერი ნალექი ქანი; საშუალო ქვიშისა და თიხას შორის.

ალეიკემა — სისხლის წარმოქმნელი ორგანოების დაავადება, რომელიც გამოხატულია სისხლის წარმოქმნელაქსოვილების ზედმეტი გაზრდით.

ალეირონის მარცვლები — სამარაგო ცილების მკვრივი წარმოქმნის მარცვლოვნების და სხვა ბევრი მცენარის თესლების უჯრედებში, მათ პროტეინის მარცვლებსაც უწოდებენ. გაზრდილი თხელი ცილოვანი გარსი (გარედან) და ამორფული ცილოვანი მასა (შიგნით).

ალეირონის შრე — ენდოსპერმისა (ან ჩანასახის) და თესლის გარსის საზღვარზე მდებარე, კარგად შესამჩნევო, სქელგარსიანი უჯრედების ერთი

ან რამდენიმე შრე. ეს უჩრდებობი
საესეა ალგირონის მარცვლებით.
გვხვდება მარცვლოვნებში, მრავალ
პარკოსან და სხვა მცენარეში.

აღლელაგონია — ორგანიზმთა უშუალო
ურთიერთგავლენა თანასახოგადო-
ბაში ერთად ცხოვრების დროს. გა-
მოხატება მკიდრო სიმბიოზში, მტა-
ცებლობაში, პარაზიტოზში.

აღლელი — გენების წყვილი; ჰომოლოგი-
ური ქრომოსომების ერთნაირ ლო-
კუსში ლოკალიზებული გენები, რო-
მლებიც გამოხატავენ ერთი და იგი-
ვე გენის ალტერნატიულ მდგომარე-
ობას.

აღლელიგენური, **აღლელიგენი** — ალლო-
გენურს უწოდებენ მდებრობით
ცხოველს, რომელიც იძლევა მხო-
ლოდ მდებრობით ან მამრობით შთა-
მოშაელობას.

აღლელიპატია — ორგანიზმთა ურთიერთ-
გავლენა მათი ერთად ცხოვრებისას
თავიანთი ცხოველმოქმედების პრო-
ცესში გამოყოფილი სხვადასხვა ნივ-
თიერებებით.

აღლელიპოლია — ორგანიზმთა ურთი-
ერთ გავლენა მათი ერთად ცხოვრე-
ბისას რაიმე ნივთიერების წარმე-
ვით თავისი ცხოველმოქმედების
პროცესში.

აღლელიტიპი — ტერმინი, რომელიც შეე-
სატყვისება ტერმინ „გენოტიპს“ მხო-
ლოდ იხმარება არა ცალკეულ ინდი-
ვიდებისადმი, არამედ მთელი პო-
პულაციისადმი.

აღლელიტერაქლოიდი — 1. ჰეტეროპ-
ლოიდური ინდივიდი ან უჩრდელი,
რომლის ქრომოსომები წარმოიქმნება
ქრომოსომთა სხვადასხვაგვარი ანაწ-
ყოებისაგან. 2. შტაში ან ინდივიდი,
რომელსაც გააჩნია სხვა სხის და-
მატებითი ქრომოსომები.

აღლელიური გენები—ჰომოლოგიური ქრო-
მოსომების ერთსა და იმავე ადგი-
ლას განლაგებული წყვილი გენები,
რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ

იმ ნიშანთისების გენეტიკარებას; გე-
ნების წყვილს კი ალელი ეწო-
დება.

აღლერგია — ორგანიზმის უჩვეულო რე-
აქცია მიკრობების ან უცხო ცილე-
ბის განწეორებითი ზემოქმედების მი-
მართ. ამ დროს ადგილი აქვს მგრძ-
ნობიარობის იწვევას, ლორწოვანი
გარსების ანთებას და სხვა.

აღლელიტალური კაერცხი — კვერცხი,
რომელსაც არა აქვს, ან შცირე რაო-
დენობით აქვს, ყვითრი.

აღლელიოლი — 1. ფილტვებში ბრონქია-
ლურ ტოტებზე არსებული უმცირე-
სი ბუშტისებრი ღრუ, რომლის კედ-
ლები შემოხვეულია სისხლის უწე-
რილესი ძარღვებით — კაპილარებით.
აღლელიოლი ბრონქიოლების, ბრონ-
ქების, ტრაქეებისა და ცევირხახის
გზით ატმოსფერულ ჰაერთანაა და-
კავშირებული. 2. ფოსოები, რომლებ-
შიც ზის მალალორგანიზებული ხერ-
ხემლიანი ცხოველების კბილები.

აღლელიოლური ჰაერი — ფილტვის ილე-
ოლებში მყოფი ვაზების ნარევი.

აღლემენტარული — საქმლისა, საყვებისა.

აღლემენტარული მიიერგლიციმა — სისხ-
ლში შაქრის მომატება, რაც გამოწ-
ვეულია ნახშირწყლებით მდიდარი
საკვების მიღების შედეგად.

აღლერივანილი რეფლექსები — ურთი-
ერთ გამამარებელი, მოკაეშორე,
ურთიერთ გამამაღლერებელი რეფ-
ლექსები.

აღლისებრი უჩრედები — იხ. ტერმინალუ-
რი უჩრედები.

აღკალოზი — სისხლის პლაზმის რეაქ-
ციის შეცვლა ტუტთანობისაყენ.

აღკალოიდები — ტუტე თვისებების
აზორტშემცველი ნივთიერებანი. უმ-
თავრესად მცენარეული წარმოშობ-
საა. გამოირჩევა ძლიერი ფიზიოლო-
გიური მოქმედებით, მცირე დოზებით
იყენებენ მედიცინაში (ქინინი, კოფე-
ინი და სხვა).

აღკანინი — მურა იისფერი საღებავი

რომელიც მიიღება ლაშქარასებერთა ოქახის ერთ-ერთი გვირის — ალკანას წარმომადგენლების ფესვებიდან. იყენებენ მიკროქიმიში როგორც რეაქტივს.

ალოგამია — სხვითდამტვერვა; ბუტკოს დამტვერვა სხვა ყვავილის მტვრით. ჭვარედინი ანუ პეტეროკლინური დამტვერვა.

ალოლოლოიდი — შტამი ან ინდივიდი, რომელსაც ერთი ან რამდენიმე წყვილი ქრომოსომი შენაცვლებული აქვს სხვა სახის ქრომოსომთა წყვილის ანალოგიური რიცხვით.

ალოოგენეზი — თაობათა მორიგეობის ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც სქესიანი თაობა იცვლება პართენოგენეზურით.

ალოკარპია — ნაყოფის წარმოქმნა ალოგამური (იხ. ალოგამია) დამტვერვის შემდეგ.

ალომეტრია — სხეულის ნაწილების არათანაბარი ზრდა.

ალომექსიზი — ჭვარედინი განაყოფიერება.

ალომორფოზი — ორგანიზმის გარდაქმნა, რომელიც შეპირობებულია გარემო პირობების შეცვლით.

ალომატრიული გავრცელება ორგანიზმებისა — სახეობების (გვარების, ოჯახებისა და სხვ.) ისეთი გავრცელება, რომლის დროსაც ისინი ერთმანეთს არ ხელებიან.

ალომატრიული სახეობათწარმოქმნა — ახალი სახეობის წარმოქმნა საწყისი პოპულაციის ნაწილის გამოყოფისა და ტერიტორიული იზოლაციის შემდეგ.

ალომატრიული ჰიბრიდიზაცია — იხ. ჰიბრიდიზაცია ალომატრიული.

ალოლაზმა — ალოლაზმაში ივულისხმება ყველა ის ორგანელი, რომელიც არარეგულარულად გვხვდება უჩრდელში და განსაკუთრებულ ფუნქციის ასრულებს. მას ეკუთვნის კერძოდ ნეიროფიბრილი, მიოფიბრილი, წამ-

წამები, მუსხსავი კასულები, შოლტები და სხვა.

ალოლოლოია — ისეთი მოვლენა, როდესაც ინდივიდში გვხვდება სტრუქტურულად განსხვავებული ქრომოსომთა ანაწყობები და ყოველი მათგანი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი ან უფრო მეტი რიცხვით.

ალოლოლოლოიდი — ინდივიდი, რომელიც შეიცავს სტრუქტურულად განსხვავებულ, გარაკეცებულ ან გაოთხმაგებულ ქრომოსომთა ანაწყობს.

ალოლოლოლოიდა — განსხვავებული სტრუქტურის არაპოლოლოგიურ ქრომოსომთა ანაწყობის გარაკეცება ან მრავალჯერადი გადიდება; გვხვდება ჰიბრიდული წარმოშობის პოლიპლოიდებში.

ალოსომი — ქრომოსომი, რომელიც დანარჩენი ქრომოსომებისაგან განსხვავდება ზომით, ფორმით ან ქვევით (ამჟამად ალოსომს ხშირად სასქესო ქრომოსომს უწოდებენ).

ალოტერაპლოიდი — იხ. ამფიდიპლოიდი.

ალოტოური დაყოფა ბირთვიხა — იგივეა, რაც რედუქციული დაყოფა.

ალოტრაპლოიდი — ორგანიზმი, რომელიც სომატურ უჩრდელში შეიცავს ქრომოსომთა სამ ანაწყობს, რომელთაგან ერთი ანაწყობი დანარჩენი ორისაგან განსხვავდება სტრუქტურულად.

ალოტრობია — ერთი და იმავე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერების სახით.

ალოტროფული მცენარეები — მცენარეები, რომლებიც იყვებება მზა ორგანული ნივთიერებით (საპროფიტები და პარაზიტები).

ალოქოზონები — „გადმოსახლებულები“ — ორგანიზმები, რომლებიც დასახლებულია ამა თუ იმ ადგილზე, მაგრამ წარმოქმნილი არიან ევოლუციის პროცესში სხვაგან. მოცემულ ადგილზე ეს ორგანიზმები დასახლებუ-

ლია მათი პირველადი გავრცელების ცენტრიდან განსახლების შედეგად.

ალოკორები — მცენარეები, რომლებიც ვრცელდება სხედასხვა გარეშე ფაქტორების დახმარებით — ქარის (ანემოქორები), წყლის (ჰიდროქორები, ცხოველების (ზოოქორები) ან ადამიანის (ანთროპოქორები) დახმარებით.

ალოქორია — მცენარის თესვების, ნაყოფების, ვეგეტატიური ნაწილების გავრცელება გარეშე ფაქტორების (ქარის, წყლის, ცხოველების) დახმარებით.

ალოქრომოსომები — იხ. სასქესო ქრომოსომები.

ალოზორები — იხ. ალოქორები.

ალოზტონები — იხ. ალოქტონები.

ალოზნარიუმი — ბოტანიკური ბაღის ნაწილი, სადაც ხელოვნურად გაკეთებულ გორაკებზე დაგულია ალპური მცენარეები.

ალოური — ალპებთან და, საერთოდ, მაღალმთებთან დაკავშირებული; მაღალმთიანი, მაგ., ალპური საოკოვარი, ალპური მცენარეულობა და ა. შ.

ალოური მდელო — მაღალმთის მცენარეულობის დაქვეყნება, რომელიც შექმნილია უმთავრესად დაბალტონიანი და მერწილად ფართოფოთლიანი მარცვლოვნებითა და ნაირბალახებით.

ალოური ხაღი — მაღალმთის მცენარეული დაქვეყნება, რომელიც შექმნილია უმთავრესად დაბალი, ქონდარი ნაირბალახულით.

ალტერაცია უჩრდისა — უჩრდის სტრუქტურის შეცვლა დამაზიანებელი ფაქტორების მოქმედებით.

ალტერნატიული ცვალებადობა — იხ. ცვალებადობა თვისობრივი.

ალუვიალური, ალუვიური — მდინარის მონატანი, მონარიყი სილა, თიხა, რიყის ქვა და სხვა.

ალფაგამოფაზინი — იხ. ოქსიტოცინი.

ამბრა — იხ. ამბრი.

ამბრი — ცვლისებრი ნივთიერება, რო-

მელიც გამოიყოფა კაშალტის კეკნაწლაეში. გამოიყენება პარფიუმერიაში, როგორც სხედასხვაგვარი სუნის მათიქსირებელი.

ამბროზია — სოკოს მიცელიუმის თეთრი ან ვარდისფერი თხელი ნაფიფი (ნადები), რომლითაც მოფენილია ქერქიჟამია ხოქოების საეალი მერქანში.

ამბულაკრალური სისტემა — კანეკლიანთა მამოძრავებელი სისტემა, რომელიც გამოიყოფ და სუნთქვის ფუნქციასაც ასრულებს.

ამბულაკრალური ფეხები — კანეკლიანების მილისებრი ფორმის მოძრაობის ორგანოები.

ამება — მიკროსკოპული ერთუჯრედიანი ცხოველი, რომელსაც არა აქვს მუღშივი ფორმა.

ამებიაზი — დაავადება, რომელსაც იწვევს ამება.

ამებოხებრი მოძრაობა — მოძრაობა, რომელიც ხორციელდება სხეულის მთელი შიგთავსის გადაღვრით, ე. წ. ცრუ ფეხების მიმართულებით, როგორც ეს დამახასიათებელია ამებისათვის.

ამებოიდური უჯრედები — უჯრედები, რომლებსაც არა აქვს სხეულის მუღშივი ფორმა.

ამებოციტები — უხერხემლო ცხოველების სისხლის ფორშიანი ელემენტები, რომელიც იცავს ორგანიზმს მასში მოხვედრილი მავნე ნივთიერებებისაგან. შეესაბამება ხერხემლიან ცხოველთა ლეიკოციტებს.

ამეიოზი — მეიოზის გამოვარდნა და მისი შეცვლა ბირთვის ეკვაიური დაყოფით.

ამელოზლახტები — სეეტროვანი უჯრედები, რომლიდანაც წარმოიქმნება მიწნაქარი თევზის კბილებზე.

ამენსალიზმი — ორ სახეობას შორის დამოკიდებულება, რომლის დროსაც ერთი სახეობა ჩაგრავს მეორეს, მაგ-

რამ თვითონ ის არ განიცდის მის ზეგავლენას.

ამეტაბოლია — განვითარების ახალგაზრდული ფაზიდან ზრდასრულ მწერად გადასვლა გარდაქმნების გარეშე ე. ი. მხოლოდ ზრდისა და საფარველის შეცვლის გზით.

ამეტაბოლური განვითარება — პირდაპირი განვითარება, როდესაც კვერცხიდან გამორჩეული ცხოველი მთავარი ნიშანთვისებებით მშობლის ორგანიზმის მსგავსია.

ამეტროპია — თვალის ნაკლოვანება (ახლომხედველობა ან შორსმხედველობა), რომელიც ხელს უშლის საგნების ნათლად დანახვას. მდგომარეობის იმაში, რომ თვალს, სათვალეების ხმარების გარეშე, არ შეუძლია პარალელური სხივების შეკრება ბადურაზე.

ამიაკი — მწვავე სუნის მქონე უფერული გაზი, რომელიც წარმოადგენს აზოტისა და წყალბადის ნერთს (NH_3). წყალში გახსნით მიიღება ნიშადურის სპირტი.

ამიაკური კვება მცენარისა — მცენარის აზოტოვანი კვების ერთერთი სახე.

ამიაკური სახუჭები — აზოტოვანი სახუჭების ჩგუფი (გოგირდმყავა ამონიუმში, აზოტმყავა ამონიუმში, ქლორიანი ამონიუმში).

ამიგდალანი — გლუკოზიდი, რომელსაც შეიცავს მწარე ნუშის ფოთლები და თესვები, აგრეთვე ქლიავის, ალუბლისა და ვარდისებრთა სხვა წარმომადგენლების თესვები.

ამიდაზები — ფერმენტები, რომლებიც შლიან ცილოვან ნივთიერებებს და აგრეთვე სხვა ისეთ შენაერთებსაც, რომელთა მოლეკულაშიც შემადგენელი ნაწილები შეერთებულია იმავე ტიპის მიხედვით როგორც ცილებში.

ამიდები მჟავასი — ორგანული მჟავების ნაწარმები, რომელშიც პიდროქსიდის ჩგუფი (OH), ჩანაცვლებულია ამინოჩგუფით (NH_2).

ამიკტური დედალი — ციბრუტელების მღვდრი ინდივიდი, რომელიც დებს გაუნაყოფიერებელ კვერცხებს, რომლებიდანაც მღვდრი ინდივიდების თაობა ვითარდება.

ამილაზა — ფერმენტი, რომელიც შლის სახამებელს და ხელს უწყობს მის გარდაქმნას შაქრად. მოიპოვება ნერწყვში, კუჭქვეშა ჭირკვალში და სხვა.

ამილოდექტრინი — ბუნებრივი სახამებლის შემადგენელი ნაწილი; სახამებლის გახლეჩის საწყისი პროდუქტი.

ამილოზა — ბუნებრივი სახამებლის შემადგენელი ნაწილი. სახამებლიდან გამოყოფილი ამილოზა წარმოადგენს თეთრ, ამორფულ ფხენილს, რომელიც ცხელ წყალში გამჟვეირალე ხსნარს წარმოქმნის. ეს ხსნარი იოდის რეაქტივების მოქმედებით ლურჯად იღებება.

ამილოიდი — 1. სამაჩაგო პოლისაქარიდი (რთული ნახშირწყალი), რომელიც გროვდება ზოგიერთი მცენარის (იორდასალამი) თესვების უჯრედების გასქელებულ გარსში და ზოგი სოკის უჯრედებში. იოდით იღებება ლურჯად. 2. თავისებური ცილოვანი ნივთიერება, რომელიც გროვდება ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის ლვიძლში, ელენთაში და სხვა ორგანოებში ზოგიერთი პათოლოგიური პროცესის დროს.

ამილოპექტინი — ბუნებრივი სახამებლის შემადგენელი ნაწილი; სახამებლიდან გამოყოფის შემდეგ წარმოადგენს ამორფულ მასას, რომელიც ცხელ წყალში ჩირკვლდება და წებოლ იქცევა. იოდის შემდეგელი რეაქტივების მოქმედებით სოსან ფერს ლებულობს.

ამილოლაქტები — მცენარის უჯრედების უფერული პლასტიდები, რომლებშიც ხდება სახამებლის სინთეზი. **ამილოფილური მცენარეები** — მცენარეები, რომელთა ფოთლების ქლო-

როპლასტებში ფორსინთების დროს წარმოქმნილი შავარი მაშინვე ვადადის (გარდაიქმნება) პირველად სახამებელში; მწვანე მცენარეთა უმრავლესობა ამილოფილურია.

ამოხია — სახის მიმიკის შესუსტება ან სრული მოშლა ნერვული სისტემის დაზიანების შედეგად.

ამინეზი — ამიოკიდან ნაწარმი ორგანული ნაერთები, რომელშიც წყალბადის ატომები ჩანაცვლებულა ნახშირწყალბადის რადიკალებით.

ამინომჟავები — ორგანული ნაერთები, (მჟავები), რომლებიც მოლეკულაში აუცილებლად შეიცავენ ამინოჯგუფს და კარბოქსილის (მჟავას) ჯგუფს. ამინომჟავები შედის ცილების შემადგენლობაში და მათ მონომერს წარმოადგენს. ამინომჟავებს შეუძლიათ ერთმანეთთან შეერთება და ცილის მოლეკულას პეპტიდური ჯაჭვის წარმოქმნა.

ამიტოზი — უჯრედის პირდაპირი დაყოფა. ამ დროს თანმიმდევრობით ხდება ჯერ ბირთვების, შემდეგ ბირთვის, ციტოპლაზმისა და ბოლოს მთელი უჯრედის ორად გაყოფა იმ რთული პროცესების გარეშე, რომლებიც მიმდინარეობს ე. წ. მიტოზის ანუ არაპირდაპირი დაყოფის დროს.

ამიტოზი გენერაციული — განვითარებადი სომატური უჯრედების პირდაპირი გაყოფა. რის შემდეგაც შესაძლებელია მიტოზის დაწყება.

ამიტოზი დეგენერაციული — დეგენერაციის პროცესში მყოფი უჯრედის პირდაპირი დაყოფა. ასეთი ამიტოზი მიმდინარეობს ღმწ-ს წინასწარი რედუქტაიკიის გარეშე.

ამიტოზი რეპროდუქციული — უჯრედის პირდაპირი გაყოფა, რომელიც იწყება გალიზიანების ან მისი დაზიანების საპასუხოდ.

ამიქსია — კოპულაციის შეუძლებლობა ერთი სახეობის ინდივიდებს შორის მორფოლოგიური, გეოგრაფიული ან

ფიზიოლოგიური მექანიზმების იზოლაციის შედეგად.

ამნეზია — მეხსიერების შესუსტება ან სრული დაკარგვა.

ამნოიონ—უმბლესი ხერხემლიანი ცხოველების (ქვეწარმავლები, ფრინველები, ძუძუმწოვრები) ჩანასახის შეივნითა გარსი.

ამნოიონის ხოხე — სანაყოფე ჩანთაში არსებული სითხე, რომელიც იცავს ნაყოფს ბიძგებისა და დაწოლისაგან.

ამნოიტები — უმბლესი ხერხემლიანი ცხოველების ჯგუფი: ქვეწარმავლები, ფრინველები და ძუძუმწოვრები, რომლებიც შეგუებული არიან ხველეთზე განვითარებას. მათი ჩანასახის განვითარება დაკავშირებულია ჩანასახის სპეციალური გარსის (ამნიონი, ქორიონი, ალანტოისი) წარმოქმნასთან, რაც არ გააჩნია უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ ხერხემლიან ცხოველებს.

ამნოიტური დრუ — სითხით ამოვსებული არსე, რომელშიც მოთავსებულია ქვეწარმავლების, ფრინველებისა და ძუძუმწოვრების ჩანასახი. წარმოქმნება ჩანასახის გარეთა და შიგნითა გარსს შორის.

ამოღობა მცენარეებისა — იხ. მცენარეთა ამოღობა.

ამონაყარი — ხეებისა და ბუჩქების ფესვებზე განვითარებული დამატებითი ყლორტები წარმოადგენს ვეგეტატიური გამრავლების ერთ-ერთ საშუალებას.

ამონიკი — იხ. ამიკი.

ამონიში — 1. აზოტისა და წყალბადის ნაერთი, რომელიც ბუნებაში თავისუფლად არ მოიპოვება და შედის სხვადასხვა მარილის შემადგენლობაში. 2. ფხვნილი, რომელიც იხმარება საფუარის ნაცვლად.

ამონიტები — თავფეხიანი მოლუსკების ერთ-ერთი ნაშარხი ჯგუფი, რომელიც არსებობდა დაწყებული დევონიდან მეზოზოური ერის ბოლომდე.

ამონიფიკაცია — ბაქტერიების მიერ ორგანული აზოტოვანი ნივთიერების დაშლის პროცესი, რომლის დროსაც წარმოიქმნება ამონიაკი. დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისათვის.

ამორფიზმი — ნივთიერების ამორფული მდგომარეობა; როდესაც ნივთიერებას არა აქვს კრისტალური აგებულება.

ამორფული — უფორმო.

ამორფული მდგომარეობა ნივთიერებისა — უფორმო მდგომარეობა ნივთიერებისა; როდესაც ნივთიერებაში მოლეკულები უწყნარადგაა განლაგებული (კრისტალური მდგომარეობის საწინააღმდეგოდ) და ნივთიერებას აქვს ერთნაირი ფიზიკური თვისებები ყველა მიმართულებით.

ამორფული ნივთიერება — 1. უფორმო ნივთიერება 2. ნივთიერება, რომელსაც არა აქვს კრისტალური აგებულება. ამორფულია გაზები და თითქმის ყველა სითხე, აგრეთვე ზოგიერთი მყარი ნივთიერება, მაგ. ფისი, მინა, ქარა და სხვ.

ამორჩევითი განაყოფიერება — კვერცხუჯრედის უნარი შეიერთოს და განაყოფიერდეს ერთი რომელიმე განსაზღვრული სახეობის ან ჯიშის მტერის მარცლის უქრედით, ყვავის დამტვერვის დროს.

ამორჩევითი კულტურები — მიკროორგანიზმები, რომლებიც გაზრდილია განსაზღვრულ, მხოლოდ ამ მიკროორგანიზმებისათვის შესაფერის საკვებ არეზე.

ამობუთვა მცენარეებისა — იხ. მცენარეთა ამობუთვა.

ამპლოგრაფია — გამოყენებითი ბოტანიკის დარგი, რომელიც სწავლობს ვაზის სახეობებსა და ჯიშებს.

ამპლოლოგია — მეცნიერება მევენახეობის შესახებ.

ამპლოური მცენარეები — დეკორატიული მცენარეები გრძელი ჩამოკიდე-

ბული ტოტებითა და ყლორტებით. აშენებენ ჩამოკიდებულ ლარნაკებში (ამპელებში) ან ქოთნებში (კორტანა).

ამპულა — 1. ზოგი მილისებრი ორგანოს (მაგ. სწორი ნაწლავი) გაფართოებული ნაწილი. 2. პერიმეტრულად დაბურული მინის პატარა კურკელა წამლისათვის.

ამპულაცია — ქირურგიული ოპერაცია — სხეულის დაავადებული პერიფერიული ნაწილის (მაგ. კიდურის) სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა.

ამრეცი — ხეებისა და ბუჩქების სახეობების ერთობლიობა, რომლებიც თავისი გარემო მოქმედებით, განსაკუთრებით დაჩრდილვით, „მოერევიან“ ტყის მთავარ ჯიშებს ზრდაში და აღუქობესებენ ლეროს ფორმას (ტყის განახლების ან კულტურის დროს).

ამფ — აღენოზიმონოფოსფორმეჯვის შემოკლებული აღნიშვნა.

ამფი, ამფო — რთული სიტყვის თავსართი, რომელიც აღნიშნავს ირგვლივობას, გარემოცვას, ორგეარობას. მაგ. ამფიბია, ამფიარქტიკული. ამფოტერული და სხვ.

ამფიპოზიტი — ბიოტიპი, რომელიც მრავლდება ნაწილობრივ სქესობრივი გზით, ნაწილობრივ აპომიქსისის გზით.

ამფიარქტიკული ფორმები — ორგანიზმები, რომლებიც ცხოვრობენ არქტიკის გარშემო, მის ნაპირებზე, მაგრამ არ გვხვდება თვით არქტიკის აუზის ცივ ნაწილში.

ამფიატლანტიური გავრცელება ორგანიზმებისა — წყლის ორგანიზმების წყვეტილი გავრცელება წყნარ ოკეანეში.

ამფიატლანტიური ფორმები — ორგანიზმები, რომლებიც გვხვდება წყნარი ოკეანის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში.

ამფიბია — ორგანიზმი, რომელიც ცხოვრობს წყალშიც და ხმელეთზეც.

ამფიბიები — ხერხემლიან ცხოველთა

კლასი, რომელთაც უკავიათ შუალედი ადგილი წყლისა და ხმელეთის ცხოველებს შორის და ცხოვრობენ როგორც წყალში ასევე ხმელეთზე. მათ წყალხმელეთა ცხოველებსაც უწოდებენ (ბაყაყი, სალამანდრა და სხვ.).

ამფიბლასტულა — ღრუბელების ერთ-შრიანი ლარვა. რომელიც თავისუფლად დატყრავს.

ამფიბორეალობა — იხ. ამფიბორეალური გავრცელება.

ამფიბორეალური გავრცელება — ორგანიზმთა წყვეტილი გავრცელება ჩრდილო ნახევარსფეროს ზომიერი გზენდის დასავლეთით და აღმოსავლეთით.

ამფიგამია — 1. ორი სასქესო უჯრედის შერწყმა და მაკრონიუგირებელი წყვილი ბირთვის წარმოქმნა (ორმაგი ბირთვის ფაზა). თუ ამფიგამიას უშუალოდ მოსდევს კარიოგამია მაშინ ლაპარაკობენ ამფიმიქსისის შესახებ (ჩენეტი, 1916). 2. განაყოფიერების ნორმალური პროცესი, რომელსაც „გამია“-საც უწოდებენ (ბატალია, 1947).

ამფიგამიური ხახეობა — ბიოტიპის ჩვეუი, რომლისთვისაც ჩვეულებრივ (ტიპურად) ამომიქსიური გამრავლება დამახასიათებელი, მაგრამ დრო და დრო მრავლდება სქესობრივად.

ამფიგანტრიუში — ზოგიერთი ხავსის (მარშანცია — ლეიძლის ხავსი) — თალომის ქვედა მხარეზე განვითარებული ქერქლები.

ამფიდები — ქიმიური გაღიზიანების მიმღები ორგანოები მრგვალ კიბეში.

ამფიდლოიდი — ქაბრიდი, რომლის სომატური უჯრედები თითოეული მშობლიდან შეიცავს დიპლოიდურ ქრომოსომა ანაწყობს.

ამფიდისკი — ჩონჩხისებრი წარმონაქმნი ღრუბელების ზოგიერთ წარმომადგენელში.

ამფიგაზალური კონები — კონცენტრული გამტარი კონები, რომელთა ცენტრში მოთავსებულია ფლოემა და ქსილემითაა გარშემორტყმული (დამახასიათებელია ერთლებნიანთა წარმომადგენლებისათვის).

ამფიკარიონი — დიპლოიდური უჯრედი, რომელიც შეიცავს ქრომოსომათა ორ-მაპლოიდურ ანაწყობს.

ამფიკარპია — ორგვარი ტიპის ნაყოფის. (მიწისზედა — აეროკარპული და მიწისქვეშა — გეოკარპული) წარმოქმნა ერთ და იმავე მცენარეზე. ახასიათებს შუაეულას წარმომადგენლებს და ზოგიერთ სხვა მცენარეს.

ამფიკარპული მცენარეები — მცენარეები, რომელთაც ახასიათებთ ამფიკარპია — ორგვარი ნაყოფის წარმოქმნა.

ამფიკარიზალური კონები — კონცენტრული გამტარი კონები, რომელთა ცენტრში მოთავსებულია ქსილემა და გარშემორტყმულია ფლოემით (მაგ., გამტარი კონები გვიძრების ფესურებში).

ამფილემასისი — განაყოფიერების ნორმალური შედეგი, განსხვავებით მონოლემასისისა.

ამფიმიქსიხი — სქესობრივი პროცესის ჩვეულებრივი სახე, რომლის დროსაც ხდება ორი არაერთგვაროვანი სასქესო უჯრედის (გამეტის) შერწყმა.

ამფინუკლოლუსი — ორმაგი ბირთვი-ბაზოფილური და ოქსიფილური კომპონენტებით.

ამფინუკლოუსი — იხ. სინკარიონი.

ამფიპაციფიკური ფორმები — იხ. ამფიპლასტიფიკური ფორმები.

ამფიპაციფიკური გავრცელება ორგანიზმებისა — იხ. ამფიპლასტიფიკური გავრცელება ორგანიზმებისა.

ამფიბტილია — პირველადი ზედა ყბის ორმაგი შეერთება ქალასთან.

ამფიბტომატური ფოთლები — ფოთლები, რომელთაც ბაგეები აქვს ფირ-

ფიტის ორივე მხარეზე (დამახასიათებელია უმეტესი მცენარეებისათვის). ამფიტეცაუმი — ხახვების სპოროფიტზე განვითარებული გარეთა (პერიფერიული) შრე.

ამფიტოკია — იხ. დიეტეროტოკია.

ამფიტრახეზი — ბაქტერიები, რომელთაც გააჩნია ორი შოლტი — თათოთითო ორივე ბოლოში.

ამფიტროპული თესლკვირტი — თესლკვირტი, რომლის ნუცელუსი მოხრილია და სიგრძივ კრილში ნალისებური ფორმა აქვს (კახეღება, მაგ. თუთისებრთა წარმომადგენლებში).

ამფიფიტები — ჰიგროფილური (კაობის) მცენარეები, რომელთაც აქვს როგორც წყალში ჩაშვებული, ისე წყლის ზედა — ჰაერის გარემოში არსებული ორგანოები.

ამფიფლოიური სიფონოსტელე — სიფონოსტელე (ცენტრალური ცილინდრი), რომელშიც ფლოემა განლაგებულია ქსილემის როგორც შიგნით, ასევე გარეთ. ევოლუციის პროცესში სტელეს ამ ტიპიდან განვითარდა უმაღლესი გვიმრების ცენტრალური ცილინდრი — დიქტიოსტელე.

ამფიცელური მადები — მადები, რომლების სხეულს აქვს ორმხრივ ჩახუჭილი ფორმა.

ამფიცენოზი — მცენარეული თანასახოვანობა, შექმნილი ისეთი სახეობებისაგან, რომლებიც მიეკუთვნება მცენარეულობის ორ (ჩვეულებრივ მუზობელ) სხვადასხვა ტიპისათვის დამახასიათებელ სასიცოცხლო ფორმებს. მაგ. ტყე-ველი. ტყე-ტუნდრა.

ამფიპალიდი — 1. პაპლიდური ტიპი, რომელიც წარმოშობილია ამფიცილიდური სახეობისაგან. პიბრიდი, რომელსაც ქრომოსომათა რიცხვი გადიდებული აქვს მხოლოდ ერთ მუზობელში გაორკეცებულ ქრომოსომათა რიცხვის მქონე გამეტების წარმოქმნის შედეგად.

ამფო — იხ. ამფი.

ამფოლტები — ცილოვანი ნივთიერებები, რომლებსაც ამინომჟავების მსგავსად. ერთსა და იმავე დროს აქვს დადებითი და უარყოფითი მუხტი, და შეუძლია შეუერთდეს როგორც მკავეებს, ისე ტუტეებს.

ამფოტერული შენეირთები — იხ. ამფოლიტები.

ანაბაზონი — ალკალოიდი, რომელსაც შეიცავს ანაბაზისის წარმომადგენლები და თამბაკო. გამოიყენება როგორც ინსექტიციდი მწერების მოსასპობად.

ანაბენინი — საპარაგო ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნება ლურჯმწვანე წყალმცენარეების ზოგიერთ წარმომადგენელში. ახლო დგას გლიკოგენთან.

ანაბოზი — 1. ფარული სიცოცხლე; ორგანიზმის ცხოველმოქმედების მაქსიმალური შეჩერება, რომლის დროსაც სიცოცხლის ყოველივე ზილვად გამოვლინებას აღდგოლი არა აქვს, მაგრამ შესაფერისი პირობების დადგომასთან ერთად მას აქვს ცხოველმოქმედების აღდგენის უნარი. ანაბოზის მდგომარეობაში იმყოფება მშრალი თესლები, დიდი სიმშრალის დროს მღიერები, ბევრი მცენარის სპორები და სხვა. 2. პროდუქტებას დაკონსერვების ერთ-ერთი საშუალება, როდესაც იქმნება ისეთი პირობები, რომელიც ხელს უშლის მიკროორგანიზმების გამავლებას (მაგ. გაშრობა, გაყინვა).

ანაბოლია — ორგანიზმის ფილოგენეზური ცვლილებები მათი მორფოგენეზის ბოლო სტადიაში; აგებულიების შეცვლა, ცვალებადობა ონტოგენეზის მსვლელობაში ემბრიონალური განვითარების დროს.

ანაბოლიზმი — იხ. ასიმბილიცია.

ანადრომული მიგრაცია — თევზების მასობრივი სეზონური გადაადგილება წყლის დინების საწინააღმდეგოდ.

ანერობები — ორგანიზმები, რომელთაც შეუძლიათ სიცოცხლე თავისუფალი ეანგბადის გარეშე (ბევრი ბაქტერია, ზოგიერთი სოკო და სხვა). ანსხვავებენ ანერობების ორ ჯგუფს: ობლიგატურ და ფაკულტატურ ანერობებს (იხ. ცალ-ცალკე).

ანერობიოზი — სიცოცხლე თავისუფალი ეანგბადის გარეშე. ანერობულ პირობებში ორგანიზმების ცხოველყოფილობისათვის საჭირო აუცილებელი ენერჯის წყაროს დუღილის პროცესი ძლევა.

ანერობული ორგანიზმები — იხ. ანერობები.

ანერობული ხუნთვა — მცენარის ორგანიზმისა და ქსოვილების ნორმალური ხუნთვის შემცველი პროცესი ეანგბადის ნაკლებობის შემთხვევაში. თავისი კიმიზმით ძალიან მსგავსია სპირტის დუღილთან; ამ შემთხვევაშიც საბოლოო პროდუქტს, ისევე როგორც სპირტის დუღილისას, წარმოადგენს ეთილის სპირტი და ნახშირორჟანგი. ნახშირორჟანგის გამოყოფა მცენარის ქსოვილებში ეანგბადის მონაწილეობის გარეშე.

ანალგეზია — ტრეილის მგრძნობიარობის დაკარგვა, მაშინ როდესაც შეხების მგრძნობიარობა შენარჩუნებულია.

ანალგია — იხ. ანალგეზია.

ანალიზატორი — 1. ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს გალიზიანებათა ათვისებასა და გარჩევას. თითოეულ ანალიზატორს აქვს სამი ნაწილი: პერიფერიული (რეცეპტორები), შუა ნაწილი ანუ გამტარი ნაწილი და ცენტრალური ნაწილი ანუ ტრინის ნახვეარსფეროს ქერქის შესაბამისი ზონა. (ტრინი შემოიღო ი. პავლოვმა) 2. ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც რაიმე ნივთიერების ანალიზს ახდენენ.

ანალიზი — რისიმე შესწავლა მისი ნიწილებად დაშლის გზით.

ანალიზური — ანალიზზე დამყარებული; რაც ანალიზს იყენებს.

ანალიტიკური — იხ. ანალიზური.

ანალოგია — მსგავსება საგნებსა, მოვლენებსა და ცნებებს შორის.

ანალოგიური ორგანოები — ორგანოები, რომლებიც მსგავსია გარეგნულად, ერთნაირი ფუნქციის შესრულების გამო, მაგრამ განსხვავდებიან თავისი საერთო იგებულებითა და წარმოშობით, მაგ., კოწახტრის ეკალი და კენლის ეკალი (პირველი — სახეცვლილი ფოთოლია, მეორე კი სახეცვლილი ღერო) ან ფრინველის ფრთა და მწერის ფრთა.

ანალური — ყითა, ანწლავთან დაკავშირებული. მაგ., ანალური ჭირკვლები.

ანალური არე — იხ. პერიპროქტი.

ანალური პარკები, ტომხიკები — უკანა ნაწლავის წყვილი გამობერილობა, რომელიც წარმოადგენს რგოლიანი კიების ზოგიერთი წარმომადგენლის გამოყოფისა და ხუნთვის ორგანოს.

ანალური ფარე — ზღვის ზღარბის ქაფუნის (გაბე საფარველის) ზედა ნაწილის ცენტრში არსებული რბილი აკი, რომელშიც ანალური ხერცია მოთავსებული.

ანალური ხერელი — უკანა სადინარი ხერელი, რომლითაც ბოლოვდება საქმლის მომწელებელი სისტემა.

ანამიები — უმდაბლესი ხერხემლიანი ცხოველები (მრგვალიირიანები, თევზები, წყალხმელეთა ცხოველები), რომელთა ჩანასახი ვითარდება ჩანასახის გარსის წარმოქმნის გარეშე.

ანამორფოზი — განეთარების ტიპი, როდესაც ცხოველი კვერცხუჯრედოდან იჩეკება ტანის სეგმენტების არასრული რიცხვით, რომელიც თანდათანობით იესება კანის მომდენო ცელის დროს. დამახასიათებელია ფეხსახსრიანთა ზოგი წარმომადგენლისათვის.

ანამორფული — დამახინებული, არასწორი.

ანაბხილური ტიპი თავის ქალახე — თავის ქალას აგებულების ერთ-ერთი ტიპი, რომელსაც აქვს მთლიანი სარკველი (ხუფი) და სრულებით მოკლებულია საფეთქლის ფოსოებს. დამახასიათებელია ქვეწარმავლების ზოგი წარმომადგენლისათვის.

ანატომოზი — 1. რაიმე სტრუქტურის ერთმანეთთან შეერთება, მაგ., სისხლძარღვთა შორის შეერთება. ფოთლის ძარღვების შეერთება და ა. შ. 2. პროტოპლაზმის ძაფები, რომლებიც უჯრედის გარის ფორების გზით შედის მცენარის მეზობელ უჯრედებში.

ანატომია — 1. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ორგანიზმისა და მისი ორგანოების აგებულებას. 2. რაიმე ორგანიზმის ან ორგანოს აგებულება.

ანატომიური კოფიციენტი — რიცხვი, რომლითაც გამოსახულია მცენარის ქსოვილების ანატომიური ელემენტების სიდიდე და რაოდენობა. მაგ., ბაგეების რიცხვი ფოთლის ზედაირის ერთეულზე.

ანატომოზა — ოსმოსური წნევის გაზრდა მცენარულ უჯრედში გარეგანი ან შინაგანი ზემოქმედების შედეგად, მაგ., კონცენტრირებულ ხსნარებში უჯრედის ხანგრძლივად არსებობის დროს. შეიძლება გამოწვეული იყოს სახამებლის შაქრად გადაქცევით ან მძიერ მონაცუარული წონის მქონე ორგანული შეკვების დაგროვებით.

ანატროპული თესლკვირტი — თესლკვირტი, რომელსაც ნუკლეუსი შემოტრიალებული აქვს 180°-ით და უწინიდან ქვევითაა ჩამოკიდებული იმგვარად, რომ უწინი მკიდრად ეხება ან მთლიანად ეზრდება გარეთა ინტეგუმენტს. ასეთ თესლკვირტში მტვერსაველი (მიკრობილე) მოთავსებულია თესლის უწინის გვერდით. დამახასიათებელია ფარულთესლოვან მცენარეთა უმრავლესობისათვის.

ანაფაზა — უჯრედის არაბირდაპირი და

ყოფის ერთ-ერთი, სახელობრ მესამე ფაზა, რომლის დროსაც ქრომოსომები ერთმანეთს სცილდება და პოლუსებისაკენ მიემართება.

ანაფილაქსია — ორგანიზმის არაჩვეულებრივი ან მეტისმეტად მალალი რეაქცია უცხო ცილების ან სხვა ნივთიერებების მიმართ.

ანგიოგამია — კოპულაცია ოვოგონიზმში ან არქეგონიზმში მოთავსებული უმოდრო კვერცხუჯრედისა მასში შეკრილ (მოხვედრილ) სპერმატოზოიდთან.

ანგიოკარპული სანაყოფე ხხეული — ბაზილიუმიანი სოკოების სრულიად დახურული სანაყოფე ხხეული.

ანგიოდოგამია — ანატომიის ნაწილი, რომელიც სწავლობს სისხლძარღვებსა და ლიმფურ სისტემებს.

ანგიომა — კეთილთვისებიანი სიმსივნე, რომელიც შედგება სისხლძარღვების ან ლიმფის სადინარებისაგან.

ანდროგამეტა — მამრობითი გამეტა; მიკროგამეტა.

ანდროგამია — მამრობითი გამეტის განაყოფიერება მდედრობითი გამეტით. თუ განაყოფიერებაში მონაწილეობს მდედრობითი გამეტის ციტოპლაზმა მას ციტოპლაზმატურ ანდროგამიას უწოდებენ, ხოლო თუ განაყოფიერებას მდედრობითი გამეტის ბირთვი ახდენს, მას ბირთვულ ანდროგამიას უწოდებენ.

ანდროგამონი — იხ. გამონი.

ანდროგენიზმი — მამრობითი პართენოგენიზმი. ამ დროს კვერცხუჯრედის განაყოფიერების შემდეგ დედისეული ბირთვი ელიმინირდება (სცილდება, მოშორდება) და წარმოქმნილი პალოიდური ორგანიზმი, რომელსაც ანდროგენიზურს უწოდებენ, შეიკავს მხოლოდ მამის ქრომოსომთა ანაწყობს.

ანდროგენი — ნივთიერება, რომელიც სტიმულს აძლევს მამაკაცის მეორადი სასქესო ნიშნების განვითარებას.

ანდროგინია — 1. ერთი სქესის ინდივიდში, მეორე სქესის ნიშნების არსებობა. 2. ერთ და იმავე მცენარეზე მამრობითი და მდედრობითი ყვავილების ერთდროულად წარმოქმნა. 3. მამრობითი ყვავილის გამოჩენა მდედრობით ყვავილედში. 4. მამრობითი და მდედრობითი ყვავილების თანამიმდევრობითი გამოჩენა ერთსა და იმავე ყვავილედში.

ანდროგინოფორი—ყვავილსაქლომის წაგრძელებული ნაწილი, რომელზედაც სხედან მტერიანები და ბუტკო; დამახასიათებელია, მაგ., მიხაიისებრთა ოჯახის ზოგიერთი წარმომადგენლისათვის.

ანდროგინური თავთავი — თავთავი, რომელშიც მდედრობითი ყვავილები თავთავის ქვედა ნაწილშია განლაგებული, მამრობითი კი — ზედა ნაწილში.

ანდროგინური ფორმები — საპროლეგნინასნაირი სოკოების ჩვეულებრივ, რომელთაც სასქესო ორგანოები (მამრობითი და მდედრობითი) მოთავსებული აქვს მიცელიუმის ერთ მოკლე ტოტზე ერთმანეთის ახლოს.

ანდროდიეცია — ორსახლიანობის შემთხვევა, როდესაც მცენარის ერთი სახეობის ზოგ ეგზემპლარზე გვხვდება მხოლოდ ორსქესიანი ყვავილები, ნაწილ ეგზემპლარზე კი მარტო მამრობითი (მტერიანიანი) ყვავილები (მაგ., ლოლი).

ანდრომეროგონია — კვერცხის ერთი ფრაგმენტის განვითარება, რომელიც მხოლოდ მამის ქრომოსომებს შეიცავს.

ანდრომონეცია — ერთსახლიანობის შემთხვევა, როდესაც მცენარის ერთ და იმავე ეგზემპლარზე გვხვდება როგორც ორსქესიანი ყვავილები, ასევე მარტო მამრობითი (მტერიანიანი) ყვავილები (მაგ., შხამა).

ანდროსომები — ქრომოსომები, რომლებიც გვხვდება მხოლოდ მამრობით

თი ჩანასახოვანი უჯრედების ბირთვებში და არასდროს გვხვდება ორივე სქესის სომატურ და მდედრობით ჩანასახოვან უჯრედებში. ანდროსომებს უწოდებენ აგრეთვე ქრომოსომებს, რომლებიც შემოფარგლულია მხოლოდ მამრობითი სქესით.

ანდროსპერმიები — სპერმიები, რომლებიც განსაზღვრავენ მამრობითი სქესის განვითარებას.

ანდროსპორა — მამრობითი სპორა, მიკროსპორა; მტერის მარცვლი.

ანდროსპორანგიუმი—სპორანგიუმი, რომელიც შეიცავს ანდროსპორებს.

ანდროსპოროგენეზი — იხ. მიკროსპოროგენეზი.

ანდროფორი—ყვავილის ფეხისებრ წაგრძელებული ყვავილსაქლომი, რომელზედაც მხოლოდ მტერიანებია მოთავსებული.

ანდროციტები — ყვავილის მტერიანების მთელი კომპლექსი.

ანდროციტები — იგივეა რაც ანთეროზოილები, სპერმატოზოილები.

ანევიოზმა — ანთერის ავადმყოფური გაგანიერება მისი კედლების დაზიანების გამო.

ანევირინი — ვიტამინი B₁, რომლის ნაკლებობა იწვევს ნერვული სისტემის აშლილობას — პოლინერვიტს (ბერი-ბერი).

ანელიდური თეორია — თეორია, რომლის თანახმადაც ლოკოკინები წარმოიშენენ რგოლოვანი ჭიებისაგან.

ანემია — სისხლნაკლებობა. ორგანიზმში სისხლის რაოდენობის ან ფორმის ელემენტების შემცირება და მისი თვისობრივი შედგენილობის შეცვლა.

ანემოგამია — ქართლ დამტყვევია. იხ. ანემოფილია.

ანემოფილია — ყვავილის დამტყვერვის ერთ-ერთი სახე, რომელიც ხდება ქარის დახმარებით; ქართლ დამტყვერვა.

ანემოფილური მცენარეები — მცენარეები, რომელთაც ახასიათებთ ქართო დამტვერვა—ანემოფილია. მაგ., მარცლოვანთა უმრავლესობა, ისლისებრნი, პალმების უმეტესობა და სხვ.

ანემოფიტები—**ახ.** ანემოფილური მცენარეები.

ანემოქორები — ანემოქორული მცენარეები, რომელთა ნაყოფებისა და თესლების გავრცელება ხდება ქარის საშუალებით, რისთვისაც გააჩნიათ სპეციალური საშარჩვეები (ბეწვი ან ფრთისებრი წარმონაქმნი და სხვა). ასეთებია ქადაგრისებრთა, მანანასებრთა და სხვათა წარმომადგენლები.

ანემოქორია — ნაყოფებისა და თესლების ქარით გავრცელება.

ანემოქორული მცენარეები — **ახ.** ანემოქორები.

ანენცეფალი — ცხოველი, რომელიც დაბადებულია თავის ტვინის ქერქის გარეშე.

ანესთეზია — გაუმტკივნეულობა; ქირურგიული ჩარევის საჭიროების შემთხვევაში მგრძობებლობის დაკარგვა ან შესუსტება.

ანეუპლოიდი — ორგანიზმი ან უჯრედო, რომელსაც გააჩნია პალოიდის არაჯერადი შემცირებული ან გადიდებული ქრომოსომების რიცხვი. ანეუპლოიდია მოვლენა დაკავშირებულია დიპლოიდთა მიერ ერთი ან მეტი ქრომოსომის დაკარგვასთან ან შექმნასთან.

ანეუპლოიდა — მოკლენა, რაოდენსაც ორგანიზმის უჯრედებს გააჩნიათ პალოიდის არაჯერადი ქრომოსომების რიცხვი.

ანეუპლოიდა — სპორების წარმოქმნა ირანორმალური (დარღვეული) მეიოზის პროცესში.

ანთერიდიალური უჯრედი — მსხვილი უჯრედი, რომელიც წარმოიქმნება მტერის მარცვლისა (მრმველთესიონებში) და მიკროსპორის (გამსხვავებ-

ულ სპორიან ლიკოპოდიუმებსა და გვიმრებში) გაღვივების დროს. ამ უჯრედიდან წარმოიქმნება ანთერიდიუმი.

ანთერიდიუმი — მიმრობითი სასქესო ორგანო (ბავსებში, გვიმრებში, შეიტებში, ლიკოპოდიუმებში, ზოგიერთ წყალმცენარესა და სოკოში), რომელშიც წარმოიქმნება სპერმატოზოიდები (ანთეროზოიდები).

ანთეროზოიდები — ანთერიდიუმში წარმოქმნილი მიმრობითი გამეტები: 1. წყალმცენარეების, ხავსების და გვიმრანაირების მიმრობითი სასქესო უჯრედები (მიკროგამეტები), რომლებიც მოძრაობენ წაწმამების ან შოლტების დახმარებით; მათ სპერმატოზოიდებსაც უწოდებენ. 2. მტერის მარცვლის გენერაციული ბირთვი.

ანთოფინი — მუქი მურა ფერის პიგმენტი, რომელსაც შეიცავს ზოგიერთი მცენარის უჯრედის წვენი.

ანთოქლორა — უჯრედის წვენის ყუთელი პიგმენტი; უმთავრესად გვხვდება ვეირგვინის ფურცლების კანის უჯრედებში (ფურისულაში, სელიკაში და სხვ.); იშვიათად გვხვდება ნაყოფებში (ლიმონის და სხვა ციტრუსების ნაყოფში).

ანთოციანი — პიგმენტების ჯგუფი, რომელსაც შეიცავს ბევრი მცენარის უჯრედის წვენი და იწვევს გვირგვინის ფურცლების, ნაყოფებისა და სხვ. შეფერვას სხვადასხვა ელფერის ლურჯ, წითელ ან სოსანის ფერად. იხსნება წყალში და წყლით ვანზავებულ სპირტში. ჰიდროლოზის დროს იშლება გლუკოზად და ანთოციანილინად.

ანთოციანილინი — ანთოციანის ჰიდროლოზის შედეგად მიღებული ნივთიერება, რომელიც უახლოვდება ფლავინის წარმოებულებს; მათგან განსხვავდება იმით, რომ მათ მოლეკულაში CO-ს ჯგუფი ჩანაცვლებულია CH-ის ჯგუფით.

ანთრაქნოზი — მცენარის დაეადება, რომელიც გამოწვეულია უსრულო სოკოებისაგან (კოლეტოტრიხიუმი); ხასიათდება ლაქების ან მექეპების გაჩენით ფოთლებსა და ღეროზე.

ანთრაქოზი — ავადმყოფობა, რომელსაც იწვევს ნახშირის მტერის დაგროვება ფილტვებში.

ანთრაქოგენეზი — ადამიანის წარმოშობის პროცესი.

ანთრაქოგენი — თანამედროვე — მეოთხეული პერიოდი.

ანთრაქოგენური მცენარეულობა — მცენარეულობა, რომელიც ადამიანის მიერაა შექმნილი (იხ. აგროცენოზი).

ანთრაქოგრაფია — 1. ადამიანის სხეულისა და ძვლების ფორმის გრაფიკული გამოსახვა. 2. ადამიანთა ცალკეული რასების აღწერა.

ანთრაქოიდი — ადამიანის მსგავსი მაიმუნი (შიმპანზე, გორილა, ორანგუტანგი).

ანთრაქოლოგია — მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის წარმოშობას, ევოლუციას და ცვალებადობის კანონზომიერებას.

ანთრაქომორფიზმი — 1. არამეცნიერული წარმოდგენა, ვითომდაც ცხოველებს, მცენარეებს და ბუნების მოვლენებს აქვს ადამიანური თვისება: აზრი, გრძნობა, ნებისყოფა და სხვა. 2. ღვთაების (ღმერთის) წარმოდგენა ადამიანის სახის მქონედ.

ანთრაქომორფული — ადამიანის მსგავსი.

ანთრაქომორფული მაიმუნები — ადამიანის მსგავსი მაიმუნები.

ანთრაქოფაგია — კაცოქამია.

ანთრაქოფაგია — კაცოქამიობა, კანიბალიზმი.

ანთრაქოფილემი — იხ. ანთრაქოფიტები.

ანთრაქოფიტები — ადამიანის თანამგზავრი მცენარეები, რომლებიც სახლდება მისთან ერთად. (შეიძლება იყოს

როგორც კულტურული, ასევე საჩრევლა).

ანთრაქოფობები — მცენარეები, რომლებიც ვერ იტანენ ადამიანის სემურსეო მოქმედებას (ზედმეტ თიხვას, მოხენას და ა. შ.) და საკმაოდ ჩქარა ქრებიან ბუნებრივი მცენარეული საფარის დაარევევის დროს. (სბერიისატეხელა, იორდასალამი, ეციწვერა და სხვა).

ანთრაქოქორები — მცენარეები, რომლებიც ვერცდებდა ადამიანის მეშვეობით შეუგნებლად თუ შეგნებულად.

ანთრაქოქორია — მცენარის ნაყოფებისა და თესლების გავრცელება ადამიანის დახმარებით.

ანთრაქოცენტრიზმი — ანტიმეცნიერული, რელიგიური შეხედულება, რომლის თანახმადაც ადამიანი არის ღვთის მიერ შექმნილი უმაღლესობის არსება; იგი წარმოადგენს სამყაროს ცენტრსა და მის საბოლოო მიზანს.

ანიზოგამეტა — იხ. პეტროგამეტები.

ანიზოგამია — სქესობრივი პროცესი, რომლის დროსაც ერთმანეთს ერწყმის სხეულის სხვადასხვა ნაწილის დაქცევის გამეტები (სასქესო უჯრედები). ეს განსხვავება შეიძლება ვანოსაზღვროს ან მხოლოდ ზომით (ჰეტეროგამია) ან ზომითა და ფორმით (უკიდურესი ფორმა — ოოგამია); ან მხოლოდ ქცევით კოპულაციის დროს.

ანიზოგენური მიხრიდები — მიხრიდები, არაერთგვაროვანი მემკვიდრეულობით.

ანიზომერია — ორგანიზმის, უჯრედისა და უჯრედული ორგანოების მსგავსი ნაწილების თვისებათა (ან რაოდენობის) არაერთგვაროვნება. პოლიმერული გენების მოქმედების არაერთგვაროვნება, რომლის დროს რამდენიმე არაექვივალენტურ გენს შეუძლია განაპირობოს ერთი ფენოტიპი.

ანიზოპლოიდი — ინდივიდის სომა-

ტურ უჩრდებში ქრომოსომა ანაწყობის კენტი რიცხვის არსებობა.

ანოზოტროპია — ერთი და იმავე მცენარის სხვადასხვა ორგანოს თვისება მიიღოს სხვადასხვანაირი მდგომარეობა გარემო ფაქტორების ერთნაირი ზემოქმედების დროს, მაგალითად, კენწრული ყლორტების ცალმხრივი განვითარებას ყლორტები გადაიხრება სინათლისაკენ, ფოთლის ფირფიტები კი განეწყობა სხივების მიმართულების პერპენდიკულარულად.

ანოზოტროპული ნივთიერება — ნივთიერება, რომელსაც აქვს სხივის ორმაგი გარდატეხვის უნარი.

ანოზოფილია — ფოთლების არათანაბარი სიდიდე ზოგიერთი მცენარის პორიზორტალურად განლაგებული ყლორტების ზედა და ქვედა მხარეზე; ჩვეულებრივ ყლორტის ზედა მხარეს უფრო პატარა ზომის ფოთლებია, ვიდრე ქვედა მხარეს. დამახასიათებელია ზოგიერთი ხავსისათვის, ლიკოპოდიუმისათვის და სხვა მცენარისათვის.

ანიმპლასტები — პრეფორმისის თეორიის მომხრე ბიოლოგები, (XVII—XVIII საუკუნეში), რომლებიც თვლიდნენ, რომ მამრობით სასქესო უჩრდებში — სპერმატოზოიდში იმყოფება მთლიანად ჩამოყალიბებული მინიატურული ორგანიზმი (საწინააღმდეგო ოვისებობისა).

ანიმალურა — ცხოველური; ცხოველთან დაკავშირებული; წინააღმდეგ ვეგეტატიურისა — მცენარეულისა.

ანიმალური პოლუსი კვერცხისა — კვერცხის ის მხარე, რომელიც თავისუფლად მცურავ კვერცხში მიმართულია ზევით და, საიდანაც ჩანასახის ზურგის ნაწილი ვითარდება.

ანიონი — უარყოფითი ელექტროდებით დამუხტული იონი, რომელიც ელექტროლიზის დროს მიისწრაფის ანოდისაკენ.

ანკილოზავრები — ნამარხი ქვეწარმავ-

ლები დინოზავრების ჯგუფიდან. ცნობილია ცარკის პერიოდიდან.

ანკილოზი — სახსრების უმოძრაობა ფიბროზული, ხრტილოვანი ან ძვლოვანი შეხორცებების შედეგად ტრამვის ან ანთების შემდეგ.

ანნულუსი — გვიმრების სპორანგიუმის რგოლი, რომელიც შედგება ერთწყობად განწყობილი უჩრდებობისაგან, წარმოადგენს ერთგვარ სამარჯვს; ხელს უწყობს სპორანგიუმის გახსნას და სპორების გაფანტვას.

ანოზალია — არანორმალურობა; ნორმიდან გადახრა; კანონზომიერების დარღვევა; საერთო წესისაგან გადახვევა.

ანორგანული — არაორგანული.

ანოზმატიკები — ცხოველები, რომელთაც არ გააჩნიათ ყნოსვა (მაგ., დელფინები).

ანოსმია — ყნოსვის უქონლობა, მოსლა.

ანოქრემია — ქანგაბადის შემცველობის შემცირება სისხლში.

ანოქსია — ორგანიზმის ქანგაბადით შიმშილი; ქანგაბადის ნაკლებობა ორგანიზმში გამოწვეული ქსოვილების არასაკმარისი ქანგაბადით მომარაგების შედეგად ან ქანგაბადის გამოყენების დარღვევით ქსოვილებში.

ანტაგონიზმი ონენიზა — კატიონების მომწამელები მოქმედების შემცირება სხვა კატიონების ზემოქმედებით. მაგ., ქლორიანი ნატრიუმის ან კალციუმის სუფთა ხსნარი ცალ-ცალკე მომწამელებად მოქმედებს მცენარეზე, მაგრამ ხსნარი, რომელიც შეიცავს ორივე მარილს, აღარ მოქმედებს მომწამელებად და საზიანო არ არის, ვინაიდან ადგილი აქვს ერთ და ორვალენტიან ონენების ურთიერთ გამაწონასწორებელ მოქმედებას.

ანტაგონიზმი მიკრობებისა — ერთი მიკროორგანიზმის დათრგუნვა ან მოსპობა მეორე მიკროორგანიზმის ცხოველმოქმედების პროდუქტებით.

ანტაგონისტები — 1. კუნთები ან კუნ-

თების ქვეფი, რომელიც მონაწილეობს მოძრაობაში ერთიმეორის საწინააღმდეგოდ, მაგ., მომხრელი და გამშლელი კუნთები. 2. მიკროორგანიზმები. რომლებიც მოქმედებენ დამჩავერელად სხვა მიკროორგანიზმების სიცოცხლეზე და განვითარებაზე.

ანტაგონისტური რეფლექსები — რეფლექსები, რომლებიც შეუთავსებელია ერთიმეორესთან.

ანტარქტიკული ოლქი — ფლორისტიკული ოლქი, რომელიც მოიცავს ანტარქტიდას მისაზღვრე კუნძულებით და სამხრეთ ამერიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს.

ანტეკლოზია — მცენარის ყვავილობისა და დამტვერვის ეკოლოგია.

ანტენალური ქირკვლები — უმაღლესი კიბოების (მღინარის კიბო) საყლაპავი მილის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მოთავსებული ორი გამოშვოფი ქირკვალი, რომლებიც შედგება პარკისაგან და კლანილი მილისაგან. ეს უკანასკნელი ანტენების ფუძესთან იხსნება. წარმოადგენს გამოშვოფ სისტემას.

ანტენები — 1. მეორე წყვილი უღვაშებისა კიბოსნაირებში. 2. მწერების უღვაშები 3. რგოლიანი ქიების სეცეო.

ანტენულები — კიბოსნაირების პირველი წყვილი უღვაში.

ანტიამბულაკალური მხარე — კანეკლიანების სხეულის ზედა მხარე, რომელიც მოპირდაპირეა იმ მხარისა, სადაც პირის ზერელია მოთავსებული.

ანტიბიოზი — ცოცხალ ორგანიზმთა ერთი ქვეფის უარყოფითი მოქმედება სხვა ქვეფის განვითარებაზე.

ანტიბიოტიკები — ბიოლოგიური წარმოშობის ნივთიერებანი, რომელთა სინთეზირება ხდება მიკროორგანიზმების მიერ. ანტიბიოტიკებს აქვთ უნარი ჩააბზონ ბაქტერიებისა და სხვა მიკროორგანიზმების, აგრეთვე ვირუსებისა და უჯრედების ზრდა; ბევრ ანტიბიოტიკს აქვს მიკრობების მოკვლის უნარიც. ზოგჯერ ანტიბიოტიკებს აქვთუნებენ აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა ქსოვილებიდან გამოყოფილ ანტიბაქტერიულ ნივთიერებებს თითოეულ ანტიბიოტიკი ხასიათდება სპეციფიკური ამორჩევითი მოქმედებით და მიკრობთა მხოლოდ ერთ ვარკვეულ სახეობაზე მოქმედებს. მათ ფართოდ იყენებენ მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში და კვებისა და მიკრობიოლოგიური მრეწველობის სხვადასხვა წარმოებაში.

ანტიგენი — მაღალმოლეკულური კოლოიდური ნივთიერება, რომელიც ორგანიზმში შეყვანისას წარმოქმნის მასთან მარეაგირებელ სპეციფიკურ ანტისხეულებს.

ანტიდიურეტული პორმონი — ქიმიკის უკანა წილის პორმონი, რომელიც მოქმედებს შარდის გამოყოფაზე.

ანტიფორუზი — სამკურნალო პრეპარატი, რომელიც წარმოადგენს მიკრობთა ეულტურების ფილტრატს; ანტივირუსს აქვს უნარი შეაჩეროს იმ მიკრობთა გამრავლება, რომელთა ეულტურიდანაცაა მიღებული.

ანტიფიტიამინები — ნივთიერებანი, რომლებიც იწვევენ ვიტამინების დათრგუნვას — დაშლას და ორგანიზმზე ახლენენ მათ საწინააღმდეგო მოქმედებას.

ანტიფეტური ცვლა თაობებისა — ორი თაობის (სქესობრივი და უსქესო) მორიგეობა. დამახასიათებელია ყივლა არქეოკონიატებისათვის, მაგრამ იშვიათი არ არის უმდაბლეს მცენარეებშიც.

ანტიფორმინი — ფერმენტი, რომელიც ხელს უშლის სისხლის შეღებებას.

ანტიკლინალური დაყოფა — პრომერისტემის უჯრედების დაყოფა ტობრების წარმოქმნით ზრდის კონუსის ზედაპირის პერპენდიკულარულად.

ანტიმეტაბოლიტები — ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი, რომლებიც ხელს უშლიან ორგანიზმის ქსოვილებში ბუნებრივად წარმოქმნილ ნივთიერებათა ცვლის შუალედი პროდუქტების — მეტაბოლიტების მოქმედებას.

ანტიმუტაგენები — ნივთიერებები, რომლებიც ხელს უშლიან და ამცირებენ მუტაციების სიხშირეს.

ანტაიერისტალტიკა—შებრუნებული პერიოსტალტიკა, უკუპერიოსტალტიკა; საკმლის მომწელებელი ტრაქტის ქიმიკოსების (ტალისებური) შეკუმშვა ჩვეულებრივი მიმართულების საწინააღმდეგოდ სახელდობრ პირის ღრუ მიმართულებით, რის შედეგადაც კუჭში ან ნაწლავებში არსებული საკვები გადაღის პირის ღრუში და იწვევს ლეზიონებს.

ანტაოლეგი — 1. უჭრედები, რომლებიც წარმოიქმნება უმადლეს მცენარეთა ჩანასახის პარკში კვტრცხუჭრედის საწინააღმდეგო მხარეზე მდებარე სამი ბირთვიდან; როგორც წესი, ჩანასახის პარკში სამი ანტიპილი ვითარდება. 2. დეღამიწის ორ, დიამეტრალურად მოპირდაპირე პუნქტში მცხოვრები.

ანტიხეპტოკა — დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება ქიმიური ნივთიერებებით, რომელიც სპობს მიკროორგანიზმებს.

ანტიხეპტოკები — ლობის საწინააღმდეგო საშუალებანი; ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც ხელს უშლის ლობის მიკრობების განვითარებას და სპობს მათ. ფართოდაა გამოყენებული ქირურგიაში, აგრეთვე შშენებლობაში—ხის ნაწილების, ტელეფონის ბოძების, შპალებისა და სხვათა გასაქლენად, ლობისაგან დასაცავად.

ანტისხეულები — სპეციალური გლობულინები (იხ.), რომლებიც წარმოიქმნება ცხოველის სისხლში ანტიგენის (იხ.) შეღწევისას და აქვთ მოცემულ

ანტიგენთან სპეციფიკური ურთიერთმოქმედების უნარი.

ანტოტოქსინები — დამცველი ნივთიერებანი (ანტისხეულები), რომლებსაც წარმოქმნის ცოცხალი ორგანიზმი მასში ტოქსინის შეყვანის შედეგად და შეუძლია ამ ტოქსინის უვნებლყოფა. განეიტრალება.

ანტოტრომინი — იხ. ანტიოტრომინი.

ანტიფერმენტები — ნივთიერებანი, რომლებსაც გამოიშუავენ ორგანიზმი და ახშობს, ანეიტრალებს ან თუ იმ ფერმენტის მოქმედებას.

ანტიჰელმინტიკები — სამკურნალო საშუალება, რომლის დახმარებით ორგანიზმიდან გამოდენიან პარაზიტები (მელმინთებს).

ანტოდიუმი — ყვავილელი, რომელიც გარეგნულად მოგვაგონებს ერთ დიდ ყვავილს. მაგ., რთულყვავილოვანთა კალათა (ეს ტერმინი უფრო ძველი ლიტერატურაში გვხვდება).

ანტროპოგენეზი — იხ. ანტროპოგენეზი.

ანტროპოგენური მცენარეულობა — იხ. ანტროპოგენური მცენარეულობა.

ანტროპოლოგია — იხ. ანტროპოლოგია.

ანტროპოფილები—იხ. ანტროპოფიტები.

ანტროპოფიტები — იხ. ანტროპოფიტები.

ანტროპოფოტები — იხ. ანტროპოფოტები.

ანტროპოქორები — იხ. ანტროპოქორები

ანტროპოქორია — იხ. ანტროპოქორია.

ანურია — თირკმლების მიერ შარდის გამოყოფის შეწყვეტა.

ანამორფი — ენგზადინი ნაერთი, რომელიც წყალთან შეერთებით იძლევა პეპტას.

აოდეა — პურეული ნათესების აზრეტა, აწვა მარცელის დასრულებამდე ცხელი ქარის, სიცხისა და სხვ. მოქმედების შედეგად.

აორთქლება — თხევადი ან მყარი ნივთიერების გადაქცევა გაზისებრ (ორთქლის) მდგომარეობაში, რაც მიმდინარეობს ყოველნაირი ტემპერა-

ტურის დროს (განსხვავებით დუღისა).

აორთქლება წყლისა მცენარეებში — იხ. ტრანსპირაცია.

აორტა — სისხლის მიმოქცევის დიდი წრის მთავარი არტერია, რომელიც იწყება გულის მარცხენა პარკუჭიდან ფრინველებსა და ძუძუმწოვარ ცხოველებში.

აორტის ბოლქვი — მუცლის აორტის გაგანიერებული წინა ნაწილი ხერხე-მლიანთა უმრავლესობაში.

აპათია — ყველაფრისადმი გულგრილობა, უინტერესობა, უხალისობა, ზოგიერთი ფსიქიური დაავადების ნიშანია.

აპატია — იხ. აპათია.

აპენდიქსი — ბრმა ნაწლავის დანაშატი — კიანაწლავი.

აპენდიციტი — აპენდიქსის — ბრმა ნაწლავის დანაშატის (კიანაწლავის) ანთება.

აპეტალური ყვავილი — ყვავილი, რომელსაც არ გააჩნია გვირგვინის ფურ-ლები. ასეთი ყვავილის ყვავილსაფარი შედგება მხოლოდ ქამისაგან.

აპქისი — ზრდის კონუსი, ღეროს ან ფესვის წვერი.

აპიკალური — კენწრული: მორფოლოგიურად ზედა; აპიკალური ზრდა — კენწრული ზრდა; აპიკალური ფოთოლი — ზედა (კენწრული) ფოთოლი და ა. შ.

აპიკალური ზრდა — მცენარის ორგანოების კენწრული ზრდა. დამახასიათებელია ფესვისა და ღეროსთვის.

აპილაკი — ფუტკრის რძე; მისგან დამზადებული პრეპარატი.

აპისებრი ლამბირინთი — იხ. შიგნითა ყური.

აპისებრი წყალი — ნიადაგის ნაწილაკების ირგვლივ მყოფი წყლის ფენა, წყლის აპი, რომელიც მცენარისათვის ძნელი მისაწვდომია.

აპისებრიფრთიანები — ფრთიანი მწერების ერთ-ერთი რიგი, რომლის

წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელია ორი წყვილი, აპისებრი, გამპერივალე ფრთა, რომელთაგან უკანა წყვილი, წინა წყვილ ფრთაზე პატარაა (ფუტკარი, კლა და სხე).

აპლაზია — სხეულის რაიმე ნაწილის ან ორგანოს თანდაყოლილი უქონლობა. აპლანოგამეტანგიუმი — გამეტანგიუმი, რომელშიც წარმოიქმნება აპლანოგამეტები.

აპლანოგამეტები — უმოდრაო გამეტები, რომლებსაც არ გააჩნია შოლტები და მათი მოხვედრა დანიშნულების ადგილზე ხდება პასიურად. დამახასიათებელია ზოგიერთი წყალმცენარისთვის (კონიუგატები).

აპლანოზომორა — ზოგიერთი მწვანე წყალმცენარის (ულოტრიხა) უმოდრაო, ერთბირთვიანი სპორა. აპლანოსპორა ხშირად წარმოიქმნება ზოოსპორის ნაცვლად, მაგრამ მისგან განსხვავებით მას უჯრედული გარსი გააჩნია. აპლანოსპორას იხილავენ, როგორც ამორტულ ზოოსპორას, რომელიც მოკლებულია მოძრაობას.

აპოე — სუნთქვითი მოძრაობის დროებითი შეჩერება, სუნთქვის დროებითი შეწყვეტა, სუნთქვის პაუზა.

აპოგამეტია — იხ. აპოგამია.

აპოგამია — ამომიქსისის ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც ახალი ინდივიდის (სპოროფიტის) განვითარება ხდება არა კვერცხუჯრედიდან, არამედ ჩანასახის პარკის რომელიმე უჯრედიდან (ანტიპოდებიდან, სინერგიდებიდან და სხვა ფარულთესლოვან მცენარეების ზოგ წარმომადგენელში) ან სქესიანი თაობის (გამეტოფიტის) რომელიმე ვეგეტატიური უჯრედიდან (გვიმრებში). ზოგჯერ ამ მოვლენას აპოგამეტიას უწოდებენ.

აპოგენია — სტერილურობა სასქესო აპარატის დაკარგვის ან დაშლის შედეგად.

აპოზიცია — უჯრედის გარსის გასქელება პროტოპლაზმისაგან წარმოქმნი-

ლი ნიეთიერების ახალ-ახალ შრეებად დალაგების გზით. ორგანიზმის ქსოვილების ზრდა ახალ-ახალი ფენების წარმოქმნით.

ამოთეციუმი — ზოგიერთი ჩანთიანი სოკოს და შლიერის ნაყოფსხეული, რომელსაც მეტწილად ლამბაქისებრი ფორმა აქვს.

ამოკარბული გინეცეუმი — გინეცეუმი, რომლის ნაყოფფოთლები არ არის შეზრდილი ერთმანეთთან, ამასთან თითოეული ნაყოფფოთოლი წარმოქმნის დამოუკიდებელ ბუტკოს (მაგ., ბიასებრთა უმეტესი წარმომადგენლის ყვავილში).

ამოკარბული ჩირკვლები — ჩირკვლები, რომელთა სეკრეტში, ნაწილობრივ, შედის მათი უჯრედების ციტოლაზმა (დიდი საოფლე ჩირკვლები).

ამომიქსისია — სქესობრივი გამრავლების შეცვლა სხვა, არასქესობრივი პროცესით, რომელიც დაკავშირებული არ არის ბირთვების ან უჯრედების შერწყმასთან. ამ დროს ადგილი აქვს ჩანასახისა და თესლის გაუნაყოფიერებლად განვითარების სხვადასხვა შემთხვევას: გაუნაყოფიერებელი ევერცხუჯრედიდან (პართენოგამია), გამეტოფიტის ვეგეტატიური უჯრედიდან (აოგამია), სპოროფიტის უჯრედიდან (ამოპორია, ადვენტური ემბრიოგენია) და სხვა; ვეგეტატიური გამრავლებისაგან განსხვავებით ამომიქსისის დროს შენარჩუნებულია თაობათა მორფოლოგიური მორიგეობა. გარდა ჩამოთვლილი შემთხვევებისა, რომლებსაც იხილავენ „აგამოსპერმიის“ საერთო სახელწოდებით, ზოგი მკვლევარი ამომიქსისს აუთენებს აგრეთვე თესლის გამრავლების ვეგეტატიური გამრავლებით შეცვლის განსაკუთრებულ შემთხვევებსაც (ე. წ. ამოსპერმია ანუ ვეგეტატიური ამომიქსისი).

ამოლექსისია — სხეულის ან მისი ნაწილის უცაბედი დაშლის დაცემა, და-

დამბლაგება ტენიში სისხლის მიმოქცევის დარღვევის შედეგად; მაგ., ტენიში სისხლის ჩაქცევით ან ტენინის სისხლძარღვთა დაცობით და სხვ.

ამორგამია — განაყოფიერების პროცესის ერთ-ერთი სახე ყვავილოვან მცენარეებში, როდესაც მტერის მილი თესლკვირტში შედის არა მიკროპილეს გზით, არამედ ან ქალაქიდან (ქალაქოგამია) ან გვერდიდან ინტეგუმენტების გავლით (მეზოგამია).

ამოსპერმია — ვეგეტატიური ამომიქსისი; თესლით გამრავლების შეცვლა ვეგეტატიური გამრავლებით; ხორციელდება ბოლქვაყვებით. ვეგეტატიური კვირტებით და სხვ., რომლებიც წარმოქმნილია ყვავილის ან ყვავილედის ადგილზე.

ამოსპორია — გამეტოფიტის (სქესიანი თაობის) განვითარება სპოროფიტის (უსქესო თაობის) სომატური (ვეგეტატიური) უჯრედიდან სპორების წარმოქმნის გარეშე, მაგ., წინაზრდილის განვითარება გვირგვინში ფოთლის ან სპორანგიუმის ფენის ქსოვილისაგან.

ამოსტერიორული — ცდიდან გამომდინარე, ცდაზე, ფაქტობრივ მონაცემებზე დამყარებული.

ამოსტროფია — ქლოროპლასტების განლაგება მეზოფილის უჯრედებში ცოტად თუ ბევრად თანასწორად ყველა კედლის გასწვრივ. ჩვეულებრივ შესაძინევია ღამის საათებში.

ამოტეციუმი — იხ. ამოთეციუმი.

ამოტროპული თესლკვირტი — თესლკვირტი, რომელიც მოღუნულია ნასკვის ძირთან. დამახასიათებელია ხეჭრელისათვის და ჰანჯუკატისთვის.

ამოფერმენტა — ფერმენტის ცილოვანი, კოლოიდური ნაწილი; სრულ ფუნქციონალურ ფერმენტს წარმოქმნის მხოლოდ სპეციფიკურ კოფერმენტთან შეერთებით; იხ. ფერონი.

ამოფიზი — 1. სპორანგიუმის კოლოფის გაფართოებული ფუძე მწვანე ხავ-

სეგში (მაგ. გუგულის სელში). 2. ფიჭვის მოჭრისგებული გირჩის სათესლე ქერქლის გამსხვილებულ წვერზე განვითარებული რომბული ზედაპირი. 3. გრძელი ლულოვანი (მილოვანი) ძვლების ბოლო ნაწილი.

აპოტიტები — ადგილობრივი, მკვიდრი მცენარეები, რომლებიც ადვილად გადადის და ვრცელდება დამუშავებულ, კულტურულ ადგილსამყოფელზე; აპოტიტებს მიეკუთვნება კულტურაში შეტანილი ადგილობრივი მცენარეები (მაგ. წითელი სამყურა, კატაბალაბა და სხვ.) და აგრეთვე უშეტესი სარეველები ადგილობრივი ფლორიდან.

აპოციტი — მრავალბირთვიანი პრაოტოპლანზმატური მასა, რომელიც წარმოქმნილია ან ბირთვის დაყოფის შედეგად, პლანზის დაყოფის გარეშე, ანდა უჯრედების შერწყმით.

აპრესორები — მიცელიუმის ზედაპირული უჯრედების გაფართოებული ადგილები, რომელთაც შვიდროდ ეკვრიან ეპიდერმისს. დამახასიათებელია ნაქროვან სოკოებში.

აპროორული — ცდისაგან დამოუკიდებელი, იმთავითვე არსებული.

აპტერიები — ფრინველების კანის მოსაკეციები. რომლებსაც ბუმბულის საფარველი არ გააჩნია.

არამსუსხავნი — ნაწლავლურიანი ცხოველების ჭგუფი, რომელთაც არა აქვთ მსუსხავი უჯრედები (საფარცხლისებრნი).

არამირდამირი დაყოფა ბირთვიზა — იხ. მიტოზი; კარიოკინეზი.

არახრული გამტარი კონა—გამტარი კონა, რომელიც შეიცავს ან მხოლოდ ფლოემას ან ქსილემას.

არახრული გარდაქცევა — მწერების განვითარება კუპრის სტადიის გარეშე.

არახრული დანაწევრება — დანაწევრება, რომლის დროსაც ბლასტომერებად იყოფა მხოლოდ კვერცხუჯრედის ნაწილი. ასეთი დანაწევრება ჩვეულებ-

რი უმეჩნეულია ყვითრით მდიდარ კვერცხუჯრედებში.

არახრული დისკოიდური დანაწევრება — დანაწევრება, რომლის დროსაც განვითარებული კვერცხუჯრედის ერთ პოლუსზე (ანიმალურ პოლუსზე) წარმოიქმნება ბლასტომერების ჭგუფი (ჩანასახოვანი დისკო); გვხვდება ფრინველებში, ქვეწარმავლებში და ზოგიერთ უხერხემლო ცხოველში.

არახრული ზედაპირული დანაწევრება — კვერცხუჯრედის ცენტრში დაწყებული დანაწევრება, რომელსაც თანსდევს ბლასტომერების კვერცხის ზედაპირზე გადასაცვლება. მაგ. მწერებში.

არახრული მეტამორფოზი — იხ. არასრული გარდაქცევა.

არაუჯრედოვანი მცენარეები — ორგანიზმები, რომელთაც სხეულის გარეგანი და შინაგანი ღიფერენციაციის მიუხედავად, არ უვითარდება ტიხრები ე. ი. ფორმალურად ერთუჯრედოვანია (მაგ. მწვანე წყალმცენარე კალერაბა). „არაუჯრედოვანი“ მცენარეების აგებულება წარმოადგენს ერთუჯრედოვანი ორგანიზმების აგებულების უმაღლეს საფეხურს.

არაუჯრედული მონელება ხაქმლისა — იხ. საქმლის არაუჯრედული მონელება.

არაქნოლოგია — ზოოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ობობასნაირებს.

არახნოლოგია — იხ. არაქნოლოგია.

არბუსკულები — უმაღლესი მცენარეების უჯრედებში მცხოვრები სოკოს მიცელიუმის ხისმაგვარი განშტოებანი.

არეაგენეზი — არეალის ფორმირების გენეზისი.

არეაგრაფია — ამა თუ იმ სახეობის არეალის რუკაზე გადატანა, დარუკება.

არეალი — მცენარის ან ცხოველის რაიმე ტაქსონომიური ერთეულის (სახეობა, გვარი, ოჯახი და ა. შ.) გავრცელების არე (ოლქი).

არეალის ხტატოკა — სახეობების თა-

ნამედროვე გეოგრაფიული გავრცელების დადგენა.

არქალოგია — ბიოგეოგრაფიის დარგი, რომელიც სწავლობს მცენარეთა და ცხოველთა არეალებს.

არენაშია — ამა თუ იმ სახეობის რუკაზე ვადატანილი (დარუკებული) არეალისათვის სახელწოდების მინიშნება.

არენოლოგია — იხ. არენოტოკია.

არენოტოკია — პართენოგენეზის ერთერთი ფორმა, როდესაც ვაუნაყოფიერებელი კვერცხიდან ვითარდება მამრობითი ინდივიდები, ხოლო განაყოფიერებული კვერცხიდან მდედრობითი (მაგ., ფუტკარში).

ართროლოგია — ანატომიის ნაწილი, რომელიც სწავლობს სახსრების აღნაგობას.

არიდული მცენარეულობა — შშრალი ჰავის მცენარეულობა.

არიდული ოლქები — შშრალი ოლქები, სადაც წლიური ნალექების რაოდენობა ნაკლებია წყლის იმ რაოდენობაზე, რომელიც შეიძლება აორთქლდეს იმავე ფართობიდან წლის განმავლობაში.

ართშია — გულის მოქმედების რიტმის დარღვევა, რაც ჩვეულებრივ გამოწვეულია გულის კუნთებისა და ნერვების დაავადებით.

არილოიდები — ძალიან წვრილი გამოწნაზარდები თესვლებზე.

არილუსი — მსხვილი ბარკისებრი ან ფრთისებრი გამოწნაზარდები, რომლებიც ფარავს თესლს, მაგრამ მასთან არ არის შეზრდილი. არილუსი ზოგჯერ ხორტოვანია, ჩვეულებრივ კამკამა ფერის, რითაც ფრინველებს იზიდავს (დამახასიათებელია კანკეპტისთვის, ურთხელისთვის და სხვ.).

არისტოტელეს ფანარი — ზღვის ზღარბების ყბის აპარატი.

არმატურა მცენარესა — მექანიკური ქსოვილებისა და უჯრედების ერთობლიობა მცენარეში.

არმირებული გამტარი კონეზი — გამტარი კონეზი, რომლებსაც თან ახლავს მექანიკური ქსოვილის ბოქოები (ჩვეულებრივ სკლერენქიმა); კურკულბოქოვანი კონეზი.

აროგენეზი — იხ. არომორფოზი.

არომატული ბაქტერიები — ბაქტერიები, რომლებიც ცხოველმოქმედების პროცესში წარმოქმნიან სასამონენო სუნის პროდუქტებს, უმთავრესად ეთერებს.

არომატული მცენარეები — არომატის მქონე, სურნელოვანი მცენარეები; შეიცავენ ეთეროვან ზეთებს.

არომორფოზი — ბიოლოგიური პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ცოცხალ ორგანიზმთა ევოლუციაში. ორგანიზმთა საერთო მნიშვნელობის ევოლუციური ცვლილება, რაც ორგანიზაციის დონის ამაღლებით და ფუნქციითაა გართულებით გამოიხატება (მაგ., ნერვული სისტემის განვითარება, თბილისხლიანობა და სხვ.). არომორფოზს ორგანიზმები აკყავს განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე და უზრუნველყოფს მათი ვადარჩენის შესაძლებლობას საარსებო პირობების შეცვლის დროს.

არხეობისათვის ბრძოლა — იხ. ბრძოლა არსებობისათვის.

არტრია — სისხლძარღვი, რომლითაც სისხლი მიედინება გულიდან სხეულის ყველა ორგანოში, სხეულის პერიფერიულ ნაწილში.

არტერიოხვლეროზი — არტერიების ქრონიკული დაავადება, რომლის დროსაც მისი კედლები სქელდება და მჭკრივდება, რის გამოც სისხლის მიმოქცევა ფერხდება.

არტერიული კონუსი — ზოგიერთი თევზისა და წყალხმელეთა ცხოველის გულის ნაწილი, რომელიც უშუალოდ პარკუტის წინ მდებარეობს.

არტერიული სისხლი — სისხლი, რომელიც მდიდარია ენჯობაით.

არტუქტები — რაიმე პროცესი ან წარმონაქმნი, რომელიც არ არის დამახინათებელი ორგანიზმისათვის და წარმოქმნილია, რომელიმე მეთოდის გამოყენების შედეგად (მაგ., ისეთი სტრუქტურები, რომლებიც წარმოქმნილია მიკროპრეპარატის დამუშავებისას ცილის კოაგულირების შედეგად).

არტროლოგია — იხ. არტროლოგია.

არქალაქიხი — მეერთი ცვლილებანი ორგანოს განვითარებაში, რომელიც ხდება ონტოგენეზური განვითარების დასაწყისში.

არქაული ერა — იხ. არქეული ერა.

არქეონალური მცენარეები — იხ. არქეგონიატები.

არქეგონიატები — მცენარეთა ჯგუფი, რომელსაც გააჩნია არქეგონიუმი — სპეციალური მდებარეობითი სასქესო ორგანო (ზავსნაირნი, გვიმრანაირნი, შიშველთესლოვანნი).

არქეგონიუმი — ზავსების, გვიმრების და შიშველთესლოვანი მცენარეების მდებარეობითი სასქესო ორგანო (მაკროგამეტანგიუმი), რომელშიც კვარცხუჯრედი ვითარდება. ჩვეულებრივ მრავალუჯრედიანია და გრძელუცლიანი კოლბის ფორმა აქვს.

არქეგონიუმის ყელი — არქეგონიუმის ზედა, ვიწრო მილისებრი ნაწილი, რომელიც შეიცავს წვრილ ერთწყებდად განლაგებულ ყელის მილის უჯრედებს.

არქეობტარიქსი — უძველესი, ნამარხი ფრინველი, რომელიც ცხოვრობდა ცარცულ პერიოდში. იგივეა რაც არქიორნისი.

არქეორნისი — ნამარხი ფრინველი, რომელიც ცხოვრობდა ცარცულ პერიოდში. სხეულის ფორმით, თავის ქალას აგებულებით, შებუბელოთ და სხვ.; წარმოადგენს ფრინველს, ხოლო პირის ღრუში კბილების არსებობით, ფრთების დამოლოებაზე სამი, ბრტყალით აღქურვილი თითგ-

ბით, ძვლებში საპაერო ღრუების უქონლობით და სხვ.; ახლოს დგას ქვეწარმავლებთან. წარმოადგენს გარდამავალ ფორმას ქვეწარმავლებსა და ფრინველებს შორის.

არქეოფიტები—1. მეცენარეები, რომლებიც არსებობდნენ უძველეს პერიოდში. 2. ადამიანის თანამგზავრი მცენარეები უძველესი დროიდან (ვიოტა, ლეაძლა და სხვ.).

არქეოციები — ნამარხი ცხოველები, რომლებიც ცხოვრობდნენ კემბრიუტო პერიოდის ზღვებში.

არქეოციტები — ამებისებრი, მსხვილი უჯრედები ღრუბულების მეზოგლეაში; მონაწილეობენ სქესობრივ გარავლებაში, ზრდაში, რეგენერაციაში და ცხოველის კებაში.

არქეპტერონი — განვითარებადი ჩანასახის ნაწლავის პირველადი ღრუ; იხ. პირველადი ნაწლავი.

არქესპორიუმი — წარმოშობი ქსოვილი, რომლიდანაც, ზავსებისა და გვიმრანაირების სპორანგიუმებში, სპორები ვითარდება.

არქეული ერა — უძველესი ერა ღედაშიწის გეოლოგიურ ისტორიაში.

არქიბლასტები—ციტოპლაზმად და ბირთვის ექვივალენტად დიფერენცირებული ბაქტერიებისა და ლუარქმწვანე წყალმცენარეების სხეული.

არქიგონოციტები — დიდი ზომის პირველადი ჩანასახოვანი სასქესო უჯრედები, რომლებიც წარმოქმნება პროტოგონოციტებიდან (იხ.); განვითარების პროცესში არქიგონოციტები გადაიქცევიან გონოციტებად — სასქესო ჩირკვლების ჩანასახოვან უჯრედებად.

არქიკარბოუმი — მდებარეობითი სასქესო ორგანო ჩანთიან სოკოებში; შედგება ორი ნაწილისაგან: ქვედა, სფეროსებრი ფორმის — ასკოგონი, და ზედა, ცილინდრული — ტრიპოგონი.

არქიპალუმი — იხ. ტვინის ქერქი.

არქიტომია — ზოგიერთი რგოლიანი ქიის უსქესო გამრავლება, როდესაც მისი სხეული იუოფა რამდენიმე ნაწილად (ან შეიძლება ცალკეულ სეგმენტად) და თითოეული ნაწილიდან (ან სეგმენტიდან) მთლიანი ორგანიზმი აღდგება.

არქოპლანზმა — პლანზური ვარსი, რომელიც იმყოფება ცენტრიოლების ირგვლივ.

არქტოვის ფლორა — მცენარეთა ერთობლიობა, რომელიც გვხვდება პოლარულ მხარეში, მარადი გაყინულობის რაიონში.

არქტოვული ოლქი — მსოფლიო ოკეანის ზოოგეოგრაფიული ოლქი, რომელიც მოიცავს ჩრდილო ყინულოვან ოკეანეს, ბერინგის ზღვის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებს, თეთრ ზღვას, ბაფინისა და გუძონის ყურას და გრენლანდიისა და ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროების გაყოლებით, ეშვება სამხრეთით ნიუფაუნდლენდამდე.

არქტოპლანქტონი ფლორა — მცენარეთა ერთობლიობა, რომელიც შედგება არქტიკული და ალპური ფორმებისაგან.

არქტოგეის ხმელეთი — ზოოგეოგრაფიული კატეგორია, რომელიც მოიცავს პოლარქტიკის ზოოგეოგრაფიულ ოლქს; ეს უკანასკნელი კი მოიცავს მთელ ევროპას, ჩრდილო აფრიკას, აზიის დიდ ნაწილს და აგრეთვე მთელ ჩრდილო ამერიკას.

არქტომეზამეულა მცენარეულობა — მცენარეულობა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მთელ პოლარულ მხარეში მესამეულ პერიოდში.

არხალაქსიხი — იხ. არქალაქსისი.

არხეოფიტები — იხ. არქეოფიტები.

არხიზლახტი — იხ. არქიზლახტი.

ახაფტიდა — ზოგიერთი მცენარის ფესვიდან მიღებული გუმფისი.

ახეპტია — ქრილობაში რამიმე ინფექ-

ციის შექრის წინააღმდეგ ზომების მიღება.

ახექტატორი — მუღმივი, მაგრამ არა ღომინანტი სახეობა მცენარეთა თანა საზოგადოებაში. იგივეა რაც ინგრედინტი.

ახთმა — სულის ხუთვა, რაც გამოწვეულია გულის ან ბრონქების დაავადებით.

ახიმეტრია — ცხოველის ან მცენარის სხეულის ნაწილების ან ორგანოების უთანაბრო (ასიმეტრიული) განლაგება სხეულის მთავარი ღერძის მიმართ.

ახინეტრული — არათანაზომიერი, უთანაბრო, არასიმეტრული; ასიმეტრული ეწოდება ისეთ ორგანოს ან სხეულს, რომელზედაც არ შეიძლება არც ერთი სიმეტრიის სიბრტყის გავლება. ასიმეტრიულია მაგ. კატაბალახას ყვავილი, თელის ფოთოლი და სხვა.

ახიშილატები — პირველად ორგანული ნივთიერებანი, რომლებიც წარმოიქმნება ფოთლებში ფოტოსინთეზის დროს.

ახიშილატორები — 1. საასიშილაციო აპარატი უმეტეს ლეიძოს ხავსებში; მდებარეობს საპაერო კამერებში ზედა ეპიდერმისის ქვეშ და წაროდგენილია ქლოროფილის შემცველი უჯრედების მცირე წყების სახით. 2. მასიშილატიკებული ქსოვილის ფიფიტიკიანი გამონაზარდები ზოგიერთი ხავსის (მაგ. გუგულის სელში) ფოთლის სიგრძეზე. 3. ზოგიერთი წითელი წყალმცენარის (მაგ. ბატრახიოსპერმუმის) მოკლე გვერდითი ტოტები, რომლებიც განლაგებულია თაღის ღერძულ ძაფზე რგოლებად. ეს ტოტები შედგება მრავალრიცხოვანი ქრომატოფორების შემცველი უჯრედებისაგან, რომლებიც ასრულებენ მთავარ როლს ასიშილაციაში.

ახიშილაცია — ორგანიზმში მიმდინარე ბიოსინთეზის რეაქციათა ერთობლი-

ობა; ორგანიზმში შემოსული ნე-
თიერებების შეთვისება და ისეთ შე-
ნაერთებად გარდაქმნა, რომლებიც ამ
ორგანიზმის ჩვეულებრივ შემადგენელ
ნეოთიერებებს შეესატყვისება. მას
პლასტიკურ ცვლასაც უწოდებენ.
წარმოადგენს ორგანიზმსა და გარე-
მოს შორის მიმდინარე ნეოთიერებათა
ცვლის ერთ-ერთ მხარეს. ვიწრო გა-
გებით, მცენარეთა ფიზიოლოგიაში,
ასიმილაციაში ფოტოსინთეზის პრო-
ცესი იგულისხმება.

ასიმილაციური რიცხვი — ფოთლის მიერ
ერთი საათის განმავლობაში ასიმილი-
რებული (შეთვისებული) ნახშირორ-
ენგის რაოდენობა, რომელიც მოლის
ფოთოლში არსებული ქლოროფილის
ერთეულზე.

ასიმილაციური სახამეხელი — პირველადი
სახამეხელი, რომელიც გროვდება
მარცხელების სახით ქლოროპლას-
ტებში.

ასინაპსიზი — მოვლენა, როდესაც ქრო-
მოსომა კონიუგაციას ან სრულებით
არა აქვს ადგილი მეიოზში ან თუ
ხდება, დაქვეითებული აქტიურობით
მიმდინარეობს.

ასინგამია — ერთი სახეობის სხვადასხვა
ინდივიდების არაერთდროული ყვა-
ვილობა.

ასინდუზი — იხ. ასინაპსიზი.

ასკარიდოზი — ავადმყოფობა, რომელ-
საც იწვევენ ასკარიდები — ბრგვალი
კიები (პარაზიტობენ ცხოველისა და
ადამიანის ნაწლავებში).

ასკი, **ასკები** — სპორების მატარებელი
ორგანო, რომელიც დამახასიათებე-
ლია ჩანთიანი სოკოებისათვის. ასკებ-
ში (ჩანთებში) ვითარდება ასკოსპო-
რები (ჩვეულებრივ 4-8).

ასკოგენური ძაფები — ძაფისებრი გა-
მონაზარდები, რომლებიც წარმოიქმ-
ნება ბევრი ჩანთიანი სოკოს სასქესო
უჯრედებზე. ასკოგენური ძაფების
ბოლოებზე ვითარდება ასკები (ჩან-
თები).

ასკოგენური ძაფები — იხ. ასკოგენური
ძაფები.

ასკოგონი — ჩანთიანი სოკოების მდელ-
რობითი ორგანო — არქიკარპიუმის
სფეროსებრ გაბერილი ქვედა ნაწი-
ლი.

ასკოკარპიუმი — ჩანთიანი სოკოების სა-
ნაყოფე სხეული, რომელიც შედგება
ჩანთისაგან (ასკისაგან) და მის გარ-
შემო განვითარებული ძაფებისაგან.
(ძაფებისაგან).

ასკონი — ღრუბელების ყველაზე მარ-
ტივი აგებულების ტიპი, როდესაც
გარედან განლაგებულია ბრტყელ
უჯრედების ფენა, ხოლო სხეულის
შიგნითაა ზედაშირი გამოფენილია სა-
ყელიანი შოლტიანი უჯრედებით.

ასკორბინიზი მტავა — ვიტამინი C; ორ-
განული ნეოთიერება, რომელიც აუ-
ცილებელია ნეოთიერებათა ცვლის
ნორმალური მიმდინარეობისათვის
ორგანიზმში. მისი ნაკლებობა იწვევს
სურავანდლო დაავადებას. ასკორბინის
შეუვალი მდიდარია ასკოსის, შავი
მოცხარის ნაყოფი, ბოსტნეული, აგ-
რეთეე ფიჭვისა და ნაძვის წიწვები.
ლებულობენ სინთეზურადაც.

ასკოპორა — სპორა, რომელიც ვითარ-
დება ჩანთიანი სოკოების ჩანთებში
(ასკებში).

ასოციაცია — მცენარეული საფარის ძი-
რითადი ერთეული უმეტეს ფიტოცე-
ნოლოგიურ კლასიფიკაციაში. საბჭო-
თა ბოტანიკოსების უმრავლესობა
ასოციაციაში გულისხმობს ისეთი ფი-
ტოცენოზების ერთიანობას, რომე-
ლიც მსგავსია სინუზიალური სტრუქ-
ტურით და ერთნაირი ურთიერთ და-
მოკიდებულებით, როგორც თვით
მცენარეთა შორის, ასევე მცენარე-
ებსა და გარემოს შორის.

ასოციაციის ახპექტი — იხ. ასპექტი ასო-
ციაციისა.

ასოციაციის კომპლექსი — ასოციაციე-
ბის ჭკუფი, რომელიც თავმოყრილია
პატარ-პატარა მონაკეთებად შედ-

რებით მცირე ფართობზე; ჩვეულებრივია ქაობებში, ბიკობებზე, სადაც გვაქვს რთული მიკრორელიეფი.

ახოციაციის ციკლი — იხ. ინგრეგაცია.

ახოციაციური ბოქვობა — ბოქვობა, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს თავის ტვინის ქერქის სხვადასხვა უბნებს ერთი ნახევარსფეროს ფარგლებში.

ახოციაციური ცენტრები — თავის ტვინის ქერქში განლაგებული ცენტრები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ქერქის სხვადასხვა განყოფილების ფუნქციითა ურთიერთმოქმედება და შეთანხმება.

ასპარაგინი — ასპარაგინის მგავის ამინდი; დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეებში აზოტოვან ნივთიერებათა გარდაქმნაში, როგორც მათი სინთეზის, ასევე დაშლის პროცესში. დიდი რაოდენობით გროვდება გალიეებულ თესვლებში, ხეშეწარათა კვარტების გაშლისას და აგრეთვე სატაპურის (ბერძ. ასპარაგუს) ფესურებში (საიდანაც წარმოსდგება მისი სხელწოდება).

ასპექტი ახოციაციისა, ფიტოცენოზისა — ახოციაციის (ფიტოცენოზის) გარეგანი იერი, სახე, რომელიც იცვლება მოცემულ თანასაზოგადოებაში შეშავალ მცენარეთა განვითარებით სეზონურ ფაზებთან დაკავშირებით.

ასპექტური სახეობა — სახეობა, რომელიც ქმნის მცენარეთა თანასაზოგადოების ასპექტს.

ასპირატორი — 1. გაზის შემწვავი ხელსაწყო. წარმოადგენს წყლით სავსე კუროვს ორი მილით, რომელთაგან, ერთთა წყლის გამოსაშვებად, მეორე — ჰაერის შესაწვავად. ფართოდ იყენებენ მცენარეთა ფიზიოლოგიაში ფოტოსინთეზის, სუნთქვისა და ტრანსპირაციის ინტენსიურობის დასადგენად. 2. ხელსაწყო, რომლითაც სხეულის ღრუებიდან და კრილობიდან ამოსრუტავენ სითხეს, მაგ., ჩირქს.

ახტაზია — შეუჩერებელი მოძრაობა, რაც გამოწვევა თავისა და სხეულის სუსტი კანკალით, ცახცახით; გამოწვეულია ნახებმის დაზიანებით.

ახტელა — სტელის (ცენტრალური ცილინდრის) უქონლობა ე. ი. როდესაც მცენარის ღეროს არ გააჩნია სტელე. ახტენია — ორგანიზმის საერთო სისუსტე, უღონობა.

ახტეგმატიზმი — თვალის ისეთი ნაკლი, როდესაც აღცილი აქვს სინათლის სხივის არასწორ გადატანას თვალში; გამოწვეულია რქოვანას ან ბროლის არათანაბარი სიმრუდით. აქ დროს საგნის გამოსახულება ბუნდოვანია, ვინაიდან ბადურაზე ვერ ხდება სინათლის სხივების ერთ წერტილში (ფოკუსში) თავმოყრა.

ახტროსკლეროიდები — ეარსკლავისებრი სკლეროიდები; სქელგარსიანი გაქვევებული უქრედები წამახვილგუელი განშტოებებით; მათ ტოტიან სკლეროიდებსაც უწოდებენ. გვხვდება კაშელიის, ჩაის, ზეთისხილისა და სხვათა ტყავისებრ ფოთლებში.

ახფიქსია — გუფვა, ხუთვა, სუნთქვის შეჩერება, რაც გამოწვეულია თანგზადის ნაკლებობით და ნახშირორჟანგის ჰარბი დაგროვებით.

ახციდეები — 1. ძაბრისებრი, ფილასებრი, ღოქისებრი ან შილისებრი ფოთლები ზოგიერთი მწერისაშია მცენარისა (მაგ., ნებუტრასი). 2. ქორდალანთა ტიპის ერთ-ერთი კლასი.

ატავიზმი — ცოცხალ ორგანიზმში ისეთი ნიშანთვისების გამოვლენა; რაც დამახასიათებელი იყო მისი შორეული წინაპრებისათვის; წინაპართა ნიშანთვისებებისაკენ დაბრუნების მოვლენები (მაგ., აღამიანისათვის კულისებრი დანამატის განვითარება). არჩევენ: ფიზიოლოგიურ (ისტორიულად ცნობილ წინაპრისაკენ დაბრუნება) და ფილოგენიურ (შორეული წინაპრისაკენ დაბრუნება) ატავიზმს,

ატავიბტური რეგენერაცია — წინაპრებისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებების აღდგენა.

ატაქსია — მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, რაც ხშირად გამოწვეულია ნათხემის დაზიანებით ან ნათხემის ზურგის ტვინთან და ნახვთარსფეროებთან დამაკავშირებელი გზების დარღვევით.

ატაქტოგამია — მოვლენა, როდესაც გამეტები, მიუხედავად მათი სხეიდან სტგა ზომისა, მაინც ინარჩუნებენ კოპულაციის უნარს ყოველი შესაძლო კომბინაციის დროს. იდგილი აქვს ზოგაერთ წყალმცენარეში.

ატაქტობტედე — ღეროს ცენტრალური ცილინდრი, რომელიც შედგება მრავალრიცხოვანი გასწვრივი კონებისაგან; დამახასიათებელია ერთლებნიანთა უმეტესობისათვის, გვხვდება ზოგაერთ ორლებნიან მცენარეშიც.

ატელიოზი — მეგკვიდრული ქიპოფიზური ნაგალობა, ქონდრისკელობა.

ატლანტი — კისრის პირველი მალა ქვეწარმელებში, ფრინველებსა და ძუძუმწოვრებში.

ატლასი — იხ. ატლანტი.

ატოლი — მარჯნის რგოლისებური ფორმის კუნძული, რომლის შუაში მოქცეულია ლაგუნა.

ატოში — ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს მოცემული ელემენტის თვისება; შედგება ბირთვისაგან (ატომ-ვული), რომელიც შეიცავს პროტონებს და ნეიტრონებს, და ელექტრონებისაგან, რომლებიც ვიანლაგებული არიან ბირთვის გარშემო გარკვეულ ორბიტაზე. შეოცე საუკუნემდე ატომი მიაჩნდათ ნივთიერების განუყოფელ ნაწილაკად.

ატონია — ორგანიზმის ქსოვილებისა და კუნთების მოღუნება.

ატრიალური ღრუ — ღრუ, რომელშიც

იხსნება სილაყუჩე ხერელები. დამახასიათებელია ლანცეტასათვის. ატრიალური ღრუ გარემოსთან დაკავშირებულია განსაკუთრებული ხერე-ლით, რომელსაც ატრიოპორი ეწოდება.

ატრიოპორი — იხ. ატრიალური ღრუ.
ატრიოზი — თმის სრულიად უქონლობა იდამიანისათვის.

ატროპინი — შხამიანი ნივთიერება, ილკალიდი, რომელსაც შეიცავს მცენარე შმაგა და ლენკოფას ნაყოფი. იყენებენ სამკურნალოდ (თვალის გუვის ვასაფართოებლად, ტკივილების ვასაყუჩებლად და სხვ.).

ატროპული თეზლკვირტი — სწორი თესლკვირტი; თესლკვირტი, რომლის ნუცელუსის ღერძი თესლის ყუწწის უშუალო გაგრძელებაა, ისე რომ მტერის სავალი (მიკროპილე) მდებარეობს თესლის ყუწწის მოპირდაპირე ბოლოში (გვხვდება მატრიტელასებრთა, კინჭრისებრთა და სხვათა წარმომადგენლებში).

ატროფია — 1. უყრელების, ქსოვილების ან ორგანოს არანორმალური შემცირება. ზომაში (ზოგჯერ მთლიანად გაქრობაც) საკვების ნაკლებობის ან ხანგრძლივი უმოქმედობის გამო. 2. რაიმე ან რისამე უნარის დაქვეითება, დაჩლუნგება, დაკარგვა.

ატფ — აღენოზინტრიფოსფორმპაუვის შემოკლებული აღნიშვნა.

აუთენტიკი — ნამდვილი, სარწმუნო, პირველწყაროზე დამყარებული, დედნის შესაბამისი.

აუთენტიკური ეგზემპლარი — ეგზემპლარი, რომელიც გამოყენებული დამითითებული აქვს ავტორის სახეობის პირველი აღწერისას. რიგ მკვლევართა მიერ აუთენტიკური ეგზემპლარები ტიპადაა მიჩნეული.

აურიკულარია — კანეკლიანთა ზოგერთი წარმომადგენლის განვითარების ერთ-ერთი ლარგული (მეტლობის) სტადია.

აუროკულები — გამონაზარდები, რომლებზედაც მიმაგრებულია ზღვის ზღარების კბილების მოძრაობაში მომუშავენი კუნთები.

აუტბრიდინგი — ერთი წიშის ფარგლებში არა მონათესავე ინდივიდების შეყვარება (საპირისპიროდ ინბრიდინგისა); ამ გზით მიღებული ცხოველი.

აუტოგამია — იხ. ავტოგამია.

აუტოდიამი — იხ. დიამი.

აუტოგოლოგია — იხ. ავტოგოლოგია.

აუტონტოქსიკაცია — იხ. ავტონტოქსიკაცია.

აუტონფექცია — იხ. ავტონფექცია.

აუტომიქსისი — იხ. ავტომიქსისი.

აუტომუტაგენი — იხ. ავტომუტაგენი.

აუტომუტაცია — იხ. ავტომუტაცია.

აუტოპარტენოგენეზი — იხ. ავტოპარტენოგენეზი.

აუტოპლასტიკური ტრანსპლანტაცია — იხ. ტრანსპლანტაცია.

აუტოპლოიდა — იხ. ავტოპოლიპლოიდა.

აუტოპოლიპლოიდი — იხ. ავტოპოლიპლოიდი.

აუტოპოლიპლოიდა — იხ. ავტოპოლიპლოიდა.

აუტოსომი — იხ. ავტოსომები.

აუტოსპორები — იხ. ავტოსპორები.

აუტოსტერეოლობა — იხ. ავტოსტერილობა.

აუტოსტილია — იხ. ავტოსტილია.

აუტოტომია — იხ. ავტოტომია.

აუტოტროპიზმი — იხ. ავტოტროპიზმი.

აუტოტროფები — იხ. ავტოტროფული ორგანიზმები.

აუტოტროფული ორგანიზმები — იხ. ავტოტროფული ორგანიზმები.

აუტოფერტილიზაცია — იხ. ავტოფერტილიზაცია.

აუტოფერტილობა — იხ. ავტოფერტილობა.

აუტოფერტილური მცენარე — იხ. ავტოფერტილური მცენარე.

აუტოფსია — იხ. ავტოფსია.

აუტოქთონები — იხ. ავტოქთონები.

აუქსანოგრაფი — აუქსანომეტრი, რომელსაც გააჩნია თვითნაშწერი აპარატი, თვითნაშწერი ხელსაწყო ზრდის მსვლელობის შესასწავლად. ამჟამად ეს ხელსაწყო თითქმის გამოსულია ხმარებიდან.

აუქსანომეტრი — ხელსაწყო, რომლითაც ზომავენ მცენარის ზრდის სიჩქარეს.

აუქსიალური უჯრედები — წითელი წყალმცენარეების თალუსის განსაკუთრებული უჯრედები, რომლებიც უერთდება მდედრობითი სასქესო ორგანოს (კარპოგონის) გამონაზარდებს (ოობლასტემურ უჯრედებს) და ამდიდრებენ მათ საკვები ნივთიერებით.

აუქსიზლახტები — დაგრძელებული, მზარდი ყლორტები.

აუქსინები — მცენარეული ჰორმონები (ფიტოჰორმონები); ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი, რომლებიც წარმოიქმნება მცენარის ორგანიზმში და აქტიურად მონაწილეობს ზრდისა და ფორმათაწარმოქმნის პროცესში. დღეისათვის გამოყოფილია a და b აუქსინი, რომელიც თავისი ქიმიური ბუნებით ერთმდებრან ოქსიმეაყებს მიეკუთვნება.

აუქსოავტოტროფები — ორგანიზმები, რომლებსაც თავისი გენეტიკური სტრუქტურით თვითონ შეუძლიათ მოახდინონ მათი ვანეთარებისათვის აუცილებელი ზრდის ყველა ნივთიერებათა სინთეზირება.

აუქსოავტოტროფები — იხ. აუქსოავტოტროფები.

აუქსოპორები — კაჟოვანი წყალმცენარეების (დიატომების) სპორები; წარმოიქმნება სქესობრივი პროცესის შედეგად. ზემოდან დაფარულია თხელი გარსით. აუქსოსპორა ქერ ინტენსიურად იზრდება და შემდეგ იფარება ორსაგდულიანი კაჟოვანი ქავშით.

აუქსოტროფები — ბაქტერიის ან სო-

კოს მუტანტები, რომლებიც საწყისი ფორმებისაგან განსხვავებით კარგავენ ზრდის უნარს მცირე საყვებ არეზე, რაც გამოწვეულია მუტაციის შედეგად, რომელიც ხელს უშლის რაიმე მინიშნელოვანი პროცესის მიმდინარეობას ბიოქიმიური რეაქციის მთლიანი ჩაქვის შიგნით.

აუქსოციტი — 1. ზრდის სტადიაში მყოფი სასქესო უჯრედის პირველი რიგის სპერმატოციტი და ოოციტი. 2. ანდროციტი, სპოროციტი, ოოციტი ან სპერმატოციტი განვითარების პერიოდში.

აუქსომეტრომეტრუმი — ორგანიზმები, რომლებსაც არ შეუძლიათ თვითონ მოახდინონ თავისი განვითარებისათვის აუცილებელი ზრდის ყველა ნივთიერებათა სინთეზირება, რაც გაპირობებულია მათი გენეტიკური სტრუქტურით.

აფაგია — ზოგიერთი ცხოველის კვების უნარის დაკარგვა განვითარების რომელიმე ფაზაში.

აფაზია — მეტყველების უნარის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა თავის ტვინის ქერქის ზოგიერთი უბნის დაზიანების შედეგად; მეტყველების მოშლილობა.

აფანიზია — ორგანოების გაქრობის ერთ-ერთი ტიპი ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების პროცესში

აფერენტული ნერვული ბოკოები — ბოკოები, რომლებიც თავის ტვინის ქერქს აკავშირებს ნერვული სისტემის სხვა ნაწილებთან. იგივეა რაც ენტრისკენული ნერვული ბოკოები.

აფილია — უფოთლობა, ფოთლების სრული რედუქცია (ახასიათებს საქსაულს, ჩუზლუნს და სხვა).

აფილური მცენარეები — მცენარეები, რომლებსაც ფოთლები მთლიანად აქვთ რედუცირებული. ასეთ მცენარეებში ფოტოსინთეზი ძირითადად მიმდინარეობს მწვანე ლეროებში.

აფლებიუმი — ფოთლისებრი წარმონაქმნი ზოგიერთი გვიმრის ფოთლების ძირში. მოგვაგონებს ფარულთესლოვან მცენარეთა თანაფოთლოს.

აფოტიური ზონა — წყალსატევების ზონა, სადაც ვერ აღწევს მზის სინათლე. ამ ზონაში მწვანე წყალმცენარეები არ გვხვდება. ცხოველებიდან ცხოვერობს ღრმა წყლის ფორმები.

აფრა — 1. ზოგიერთი უხერხემლო ცხოველის მოძრაობის ორგანო (იხ. ველუმი). 2. ამფიოქსუსის ლორწოვანი გარსის ნაეცი. 3. პარკოსან მცენარეთა უმეტესი წარმომადგენლის ყვავილის გვირგვინის, შედარებით უფრო დიდი ზომის ზედა ფურცელი (იხ. ფარვანასებრი გვირგვინი).

აფრიანა — იხ. ველიგერი.

აფროხანა — იხ. ველიგერი.

აქერქვა — ხის ლეროს მერქანში, წლიურ შრეებს შორის შიგნითა ნაპრალების წარმოქმნა.

აქვოტი — ბალახნარის ნაწილი, რომელიც აღდგენილია გათბების ან გაძვიის შემდეგ დაზიანებული ყლორტების წამოზრდის შედეგად.

აქონდრომალიზია — ძელოვანი ქსოვილის ზრდისა და მოშფიფების შემკვიდრული მოშლილობა, რაც ქონდროლოზის, ნაგალობის დამახასიათებელ ტიპში გადადის.

აქროდექსტრინი — იხ. დექსტრინები.

აქრომატინი — უჯრედის ბირთვის ნივთიერება, რომელიც არ იღებება საღებავებით.

აქრომატინული თითისტარა — უჯრედის გაყოფის აპარატი, რომელიც შედგება ორი სახის კიბებისაგან. მათგან ერთი გრძელდება პოლუსებს შორის, ხოლო მეორე აერთებს ცენტრიოლს ქრომოსომის ცენტრომერთან.

აქსილური ღერო — იხ. რახსი.

აქსოლუმა — პლანეტური მემბრანა, რომელიც გარედან ფარავს აქსონის ციტოპლასმას.

აქსონი — ნერვული უჯრედის მორჩი, რომელიც გამოდის გრძელი გამონაზარდის სახით ნერვული უჯრედიდან.

აქსონდაზმა — ნერვული უჯრედის ციტოპლაზმის ნაწილი, რომელიც შედის მისი აქსონის შემადგენლობაში.

აქსოლოდუმები — მზიარების (Heliozoid) ცხოველები, რომლებსაც აქვს მუდმივი ფორმა მასში განლაგებული ღერძული ჩონჩხის ძაფების მეშვეობით.

აქსოტილი — მკვრივი ელასტიური ძაფი, რომელიც გასდევს უმარტივესი მრავალშოლტიანების მთელი სხეულის გასწვრივ.

აქტივატორები — ნივთიერებანი, რომლებიც აღიერებენ ფერმენტების მოქმედებას, მაგ., ცისტეინი, გლუტამიკონი და სხვა.

აქტივატორები ზრდისა—იხ. სტიმულიატორები ზრდისა.

აქტივატრება თესლისა—იხ. თესლის აქტივირება.

აქტინო—კუნთოვანი ქსოვილის ცილა, რომელიც სხვა ცილასთან — მიოზინთან ერთად უზრუნველყოფს კუნთის შეკუმშვას და მოღუნებას.

აქტინომეტრი—ხელსაწყო, რომლითაც ზომივენ შხის რადიაციას; სხიურ ენერჯიას.

აქტინომიკოზი—ცხოველთა დაავადება, რომელსაც იწვევს პარაზიტი სოკოები აქტინომიცეტების ჭაფუფიდან. ავადდება ადამიანიც.

აქტინომიცეტები—სხივისებრი სოკოები; მიკროორგანიზმების ჭაფუფი, რომელსაც გააჩნია ბაქტერიებისა და მარტივი სოკოების ნიშნები. შედგება ერთუჯრედიანი სხივისებრი დატოტვილი გრძელი მიცელიუმისაგან. დიდი რაოდენობით გვხვდება ნიადაგში და წყალში. ცნობილია მათი როგორც საპროფიტი ისე პარაზიტი ფორმები. ეს უკანასკნელი იწვევს დაავადება აქტინომიკოზს. ბევრი აქტინომიცეტი მონაწილეობს ნიადაგის

ორგანული ნივთიერებების დაშლაში, ზოგი კი გამოყოფს ანტიბიოტიკებს.

აქტინომორფული გვირგვინი, ყვავილი, ჭაში—გვირგვინი, ჭაში ან ყვავილი, რომელზედაც შეიძლება გავატაროთ ორი და მეტი სიმეტრიის სიბრტყე. ასეთ გვირგვინს, ჭაშს და ყვავილს წესიერსაც უწოდებენ.

აქტინომორფული ორგანო — ორგანო, რომელზედაც შეიძლება გავატაროთ რამდენიმე სიმეტრიის სიბრტყე.

აქტინომორფული ყვავილი—იხ. აქტინომორფული გვირგვინი, ყვავილი, ჭაში.

აქტინომორფული ჭაში—იხ. აქტინომორფული გვირგვინი, ყვავილი, ჭაში.

აქტინოხტილე—სტელე, რომლის ქსაღემას განიც კრილში აქვს ვარსკვლავისებრი ფორმა, ხოლო სხივებს შორის ფლოუმის ჭაფუფებია მოთავსებული. გვხვდება ზოგიერთ ნამარხ ფსილოფიტებში, მაგ., ასტეროქსილონში.

აქტინოტროსა—ფორონიდების (საცეცხიანების ტიპიდან) მოცურავე ლარვები (მატლები), რომლებიც რამდენადმე გვაგონებს ტროსოფორებს.

აქტინულა—ნაწლავლურთანა ტიპის ზოგიერთი ჰიდრისებრი პოლიმის თავისუფლად მოცურავე ლარვა (მატლი), რომელსაც საცეცხები გააჩნია.

აქტიური ჭაფუფი — ორკომპონენტიაანი ფერმენტების არაცილოვანი ნაწილი. ფერმენტთა უმეტესობის აქტიური ჭაფუფის შემადგენლობაში შედის ეიტამინები.

აქტიურობის ციკლი — ცხოველმოქმედების ინტენსიურობის პერიოდული ცვლილება, რაც ჩვეულებრივ, წლის სეზონებთანაა დაკავშირებული.

აქველერაცია — განვითარების პროცესების თანმიმდევრობის მიმდინარეობის ონტოგენეზური დაჩქარება, რაც გამოიხატება იმაში, რომ შთამომავლობებში გარკვეული ნიშნები ჩნდ-

ბა უფრო ადრეულ სტადიაში, ვიდრე წინააპრ ფორმებში.

აღდაჭი—იხ. თაყირი.

აღმავალი დენი—ნივთიერებათა (ძირითადად წყლისა და მისში გახსნილი მინერალური ნივთიერებების) მოძრაობა ფესვებიდან ფოთლებისაკენ, ქვემოდან — ზევით.

აღმონაცენი—1. მიწის ზედაპირზე ამოსული, გამოჩენილი ღვივი. 2. რაც აღმოცენდა; აღმოცენებული.

აღმოცენება—ამოსვლა, მიწის ზედაპირზე ღვივის ამოჩენა.

აღქმა—გრანობათა ორგანოებზე მოქმედი საგნებისა და მატერიალური სამყაროს მოვლენების ასახვა თავის ტენიში.

აუტიმქოლინი — ქოლინის ორგანული ფუძის ძმარმჟავა ეთერი, რომელსაც გამოყოფს მრავალი ნეირონის დაბოლოებები; წარმოადგენს ნერვული იმპულსების გადაცემის სინაფსის ვხით.

აუიდოზი — სიმჟავეების ჰარბი შემცველობა სისხლში და სხვა ქსოვილებში.

აუიდოფილია — ორგანიზმის უჯრედებისა და ქსოვილების უნარი შეიღებოს მჟავე საღებავებით.

აუიდოფილური ბაქტერიები—ბაქტერიები, რომლებიც ცხოვრობენ და ვითარდებიან მჟავე არეში (ძმარმჟავეური და რძემჟავეური ბაქტერიები).

აუიდოფილური მცენარეები. — მცენარეები, რომლებიც იზრდებიან მჟავე სუბსტრატზე (ბევრი კალციფობი მცენარე).

აუიდოფილური ორგანიზმები — ორგანიზმები, რომლებიც ნორმალურად იზრდებიან და ვითარდებიან მხოლოდ მჟავე სუბსტრატზე ან არეში.

აუიდოფილური უჯრედები — უჯრედები, რომლებიც განლაგებულია ჰიპოფიზის წინა წილის ცენტრალურ ნაწილში. მათ ეოზინოფილურ უჯრედებსაც უწოდებენ.

აუიდოფობური ორგანიზმები — ორგანიზმები, რომლებიც ნორმალურად

იზრდებიან და ვითარდებიან მხოლოდ ტუტიან სუბსტრატზე (ურობაქტერიები, ბევრი კალციფილი მცენარე).

აუცილა — განვითარების ციკლის უქონლობა და მხოლოდ უსქესო გამრავლების არსებობა (მაგ. კიბონსაირთა ზოგიერთ წარმომადგენელში).

აუცილური ყვავილი—ყვავილი, რომლის ყველა ნაწილი განლაგებულია სპირალურად. მათ სპირალურ ყვავილებსაც უწოდებენ. გვხვდება მაგნოლიასებრთა და ბაიასებრთა პრიმიტიულ სახეობებში.

აუციულები—მრავალჯაგრიანი ქიების მსხვილი ჯაგრები, რომლებიც წარმოადგენს პარაბოდიუმის საყრდენ ელემენტებს.

აუკრა—ორგანიზმში ვაქცინის ან შრატის შეყვანი ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად ან მკურნალობისათვის.

ახალი ზელანდიის ოლქი — ზოოგეოგრაფიული ოლქი, რომელიც მოიცავს ახალი ზელანდიის კუნძულებს და ჩაითამის, ოკლენდის, კემპუელის და ანტიპოდის კუნძულებს.

ახალფრთიანი მწერები—მწერების ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია მწერების ყველა რიგი, გარდა ნემსოვლავებისა და ერთლიანთა რიგისა, რომლებიც მიკუთვნებულა უძველესფრთიანთა ჯგუფისადმი.

„ახალი“ ტვინი — ძუძუმწოვართა დიდი ტვინის გაზრდილი ნახევარსფეროები, რომლებითაც დაფარულია ლერვანი ნაწილი.

ახილია—კუჭის წველის შეყვანიობის დაქვეითება, რაც გამოწვეულია მარილმჟავას და პეფსინის უქონლობით ან ნაკლებობით კუჭის წვენში.

ახლომხედველობა — თვალის დეფექტი, მხედველობის დარღვევა, რომლის დროსაც ადამიანი კარგად ხედავს ახლოს მყოფ საგნებს, ხოლო ცუდად (ბუნდოვნად) — შორს მყოფ საგნებს; გამოწვეულია თვალის კა-

ლის ზედმეტი წაგრძელებით; ამ შემთხვევაში შორეული საგნებიდან ანარეკლო სხივები გარდატეხის შემდეგ ერთდება არა ბაღურაზე, არამედ ბაღურის წინ.

ახო—საყანედ გაკეთული ტყე.
ახურება—იხ. მძუნაობა ცხოველისა.
აქლიოფიტები — მცენარეები, რომლებიც არ საჭიროებენ მზით განათებას, სინათლეს, მაგ., ნიადაგის სოკოები.

ბ

ბავები—პირველადი აგებულების პნეუმატოდები; მცენარის ეპიდერმისში განლაგებული სპეციალიზებული უჯრედები, რომელთა საშუალებით ხდება პერის შემცველი უჯრედშორისების გარე ატმოსფეროსთან დაკავშირება. ცალკეული ბავე შედგება კანის ორი (ლობიოს მარცხლის ფორმის) დასპეციალებული უჯრედისაგან (რომელთაც მეტადი უჯრედები ეწოდება) და მათ შორის მდებარე ხერელისაგან, რომელსაც ბავის ხერელი ეწოდება.

ბადისებრი გარსი—იხ. ბაღურა.
ბადისებრი ზუზხტანცია—მოგრძო ტვინის ზურგის განყოფილებაში მდებარე მონაკვეთი, რომელიც მოძრაობის ფუნქციასთანა დაკავშირებული.

ბადისებრი მურქლები—მურქლები, რომელთა კედლები შექმნილია ბადისებრ გასქელებულგარსიანი უჯრედებისაგან.

ბადისებრძარღვანი ფოთლი — ფოთლი, რომელიც ხასიათდება მსხვილი, კარგად გამოსახული მთავარი ძარღვით და შედარებით წვრილი გვერდითი და მეორე წყების ბადისებრ დაქსელილი ძარღვებით.

ბაღურა — 1. მცობნავი ცხოველების (ძროხა, ცხვარი) კუჭის მეორე (ოთხიდან) განყოფილება, რომელშიც ხდება საჭმლის დარბილება. 2. თვალის კაკლის შიგნითა (მესამე) გარსი, რომელიც შეიცავს შუქმჭარბობიარე უჯრედებს.

ბაზალური — ფუძისთან, ე. ი. მორფოლოგიურად ქვედა ნაწილში მდებარე.

ბაზალური აქი—თხელი, ფირფიტის სახის მეზოგლეა ნაწლავლურიანთა წარმომადგენლებში.

ბაზალური ბოლო—ყოველი ორგანოს ფუძე.

ბაზალური განგლები—ნერეული კვანძები, რომლებიც განლაგებულია თვის ტვინის ქერქქვეშა ფენაში.

ბაზალური სხეულაქები—მკერივი წარმონაქმნები, რომლებიც განლაგებულია ინფუზორიების წამწამებისა და შოლტოსანთა კლასის წარმომადგენლების შოლტების ძირში.

ბაზედოვის ავადმყოფობა — ავადმყოფობა, რომელიც გამოწვეულია ფარისებრი ჯირკვლის გადაჭარბებული მოქმედებით, ე. ი. როდესაც ადგილი აქვს ჰორმონის ქარბად გამოყოფას სისხლში.

ბაზიგამია—იხ. ქალამოგამია.

ბაზიდიოკარპი — ბაზიდიომიცეტების (უმალღესი სოკოების კლასი) ნაყოფსხეული.

ბაზიდიომორები — უმალღესი სოკოების ერთ-ერთი კლასის — ბაზიდიომიცეტების სპორები, რომლებიც წარმოიქმნება ბაზიდიუმის ზედაპირზე; ჩვეულებრივ თითოეულ ბაზიდიუმზე 4 სპორა ვითარდება.

ბაზიდიუმი — სპორების მატარებელი ორგანო ბაზიდიუმთან (ბაზიდიომიცეტები) სოკოებში. წარმოდგენილია ერთი (იშვიათად ოთხი) ცილინდრული უჯრედის სახით. ბაზიდიუმის ზედაპირზე ჩვეულებრივ 4 ბაზიდიოსპორა ვითარდება.

ბაზიონიმი—ტაქსონის პირველადი სა-

ბელწოდება, რომლის ეპითეტი საფუძვლად უდევს ახალ ნომენკლატურულ კომბინაციას სხვა გვარში ან სხვა უფრო მაღალ ტაქსონში გადატანისას.

ბაზიკეტალური განვითარება, ზრდა — ორგანოს ან მისი ნაწილების ზრდა წყვილიდან ფუძის მიმართულებით, რის შედეგადაც უფრო ახალგაზრდა უჯრედები იმყოფება ფუძესთან ახლოს. დამახასიათებელია, მაგ., ფარულთესლოვან მცენარეთა ფოთლებისათვის და ზოგიერთი წყალმცენარისათვის.

ბაზიკლიტო-ზოგიერთი კიბოსნარის ფეხის ძირითადი ნაწილის (პროტოპოდის) შერეუ ნაწევარი.

ბაზიფილური ორგანიზმები—იხ. აციდოფორული ორგანიზმები.

ბაზიფიტები—მცენარეები, რომლებიც ამჟობინებენ ტუტე რეაქციის ნიადაგსა და წყალს.

ბაზონიმი — იხ. ბაზიონიმი.

ბაზოფილები—იხ. ბაზოფილური ლეიკოციტები.

ბაზოფილია—უჯრედის ან ქსოვილის უნარი შეიღებოს ფუძე-საღებავებით (აციდოფილის საწინააღმდეგოდ).

ბაზოფილური ლეიკოციტები—სისხლის თეთრი სხეულაკები — ლეიკოციტების ერთ-ერთი სახე, რომელსაც აქვს მსხვილმარცვლოვანი პროტოპლაზმა და იღებება ფუძესაღებავებით მუქლურჯ ფერად.

ბათიალი—იხ. ბათიალური ზონა.

ბათიალური დანადგემები—ზღვიური დანადგემები, რომლებიც განლაგებულია 200—2000 მ სიღრმეზე და უმთავრესად შედგება ხმელთიდან შემოტანილი მონატები (მონამტერევი) მასალი-საგან.

ბათიალური ზონა—ზღვის, ოკეანის, წყლის სიზრქის ზონა დაახლოებით 200—2000 მ სიღრმეზე; ხასიათდება სუსტი განათებით, ტემპერატურის და სიმლამის მცირედი მერყეობით

და წყლის მასის სუსტი დინებით. ამ ზონის ქვედა ნაწილში ცხოვრობენ ღრმაწყლის ცხოველები.

ბათიმეტრია—წყლის სიღრმის გაზომვა.

ბათიმეტრაგიალი—იხ. ბათიალური ზონა.

ბაია—1. პალმის ფრთისებრი ფოთოლი.

2. გვირგვინის ფოთოლი; იგულისხმება ახალგაზრდა, ჭერ კიდევ მთლიანად გაუშული ფოთოლი, რომელიც ლოკოინასებრია დახვეული; 3. ცხვირისატეხელა — მცენარე ბაიასებრთა ოჯახიდან.

ბაკანი — კარაპაქსი; ეუს ქაეშნის ზემო ფარი.

ბალანი — ძუძუმწოვარი ცხოველის ბეწვი.

ბალახტური ხაკეები ნივთიერება—საკვების ნაწილი, რომელიც საკმლის მომწელებელი წვეუნების მოქმედებით არ იხსნება (იშლება) მაგ., უჯრედასი.

ბალახთდგომა — ბალახნარის მიწის ზედა ნაწილი ბალახოვან თანასახოვადობაში.

ბალახთნარევი—ერთწლოვანი და ორწლოვანი მარცვლოვანი და პარკოსანი მცენარეების ნარევი.

ბალახმკამელი ცხოველები — ცხოველთა ეკოლოგიური ჯგუფი, რომელიც ბალახით იკვებება (ჩლიქოსნები, მღრღნელები და სხვ.).

ბალხამი—ზოგი მცენარის სქელი სურნელოვანი წვენი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ფისსა და ეთეროვან ზეთს. იყენებენ მედიცინაში და ტექნიკაში.

ბალხამირება (გვაშისა)—შემურვა; გვაშის გაელენთა ნივთიერებებით, რომელიც იტავს მას გახრწინსაგან.

ბანკი—მოლუსკების (მეტწილად ორსაგ-დულიანების) მასიური თავმოყრა ზღვებისა და ოკეანეების სანაპიროების თხელწყლებში უმთავრესად წყალქვეშა შემალლებებზე.

ბარიერული ფუნქცია — აღამიანისა და ცხოველის ორგანიზმის უნარი დაიც-

ვას შინაგანი გარემო (სისხლი, ქსოვი-
ლური სითხე) ზოგიერთი გარეგანი
ზემოქმედებისაგან განსაკუთრებული
ფიზიოლოგიური სამარჯვეუბით, ე. წ.
ბარიერებით. ასეთი ბარიერების არ-
სებობით ორგანოთა ქსოვილურ სი-
თხეში ნივთიერება შედის და უჭრე-
ლული ცვლის პროდუქტები გამოე-
დინება შერჩევით. ბარიერული ფუნ-
ქციით ხასიათდება, მაგ., ღვიძლი.

ბარკამერა—რეზერვუარი (კამერა), რო-
მელშიც ხელოვნურად ცვლიან ჰაე-
რის წნევას ატმოსფერული წნევის
ცვლილების შესაბამისად სიმძლის
მიხედვით. იყენებენ ორგანიზმზე
ატმოსფერული ჰაერის წნევის მოქმე-
დების შესასწავლად და საავიაციო
ხელსაწყოების გამოსაცდელად.

ბარომეტრი—ატმოსფერული წნევის სა-
ზომი ხელსაწყო.

ბარორეცეპტორები — სისხლის წნევისა-
და სისხლძარღვთა კედლების და-
კიშვის ცვლილებით წარმოქმნილი
გაღიზიანების მიმღები რეცეპტორები.
მიეკუთვნება ე. წ. ინტერორეცეპტო-
რების (შინაგანი რეცეპტორების)
ჯგუფს.

ბაროქორია—მცენარეთა ნაყოფისა და
თესვის ჩამოცვენა სიმძიმის ძალის
მოქმედებით, სხვა ფაქტორების ჩა-
რევის გარეშე.

ბარტა—ზოგიერთი ფრინველის (მტრე-
ლი, მერცხალი, შაშვი და სხვ.) აბ-
ალგამორეკილი, რომელიც სრულიად
უსუსურია (იჩეკება შიშველი ან
ლინლით ოდნავ შემოსილი და
თვალბუხილავი); მას საკმარის დიდ-
ხანს არა აქვს საქმლის მოპოვების
უნარი და სანამ მომაგრდება,
ფრენას ისწავლის, იკვებება მშობლის
ჩიჩბეში დამბალი ან მათ მიერ მო-
ტანილი საკვებით.

ბარტოზა—1. შვილიერობა, გამრავლე-
ბა; შვილიერობის, გამრავლების პე-
რიოდი. 2. დამატებითი გვერდითი

ტოტების წარმოქმნა ბარტოზის
მუხლში განვითარებული გვერდითი
კვირტებისაგან; დამახასიათებელია ხო-
რბლისა და ბეერი სხვა მარცვლოვანი
მცენარისათვის. 3. ფენოლოგიური
ფაზა მარცვლოვანებში.

ბარტოზის მუხლი—რამდენიმე, ძა-
ლიან მკიდროდ დაახლოებული მი-
წისქვეშა მუხლი. თითოეულ მუხლ-
ში ვითარდება თითო კვირტი, რო-
მელიც ახალ მიწისზედა ყლორტს
იძლევა. დამახასიათებელია ბევრი
მარცვლოვანი მცენარისათვის.

ბარხანები—ქეიშიან უღებნოში ქარის
მოქმედების შედეგად გადაადგილე-
ბული ქეიშისაგან შექმნილი ბოო-
ცეხები.

ბახტარდი—შთამომავლობა, რომელიც
მიიღება ცხოველთა სხვადასხვა სა-
ხეობის ან გვარის წარმომადგენლე-
ბის შექცევებით. იგივეა რაც შო-
რული ჰიბრიდი.

ბატის დიდი ფეხი—სახის ნერვის განშ-
ტრება, რომელიც ახდენს სახის მი-
მიკური კუნთების ნერვაციას.

ბატკანი—ცხერის ნაშიერი დაახლოებით
ექვს თვემდე, კრავი.

ბატრაქოლოგია — ზოოლოგიის დარგი,
რომელიც შეისწავლის წყალბუმლე-
თა ცხოველებს.

ბატრახომოზაერები — მთლიანად ამოწყ-
ვეტილ (გადაშენებულ) ცხოველთა
ჯგუფი, რომლებსაც ეკავათ შუალე-
დი ადგილი ამფიბიებსა და რეპტი-
ლიებს შორის.

ბაუგანის კარი—რგოლისებრი კუნთი
(სფინქტერი) წერილი ნაწლავისა და
მსხვილი ნაწლავის საზღვარზე.

ბაქტერიები — მიკროსკოპული ერთუჯ-
რედიანი ორგანიზმები, (მიკრობები),
რომელთაც არ გააჩნიათ ჩამოყალი-
ბებული ბირთვი და უმთავრესად
მარტივი პირდაპირი დაყოფით მრავ-
ლდებიან. ბაქტერიებს, სიტყვის
ვიწრო მნიშვნელობით, მიკრობიო-

ლოგები უწოდებენ ჩხირისებრ ფორმებს, რომლებიც არ წარმოქმნიან სპორებს. ფორმის მიხედვით არჩევენ ჩხირისებრ, სპირალისებრ, სფეროსებრ და სხვა ბაქტერიებს.

ბაქტერიების დაშლა—ბაქტერიების უჯრედების გახსნა, დაშლა; ხდება ბაქტერიების კულტურების დაძველებით, მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით და ა. შ.

ბაქტერიების დისოციაცია — ბაქტერიების ცვალებადობა გარემო პირობების ზემოქმედებით, რაც მეტწილად იმაში გამოიხატება, რომ თავდაპირველად ერთგვაროვანი კულტურა წარმოქმნის ორ, მთელი რიგი თვისებებით განსხვავებულ კოლონიას.

ბაქტერიების კოლონია—იხ. კოლონია ბაქტერიებისა.

ბაქტერიუმა — ბაქტერიების არსებობა სისხლში ზოგიერთი ავადმყოფობის დროს.

ბაქტერიუმა — ბაქტერიებით მოქმედება (ბაქტერიუმი, ნიადაგზე).

ბაქტერიოგენეზი—მეწამული ბაქტერიების წითელი პიგმენტი.

ბაქტერიოგენიზმი—გოგირდის ბაქტერიების მწვანე პიგმენტი, რომელიც თავისი თვისებებით ქლოროფილს უახლოვდება.

ბაქტერიოზი—მცენარის დაავადება, რომელიც გამოწვეულია ბაქტერიებით.

ბაქტერიოლიზი — ბაქტერიების დაშლა ორგანიზმში, რომელსაც იმუნიტეტი აქვს ამ სახეობის ბაქტერიისადმი.

ბაქტერიოლიზი—ფერმენტი, რომელიც იწვევს ბაქტერიული უჯრედების დაშლას.

ბაქტერიოლოგია — მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ბაქტერიებს; მათ მორფოლოგიას, სისტემატიკას, გავრცელებას, ფიზიოლოგიას და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ბაქტერიოპურპურინი — მეწამული ბაქტერიების წითელი ფერის პიგმენტების ჯგუფი.

ბაქტერიოზი—სიმბიოზი უმაღლესი მცენარის ფესვებსა და ბაქტერიებს შორის. მაგ., პარკოსანი მცენარეების ფესვების სიმბიოზი კოყრის ბაქტერიებთან.

ბაქტერიოცოპია—ბაქტერიების კვლევა მიკროსკოპის საშუალებით.

ბაქტერიოცეპტაქური მოქმედება—ქიმიური ან ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც იწვევს მიკრობების გამრავლების შენელებას ან სრულ შეწყვეტას, მაგრამ არ ხოცავს მათ.

ბაქტერიოცეპტი—ბაქტერიების გამრავლების უნარის დროებით შეჩერება.

ბაქტერიოტროფიზმი — სიმბიოტროფიზმის ფორმა; მცენარის კვება სიმბიონტების — ბაქტერიების (მაგ., კოყრის ბაქტერიების) მეხებით.

ბაქტერიოფაგი — ფაგი, ბაქტერიის ეიურუსი, რომელიც სახლდება და მრავლდება ბაქტერიების ცოცხალ უჯრედებში და იწვევს მათ დაშლას.

ბაქტერიოქლორინი—მეწამული ბაქტერიების მწვანე პიგმენტი, რომელიც შედგენილობით ქლოროფილს უახლოვდება.

ბაქტერიოქლოროფილი—იხ. ბაქტერიოქლორინი.

ბაქტერიული სახუტები—პრეპარატები, რომლებიც შეიცავს ბაქტერიების კულტურებს, მაგ. აზოტის მათეზისებელ ბაქტერიებს; იყენებენ ნიადაგის აზოტით გამდიდრებისათვის მოსავლიანობის გაზრდის მიზნით.

ბაქტერიურია—ბაქტერიების გამოყოფა შარდთან ერთად.

ბაქტერიციდი—ნივთიერება, რომელიც ხოცავს ბაქტერიებს.

ბაქტერიოციდი—კოყრის ბაქტერიების დატოტვილი ფორმები. წარმოიქმნება მოძრავი ჩხირებისაგან კოყრის განვითარების შესაბამისად (ჩვეულებრივ შემოდგომაზე).

ბაქტერია — ორკუზიანი აქლემი. ბაღჩიხ კულტურები — გოგარისნაირთა ოჯახიდან კულტურაში შეტანილია

მცენარეები (სახამთრო, გოგრა, ნესკი).

ბაულო ყლორტები—იხ. ლუტე ყლორტები.

ბაცაცა—იხ. ბაქია.

ბაცილები—ჩხირისებრი ბაქტერიები, რომლებიც სპორებს წარმოქმნიან.

ბაცილის მატარებელი ორგანიზმი — ორგანიზმი, რომელიც ატარებს ავადმყოფობის გამომწვევ ბაცილებს. ხელს უწყობს გადამღებ სნეულებათა გავრცელებას.

ბაქია—კურდღლის ნაშიერი.

ბახალა—ყორნის, ყვავის, ქილყვავის, კაკაქისა და მისთანათა ბარტყი.

ბახტარმა—ტყავის ან კანის ქვედა პირი, ქვემო მხარე.

ბელეკი — სელაპის ახალშობილი, რომელიც დაფარულია ხშირი გრძელი თეთრი ბეწვით.

ბელემონტები — ნამარხი თავფეხიანი მოლუსკები შიდაწიარბანთა ქვეკლასიდან. სახეობრივი ნაირგვარობით ყველაზე ფართოდ მეზოზოურ ერაში იყენენ გავრცელებული.

ბელა—დათვის ნაშიერი, დათვის ლეკვი.

ბელაჟი—იხ. ბელეკი.

ბელტი კორდისა—ბარით (ან სხვა რამით) მოკრილი ნიადავის ზედა ფენა ერთმანეთში მჭიდროდ გადახლართული ბალახოვანი მცენარეების (მეტწილად მარცვლოვნების) ფესვებითა და ფესურებით.

ბენთალი—წყალსატევის ფსკერი.

ბენეტიტები—ნამარხი შიშველთესლოვანი მცენარეები, რომლებიც ირსებობდნენ მეზოზოურ ერაში.

ბენთოსი—ზღვების, ტბებისა და სხვა წყალსატევების ფსკერზე მცხოვრები ორგანიზმების ერთობლიობა.

ბენთოფაგი—ცხოველი, რომელიც იკვებება ფსკერზე მცხოვრები ორგანიზმებით (ბენთოსით).

ბენტალი—იხ. ბენთალი.

ბერი-ბერი—ავადმყოფობა (ავიტამინოზი), რომელიც გამოწვეულია სა-

კვებში ვიტამინ B₁-ის ნაკლებობით. ბერის ორგანო—მწოველების სხეულის მუცლის მხარეზე განლაგებული მისაწოვრების ყვდო.

ბერწი—უნაყოფო; დაუმაყებელი საქონელი.

ბეტაგოპოფაზინი — იხ. ეზოპრესინი.

ბეტულინი—თეთრი ფისოვანი ნივთიერება, რომელსაც შეიცავს არყის ხის ღეროს კორპის უჯრედები

ბეტის უჯრედები—დიდი ზომის პირამიდული უჯრედები, რომლებიც განლაგებულია თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის მოძრაობის ზონაში.

ბეწვი—ძუძუმწოვარი ცხოველების კანის მთლიანი საფარველი; ბეწვი შედგება ორგანიზმის ბალანსიდან: ერთი სახის ბალანი უფრო გრძელია, მსხვილი და უხეში, მას ფაცხი ეწოდება; მეორენაირი ბალანი მოკლეა, წერილი და ხშირი, მას თეთვი ეწოდება.

ბეწვიანი ცხოველები—ცხოველები, რომელთაც ადამიანი აშენებს ან ნადირებით მოიპოვებს მათი ძვირფასი ბეწვის გამო.

ბეწვისებრი უჯრედები — მგრძნობიარე უჯრედები, გრძელი პროტოპლაზმატური გამონაზარდებით (ბეწვებით), რომლებიც განლაგებულია შიგნითა ყურის ლოკოინაში.

ბექი—მხრის სარტყლის წვეილი, სამკუთხედისებრი ბრტყელი ძვალი, რომელიც შენაწევრებულია ლავიწისა და მხრის ძვალთან.

ბიანდრია — ორქმრიანობა.

ბიატორული ამოტყეუში—რბილი, ნათელი, ღია ნაყოფსხეული ზოგიერთ მღიერში.

ბივალენტი—ორკოლიანობა ან ორქმრიანობა.

ბივალენტები — დაწყვილებული ქრომოსომები, რომლებიც ჩვეულებრივ შესამჩნევია პროფაზის ბოლოს ქეტროტიპური დაყოფისას.

ბიოლატერალური კონიბო—გამტარი კონიბო, რომლებშიც ქსილემას ორმხრივ (გარეთა და შიგნითა მხარეს) ეკერის ფლოემის ორი კიმი. გვხვდება გოგრისნაირთა და ძალღუერძენასნაირთა წარმომადგენლების დერაში.

ბილატერალური—ორმხრივი.

ბილატერალური სიმეტრია — ორმხრივი სიმეტრია სხეულისა. რაც იმაში გამოიხატება, რომ სხეული ან ორგანო შედგება ორი ერთნაირი ნახევრისაგან — მარჯვენა და მარცხენა.

ბილატერალური — ნაღლის ერთ-ერთი პიკმენტი, რომელიც წარმოიქმნება ჰემოკლოზინის დაშლის დროს.

ბილატერალური — ნაღლის ერთ-ერთი პიკმენტი, რომელიც წარმოიქმნება სისხლის ფორმინი ელემენტების დაშლის დროს.

ბინალური ნომენკლატურა—მცენარის ან ცხოველის ორი სიტყვით (ჩვეულებრივ ლათინურით) დასახელება, რომელიც შემოიღო კ. ლინეემ. ამ ორი სიტყვიდან პირველი აღნიშნავს რომელ გვაროვნულ მცენებას ეკუთვნის მოცემული სახეობა, ხოლო მეორე—ხაზს უსვამს ამა თუ იმ სპეციალურ ნიშანს, რომელიც ამ სახეობისთვისაა დამახასიათებელი.

ბინოკულარული მიკროსკოპი—მიკროსკოპი, რომელსაც აქვს ორი ოკულარი: მარჯვენა და მარცხენა თვალისათვის.

ბინოკულარული მხედველობა — ორი თვალით ე. ი. ჩვეულებრივი მხედველობა.

ბიო—რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; აღნიშნავს: 1. სიცოცხლესთან, სიცოცხლის პროცესთან დაკავშირებულს, მაგ., ბიოლოგია, ბიოგეოგრაფია და სხვა., 2. ბიოლოგიურს, მაგ., ბიოსადგური.

ბიობლასტები—პიპოთეზური, პატარა ზომის ხილვადი ან უხილავი გრანულები, რომელთაც გააჩნია ზრდისა

და დაყოფის უნარი. ვარაუდობენ, რომ ბიობლასტები წარმომადგენენ ციტოპლასმის ძირითად ნივთიერებას.

ბიოგენები—ცოცხალი პლანტის პიპოთეზური ელემენტარული ერთეულები.

ბიოგენეზისი—იხ. ბიოგენეზური თეორია.

ბიოგენეზური თეორია—თეორია, რომლის მიხედვით ყველა ცოცხალი არსება მხოლოდ ცოცხალი არსებებისაგანაა წარმოშობილი და, რომ სიცოცხლე მარადიულია.

ბიოგენეზური კანონი—ბიოლოგიური კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც ცოცხალი ორგანიზმები თავიანთი ინდივიდუალური — ონტოგენეზური (განსაკუთრებით ჩანასახოვანი) განვითარების მანძილზე (მოკლედ და ცოტა თუ ბევრად შეცვლილი სახით) იმეორებენ წინაპართა ფორმების განვითარების ყველა უმთავრეს ეტაპს.

ბიოგენეტიკური სუქციბი—ცენოლინამიკური ცვლის ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც თანასახოვადობის განვითარება განისაზღვრება თანასახოვადობაში მყოფი სახეობის დანერგვით ან გამრავლების გაძლიერებით.

ბიოგენური გარემო—გარემო, რომელიც იქმნება არაცოცხალ გარემოზე ორგანიზმთა ზემოქმედების შედეგად.

ბიოგენური ელემენტები—ქიმიური ელემენტები, რომლებიც წარმოადგენს ორგანიზმის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია ცოცხალი ორგანიზმის არსებობა; ესენია: ნახშირბადი, ენერგადი, აზოტი, წყალბადი, კალციუმი, ფოსფორი, გოგირდი და სხვა.

ბიოგენური მიგრაცია—ბიოსფეროში მუდმივად მიმდინარე ბიოფილურ ელ-

მენტთა მიმოქცევა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ელემენტები ერთი ორგანიზმიდან გადადიან მეორე ორგანიზმში, შემდეგ არა ცხალ ბუნებაში და კვლავ ორგანიზმში.

ბიოგენური სტიმულატორები — ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი, რომლებიც წარმოიქმნება ორგანიზმში გარკვეულ პირობებში.

ბიოგეოგრაფია — მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს მცენარეებისა და ცხოველების (და მათი თანასახვადობების) გავრცელება-განაწილების კანონზომიერებებს დედამიწაზე.

ბიოგეოხფერო—იხ. ბიოხფერო.

ბიოგეოქიმია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალ ორგანიზმთა როლს დედამიწის ქერქში ქიმიური ელემენტების მიგრაციის, განაწილებისა და კონცენტრაციის პროცესში.

ბიოგეოცენოზი — მცენარეთა თანასახვადობა, მასში არსებულ ცხოველთა სამყაროთი (ზოოცენოზით) და დედამიწის ზედაპირის შესატყვისი მონაკვეთით მისთვის დამახასიათებელი მიკროკლიმატის, გეოლოგიური აღნაგობის, ნიადაგისა და წყლის რეჟიმის განსაკუთრებული თავისებურებებით. ყველა აღნიშნული კომპონენტები ერთიან ურთიერთ განმსაზღვრებელ ერთიან კომპლექსს.

ბიოელექტრული დენი—1. დენი, რომელიც წარმოიქმნება თავის ტვინის ქერქის უბნებში, სხეულის პერიფერიული ნაწილებიდან იმპულსების შემოსვლის შედეგად. 2. დენი, რომელიც წარმოიქმნება მცენარეებში, მათზე სხვადასხვა გამლზიანებლების ზემოქმედებით.

ბიონდოკატორი—იხ. ინდოკატორი ორგანიზმები.

ბიოლითი — მინერალი ან ქანი, რომელიც წარმოქმნილია ორგანიზმების (ცხოველთა ან მცენარეთა) ცხოველ-

მოქმედების შედეგად (ცარი, ნახშირი, კირქვა და სხვ.).

ბიოლინი—უმალეს მცენარეთა და მიკროორგანიზმების ცხოველმოქმედების აქტიური პროდუქტები. მას მიეკუთვნება: 1. გახსებარი ან ორთქლისებრი ნივთიერებანი გამოყოფილი ყვავილების, კვირტების, თესვების, ფესვების და სხვ. მიერ (მაგ. ეთეროენი ზეთები); 2. სხვადასხვა ნივთიერებათა ხსნარები გამოყოფილი ფოთლების, ღეროს, და მწვანე ნაყოფების მიერ (მაგ., გლუკოზიდები, ფენოლები და სხვ.). 3. მცენარის „ტრილის“ დროს გამოყოფილი ნივთიერებანი და ა. შ.

ბიოლიტი—იხ. ბიოლითი.

ბიოლოგია—მეცნიერებათა კომპლექსი, რომელიც სწავლობს სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერებებს; მეცნიერება სიცოცხლის შესახებ.

ბიოლოგიური განსაზღვრა—ქიმიურ ნივთიერებათა რაოდენობის გაზომვის მეთოდი მათი მოქმედების მიხედვით რომელიც ბიოლოგიურ სისტემაზე.

ბიოლოგიური გამოფიტვა—მთის ქანების მექანიკური დაქუცმაცება და ბიოგეოქიმიური ცვლილება მცენარეთა და ცხოველთა ცხოველმოქმედების შედეგად.

ბიოლოგიური ზღუდე, **ღაბრკობა** — ღაბრკობა ან ამა თუ იმ სახეობის (ან ინდივიდის) განსახლებაში, რაც გაპირობებულია მცენარეებით ან ცხოველებით, მაგ., ბევრი პარაზიტის გავრცელებას ხელს უშლის შესაბამისი მასპინძელი ორგანიზმის არყოფნა.

ბიოლოგიური იზოლატია — ორგანიზმების შექცავების შეუძლებლობა ბიოლოგიური მიზეზების გამო.

ბიოლოგიური მეთოდი ბრძოლისა — ლონისძიებანი, როდესაც რომელიმე ცოცხალ ორგანიზმს იყენებენ სხვა ორგანიზმების წინააღმდეგ საბრ-

ძოღველად, მაგ., ზოგიერთი მანუ მწერის წინააღმდეგ საბრძოლველად (მოსასპობად) რომელიმე ფრინველის ან მწერის გამოყენება.

ბიოლოგიური მემბრანა — ცილოანი (ორი) და ლიპოიდური (ერთი) შრისაგან შემდგარი მემბრანა, რომელიც უჭრედს მიჯნავს უჭრედგარეშე სივრცისაგან ან უჭრედის ერთ ნაწილს მეორისაგან.

ბიოლოგიური მიზანშეწონილობა—ორგანიზმის შეგუება განსაზღვრულ სასიცოცხლო პირობებთან. წარმოადგენს მოცემული ორგანიზმის ისტორიული განვითარების შედეგს.

ბიოლოგიური მისაჯვალე—მარცვლოვანი მცენარეების მოსაეალი ცალკეულ ძირზე, ხელნაზე. ადგენენ მეტრიანი ფართობების გაყოფით.

„ბიოლოგიური ნული“—ტემპერატურული პირობები, რომლის ქვევით ჩერდება ორგანიზმის ზრდა-განვითარება.

ბიოლოგიური პროგრესი—ორგანიზმთა ცვლილება, რომელსაც სახეობა მიუყავს აღმავლობისაკენ ე. ო. პროცესი, რომელიც იწვევს პოპულაციაში ინდივიდთა რიცხობრივ მატებას, არეულის გაფართოებას, შიდასახეობრივი დიფერენციების ტემპის ზრდასა და ახალ სახეობათა წარმოქმნას.

ბიოლოგიური პროდუქტიულობა — დასახლების სიმჭიდროვე, რომელიც წარმოადგენს ორგანიზმთა კვლავარმოების შედეგს.

ბიოლოგიური რახები სოკოებისა—პარაზიტი სოკოების ჯგუფები, რომლებიც შეგუებულია მკვებავ მცენარეთა ძალიან ვიწრო ჯგუფს.

ბიოლოგიური რეგრესი—ორგანიზმების ცვლილება, რომელსაც სახეობა მიუყავს დაქვეითებისაკენ, მოსპობისაკენ, ე. ი. პროცესი, რომელიც იწვევს პოპულაციებში ინდივიდთა რაოდენობისა და თვით პოპულაციების რიცხვის შემცირებას, არეალის შე-

კეცას, შიდასახეობრივი დიფერენციების ტემპის დაქვეითებასა და სახეობათა რიცხვის შემცირებას.

ბიოლოგიური რიტმი—ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების პერიოდული წარმოქმნა და შეწყვეტა ან გაძლიერება და შესუსტება.

„ბიოლოგიური საათი“—მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ცხოველის ან მცენარის შეგუებას გარეგანი პირობების და, შესაძლებელია, შინაგანი გარემოს პერიოდულად განმეორებად ცვლილებებთან. ცხოველური ორგანიზმის დროში ორიენტირების უნარი.

ბიოლოგიური სინთეზი—იხ. ბიოსინთეზი.

ბიოლოგიური სექტორი—სასიცოცხლო ფორმების (ბიომორფების) შემადგენლობის ცვლილებათა გრაფიული გამოსახვა; პროცენტული შეფარდება ბიომორფებს შორის ამა თუ იმ ოქის მცენარულ საფარში.

ბიოლოგიური ჯგუფები თევზების—იხ. თევზების ბიოლოგიური ჯგუფები.

ბიოლოგიური სინთეზი—ცოცხალი ორგანიზმის (ან უჭრედის) მიერ სინათლის გამოსხივება, ნათება, დამახასიათებელია ბევრი სოკოსა და ბაქტერიისათვის, აგრეთვე ზოგიერთი მელნის, კიის, შოლუსკის, მწერის, თეზისა და სხვა ცხოველისათვის.

ბიომასა — 1. ცოცხალ ორგანიზმთა ნივთიერების რაოდენობა წონით გამოსახულებაში ფართობის ან მოცულობის ერთეულზე. 2. დედამიწაზე მობინადრე ყველა ცოცხალი ორგანიზმის ერთობლიობა.

ბიომეტრია—ცოცხალი ორგანიზმების ნიშანთვისებათა და მათი ცვლილებების სტატისტიკური შესწავლა მასობრივი გაზომვების მონაცემების მათემატიკური დაშვებით. აქვს დამხმარე მნიშვნელობა ბიოლოგიისა და მომიჯნავე მეცნიერება-

თა თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ბიომეტრული მეთოდი—იხ. ბიომეტრია. **ბიომექანიკა**—ფიზიოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ცხოველისა და ადამიანის მოძრაობას; მათი მამობრავებელი აპარატის აგებულებასა და მოქმედებას.

ბიომი—მცენარეთა და ცხოველთა პოპულაციების ერთობლიობა, რომელიც წარმოიქმნება მოცემული რაიონის ფიზიკური (კერძოდ კლიმატური) და ბიოტური ფაქტორების ურთიერთმოქმედების შედეგად.

ბიომორფი—იხ. სასიცოცხლო ფორმა. **ბიომორფოგენეზი**—ორგანიზმთა ბიოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებების ჩამოყალიბების პროცესი ფილოგენეზში ან ონტოგენეზში საარსებო პირობებთან დაკავშირებით.

ბიონიკა—ბიოლოგიასა და ტექნიკას შორის მოსაზღვრე მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ტექნიკაში ცოცხალი სისტემების (ორგანიზმების) აგებულებისა და ფუნქციების პრინციპთა გამოყენების შესაძლებლობებს. მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ისეთი ავტომატების შექმნა, რომლებიც ნერვული სისტემის მოქმედების იმიტაციას მოახდენდა.

ბიონტიზაცია თესვებისა—თესვისწინა ზემოქმედება თესვებზე ქიმიური ან ფიზიკური საშუალებებით მალალი მოსავლის მიღების მიზნით.

ბიოპლანშა—უჯრედის ყველა ცოცხალი ნვითიერება, უჯრედის ბირთვისა და ქონდრიოსომების ჩათვლით.

ბიოხეტონი—წყალში ატივტრავებული ცოცხალი სხეულაკები.

ბიონი—ბიოლოგიურად აქტიური ორგანული ნვითიერებების ჯგუფი, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური ცხოველმყოფელობისათვის ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით საკვებ ნვითიერებებთან ერ-

თად. ბიონის შემადგენლობაში შედის ვიტამინი B₁, B₂, ბიოთინი, ინოზიტი და სხვა შენაერთები. ბიონის ჯგუფის ნვითიერებებს ხშირად B ჯგუფის ფიტოპორმონებს უწოდებენ.

ბიოსინთეზი—ორგანულ ნვითიერებათა სინთეზი ცოცხალ ორგანიზმში (უჯრედში). ბიოსინთეზის ყველა რეაქცია ენერჯიის შთანთქმით მიმდინარეობს.

ბიოსომები—უჯრედის სუბმიკროსკოპული სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც დგანან მაკრომოლეკულებისა და მიკროსკოპიული სტრუქტურების მიჯნაზე.

ბიოსტაზიზი—ცოცხალი ორგანიზმის უნარი გაუძლოს გარემო პირობების ცვლილებებს და დარჩეს კონსტანტური.

ბიოსფერო—სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწის სფეროზე; დედამიწის გარსი (ლითოსფერო, ჰიდროსფერო და ატმოსფერო), რომელიც ცოცხალი ორგანიზმებითაა დასახლებული.

ბიოტემი—გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სახეობის ცხოველების და მცენარეების ერთობლიობა.

ბიოტექნია—მეცნიერება, რომელიც სწავლობს გარეული სამონადირეო და სხვა სასარგებლო ცხოველების ბუნებრივ პირობებში მოშენებას და მათ რაციონალურ გამოყენებას.

ბიოტიკური პოტენციალი — პოპულაციის რიცხოზრდივი გაღივებისათვის დამახასიათებელი შინაგანი უნარი სტაბილურ ასაკობრივ შემადგენლობასა და გარემოს ოპტიმალურ პირობებში.

ბიოტიკური ფაქტორები—ორგანული ფაქტორები (მცენარეულობა, ირგვლივ მყოფი ცხოველები და სხვ.), რომლებიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ადგილის საარსებო პირობებს.

ბიოტინი—ვიტამინი H; ნეოთერება ბიოსის ჩვეულებრივად; შედის ცილოვანი და ცხიმოვანი ცელის მარეგულირებელი ფერმენტების შემადგენლობაში. ხასიათდება მაღალი ფიზიოლოგიური აქტიუობით. ბიოტინით მდიდარია ბოსტნეული.

ბიოტინი—1. სახეობის და სახესხვაობის ინდივიდუალური ჩვეულებრივ არ ახასიათებს მორფოლოგიური განსხვავება, მაგრამ აქვს მყარი ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური თავისებურებანი (მაგ., ხორბლის შერა ენგას 100-მდე ბიოტინია, რომელიც პარაზიტობენ ხორბლის გარკვეულ ჯიშებზე). 2. ფეროტიპთა ერთობლიობა, რომლებიც ეკუთვნის გარკვეულ გენოტიპს.

ბიოტინა—ამა თუ იმ ორგანიზმის საცხოვრებელი ადგილი, რომელიც წარმოადგენს მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან გარემოს, მაგ., ტროპიკული ტყე, უდაბნოს ქვიშები, მტკნარი წყლის წყალსატევები და ა. შ.

ბიოფიზიკა—ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ფიზიკურ მოვლენათა კანონზომიერებებს.

ბიოფილტრატორებია—წყლის ცხოველები, რომელთა სხეულის ღრუში ხდება წყლის დიდი რაოდენობით გატარება (შესვლა და გასვლა) და მისი გასუფთავება მორტიტოვანი ნაწილაკებისაგან. ამ უკანასკნელს ცხოველი იყენებს ან საკვებად ან გამოყოფის ღორწოსთან ერთად და წყალსაცავის ფსევრზე იღუქება. ასეთი ფილტრატორებია, მაგ., ორსაგდულიანი მოლუსკები.

ბიოფილტრატი—1. ბიოლოგიური დამენაგები. 2. ნაკვებობა ჩამდინარე წყლის ბიოლოგიური გასუფთავებისათვის, სადაც წყლის ორგანული ნეოთერებების მინერალიზაცია ხდება საფილტრაი მასალის (წიდა, ქვა, კენკი) ზედაპირზე განვითარებული ბაქ-

ტერიებით — აერობებით.

ბიოფორები—პროტოპლაზმის უწყრილესი ქაოთეზური ერთეულები (სიცოცხლის მატარებელი); წარმოადგენენ მოლეკულების ჩვეულებს, რომლებშიც, როგორც ფიქრობენ, მიმდინარეობს სიცოცხლის ძირითადი მოვლენები (ნეოთერებათა ცელა, სუნთქვა და ა. შ.).

ბიოფსია—ავადმყოფი ორგანიზმიდან დაზიანებული ქსოვილის პატარა ნაჭრის ამოკვეთა (სინჯის აღება) მიკროსკოპული გამოკვლევისათვის დაავადების გარკვევის მიზნით.

ბიოქიმია—მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი მატერიის ქიმიურ შედგენილობას და მასში მიმდინარე ნეოთერებათა ცელის ქიმიურ პროცესებს.

ბიოცენოზი—ცოცხალ ორგანიზმთა ერთობლიობა (მცენარეთა და ცხოველთა თანასაზოგადოება), რომლითაც დასახლებულია, სასიცოცხლო პირობების მიხედვით, მეტნაკლებად ერთგვაროვანი მონაკვეთი (ბიოტოპი), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია გარკვეული ურთიერთობით.

ბიოცენოლოგია—ბიოცენოზების შემსწავლელი მეცნიერება.

ბიოქემისტები—პარაზიტული კიები, რომლებიც თავისი განვითარების სრული ციკლისათვის საჭიროებენ შუამავალ მარჩენალს — მასპინძელს.

ბიინარია — ზღვის ვარსკვლავის ორბირივ სიმეტრიული ღარვა, მატლი.

ბიოქარული დაყოფა—პალიოლური მიეულიუმების ორ ჩვეულებრივ (+ და -) დაყოფა; ასეთი დაყოფის დროს სქესის განმსაზღვრელი ბირთვების ერთი წყვილი გვაქვს.

ბიოქარული ორგანიზმები—ორგანიზმები, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროს ზომიერ განედებში, მაგრამ არ გვხვდება შუალედ ტროპიკულ ზონაში. ბიოქარული სქესობრივი დიფერენცია-

არება — სასქესო ინდივიდების, ე. ი. პაპლოიდური მიცელიუმის ორ ჯგუფად (+ და —) დაყოფა, რაც ჩვეულებრივ უმაღლესი ორგანიზმების მდებარეობითა და მამრობითად დაყოფას შეესაბამება. შემჩნეულია პეტროტალურ სოკოებში (ასკომიცეტები. გელაფუშტები და ენგა სოკოები).

ბიოთეკა — მომრეველო ფორმის პატარა სხეულაკი, რომელიც უჯრედის ბირთვის წვენში მდებარეობს. ბირთვების ზომა და რაოდენობა ცვალებადია ერთსა და იმავე უჯრედის ბირთვშიც კი. მასში ხდება რიბოსომების ჩამოყალიბება, რომლებიც ცილების სინთეზში მონაწილეობენ.

ბირთვი უჯრედისა — უჯრედის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს უჯრედის განვითარების ყოველ არსებით ეტაპში და განსაკუთრებით უჯრედის განვითარების ყოველ არსებით ეტაპში. შედგება გარსისაგან და სხვადასხვა ცილისა და ნუკლეინის მჟავას შემცველი ნახევრად თხევადი შიგთავსისაგან.

ბირთვის არაპირდაპირი დაყოფა — იხ. კარიოკინეზი.

ბირთვის გარსი — იხ. ბირთვის მემბრანა.

ბირთვის მემბრანა — ძალიან თხელი, ლიპოპროტეიდული გარსი, რომლითაც ბირთვის შემცველობა გამოყოფილია მის ირგვლივ მყოფი ციტოპლაზმისაგან.

ბირთვის ფირფიტა — იხ. ეკვატორიული ფირფიტა.

ბირთვის წვენი — იხ. კარიოპლაზმა.

ბისერული კვარტები — კვარტები, რომლებიც ერთი-მეორეზე თანმიმდევრებით განლაგებული მოპირდაპირე ფოთლების უბეებში.

ბისერული ფარფლი — ორმაგად მსუნთქავი თევზების ფარფლი, რომელიც განსხვავდება იმით, რომ მისი ჩხირისებრი ხრტილები (რადიკლები) განლაგებულია სარტყელთან მომიჯ-

ნავე ძირითადი ხრტილების (ბაზილიების) ორივე მხარეზე.

ბისექსუალური — ორსქესიანი, ორივესქესიანი.

ბისუსი — წებოვანი ნივთიერება, რომელიც გამოიყოფა ზოგიერთი მოლუსკის (ფირფიტოვანდაუჭიჩიანი მოლუსკების) განსაკუთრებულ ჭირკვლებში — ე. წ. ბისუსურ ჭირკვლებში აბრეშუმისებრი ძაფის სახით. ბისუსის საშუალებით ცხოველი ემაგრება წყალქვეშა საგნებს. წარსულში მისგან აზნაღებდნენ ძვირფას წმინდა ქსოვილს ე. წ. ბისონს.

ბიურეტის რეაქცია — მიკროსკოპში ცილოვანი ნივთიერების აღმოჩენის ერთ-ერთი რეაქცია, რაც შემდეგში მდგომარეობს: წყალში განზავებულ ცილებზე მოქმედებენ მწვავე ტუტით, მას უმატებენ შაბაიმის სუსტი ხსნარის ერთ-ორ წვეთს. წარმოიქმნება სოსანი შეფერილობა. თუ კიდევ დაუმატებთ რამდენიმე წვეთს, ხსნარი გაღურჯდება. ეს რეაქცია გაპირბობებულია ცილოვან მოლეკულებში CO — NH — CH-ის ჯგუფის არსებობით.

ბიფურკაცია — რისამე (მაგ., სისხლძარღვის, მდინარის და სხვ.) ორად განშტოება.

ბიციკლური ზღვები — ზომიერი განედის ზღვები, სადაც პლანქტონის ორგანიზმებს აქვთ განვითარების ორი წლიური მაქსიმუმი. და, ამგვარად, წლის განმავლობაში იძლევიან რამდენიმე თაობას.

ბიციკლის მცენარეები — იხ. პალოფიტები.

ბლასტემა — პიოთეზური ერთშრიანი ფორმა, რომელიც აგებულია მოკვანოვან ბლასტულას ე. პეკელის პიოთეზის მიხედვით ბლასტემა წარმოადგენს მრავალუჯრედიანი ორგანიზმების ისტორიული განვითარების პირველ სტადიას.

ბლასტემა — ცოცხალი ქსოვილის ყოველი ნაწილი, რომელსაც აქვს ახალ

წარმოქმნის უნარი, ბლასტემას უწოდებენ აგრეთვე ამჟებრივებული ორგანოს კრილობის ზედაპირზე თავმოყრილ ერთგვაროვან უჯრედებს.

ბლასტემა ემბრიონულმა—ის. ემბრიონული ბლასტემა.

ბლასტოდერმა — უჯრედების ერთობლიობა ჩანასახის განვითარების ბლასტულის სტადიაზე. უჯრედების ფენა, რომელიც განლაგებულია კვერცხის ყვითრის მასის ზედაპირზე ე. წ. კვერცხის არასრული ზედაპირული დაყოფის დროს, მაგ., ფეხსახსრიანებში.

ბლასტოდისკოები—დისკოს მაგვარად განლაგებული უჯრედების ჯგუფი, კვერცხის ანომალურ პოლუსზე არსებული დაყოფის დროს.

ბლასტოვარიაცია—ყოველი მემკვიდრული ცელიება.

ბლასტოზოიდი — შეიღული ინდივიდი, რომელიც წარმოიქმნება დაკვირტვისას ზოგიერთ მრავალჯგირან კიაში.

ბლასტოკოლინი—ბიოლინის ერთ-ერთი ჯგუფი. უმაღლესი მცენარეებისაგან გამოყოფილი ორგანული ნივთიერება, რომელიც სხვა უმაღლეს მცენარეთა განვითარებაზე ხელშემშლელად მოქმედებს, მაგ., ვაშლის ნაყოფის მიერ გამოყოფილი ეთილენის გაზი, აფერებებს ზოგიერთი მცენარის თესლების გაღივებასა და ლიეების ზრდას.

ბლასტომა — სიმსივნე.

ბლასტომერები—უჯრედები, რომლებიც წარმოიქმნება ცხოველის კვერცხუჯრედის პირველი მიტოზური დაყოფისას.

ბლასტოსპორა—მიმავარებული ტელისპორა, რომელიც წარმოიქმნება დაკვირტვის გზით და რომელსაც თავის მხრივ უნარი აქვს დაკვირტვისა (საფუარებში).

ბლასტოსტილი—პიდროიდული პოლიპის საერთო ლეროზე, ჩვეულებრივ იპიდრატების გარდა, წარმოქმნილი

კვირტი, რომელსაც არც საცეცხები და არც პირის ხერხელი არ გააჩნია. მასზე წარმოიქმნება სასქესო უჯრედები — გონოფორები.

ბლასტოფორა—ხერხელი, რომლის საშუალებითაც ჩანასახის ღრუ გასტრულის (ორშრიანი) სტადიის დროს უკავშირდება გარემოს. მას გასტროფორისაც უწოდებენ.

ბლასტოცელი—ღრუ, რომელიც წარმოიქმნება ცხოველის ჩანასახში ბლასტულის სტადიის დროს.

ბლასტოციტი — არადიფერენცირებული ემბრიონული უჯრედი.

ბლასტულა — მრავალუჯრედიანი ორგანიზმის ჩანასახის განვითარების ერთ-ერთი სტადია, რომლითაც მთავრდება კვერცხუჯრედის დანაწევრება. ამ სტადიაზე ჩანასახი შედგება უჯრედების ერთი შრისაგან და ღრუ ბუშტის ფორმა აქვს.

ბლასტულაცია — პროცესი, რომლის მსვლელობის დროს ემბრიონი ადწვევს ბლასტულის სტადიას.

ბლეკროტი—შავი სიღამლე; ყურძნის დაავადება, რომელსაც იწვევს ჩანთიანი სოკოები.

ბლეფარომატო—პარაბაზალური სხეული; 1. შოლტიანების ციტოპლაზმაში ლოკალიზებული პატარა ზომის სხეულაი, რომლიდანაც იწვეება შოლტის ღერძული ძაფი. 2. საყრდენი სხეულაი (ბაზალური მარცვალი), რომლიდანაც გამოდის შოლტები ხავსების, გვიმრებისა და სიგოვანების სპერმატოზოიდებში.

„ბმული“ წყალი — ცოცხალი უჯრედის წყლის განსაკუთრებით მჭიდროდ შეკავშირებული ნაწილი, რომელზედაც ჩვეულებრივ პირობებში („თავისუფალი“ წყლისაგან განსხვავებით) არ მოქმედებს ოსმოსური ძვრები, აორთქლება და გაყინვა —20°C-მდე. წარმოდგენა „ბმული“ წყლის შესახებ პირობითია.

ბოიანუხის ორგანო—უებლოს (უიზ-

ფიტლაყჩიანი მოლესკებიდან) გამოყოფის წყვილი ორგანო—თირკმელი, რომელიც მდებარეობს ფეხის ფუძის უკანა ნახევარსა და შიდა ლაყუს შორის.

ბოკერი — ლომის ან ვეფხვის ნაშიერი ლეკი.

ბოლოფეხანები — პირველადერთიანი მწერების ქვეკლასის ერთ-ერთი რიგი, რომელიც გამოირჩევა დამოკლებული (არა უშეტეს 6 სეგმენტოანი), სახტუნაო ჩანგლებით აღჭურვილი მუცლით.

ბოლქვაკები — წვრილი ბოლქვები, რომლებიც წარმოიქმნება ყვავილედში (მაგ. გარეულ ხახვში) ან მიწისზედა ყლორტების ფოთლის უბეში (ზოგიერთ შროშანაში და სხვ.). წარმოადგენს ყლორტის ან საყვავილე კვირტის სახეცელილებას.

ბოლქვი—სახეშეცვლილი მიწისქვეშა ყლორტი, რომელიც შედგება განვითარებადაუსრულებელი, შემოკლებული ღეროსაგან ანუ ძირაკისაგან და მასზე მქიდროდ განლაგებული მრავალი ქერქლისაგან — ფოთლისაგან, ემსახურება არახელსაყრელი პირობების გადატანას და ვეგეტატიურ გამრავლებას. არსებობს მიწისზედა ბოლქვებიც, რომლებიც წარმოიქმნება ყვავილედში (ნიორში, მრავალ ველურ ხახვში) ან უფრო იშვიათად, ფოთლის უბეში (ზოგიერთი შროშანისა), ეს ბოლქვები ძალიან პატარა ზომისაა და სახეშეცვლილ ყლორტებს ან საყვავილე კვირტებს წარმოადგენენ. მათ ბოლქვაკებს ან ბუღბილებსაც უწოდებენ.

ბოლქვიანი მცენარეები—მცენარეები, რომელთაც აქვთ ბოლქვები: ხახვი, ნიორი, ტიტა, ყაზახა, ნარგიზი, სუმბული და სხვა.

ბოლქვის კბილი—ნიერისა და სხვა მისთანა მცენარის შეიღუული ბოლქვი, რომელიც ვითარდება დედისეული

(მთავარი) ბოლქვის ქერქლების უბეში.

ბონიტეტი ტყისა—ტყის პროდუქტიულობის, ხარისხიანობის მაჩვენებელი; ბონიტეტის ძირითად მაჩვენებლად ითვლება განსაზღვრული ხნოვანების ხე-მცენარეთა საშუალო სიმაღლე და მათი სიხშირე 1 ჰექტარზე. ტყეს ჩვეულებრივ ყოფენ ბონიტეტის 5 კლასად; პირველ კლასს მიეკუთვნება ყველაზე ვარჯისიანი ტყე.

ბორეალური მცენარეები—მცენარეები, რომლებიც გავრცელებულია ჩრდილო ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში.

ბორეალური ოლქი—მსოფლიო ოკეანის ერთ-ერთი ბიოგეოგრაფიული ოლქი, არქტიკულ და ტროპიკულ ოლქებს შორის. ხასიათდება წყლის ტემპერატურის მეტად მკვეთრი სეზონური მერყეობით.

ბორეალური ტიპი არეალიზა—არეალის ეს ტიპი ძირითადად მოიცავს ჩრდილო ნახევარსფეროს ტყის ზონას. იყოფა ოთხ კლასად. პოლარქტიკული, პალეარქტიკული, ევროპული და ატლანტიკური.

ბორეალური ფორმები—ზღვის ორგანიზმები, რომლებიც დაკავშირებულია ზომიერი ტემპერატურის წყლებთან და მეტწილად დასახლებულია ბორეალურ ოლქში.

ბორეო-ატლანტიკური ოლქი — ზოოგეოგრაფიული ოლქი, რომელიც მოიცავს ჩრდილო ატლანტიკის ზომიერ წყლებს (ბარენციის ზღვის დიდი ნაწილი, ნორვეგიის, ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვები, გრენლანდიის ზღვის აღმოსავლეთი ნაწილი, ატლანტიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი დელავარის და ბისკაის ყურეებზე სამხრეთით).

ბორეო-პაციფიკური ოლქი — ზოოგეოგრაფიული ოლქი, რომელიც მოიცავს ჩრდილო პაციფიკის ზომიერ წყლებს დაწყებული ბერინგის სრუ-

ტიდან ჩრდილო განედის 40°-მდე სა-
მხრეთით. (წყნარი ოკეანის ჩრდილო
სანაპიროები, ბერინგისა და ოხოტის
ზღვები და იაპონიის ზღვის ღიდი ნა-
წილი).

ბოროდინის მეთოდი—უჯრედის წვენში
ნივთიერებათა არსებობის აღმოჩენ-
ის მეთოდი.

ბოტანიკა—მეცნიერება მცენარეთა შესა-
ხებ; შეისწავლის მცენარეთა აგებუ-
ლებას, განვითარებას, მათ დამოკი-
დებულებას გარემო პირობებთან,
კლასიფიკაციას (სისტემატიკას), წარ-
მოშობასა და ევოლუციას.

ბოტანიკური—ბოტანიკასთან დაკავში-
რებულია, მაგ., ბოტანიკური ბაღი —
დაწესებულება, სადაც საჩვენებლად
და სასწავლო-სამეცნიერო მიზნები-
სათვის ბუნებრივ პირობებში და
ორანჟერებებში გაშენებულია სხვა-
დასხვა მცენარე.

ბოტანიკური გეოგრაფია—იხ. ფიტოგე-
ოგრაფია.

ბოტი—მამალი დაუკოდავი თხა, სანა-
შენე და ფარის წინამძღოლი, ვაცი.

ბოტრიდიები — მისაწოვარი ფოსოები,
რომლებიც განვითარებული აქვს ზო-
გიერთ თასმა კიას თავზე. მათი სა-
შუალებით პარაზიტი ემაგრება მას-
პინძლის ნაწლავის კედელს.

ბოტრიები—მისაწოვარი ღრები (ნაპრა-
ლი), რომელიც განვითარებულია ზო-
გიერთ თასმა კიას თავზე.

ბოტრიოიდული ქსოვიდი — უჯრედების
ჩკუფი, რომელიც განვითარებულია
წურბელის შუა ნაწლავის ზედა მხა-
რეზე; აქვს მარცვლოვანი აგებუ-
ლება და ლიმფური ჩირკვლების ფუნ-
ქციას უნდა ასრულებდეს.

ბოტრიული ყვავილედ—ყვავილედი,
რომელსაც ახასიათებს მონოპოდიუ-
რი დატოტიანება; მისი კენწრული
ყვავილი იშლება სულ ბოლოს; (მტე-
ვანი, თავთავი, ტარო, ფარი, ქოლგა,
თავაკი).

ბოტულიზმი — მწვავე ინფექციურ-ტოქ-

სიკური დაავადება, რომელსაც იწ-
ვევს საკვებში მოხვედრილი ზოგი-
ერთი ანაერობული ბაქტერია და მა-
თი ტოქსინები.

ბოლშევის კასულა — იხ. შუმლიანსკის
კასულა.

ბოქვენი—მენჯის წინა ძელების შეერთე-
ბის ადგილი (მუცლის ქვედა ნაწილ-
ში).

ბოყვი — ტყემლის, ქლიაის კერინჩხის
და სხვა. მცენარეთა არანორმალურად
განვითარებული ნაყოფი გამოწვეულა
პარაზიტი სოკოებით.

ბოქვო—სკლერენქიმის (მცენარის მექა-
ნიკური ქსოვილის ერთ-ერთი ტიპი)
უჯრედი; ჩვეულებრივ წარმოადგენს
პროზენქიმულ უჯრედს, რომლის
სიგრძე ზოგიერთ მცენარეში 40—50
სმ-მდე აღწევს.

ბოქვოვანი მცენარეები — მცენარეები,
რომლებიც იძლევა სართავ ბოქვოს
უხეში ქსოვილების დასამზადებლად.
ბამბა, სელი, კანაფი, რამი, ლერწა-
მი და სხვ.

ბუფრი მარცვალი—მშვიერი, უჯულო, უმ-
წიფიარი, წერილი მარცვალი.

ბუფტი—1. ბატის, იხვისა და მისთ. წი-
წილი. 2. უმწიფარი, წერილი მარცვა-
ლი.

ბრანქიოგენური ჩირკვლები — ენდო-
კრინული ჩირკვლების ჩკუფი, რო-
მელიც ვითარდება ჩანასახის სალა-
ყურე ხერელებიდან კუქ-ნაწლავის
ხახის ნაწილში; ფარისებრი და ჩანგ-
ლისებრი ჩირკვალი.

ბრანქიოზაფრები—ამფიბიების გადაშე-
ნებული ჩკუფი, რომელიც სხეულის
ფორმით გვიან თანამედროვე ტრი-
ტონებს.

ბრანქიომერული მუხყულატურა, კუნ-
თები—განივზოლიანი კუნთები, რო-
მლებიც წარმოქმნილია სალყურე რკა-
ლებისაგან და ასრულებენ ღეკვისა
და მიმიკური მოძრაობის ფუნქციას
უმალღეს ხერხემლიან ცხოველებში.

ბრანქოსტიციტი—კიბოსნაირების თაყვერდის საფარველის წყვილი გვერდითი ნაკეცი.

ბრაქიაცია—ადამიანის მსგავსი შიშუნების გიბონუნის ზეზე გადაადგილების თავისებური ხერხი, რომლის დროსაც ცხოველი დაკიდულია წინა კიდურებით ტოტებზე, ფეხები კი შეკეცილი აქვს ქვეშ.

ბრაქიობლასტიტი—იხ. ბრაქიობლასტიტი.

ბრაქიდაქტილია—მოკლეთითიანობა; ანომალურად დამოკლებული თითები კიდურებზე.

ბრაქიეფალია—იხ. ბრაქიეფალია.

ბრაქიეფალია—იხ. ბრაქიეფალია.

ბრაქიემიოზა — არანორმალური მეიოზი, რომელიც ხასიათდება მეორე მეიოზური დაყოფის გამოვარდნით.

ბრაქიომორფული აგებულება—სხეულის ისეთი აგებულება, რომელსაც ახასიათებს მოკლე კიდურები და განივი ტანი.

ბრაქიობლასტიტი—1. წიწვოვანი მცენარეების დამოკლებული ყლორტები, რომლებზედაც განვითარებულია 2 ან 5 ნემსისებრი ფოთოლი (წიწვი). 2. დამოკლებული საყვავილე ყლორტები უმეტეს ხეხილოვან მცენარეებში.

ბრაქიოზაფრები — გადაშენებული რეპტილიები (ქვეწარმელები) ხელიკისნაირთა ჩკუფიდან; ოთხფეხა ცხოველები, რომელთა სიგრძე დაახლოებით 24 მ-მდე აღწევდა; იკვებებოდნენ მცენარეებით.

ბრაქიოლარია—ზღვის ვარსკვლავას განვითარების ერთ-ერთი გეიანი ლარვისი. (მატლის) სტადია.

ბრაქისკლერეიდები—გაქვავებული საყრდენი უჯრედები, რომელთა ფორმა იზოდიამეტრულს უახლოვდება; მათგან შედგება კაკლის და თხილის ნაკეცი, ქლიავის, ქერძის, აღუბლის და სხვ. კურკა. ბრაქისკლერეიდებისგანაა შემდგარი აგრეთვე კომშისა და მსხლის ნაყოფის რბილობში არსებული გაქვავებული სხეულები.

ბრაქიფალანგია—რამდენიმე ფალანგიდან ერთ-ერთი ფალანგის ხელის ან ფეხის თითების დამოკლება.

ბრაქიეფალია — მოკლეთაიანი, მოკლეთაის ქალას მქონე.

ბრაქიეფალია—თაის ქალას ფორმა, რომლის სიგრძივი ზომა (ცხვირის ფუძიდან კეფამდე) ოდნავ მეტია განივზე.

ბრაზიეფალია — იხ. ბრაქიეფალია.

ბრიოლოგია—ბოტანიკის დარგი, რომელიც სწავლობს ხავსებს.

ბრკის მოღება წყალზე—წყლის შეფერვა წყალსატევებში, წყალმცენარეებისა და სხვა მიკროორგანიზმების მასიური განვითარების შედეგად.

ბრმა ნაწლავი—მსხვილი ნაწლავის საწყისი, პატარა ტომრის მსგავსი ნაწილი, რომელიც მდებარეობს წვრილი ნაწლავის მსხვილ ნაწლავთან შეერთების მახლობლად. მისგან, ქვეით წაზრდილია ე. წ. კიანაწლავი—აპენდიქსი.

ბრმა ხალი—თვალის ბადურის ის მონაკეტი საიდანაც გამოდის მხედველობის ნერვი; ეს ადგილი მოკლებულია შუქმგრძობიარე უჯრედებს, ამიტომ აქ წარმოქმნილ სავნის გამოსახულებას ვერ აღვიქვამთ.

ბროლი—თვალის კაკლის შიგნით, კერძოდ გუგის უკან, მდებარე გამკვირვალე სხეული, რომელსაც ორმხრავ ამოზნექილი ლინზის ფორმა აქვს.

ბროლის კონუსი—კიბოსნაირთა რთული, ფასეტური თვალის ომბრიდიუმში (ცალკეულ თვალაკში) მდებარე გამკვირვალე სხეულაკი; შედგება ოთხი, ერთმანეთთან მჭიდროდ მიწყობილი უჯრედისაგან.

ბრონქოზაფრები — გადაშენებული, დიდი ზომის ქვეწარმეული ცხოველი ხელიკისნაირთა ჩკუფიდან; იკვებებოდა მცენარეებით.

ბრონქები — წყვილი სასუნთქი მილი, რომლებდაც იყოფა ტრაქეის ქვედა ბოლო; ბრონქები შედიან ფილტვებ-

ში სადაც იტოტებიან უფრო წვირლ მილებად — ბრონქიოლებად.

ბრონქიოლები—ბრონქების უწვირლესი განშტოებანი ფილტვებში; წარმოადგენს მიკროსკოპულ უმცირეს თხელკედლიან მილს.

ბრონქოსკოპია—სასუნთქი მილების გამოკვლევის მეთოდი სპეციალური აპარატის (ბრონქოსკოპის) საშუალებით.

ბრონქული ხე—ბრონქების დატოტიანება ფილტვებში.

ბრუნერის ქირკლეები—ქირკვლები, რომლებიც განლაგებულია თორმეტგოჯა ნაწლავის ზედა განყოფილების ლორწოვანი შრის ქვეშ.

ბრუცელაზი — ადამიანისა და რიგ ცხოველთა შუგავე ან ქრონიკულად მიმდინარე დაავადება, რომელსაც იწვევს პათოგენური ბაქტერიების, კერძოდ ბრუცელის (Brucella) ზოგიერთი სახეობა. ადამიანზე ბრუცელაზი ვადადის ბრუცელაზიანი საქონლის (მაგ., ძროხის, თხის, ცხერის და სხვ.) რძისა და რძის ნაწარმით ან ხორციით კვების შედეგად ან ასეთი საქონლის მოვლისას.

ბრძოლა არსებობისათვის—ჩ. დარვინის თეორიის მიხედვით ცოცხალი ორგანიზმების ერთმანეთსა და საარსებო გარემო პირობებს შორის მრავალფეროვანი ურთიერთმოქმედების ერთობლიობა, რაც მდგომარეობს ბუნებაში ორგანიზმებს შორის შეჯიბრში (უფრო სწორად მეტოქეობაში) მათთვის აუცილებელი სასიცოცხლო საშუალებების და საარსებო პირობების დასაფუძვლელად და შესანარჩუნებლად. ჩ. დარვინი არსებობისათვის ბრძოლის სამ ფორმას არჩევს: შიდასახეობრივს, სახეობათაშორისსა და ბრძოლას ახაროგანული ბუნების არსებლსაყრელ პირობებთან.

ბრქვადი—მოკაუქებული, მახვილობლიანი რქოვანი წარმონაქმნი, რომლითაც დაფარულია ხერხემლიანი

ცხოველების თითის წვერები ზემოდან და გვერდებიდან.

ბუბონი—სიმისიენე, რომელიც ჩნდება ლიმფური ქირკვლების ანთების შედეგად (საზარდულზე, ილიაში, კისერზე და სხვ.).

ბუდე—1. სხვადასხვა ორგანოთა შემონაფენი. 2. მცენარის ნაყოფის ფოთლისეული ან ღეროსეული წარმონაქმნი, რომელშიც ზის ნაყოფის ფუძე, ან მთელი ნაყოფი (იხ. კუპულა, ფილა). 3. ფრინველის ბინა, სადაც ის დებს კვერცხებს და ჩეკავს ბარტყებს. 4. მწერის ბინა, სადაც დებს კვერცხებს და საზრდოს იგროვებს. 5. ზოგიერთი გარეული ცხოველის თავშესაფარი. 6. საერთოდ საცხოვრებელი ადგილი.

ბუდობრივი პარაზიტიზმი—კვერცხის დება სხვა ფრინველის ბუდეში, რომელსაც ბარტყები გამოყავს; ასეთ პარაზიტობს ეწევა, მაგ., გუგული.

ბუთხუზა ყვავილები—ყვავილები, რომლებსაც გვირგვინის ფურცლების რიცხვი არანორმალურად აქვს გადიდებული. უმეტეს შემთხვევაში ეს იმითაა გამოწვეული, რომ მტერიანები, ზოგჯერ კი ნაყოფ-ფოთლებიც, გვირგვინის ფურცლებადაა გადაქცეული; ბუთხუზა ყვავილის მქონე ბევრ მცენარეს (მიხაკს, გეოგინას და სხვ.) ამრავლებენ დეკორატიული მიზნით. ყვავილის ნორმალური აგებულების თვალსაზრისით, ბუთხუზა ყვავილები წარმოადგენს მახინჯ ტერატოლოგიურ გადახრას ნორმიდან.

ბუღბები—იხ. ტუბერიდები.

ბულბოლები—იხ. ბოლქვაკები.

ბულბოურიტრალური ქირკვლები — ქირკვლები, რომლებიც გამოყოფს სპერმის შემადგენლობაში შემაჯალსითხეს.

ბულბუსები—ზოგიერთი მრგვალი ჭიისსაყლაპავი მილის ან ხახის დანაწევრებული განყოფილებები.

ბულიზია—მადის არანორმალური გაძლიერება, რასაც თან სდევს შიშობის გრძნობა; გაუშაძრობა. გამოწვეულია ზოგიერთი ფსიქიური ან სხვა დაავადებით.

ბუმბული — ნაქრენი. ფრინველების რქოვანი წარმონაქმნი, რომლითაც დაფარულია ფრინველის სხეული და ისრულებს მთელ რიგ ფუნქციას, რომელთაგან აღსანიშნავია გაიცეებისაგან დაცვა, სხეულის წონის შემცირება. ფრთის სიბრტყის წარმოქმნა და სხვ.

ბუმბულის ღერო—იხ. ღერო ბუმბული-სა.

ბუმბულის ღეროს გული — ფიქსირებული ნივთიერება, რომლითაც ამოვსებულია ბუმბულის ღეროს შიგნითა ნაწილი.

ბუნაგი—გარეული ცხოველის, ნადირის სადგომი.

ბუნებისმეტყველება—ბუნების შემსწავლელ მეცნიერებათა ერთობლიობა; მოიცავს რიგ მეცნიერებებს (ფიზიკა, მექანიკა, ქიმია, ბიოლოგია, მინერალოგია, კოლოგია, პალეონტოლოგია და სხვ.) ეოცხალი და არაეოცხალი ბუნების შესახებ.

ბუნებრივი გადარჩევა, შერჩევა—გარკვეულ პირობებში საარსებოდ სასარგებლო ნიშანთვისების მქონე ინდივიდთა გადარჩენის პროცესი; უკეთ შეგუებულთა გადარჩენა (ტერმინი შემოიღო ჩ. დარვინმა). ბუნებრივი გადარჩევის ანუ შერჩევის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზმები, რომლებიც ყველაზე მეტად არიან შეგუებულნი გარემოს, რჩებიან და მრავლდებიან, ხოლო ის ორგანიზმები, რომლებიც ვერ ეგუებიან ან ნაკლებად ეგუებიან გარემო საარსებო პირობებს—ისპობიან და ნადგურდებიან.

ბუნებრივი ვეგეტატიური გამრავლება—მცენარეთა ვეგეტატიური გამრავლება ბუნებაში ფესურებით, ფესვის

ამონაყრით, ბოლქვებით და ა. შ. ადამიანის ჩაურევლად.

ბუნებრივიკრიკიანი ინფექცია — ინფექცია, რომელიც გავრცელებულია გარკვეული რაიონის გარეულ ცხოველებში, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის დასენიანების კერას.

ბუნებრივი რეზერვუარი ინფექციისა—გარეული ცხოველები, რომელთა ორგანიზმში მუდმივად იმყოფებიან ადამიანის ან შინაური ცხოველების ავადმყოფობის გამომწვევენი.

ბუნებრივი ხაკეები ხავარგულები—შიწები ბუნებრივი სამოყრებითა და სათიბებით.

ბუნებრივი სისტემა კლასიფიკაციისა—ცხოველთა და მცენარეთა კლასიფიკაცია, რომელიც ასახავს ფორმათა ისტორიულ განვითარებას ევოლუციის პროცესში.

ბუნებრივი შერჩევა—იხ. ბუნებრივი გადარჩევა.

ბუნოლოგიური კბილები—კბილები, რომლებსაც საღებუ ნედაპირზე გააჩნია პატარა მომარგველო ბორცვები.

ბურბურა ანუ ქარქვეთა მცენარეები — ველის, ნახევრადუდაბნოს და უდაბნოს ზოგიერთი მცენარე, რომელიც ნაყოფის მოშფიფების შემდეგ მთლიანად მოწყდება მიწისქვეშა ნაწილს; ხშირად რამდენიმე ასეთი მცენარე იხლართება ერთმანეთში და ქმნის ბურთის მსგავს სხეულს, რომელსაც ქარი აგორებს ან აიტაცებს და გადააქვს ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე. ამ გორების დროს ხდება თესილების ჩამოცვენა და გაფანტვა. ასეთი მცენარეებია: შოროქანი, ცერცევალი, წიწმბიტლა და სხვ.

ბურჯაკი—ღიღი გოჭი, დაახლოებით სამი თვიდან წლამდე.

ბურსები — 1. კუნთების, მყესებისა და იოგების ირგვლივ მდებარე ლორწოვანი ჩანთები, რომლებიც ამცირებს მყესების ძვლებზე ხახუნს მოძრაობის დროს. 2. განსაკუთრებული ვენ-

ტოდერმული ჩაღრმავებანი, სადაც ხდება გონადების წარმოქმნა; დამახასიათებელია ზოგიერთი კანეკლოანი ცხოველისათვის.

ბუნუსები, ბეწვები მცენარეებში—კანის უჯრედების სხვადასხვა სახის გამოწარმოებული (იხ. ფესვის ბუნუსები).

ბუნუსების წარმოქმნელი ფენა ფიხვინა— მცენარის ფესვის წვერის უჯრედების გარეთა ფენა, რომლიდანაც ფესვის ბუნუსები წარმოიქმნება.

ბუტკო—ფარულთესლოვან მცენარეთა ყვავილის ცენტრალური ნაწილი, რომელიც წარმოქმნილია ერთი ან რამდენიმე ნაყოფთოთლისაგან ანუ მეგასპოროფილისაგან. წარმოადგენს მღებლობით სასქესო ორგანოს, რომელიც შედგება ნასკვის, სვეტისა და დინგისაგან.

ბუტკოიანი ყვავილი—იხ. მღებლობითი ყვავილი.

ბუფოტოქსინი—შხამიანი ნივთიერება, რომელსაც გამოყოფს ზოგიერთი

გომბეშოს კანში არსებული ქირკვილოვანი უჯრედები.

ბულა—დაუკოდავი ხარი (კამერი), რომელსაც სანაშენოდ ინახავენ.

ბუშუნელი—ბუჩქნარით დაფარული არე (ავსტრალიაში).

ბუჩქბალახები—იხ. ნახევრად ბუჩქები.

ბუჩქთღვომა—ასე ზოგჯერ უწოდებენ ბუჩქნარის მიწისზედა ნაწილს ბუჩქნართა თანახაზოვადობაში.

ბუჩქი—მერქნიანი მცენარე, რომლის ტოტები ღეროს ფუძიდანვე თითქმის თანაბრადაა ვაზრდილი და მათ შორის მკვეთრად არაა მთავარი ღერო და გვერდითი ტოტები გამოსახული. ამიტომ ბუჩქში არ არის მიღებული მკვეთრი დაყოფა ზროდ (მტამბად) და ვარჯად (კრონად), რაც ხეებისათვისაა ესოდენ დამახასიათებელი.

ბუჩქმცირივი მარცვლოვანები—მარცვლოვანი მცენარეები, რომელთა მკიდროდ მიახლოებული ბარტყობის მუხლები მიწის ზედაპირზეა განლაგებული (ეაიციწვრა, ძიგვა და სხვ.).

3

გახალგაზრდავება—იხ. ორგანიზმის გაახალგაზრდავება.

გახეულტურქლიანი მცენარეები—მცირეები, რომელთა მერქანში კურკლები (პირველად და მეორად მერქანში) ერთნაირადაა განლაგებული (კაკალი, ხურმა, ქადარი, ბზა.)

გადამფრენი ფრინველები—ფრინველები, რომლებიც ზამთრობით მიფრინავენ იმ ადგილიდან სადაც ბუდობენ, ბარტყობენ, მრავლდებიან და გაზაფხულზე ხელახლა ბრუნდებიან უკან (წერო, მერცხალი, მწყერი და სხვ.).

გადანაწვენი—მცენარის გადმოდუნული და შუა ნაწილით მიწაშემოყრილი ყლორტი.

გადრომი—გამტარი კონის ნაწილი, რომელიც მოიცავს კურკლებს, ტრაქეებს და მათ თანხლებ პარენქიმას (მოძველებული ტერმინია).

გავა, გავის ძვალი—გავის ძალების ერთმანეთთან შეზრდის შედეგად წარმოქმნილი ძვალი.

გაზთაველა—იხ. აირმიმოცელა.

გაზინთა ქირკვლები—ქირკვლოვანი ებითთალიური თევზის საცურავი ბუშტის შიგნითა ზედაპირზე.

გაზოკამერა—აგურის, ან ხის სტაციონარული ან მოძრავი პერმეტული კამერა ცხოველთა სამკურნალოდ (უმთავრესად გოგირდოვანი გაზით) მუხის, ქეცის და სხვა დაავადებისაგან და ცხოველთა მოსავლელი იარაღების დეზინფექციისათვის.

გათაბაშირიანება ნიადაგისა—იხ. ნიადაგის გათაბაშირიანება.

გაკირიანება—კირის შეტანა ნიადაგში, ნიადაგის მეფიანობის შემცირებისა და სტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით.

გაკორპება—იხ. სუბერინიზაცია.

გალაბება—ჰიდროფილური კოლოიდის თავისებური კოაგულაცია. მას ევლატინირებასაც უწოდებენ.

გალაქანება—მცენარეული წარმოშობის პოლისაქარიდები.

გალაქოზა—ორგანული ნივთიერება მარტივი შაქრებიდან, რომელიც შედის ლაქტოზის (რძის შაქრის) შემადგენლობაში. მიიღება რძის შაქრის ჰიდროლიზით.

გალბე—მცენარის ორგანოთა ქსოვილების არანორმალური ზრდის შედეგად წარმოქმნილი გამონაზარდები მექვის, კოყრის, ბურთულის, ნაოკის და სხვ. სახით, რომელიც გამოწვეულია პარაზიტი მწერების, ტიპების, ზოგჯერ სოკოებისა და ბაქტერიებისაგან. მათ ცეციდიებსაც უწოდებენ. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება მუხის და ტირიფის ფოთლებზე.

გალვანიზაცია — მუღმივი ელექტრული დენის გამოყენება სამკურნალო ან ტექნიკური მიზნებისათვის.

გალვანოტაქსისი—წყალში მცხოვრებ ბაქტერიების, წყალმშენარეების და ერთჯერადოვანი ცხოველების მოძრაობა მასში ელექტრო დენის გატარებისას.

გალვანოტროპიზმი—წყალში მყოფი მცენარის ფესვების გამრუდება მოხრა მასში (წყალში) ელექტროდენის გატარებისას.

გალმენური მცენარეები—მცენარეები, რომლებიც ცხოვრობენ თუთიით მდიდარ ნიადაგებზე (მაგ., ყვითელი იის ზოგიერთი სახესხვაობა). ამ მცენარეთა ნაცარი შეიცავს თუთიის მნიშვნელოვან რაოდენობას.

გალო—ფრინველების წვივის ძელის ქვემოთ მდებარე განყოფილება, რომელიც წარმოქმნილია ტერფის ძელებისა და წინა ტერფის ქვემოთ რიგის ძელების შეზრდის შედეგად.

გალტერო—იხ. საბზუილე.

გამაგლობულინი—სისხლის პლაზმის ცილა. იხ. გლობულინი

გამადა—1. ქვიანი გაეკებული ადგილის ადგილობრივი სახელწოდება ჩრდილო აფრიკის უდაბნოებში; ხასიათდება მეტად ღარიბი მცენარეულობით. 2. ქვიანი ცხელი უდაბნო.

გამაფრთხილებელი შეფერილობა—შეგუბულობის ერთ-ერთი ფორმა ცხოველთა სამყაროში. დამახასიათებელია, მაგ., შხამიან, მსუსხავ ანუ ნესტრით მოშემდე მწერებისათვის, რომლებიც კაშკაშა, შეფერილი ფრთებით, ზოლებით, ლაქებით და სხვ. შეკეთრად გამოირჩევიან გარემოდან, რითაც თითქოსდა აფრთხილებენ სხვა ცხოველებს რათა არ დაესხანათ.

გამშინარე თევზები—იხ. გამსველი თევზები.

გამტარება, გახვევა—იხ. ლიგნიფიკაცია.

გამტანგოგამა—გამეტანგიუმების შემრწყმა (კობულაცია) იზოგამურ ან ანიზოგამურ წარმონაქმნად, რომელიც გვხვდება სოკოების ზოგიერთ ჯგუფში (ზიგომიცეტები და ასკომიცეტები).

გამტანგოგამი—მცენარის ორგანო, რომელშიც წარმოიქმნება გამეტები (სასქესო უჯრედები). გამეტანგიუმს, რომელშიც ვითარდება მდებარებითი სასქესო უჯრედები უწოდებენ არქეგონიუმს ან ოოგონიუმს (მაკროგამეტოფიტს), ხოლო გამეტანგიუმს, რომელშიც ვითარდება მამრობითი სასქესო უჯრედები — ანთერიდიუმს (მიკროგამეტოფიტს).

გამტების ხიწმინდე—გამეტების სიწმინდის კანონის თანახმად დიპლოი-

ღურ ორგანიზმებში ერთი წვეილი ალელის მიმართ გამეტა არ შეიძლება იყოს ჰიბრიდული.

გამეტები — ორგანიზმის სპეციალიზირებული უჯრედები—სასქესო უჯრედები (კვერცხუჯრედი ან სპერმატოზოიდი). სქესობრივი გამრავლებისას გამეტების ერთმანეთთან შერწყმით წარმოიქმნება ზიგოტა, რომლიდანაც ახალი ინდივიდი ვითარდება.

გამეტოგამია—სქესობრივად განსხვავებული, ერთბირთვიანი გამეტების შერწყმა. ორივე გამეტის ბირთვიდან წარმოიქმნება ზიგოტის ერთი ბირთვი.

გამეტოგენეზი—სასქესო უჯრედების ე. ი. გამეტების წარმოქმნის პროცესი.

გამეტოგენია—იხ. გამეტოგენეზი.

გამეტოგონია—იხ. გამეტოციტი.

გამეტოფიტი—მცენარის სასიცოცხლო ციკლის სქესიანი, ჰალოიდური სტადია (სქესიანი თაობა); იწყება სპორების გალივებით და მთავრდება გამეტების წარმოქმნით.

გამეტოფორი—1. გამეტოფიტის სპეციალური ნაწილი, რომელზედაც სასქესო ორგანოები ვითარდება (მაგ., ხავსებში). 2. ჰიფებისაგან განვითარებული წარმონაქმნი, რომელიც, მეზობელ წარმონაქმნთან შერწყმისას, ზიგოსპორას წარმოქმნის.

გამეტოციტი—1. არადიფერენცირებულ უჯრედი (ოვოციტი ან სპერმატოციტი), რომლიდანაც გამეტოგენეზის პროცესში გამეტი ვითარდება. 2. განუვითარებელი სქესიანი ინდივიდი უმარტივესებში (მაგ., სპორიანებში).

გამეტური პოლიემბრიონია—იხ. პოლიემბრიონია.

გამოზიუში—შთამომავლობა, სქესობრივი გზით გამრავლებული ინდივიდებისა, რომლებსაც თაობათა მორიგეობა ახასიათებს.

გამოგენეზი—იხ. გამოგონია.

გამოგონია—სქესობრივი გამრავლება.

განყოფიერების პროცესების კავშირი უჯრედების ციტოგენურ გამრავლებასთან ე. ი. სპეციალიზირებული სასქესო უჯრედების (გამეტების) წარმოქმნასთან, რომლებიც მომდევნო განყოფიერებისას ერთმანეთს ერწყმიან და ზიგოტას წარმოქმნიან.

გამოლიზი—იხ. დიმი.
გამოლიზი—ქეტეროგამური სახეობების გამოვლენის მეთოდი ე. ი. სახეობებისა, რომლებსაც მტერის მარცვლი და კვერცხუჯრედი გადასცემს სხვადასხვა გენოტიპს. შესასწავლ სახეობას აქვარებენ რეციპროკულად ნებისმიერ სხვა სახეობასთან.

გამოღენი შრე—იხ. ტაქტუმი.

გამომუყოფი სისტემა—ექსკრეტორული სისტემა; ორგანოთა სისტემა, რომელთა საშუალებით ხდება ნივთიერებათა ცვლის საბოლოო პროდუქტების გამოყოფა.

გამონი—ნივთიერებაანი, რომლებიც იწყვენ ორ სასქესო უჯრედს (გამეტას) შორის სქესობრივ პროცესს, რასაც განყოფიერება მოსდევს. ანსხვებენ: გინოგამონს (ნივთიერება, რომელსაც კვერცხუჯრედი გამოყოფს) და ანდროგამონს (განყოფიერების გამართბითი კომპლექსური ნივთიერება).

გამონტი—1. უჯრედი, რომლიდანაც წარმოიქმნება გამეტები (იგივეა რაც გამეტოციტი). 2. ინდივიდი, რომელიც მრავლდება სქესობრივად და გამეტებს წარმოქმნის.

გამონტოვაშია—ორი გამონტის სქესობრივი შეერთება, როდესაც წარმოიქმნება ან ნორმალური გამეტები, ოთხ ნაწილად დაყოფის გზით, ან კონიუგაციისას ადგილი აქვს მხოლოდ გამეტების ბირთვის გაცვლას, პირველ შემთხვევაში კომპლირებენ გამეტები წვეილ-წვეილად, მეორე შემთხვევაში კი — გამეტების ბირთვები. თუ გამონტოვაშიაში მონაწილეობს მორფოლოგიურად ერთნაირი გამონ-

ტები ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იზოგამონტრასთან; ხოლო თუ გამონტები მორფოლოგიურად განსხვავდებიან შაშინ — ანიზოგამონტრასთან.

გამოსაჩეცი პარკი—ზოგიერთი უმდაბლესი კიბოსნაირის (მაგ., დაფნიები) ზურგის მხარეზე კიტინოვანი საფარველის ქვეშ არსებული ღრუ, რომელშიც კეერცხები თავსდება.

გამოტანის კონუსი—რიყის ქვისა, კენკებისა და სხვა მონამტერევი მასალის დანაგრევები, რომელიც გამოტანილია მთის ნაკადულებითა და მდინარეებით და დაღუპილია დამკრეცი ნახევარკონუსის სახით ხეობის ან ხევის ბოლოში.

გამოფაზა—ბირთვული ციკლის ფაზა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქრომოსომა რედუცირებული რიცხვი; გამოფაზა, ანუ სასიცოცხლო ციკლის პალოიდური ფაზა, იწყება გამეტების წარმოქმნით და მთავრდება მათი შერწყმით. იგივეა რაც პალოფაზა.

გამოყოფა—ექსკრეცია; ორგანიზმიდან ნივთიერებათა ცვლის მეშვეობით უქრეცების გამოდენა, მოცილება.

გამრავლება — ცოცხალი ორგანიზმის მიერ თავისივე მსგავსი შთამომავლობის წარმოქმნა. ირჩევენ სქესობრივ, უსქესო და ვეგეტატიურ გამრავლებას.

გამსვლელი თევზები—თევზების ერთი ბიოლოგიური ჯგუფი. თევზები, რომლებიც ცხოვრობენ ზღვებში, მაგრამ ქვირთის ყრთან და მრავლდებიან მტკნარ წყლებში (თართი, ორაგული და სხვ.) ან პირიქით ცხოვრობენ მტკნარ წყლებში, მაგრამ მრავლდებიან ზღვაში (გველთევზა).

იხ. ბიოლოგიური ჯგუფი თევზებისა.

გამტარი კონა—მცენარის გამტარი ქსოვილების ერთობლიობა, რომელიც ხშირად სხვა სახისა და დანიშნულების ქსოვილებსაც შეიცავს. მის

ძირითად შემადგენელ ნაწილს ფლოემა და ქსილემა წარმოადგენს. ირჩევენ მარტივ და რთულ გამტარ კონას. მარტივი კონა ძირითადად გამტარი ქსოვილისაგან შედგება, ხოლო რთულ კონაში გვხვდება სხვა, მაგ., მექანიკური ქსოვილებიც.

გამტარი ქსოვილი მცენარისა—ქსოვილი, რომლითაც ხდება ნივთიერებათა ხსნარების (გარემოდან შეთვისებული მარტივი აზოტოგანული ნივთიერებებისა და მცენარეში წარმოქმნილი რთული ორგანული ნივთიერებების) მოძრაობა მცენარეში (ფლოემა და ქსილემა).

გამტარობა ორგანიზმისა—ორგანიზმის ქსოვილთა უნარი გაატაროს აგზნება. **გამლიწინებელი**—ესა თუ ის ფაქტორი, რომელიც თავისი მოქმედებით იწვევს გრძობბათა ორგანოების ადექვატურ შეგრძნებას.

განაყოფიერება—მამრობითი და მდედრობითი სასქესო უჯრედების გამეტების შერწყმის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს როგორც ურთიერთ ასიმილაციი, რის შედეგადაც განაყოფიერებული კვერცხი (ზიგოტა) მიიღება.

განაყოფიერება გენერატიული—იხ. გენერატიული განაყოფიერება.

განაყოფიერება ვეგეტატიური—იხ. ვეგეტატიური განაყოფიერება.

განაყოფიერება ნაწილობრივი—იხ. ნაწილობრივი განაყოფიერება.

განაყოფიერება რედუცირებული—იხ. რედუცირებული განაყოფიერება.

განგლიონი — იხ. ნერვული კვანძები.

განგრენა—ცოცხალი ორგანიზმის რომელიმე ქსოვილის, ორგანოს ან სხეულის ნაწილის კვდომა სისხლის მიმოქცევის დარღვევის შედეგად.

განჯური—ბუბულის (ფირნელებში) და ბალნის (ქუძუწოვარ ცხოველებში) პერიოდული, ჩვეულებრივ 2-ჯერ წელიწადში, გაცვენა, ცვლა; შეესატყვისება ქვეწარმელების კანის ცვლას.

განვითარება—ორგანიზმის ან მისი ცალკეული ორგანოს ან ნაწილის ფორმირების პროცესი, რომლის დროსაც ხდება მათი სტრუქტურისა და ფუნქციის თვისობრივი ცვლილება (განსხვავებით ზრდისა — პროცესი, რომელიც უმთავრესად რაოდენობრივი მოვლენებთანაა დაკავშირებული).

განვითარების ფაზები — ონტოგენეზის ეტაპთა გამოვლინება, რაც დაკავშირებულია ცალკეულ ორგანოთა გამომჩენასა და განვითარებასთან.

განივზოლიანი კუნთოვანი ქსოვილი — კუნთოვანი ქსოვილი, რომლის ბოკოები (მიოფიბრილები) შედგება მორიგეობით განლაგებული მუჭი და ნათელი ზოლებისაგან, რაც ქმნის განივზოლიანობის შთაბეჭდილებას. განივზოლიანი კუნთოვანი ქსოვილისაგან შედგება უმეტეს ცხოველთა მამობრავებელი კუნთები; შინაგანი ორგანოებიდან გამოხაყლის წარმოდგენს გულის კუნთი.

განოიდური ქერცლები—უძველესი ძვლიანი თევზებისათვის დამახასიათებელი ქერცლები, რომლებსაც ქონდათ ფენოვანი ძვლოვანი ფუძე და ზემოდან ემალისებრი ნივთიერების—განოიდინის შრე; თანამედროვე თევზებიდან აქვს ზოგიერთ ძვლიან თევზს (მაგ., ჭავშინიანი ქარიყლაბია).

განსაზღვრული ცვალებადობა—იხ. ცვალებადობა განსაზღვრული.

განსხვავებულსპორიანი გვიმრები — წყლის გვიმრების ერთ-ერთი ქვერივი, რომლებიც იწვევთარებენ ორი სახის (დიდი და მცირე ზომის) სპორებსა და სპორანგიუმებს.

განუსაზღვრელი ცვალებადობა—იხ. ცვალებადობა განუსაზღვრელი.

გარდამავალი ფორმები—ფორმები, რომლებსაც თავის აგებულებაში გააჩნიათ ორი სხვადასხვა ტაქსონომიური კატეგორიის ნიშნები და შუალედი ადგილი უკავიათ მათ შორის.

გება—მამრობითი და

მდედრობითი სასქესო უჯრედების შერწყმა, რომელიც ხდება გარეგან გარემოში ე. ი. ორგანიზმს გარეთ (მაგ., თევზებში, ამფიბიებსა და წყლის სხვა ცხოველებში).

გარეგანი გარემო—ყველა გარეგანი პირობის ერთობლიობა, რომელშიც იმყოფება განაყოფიერებელი კვირცხუჯრედი ან ორგანიზმი და გაელუნას ახდენს მისი განვითარების მსვლულობაზე.

გარეგანი მექანიკა—იხ. გარეგანი მოძრაობა.

გარეგანი მოძრაობა ქრომოსომებისა — ქრომოსომთა მოძრაობა დიდ მანძილზე, რის შედეგადაც იცვლება მათი განლაგება, მაგ., ანაფაზში. ამჟებ გაგებით იხმარება ტერმინი „გარეგანი მექანიკა“.

გარეგანი სეკრეციის ჭირკვლები—ჭირკვლები, რომლებსაც სადინარები გააჩნია და მათში გამომუშავებულ ნივთიერება გარეთ ან რომელიმე ორგანოს ღრუში გამოიყოფა. საოფლე, სანერწყვე და სხვ. ჭირკვლები.

გარემო—მდედრობითი ცხოველების ჭკუფი ერთი მამრის გარშემო შეუღლებების წინ პოლიგამურ ცხოველებში.

გარემო პირობები ორგანიზმისა—ერთობლიობა, ყველა იმ პირობებისა, რომელიც გაელუნას ახდენს ორგანიზმზე.

გარიგა—ხელთაშუა ზღვის ოლქის ბუჩქნარების სახელწოდება. მცენარეულობის ტიპი, რომელიც შექმნილია დაბალტანიანი (ბრალუმეტეს 1 მ სიმაღლის) მარადმწვანე ბუჩქებისა და ნახევრადბუჩქებისაგან. უფრო გაერკელებულია გარიგა ბუჩქისებრი მუხის ელფიკატრობით.

გარკოვანება—ციოცხალი ორგანიზმის მფარავი ქსოვილის გაელუნთვა ცილოვანი ნივთიერებით — ეერატინით. გარკოვანებული შრე კანისა—კანის ეპიდერმისის გარეთა შრე.

გახტარაღური ღრუ—იხ. გასტროცელ.

გახტრალური ძაფები — საცეცხები გემონაზარდები, რომლებიც განლაგებულია სციფომედუზის კუქის ჩიბისებრ გამობერილობებზე; დიდი რაოდენობით შეიცავს მსუსხავ და ლორწოვან უჯრედებს.

გახტრეა — პიოთუზური ორჭრიანი ორგანიზმი პირველი კუქნაწლავის ღრუთი, რომელიც განითარდა შედრეის გზით. ე. ჰეკელის პიოთუზის თანახმად წარმოადგენს მრავალუჯრედიანი ორგანიზმების განვითარების საწყის სტადიას.

გახტრიტი — კუქის ლორწოვანი გარსის ანთება.

გახტროვასკულარული სისტემა — დატოტილი მილების (არხების) რთული სისტემა, რომელიც გამოდის საკმლის მომწვებელი ღრუდან და შექრილია სხეულში. დამახასიათებელია ნაწლავღრუანთა ბევრი წარმომადგენლისათვის.

გახტროვასკულარული ღრუ — ნაწლავღრუიანი ცხოველების (პიდრა) სხეულის ღრუ, რომელშიც ხდება საკმლის მოწვება.

გახტროვადები — პოლიპიდები დანამატები, ე. წ. კუქის ტომსიკები, პარკები სიფონოფორების პოლიმორფულ კოლონებში; ემსახურება სიფონოფორების კვებას.

გახტროსტომია — ქირურგიული ოპერაცია კუქში საკვების პირდაპირი შეყვანის (საყლაპავი მილის გვერდის ავლით) მიზნით.

გახტროფორია — იხ. ბლასტოფორია.

გახტროციელი — ჩანასახის საკმლის მომწვებელი პირველი ღრუ განვითარების ორჭრიან სტადიაში (გახტრალა).

გახტრულა — უმეტესი მრავალუჯრედიანი ორგანიზმის ჩანასახის განვითარების ორჭრიანი სტადია, რომელიც მოსდევს ბლასტულის სტადიას. ამ დროს ჩანასახი შედგება ორი ჩანასახოვანი ფურცლისაგან (მრისაგან):

ექტოდერმისა და ენტოდერმისაგან. **გახტრულაცია** — პროცესი, რომლის დროსაც წარმოიქმნება ორჭრიანი ჩანასახი — გახტრულა. ბევრ შემთხვევაში ეს ხდება ბლასტულის ერთი პოლუსის უჯრედების შედრეკით.

გატერია — ქვეწარმავლების ერთ-ერთი ქვეკლასის (Rhynchocephalia — ნისკარტთაიანების) ერთადერთი წარმომადგენელი, რომელიც შემორჩენილია ახალი ზელანდიის რამდენიმე კუნძულზე. დიდი ხნის წინათ გადაშენებულ წინაბრეტან მსგავსების გამო მას „ოცხალ ნამარხსაც“ უწოდებენ.

გაქვავებული ნაშთები — წარსული გეოლოგიური ეპოქების ცხოველთა და მცენარეთა ნაშთები.

გაქვავებული უჯრედები — იხ. სკლერეიდები.

გალიზიანება — რაიმე ფაქტორის ზემოქმედება, რომელიც იწვევს ორგანიზმის მდგომარეობის ამა თუ იმ ცვლილებას.

გალიზიანებადობა — უჯრედის ან ორგანიზმის უნარი უპასუხოს გარემოს ზემოქმედებას.

გალიზიანების ზღვარი — მინიმალური გალიზიანება, რომლის ქვემოთ ორგანიზმის რეაქცია არ ხდება.

გახვევა — იხ. ლიგნოფიკაცია.

გეიტრონოგამია — იხ. ჰეიტრონოგამია.

გილდი — დისპერსიული სისტემა (თხევადი ან გაზისებრი დისპერსიული არით), რომელსაც აქვს მყარი სხეულის ზოგიერთი თვისება: ფორმის შენარჩუნების უნარი, სიმკვრივე, პლასტიურობა, დრეკადობა.

გემინები — იხ. ბივალენტები.

„გემის კია“ — ზღვის ორსაგდულიანი მოლუსკო ტერედოს (Teredo) გვირიდან, რომელიც აკეთებს ხერელებს ხის ხომალდების კორპუსში, ხიმანქებში, და აზიანებს მათ.

გემმა — იხ. ჰემები.

გემო, **გემოვნება** — სპეციფიკური შეგრძ-

ნება, რომელიც წარმოიქმნება სხვადასხვა ნიუთიერებების მოქმედებით გემოვნების რეცეპტორებზე (ენის ღერილზე).

გემოვნების ორგანოები—ორგანოები, რომელთა დახმარებით ხდება გემოვნების გალიზიანების აღქმა.

გემულები—იხ. ჰემულები.

გენეალოგია—1. ცხოველთა ან მცენარეთა ამა თუ იმ ინდივიდის (გვარის, ოჯახის) წარმოშობის ისტორია; 2. გვარის, ტომის ისტორია; საგვარეულო ნუსხა.

გენების დრეფტი—შეჭვარებულ მცირე პოპულაციებში შემჩნეული ტენდენცია, როდესაც პეტეროზიგოტური ლოკუსი იდევნება ამა თუ იმ ალელის პომოზიგოტური ლოკუსით.

გენების ინფილტრაცია—უცხო გენების შეყვანა პოპულაციაში იმ ინდივიდებთან შეჭვარების გზით, რომლებიც არ ეკუთვნის მოცემულ პოპულაციას.

გენების შეკიდულობა—ერთ ქრომოსომში განწყობილ გენებს შორის კავშირი, რაც გამორიცხავს მათ დამოუკიდებელ მემკვიდრეობითობას.

გენების ცენტრები—გეოგრაფიული ოლქები, სადაც კულტურულ მცენარეთა გარკვეული სახეობანი წარმოდგენილია ფორმათა ყველაზე სრული შედგენილობით.

გენეზისი—წარმოშობა, წარმოქმნა.

გენეზიზური—გენეზისთან, წარმოშობასთან დაკავშირებული.

გენეტიკული ორგანოები—იხ. გენეტიკული ორგანოები.

გენეტიკა—1. თაობა, მოდელი; მცენარეთა ან ცხოველთა ერთი გვარის ან სახეობის ყველა წევრი; 2. ცხოველის ან მცენარის სასიცოცხლო პერიოდი დაწყებული მისი განვითარებიდან სქესობრივი სიმწიფის მდგომარეობამდე.

გენეტიკების ცვლა—იხ. თაობათა მორჩეობა.

გენეტიკული ამიტოზი—იხ. ამიტოზი გენეტიკული.

გენეტიკული ბირთვი—გენეტიკული უჯრედის (იხ.) ბირთვი, რომლიდანაც წარმოიქმნება გამანაყოფიერებელი სპერმიების (მამრობითი სასქესო უჯრედების) ბირთვები, მათგან ერთი უერთდება კვერცხუჯრედს, მეორე კი ემბრიონალური პარკის ბირთვის (მეორეულ ბირთვის).

გენეტიკული გამრავლება—იხ. სქესობრივი გამრავლება.

გენეტიკული განაყოფიერება—კვერცხუჯრედისა და სპერმიების ბირთვების შერწყმა ორმაგი განაყოფიერების დროს (მტრანსბურგირი, 1900).

გენეტიკული ორგანოები—სქესობრივი გამრავლების ფუნქციებთან დაკავშირებული ორგანოები.

გენეტიკული, ანუ ჰაპლოიდური პართენოგენეზი—პართენოგენეზის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც პართენოგენეზული ინდივიდები ვითარდება ისეთი კვერცხიდან, რომელშიც მოხდა რედუქცია და გააჩნია აზიგოტური ანუ ჰაპლოიდური ქრომოსომთა რიცხვი.

გენეტიკული ფაზა—იხ. ფენოლოგიური ფაზა.

გენეტიკული უჯრედი—მეიოზის დამთავრების შემდეგ მტერის მარცვლის გაყოფისას წარმოქმნილი ორი უჯრედიდან, პატარა უჯრედი, რომლიდანაც ორი სპერმა (მამრობითი სასქესო უჯრედი) ვითარდება; განაყოფიერების დროს ერთი მათგანის ბირთვი უერთდება კვერცხუჯრედს; მეორის ბირთვი კი მეორეულ ბირთვის (ემბრიონალური პარკის ბირთვის).

გენეტიკული ელოტი—მცენარის ელოტი, რომელზედაც სქესობრივი გამრავლების ორგანოებია განვითარებული.

გენეტიკა—ბიოლოგიური მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ორგა-

ნიშნათა მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებებს.

გენტიკური—გენეტიკისთან დაკავშირებულ.

გენტიკური ანალიზი—ცდების, დაკვირვებებისა და გაანგარიშებათა სისტემა რაც მიმართულია ორგანიზმის ცალკეული ნიშნის მემკვიდრეობის დანადგენად და შესაბამისი გენების თვისებების შესასწავლად.

გენტიკური იზოლატა — გაირავლების უნარის დაკარგვა

გენტიკური ინფორმაცია — ორგანიზმის მემკვიდრეული თვისებები, რომლებიც გენტიკურნი კოდის საშუალებით წარმოადგენილია „ჩანაწერილია“ ჰირონოლოზის დებოქსირებონუციონის შტავას (დნმ) მოლეკულაში.

გენტიკური კოდი—დებოქსირებონუციონის შტავას (დნმ) მოლეკულაში გენტიკური ინფორმაციის „ჩანაწერილია“.

გენტიკური პოლიმორფიზმი — განსხვავებული ფორმების არსებობა პოპულაციაში, რომელიც გაპირობებულა გენტიკური ცვალებადობით.

გენტიკური რუკა — ქრომოსომაში გენების განაწილებისა და მათ შორის მანძილის გრაფიკული გამოსახვა.

გენტიკური სპორალი — ის ძირითადი სპირალი.

გენტიკური სტაბილურობა—გენოტიპის სტაბილურობა ე. ი. გარეგანი გარემოს გამატონებულ პირობებთან კარგად შეგუებული ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის ტენდენცია მოგუდოს ასეთივე გენტიკური კონსტიტუციის მუამრავლობა.

გენტიკური შინაგანი გარემო—ყველა გენის ერთობლიობა გარდა მოცემულ გარეგანი გენისა, რომელიც დააღწას ახდენს გენოტიპზე და შეადგენს შინაგან გარემოს ამ გენის მოქმედებისათვის.

გენტიკური წონასწორობა, თანფარ-

დობა — ერთარება, რომლის დროსაც ალელების განაწილება პოპულაციაში რჩება მუდმივი თაობიდან თაობაში (როცა ადგილი არა იქვს გადარჩევას ან მუტაციას).

გენი—1. ორგანიზმის მემკვიდრეობისა და ცვალებადობის ერთეული; სასქესო უჯრედის (გამეტის) ის მემკვიდრული ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ნიშნის განვითარებას. 2. დნმ-ს ყოველი მონაკვეთი, რომელიც განსაზღვრავს ცილის ერთი მოლეკულის სინთეზს.

გენი შიდაფაქტორი—სხვა გენების მოქმედების შემცველი გენი.

გენი ოპერატორი—გენი, რომელიც განაპირობებს მემკვიდრული ინფორმაციის გადაცემის შეკავებას სტრუქტურული გენიდან ცილაზე.

გენი რეგულატორი—გენი, რომელიც აკონტროლებს სტრუქტურული გენის მოქმედებას.

გენი სტრუქტურული—გენი მატრიცა, რომელზედაც ხდება ინფორმაციული რნმ-ს სინთეზი.

გენის ლოკუსი—გენის ადგილსამყოფელი ქრომოსომაში.

გენიტალური—სასქესო; სქესობრივი, სპერმოზოარი.

გენიტალური პარკები—სასქესო სისტემის ორგანოები (გონადები) ზოგიერთ ქიებში (ნემერტინებში).

გენიტალური სეგმენტი—ნიჩაბუფიანიების (ციკლოპი) სასქესო სეგმენტი, რომელზედაც მოთავსებულია თესლმომღები, სადაც სპერმატოზოონები თავსდება.

გენოგენეზი — კვარცხუჯრედის განვითარების ფორმა, როდესაც კვარცხის დაყოფა წარმოებს სპერმატოზოიდის მიჩოზის გარეშე; ახასიათებს ზოგიერთი მრავალ ქიასა და თევზს.

გენოფიზი ის, თიპი.

გენოვარსი—იხ. გენური მუტაცია.

გენოეკოლოგია—მოძიერება ეკოლოგიისა და გენეტიკის კავშირის შესახებ.

გენოკოპია—მოვლენა, რომლის დროსაც სრულიად სხვადასხვა გენები და მუტაციები წარმოქმნიან ერთნაირი ნიშნების ერთობლიობას.

გენოში—ქრომოსომა პალოიდური ანაწყობი მასში ლოკალიზებული მემკვიდრეობითი ფაქტორების — გენების სრული კომპლექტით.

გენოტიპი—ორგანიზმის მემკვიდრეობითობის საფუძველი; ორგანიზმის ყველა გენის ერთობლიობა, რომელიც მოიცავს მის შთლან მემკვიდრეობითობის ინფორმაციას.

გენოტიპური გარემო—გენოტიპურ გარემოში იგულისხმება, მოცემულ გენოში შემავალი ყველა გენის ერთობლიობა, რომელთა ურთიერთმოქმედება გავლენას ახდენს მოცემული გენის ეფექტზე. გენოტიპური გარემო განსაზღვრავს მოცემული გენების პირველადი ეფექტის იმ ხარისხს, რომელიც აუცილებელია ნიშანთა განვითარების გარკვეული საფეხურისათვის.

გენოფენი—ერთი და იგივე გენოტიპის რეაქციის ტიპი.

გენოფონდი—პოპულაციის გენთა ერთობლიობა.

გენური თეორია—ამ თეორიის თანახმად გენი წარმოადგენს მემკვიდრეობითობისა და სიცოცხლის ერთეულს.

გენური მუტაცია—მუტაცია, რომელიც ცალკეული გენის თვისობრივ ცვლილებას წარმოადგენს; დაკავშირებულია ქრომოსომების აგებულების ისეთ ცვლილებებთან, რომელთა დანახვა მიკროსკოპში არ შეიძლება, მას შიდაგენურ მუტაციასაც უწოდებენ.

გენური ხტერიდურობა — სტერილურობის მოვლენა, რომელიც გამოწვეულია გარკვეული გენებით ან გენური მუტაციებით.

გეობოტანიკა—ბოტანიკის დარგი, რომელიც

მელიც სწავლობს მცენარეულ საფარს; მცენარეული თანასაზოგადოების (ფიტოცენოზი) აგებულებას, შედგენილობას და განვითარებას ნიადაგობრივ, კლიმატურ და სხვა ფაქტორებთან დაკავშირებით.

გეოგრაფიული ელემენტი ფლორისა—სახეობათა ჯგუფები ცოტად თუ ბევრად თანხვედნილად განლაგებული არეალებით. მათი დადგენა ხდება თანამედროვე არეალების საფუძველზე. სსრკ ფლორისათვის დადგენილია ფლორის შემდეგი ელემენტები: არქტიკული, ბორეალური, შუაევროპული, ატლანტიკური, პონტიის, სარმატული, ხმელთაშუა ზღვის, წინააზიური, ცენტრალურაზიური, ირანის, თურანის, მანჭურიის, კავკასიური.

გეოგრაფიული ვიკარიატი—სისტემატიკურად ახლოს მდგომ ორგანიზმთა ჯგუფების ურთიერთ შენაცვლება დედამიწის სფეროს სხვადასხვა ნაწილში.

გეოგრაფიული იზოლაცია—მონათესავე ორგანიზმთა ჯგუფის გამოყოფა საერთო გარემოდან ზღვის, მდინარის, მთის და ა. შ. შემეფებით.

გეოგრაფიული პოპულაციები—სახეობის არეალის ფარგლებში არსებული პოპულაციები, რომლებიც გარკვეულ გეოგრაფიულ საზღვართანა დაკავშირებული.

გეოგრაფიული რახა—ერთი სახეობის ლოკალური პოპულაციები, რომლებიც დასახლებულია სხვადასხვა სიდიდის ტერიტორიაზე და კარგადაა ერთმანეთისაგან გამოიწნული.

გეოთერმული გრადიენტი—მთის ქანების ტემპერატურის მატება გრადუსებში დედაიწის სიღრმეში ჩასვლისას ყოველ 100 მეტრის სიღრმეზე.

გეოკაპია — განაყოფიერების შემდეგ, ზოგიერთი მცენარის ნასკვის ჩაზრდა. ნიადაგში, სადაც ხდება ნაყოფის განვითარება; წარმოადგენს ნაყოფის გავრცელების ერთ-ერთ საშუალებას.

(დამახასიათებელია, მაგ., არაქისის—
მიწის თხილისათვის).

გეომერია — დედამიწაზე დასახლებუ-
ლი ცოცხალი ორგანიზმების ერთობ-
ლიობა.

გეოხინკლინი—დედამიწის ქერქის მოძ-
რავი არე, რომელშიც ტექტონური
მოძრაობანი და მაგმური მოვლენე-
ბი გამოირჩევა დიდი ინტენსივობით.

გეოხფერობა—სხვადასხვა სიმკვრივი-
სა და შედგენილობის კონცენტრული
გარსები, რომელთაგანაც შედგება
დედამიწის სფერო. ასეთებია: ბაისი-
ფერო, ლითონფერო, ჰიდროსფერო
და ატმოსფერო. სამი უკანასკნელი
სფეროს ფარგლებში გამოყოფენ ბიო-
სფეროს.

გეოტროპიზმი—მცენარის ორგანოების
თვისება მიიღონ გარკვეული მდგო-
მარობა დედამიწის მიზიდულობის
ცალმხრივი მოქმედების გავლენით;
ფესვები ჩვეულებრივ მიისწრაფვის
ქვევით (დადებითი გეოტროპიზმი),
ღერო — ზევით (უარყოფითი გეო-
ტროპიზმი).

გეოფილია—ზოგიერთი მრავალწლოვან-
ი ბალახოვანი მცენარის ფესვის ან
ყლორტის (მოზამორე ნაწილების)
უნარი რაც შეიძლება მეტ სიღრმე-
ზე ჩავიდეს და ჩაიზარდოს ნიადაგ-
ში. (ხახვი, ჩიტისთავა, ტიტა და სხვ.).

გეოფიტბა—მრავალწლოვანი ბალახო-
ვანი მცენარეები, რომელთაც განახ-
ლების კვირტები ჩამალული აქვთ
ნიადაგში (მროშანასებრთა წარმო-
მადგენლები, ფესურაიანი მარცვლოვ-
ნები და სხვ.).

გეოცენტრიზმი—გეოცენტრული სის-
ტემა სამყაროსი.

გეოცენტრული სისტემა სამყაროსი —
მეცნიერების მიერ უკუგდებული
მდარი შეხედულება, იმის შესახებ,
რომ დედამიწა წარმოადგენს სამყა-
როს უძრავ ცენტრს და მის გარშე-
შო მოძრაობენ მზე და სხვა მნათო-
ბემა.

გეოკლმინთობა—პარაზიტი კიები, რო-
მელთა განვითარების ერთ-ერთი
სტადია მიმდინარეობს მიწაში.

გერმა—ბუმბული, რომლის მარაო არ
ქმნის შეკრულ მკვრივ ფირფიტას;
„ფრინველის თიფთიკი“ (საბა); რბი-
ლი, წმინდა ბუმბული; ლინლი
(უმთაერესად ბატისა) — ყურთუჯი.
გერში—ინფექციური ბაქტერიოფაგის ნა-
წილი, რომელიც წარმოადგენს მისი
(ბაქტერიოფაგის) გენეზისური უწყ-
ვეტობის მატერიალურ საფუძველს.
საეარაუდოთ ეს არის ბაქტერიოფა-
გის ნუკლეინის მკაეა.

გეროზოლოგია — მეცნიერება სიცო-
ცხლის გახანგრძლივების შესახებ.

გეხვ თვალაკება—ლანცეტას შუქმგარ-
ნობიერი (მხედველობის) ორგანოები,
რომლებიც განლაგებულია ნერვულ
შილში და შედგება შუქმგარნობიე-
რი და პიგმენტური უკრედებისაგან.

გეფიროცერკალური კუდი—თევზის კუ-
დი, რომლის ბოლოში, კულის ფარ-
ფლის ადგილზე, განლაგებულია ზურ-
ვისა და ანალური ფარფლის წამოზრ-
დილი ნაწილები.

გვალვა—ტენის ნაკლებობა მცენარისათ-
ვის, რაც ჩვეულებრივ გამოწვეუ-
ლია: დიდი ხნის განმავლობაში წვი-
მის მოუსვლელობით, ჰაერის მაღა-
ლი ტემპერატურით, მისი შეფარ-
დებითი ტენიანობის სიმცირით და
მკირე ღრუბლიანობით. გვალვის
მთავარი მიზეზია ცივი და მშრალი
არქტიკული ჰაერის შემოჭრა, რო-
მელიც გზადაგზა თანდათანობით გათ-
ბობის შედეგად უფრო მშრალი ხდება.

გვალვაგამძღობა—მცენარის გვალვი-
სადმი შეგუების უნარი, რაც გაიი-
რობებულია რიგი მორფოლოგიურ-
ფიზიოლოგიური თავისებურებით
(ფოთლის ფირფიტის შედამირის
სიმცირე; მძლავრი, ღრმა ფესვთა სის-
ტემა, შედარებით მაღალი ოსმოსუ-
რი წნევა და სხვ.), რომელიც გამოუ-
მუშავდა მცენარეს ევოლუციის პრო-

ესში გარემო პირობების ზემოქმედების შედეგად.

გვართაშორისი ჰიბრიდი—ჰიბრიდი, რომელიც მიღებულია სხვადასხვა გვარის სახეობების ორი ინდივიდის შეჯვარების შედეგად.

გვარი—მცენარეთა და ცხოველთა სისტემატიკური კატეგორია, რომელიც აერთიანებს ახლოს მდგომ სახეობებს და წარმოადგენს ოჯახის ნაწილს.

გვერდელა, მრუდე მერქანი—არანორმალურად ძლიერ განვითარებული ახალგაზრდა მერქნის ნაწილი, რომელიც წარმოქმნილია ქარის, თევლის ზევისა და სხვა ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება წიწვოვანებში.

გვერდითი კვირტები—ფოთლის უბეში მკდომარე კვირტები, რომლებიც ჩვეულებრივ თითო-თითოდაა, ზოგჯერ კი რამდენიმე ერთადაა განლაგებული. მათ უბის კვირტებსაც უწოდებენ.

გვერდითი მერისტემა — იხ. ლატერალური მერისტემა.

გვერდითი ფეხვები—მთავარი ფესვის განშტოებები.

გვერდითი ხაზი—წყალში ორიენტირების ორგანო; დამახასიათებელია თევზებისათვის და წყალხმელეთა ცხოველების, მაგ., ბაყაყის თავკომბალბიოსათვის. მისი საშუალებით თევზი გრძნობს წყლის დინების მიმართულებას და სხვადასხვა საგნებთან მიახლოებასაც. დიდი მნიშვნელობა აქვს თევზისათვის ღამით ან მღვრივ წყალში მოძრაობის დროს.

გვირგვინი ყვავილი—ორმაგი ყვავილსათვის შიგნითა წრე; ჩვეულებრივ შეფერილია სხვადასხვა ფერად. როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ლამაზაკობენ ყვავილზე, მხედველობაში აქვთ სწორედ გვირგვინი.

გვირგვინის გადაწაღვა—ყვავილის გვირგვინის ფურცლების ზედა შეუზრ-

დელი ნაწილი ფურცლებზეზრდილ გვირგვინში.

გვირგვინის შილი—ფურცლებზეზრდილი გვირგვინის ქვედა ნაწილი.

გვირგვინის ფორფიტა—ყვავილის გვირგვინის ფურცლების ზედა გაფართოებული ნაწილი.

გვირგვინის ფრჩხილი—ყვავილის გვირგვინის ფურცლების ქვედა შევიწროებული ნაწილი.

გვირგვინის ფურცლები — მცენარის ყვავილის გვირგვინის შემადგენელი ნაწილი.

გვირგვინის ხაზა—მილისებრ ფურცლებზეზრდილი გვირგვინის მქონე ყვავილის ის ადგილი, სადაც გვირგვინის მილი გადადის გადაწაღვაში.

გვირგვინისებრი ყვავილსაფარი—კაშკაშად შეფერილი მარტივი ყვავილსაფარი, რომელიც გვირგვინს ჰკავს; მაგ., ტიტას, ფურისულას, ენძელას და სხვა.

გვირგვინოვანი ნაქერი—კბილოვანი ნაქერი შუბლის ძვალსა და თხემის ძვლებს შორის.

გზადმოყოლილი მცენარეები—იხ. ადვენტიური მცენარეები.

გიბერელინი—იხ. ჰიბერელინი.

გიგანტიზმი—ადამიანის ან ცხოველის მთელი სხეულის ან მისი რომელიმე ნაწილის არანორმალურად ძლიერ ზრდა, რაც გამოწვეულია ჰიპოფიზის მიერ ჰორმონის ქარბი გამოშეშეებით.

გიგანტოზავრი — გადაშენებულ ქვეწარმავალი დინოზავრების ჯგუფისა, რომლის სიგრძე 35 მ-მდე აღწევდა.

გიგანტოპითეცე—ადამიანის მსგავსი, დიდი ზომის, ნაპარხი მაიმუნი, რომელიც ცნობილია სამხრეთ ჩინეთიდან.

გიგანტოსტრაქები—გიგანტური კიბომორიელები; ზღვის ფსკერის დიდი ზომის (2 მ-მდე სიგრძის) ნაკლებად მოძრავი, გადაშენებული ფეხსახსრიანი ცხოველები. ცხოვრობდნენ პალეოზოურ ერაში.

გიგანტური ლეიკოციტები—იხ. მონოციტები.

გიგანტური ფორმები—გენეტიკურად შეპირიებული გოლიათი ფორმები მცენარეებსა და ცხოველებში. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გიგანტური ფორმების წარმოქმნის მიზეზი შეიძლება იყოს: 1. უჯრედების რიცხვის გაზარდა მათი ნორმალური სიდიდისას. 2. უჯრედების ზომის გადიდება მათი რიცხვის შეუმცირებლად, რაც გაპირობებულია პოლიპლოიდიზაციის პროცესით და ა. შ.

გიგანტური ქრომოსომები—დიდი ზომის (250 მკ. სიგრძის და 15 — 25 მკ სიგანის) ქრომოსომები ორფრთიანთა ზოგიერთი ქსოვილის უჯრედის ბირთვებში.

გიმნოლახტი—უჯრედი, რომლის პროტოპლაზმას არ გააჩნია გარსი და არასდროს იღებს საბოლოო ფორმას. ის შემოფარგლულია, მხოლოდ უხეში, მემბრანისებრი პლაზმატური შრით.

გიმნოციტი—უჯრედი, რომელსაც არ აქვს ნათლად გამოსახული გარსი.

გინანდრი—ქალი, რომელსაც აქვს მამაკაცის მეორეული სსსქესო ნიშნები (ბალანი სახეზე, ვიწრო მენჯი და სხვ.).

გინანდრიული მტკრიანები—ბუტკოსთან შეზრდილი მტკრიანები (მაგ, ძირმწარისებრთა ოჯახის წარმომადგენლებში).

გინანდრომორფები ლატერალური — იხ. ლატერალური გინანდრომორფები.

გინანდრომორფიზმი—სქესობრივი ანომალია, რომელიც გვხვდება მწერებში და აპირობებს მოზაიკური ინდივიდების განვითარებას. ასეთი ინდივიდების სხეულის ერთი ნაწილი წარმოადგენს ნორმალურ მამრობითისას, ხოლო მეორე — მდედრობითისას. ქრომოსომთა ანაწყობიც უჯრედებში ასევე მოზაიკურია.

გინეამონი—იხ. გამონი.

გინეანდრული თავთავი—თავთავი, რომელშიც მამრობითი ყუავილები თავთავის ქვედა ან შუა ნაწილშია განვითარებული, მდედრობითი კი — ზედა ნაწილში.

გინეოლოგია—მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ქალის ორგანიზმის თავისებურებებს, სასქესო ორგანოების დაავადებებსა და მათ მკურნალობას.

გინეოსპერმიები—სპერმიები, რომლებიც განსაზღვრავენ მდედრობით სქესს.

გინეოფორული არხი—ზოგიერთი მწოველა ქიის (სისხლის მწოველა) მამრობითი ცხოველის სხეულის მუცლის მხარეზე მდებარე ღრმა, სიგრძივი ნაოჭი, რომელშიც მოთავსებულია მდედრობითი ცხოველი.

გინეციტში—ყუავილის მდედრობითი ნაწილების ერთობლიობა; წარმოადგენს ნაყოფის ფოთლების ანუ გასპოროფილების კომპლექსს, რომელიც ქმნის ერთ ან რამდენიმე ბუტკოს; ფარულთესლოვან მცენარეთა მდედრობითი სასქესო ორგანო.

გინოპტოსომი—აუტოსომი, რომელშიც ლოკალიზებულია მდედრობითი სქესის განმსაზღვრელი გენები.

გინობაზური ხვეტი—ყუავილის სვეტი, რომელიც გამოდის ნასკვის ძირიდან, და არა წყვრიდან.

გინოგამეტა—მდედრობითი გამეტა, რომელსაც მაკროგამეტასაც უწოდებენ.

გინოგამური ზიგოტა—ზიგოტა, რომლის ციტოპლაზმა მხოლოდ დედისეული წარმოშობისაა.

გინოგენეზი — ჩანასახის განვითარება მხოლოდ კვერცხუჯრედის ბირთვისა და პლაზმისაგან. ამ დროს მამრობითი გამეტა (სპონტანურად ან ექსპერიმენტალურად ინაქტივირებული ბირთვით) მართალია შეაღწევს კვერცხუჯრედში, ააქტიურებს კიდეც მის

დაყოფას, მაგრამ განვითარებაში არ მონაწილეობს.

გინოლიცია— ერთი სახეობის ინდივიდთა ერთ ნაწილზე ორსქესიანი ყუავილების, ხოლო სხვა ეგზემპლარებზე მართო მდებარებითი (ბუტკოიანი) ყუავილების არსებობა (მაგ., კესანეს, ურცის და სხვა).

გინომეროგონია—ჩანასახის განვითარება კვერცხუჯრედის ფრაგმენტებიდან, რომელიც შეიცავს ბირთვის, მაგრამ ეს უქანასკნელი მამრობით ბირთვთან არ არის შერწყმული, ე. ი. როდესაც ჩანასახი ვითარდება მხოლოდ მდებარებითი ქრომოსომების მონაწილეობით.

გინომონეცია—ერთი და იმავე მცენარეზე როგორც ორსქესიანი, ისევე მართო მდებარებითი (ბუტკოიანი) ყუავილების არსებობა (კვხვდება რთულყუავილოვანთა ბევრ წარმომადგენელში).

გინობსორია—იგივე რაღ მკროსპორია; მდებარებითი სპორა.

გინობსოროგენეზი—იგივეა რაღ მკროსპოროგენეზი.

გინობტეგოზმი — მტერიანებისა და ბუტკოს შეზრდის შედეგად წარმოქმნილი თავისებური სხეული (სეეტი). წარმოადგენს ერთგვარ სამარჯეს ჭვარდინის დამტვერვისათვის. დამახასიათებელია ღვედკეცისებრთა ოჯახის წარმომადგენლებისათვის.

გინობტემიოზმი—სეეტისებრი გამსხვილება, რომელიც წარმოქმნილია მტერიანის ძაფების შეზრდით ბუტკოს სეეტთან (ქადვარისებრთა წარმომადგენლებში).

გინოფორია—ანდროცეუმსა და გინეცეუმს შორის, ფეხის მსგავსად, წაგრძელებული ყუავილსაჭლომის ნაწილი, რომელზედაც ზის ბუტკო (კაპარის ყუავილში).

გინოპერმაფროდიტი — ორსახლანი სახეობის მცენარე, რომელსაც სრულიად განვითარებულ ბუტკოსთან

ერთად გააჩნია რამდენიმე რედუცირებული მტერიანა. ამ სახეობის მამრობით მცენარეს კი პირიქით, ყოველთვის მართო მტერიანები გააჩნია. გინოპერმაფროდიტები წარმოადგენენ ე. წ. მეორად ჰერმაფროდიტებს.

გიოსტილია—იხ. პიოსტილია.

გიოსოფიტები—მცენარეები, რომლებიც ცხოვრობენ თაბაშირიან ნიადაგებზე. გიროდონტილემი—თევზების დაავადება, რომელსაც იწვევს მათ კანში და ლაყუჩებში დასახლებული, ზოგიერთი პარაზიტი ბრტყელი ჭია.

გირჩა—სპოროფილების ერთობლიობა შიშველთესლოვან მცენარეებში. არჩევენ მდებარებით და მამრობით გირჩებს.

გირჩიხებრი ჭირკვალი— იხ. ეპიფიზი I.

გლანდები—სასის ნუშისებრი ჭირკვლები (სასაუბრო მეტყველებაში სასის გადილებული ნუშისებრი ჭირკვლები);

გლაუტომა—თვალის შიშვე დაავადება, რაღ მდგომარეობს თვალის შიდა წნევის გადილებაში; ხშირად იწვევს დაბრმავებას.

გლაციოლოგია—მეცნიერება, ყინვარების თვისებების, განვითარებისა და მოქმედების შესახებ.

გლება—ბაზიდიოლური სოკოების (გასტერომიცეტების რიგი) ნაყოფსხეულის ფაშარი ქსოვილი, რომლის შიგნითა მხარე ბაზიდიუმებითაა მოფენილი.

გლია—ცენტრალური ნერვული სისტემის შუამდებარე (საყრდენი) ქსოვილი.

გლიაღინი — პროლაჰინების ჭვუფის ცილა, რომელსაც შეიცავს ხორბლისა და ჭვავის თესლები.

გლიკეზია—უზრძნის შაქრის (გლუკოზის) არსებობა სისხლში.

გლიკოგენი—ცხოველური სახამებელი; ძირითადი სამარაგო ნაბშირწყალი (პოლისაქარიდი), რომელიც გვხვდება ადამიანისა და ცხოველის ორგანიზ-

მის ყველა უჯრედში. მისი მარაგად დაკრევაბა უმთავრესად ხდება ღვიძლში, ნაწილობრივ კი კუნთებში. გლიკოგენი გვხვდება აგრეთვე ზოგიერთ სოკოში, ლურჯმწვანე წყალმცენარეებსა და ბაქტერიებში.

გლიკოზურია—ორგანიზმისად შაქრის გამოყოფა შარდთან ერთად.

გლიკოლიზი—ნახშირწყლების (გლიკოგენის) ანაერობული დაშლა უფრო მარტივ შენაერთებად ნივთიერებათა ცელის პროცესში; წარმოადგენს ყველა სახის ღვლილის აუცილებელ პირველ საწყის ეტაპს და აგრეთვე აერობული სუნთქვის პირველ (ანაერობულ) ფაზას.

გლიკოპროტეიდები—იხ. გლუკოპროტეიდები.

გლიკოფიტები—მტკნარი ნიადაგებისა და წყალსატევების მცენარეები; გლიკოფიტებად ჩვეულებრივ თვლიან ისეთ მცენარეებს, რომლებიც ვერ ხარობენ 0,5%-ზე მეტ მარილის შემცველ სუბსტრატზე.

გლიკოპალაოფიტები—პალაოფიტები, რომელთათვისაც დამახასიათებელია ფესვის უჯრედებში მარილისათვის ნაკლებად შეღწეული პროტოპლაზმა; ამ მცენარეებში ოსმოსური წნევის აუცილებელი ოდენობა წარმოიქმნება ხსნადი შაქრების დაკრევის შედეგად (მაგალითად ზღვის აუშანი).

გლიკოპალაოქსეროფიტები—იხ. გლიკოპალაოფიტები.

გლობოგერინული ღამი—ზღვის ფსკერის დანალექი, რომელიც წარმოქმნილია ზღვის ძირფეხიანთა (გლობოგერინების) ნიჟარებისაგან.

გლობინი—ჰემოგლობინის ცილოვანი ნაწილი, რომელზედაც მოდის ჰემოგლობინის საერთო წონის 96%.

გლობოიდები—სფერული ფორმის, რთული შენაერთების მქონე ჩანარები; ოლეოონის მარცვლები; ძირითადად შედგება ფიტინისაგან.

გლობულარული ცილები—ცილები, რომელთა მოლეკულებს აქვს სფეროსებრი ან ელიფსური ფორმა.

გლობულუმი—კაუჩუკის სფეროსებრი, ჩხირისებრი ან ქინძისთავისებრი ნაწილაკები, რომლებსაც შეიცავს კაუჩუკოვანი მცენარეების რქეწვენი.

გლობულინი—თაროდ გავრცელებული ცხოველური და მცენარეული ცილები. არჩევენ გლობულინების 2 ქვეჯგუფს: გამოხილ წყალში ხსნად და უხსნად გლობულინებს. პირველ ქვეჯგუფს ეწოდება ვუგლობულინი, მეორეს — ფსევდოგლობულინი.

გლობულინი—სისხლის პლაზმის ცილების ქგუფი; ზოგი მათგანი (ვამპლობულინი) ანტისხეულს წარმოადგენს.

გლოსოპტერული ფლორა—გადაშენებული ფლორა, რომელიც გავრცელებული იყო ქვანახშირის პერიოდსა და ტრიასის პერიოდის დასაწყისში სამხრეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში.

გლოქიდები—1. წყლის ზოგიერთი გვიმრის (სალვინოაისებრთა ზოგი წარმომადგენელი) მიკროსპორების ზედაპირზე წარმოქმნილი კაუქები, ლუზისებრი ქიციები; 2. მტკნარი წყლების ორსაგდულიანი მოლუსკების (მაგ., უკბილო) ღარვა.

გლუვი კუნთოვანი ქსოვილი—კუნთოვანი ქსოვილის ერთ-ერთი სახე, რომელიც შედგება თითისტარისებრი ფორმის უჯრედებისაგან; გვხვდება ნაწლავის მილის, სისხლის და ლიმფის ძარღვების, სასუნთქი გზებისა და სხვა ლულისებრი ორგანოების კედელში. ვითარდება მეზენქიმიდან.

გლუკოზა—უჯრედის შაქარი; მეტად გავრცელებული მონოსაქარიდი ჰექსოზების ქგუფიდან, რომელსაც ალდეჰიდის ქგუფი გააჩნია. თავისუფალი სახით გვხვდება ყველა მწვანე მცენარეში; შედის უჯრედანას, სახამებ-

ლის, მალტროზას, სახაროზას და სხვ. რთული ნახშირწყლების შემადგენლობაში. წარმოადგენს ძვირფას საყვებ ნივთიერებას.

გლუკოზიდები—ნივთიერებათა ჯგუფი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს შაქრისა (ჩვეულებრივ გლუკოზას) და რომელიმე, არანახშირწყლოვანი ბუნების მქონე ნივთიერების (მაგ., სპირტის) შენაერთს. გვხვდება ბევრ მცენარეში და ზშირად მათ მწარე გემოს აძლევს (მაგ., ამიგდალინი, სადანინი და სხვა).

გლუკოზურია—იხ. გლიკოზურია.

გლუკოპროტეიდები—რთული ცილები, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენენ ცილების შენაერთს ნახშირწყლებთან; გლუკოპროტეიდებს ეკუთვნის; მაგ., მუცინები.

გლუკოფიტები—იხ. გლიკოფიტები.

გლუტამინი—გლუტამინოვანი შეავას ამიდი, რომელიც ასპარაგინის მსგავსად, დიდ როლს ასრულებს აზოტოვანი ნივთიერებების გარდაქმნაში.

გლუტათიონი — ტრიპეპტიდი, რომელიც შედგება ცისტეინის (გოგირდის შემცველი ამინომჟავა), გლიკოკოლისა და გლუტამინოვანი მჟავებისაგან. მონაწილეობს ენჯეა-აღდგენით პროცესებში.

გლუტელინები—მარტივი ცილების ჯგუფი, რომელიც იხსნება სუსტი ტუტეების ხსნარში. გვხვდება მარცლოვანთა თესლებში და მრავალი მცენარის ფოთლებში.

გლუტენინი—გლუტელინების ჯგუფის ცილა, რომელსაც შეიცავს ხორბლის მარცვალი.

გლუტინანტები—ნაწლავრუიანი ცხოველების მუსხსავე კაფსულის ერთერთი სახე.

გმელინის ცხენი—გარეული ცხენის სახეობა, რომელიც გავრცელებული იყო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუახანებში სამხრეთ-რუსეთის სტეპებში.

გნატოქილარიუმი—ზოგიერთი მრავალფეხას ქვედა ტუჩი.

გნენიოგამია—განაყოფიერება. იმავე სახეობის ინდივიდით.

გოგირდბაქტერიები—ბაქტერიები, რომლებიც გოგირდწყალბადს ენჯევენ გოგირდმჟავამდე.

გოგირულა—ენჯირისებრი ნაყოფი, რომელსაც აქვს მაგარი, ზშირად გახვეებული, ეგზოკარპიუმი (გოგირის, ნესვის, კიტრის, სახამთროს და სხვ. ნაყოფი).

გოლჯის ბაღიხებრი აპარატი—იხ. გოლჯის აპარატი.

გოლჯის აპარატი—უჯრდის ორგანოიდი, რომელიც ბირთვის ირგვლივა ვანლაგებული და ჩვეულებრივ აქვს ბადისებრი, ჩხირისებრი ან მარცვლისებრი ფორმა. მისი ფუნქცია მთლიანად არ არის ჯერ გამოკვეული, მაგრამ დადგენილია, რომ ის დაკავშირებულია სხვადასხვა ნივთიერების დარეგებასა და უჯრდიდან გამოყოფასთან; (იმ მეცნიერის სახელის მიხედვით, ვინც პირველად აღმოაჩინა).

გოლჯიოგენეზი—გოლჯის აპარატის წარმოქმნა და ონტოგენეზური დიფერენციაცია.

გოლჯიოკენეზი—გოლჯის აპარატის დაყოფა კარიოკინეზის დროს.

გოლჯიოსომა — კარიოკინეზის დროს გოლჯის აპარატის დაყოფის შედეგად წარმოქმნილი ნაწილაკები. მათ დიქტიოსომებსაც უწოდებენ.

გომოზი—იხ. გუმოზი.

გონადები—სასქესო სისტემის ორგანოები (სათესლეები და საკვერცხეები), რომლებშიც მიმდინარეობს სასქესო უჯრედების ფორმირება; ზშირად მათ არასწორად სასქესო ჯირკვლებს უწოდებენ.

გონადორაჟული ჰორმონი—ჰიპოფიზის წინა ნაწილის ერთ-ერთი ჰორმონი, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანისა და ხერხემლიანი ცხოვე-

ლებს სასქესო სისტემის განვითარებაზე და ფუნქციაზე.

ჯონანვიში—კოლონიური ჰიდროიდული პოლიპის სპეციალიზირებული, წაგრძელებულ-კვერცხისებრი, რეპროდუქციული გამონაზარდი, რომელშიც უსქესო გამრავლების — დაკვირტვის გზით წარმოიქმნება ჰიდროიდული ცალსქესიანი მეღუზეები.

ჯონიდები—უჯრედები, რომელთაც აქვთ ფაქულტატურად უსქესო გამრავლების უნარი.

ჯონიდიალური შრე—ჰეტერომერული მლიერების თალუსის ის შრე, რომელშიც თავმოყრილია წყალმცენარეები.

ჯონიდოუმები—1. წყალმცენარეთა უჯრედები, რომლებიც განლაგებულია ჰეტერომერული მლიერების სხეულში. სახელწოდება „ჯონიდოუმი“ დაკავშირებულია მცდარ წარმოდგენაზე, რომელიც ჰქონდათ ამ უჯრედების შესახებ. კერძოდ ეს უჯრედები განიხილებოდა მლიერების გამეტებად. 2. უჯრედები, რომელთა საშუალებითაც ხდება ზოგერთი ლურჯ-მწვანე წყალმცენარისა და ძაფისებრი ბაქტერიების უსქესო გამრავლება. 3. წყალმცენარებისა და სოკოების სპორის მოძველებული სახელწოდება.

ჯონიბი—პირველადი მამრობითი ან მდედრობითი სასქესო უჯრედი, რომელიც დამახასიათებელია გამეტოგენეზის მსვლელობის დროს გამრავლების პერიოდისათვის.

ჯონიზობლასტები—წითელი წყალმცენარეების განაყოფიერებული კარპოგონიდან წარმოქმნილი დატოტივილი ძაფები, რომლების განტოტებებზე კარპოსპორები ვითარდება.

ჯონიუმი—იხ. გონიები.

ჯონოგამეტა—გონიები, რომლებიც ასრულებენ გამეტის ფუნქციას ბირთვის ნორმალური გაყოფის დროს, ან დიპლოიდურ სომაში იმ შემთხვევა-

ში, როდესაც არა გვაქვს თაობათა ცვლა.

ჯონოგენეზი—გონებისა და სასქესო უჯრედების წარმოქმნის პროცესი.

ჯონოზოიდები—სიფონოფორების (ჰიდროიდული, ნაწლავლურიანთა ერთერთი ქვეკლასი) კოლონიის ცალკე წარმონაქმნები, რომელშიც ხდება მამრობითი ან მდედრობითი სასქესო უჯრედების ფორმირება.

ჯონოზოოსპორა—ზოოსპორა რომელიც წარმოიქმნება გონიებიდან მეიოზის შემდეგ.

ჯონოთეკა—ჰიდროიდული პოლიპის ბლასტოსტილის საფარი — თეკა.

ჯონომერები—ორმაგი ბირთვები ზიგოტაში, რომელშიც მამრობითი და მდედრობითი პრონუკლეუსები დიდხანს რჩებიან შეურწყმელი, განცალკევებულ.

ჯონოოდები—სახეცვლილი ფეხები ფხსახსრიანთა გარეგან სასქესო აპარატში.

ჯონოპოდიუმი—მამრი თევზის შესაულებელი ორგანო შინაგანი განაყოფიერების მქონე თევზებში.

ჯონოზომა—იგივე, რაც სასქესო ქრომოსომი.

ჯონოზპორა—სპორა, რომელიც წარმოქმნილია გონიდან მეიოზის შემდეგ.

ჯონოტოკონტა—დიპლოიდური უჯრედი, რომელშიც მიმდინარეობს მეიოზის ორივე დაყოფა. ერთი გონოკონტიდან წარმოიქმნება ოთხი ჰაპლოიდური გონი.

ჯონოტოპა—ადგილი სადაც გონადები ვითარდება (ლანცეტაში).

ჯონოფაგია—გენეტიკური მასალა ბაქტერიოფაგისა, მისი სასიცოცხლო ციკლის ევგეტატიური ფაზის დროს.

ჯონოფორი—1. ჰიდროიდული პოლიპის ბლასტოსტილზე განვითარებული ბურთისებრი ფორმის სასქესო უჯრედი, რომლიდანაც ჰიდროიდული ცალსქესიანი მეღუზეები ვითარდება; 2. იხ. ანდროგინოფორი.

გონოქორიზმი — განსხვავებულსქესიანობა. ეს ტერმინი უმთავრესად იხმარება ზოოლოგიაში. ბოტანიკაში მსგავს შემთხვევაში მეტწილად ხმარობენ ტერმინს — ორსახლიანობა.

გონოქორიზმი — იხ. სასქესო ქროზოსომები.

გონოციტური თეორია — თეორია, რომლის თანახმად ცელომი (სხეულის მეორადი ღრუ) თავდაპირველად წარმოიქმნა მეტამერულად განლაგებული გონადების ღრუდან.

გონოციტი — პირველადი უჯრედები, რომლებიც წარმოქმნიან სასქესო ორგანოების ჩანასახს. სქესის მხრივ ეს უჯრედები ჯერ არ არიან დიფერენცირებული. შემდეგში გონოციტები წარმოქმნიან გონიებს.

გორგლიული მცენარეები — მცენარეები, რომლებსაც უვითარდება მიწისქვეშა გორგლი (კარტოფილი, მიწივამლა).

გორგლი-ბოლქვი — მცენარის სახეშეცვლილი ღერო, რომელიც გარეგნულად გაეს ბოლქვს, მაგრამ მორფოლოგიურად (შშრალი ქერქლების და ხორცივანი ღეროთი) უფრო გორგლის მსგავსია. უვითარდება ზაფრანას, ხმალას და სხვ.

გორგლი — ტუბერი, მიწისქვეშა (კარტოფილი) ან მიწისზედა (ცოლირაბი, ხვითი) სახეცული, გამსხვილებული ღერო ერთი ან რამდენიმე მუხლმთორისით. წარმოადგენს სამარაგო ნივთიერების სათავსს და ვეგეტატიური გამრავლების საშუალებას.

გორგლურა — ყვავილედის ერთ-ერთი სახე, რომელშიც რამდენიმე ყვავილი მჭიდროდა შეკრებილი, მაგ., ჭარხლის, ნაძარქათამას, ისპანახისა და სხვ. მისთ. ყვავილადი; გორგლურები ჩვეულებრივ საერთო საკვლავსებრ ყვავილედშია შეკრებილი.

გოსხობილი — მომწამვლელი ნივთიერება, რომელსაც შეიცავს ბამბის თეს-

ლები; ცხელი წყლის მოქმედებით გადლის არამომწამვლელ ფორმაში.

გოქოლორის ნაშიერი 3—4 თვის ასაკადე.

გრაფის ბუშტუკი — ძუძუმწოვარი ცხოველებისა და ადამიანის საყვარცხეში არსებული ბუშტისებრი წარმონაქმნი, რომელშიც მომწიფებულ კერცხუჯრედია მოთავსებული.

გრადაცია — ცოცხალ არსებათა (ორგანიზმთა) აგებულების (ორგანიზაციის) თანდათანობითი ვართულება ევოლუციის პროცესში.

გრაფიტაცია — მატერის თვისება, რაც გამოიხატება სხეულთა ურთიერთმიზიდულობით; მსოფლიო მიზიდულობა.

გრაფიტაციული წყალი — წყლის ის ნაწილი, რომელიც ავსებს ნიადაგის მსხვილ კაპილარებს და იმყოფება საკმაროდ მოძრაე მდგომარეობაში; ებორჩილება რა სიმძიმის ძალას, ნაიქების მოსვლის შემდეგ გადის ნიადაგის ქვედა ფენებში.

გრამიციდინი — ანტიბიოტიკი, რომელსაც გამოყოფენ ნიადაგის ბაქტერიები.

გრანები — იხ. გრანულები. გრანულები — ციტოპლაზმის შკერივი ჩანართები. ჩვეულებრივ მათ სფეროსებრი ფორმა აქვთ.

გრანულეზა — გარსი, რომლითაც დაფარულია ქალის მომწიფებელი სასქესო უჯრედი.

გრანულირებული ხახუქი — სასუქი, რომელიც სხვადასხვა ფორმის პატარა-პატარა გუნდებადაა დამზადებული.

გრანულოზა — სამარაგო ბოლისაქარდი, რომელიც ახლოს დგას სახამებელთან; გვხვდება წვრილი მარცვლების სახით ზოგი ბაქტერიის უჯრედში.

გრანულომა — ქსოვილის სიმსივნისმაგვარი ზრდა.

გრანულოციტები — სისხლის თეთრი სხეულაკების ანუ ლეიკოციტების ერთ-

ერთი წგუფი, რომლის პლანმა შეიცავს გრანულებს (მარცვლებს), გრანულების სიდიდის და მათი საღებავებისადმი დამოკიდებულების მიხედვით არჩევენ ნეიტროფილურ (ნეიტროფილები), ეოზინოფილურ (ეოზინოფილები) და ბაზოფილურ (ბაზოფილები) ლეიკოციტებს.

გრადემლი უურასა—ძუძუმწოვართა შუაურში მდებარე სმენის სამი ძელოდან ერთ-ერთი ძვალი, რომლის საშუალებით ხდება ბგერითი რხევების გადაცემა დათვის აკიდან შიგნითა ურში.

გრენა—თუთის აბრეშუმხვევის (აბრეშუმის ქვის) კვერცხები.

გრენაჟი—გრენის მიღება, დამზადება.

გრენა — იხ. გრენი.

გრამა—მწვავე ინფექციური დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სასუნთქი ორგანოების ანთება.

გრიფელისებრი დანამატები — იხ. სტილები 2.

გრიფელის ძელები—იხ. სტილები 1.

გრძელი დღის მცენარეები—მცენარეები, რომელთაც განვითარებისათვის, კერძოდ ყვავილობისა და ნაყოფიერებისათვის ესაჭიროებათ გრძელი დღე და მოკლე ღამე (ხორბალი, შვრია და სხვ.).

გრძნობათა ორგანოები—ორგანოები, რომელთა დახმარებით ხდება ორგანიზმზე მოქმედი სხვადასხვა სახის გაღიზიანებათა მიღება და ნაწილობრივ ანალოზი (მხედველობის, სმენის, ყნოსვის, შეხების, გემოვნების, ორგანოები).

გუანაი—აზოტის შემცველი ორგანული ნაერთი; შედის გუანინოვანი ნუკლეოტიდის შედგენილობაში; გროვდება თევზების ქერცლში რის შედეგადაც ქერცლს ეძლევა მოეცეხისფერისფერი - სადათვისებრი ელვარება.

გუანაინის უჯრედები—ობობას გამომყოფი სისტემის ნაწილი.

გუანო—ფრინველების გამომშრალი სკორე (სკინტლი), რომელიც გროვებადაა ერთ ადგილზე დაგროვილი. იყენებენ სასუქად.

გუგა—თვალის ფერადი გარსის ცენტრში მდებარე ხერელი, რომლის გზითაც სინათლე შედის თვალის შიგნით.

გულაფშუტა—მცენარეთა დაავადება, რომელიც გამოწვეულია გულაფშუტოვანი სოკოებით; ამ დაავადებით განსაკუთრებით ავადდება ხორბლულში მცენარეები.

გულაგული—ფაშარი პარენქიმული ქსოვილი, რომელიც მოთავსებულია უმაღლეს მცენარეთა ღერძული ორგანოების ცენტრში.

გულაგულის ხზივი—გულგულის პარენქიმის რადიალური ქიმიები, რომლებიც გამოდის ღეროს ცენტრიდან პერიფერიისაკენ.

გული—ცხოველთა სისხლის მიმოქცევის სისტემის ორგანო, რომელიც თავისი რიტმული მუშაობით უზრუნველყოფს ორგანიზმში სისხლის განუწყვეტელ მოძრაობას. ხერხეულიან ცხოველებში არჩევენ ორსაკნიან (თევზებს), სამსაკნიან (ამფიბიებს და ქვეწარმავლებს) და ოთხსაკნიან (ფრინველებსა და ძუძუმწოვრებს) გულს.

გულის პარკუჭები—გულის სქელკედლიანი კამერები (საკნები), რომელთა შეკუმშვა ბიძგს აძლევს სისხლს და უზრუნველყოფს მის მოძრაობას სისხლშილებში.

გულის პერანგი—შემაერთებელი ქსოვილები გარსი, რომლითაც გული გარედანაა დაფარული. პერიკარდი; პერიკარდიუმში.

გულის ფიცარი—იხ. მკერდის ძვალი.

გულის ციკლი — გულის რიტმული მუშაობის პერიოდი, რომელიც მოიცავს სამ ფაზას: წინაგულების შეკუმშვა, პარკუჭების შეკუმშვა და საერთო მოღუნება — პაუზა.

გულიხიბგლევი ჩანთა — იხ. გულის პერანგი.

გულმკერდი—ტანის ჩონჩხის ზედა ძვალ-რბტილოვანი განყოფილება, რომელიც წარმოქმნილია შკერდის ძელის, გულმკერდის მალეების, ნეკნებისა და მათი ზრტილების შეერთებით.

გულმკერდის დრუ—გულმკერდის შიგნით არსებული დრუ, რომელშიც მოთავსებულია ისეთი მნიშვნელოვანი შინაგანი ორგანოები, როგორიცაა: ფილტვები, გული, საყლაპავი მილი და ტრაქეა.

გუმა, გუმფისი—კომპლექსური პოლისაქიანდები, რომლებიც წარმოქმნიან ბლანტ, წებოვან სითხეს; გამოიყოფა ბევრი კურკოვანი მცენარის (ალუბალი, ქლოვი, კერამი და სხვ.) მერქნის დაზიანებისას სქელი წებოს სახით, რომელიც პაერზე მაგრდება. იხსნება წყალში, მაგრამ არ იხსნება სპირტში.

გუმიგუტი—ზოგიერთი ტროპიკული მცენარის შესქელებული რძეწენი, იყენებენ ტექნიკაში, ფერწერაში და სხვ.

გუმი, ლაქი—მოწითალო ფერის ფისოვანი ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნება ზოგიერთი ტროპიკული მცენარის ტოტებზე; იყენებენ ლუქის, ლაქებისა და სხვ. დასამზადებლად.

გუმოზი—მცენარის გუმფისის დინებით დაიფარება, რომლის დროსაც ხდება

ღეროს, ტოტებისა და ფესვის ზოგიერთი ქსოვილის წებოვან მასად გადაქცევა და გარეთ გამოყოფა. გუმოზს იწვევს პაქტერიები, მწერები და სოკოები, ზოგჯერ კი მექანიკური დაზიანება. ჩვეულებრივ გვხვდება მერქნიან მცენარეებში (განსაკუთრებით ხეილში), ზოგჯერ კი ბალახოვან მცენარეებში (მაგ., ბამბა).

გუმფისი—იხ. გუმა.

გუბტორციტტორები—გემოვნების ანალიზატორები; ნერვულ წარმონაქმნთა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საგემოვნო გალიზიანებათა აღქმასა და ანალიზს.

გუტა—წებოვანი მასა, რომლიდანაც დებულობენ გუტაპერჩს. გვხვდება ტროპიკული ხემცენარეების ზოგიერთი წარმომადგენლის რძეწენში ან განსაკუთრებულ დაზურულ სათესებში.

გუტაპერჩი—მალამოლეკულური ნახშირწყალბადი, რომელიც თვისებებით ახლოს დგას კაუჩუკთან. მიიღება ზოგიერთი მცენარის გუტისაგან — წებოვანი მასისაგან.

გუტაცია—მცენარის ფოთლებისაგან წყლის გამოყოფა წვეთების სახით ჰიდატოტების საშუალებით. შესამჩნევია იმ შემთხვევაში, როდესაც ფესვებისაგან შეწოვილი წყლის რაოდენობა ბევრად ქარბობს ფოთლების მიერ აორთქლებულ წყალს.

დ

დაბერება ორგანიზმისა—იხ. ორგანიზმის დაბერება.

დაჯრილება—იხ. შეწყვილება.

დაზიმეტრიული რუკა—მოსახლეობის სიმკვიდროვის რუკა.

დათავთავება—იხ. თავთავის გაკეთება; ათავთავება.

დათხვლეა—იხ. განყოფიერება.

დათიშვის კანონი—იხ. მენდელის კანონები.

დაკალმება—მცენარეთა ვეგეტატიური გამრავლების ერთ-ერთი ხერხი კალმების საშუალებით.

დაკვეთილი ფოთოლი—ფოთოლი, რომლის კიდის ამონაკვეთები თითქმის შუა ძარღვამდე ან ფირფიტის ფუქემდე აღწევს.

დაკვირება—უსქესო გამრავლების ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც შობლის სხეულის ზედაპირზე ჩნდება

მცირე ზომის გამონაზარდი (კვარტი), საიდანაც ვითარდება ახალი ინდივიდი. ეს უკანასკნელი შეიძლება მოსწყდეს მშობლის სხეულს და დამოუკიდებლად იწყოს ცხოვრება ან დარჩეს დედის სხეულზე (დამახასიათებელია, მაგ., ნაწლავდრუიანებოსათვის — კიდრა).

დაკრძალვა—იხ. კასტრაცია.

დაკონსერვება—კონსერვაცია.

დაკუტვა მარცვლოვანებისა—იხ. მარცვლოვანების დაკუტვა.

დალტონიზმი—მხედველობის ნაკლი, რომლის დროსაც აღამიანი ვერ არჩევს ერთმანეთისაგან ზოგიერთ ფერს, მეტწილად მწვანესა და წითელს; ნაწილობრივი ფერითი სიბრძნე. (ინგლისელი მეტნიერის დ. დალტონის გვარის მიხედვით, რომელსაც მხედველობის ეს ნაკლი ჰქონდა და რომელმაც პირველმა აღწერა იგი).

დამავრთვებელი ქსოვილი მცენარისა—ქსოვილი, რომელშიც გროვდება და ინახება წყლის მარაგი და ორგანული ნივთიერებანი.

დამაკავშირებელი ფენა, ხაფიხურა—ფენა, რომელიც საერთოა მცენარეულობის სხვადასხვა ასოციაციისათვის მათი სრული შესაბამისობის ანდა დომინანტების ან სუბდომინანტების ეკოლოგიური და ბიოლოგიური დიდი მსგავსების გამო. დამაკავშირებელი ფენების არსებობა შესაძლებელს ხდის ასოციაციები გაერთიანებულ იქნას ფორმაციებში (მთავარი ფენის მიხედვით) ან იზარაგაციებში — შეორებაარისხოვანი ფენების მიხედვით.

დამატებითი კვირტები—კვირტები, რომლებიც განლაგებულია არა ღეროს წვერზე ან ფოთლის უბეში, არამედ მცენარის სხეულის სხვა რომელიმე ნაწილზე, მაგ., ფოთლებზე, მუხლთშორისებზე და სხვ.

დამატებითი მამლები — ზოგიერთი ცხო-

ველის (ზოგიერთ კიბოში, მოლუსკში) ძალიან პატარა ზომის მამალი ინდივიდები, რომლების მონაწილეობა განაყოფიერებაში არ არის აუცილებელი (ვინაიდან ამ სახეობათა მდედრები ჰერმაფროდიტებია) და ცხოვრობენ ამ ცხოველთა ჰერმაფროდიტული ინდივიდის სხეულზე ან სხეულში.

დამატებით ნერვი—თავის ტვინის მეტერთმეტე წყვილი ნერვი, რომელიც გამოდის მოგრო ტვინის გვერდიდან და ზურგის ტვინის კისრის ნაწილიდან.

დამატებითი ორგანოები მცენარისა—ორგანოები, რომლებიც წარმოიქმნება უჩვეულო ადგილას, მცენარის სხეულის სხვა ნაწილზე, მაგ., ფესვი ღეროზე ან ფოთოლზე (დამატებითი ფესვები), კვირტი ფესვზე, ფოთლებზე ან მუხლთშორისებზე (დამატებითი კვირტები) და ა. შ.

დამატებითი ტვინი — ტვინის მეხუთე პარეუქი, რომლიდანაც ვითარდება მოგრო ტვინი.

დამატებითი ფესვები—ფესვები, რომლებიც წარმოქმნილია, არა ჩანასახის ფესვიდან, არამედ მცენარის სხეულის სხვა რომელიმე ნაწილიდან, მაგ., ღეროდან ან ფოთლიდან.

დამატებითი ყლორტები — ყლორტბო, რომლებიც განვითარებულია დამატებითი კვირტებიდან.

დამემკვიდრება—იხ. მემკვიდრეობით გადაცემა.

დამტვირვა—მტვრის მარცვლების დინგზე მოხვედრა (დაცემა) ყვავილოვან მცენარეებში, არჩევენ თვითდამტვირვას და ქვარედინ დამტვირვას.

დამულჩვა—იხ. მულჩირება.

დამყვითლი შეფერვა—იხ. დაცვითი შეფერვა.

დამხმარე უჩრედები—იხ. სინერგიდები.
დანაკრძალული ფოთოლი—ფოთოლი, რომლის კიდე ამოკვეთილია ფოთლის ფირფიტის მეოთხედამდე.

დანწევრება—მრავალჯერდიანი ცხოველების ჩანასახის განვითარების საწყისი სტადია, რომლის დროსაც კვერცხუჯრედი თანმიმდევრობით იწყებს გაყოფას ჯერ ორ, შემდეგ 4, 8, 16 და ა.შ. უჯრედად ანუ ზღასტომეარად.

დაპურება მარცვლისა—მარცვლოვანი მცენარეების მარცვლის (თესლის) განვითარება მასში ჩანასახის ჩამოყალიბებისა და გამოცალკევების შემდეგ; ამ დროს მარცვალში ნახშირწყლებისა და ცილების რაოდენობა მატულობს, წყლისა კი—კლებულობს.

დარგოლვა—ცხოველებზე ნიშნის მიმაგრება, რათა მათი შემდგომი დაქერისას გაეიკოთ გადაადგილების გზები, ზრდის სიჩქარე და ა. შ. (ფრინველების დარგოლვა, თევზების ნიშნის დადება).

დარეინიზში—მოძღვრება ორგანული სამყაროს ისტორიული განვითარებისა და ცოცხალ არსებათა ევოლუციის მართვის გზების შესახებ (მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი ბუნებისმეტყველის ჩარლზ დარეინის გეარის მიხედვით).

დარეინის ერთეული—ევოლუციის სიჩქარის ერთეული, მაგ., ორგანიზმის ზომის შემცირება ან გადიდება „1“-ჯერ მილიონი წლის განმავლობაში, ან პრაქტიკულად იგივეა რაც, შემცირება ან გადიდება 1/1000-ით 1000 წლის მანძილზე.

დარეინის მოძღვრება—იხ. დარეინიზმი. დარეინისეული შემგუებლობა, შეგუება—ორგანიზმის გარკვეულ პირობებთან შეგუება, როდესაც ის ამჟღავნებს გამრავლების უნარს და იძლევა ნაყოფიერ შთამომავლობას.

დარლინგტონის წესი—ამ წესის თანახმად ალბალოლოიდური ფორმების ნაყოფიერება საწყისი ფორმების ნაყოფიერების უკუპროპორციულია.

დაუნის ხინდროზი—იხ. მონგოლიზმი.

დაფხვანება—ფესვების წარმოქმნა.

დაფხ აკი—მყესოვანი ფირფიტა, აკი, რომელიც მოთავსებულია ვარეთა და შუა ყურს შორის და წარმოადგენს ბგერითი ტალღების მიმღებს.

დაფხი ღრუ, ხერელი—შუა ყურის ღრუ, ხერელი, რომელშიც მოთავსებულია სასმენი ძვლები: ჩაქჩი, გრდემლა და უზანგი.

დაქტილოზოიდება—კოლონიური პილარიდული პოლიპების დამსკველი ინდივიდები, რომელთაც გააჩნიათ მრავალრიცხოვანი მსუსხავი უჯრედები.

დაქტილოლოჯია—ყრუ-მუნჯთა ხელის თითების ღაპარაკის ხერხი; ხელის ანბანი.

დაქტილოსკოპია — გამოყენებითი ანთროპოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ხელისგულისა და თითების ქვედა კანის მოხატულობას; ხელის თითების ანაბექდის მიხედვით, პირონენების გამოცნობის მეთოდი. იყენებენ უმთავრესად კრიმინალისტიკაში.

დაღლა—ცხოველისა და ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობა გარკვეული მუშაობის შესრულების შედეგად, რაც ხასიათდება შრომისუნარიანობის დაქვეითებით.

დაღმავალი დენი—ნივთიერებათა (ძარითადად ორგანული ნივთიერებანი) მოძრაობა ფოთლებიდან მცენარის დანარჩენი ნაწილებისაკენ (ფესვების, ტოტებისა და სხვა ნაწილებისაკენ), რაც ხდება ლაფნის ბოქკოების გზით.

დაყოფადება—ბალახთა თესვა ფერდობებსა და ქვიშებზე ბალახნარის ხანგრძლივი გამოყენებისათვის. დაყოფადებს მეტწილად მიმართავენ ფერდობების ან ქვიშნარს რელიეფის მოძრაევი ფორმების დამგარები აუცილებლობასთან დაკავშირებით.

დაყოფა ორგანიზმისა—უსქესო გამრავლების ხერხი, რომლის დროსაც ორგანიზმი იყოფა ორ, დაახლოებით ერთნაირ ნაწილად

დაუოფილი ფოთლი—ფოთლი, რომლის კიდის ამონაკეთები ფირფიტის მეოთხედზე უფრო ღრმაა.

დაკითი შეფერვა—ცხოველთა მიერ ეეოლუციის პროცესში გამოშუშავებული შეფერვა, რომელიც ხელს უწყობს მტრისაგან თავდაცვაში.

დაძარღვა ფოთლისა—კურკელ-ბოქკოვანი კონების ანუ ძარღვების განლაგება ფოთლის ფირფიტაზე. არჩევენ დაძარღვის შემდეგ ძირითად ფორმებს: პარალელურს, რკალურს და ბადისებრს.

დაძარღვა ფრთისა—ძარღვების განლაგების სისტემა მწერების ფრთაში; წარმოადგენს მნიშვნელოვან სისტემატიკურ ნიშანს მწერების რკვევის დროს.

დახურული სისხლის მიმოქცევის სისტემა—იხ. სისხლის მიმოქცევის სისტემა.

დახურული კურკელ-ბოქკოვანი კონები—მცენარის გამტარი კონები, რომლებშიც წარმოქმნული ქსოვილი მთლიანად მარად ქსოვილადაა გადაქცეული. უმთავრესად გვხვდება ერთლებნიან მცენარეებში.

დახშული სისხლის მიმოქცევის სისტემა — იხ. სისხლის მიმოქცევის სისტემა.

დებილი—გონებასუსტი ადამიანი.

დევაზატორი—1. დევაზაციის აპარატი. 2. ჰირი, რომელიც დევაზაციას აწარმოებს. 3. ნიეთიერება, რომლითაც დევაზაციას აწარმოებენ.

დევაზაცია — მოშუშაველი ნიეთიერებისაგან გაწმენდა, გაუვნებლება (ადგილის, ტანისამოსის, მცენარეული საფარის, პროდუქტების, ნიადაგის და სხვ.) სპეციალური ნიეთიერებით — დევაზატორით.

დევენარატი—ადამიანი, რომელსაც დევენარაციის ე. ი. ფიზიკური ან სულიერი გადაგვარების, დაქვეითების ნიშნები აქვს.

დევენარაცია—1. ორგანიზმის უჯრედ-

ების, ორგანოების ან მათი ნაწილების დაშლის პროცესი. 2. ორგანიზმის აგებულებისა და სასიცოცხლო პროცესების გაუარესება; შემგუბლობის, დააადებათა წინააღმდეგ გამძლეობისა და სხვათა დაქვეითება. 3. იხ. ორგანოთა რედუქცია.

დეგრადაცია—რაიმე თვისების თანდათანობით გაუარესება, დაქვეითება, დაკემა.

დეგრადაცია მცენარეულობისა—მცენარეულობის თანდათანობითი გადგვარება, დაკნინება.

დევენერაციული ამიტოზი—იხ. ამიტოზი დევენერაციული.

დეგრადაცია — იხ. დეგრადაცია.

დეგრესია—თანდათანობითი შემცირება, კლება.

დეგუხტაცია—რაიმე სასმელის (ჩვეულებრივ ლეინის, ჩაის) ან სხვა პროდუქტის გემოს გასინჯვა მისი ხარისხის გამოსაჩვენებლად; დაკანონება.

დედა მცენარე—საწყისი მცენარე ევგეტაციური გამრავლების დროს.

დედა უჯრედი ემბრიონული პარცისა—უევილოვან მცენარეებში მეთოზის დროს წარმოქმნილი ოთხი გონიდან ერთი გონი, რომელიც ინარჩუნებს თავის ფუნქციას და გალიეების შემდეგ წარმოქმნის ემბრიონულ პარცს—მაკროპროთალუშს.

დედა უჯრედი სპორიებისა—არქესპორიუმის დაყოფის პროცესში წარმოქმნილი უჯრედები (სპოროციტები), რომლებიდანაც ჩვეულებრივი ორი დაყოფის შედეგად ოთხ-ოთხი პალოიდური სპორა წარმოიქმნება.

დედეკარიონიზაცია—დეკარიონის გადაქცევა მონოკარიონად.

დედიპლოიდიზაცია—პალოიდური უჯრედების ან ჰიფების წარმოქმნა დეკარიონულ-დიპლოიდური მიცელოუმიდან ან დეკარიონულ-დიპლოიდური უჯრედებიდან (ბაზიდიომიცეტებსა და ასკომიცეტებში).

დევახტაცია—აუადმყოფობის გამომწვე-

ვების მოსპობის ღონისძიებანი, რომელიც ტარდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მათი განვითარების ყველა საფეხურზე.

დევიაცია—1. ორგანიზმში ახალი ნიშნების გამოჩენა, როგორც ინდივიდუალური განვითარების გადახრის შედეგი მის შუა სტადიაში. ამგვარად დევიაციის დროს მხოლოდ შთაბოძავლობის განვითარების საწყისი სტადიები ემსგავსება წინაპრის განვითარებას, ბოლო სტადიები კი არ იმეორებს ზრდასრული წინაპრის აგებულებას. 2. კომპასის მავნიტური ისრის გადახრა (მერიდიანის ხაზიდან) რკინის დიდი მასების გავლენით.

დევონი—იხ. დევონის პერიოდი.

დევონის პერიოდი (ხისტემა)—პალეოზოური ერის მესამე პერიოდი დედამიწის ისტორიაში (ინგლისის საგრაფო დევონშირის სახელიდან, სადაც პირველად იქნა აღწერილი დევონის პერიოდის ნალექები).

დეჰამინირება—ამინოჯგუფის (NH₂) მოცილება ამინომჟავას ან სხვა ორგანული შენაერთის მოლეკულიდან.

დეზი — 1. ყვავილსაფრის (გვირგვინის ან ჭამის) განსაკუთრებული (ყანწისებრი ან სხვა ფორმის) გამოანაზარდი, რომელშიც ნექტარი გროვდება. დაძახისათებელია: დეზურისათვის, დედოფლის ყვავილსათვის, წყალკრფებისათვის და სხვ. 2. ყანწის მსგავსი რქოვანი გამოანაზარდი, რომელიც უვითარდება ზოგიერთ ფრინველს (უმეტესად მამლებს).

დეზინფექცია—მაკრანე მწრების (ინფექციური დაავადებათა ვადამტანების, პარაზიტების და სხვ.) მოსპობა სპეციალური საშუალებებით.

დეზინფექცია—ინფექციური ავადმყოფობის გამომწვევე მიკრობების და ვირუსების მოსპობა სპეციალური საშუალებებით: გაუსნებოვნება.

დეზორივის ლარვა—ნემერტინების თა-

ვისუფლად მცურავი ლარვა. თავისი აგებულებით ახლოს დგას ზღვის ტურბერალიების ლარვასთან.

დეზოქსიდაცია—ენაგბადის მოშორება, გამოცლა.

დეზოქსირიბოზა—მარტივი შაქარი პენტოზას ჩგუფიდან; წარმოადგენს რიბოზის ალდეგნის პროდუქტს; შედის დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას (დნმ) შემადგენლობაში.

დეზოქსირიბონუკლეოზა — ფერმენტი, რომელიც აჩქარებს დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას დაშლას.

დეზოქსირიბონუკლეინმჟავა (დნმ)—უჯრედის ბირთვის შემადგენლობაში შემავალი ნივთიერება, რომელიც მთავარ როლს ასრულებს ცილების სინთეზში და მეგვიდრულ ნიშანთვისებათა გადაცემაში. შემოკლებულად — დნმ; მისი მოლეკული სტრუქტურა შედგება ორი სპირალურად დახვეული ქაქვისაგან, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს პოლიმერს, რომლის მონომერებია ე.წ. ნუკლეოტიდები.

დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ-ს) კოდი—ნუკლეოტიდების თანმიმდევრობა დნმ-ს მოლეკულის ქაქვში. ეს თანმიმდევრობა განსაზღვრავს ცილის სათანადო მოლეკულის შედგენილობაში შემავალი ამინომჟავების თანმიმდევრულ განლაგებას.

დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ-ს) რედუქტაცია—დნმ-ს მოლეკულის გაორმაგება უჯრედის გაყოფის წინ.

დეიარდები — შემზები საწოვრები, რომლებიც განლაგებულია საყლაპავი მილის ორივე მხარეს მრგვალ კიბეში.

დეიტეროტოპია—მხედველობის ნაკლი, რომლის დროსაც ადამიანი ვერ არჩევს წითელ და მწვანე ფერს, როგორც ალტონიზმის დროს, მაგრამ განსაკუთრებით დაქვეითებულია მწვანე ფერის აღქმა.

დეიტეროტოპია ანუ **ამფიტოპია**—პართენოგენეზის ერთ-ერთი ფორმა,

როდესაც გაუნაყოფიერებელი კვერცხიდან წარმოიქმნება ორივე სქენის ინდივიდები.

დეიტროპერმაფროლიტი — ჰერმაფროდიტული ფორმა, რომელიც, როგორც წესი, წარმოიქმნება ძალიან იშვიათად ცალკეულ მცენარეში ცალსქენიან ეგზემპლარებთან ერთად. **დეიტროპერტი**—გრეგარინების (უმატრიეისი ცხოველების, კერძოდ სპორიანების ერთ-ერთი რიგი) სხეულის ბოლო ნაწილი, რომელშიც ბირთვი მდებარეობს.

დეიტოლაზმა—ციტოლაზმის ჩანართები, როგორცაა ცხიმის წვეთები, პიგმენტები, სეკრეტორული მარცვლები და ა. შ. მას პარაპლაზმასაც უწოდებენ.

დეიტოსომა — გრანულები, რომლებსაც გამოყოფს ბირთვითი ციტოლაზმაში. **დეიტოცებრუმი**—მწერების თავის ტვინის მეორე, შუათანა განყოფილება, რომლითაც ინერვირდება უღვრეები.

დეკაბიტაცია—1. ღეროს ზრდის წერტილის მოცილება. 2. თავის მოკვეთა. **დეკარბოქსილირება**—მეფავს მოლეკულიდან კარბოქსილის ჯგუფის გამოყოფა.

დეკოლა—ძროხის ნაწიერი — საფურე ზბო ერთიდან სამ წლამდე, სქენობრივ სიმწიფემდე; უშობელი.

დეკონდენსაციური სტადია—ჰეტეროქრომატინის გაფაშარების სტადია ბირთვის ინტერფაზიდან პროფაზაში გადასვლის დროს.

დეკონოუცაცია—მაკონიუგირებელი ქრომოსომების არადროული (ქვე კიდევ მეოთხის პროფაზის დამთავრებამდე) დათმვა, დაცილება.

დეკორატული მცენარეები—ადამიანის მიერ გაშენებული მცენარეები (სხვადასხვა ოჯახიდან), რომლებიც გამოირჩევა ლამაზი ფორმის ვარჯით ან სხვადასხვა ფერის ლამაზი ყვავი-

ლებითა და ფოთლებით. იყენებენ ბალ-პარკების და სკვერების გასაფორმებლად.

დეკორტიაცია—1. ლაფნის ბოქვების გაძრობა სართავი მცენარეების (კანაფი, სული და სხვ.) ღეროს მერქნიდან წინასწარი დაბლობის გარეშე. 2. თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროებისათვის ქერქის მოცილება; იყენებენ ექსპერიმენტულ ფიზიოლოგიაში ქერქის ფუნქციების შესასწავლად.

დეკრემენტი—ალგზნების ტალღების ინტენსიურობისა და გავრცელების სიჩქარის თანდათანობითი კლება, ჩაქრობა.

დელამინაცია—ჩანასახის ორფურცულოვანი სტადიის (გასტრულის) წარმოქმნის ერთ-ერთი გზა, რომლის დროსაც ემბრიონარობის ბლასტულის უჯრედების დაყოფა ორშრედ.

დელბირიუმი—მხარფეხიანი მოლუსკების ნიჟარის მუცლის საგდულის წვერზე არსებული ღრმა ამონაკვეთი, რომელზედაც გადის დერაკი, რითაც ცხოველი სუბსტრატზე მიმაგრებულია.

დელეცია—ამა თუ იმ ზომის მონაკვეთის ამოვარდნა ქრომოსომიდან.

დემარკაცია — ქსოვილის მკვდარი უბნების გამოქვანა ჩანსალისაგან.

დემერსალური კვერცხები—წყლის ცხოველთა კვერცხები, რომლებიც წყალსატეის ფსკერზე ვითარდება.

დეში — პოპულაცია, რომელსაც უკავია განსაზღვრული ოლქი და შედგება ძალიან მსგავსი ორგანიზმებისაგან, რომლებიც ექვარებიან ერთმანეთს ზუნებრივ პირობებში.

დეშტაცია — მცენარეულობის ცვლილება, რაც მისი აღდგენისკენა მიმართულია.

დენატანტური მიგრაციები — თევზების მიგრაცია წყლის დინების მიმართულებით.

დენტურატი — დენტურირებული სპირტი.

დენტურაცია ცილებიდან—ცილის ბუნებრივი თვისებების შეცვლა გარემო პირობების შეცვლითა და სხვადასხვა აგენტების მოქმედებით; დენტურაციას იწვევს, მაგ., ტემპერატურის გადიდება, მძლავრი მჟავის ან ტუტის და სხვ. მოქმედება.

დენტურირება — იხ. დენტურაცია.

დენდრაოზომი—ბოტანიკური ბალის ნაწილი ან სპეციალურად მოწყობილი ბალი, სადაც დარგული და გაშენებულია სხვადასხვა სახეობის ხემცენარეები და ბუჩქები.

დენდროტები—ნერვული უჯრედის (ნეონონების) მოკლე, ჩვეულებრივ ძლიერ დატოტვილი მორჩები, რომლებითაც ხდება გალიზიანების მიღება და ნეირონის სხეულში გადაცემა.

დენდროგრაფი—ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც ხდება ხის სისქეში გაზრდის აღრიცხვა.

დენდროიდული—ხის მსგავსი, ხესაეით დაწვრილებული.

დენდროლოგია—ბოტანიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ხეებსა და ბუჩქებს, მათ მორფოლოგიას, სისტემატიკას, ეკოლოგიას, გეოგრაფიასა და სამეურნეო მნიშვნელობას.

დენდროლოგიური პარკი, ბაღი—იხ. დენდრაოზომი.

დენდრომეტრია—სატყეო ტაქსაციის ნაწილი, რომელიც იკვლევს ხის მოცულობისა და მასის განსაზღვრის ხერხებს; ხისზომელობა.

დენდროფლორა—ხემცენარეთა ფლორა; ხემცენარეები.

დენდროტორები—დომინანტები, რომლებიც არ მრავლდებიან ვეგეტატიურად და ქმნიან ცოტად თუ მეტად შეკრულ ფიტოცენოზს, მაგ., ჩვეულებრივი ფიჭვი.

დენდროფიციაცია—1. ნიტრიფიკაციის საწინააღმდეგო პროცესი, რომელიც ჩვეულებრივ მიმდინარეობს ნიადაგ-

ში. ამ დროს ხდება აზოტის მჟავას (ნიტრატების) მარილების აღდგენა მოლეკულურ აზოტამდე ან ამიაკამდე; ეს პროცესი ხორციელდება ანაერობულ პირობებში სპეციალური ბაქტერიების (მადენიტრიფიციურებელი ბაქტერიების) მეშვეობით. დენდროფიციაცია იწვევს ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას. 2. ბაქტერიების მიერ ხსნადი აზოტის შეთვისება. 3. ქიმიური პროცესი ნიტრიტებისა და ამინური ან ამიდური აზოტის ურთიერთმოქმედების დროს.

დენტინი — ძვლისმაგვარი ნივთიერება, რომელიც წარმოადგენს ხერხემლიან ცხოველთა კბილის მთავარ შემადგენელ ნაწილს. თავისი აგებულებით და ქიმიური შედგენილობით ახლოს დგას ძვლის ქსოვილთან.

დენუდაცია—პურის, წყლის, ყინვარების ზემოქმედების შედეგად ქანების დაშლა, გადარეცხვა და გადატანა.

დენიგმენტაცია—კანის ბუნებრივი ფერის დაკარგვა, რაც გამოწვეულია ეპიდერმისის უჯრედებში პიგმენტის გაქრობით.

დემილაცია—თმის, ბალნის მოცილება სამკურნალო ან კოსმეტიკური მიზნით.

დემილაციონი — პლაზმოლიზის საწინააღმდეგო მოვლენა. პლაზმოლიზის დროს დარღვეული პროტოპლასტის პირველადი მდგომარეობის აღდგენა ე. ი. უჯრედის ტურგორულ მდგომარეობაში დაბრუნება, რომელიც მიმდინარეობს პლაზმოლიზებული უჯრედის მიერ წყლის შეწოვის შედეგად.

დემო ხისხლიბა—იხ. სისხლის დემო.

დემარცხა—1. ავადმყოფური მდგომარეობა, რაც გამოიხატება სულიერი დამახუნებით. 2. ხმელეთის ნაწილი, რომელიც ოკეანის დონეზე დაბლაა. 3. დედამიწის ქერქის დამირვის დღი მონაკვეთი, რომელსაც აქვს ქვა-

ბურის ფორმა და ყველა მხრიდან მთებიტაა შემოფარგლული.

დერატიზაცია—მავნებელი მორღნელეების (ვირთაგების, თაგებისა და სხვ.) განადგურება, მოსპობა.

დერივატი — რისგანმე წარმოებულ; რისამე პროდუქტი.

დერმა—ადამიანისა და ხერხეულიან ცხოველების კანის შემაერთებელ ქსოვილოვანი ნაწილი, რომელიც მოთავსებულია ეპითელიუმის ქვეშ.

დერმალური შრე—ბრტყელი უჯრედების ფენა, რომლითაც დაფარულია ღრუბელების სხეული გარედან.

დერმატიტი—კანის ანთება.

დერმატოგენი—ღეროს ზრდის კონუსის ერთშიანი გარეთა ქსოვილი, (პრომერისტემა), რომლისგანაც შემდეგში ეპიდერმისი ვითარდება (მოქველებული ტერმინია).

დერმატოზი—კანისა და მისი დანაბტების (თმის, ფრჩხილების) სხვადასხვა დადამყოფობის საერთო სახელწოდება.

დერმატოლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს კანს და მის დაავადებებს.

დერმატოზი—რგოლიანი კიების, ქორდიანებისა და სხვათა ჩანასახის პირველადი სეგმენტების ნაწილი, რომლიდანაც ვითარდება კანის შემაერთებელ ქსოვილოვანი საყრდენი.

დერმატომაიოზი—კანის დაავადებანი (სირსეელი, ქეტი და სხვ.), რომელსაც იწვევს ადამიანის ან ცხოველთა კანის პარაზიტი სოკოები — დერმატომიცეტები.

დერმატომაიცეტები—იმ სოკოების საერთო სახელწოდება, რომლებიც პარაზიტობენ ადამიანისა და ცხოველების კანზე და იწვევენ მის სხვადასხვა დაავადებას.

დერმატოპლასტი—პროტოპლასტი უჯრედის გარისთ.

დებსენობილიზაცია—ორგანიზმის ან მისი ცალკეული ორგანოს და ქსოვი-

ლის რეაქტიულობის დაქვეითება განსაზღვრული ფაქტორებისაღმძი, მაგ., რომელიმე ტოქსინისაღმძი. დებსენობილიზაციაზე დამყარებულია მკურნალობის ზოგიერთი ხერხის გამოყენება (ეაქციინებით მკურნალობა და სხვ.).

დებსეანტები — ნიეთიერებები, რომლებსაც იყენებენ მცენარის ფოთლების, თესლებისა და სხვ. გასაშრობად. დებსეანტებად ხმარობენ ციანამიდებს და სხვ.

დებსეამაცია—ეპითელიუმის უჯრედების აქერცვლა კანის ზედაპირიდან და ლორწოვანი გარსიდან; კანის აქერცვა.

დებსეოპეტერები—მაფისებრი ბაქტერიები, რომლებიც მრავლდებიან მოძრავი, შოლტიანი უჯრედების მეშვეობით. ცხოვრობენ მტკნარ და მლაშე წყალსატევებში.

დებსოგენი — იხ. პროკამბიუმი.

დებსოზი — გელის ძაფი, რომელიც აერთებს გაყოფის პროცესში მყოფი ცენტროსომების ნახევრებს.

დებსოლაზები — ფერმენტები, რომლებიც იწვევენ ნახშირწყლების გახლეჩას ნახშირბადის ატომებს შორის კავშირების გაწყვეტის გზით. ღიდი მნიშვნელობა აქვს დულილისა და ქსოვილური სუნთქვის პროცესში. ამ ჩვეულის ფერმენტებიდან აღსანიშნავია კარბოქსილაზი, ალდოლაზი და სხვ.

დებსოლიტური ფერმენტები — იხ. დებსოლაზები.

დებსოლოგია — იხ. სინდესმოლოგია.

დებსონი—პორმონი, რომელიც უნდა მონაწილეობდეს მიტოზის გამოწვევაში.

დებსოსომები — ციტოპლაზმური მემბრანების სპეციალიზებული სტრუქტურები, რომელთა საშუალებით ხდება უჯრედების ერთმანეთთან გადაბმა.

დებსოციტი — შემაერთებელი ქსოვილის უჯრედი.

დებტრუქცია — რისამე ნორმალური სტრუქტურის დაშლა, დარღვევა.

დებტრემინანტი — 1. ჩანასახის პლაზმის პიპოთეზური ერთეული, რომელიც აკონტროლებს მემკვიდრეობას და განეთარებას (ვიისმანი, 1891). 2. მცენარე, რომელიც განსაზღვრავს გარემოს პირობებს ფიტოცენოზში. დებტრემინანტებს, ამა თუ იმ ზომით, წარმოადგენს თანასაზოგადოების ყველა მცენარე (რამენსკი, 1938).

დებტრემინაცია უჩრდეთებისა — 1. უჩრდეთა განვითარების წარმართვა განსაზღვრულ ქსოვილოვან სტრუქტურათა წარმოქმნის გზით. ეს ხდება მემკვიდრული ფაქტორებისა და გარემოს პირობების ურთიერთმოქმედების საფუძველზე. დებტრემინაციის პროცესში სპეციალიზებული ნიშნების გაჩენასთან ერთად უჩრდეთა სხვა მიმართულებით განვითარების პოტენცია მცირდება. დებტრემინაცია შეიძლება იყოს: ოვობიპური, ჩანასახოვანი და ქსოვილოვანი, რაც შეესაბამება ორგანიზმის უჩრდეთა განვითარების სხვადასხვა ეტაპს. დებტრემინაცია პროცესია, რომლის შედეგად ეილებთ უჩრდეთა ქსოვილოვან სპეციფიკურობას. 2. გარკვევა, განსაზღვრა, გაპირება, მაგ., ამა თუ იმ მცენარის ან ცხოველის გარკვევა, სახეობის ან გვარის დადგენა.

დებტრემინიზმი — მატერიალისტური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ყველა მოვლენა აუცილებელი მიზეზობრივი კავშირით არის გაპირობებული.

დებტრემინირება — იხ. დებტრემინაცია.

დებტოქსიკაცია — ფერმენტაციული პროცესი, რომელიც ამცირებს ამა თუ იმ ნივთიერების შხამიანობას.

დებტრიტი — 1. წყალში ატივტივებული ან წყალსატევების ფსკერზე არსებული წერილი ორგანული სხეულაკები, ცხოველისა და მცენარის ნარჩენები.

2. ყუაილის ასცრელი პრეპარატი.

დეფიციცია — 1. ორგანიზმიდან ნარჩენი საკმლის გარეთ გამოდენა სწორი ნაწლავის ან ანალური ბერელის გზით; კუჭის განთავისუფლება; კუჭში გასვლა. 2. ჰარხლის წვენიის გაწმენდა. სხვადასხვა მინარევისაგან.

დეფიბრინირებული სისხლი — იხ. ფიბრინგამოცილილი სისხლი.

დეფინიტური ბუმბული — ფრინველების ძირითადი ბუმბული, რომელიც წარმოიქმნება ე. წ. ემბრიონული, ბარტუობის ბუმბულის ქვეშ და ცელის მას ბუმბულის საფარის საბოლოოდ ჩამოყალიბებისას.

დეფინიტური პატრონი — იხ. ძირითადი მასპინძელი, მარჩენალი.

დეფინიტური პირი — პირის ხერელი, რომელიც წარმქმნილია გასტრულის პირველადი პირის (გასტროპირის) ადგილას.

დეფოლიანტები — ნივთიერებანი, რომლებსაც ხმარობენ ფოთლების ხელოვნურად გაყენისათვის მოსახეობის ადების წინ (მაგნიუმის ქლორატი, ამონიუმის სულფატი, ენდოტალი და სხვ.).

დეფოლიაცია — 1. მცენარის ფოთოლცეენა; 2. ფოთლების ხელოვნურად მოცილება (მაგ., ბამბის ფოთლების მოცილება კოლოფის მომწიფების დასაჩქარებლად ან ბამბის მინქანით ადების გასადელილებლად).

დეფორმაცია — სხეულის ფორმის ან მოცულობის შეცვლა.

დეფორმირება — იხ. დეფორმაცია.

დექსტროპოლულო ნიჟარა — მუცელფეხიანი მოლუსკების ნიჟარა, რომელიც წვეროდან დაწყებული აბევეულია მარჯვნივ ე. ი. საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით; მარჯვნივმხვევი ნიჟარა.

დექსტრინები — სახამებლის პიდროლიზის შუალედი პროდუქტები; წარმოადგენენ წყალში ხსნად ამორ-

ფულ პოლისაქარიდებს (რთულ ნახშირწყლებს); პოლიარიზაციის სიბრტყეს აბრუნებენ მარჯვნივ, საიდანაც მომდინარეობს მათი სახელწოდება. სახამებლის ჰიდროლიზის პროცესის თანმიმდევრულად წარმოქმნილ მრავალრიცხოვან დექსტრინებს ჩვეულებრივ აერთიანებენ 4 ჯგუფში: 1. ამილოდექსტრინი — სახამებელთან ყველაზე ახლოს მდგომი ნივთიერება, რომელიც იოდის ხსნართან იძლევა იისფერ შეფერვას და ილექება 40%-იანი სპირტით; 2. ერთთოდექსტრინი — იოდის ხსნარით იღებება წითლად და ილექება 60%-იანი სპირტით; 3. აქროდექსტრინი — იოდთან არ იძლევა შეფერვას და ილექება მხოლოდ 70%-იანი სპირტით; 4. მალტოდექსტრინი — იოდთან არ იძლევა შეფერვას და არც სპირტით ილექება.

დექსტროზა — იხ. გლუკოზა.
დეცერებრაციული რიგიდულობა — გამშლელი კუნთების ტონუსის სწრაფი ვაძლიერება.

დექლემინოზაცია — 1. სამკურნალო — პროფილაქტიკური ღონისძიებანი პარაზიტიკების (ჰელმინთების) მოსასპობად მათი განვითარების ყველა სტადიაში როგორც მასპინძელ ორგანიზმში (აღამიანი ცხოველი, ისე გარეშო პირობებში (წიადავში, სასუქში, საძოვებზე და სხვ.). 2. პარაზიტიკების გამოდევნა მასპინძელ ორგანიზმიდან.

დეშიდრაზები — ფერმენტები, რომლებიც ახდენენ დეჰიდრირების ე. ი. ორგანული ნაერთისაგან წყალბადის წართმევის რეაქციის კატალიზს და წყალბადს გადასცემს ჰაერის ეანგზბადს ან სხვა აქცებტორებს; არჩევენ დეჰიდრაზების ორ ჯგუფს: 1. ანაერობულ დეჰიდრაზებს, რომლებსაც არ შეუძლიათ წყალბადი გადასცენ ჰაერის ეანგზბადს, მაგრამ გადასცემენ სხვა აქცებტორებს 2. აერო-

ბული დეჰიდრაზები, რომლებსაც შეუძლიათ წყალბადი გადასცენ უშუალოდ ჰაერის ეანგზბადს.

დეშიდრირება — ეანგვის (დაეანგვის) ფორმა, როდესაც მოლეკულიდან ხდება წყალბადის წართმევა.

დეშიდროგენაზები — იხ. დეჰიდრაზები, დერიტის ფერმენტები — კუჭის წველის ერთ-ერთი ფერმენტი, რომელიც ახდენს რძის მოხაჭოებას.

დეაგოტროპიზმი — განივი გეოტროპიზმი; მცენარის ორგანოების ზრდა პორიზონტალური მიმართულებით, ე. ი. სიმაღლის ძალის მოქმედების მიმართულების პერპენდიკულარულად.

დეაგნოზა — 1. ავადმყოფობის განსაზღვრა, დადგენა ავადმყოფის ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად. 2. მცენარეთა და ცხოველთა სისტემატიკური კატეგორიის (სახეობის, გეარის და ა. შ.) აღწერა.

დეადა — 1. მეიოზური ქრომოსომები, რომლებიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული ორი ქრომატიდისაგან. მეიოზის დროს პირველი რიგის ოოციტისა და სპერმატოციტის ბირთვში დეადების რიცხვი დიპლოიდურია. 2. ანთაზური მოძრაობის ერთეული, რომელიც შედგება ორი ქრომოლოგიური კონიუგირებული (გვერდებით ან ბოლოებით) ქრომატიდისაგან.

დეადური ბირთვი — მეიოზის პირველი გაყოფისას წარმოქმნილი ორი ბირთვი ქრომატიდების ორმაგი რიცხვით, ეინაიდან ქრომოსომები ამ დროს უკვე გახლეჩილია.

დეათეზი — ორგანიზმის ბათოლოგიური რეაქცია ზოგიერთი ნივთიერებისადმი.

დეათერმია — მკურნალობის მეთოდი, რაც მდგომარეობს ქსოვილების ღრმა გათბობაში მალაი სიხშირის ელექტროდენით, რომელიც შიიღება სპეციალური აპარატით.

ლიკინეზი—პირველი მეიოზური გაყოფის პროფაზის ბოლო სტადია პირველი რიგის ოვოციტებსა და სპერმატოციტებში, რომელიც ხასიათდება ქრომოსომათა დამოკლებით.

დიაპაუზა — 1. მოსვენების პერიოდი განვითარების დროს. ორგანიზმის განვითარების შეჩერება ამა თუ იმ დროით მატლობის ან ქუპარობის სტადიაში (მწერებში და რიგ სხვა ჭკულებში). წარმოადგენს განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობებისაღმო შეგუებას. 2. ბირთვის მოსვენების პერიოდი განაყოფიერებასა და დანაწევრებას შორის, ანდა დანაწევრების პროცესის დამთავრების შემდეგ.

დიაჩრალური ფრინველები — ფრინველები, რომელთა გადაზამრებისა და ბუდობის ტერიტორია გათიშულია. მათ ეკუთვნის უმეტესი გადამფრენი ფრინველები.

დიატროფი — სახარლი. ძვალთა შორის შეერთება, რომელიც უზრუნველყოფს მათ მოძრაობას. ძელების მოძრაეი შეერთება.

დიატქული ფეხვი — ფეხვი, რომელსაც აქვს პირველადი ქსილემის ორი კიმი (განვი კრილში — ორი სხივი).

დიასპორია — მცენარის ნაწილი, რომელიც ბუნებრივად (თავისით) იშლება მცენარეს და მის გამრავლებასა და გავრცელებას ემსახურება, მაგ., სპორა, თესლი, ნაყოფი, ბოლქვაკი და სხვ.

დიახტაზა — იხ. ამილაზა.

დიასტემა — 1. პლაზმის მოდიფიკაცია, უჯრედული ეკვატორის უბანში, რაც წინ უსწრებს უჯრედულ გაყოფას. 2. შუალედები საქრელსა და დანარჩენ კბილებს შორის: მეტწილად ჩნდება ეშვების უქონლობის გამო (დამახასიათებელია რიგ ძუძუმწოვრებში: ჩანთოსნებში, მღრღნელებსა და სხვ.); კბილებს შორისი შუალედები ძუძუმწოვრებში.

დიახტოლა — გულის კუნთების მოღუნების ფაზა, რომელიც მოსდევს მის შეკუმშვას (სისტოლას); ამ დროს ხდება გულის სისხლით გავსება.

დიახტროფი — ქლოროპლასტების განლაგება უჯრედების კვლებთან ფოთლის ზედაპირის პარალელურად. შესამჩნევია ფოთლის სუსტი ან გაფანტული სინათლით განათების დროს.

დიატომები — იხ. კაჟოვანი წყალმცენარეები.

დიატომინი — დიატომისებრი წყალმცენარეების მურა ფერის პიგმენტი; მისი ქლოროფილთან შერევით დიატომების ქრომატოფორის მოყვითალო ფერი ეძლევა. ახალ გამოკვლევათა თანახმად დიატომინი თავის მხრივ წარმოადგენს ქსანტოფილთან ახლოს მდგომი რამდენიმე პიგმენტის ნარეუს.

დიატომისებრი წყალმცენარეები — იხ. კაჟოვანი წყალმცენარეები.

დიატომინა — მთის ქანი, რომელიც უმთავრესად შედგება დიატომისებრი წყალმცენარეების კაჟოვანი ქაღმისაგან; იყენებენ კერამიკაში, თერმოიზოლაციაში და სხვ.

დიატროპიზმი — განვი ტროპიზმი; რომელიც ორგანოს განლაგება გამოიხიანების მოქმედების მიმართულების პერპენდიკულარულად; მეტწილად დამახასიათებელია მცენარის გვერდითი ორგანოებისათვის, განსაკუთრებით ფოთლებისთვის სინათლის მიმართ.

დიატროპული ორგანოები — ორგანოები, რომლებიც ორთოტროპული (ვერტიკალურად განწყობილი) ორგანოების მიმართ სწორი კუთხითაა განლაგებული.

დიაფიზი — გრძელი ძელების შუა, ცილინდრული ნაწილი.

დიაფოტოტროპიზმი — განვი ფოტოტროპიზმი; რომელიც ორგანოს (მაგ., ფოთლის ფირფიტა) განლაგება და

ცემული სხივის მიმართულების პერპენდიკულარულად.

ღიაფრაგმა — გუმბათისებრი კუნთოვანი ძვილე, (ტიხარი), რომელიც ძუძუმწოვარი ცხოველების სხეულის ღრუს ყოფს ორ ნაწილად: გულმკერდის ღრუდ და მუცლის ღრუდ; მას შესასაზღვრსა უწოდებენ.

ღიაფრაგმები — უჯრედებისაგან შექმნილი ტიხრები, რომლითაც ბევრი მცენარის ღეროში გაყოფილია საპერო ღრუები; წარმოიქმნება მარცვლოვნების, ქოლგოსანთა და შვიტების წარმომადგენელთა ღეროს მუხლებში. წყლისა და ჰაობის მცენარეებში ტიხრები (აქვთ რა ჰაერის გატარებისა და წყლის დაკავების თვისება) იცავენ საპერო კაშვრებს წყლით ავსებისაგან.

ღიაფრატური — იგივე, რაც კეტეროგამეტური.

ღიგენწიხი — იგივე, რაც თაობათა მორიგეობა.

ღიგენწიხის მწოველები ანუ ტრემატოდები — ბრტყელი კიების ერთ-ერთი კლასი, რომელიც აერთიანებს ხერხემლიანი ცხოველების შინაგანი ორგანოების პარაზიტ კიებს, რომელთათვის დაშახსიათებელია მასპინძლის გამოცვლა და თაობათა მორიგეობა (მაგ., ლეიღოს ობ.პირა—ფასციოლა და სხვ.).

ღიგტიტრადული ცხოველები — ის. თითებზე მოსიარულე ცხოველები.

ღიგრეხია — მცენარეთა თანასაზოგადოების მდგომარეობის გაუარესება გარეგანი ან შინაგანი მიზეზებით; ამასთან დაკავშირებით ანსხვავებენ ექობლინამიურ, ენდობლინამიურ და ანთროპობლინამიურ ღიგრესიას.

ღიდი ტვინის ნახვარსფერობი — ხერხემლიანი ცხოველების თავის ტვინის წინა განყოფილება. ყველაზე უფრო მეტად განვითარებული აქვს ადამიანს.

ღიდი ტვინი — ხერხემლიან ცხოველთა

თავის ტვინის მთავარი განყოფილება, რომელსაც უკავია თავის ქალას ზედა ნაწილი; შედგება ორი ნახევარსფეროსაგან, რომლებიც დაკავშირებულია კორძიანი სხეულით; ადამიანში ღიდი ტვინი წარმოადგენს ცენტრალური ნერვული სისტემის ყველაზე ღიდ განყოფილებას.

ღიდიმოსპორა — ორუჯრედიანი სპორა.
ღიღი — კვების გარკვეული რეჟიმი.

ღიღიცია — ორსახლიანობა, როდესაც ერთსქესიანი ყვავილები სხვადასხვა მცენარეზე (ინდივიდზე) განვითარებული: ერთზე — მამრობითი, მეორეზე — მდედრობითი ყვავილები. დამახასიათებელია ვერხვისათვის, ტირიფისათვის, კანაფისათვის, ბოსტნის მკაუნასათვის და სხვ.

ღიღიქცინა — ვაქცინა, რომლითაც შეიძლება ერთდროულად ორი დაავადების (მაგ., მუცლის ტიფისა და ღებინტერიის) წინააღმდეგ აცრა. წარმოადგენს ორი ვაქცინის (ასაცრელის პრეპარატის) კომბინაციას.

ღივერგენცია — ნიშანთვისებათა დაცილება, გათიშვა, რასაც ადგილი აქვს მონათესავე ფორმებში, განსხვავებულ საარსებო გარემო პირობების ზემოქმედების შედეგად ევოლუციის პროცესში; ახალი სისტემატიკური ერთეულის წარმოქმნის გზა დარკონის თეორიის მიხედვით. დარკონი თეორია, რომ ერთი ინდივიდის შთამომავლობაში გამოჩენილი მცირედი განსხვავებული ნიშნები შემდეგ თაობებში თანდათან იზრდება, რის შედეგადაც ერთი სახეობის ფარგლებში მიიღება რამდენიმე სახესხვაობა, რომლებიც შემდეგში გარდაიქმნებიან დამოუკიდებელ სახეობებად. ამავე გზით სახეობები გადაიქცევა გვარებად, გვარები ოჯახებად და ა. შ.

ღივერგენცია ფიტოცენოზისა — ერთი მცენარეული თანასაზოგადოების გა-

ყოფა ორ სხვა თანასაზოგადოებად ეკზოლინამური და ენდოლინამური მიზნების შედეგად. ფიტოტენოზების ლივერგენცია, ისევე როგორც კონვერგენცია, ჩვეულებრივ მიმდინარეობს სინცენოგენების ფარგლებში.

ლივერგენციის კუთხე ფოთლებია — იხ. ფოთლების ლივერგენციის კუთხე.
ლივერზიცია — ახალი, მეორადი სახეობის წარმოქმნა პირველადი სახეობისაგან ცალკეულ ქრომოსომთა რიცხვის გადიდების, ქრომოსომული ანაწყობის გაორკეცების ან ცალკეული ქრომოსომის გამოვარდნის, ქრომოსომთა სტრუქტურული შეცვლისა და სხვა კომბინაციის გზით.

ლივერტიკული ღრუ — ღრუ ორგანოს (საყლაპავი მილის, ნაწლავის, შარდის ბუშტის) კედლების ტოპოკაისებრი გამოზერელობა, რომელშიც ხდება ორგანოს შემცველობის დაკავება.

ლიზოგოტური — ორკვერცხიანი (მაგ., ორკვერცხიანი ანუ არაიდენტური ტყუპები).

ლიზომბია — ყნოსვის შეგარძნების დაკარგვა.

ლიზუნქცია — სახეობის ან გვარის უწყვეტი არეალის გაყოფა რამდენიმე ცალკეულ ნაწილად.

ლიზუნქციური არეალი (ლიზუნქციოდანი) — წყვეტილი არეალი.

ლიზურია — შარდზე გასვლის მოშლილობა.

ლიკარიოზი — ორი ბირთვის არსებობა უჯრედში.

ლიკარიონი — სოკოს ჰიფებში ერთმანეთთან დაახლოებული ჰაპლოიდური (მამრობითი და მდედრობითი) ბირთვების წყვილი. წარმოიქმნება სქესობრივი პროცესის დროს ჩანთან და ბაზიდიუმთან სოკოებში.

ლიკარიოფაზა — განვითარების ფაზა სოკოებში, როდესაც განაყოფიერების დროს ბირთვები წარმოქმნიან

მეიდროდ კონიუგირებულ წყვილებს — ლიკარიონებს.

ლიკარიოფიტე — ჩანთიანი და ბაზიდიუმის სოკოების მიცელოზში წყვილ-წყვილად მიახლოებული ბირთვებით — ლიკარიონებით.

ლიკლინური მცენარე — განალკეეებულ სქესიანი, განსხვავებულ სქესიანი მცენარე, ე. ი. მცენარე, რომელიც მამრობით და მდედრობით ჩანასახოვან უჯრედებს წარმოქმნის სხვადასხვა ყვავილზე. ლიკლინური მცენარეები იყოფა ორ ჯგუფად: 1. ერთსახლიანი მცენარეები, როდესაც ერთ ეგზემპლარზე ვითარდება ორივე ტიპის, როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი (ცალ-ცალკე) ყვავილები; 2. ორსახლიანი მცენარეები, როდესაც ერთ ეგზემპლარზე ვითარდება ან მამრობითი, ან მდედრობითი ყვავილები.

ლილატატორები — კუნთები, რომელთა შეკუმშვით ხდება რაიმე ზვრელის (მაგ., თვალის გუგის, ან უკანა ზვრელის) გაფართოება (სტინქტორების საწინააღმდეგო).

ლიმეგალია — მამრობითი და მდედრობითი გამეტების დიმორფიზმი სიდიდის მიხედვით; არჩევენ ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ ლიმეგალიას.

ლიმი — ტერმინი, რომელიც ეხმარება ყოველ კატეგორიის ტაქსონომიურ რეკუფტების ინდივიდთა აღსანიშნავად, მხოლოდ ყოველთვის რაიმე თავსართით რაც ამა თუ იმ ვიწრო დახასიათების მატარებელია, მაგ., ტოპოლიმი — ინდივიდთა ჯგუფი, რომელიც გეხვდება განსაზღვრულ გეოგრაფიულ ოლქში; ეკოლიმი — ინდივიდთა ჯგუფი, რომელიც დაკავშირებულია სპეციფიკურ ადგილსამყოფელთან; გენოლიმი — ლიმი, რომელიც სხვა ლიმისაგან განსხვავდება გენოტიპის მიხედვით, ამასთან ამ შემთხვევაში ფენოტიპური განსხვავება აუცილებელი არ არის;

პლასტოდიმი — დიმი, რომელიც ფენოტიპურადაა დიმიდან განსხვავებული გარემო პირობების მოქმედების შედეგად; აუტოდიმი — დიმი, რომელიც შედგება მერწილად აუტოგამური ინდივიდებისაგან; გამოდიმი — დიმი, რომლის ცალკეულ ინდივიდებს გამრავლების ტიპით, სივრცესა და დროში, უკავიათ მოსახლურე მდგომარეობა, მაგრამ შეუძლიათ შეუწყვილდნენ მოცემული დიმის ყოველ ინდივიდს; ფენოდიმი — ფენოტიპურად განსხვავებული დიმები; ენდოდიმი — გამოდიმი, რომელიც მერწილად შედგება ენდოგამური მცენარეებისაგან ან ორსქესიანი ცხოველებისაგან.

დიმორფიზმი — 1. ერთი სახეობის ფარგლებში ორი, ურთიერთისაგან გარეგნულად განსხვავებული ფორმის არსებობა, მაგ., დედალსა და მამალს შორის განსხვავება ცხოველებში; ზოგიერთი მცენარის მამრობითი და მდედრობითი ეგზემპლარები (სქესობრივი დიმორფიზმი); ერთი და იმავე ცხოველის განსხვავებული შეფერილობა წლის სხვადასხვა დროს; ზოგიერთი მცენარის ვიწარხულსა და შემოდგომის ფორმები (სეზონური დიმორფიზმი). 2. მცენარეზე რომელიმე ორგანოს ორი ფორმის არსებობა, მაგ., სხვადასხვა ფოთლის (ჰეტეროფილია), ნაყოფის (ჰეტეროკარპია) და ა. შ.

დიმორფული პოლიპეტი — ზღვის ჰიდროიდული პოლიპეტი, რომელთაც კვირტები არ სცილდება და ბუჩქისებრი ან ხისებრი დატოტვილი ფორმა აქვს. მათ საერთო ღეროზე მრავალი ცალკეული ჰიდრანტია მოთავსებული.

დინამიკა მცენარეულობის — მცენარეულობის განვითარების პროცესის ცვალებადობა, გამპირობებული ბუნებრივი პირობების ან ადამიანის ზეგავლენით.

დინამიკური სტერეოტიპი — ადამიანისა და უმაღლეს ცხოველთა თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქში აგზნებისა და შეკავების კერებს შორის კავშირის და ურთიერთმოქმედების სისტემა.

დინჯი — 1. ზოგიერთი ცხოველის (უმთავრესად ღორის) წაგრძელებული ცხვირი და ყბები. 2. ყვავილის ბუტკოს ზედა გაფართოებული ნაწილი, რომლის დანიშნულებაა მტერის მარცვლების მიღება.

დინოზაურები — გადაშენებული ქვეწარმელების ერთ-ერთი დიდი ჯგუფი, რომლებიც ცხოვრობდნენ ტრიასის დასაწყისიდან ცარცის ბოლომდე.

დინოთერიონი — სპილოს მსგავსი გადაშენებული ძუძუმწოვარი ცხოველი (4—5 მ სიმაღლეს). ცხოვრობდა მესამეული პერიოდის მეორე ნახევარში.

დინოცერატები — გადაშენებული ჩლიქიანი ცხოველები, რომლებიც ცხოვრობდნენ მესამეულის ადრეულ ხანაში.

დიეპტიდები — პეპტიდები, რომლებიც შედგება ამინომჟავის ორი მოლეკულისაგან.

დილაზმა — ზოგიერთი უჩრდის (მაგ., ფიბრობლასტების) ციტოპლაზმა, რომელიც ქვეთრადაა გაყოფილი ორ ნაწილად: ენდოპლაზმად და ეპტოპლაზმად.

დიპლოვრულა — კანეკლიანების ადრეული ლარვა, რომელსაც აქვს ნათლად გამოსახული ორმხრივ სიმეტრიული სხეული.

დიპლომიონტი — იხ. დიპლონტი.

დიპლოდოკი — გადაშენებული უზარმაზარი ქვეწარმავალი ცხოველები დინოზაურების ჯგუფიდან; ცხოვრობდნენ მეზოზოური ერის იურის პერიოდში.

დიპლოზი — ქრომოსომა რიცხვის გაორკეცება გამეტებში.

დიპლომატიკა — უჩრდილო ან ორგანიზმი, რომელიც შეიცავს ქრონოსომთა ორმაგ რიცხვს (ჰალოიდთან შედარებით). დიპლოიდურს წარმოადგენს ყველა ზოგობა, რომელიც წარმოქმნილია განაყოფიერების შედეგად ორი გამეტის შერწყმით; იმათგან თითოეული გამეტა შეიცავს ქრონოსომთა ერთ ანაწყობს. დიპლოიდურია აგრეთვე ასეთი ზოგობიდან განვითარებული ყველა ინდივიდი.

დიპლოდიპლომატიკა — ქრონოსომთა ორი ანაწყობის არსებობა უჩრდილო ან ინდივიდში.

დიპლოდიპლომატიკა — ქრონოსომთა რიცხვის გაორმაგება ჰალოიდურ უჩრდილო ან ჰიფებში.

დიპლოიდურია ანაწყობი ქრონოსომებისა — იხ. დიპლოიდური კომპლექსი ქრონოსომებისა.

დიპლოიდური კომპლექსი ქრონოსომებისა — ქრონოსომების ორმაგი კომპლექსი, ორმაგი რიცხვი. იხ. დიპლოიდური რიცხვი ქრონოსომებისა.

დიპლოიდურია რიცხვი ქრონოსომებისა — ქრონოსომების ორმაგი (ჰალოიდურზე ორჯერ მეტი) რიცხვი, რომელიც ვახვდება ზოგობაში და ზრდასრული ორგანიზმის სომატურ უჩრდილოებში, სპოროფიტის (უსქესოთაობის) უჩრდილოებში.

დიპლოკოკები — წყველ-წყვილად განლაგებული სფეროსებრი ბაქტერიები. ყველა დიპლოკოკი უმოდტრა და სპორებს არ წარმოქმნის.

დიპლონტი — ინდივიდი, რომელიც წარმოქმნილია ორი ჰალოიდური გამეტის შერწყმით; ქრონოსომთა დიპლოიდური რიცხვის მქონე ინდივიდი.

დიპლომატიკა — მხედველობის მოვლა, რომლის დროსაც სავნები გარეგნული (ორად) ეჩვენებათ; ხდება თვალის კუნთის დაზიანებისას.

დიპლომატიკა — 1. ცენტროსომა, ორი ცენტრიოლით; ჩვეულებრივ შემოხვეულია სხივისნაირი პლაზმით. 2. ორი მაკონიუგირებული ქეტროქრონოსომი.

დიპლომატიკა — გამეტოფიტის განვითარება არა სპორიდან, არამედ სპორების წარმოშობი დედაუჩრდილოდან ე. ი. რედუქციული დაყოფის გარეშე; ახალი სპოროფიტი ასეთი დიპლოიდური გამეტოფიტისაგან ვითარდება პართენოგენეზურად ან აპოგამიურად. დამახასიათებელია რთულუჯვეილოვანი ზოგირითი წარმომადგენლისათვის: ბაბუაწყვრა, ბუსუსტანა, ცხენისკუდა და სხვ.

დიპლომატიკური უჯვილი — ფარულთესლოვან მცენარეთა უჯვილი, რომელშიც მტერიანების ორი წრეა განვითარებული, ამასთან გარეთა წრის მტერიანები მორიგეობენ გვირგვინის ფურცლებთან.

დიპლომენა — მეიოზის პირველი დაყოფის ერთ-ერთი სტადია.

დიპლომენოგენტი — ოთხი ქრომატიდისაგან შემდგარი ცალკეული ქრომოსომი მიტოზში. ასეთი ტიპის ქრომოსომები წარმოქმნება მეიოზში პირველი დაყოფის ნორმალური მიმდინარეობის, მაგრამ მეორე დაყოფის გამოვარდნის შემდეგ.

დიპლოფაზა — ორგანიზმის განვითარების ფაზა განაყოფიერების მოხდენისა (ზოგობის წარმოქმნისა) და მეიოზის დაწყებას შორის, როცა უჩრდილოებს გააჩნია ქრონოსომების ორმაგი რიცხვი გამეტებში.

დიპლოქრონოსომი — მიტოზური ქრომოსომი, რომელიც შედგება, განუყოფელი ცენტრომერებით შეერთებული ოთხი ქრომატიდისაგან. ასეთი ქრონოსომები ჩნდება დასხივების, ენდომიტოზის, არანორმალური ტემპერატურის და სხვა გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებით, როგორც ნორმალური მიტოზური ქრონოსომი.

მების ზედმეტი რეპროდუქციის შედეგი.

დიალექტოლოგია — ორგანიზმი, რომელიც, განსხვავებით პალონტისა და დიპლონტისა, ვეგეტატიური ციკლი მიმდინარეობს პალონტისა და დიპლონტისაში, ხოლო რედუქცია ხდება ამ ფაზებს შორის შუალედში. დიალექტოლოგიაში ყოველთვის შესაძლებელია თაობათა მორიგეობა. პალონტი თაობა წარმოქმნის გამეტებს და მას გამეტოფიტს. უწოდებენ, ხოლო დიპლონტი თაობა სპორებს და მას სპოროფიტს ეწოდება.

დიატროფოგია — ენტომოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს წყვილთა შორის მჭერებს.

დიაქარიდები — ნაბჭირწყლების (შაქრების) ჯგუფი, რომლის მოლეკულები აგებულია მონოსაქარიდების (მარტივი შაქრების) ორი, ერთმანეთთან შეერთებული, მოლეკულისაგან. მათ ეკუთვნის საქაროზა, მალტოზა და სხვ.

დისემინაცია — პათოლოგიური პროცესის გავრცელება სისხლძარღვთა და ლიმფურ სისტემათა საშუალებით რაიმე კერიდან, მაგ., ტუბერკულოზის დისემინაცია; კიბოს დისემინაცია.

დისემინტები — ტიბრები, რომლითაც გაყოფილია რგოლიანი ჰიების სხეულის ღრუ ცალკეულ ნაწევრებად (სეგმენტებად).

დისემტრია — ორმხრივ სიმეტრიული აგებულების დარღვევა, როდესაც სხეულის მარჯვენა მხარე არ შეესაბამება მარცხენას.

დისემინაცია — ენერგეტიკული ცვლა; უჩრდში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის ერთ-ერთი მხარე, რომლის დროსაც ხდება რთული ორგანული ნივთიერებების დაშლა და ორგანიზმის ცხოველყოქმედებისათვის უტილებელი ენერჯის განთავისუფლება

(საწინააღმდეგოდ ასიმილაციისა); მას კატაბოლიზმაც უწოდებენ. დისემინაციის ძირითად პროცესს სუნთქვა და დედილი წარმოადგენს.

დისკო — ზოგიერთი ფარულთესლოვანი მცენარის ყვავილსაქდომის მონარკვალო გამონაზარდი, რომელზედაც სანექტრები მოთავსებული, მაგ., ქოლგოსნებში.

დისომატური — იგივე, რაც ტეტრაპლოდი.

დისომია — 1. ქრომოსომა ორი, სტრუქტურულად იდენტური ანაწყობის არსებობა უჩრდში. ზოგადა, რომელიც წარმოქმნილია დიპლოიდური ორგანიზმების ნორმალური გამეტებისაგან, წარმოადგენს დიპლოიდურს და დისომიურს ყველა ქრომოსომის მიხედვით. 2. ორი პოპოლოგიური ქრომოსომის არსებობა პალონტიურ სომატურ უჩრდში ან გამეტაში. ამგვარი უჩრდი ან გამეტა წარმოიქმნება, როდესაც ადგილი არა აქვს მიტოზურ ან მეიოზურ გაყოფას.

დისოციაცია ბაქტერიებისა — ის. ბაქტერიების დისოციაცია.

დისპერმია — ორი სპერმატოზოიდის შექრა კვერცხუჩრდში ე. ი. კვერცხუჩრდის განაყოფიერება ორი მამრობითი გამეტით.

დისპერსია — დაყოფა, დაქუცმაცება, დაშლა.

დისპერსიული არე (დისპერსიიდან) — ის არე, რომელშიც ატივტივებულია დაქუცმაცებული, დაშლილი ნივთიერება.

დისპერსიული ფაზა (დისპერსიიდან) — დაქუცმაცებული, წერილად დაშლილი ნივთიერება, რომელიც გახსნილია დისპერსულ არეში.

დისპერსიულობა (დისპერსიიდან) — ნივთიერების ნაწილაკებად დაქუცმაცების ხარისხი; რამდენადაც წერილია ნაწილაკი, იმდენად მერტი; დისპერსიულობა.

დისკუსია — კუქ-ნაწლავის ნორმალური მოქმედების მოშლა, საკმლის მონელების დარღვევა.

დისპლოიდა — ქრომოსომა ძლიერ ცვალებადი რიცხვი ერთი სახეობის ინდივიდებში, რასაც თან არ სდევს ნათლად გამოსახული მორფო-ფიზიოლოგიური ცვლილებანი და დაკავშირებული არაა პოლიპლოიდიზაციის დონესთან.

დისტალური — სხეულის მთავარი ღერძიდან ან ცენტრიდან შორს მდებარე, დაშორებული.

დისტალური ბოლო — ორგანოს ან მისი ნაწილის მორფოლოგიურად ზედა ანუ ბოლო ნაწილი.

დისტროფია — ორგანიზმის კეების დარღვევა. იწვევს ფუნქციონალურ მოშლილობას.

დისტოტიკური ზონა — იხ. ბათიალური ზონა.

დისტუნქცია — რაიმე ფუნქციის მოშლა, დარღვევა.

დიფერენციაცია — 1. რაიმე მთელის დაცოფა, დანაწევრება, მრავალ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ, ნაწილად.

2. ორგანული მასალის მრავალფეროვნების წარმოქმნა ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების პროცესში. 3. უჯრედების ან ქსოვილების სპეციალიზირება ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების პროცესში.

დიფერენცირება — იხ. დიფერენციაცია.

დიფერენციაული — არაერთგვაროვანი, განსხვავებული.

დიფიოდონტური კბილების ნიხტემა — კბილების სისტემა, რომელიც იცვლება ერთხელ სიცოცხლეში; შედგება სარძევე და სარძევე კბილების შემნაცვლელი, მუდმივი კბილებისაგან.

დიფოსტოზირიდიანუკლეოტიდი — ეოფერმენტი, რომელიც ასრულებს წყალბადის დონორის ან აქტაბტო-

რის როლს ბევრ რეაქციაში; შემოკლებულად — დან.

დიფუზია — ამა თუ იმ ნივთიერების ატომების ან მოლეკულების თანდათანობითი გადასვლა უფრო მაღალი კონცენტრაციის არედან, შედარებით დაბალი კონცენტრაციის არეში.

დიფუზური ნერეული ნიხტემა — ყველაზე პრიმიტიული ნერეული სისტემა, რომელიც შედგება, ერთმანეთთან გამონაზარდებით დაკავშირებული, ნერეული უჯრედების ბადისაგან. დამახასიათებელია ზოგიერთ ნაწლავლურიანი ცხოველისათვის.

დიფუზური პარენქიმა — პარენქიმა, რომელიც ცოტად თუ ბევრად თანაბრდება ღეროს შერქანში მთელ წლიურ რგოლებზე განლაგებულ; ამასთან პარენქიმის ზოგი უჯრედი მოთავსებულია ტრაქეიდებსა და ბოქვებს შორის (გვხვდება მურყანის, ხურტყელის, კანკუატისა და სხვ. შერქანში).

დიფუზური ხუნთვა — ხუნთვა, რომლის დროსაც გაზთა ცვლა მიმდინარეობს ცხოველის სხეულის მთელ ზედაპირთ.

დიქაზიუმი — 1. სიმპლიური დატოტიანების ტიპი, როდესაც კენწრული კვირტის ქვემოთ მდებარე ორი შამბრისპირე კვირტიდან ერთადერთი, ცოტად თუ ბევრად თანაბარი გვერდითი ტოტი, რომლებიც ზრდაში ასწრებენ მთავარ ღერძს. ასეთ დატოტიანებს ხშირად ცრუდიქტომიასაც უწოდებენ; დამახასიათებელია ფიტონისათვის, იამანისა და სხვ. 2. ყვავილედის ერთ-ერთი სახე; ორსხვიანი კენწრულყვავილა ნახევარკოლგა ციმოზურ ტიპის ყვავილედისაგან, რომელთაც ცრუდიქტომიური დატოტიანება ახასიათებს. დამახასიათებელია მისაქისებრთა, ტუჩოსანთა და სხვ. ოჯახის წარმომადგენლებისათვის.

დეკოკაშია — 1. მტერიანებისა და ბუტკოს ღინვის (ან ბუტკოების) არაერთ-ღროული მომწიფება ყვეილში, რაც ხელს უშლის თვითღამტერებას; არჩევენ პროტანდრიას (მტერიანების უფრო ადრე მომწიფება) და პროტოგინიას (ღინვების უფრო ნაადრევი მომწიფება). 2. განსხვავებული სსსკესო ორგანოების არაერთღროული მომწიფება სპოროვან მცენარეებში.

დეკოტოშია — მთელს გაყოფა ორად, შეპდეგ თითოეული ნაწილის კვლავ ორად განშტოება და ა. შ.

დეკოტომიური დატოტიანება — ორთითისებრი დატოტიანება, როდესაც ძველ ზრდის წერტილი იყოფა ორ, ახალ — ერთნაირი ტოტების მომცემ, ზრდის წერტილად და ამგვარად ხდება ძველი ღერძის ორად გაყოფა. დამახასიათებელია უმდამლეს მცენარეებში, მაგ., წყალმცენარეებში, ზოგიერთ სოკოში, ღვიძლის ხავსში და ლიკოპოდოში.

დეკოტოშიური დამარღვა — ფოთლის ისეთი დამარღვა, როდესაც ფოთლის ფუძიდან დაწყებული ყველა ძარღვი რამდენიმეჯერ იყოფა ორად (გინკოს ფოთოლი).

დექტიკაულეზი — ხბოების და ცხერის ფილტვებით დაეადება, რომელსაც ინჟექს ზოგიერთი პარაზიტი ნემატოდა — შრგვალე კია.

დექტიოკინეზი—გოლფის აპარატის ელემენტების განაწილების პრატეხსი უჯრედებში მეთოზის დროს უხერხემლო ცხოველებში.

დექტიოზოზა — ზოგიერთ უჯრედის გოლფის აპარატის ელემენტი.

დექტიოზტელა — ბადისებრი ცენტრალური ცილინდრი (სტელა). ამფიფლოიდური სითონოსტელა, რომელიც ბევრ ადგილას განკვეთილია სამგანზომილებიანი ბადის მსგავსად. მის ნაწილებს ჰრილში აქვს კონცენტრული კონების სახე. გვხვდება,

მაგ., უმადლესი გვიმრების უხვად შეფოთილ ღეროში.

დეციემიდეტი — მცირე ზომის ენდოპარაზიტული ცხოველები, რომელთა სისტემატიკური მდგომარეობა არაა გარკვეული. პარაზიტობენ თავფეხიანი მოლუსკების თირკმლებში.

დეცაქლური ფორმები — ფორმები, რომელთაც წლის განმავლობაში გააჩნია თაობათა ორი მორიგეობა, მაგ., ზოგიერთი ციბრუტელა, რომელშიც წელიწადში ორჯერ მიმდინარეობს პართენოგენეზური თაობის შეცვლა ორსქესიანი თაობით.

დემაპლოიდი—ინდივიდი, რომელიც წარმოქმნილია ტეტრაპლოიდური ფორმისაგან, მაგრამ შეიცავს ტეტრაპლოიდური ქრომოსომული ანაწყობის მხოლოდ ნახევარს.

დემაპლოფაზა — იკვივა, რაც დიკარიოფაზა.

დექეტეროზიგოტა—ქეტეროზიგოტა ორი წყვილი ალელით.

დეიბირადი—ჰიბრიდი, რომელიც ქეტეროზიგოტურია ორი წყვილი ალელით.

დეიბირადული შეჯარება — როდესაც ერთმანეთს აჯვარებენ ისეთ ფორმებს, რომლებიც განსხვავდებიან ორი მემკვიდრეობითი ნიშან-თვისებით.

დემ — დეზოქსირიბონუკლეინმეჟავის შემოკლებული აღნიშვნა.

დემ-ს კოდი — იხ. დეზოქსირიბონუკლეინმეჟავის კოდი.

დემ-ხ რედუპლიკაცია—იხ. დეზოქსირიბონუკლეინმეჟავის რედუპლიკაცია.

დოლა—1. ურქო მსხვილი რქოსანი ცხოველი (ძროხა, ცხვარი, თბა); 2. რქამოკლე.

დოლაბები — ცირიანი სხეულაკები, რომლებიც მოთავსებულია ზოგიერთი კიბოსნაირის წინა ნაწლავში; მათი საშუალებით ხდება საკმლის გახეხვა.

დოლაზა — რქების უქონლობა, გაქრობა მსხვილ რქოსან საქონელში (ცხვა-

ჩი, თხა, ძროხა) რაც არ არის დაკავშირებული ნაყოფიერებასთან და არც ნაქლს წარმოადგენს.

დოლი — ბატონის მოგების დრო; ბატონის მოგება.

დოლიქოყეფალი — იხ. დოლიქოყეფალი.

დოლიქოყეფალია — იხ. დოლიქოყეფალი.

დოლიქომორფული აგებულება — სხეულის ისეთი აგებულება, რომელსაც ახასიათებს გრძელი კიდურები და ვიწრო ტანი.

დოლიქოყეფალი — გრძელთავიანი; გრძელი თავის ქალას მქონე.

დოლიქოყეფალია — თავის ქალას ფორმა, რომლის სიგრძივი ზომა (ცხვირის ფუძიდან კეფამდე) მნიშვნელოვნად მეტია განივზე.

დოლიქოყეფალური თავის ქალა — იხ. დოლიქოყეფალია.

დოლოს კანონი — იხ. ლეი დოლოს კანონი.

დომინტიკაცია — მოშინაურება: გარეული ცხოველის ან მცენარის მოშინაურება, კულტურაში შეტანა.

დომინანტი — 1. სახეობა, რომელიც გაბატონებულია ე. ი. კარბობს რიცხოზობრივად და დაფარულობით მოცემული ადგილის მცენარეულ დაქვეყნებაში, ფიტოცენოზის თითოეულ იარუსში. მაგ., ურო, უროიან ველში; წიფელი, წიფლნარ ტყეში; ფიჭვნარი ტყე მოცვით (მეორე იარუსში) და მწვანე ხავსით (მესამე იარუსში) სამი დომინანტითაა: ფიჭვი, მოცვი და მწვანე ხავსი. დომინანტის მიხედვით ეძლევა სახელი ასოციაციას. 2. დროებით გაბატონებული რეფლექსი, რომელიც ცვლის ან აფერხებს სხვა რეფლექსებს.

დომინანტობა — ალელური წყვილის ერთი გენის გამოვლენის დათრგუნვა მეორის მიერ (იხ. დომინირება).

დომინანტური ნიშან-თვისება — ის ნი-

შან-თვისება, რომელიც ვლინდება ჰეტეროზიგოტური ორგანიზმის ფენოტიპში (რეცესიული ნიშნის საწინააღმდეგო).

დომინირება — კიბრიდში ერთ-ერთი მშობლის ნიშან-თვისებათა სიპარბე, გაბატონება.

დომინირებულა ნიშან-თვისება — იხ. დომინანტური ნიშან-თვისება.

დომინულება — მიკროცენოზების დომინანტები.

დონორი — ინდივიდი, რომელიც იძლევა თავის სისხლს ან ქსოვილს, ანდა რომელიმე ორგანოს ავადმყოფისათვის გადასასხმელად ან გადასანერგად.

დონორი ქრომოსომა — ქრომოსომები, რომელთაც აქვთ უნარი ადვილად მისცენ სეგმენტები, რომლებსაც იერთებენ სხვა ქრომოსომები — რეცეპტორები. ამასთან ერთად რეცეპტორებმაც უნდა დაკარგონ ქრომოსომის მცირე ნაწილი, ვინაიდან სხვა სეგმენტის მიერთება ქრომოსომის ნორმალური ბოლოთი შეუძლებელია.

დორზალური მხარე — ზურგის მხარე.

დორზოვენტრალური აგებულება — ბრტყელი ორგანოს ისეთი აგებულება, როდესაც შეიძლება განვასხვაოთ ზედა — ზურგის (დორზალური) და ქვედა — მუცლის (ვენტრალური) მხარე, მაგ., ფოთლის აგებულება.

დორზალური მხარე — იხ. დორზალური მხარე.

დოვი — 1. ხალხიანი ირმისა და მარალის ახალგაზრდა, ჭერ კიდევ გაუმაგრებელი რქები; მისგან იღებენ ძვირფას სამკურნალო ნივთიერებას — პანტოკრინს. 2. ახალმოყრილი, ქორფა, ნორჩი, მაგრამ თამაში უკლორტი.

დუნ — დიფოსფოპირიდინუკლეოტიდის შემოკლებული აღნიშვნა.

დრავუნკულეში — ავადმყოფობა გავრცეული ზოგიერთი პარაზიტი მრგვა-

ლი ჰიოსიგან, რომელიც სახლდება კანისქვეშა უჯრედშორისებში და იწვევს ადამიანის სხეულის დაწყულულებას.

დრენა — მიწისქვეშა არხი, მილი დაქაობებული ნიადაგის ამოსაშრობად (დასაწრეტად).

დრენაჟი — 1. დაქაობებული ნიადაგის ამოშრობა (დაწრეტა) თხრილების, არხების, ან მიწისქვეშა მილების სისტემის საშუალებით; ასეთი თხრილების, არხების, მილების სისტემა.

2. პრლობიდან ჩირქის, სითხის დაწრეტა სპეციალური მილის ან დოლბანდის გრძელი ნაქრის საშუალებით.

დრომოტიფი — ბეზე მცხოვრები შაიმუნები; ადამიანის მსგავსი ნაშარბი შაიმუნი, რომელიც ცხოვრობდა მესამეულ ხანაში (მოიოცენსა და პლიოცენში).

ცენში). ფიქრობენ, რომ დრომოტიფისაგან დასაბამი მიეცა სამ შტოს: შიმპანზეს, გორილას და ადამიანს.

დრუზები — ჭეუნჭევა კალციუმის კრისტალების ერთ-ერთი სახე მცენარის უჯრედებში.

დუალიზმი — მცდარი ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის თანახმად სამყაროს საფუძვლად აღიარებულია ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო საწყისი — მატერიალური და იდეალური.

დუბლეტი — რაიმე ნივთის მეორე ცალი.

დუბლიკაცია — ქრომოსომების უბნების გაორმაგება ქრომოსომათა პალიოდურ: ანაწეობში.

დულილი — მიკროორგანიზმებით შეპირებული ორგანული ნივთიერების დამლა.

ე

ეკულატო — სათესლე სითხე, სპერმა, თესლის შემცველი სითხე.

ეკულაცია — თესლთნთხევა; სპერმების ამონთხევა სასქესო ასოდან.

ეგზალტაცია — უკიდურესად აგზნებული ან აღფრთოვანებული მდგომარეობა.

ეგზარქული მერქანი — მერქანი, რომელიც დიფერენცირებულია ცენტრისკენული მიმართულებით, ამასთან გამტარი კონის პირველი კურკლის ჩამოყალიბება ხდება ორგანოს ცენტრიდან ყველაზე მოშორებული კონის ნაწილში. გვხვდება ლეკობადიუმების ღეროში.

ეგზემა — კანის ანთებითი დაავადება, რომელიც ხასიათდება სხვადასხვა სახის გამონაყარით; იცის ქავილი.

ეგზემალარი — ცხოველთა ან მცენარეთა სახეობის ცალკეული წარმომადგენელი; ერთგვაროვანი საგნების ცალკეული ნიმუში.

ეგზონა — ეგზოსპორიუმი; მტერის მარ-

ცელის ან სპორის გარსის გარეთა შრე, რომელსაც ზედაპირზე, ხშირად აქვს სხვადასხვა სახის (ბორცვისებური, სავარცხლისებრი, ბადისებრი და სხვ.) დანამატები.

ეგზოგამია — 1. არანათესაური განაყოფიერება. ეგზოგამიის გენეტიკური შედეგია პოპულაციის პეტროლოგიკოტურობის გადიდება. 2. ჩვეულება, რომლის მიხედვითაც აკრძალულია ერთი გვიარის ან თემის წარმომადგენლებს შორის ქორწინება.

ეგზოგენური ორგანოები — გვერდითი ორგანოები, რომლებიც წარმოქმნილია ღერძული ორგანოს გარეთა ქსოვილებისაგან (მაგ., გვერდითი ტრეტები).

ეგზოგენური ხორა — იხ. ეგზოსპორა.

ეგზოფერმა — ფესვის პირველადი ქერქის გარეთა შრის ქსოვილები, რომლებიც ეპიდერმისის ქვეშ მდებარეობს და ეპიბლემას ესაზღვრება.

შედგება ერთმანეთთან შეიდროდ განლაგებული უჯრედებისაგან, რომელთა კედლები ფესვის ბეწვების კედლის დროს ხშირად გაკორპებს განიციდის (დამახასიათებელია ერთწლოვანი მცენარეებისათვის).

ეგზოთერმული — რაც დაკავშირებულია სითბოს გამოყოფასთან, მაგ., ეგზოთერმული რეაქცია — რეაქცია, რომელსაც თან სდევს სითბოს გამოყოფა.

ეგზოკარიუმი — ნაყოფსაფარის ანუ პერიკარიუმის გარეთა ნაწილი (მაგ., ალუბლის, ქლიავის გარეთა თხელი კანი).

ეგზოკრინული ქირკვლები — ქირკვლები, რომლებიც სეკრეტებს გამოყოფენ ორგანოთა ზედაპირზე.

ეგზოპოდიტი — ებოსნაირთა ორად გაცოფილი კიდურის გარეთა ტოტი (ნაწვეარი).

ეგზოსმოსი — წყლისა და მასში გახსნილი ნივთიერებების გამოსვლა უჯრედიდან გარემოში.

ეგზოსმატური ორგანოები — ორგანოები, რომლებიც უშუალოდ არიან გარეგან გარემოსთან დაკავშირებული (ა. სევერცოვის მიხედვით).
ექსპლერენტო-მცენარე, რომელსაც ფიტოცენოზის პირობებში არსებობისათვის ბრძოლაში გააჩნია მეტად დაბალი ენოტიკური სიმძლავრე, მაგრამ აქვს განთავისუფლებული ტერიტორიის დაკავების მეტად სწრაფი უნარი, თუმცა ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში. ექსპლერენტებს შეუკუთვნება ბევრი საარეველა მცენარე.

ექსტენზორები — გაშვული კუნთები.

ექსტერიოეკატორები — სხეულის ზედაპირზე განლაგებული გრძობობა ორგანოები, რომლებიც იღებენ გარემოდან მომდინარე ვალიზიანებებს.

ექსტერიოეკატორი ვალიზიანება — სხეულის ზედაპირიდან მომდინარე ვალიზიანება.

ექსტირაცია — ორგანოს მოცილება, მოშორება ობერაციის გზით.

ექსტრაზონალური მცენარეულობა — მცენარეულობა, რომელიც ახლოს დგას რომელიმე ზონის მცენარეულობასთან, მაგრამ იმყოფება არა ამ ზონაში (მაგ., ფიქვნარი ტყე ველის ზონაში).

ექსტრაბიოტი — დამატებითი მიტოზი, რომელიც დგება ორი მეიოზური დაყოფის შემდეგ; უმთავრესად ასკომიცეტებში შეიმჩნევა.

ექსტრაპერიტონიალური ორგანოები — ორგანოები, რომლებიც მდებარეობენ მუცლის აქის გარეთ (თირკმელები, კუჭქვეშა ქირკვალი, შარდსაწყეთი და სხვ.).

ექსტრაპირამიდული ხისტემა — სისტემა, რომლითაც ტვინის ქერქი დაკავშირებულია მამოძრავებელ ეფერენტულ ნეირონებთან თავის ტვინის ეფერენტული ბირთვების გზით. მასში შედის პრემორტორული ზონა, ღრუ სხეული (ზოლიანი სხეული), შავი სუბტანცია, წითელი ბირთვი და ლუისის სხეული, შესაძლებელია აგრეთვე ნათხემი.

ექსტრაფოლარული ხანექტრემები — სანექტრემები, რომლებიც ყვავილის გარეთაა განლაგებული (ჩვეულებრივ სანექტრემები ყვავილშია მოთავსებული).

ექსტრაქტე — გამონაწერი; პრეპარატი, რომელსაც იღებენ სამკურნალო ნივთიერების გამოწერით მცენარეული ან ცხოველური ქსოვილებიდან რაიმე გამსხნელის (წყლის, სპირტის და სხვ.) საშუალებით.

ექსტრაელულარული ფერმენტები — იხ. ექტოფერმენტები.

ექსტრაცეპტორი გზა — ნერვული ბოქოკანის სისტემა, რომლითაც ავზნება კანის რეცეპტორებიდან გადაეცემა მხედველობის ბორცვის გზით დიდი პემისფეროფების ქერქს.

ექსტრორზული ხამტვრე — სამტვრე, რომელიც გახსნილი ნაჩალებით მიმართულია ყვავილსაფარისაკენ.

ექსუდატი — სითხე, რომელიც გამოდის წერილი სისხლძარღვების კედლებიდან ანთებითი პროცესის დროს და გროვდება ქსოვილებში ან რომელიმე შინაგან ორგანოში.

ექსუდაცია (ექსუდატიდან) — სითხის გამოსვლა, ანთებითი პროცესის უროს, წერილი სისხლძარღვების კედლებიდან და მისი დაგროვება ქსოვილებში ან რომელიმე შინაგან ორგანოში.

ექსუმპრელა — ჰიდროიდული მედუზის ზურგის მხარე.

ექსტენტრული ღერო — ღერო, რომლის მერქნის წლიური რგოლები უთანაბ-

როდა განვითარებული (ერთ მხარეზე უფრო მეტად, ვიდრე მეორეზე), რის შედეგადაც გულგული მოთავსებულია არა ღეროს ცენტრში, არამედ ერთ მხარეზე.

ექტაზია — რომელიმე ღრუ ორგანოს (ბრონქების, სისხლძარღვების და სხვ.) დაჭიმვა.

ექტობლახტი — გარეთა ჩანასახოვანი ფურცელი.

ექტოვენეზი — 1. მიმართულება ეეოლუციურ მოძღვრებაში, რომლის თანახმად ეეოლუციის პროცესებს იწვევს, გარეგანი ფაქტორებით გაპირობებული, მიმართულებითი ცვლილებები, რომელზედაც სახეობები რეაგირებენ მათი საერთო აგებულების შესაბამისად. 2. ემბრიონის განვითარება კელტურაში *in vitro*.

ექტოგონია — დედა ორგანიზმის ნაწილების ცვლილება ჰიბრიდული ემბრიონის გავლენით, რაც არ არის ქროზომომულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული.

ექტოდერმა — 1. უჩრდების გარეთა შრე ჩანასახის (ემბრიონის) განვითარების დროს. გასტრულის გარეთა ჩანასახოვანი ფურცელი, რომლიდანაც წარმოიქმნება კანი და ნერვული სისტემა. 2. ნაწლავლრუიანების და ღრუბელების სხეულის გარეთა შრე.

ექტოდერმული წარმოშობა — ორგანოს ან მისი ნაწილის განვითარება ექტოდერმიდან.

ექტონდოტროფული მიკორიზა — მიკორიზა, რომლის დროსაც სოკოს ჰიფები შექრილია როგორც ფესვის ქერქის უჩრდდერმისისებურ, ასევე ფესვის დაბოლოების უჩრდდებშიც.

ექტოზოოქორია — მცენარის თესლების ან სპორების გავრცელება ცხოველების მიერ სხეულის ზედაპირით, რისთვისაც თესლებს და სპორებს გააჩნია სპეციალური სამარჩეები (კაუ-

ქები, წებოვანი ზედაპირი და სხვ).

ექტონერვალური ნერვული სისტემა — კანეკლიანთა ნერვული სისტემა, რომელიც შედგება, სხეულის ქვედა მხარეს მდებარე, ნერვული რგოლისაგან, რომლიდანაც გამოდის ხუთი რადიალური ნერვული ღერო.

ექტონარაზიტები — პარაზიტები, რომლებიც ცხოვრობენ მასპინძლის სხეულის ზედაპირზე.

ექტოპლაზმა — უჯრედის ციტოპლაზმის გარეთა შრე (იხ. პლაზმალემა).

ექტოსიმბიოზი — სიმბიოზის მოვლენა, როდესაც ერთი ორგანიზმი ცხოვრობს მეორეზე (მაგ., კიბო — განდევგორი და აქტინია).

ექტოსპორა — იხ. ეგზოსპორა.

ექტოტროფული მიკორიზა — გარეგანი მიკორიზა; როდესაც სოკოს ჰიფები გარედანაა ახალგაზრდა, გვერდით ფესვებზე შემოხვეული და შეკრძოლია პირველადი ქერქის უჯრედშირებიებში, შავნით უჯრედებში კი არაა შესული.

ექტოფერმენტები — ფერმენტები, რომლებიც უჯრედის მიერ გარეთაა გამოყოფილი.

ექტოფლოიური სიფონოსტელე — სიფონოსტელე, რომელსაც ფლოემა მხოლოდ ქსილემის გარეთ აქვს განვითარებული; ევოლუციის პროცესში ამ ტიპის სიფონოსტელედან განვითარდა შიშველთესლოვანთა და ფარულთესლოვანთა ცენტრალური ცილინდრი.

ეშვები — 1. ძუძუმწოვარი ცხოველების კბილების ერთ-ერთი სახე; ძლიერაა განვითარებული და ჩვეულებრივ პირიდანაა გამოშვებული (მაგ., ღორის, ღომეშაპის და სხვ. ეშვები). 2. აღამიანის ერთფესვიანი კბილები.

ეციეზიზი — ორგანიზმების შეგუება ახალ ბიოტოპთან. ამ ტერმინს მეტწილად ინგლისელი და ამერიკელი მეკლავრები იყენებენ.

ეციდიოკლიმატი — მცენარის კრონისა (ვარჯისა) და კრონისირგვლივი სივრცის კლიმატი.

ეციდიოსპორები — ენგა სოკოების ორბირთვიანი სპორები, რომლებიც წარმოიქმნება ეციდიუმში.

ეციდიუმი — ენგა სოკოების სპორების მატარებელი სხეული, რომელშიც წარმოიქმნება ეციდიოსპორები.

3

ვაგატონი — პანკრეასის ექტორაქტებიდან მიღებული ცილოვანი ნივთიერება.

ვაჯინა — 1. ხალთა; ფოთლის ყუნწის ან ფორუიტის ქვედა, ღარივით გაფართოებული ნაწილი, რომელიც ხშირად შილის მსგავსად ღეროზეა ცოტად თუ ბევრად შემოხვეული. დამახასიათებელია მარცვლოვნებისათვის, ისლბისათვის, ქოლგოსანთა ბევრი წარმომადგენლისათვის და სხვ. 2. ქალის სისქესო სისტემის ნაწილი—საშო.

ვაგოტონია — ცთომილი ნერვის მოქმედების დარღვევა.

ვაზის ნაყარი — ვაზის სოკოვანი დაავადება.

ვაზიცენტრული პარენქიმა — პარენქიმა, რომელიც განლაგებულია ქურკლების ირგვლივ (გვხვდება, მაგ., იტხის მერქანში).

ვაზოლილატატორები — სისხლძარღვთა გამაფართოებელი ნერვული ბოქკოები.

ვაზოკონსტრიქტორები — სისხლძარღვთა შეშუპვითი ნერვული ბოქკოები.

ვაზომოტორები — სისხლძარღვთა მოძრავებელი ნერვული ბოქკოები.

ვაზოარქონი — პორმონი, რომელიც ვა-
მოიყოფა ჰიპოფიზის უკანა განყო-
ფილებაში; ახდენს სისხლძარღვთა
კედლების შევიწროებას და იწვევს
სისხლის წნევის გადიდებას.

ვაისმანიზმი — იხ. ვეისმანიზმი.

ვაკუოლი — პროტოპლაზმაში არსებუ-
ლი ღრუები, რომლებიც უჭრედის
წვენითაა ამოვსებული და პრო-
ტოპლაზმისაგან შემპრანიტაა გა-
მოყოფილი. ჩვეულებრივ მცენარეუ-
ლი უჭრედებისათვისაა დამახასიათე-
ბელი. ზოგიერთ ერთუჯრედიან ცხო-
ველში (ჰალამანა) ვაკუოლი შეი-
ცავს საკმლის მომწვანებელ წვენს,
ამიტომ მას საკმლის მომწვანებელი
ვაკუოლი ეწოდება; ხოლო ზოგ
ცხოველში (ამება) საკმლის მომწე-
ლებელი ვაკუოლის გარდა წარმო-
იქმნება ე. წ. მფეთქავი ვაკუოლიც,
რომელშიც მონელებული პროდუქ-
ტები გროვდება და შემდეგ გარეთ
გამოიყოფა.

ვაკუოლი — უჭრედის ვაკუოლების ერ-
თობლიობა.

ვაკუმი-ინფლტრაცია — მცენარეულ
ქსოვილში ამა თუ იმ ხსნარის შეყ-
ვან; ცოცხალ უჭრედში ფერმენტე-
ბის მოქმედების აქტივობის შესას-
წავლად.

ვანლინი — ორგანული ნაერთი, რო-
მელსაც შეიცავს მცენარე ვანილის
ნაყოფი გლუკოზიდის სახით. აქეა-
მად ამზადებენ ხელოვნურად. იყე-
ნებენ კულინარიაში და პარფიუმე-
რიაში.

ვარკი — ხელუთხე გამოიყოფილი ზღვიპ
წყალმცენარეები.

ვარიაცია — 1. მცენარის ან ცხოველის
ერთგვარი გადახრა, მცირე ცვლა-
ლება ტიპთან შედარებით; სახეცვლი-
ლება; სახესხვაობა. 2. მოდიფიკა-
ციური ან გენოტიპური ცვლილების
გაჩენა ინდივიდებს შორის.

ვარიაცია სომატოგენური — იხ. სომა-
ტოგენური ვარიაცია.

ვარიაცია პოპოლოგიური — იხ. პოპო-
ლოგიური ვარიაცია.

ვარიაციული შრული — ნიშან-თვისების
ცვალებადობის გრაფიკული გამოსახ-
ვა.

ვარიაციული მწკრივი — ამა თუ იმ ნიშ-
ნის რაოდენობრივი გამოსახულებე-
ბის დალაგება შემცირების ან მატე-
ბის თანმიმდევრობით.

ვარიება — სახის შეცვლა, გადასხვაფე-
რება.

ვაროლის ზიდი — ნერვული ბოქვების
ჩვეუთი, რომელიც აერთებს ნათემის
მარცხენა და მარჯვენა ნახეარსფე-
როებს ტუბერკულარ ცხოველებში.

ვარსკვლავისებრი განვლიში — თავფე-
ხიანი მოლუსკების მანტიის შიგნი-
თა კედელზე არსებული მსხვილი,
წყვილი ნერვული კვანძი, რომელიც
წარმოადგენს მანტიის რიტმული
მოძრაობის ცენტრს.

ვარჯი — ხემცენარეთა ტოტებისა და
ყლორტების ერთობლიობა.

ვაქცია — სპეციალური ვირულენტული
პრეპარატი, რომელიც შეიცავს ინ-
ფექციის გამომწვევ დასუსტებულ ან
მკვდარ ბაქტერიებს ანდა მათი ცხო-
ველმოქმედების პროდუქტებს. ვაქ-
ცინით უტრიან ადამიანს ან ცხოველს
ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ
აქტიური იმუნიტეტის შესაქმნელად.

ვაქცინაცია — ვაქცინის შეყვანა ადამი-
ანის ან ცხოველის ორგანიზმში; ვაქ-
ცინით აკრა.

ვაცი — მამალი თხა.

ვებერის აპარატი — ზოგიერთი ძელიანი
თევზის თავისებური ორგანო (ძელე-
ბის სისტემა), რომელიც აკავშირებს
საეურავ ბუშტს წონასწორობის ორ-
განოსთან (შიგნითა ყურთან); მისი
სამუალებით ხდება, წნევის ვადაცემა
საეურავი ბუშტიდან შიგნითა ყურში.

ვებერ-ფებერის კანონი — კანონო-
მიერება, რომელიც განსაზღვრავს
აკეშირს შეგრძნების ინტენსიობისა
და გამლზიანებლის ძალას შორის.

30გეოგრაფიკა — კვების სისტემა ან მარტო მცენარეული საკვებით ან მცენარეული საკვებით, რძის ნაწარმით და კვერცხით; ამ დროს დაუშვებელია ხორცეულის კვება.

30გეოგრაფიკა — იხ. ვეგეტარაიენლობა.

30გეოგრაფიკა — მცენარეული, მცენარესთან დაკავშირებული; წინააღმდეგ ანიმალურისა — ცხოველურისა.

30გეოგრაფიკა ბირთვი — მტერის მარცვლის ვეგეტარაიური უჯრედის ბირთვი, რომელიც იმყოფება მისი ჩაზრდილი ნაწილის ბოლოში. გვხვდება შიშველთესლოვან და ფარულთესლოვან მცენარეთა მტერის მარცვალში.

30გეოგრაფიკა გამრავლება — გამრავლების ერთ-ერთი სახე, როდესაც ახალი ორგანიზმი წარმოიქმნება დედისეული ორგანიზმის რომელიმე ნაწილიდან დაკვირვებით ან დაყოფით. გამრავლების ეს სახე ფართოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით მცენარეებში, ე. წ. ვეგეტარაიური ორგანიზმით ან მათი ნაწილებით, რასაც საფუძვლად უდევს მცენარეთა შორის ფართოდ გავრცელებული რევენერაციის უნარი.

30გეოგრაფიკა განაყოფიერება — მტერის მარცვლის მეორე სპერმის ბირთვის შეერთება პოლარულ — დიპლოიდურ ბირთვთან ორმაგი განაყოფიერების დროს ფარულთესლოვან მცენარეებში.

30გეოგრაფიკა განვითარება მცენარეობა — ონტოგენეზის პერიოდი, რომლის დროსაც მშობინარეობს ვეგეტარაიური ორგანიზმის (ფესვი, ღერო, ფოთოლი) დეტერმინაცია და ზრდა-განვითარება; ამ პერიოდში არ ხდება სქესობრივი და ვეგეტარაიური გამსწავლების ორგანიზმის წარმოქმნა ვეგეტარაიური განვითარება მოცუვის ემბრიონულ და იუვენალურ ეტაპს.

30გეოგრაფიკა დაახლოების მეთოდი — შეიმუშავა ი. მიჩურინმა ურთიერთდამორებული (სისტემატიკურად) სახეობების სქესობრივად შეუქვარებლობის დასადგევად; მდგომარეობს შემდეგში: შესაქვარებელი მცენარის ახალგაზრდა ნათესარის კალამს დაამყნობენ მეორე, მობრდილ მცენარეზე, რომელთანაც განზრახულია მისი შექვარება; რამდენიმე წლის შემდეგ სანამყენე, როგორც ჩამოუყალიბებელი ახალგაზრდა ორგანიზმი, თანდათან იცვლება მძლავრი საძირის ზეგავლენით.

30გეოგრაფიკა კვირტები — ფარულთესლოვან მცენარეთა კვირტები, რომელიც არ შეიცავს ყვავილის ჩანასახს. მათგან სხოლოდ ვეგეტარაიური ყლორტები ვითარდება.

30გეოგრაფიკა ნევროზი — ვეგეტარაიური ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადება.

30გეოგრაფიკა ნერვული ხისტემა — აღმზანისა და ცხოველის ნერვულ სისტემის ნაწილი, რომელიც აწესრიგებს შინაგანი ორგანიზმის (სისხლის მიმოქცევის, საკმლის ჰომენელებელი, სუნთქვისა და სხვ.) მოქმედებას; შედგება სიმპათიკური და პარასიმპათიკური ნაწილისაგან.

30გეოგრაფიკა ორგანიზმი — ორგანიზმი, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა მცენარის კვება და ზრდა; უმაღლეს მცენარეთა ვეგეტარაიური ორგანიზმია: ფესვი, ღერო და ფოთოლი.

30გეოგრაფიკა პოლუსი კვერცხისა — იხ. კვერცხის ვეგეტარაიური პოლუსი.

30გეოგრაფიკა უჯრედი მტერის მარცვლისა — მტერის მარცვლის ორი უჯრედიდან დიდი უჯრედი, რომელიც (დამტვერვის შემდეგ) ჩაიზრდება ბუტკოში მტერის მალად; განაყოფიერებაში არ მონაწილეობს.

30გეოგრაფიკა ყლორტი — ყლორტი.

რომელსაც არ გააჩნა თესლით გამრავლების ორგანოები.

ვეგეტატიური ჰიბრიდი — მცენარე, რომელიც შედგება ორი, გენოტიპურად განსხვავებული, ქსოვილთა სისტემისაგან. წარმოიქმნება ორი მცენარის (სანაყენისა და საძირის) ხელოვნურად შეზრდის გზით, რაც უმთავრესად მყნობით ხორციელდება. ვეგეტატიური ჰიბრიდიზაციის შედეგად მიღებული ჰიბრიდი.

ვეგეტატიური ჰიბრიდიზაცია — მცენარეთა ახალი ფორმების მიღება სხვადასხვა ჩიშის ან სახეობის ერთმანეთთან შეზრდის გზით რაც უმთავრესად მყნობით ხორციელდება.

ვეგეტაცია — მცენარის ცხოველმოქმედების აქტიური მდგომარეობა, რაც მის კვებასა და ზრდაში ელვინდება.

ვეგეტაციური მეთოდი — მცენარის აგრძობიერად და ფიზიოლოგიურად შესწავლას სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის მეთოდი რაც მდგომარეობს მცენარის გამოზრდაში სპეციალურ ვეგეტაციურ სახლში მოთავსებული ლითონის ან მინის კურკლებში. ფართოდაა გამოყენებული მცენარის დამოკიდებულების გამოსარკვევად სასუქების, სინათლის, სიბზოს, ტენიანობის და სხვათა მიმართ.

ვეგეტაციური პერიოდი — წელიწადის დროის ის პერიოდი, რომელშიც მცენარე ავლენს თავისი ზრდა-განვითარების სრულ ციკლს. ერთწლოვან მცენარეებში ეს მთავრდება მწიფე ნაყოფების და თესლის წარმოქმნით; მრავალწლოვანი მცენარეებში კი შემდეგ გადადიან ე. წ. სეზონების პერიოდში.

ვეგეტაციური სახლი — მინისკედლებიანი და საბურავიანი შენობა, სადაც ატარებენ ცდებსა და დაკვირვებას მცენარეზე.

ვეისმანიზმი — ერთ-ერთი მიზიდინარეო-

ბა ბიოლოგიაში მემკვიდრეობითობის მოძღვრების შესახებ. სახელწოდება მიიღო ამ მიზიდინარეობის ფუძემდებლის, გერმანელი ბიოლოგის ა. ვეისმანის მიხედვით. ვეისმანიზმი უარყოფს შეძენილ ნიშანთვისებათა მემკვიდრეობით გადაცემის იდეას.

ველაშენი — მკვდარი უჯრედების რამდენიმე ფენა, რომლთაც დაფარულია ზოგიერთი ეპითელური ქაღარის დამატებითი სპაერო ფესვები; მისი საშუალებით ხდება ატმოსფერული ნალექის წყლის შესარტვა.

ველი — სავანისებრი მაღალბალახეულობის მცენარეულობა სამხრეთ აფრიკაში.

ველიგერი — ზოგიერთი მუცელფეხიანი ლოკოინის ახალგაზოგილი ლარვა, რომელიც თავისუფლად დაუკრავს წყალში; გააჩნია მოძრაობის სპეციალური ორგანო — კანის დაპოკლებული გამოწინაზარი (აფრა, იალქანი) წაშვამებით.

ველუმი — იალქანი, აფრა; 1. ზოგიერთი ნაწლავდრუიანი ცხოველის (მაგ. პიდროიდული მელუხა) და მოლუსკის მოძრაობის ორგანო. 2. ლანცეტას პირის წინა ძაბრისა და ხახის ღრუს შორის არსებული ნაოკი.

ველური ხაშირე — ხეხილოვანი მცენარის დაუმყნობელი ეგზემპლარი, რომელიც თესლიდანაა გაზრდილი.

ველ-უდაბნოს მცენარეულობა — იხ. ნახევრადუდაბნოს მცენარეულობა.

ვენა — სისხლძარღვი, რომლითაც სისხლი ორგანოებიდან და ქსოვილებიდან მიედინება გულისაკენ.

ვენეპუნქცია — ვენის პუნქცია; ვენის გაჩვენება ღრუ ნენსით სისხლის გამოსაშვებად, გადასხვისათვის ან რაიმე სამკურნალო ნაეთიერების შესაყვანად.

ვენებტყოა — ვენის გაკეთა სისხლის გამოსაშვებად.

ვენტრალური — მუცლისა; მუცელზე ან მუცლის მხარეზე განლაგებული; მუცლისაყენ მიმართული.

ვენტრალური ქორჩალი — ეუქის, თორ-მეტეოჯა ნაწლავისა და თორკმლების არეში მოთავსებული ქორჩალი.

ვენური გულეზი — სისხლძარღვების დამოკლებული კუნთოვანი გაფართოებანი, რომელსაც სისხლი მიაქვს თავფეხიანი მოლუსკების ლაყურებში.

ვენური ხისტემა — სისხლძარღვთა სისტემა, რომელშიც ორგანოებიდან მომდინარე სისხლი მიედინება გულსაკენ.

ვენური ხისხლი — სისხლი, რომელიც მდიდარია ნახშირორჟანგით და უჯრედში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროდუქტებით.

ვერტებრალური კვანძები — იხ. ლატერალური კვანძები.

ვერტიცილები — კარტოფილის, ბამბის, პომიდორის, მზესუმზირისა და სხვ. მცენარეთა დაეადება, რომელიც აზიანებს გამტარ სისტემას; დაეადების გამომწვევია უსრულო სუკოების ზოგიერთი წარმომადგენელი.

ვერტლუგი — იხ. ტაბუზი.

ვერცხლესებრი გარხი — გარხი, რომელიც მდებარეობს თევზის თვალის ცილოვან და სისხლძარღვოვან გარსს შორის. შეიცავს წვრილ, კირიან კრისტალებს, რომელიც არეკლავს სხივებს.

ვერტიბულური აპარატი — წონასწორობის ორგანო, რომელიც მოთავსებულია შიგნითა ყურში; აღიქვამს თავის და სხეულის მდგომარეობის შეცვლას სიერკეში, აგრეთვე სხეულის მოძრაობის მიმართულებას. დიდი მნიშვნელობა აქვს სხეულის წონასწორობის შენარჩუნებისათვის მოსვენებისა და მოძრაობის დროს.

ვეტერინარი — ვეტერინარიის სპეციალისტი, საქონლს ექიმი, ბეითალი.

ვეტერინარია — 1. ზოგადბიოლოგიური და სპეციალურ მეცნიერებათა კომპლექსი, რომელიც სწავლობს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაეადებებს და მათ მკურნალობას. 2. ცხოველთა მკურნალობა და მათი დაცვა დაეადებისაგან.

ვეშაპის უღვაში — უკბილო ვეშაპების ზედა ცბაზე განლაგებული მრავალრიცხოვანი რქოვანი ფირფიტები, რომლებიც ჩამოშვებულია ხახაში. წარმომადგენს ერთგვარ საცერს, რომლითაც ხდება ზღვის წვრილი ცხოველების გადაწურვა.

ვიბრაკულაირები — სპეციალიზირებული ინდივიდები ხვევლების კოლონიაში, რომელთაც გააჩნია გრძელ საცეცები — ვიბრაკულები; საცეცების რხევითი მოძრაობით ფანტავენ და აძევენ უცხო სხეულაკებს და არ უშევენ კოლონიასთან.

ვიბრონეზი — ბაქტერიები, რომელთაც აქვთ ცილინდრული, მოლუნული უჯრედები (მაგ., ქოლერის ბაქტერიები).

ვიბროსები — იხ. უღვაში.

ვივარიუმი — სპეციალური სადგომი ცხოველების შესანახად მათზე დაკვირვების ან ცდების ჩასატარებლად და თვალსაჩინოებისათვის; მაგ., აკვარიუმი — თევზებისათვის; ინსექტარიუმი — მწერებისათვის; ტერარიუმი — წყალხმელეთა ცხოველებისათვის და ქვეწარმავლებისათვის.

ვივიმარია — ცოცხლად შობა, ცოცხალმბალობა.

ვივიექცია — ცხოველის ცოცხლად გაკეთა რაიმე ორგანოს აგებულებისა და ფუნქციის შესწავლის მიზნით.

ვიკარიანტები — იხ. ვიკარული სახეობები.

ვიკარიუმი — ერთი სახეობის შენაცვლება მეორე, ახლოს მდგომი სახეობით სიერკეში (სიერკითი ვიკარიუმი) ან დროში (სეზონური ვიკარიუმი).

ვიკარული სახეობები — შემნაცვლელი

სახეობები: სისტემატიკურად ახლოს მდგომი სახეობები, რომელთაც უკავიათ განსხვავებული არეალი (მაგ., ჩვეულებრივი ნაჭვი და ციმბირის ნაჭვი). ან გვხვდებიან ერთი არეალის ფარგლებში, მაგრამ განსხვავებულ ეკოლოგიურ პირობებში (მაგ., ველისა და ქვიშნარების ურცი), ანდა ერთმანეთს ენაცვლებიან ღრომი ერთ და იმავე ადგილზე (მაგ., კორდუსკილას გაზაფხულისა და ზაფხულას ფორმები).

ვიკარული ფორმაცია — ფორმაცია, რომლის მთავარი ფენა (სათესური) წარმოადგენს ვიკარულს, ე. ი. წარმოქმნილია სახეობებით, რომლებიც ერთი და იგივე ეკოპირობის მიუხედავად.

ვილტი — შენარეთა დაავადება (კენობა), რომელსაც იწვევს უსრულო სოკოების ზოგიერთი წარმომადგენელი.

ვილენტები — სახეობები, რომლებსაც გააჩნიათ თანასაზოგადოების შექმნის ან მასში მტკიცედ შეჭრის დიდი უნარი.

ვირილიზმი — იხ. მსკელნიზაცია.

ვირიონი, ვირიოპორა — ვირუსის მომწიფებელი ნაწილაკები, რომელთა საშუალებით ხდება არახელსაყრელი პირობების გადატანა ორგანიზმის გარეთ. ამ დროს ისინი არ ამკლავებენ სიცოცხლის არაეითარ ნიშანს; მაგრამ როგორც კი მოხვდებიან ორგანიზმში, რომელიც ამ ვირუსისადმი მადრეცილებას იჩენს, ვირუსპორები მაშინათვე გადადიან განვითარებისა და გამრავლების სტადიაში.

ვიროსპორა — იხ. ვირიონი.

ვირულენტობა — პათოგენური მიკროორგანიზმების დაავადების გამოწვევითვისებათა ექტორობა; რომელიც განისაზღვრება მასპინძელ ორგანიზმში მიკრობის შეჭრის სიჩქარით, მათი იქ გამრავლებით, შესაძენ ნივთიერებათა გამოყოფის უნარიანობით და სხვ. თვისებებით.

ვირულენტური — ავადმყოფობის გამოწვევე (იოქმის მიკრობებზე).

ვირუსები — ბაქტერიულ ფილტრში გამავალი მიკროორგანიზმების უმცირესი არაუჯრედოვანი ფორმები, რომლებიც მრავლდებიან მხოლოდ ცოცხალ უჯრედში. აღმოაჩინა დ. ივანოვსკიმ 1892 წელს. ვირუსი შედგება ცილოვანი გარისისგან — კაპსიდისგან და მასში მოთავსებული შემცველობისგან — ნუკლეოკაპსიდისგან; ეს უკანასკნელი ძირითადად შედგება ნუკლეინის მჟავებისგან. ბევრ ვირუსს გააჩნია აგრეთვე ზედაპირული გარსი, რომელიც ფარავს ცილოვან გარსს. ვირუსები წვეწვენ მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანის მრავალ ინფექციურ საშიშ დაავადებას, რითაც დიდ ზიანს აყენებენ ადამიანის ჯანმრთელობას და სახალხო მურწეობას. ცნობილია აგრეთვე ისეთი ვირუსები, რომლებიც სახლდებთან ბაქტერიების უჯრედებში და სპობენ მათ. ასეთ ვირუსებს ბაქტერიოფაგებს ან მოკლედ ფაგებს უწოდებენ.

ვირუსოლოგია — მეცნიერება ვირუსების შესახებ.

ვირუსოკოპია — ვირუსების მორფოლოგიის შესწავლის მიკროსკოპიული მეთოდი.

ვირუსული (ვირუსისაგან) — ვირუსის შემუცელები; ვირუსით გამოწვეული.

ვისცერალური — ცხოველის შინაგან ორგანოებთან, შიგნეულობასთან დაკავშირებული.

ვისცერალური განგლები — ნერვული კვანძები; რომლებიც განლაგებულია კუჭნაწლავის ზემოთ, — ინალურ ხერხელთან ახლოს; რბილტვთან ცხოველებში (მოლუსკებში).

ვისცერალური წუცლის აქის — მუცლის აქის ნაწილი; რომელიც თხელ ზემოთად გადაკრული აქის მუცლის ღრუში მოთავსებულ შინაგან ორგანოებს.

ვიცერალური ნერვული ხისტემა — იხ. ვეგეტატიური ნერვული სისტემა.

ვიცერალური ტომარა, ჩანთა — მუცელფეხიანი მოლუსკების თავის უკან მდებარე ტომარა, რომელშიც ძირითადი შინაგანი ორგანოებია მოთავსებული.

ვიცერალური ფურცლები — სხეულის შორიანი ღრუს კედლები, რომლებიც მიკრულია ეუქ-ნაწლავზე სეგმენტებად დაყოფილ ცხოველებში, მაგ., რგოლოვან ქიებში.

ვიცერალური ღრუ — ღრუ, რომელშიც განლაგებულია მხარფეხიან მოლუსკების შინაგანი ორგანოები.

ვიტალიზმი — იდეალისტური მიმართულება ბიოლოგიაში, რომელიც სიციოხლის მოვლენებს ხსნის ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი, არამატერიალური რაღაც „სასიცოცხლო ძალის“ არსებობით.

ვიტალური — სიციოხლის მოვლენებთან დაკავშირებული; სასიცოცხლო.

ვიტალური შეღებვა — ცოცხალი ორგანიზმის ან მისი ნაწილის შეღებვა შესწავლის მიზნით მათს სიციოხლშივე; ცოცხლად შეღებვა.

ვიტამინი — სხეულისხევაგეარა ქიმიური შემადგენლობის ორგანული ნივთიერება, რომლებიც აუცილებელია იდამიანისა და ცხოველთა სასიცოცხლო პროცესებისათვის ტერმინი შემოიღო პოლონელმა მეცნიერმა კაზიმირ ფუნკიმ 1912 წელს. საკვებში რომელიმე ვიტამინის ნაკლებობა იწვევს დაავადებას — ავიტამინოზს (იხ.). ვიტამინებს დიდი რაოდენობით შეიცავს ბოსტნეული და ხილი; გვხვდება ცხოველურ საკვებშიც. მათ აღნიშნავენ ლათინური ასოებით A, B, C, D და ა. შ. დღეისათვის 40-მდე ვიტამინია ცნობილი.

ვიტამინის შემცველი მცენარეები — მცენარეები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ ერთ ან რამდენიმე ვიტამინს ან პროვიტამინს, ასეთ მცენარეებს იყენებენ საკვებად ან ვიტამინებისა და ვიტამინირებულ პროდუქტების მისაღებად.

ვიტამინოლოგია — ბიოქიმიის დარგი, რომელიც სწავლობს ვიტამინებს და მათ როლს ნივთიერებათა ცვლაში.

ვიტასტერინები — იხ. ლიპოვიტამინები.

ვიტაუულტურა — ვენახის გაშენება; მევენახეობა.

ვიტრიფიკაცია — ცხოველის ან მცენარის უჯრედის პროტოპლაზმის „გაცივება“, გამაგრება ხელოვნურად ტემპერატურის სწრაფი დაწვეით — 150—180 გრადუსამდე; ამ დროს წყალი იყინება ამორფული სახით, კრისტალების წარმოქმნელად, რაც ხელს უწყობს ორგანიზმის გადარჩენას.

ვილენტიები — პატარა ზომის, მსხლინებრი მოყვანილობის მსუსხავი უჯრედები ნაწლავლრუიან ცხოველებში.

ვილიერი — შემოღობილი ადგილი ცხოველებისა და ფრინველების მოსათავსებლად.

ვილტინიზმი — აბრეშუმის კიის მიერ რამდენიმე თაობის მოცემის უნარი წლას განმავლობაში.

ვილუტინი — სპირაგო ნივთიერება, რომელიც შედგება ნუკლეინის მჟავას, მერტფოსფატისა და ცილისაგან. პირველად აღმოჩენილი იყო ბაქტერიის, სახელდობრ Spirillum volutans-ის უჯრედში, შემდეგ კი სხვა ბაქტერიებში, საფურარებში და ლურჯმწვანე წყალმცენარეებშიც.

ვილფის ხეული — იხ. მეზონეფროსი.

ვირობევის ხლართი — ერთ-ერთი ნერვული ხლართი, რომელიც განლაგებულია კუკის კედლებში; მდებარეობს სეროზული გარსის ქვეშ.



ზალენსკის კანონი — ფოთლის მდებარეობასთან დაკავშირებული ანატომიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებათა კანონზომიერება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ფოთლის ანატომიური აგებულების ცვლილებანი, მიმდინარეობს ქსერომორფიზმის გაზრდით ქვედა იარუსიდან ზედა იარუსის მიმართულებით.

ზამთარგამძლეობა — მცენარის უნარი გადაიტანოს ზამთრის მძიმე პირობები.

ზამთრის ძილი—არახელსაყრელი დროის დამი შეგუება, რომლის დროსაც ცხოველი წვება ბუნებაში ან სხვა თავშესაფარში და ეძლევა ძილს. სოსიოცელო პროცესები ამ დროს მკვეთრად იცემა და მიმდინარეობს სხეულში დაგროვილი სამარაგო ნივთიერებების (უმთავრესად ცხიმის) ხარკზე.

ზაფხულის სპორები — იხ. ურედოსპორა.

ზაფხულმწვანე მცენარეები — ზომიერი და ცივი კლიმატის მცენარეები, რომლებსაც ზამთრობით ფოთლები სცივიათ.

ზაქი — კამეჩის ნაშიერი, დაბადებიდან 3 წლამდე.

ზეაქხანტინი — ქსანტოფილთან ახლოს მდგომი ყვითელი პიგმენტი, რომელსაც შეიცავს სიმინდის მარცელისა და ქაყის ნაყოფის ქრომობლასტები.

ზებროიდი — ზებრისა და ცხენის (ან სახედრის) ნაჭვარი.

ზებუ—კუზიანი ხარი (ან ძროხა); შინაური ცხოველი, რომელიც გავრცელებულია აზიასა და აფრიკაში.

ზედა ნასკვი — ნასკვი, რომელიც თავისუფლად ზის ამოზნექილ ბრტყელ ან ჩაზნექილ ყვავილსაქლომზე, ყვავილსაფარი კი მის ქვემოთაა მოთავსებული. მისი კედლები წარმოქმნი-

ლია მხოლოდ ნაყოფის ფოთლები-საგან.

ზედა ნისკარტი — ფრინველების ნისკარტის ზედა ნახევარი; იხ. ნისკარტი.

ზედა ფრთები — ხოკოების და სხვა მწერების წინა წყვილი, მაგარი, ქიტინოვანი ფრთა, რომელიც დაკვიცილ მდგომარეობაში ფარავს მწერის სხეულის ზედა ნაწილს. ელიტრი.

ზეზურად გამზარი — ფესვებზე მდგარი გამზმარი ხე; ძირზე მზმარი.

ზეთოვანი კულტურები — სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ჩვეუთ, რომელთა ნაყოფი ან თესლი შეიცავს 25—60% ცხიმს. მაგ., მუხესუშირა, ბამბა, სელი, სოია, და სხვა.

ზეინი — სამარაგო ცილა, პროლაშინების ჩვეუთიდან, რომელსაც შეიცავს სიმინდის მარცელები.

ზექლახი — ტაქსონომიური ერთეული, რომელიც აერთიანებს რამდენიმე კლასს ტიპის ფარგლებში.

ზეპარაზიტები — ორგანიზმები, რომლებიც სხვა პარაზიტების კმაყოფილებაზე არიან, მაგ, კომპოსტოს თეთრულას მუხლუხში პარაზიტობს მხედარი აბანთელუსი, რომელშიც თავის მხრივ პარაზიტობენ რიგი სხვა წერილი სიფოთანაფრთიანი მწერები. მათ მეორადი პარაზიტებიც ეწოდებათ.

ზერაზმი — ტაქსონომიური ერთეული, რომელიც აერთიანებს რამდენიმე რაზმს კლასის ფარგლებში.

ზეხახეობა — 1. მონოფიტურული ჩვეუთი ალოპატრიული სახეობებისა, რომლებიც ნათლად გამოახული მორფოლოგიური განსხვავების გამო არ შეიძლება გაერთიანდნენ ერთ სახეობაში (მაიერი, 1942). 2. სახეობა, რომელიც წარმოქმნილია პირველადი სახეობისაგან. ქრომოსომული ანაწეობის გაორკეცების ან მრავალ-

ქერადი გადიდების შედეგად (ლამპერსტრ., 1945).

ზიგაოფიზი — მალევის მორჩების წყვილად შენაწევრება, შესახსრება.

ზიგოგამეტა — უმორჩაო გამეტა (იგივეა რაც აპლანოგამეტა).

ზიგოგამია — ორი უჯრედის შერწყმა, რომელთა შიგთავსი არ არის დიფერენცირებული განსაკუთრებულ ცალკეულ გამეტებად (მამრობით და მდედრობით სასქესო ელემენტებად). გვხვდება უმდაბლეს სოკოებში (ზიგომიციტებში); ზიგოგამია შეესაბამება ზოგიერთი მწვანე წყალმცენარის (კონიუგატების) სქესობრივ პროცესს — კონიუგაციას.

ზიგოზისი — ორი გამეტის შერწყმა.

ზიგოზოხსპორა — მოძრავი უჯრედი, რომელიც წარმოიქმნება ორი ერთნაირი უჯრედის შერწყმის დროს.

ზიგომორფული ყვავილი — ყვავილი, რომელზედაც შეიძლება ერთი სიმეტრიის სიბრტყის გავლება, რომელიც მას ყოფს ორ თანაბარ — მარჯვენა და მარცხენა ნახევრად (მაგ., აყუყუნას, საღბის, ბარდას, დევისპირას და სხვათა ყვავილი).

ზიგონემა — ლუბტონემას (იხ.) შემდეგი სტადია პირველი რივის ოვოციტისა და სპერმატოციტის მემოზაის პროფაზაში, რომელიც ხასიათდება ჰომოლოგიური ქრომოსომების დაახლოებით და წყვილთა წარმოქმნით. იგივეა რაც ზიგოტენა ანუ სინაპტენური სტადია.

ზიგოსომა — ჰომოლოგიური ქრომოსომების წყვილ-წყვილად შეერთება ზიგონემაში.

ზიგოსპორა — სქესობრივი პროცესის დროს ორი ერთნაირი სასქესო უჯრედის შერწყმის შედეგად წარმოქმნილი სპორა ზოგიერთ მწვანე წყალმცენარეში (კონიუგატებში) და უმდაბლეს სოკოში (ზიგომიციტებში). ჩამოყალიბებული ზიგოსპორა ჩვეულებრივ დაფარულია სქელი გარსით

და აღმოაენებას იწყებს ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი მოსვენების მდგომარეობაში ყოფნის შემდეგ.

ზიგოტა — გამეტების შერწყმის (კოპულაციის) შედეგად წარმოქმნილი უჯრედი (განაყოფიერებულ კვერცხ-უჯრედი), რომლიდანაც ახალი ორგანიზმი ვითარდება. უფრო ფართე გაგებით — ზიგოტიდან განვითარებული ორგანიზმი.

ზიგოტენა — იხ. ზიგონემა.

ზიგოტური ლეტალურობა — ზიგოტის უუნარობა (რაც გენეტიკურადაა გაპირთებული) დაასრულოს თავისი განვითარება.

ზიგოგამია — ორგანიზმის განვითარების ფაზა განაყოფიერების მოხდენასა ე. ი. ზიგოტის წარმოქმნასა და მეიოზის დაწყებას შორის; იგივე რაც დიპლოფაზა.

ზიმაზა — სპირტის დუღილის ფერმენტები, რომლებიც იწყვეენ ნახშირწყლების გახლეჩას ანაერობულ პირობებში; გვხვდება სათურებში.

ზინქანთრომი — უძველესი განამარბებული ადამიანი, რომლის ნაშთები ნახული იყო ტანგანიკის ჩრდილოეთ ნაწილში.

ზამი — ნახევრადთხევადი ცხიმი (ქონი), რომელიც უვითარდება ზღვის ძუძუმწოვარ ცხოველებს (ვეშაისანარებს) და თევზებს კანქვეშ დიდი რაოდენობით. მოქველებული ტერმინია; შეცვლილია ტერმინით „ქონი“, მაგ. ვეშაის ქონი, თევზის ქონი და ა. შ.

ზოარი — ზოგიერთი ბრტყელი ქიის (ხავსელები) კოლონიის ჩონჩხი, რომელიც შედგება ზოეციისაგან.

ზოეცია — ზოგიერთი ბრტყელი ქიის (ხავსელები) გარეთა რქოვანი ან კირიანი ჩონჩხი.

ზოიდიოგამია — განაყოფიერება მოძრავი სპერმატოზოიდებით ან ანთეროზოიდებით.

ზოლიანი სხეული — რუხი ნივთიერების ძლიერი თავმოყრა დიდი ნახევარსფეროების სიღრმეში.

ზონა — რაიმე საერთო ნიშნის მხედვით გამოყოფილი სივრცე; ზოლი, რაიონი, მაგ., ტყის ზონა; ველის ზონა.

ზონალობა, ზონალურობა — ძირითადი გეოგრაფიული კანონზომიერება მცენარეულობის, ნიადაგის და ცხოველთა სამყაროს განლაგებისა დედამიწის ზედაპირზე მზის სითბოს განედურ განაწილებასთან დაკავშირებით. ზონალობა ირდევია მთაგორიანობით, სადაც ვერტიკალური სარტყელიანობა ვლინდება.

ზონალური — ზონასთან დაკავშირებული, ამა თუ იმ ზონისათვის დამახასიათებელი.

ზონალური მცენარეულობა — 1. მცენარეული საფარი, რომელიც ქმნის მცენარეულობის ზონებსა და ქვეზონებს. ტიპურად გამოსახულია წყალგამყოფ გავაკებებზე და მთიანი ქედების ზონალურ ფერდობებზე. 2. მცენარეულობა, რომელიც განვითარებულია შესატყვისი ზონის ფარგლებში, მაგ., მარცვლოვნები ველის ზონაში, წიწვოვანები — ტაიგაში და ა. შ.

ზონდი — 1. სამედიცინო იარაღი; წვრილი მილი ან ღარი, რომელიც შეკვავთ სხეულის ღრუში გამოკვლევის ან მკურნალობის მიზნით. 2. ბურღი, რომლითაც იღებენ ნიადაგის ქვედა ფენების ნიმუშებს გამოკვლევის მიზნით. 3. პატარა აეროსტატი, რომელიც ავტომატურად იწერს შეტოროლოგიურ მონაცემებს ატმოსფეროს ზედა ფენებში.

ზობუნეთობი — წყალსატევების ფსკერზე მცხოვრები ცხოველების ერთობლიობა.

ზოოგამეტა — მოძრავი გამეტა, რომელსაც პლანოგამეტასაც უწოდებენ.

ზოოგამია — შტერის მარცვლის გადატანა ცხოველებით.

ზოოგეოგრაფია — ცხოველთა გეოგრაფია; ზოოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ცხოველთა გავრცელებასა და განაწილებას დედამიწაზე.

ზოოგეოგრაფიული ოლქები — ცხოველთა განსახლების გეოგრაფიული ოლქები. ანსხვავებენ შემდეგ ზოოგეოგრაფიულ ოლქებს: პალეარქტიკულს, ნეოარქტიკულს, ინდომალაიურს, ეთიოპურს, ნეოტროპიკულს და ავსტრალიურს. ხშირად პირველ ორ ოლქს აერთიანებენ პოლარქტიკული ოლქის სხედწოდებით.

ზოოგეოგრაფიული რუკა — რუკა, რომელზედაც აღნიშნულია ზოოგეოგრაფიული ოლქები და ქვეოლქები.

ზოოგლეა — წყალში მცხოვრები ბაქტერიების ლაბოვანი გროვა, რომელიც წარმოიქმნება ბაქტერიების ლორწოვანი გარსების შეწებებით.

ზოოგონიდიუმი — იხ. ზონიპორა.

ზოოიდი — კოლონიური ხავსელების (ზღლი ბრტყელი ქიები) ცალკეული ინდივიდი.

ზოოლატრია — ცხოველთა თაყვანისცემა ძველი ხალხების (ინდოელების, ეგვიპტელების და სხვათა) რელიგიაში.

ზოოლოგია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცხოველთა სამყაროს.

ზოოლოგიური პარკი — სპეციალური პარკი (ბაღი), სადაც თავმოყრილია საჩვენებლად და მეცნიერული დაკვირვებისათვის სხვადასხვაგვარი (მეტწილად გარეული) ცხოველები.

ზოომორფიზმი — რელიგიური მსოფლმხედველობა, რომლის მიმდევარებს ღმერთები წარმოდგენილი ჰყავთ ცხოველების სახით.

ზოონიზები — ცხოველთა ინფექციური დაავადებანი, რომლებიც შეიძლება გადაედოს ადამიანსაც (მაგ., კიშპირის წყლული, ქოთაო, ცოვი და სხვა).

ზოოპათოლოგია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცხოველთა დაავადებებს.

ზოოპალეონტოლოგია — იხ. პალეოზოოლოგია.

ზოოპარკი — იხ. ზოოლოგიური პარკი.

ზოოპლანქტონი — პლანქტონის ცხოველური ორგანიზმები.

ზოოსპორა — ზოგიერთი წყალმცენარისა და უმდაბლესი სოკოს მოძრავი სპორა, რომლითაც ხდება მათი უსქესო გამრავლება. წარმოადგენს სფერული ან მსხლსებრან ფორმის უჯრედს, რომელიც აღჭურვილია ორი (იშვითად ოთხი ან მეტი) შოლტით, რომელთა საშუალებით მოძრაობს წყალში.

ზოოსპორანგიუმი — ზოგიერთი წყალმცენარისა და უმდაბლესი სოკოს უსქესო გამრავლების ორგანო, რომელშიც ზოოსპორები ვითარდება.

ზოოსტერინები — ცხოველური წარმოშობის ნოთიერებანი სტერინების ჯგუფიდან.

ზოოტექნიკა — მეცნიერება სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მოშენების, მოვლისა და სწორი გამოყენების შესახებ.

ზოოტომია — ზოოლოგიის ნაწილი; ცხოველთა კერძო ანატომია, რომელიც სწავლობს ცხოველთა შინაგან აგებულებას.

ზოოფაგები — ცხოველები, რომლებიც იკვებებიან ცხოველური საკვებით.

ზოოფილია — მეცნარეთა ყვავილის დამტვერვა ცხოველების დახმარებით: მწერების (ენტომოფილია), ფრინველების (ორნითოფილია) ან ლოკოინების (მალაკოფილია) საშუალებით.

ზოოფიტები — ძველი სახეწოდება ისეთი უხერხემლო ცხოველებისა (ღრუბელებისა და სხვა მისთ.), რომლებიც მიაჩნდათ, გარდამავალ ფორმებად მცენარეებსა და ცხოველებს შორის.

ზოოფობები — მეცნარეები, რომელთაც

გაჩინათ ცხოველებისაგან თავდასაცავი სამარჯვებები. ამ ჯგუფს ეკუთვნის ეკლიანი, შხამიანი და სხვა მისთანა მეცნარეები.

ზოოქორები (ზოოქორიდიან) — მეცნარეები, რომელთა ნაყოფების, თესვებისა და სპორების გავრცელება ხდება ცხოველების საშუალებით, რისთვისაც გააჩინათ თავისებური სამარჯვები საქმელად ეარგისი ყვავილსაფრის, კაუქისებრი წარმონაქმნებისა და სხვათა სახით.

ზოოქორია — მეცნარის ნაყოფების, თესვებისა და სპორების გავრცელება ცხოველების მიერ.

ზოოცენოზი — ბიოცენოზში შემავალი ცხოველთა ორგანიზმები.

ზოოცეციდიები — მეცნარის არანორმალურად გაზრდილი ნაწილები მათზე მწერების დასახლების შედეგად (იხ. გალები).

ზოოზორია — იხ. ზოოქორია.

ზოომედიცინა — მეცნიერება ცხოველთა ჩანმრთელობის დაცვის შესახებ.

ზრდა ორგანიზმიზი — ორგანიზმის ან მისი ცალკეული ორგანოს მასის გადიდება, (გაზრდა) ინდივიდუალური განვითარების პროცესში.

ზრდის კონუსი მეცნარისა — ზრდის წერტილი; მეცნარის ღერძული ორგანოს (ღეროსა და ფესვის) წვერო, სადაც მიმდინარეობს სიგრძეში ზრდა უჯრედების დაყოფის ხარჯზე; შედგება პრომერისტემისაგან — პირველადი წარმოშობი ქსოვილისაგან.

ზრდის ნოთიერებები — მეცნარის უჯრედში გამოშუშავებული ან სინთეზურად მიღებული ზრდის დამაჩქარებელი ან შემამჩერებელი ნოთიერებანი (იხ. აუქსინები)

ზრდის პროცესი — ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებანი, რომელიც დაკავშირებულია დაშლილი უჯრედების შეკვლასა და მათი რიცხვის გადიდებასთან; ამ უკანასკნელის შედეგად ხდება ორგანიზმის მასის გადიდება.

ზრდის სტიმულატორები — იხ. სტიმულატორები ზრდისა.

ზრდის ულორტი — მცენარის ულორტი, რომელიც წლიდან წლამდე აგრძელებს სიგრძეში ზრდას (განსხვავებით სანაყოფე ულორტებისა, რომლის წვერზე წარმოიქმნება ყვავილი და ზრდა ჩერდება).

ზრდის წერტილი მცენარისა — იხ. ზრდის კონუსი მცენარისა.

ზრდის ჰორმონი — ჰიპოფიზის წინა ნაწილში გამოშვებული ერთ-ერთი ჰორმონი, რომელიც არეგულირებს ორგანიზმის ზრდას.

ზურგის ხიში — იხ. ქორდა.

ზურგის ტვინი — ცენტრალური ნერვული სისტემის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია ხეჭვირის არხში. წარმოადგენს შუალედ რუკას თავის

ტვინისა და პერიტერიულ ნაწილს შორის.

ზურგის ტვინის არხი — ზურგის ტვინის შიგნით მდებარე ღრუ, რომელიც ზურგის ტვინის სითხითაა ამოვსებული.

ზურგის ტვინის ხიხე — ლიმფის მსგავსი სითხე, რომლითაც ამოვსებულია ზურგის ტვინის არხი და თავის ტვინის პარაკუჭები.

ზურგ-ნათხემის ტრაქტი — ნერვული ბოქვები, რომელიც მოემართება ზურგის ტვინის გვერდითი ღეროს გარეთა ნაწილიდან ნათხემის ქერქის უჭრედებამდე.

ზღვის თევზები — იხ. თევზების ბიოლოგიური ჯგუფები.

ზღვის ფაუნა — ოკეანეებსა და ზღვებში მცხოვრებ ცხოველთა ერთობლიობა.

მ

მავალი — მარტივი ბოტრიული ყვავილედი ერთ-ერთი სახე, რომლის მთავარი ღერო დამოკლებულია და მის წვერზე უყუნწო ან მოკლეყუნწიანი ყვავილებია მკიდროდ შეკრებილი (მაგ., ზოგიერთი სამყურას ყვავილელი).

მავთავი — მარტივი ბოტრიული ყვავილეთი ერთ-ერთი სახე, რომელშიც დამკლებულ მთავარ ღეროზე მჭიდრომარე ყვავილებია განლაგებული (მრავალძარღვას, ვერბენას, ზოგიერთი მარცვლოვანის და სხვათა ყვავილელი).

მავთავიანი მარცვლოვანი მცენარეები — კულტურული ხორბლეული მცენარეები, რომელთა ყვავილელი მავთავია (ხორბალი, ქვევი).

მავთავის გაყოფა — მარცვლოვან მცენარეთა განვითარების ფაზა, რომელიც ხასიათდება მავთავის გამოჩენით ზედაფოთლების ეპინიდან.

მავთუნები — პატარა ზომის, 1—2

ან მრავალყვავილიანი ყვავილედი, რომლებიც შეკრებილია საგველასებ, თავთავისებრ, იშვიათად მტვენისებრ საერთო ყვავილედში. დამახასიათებელია მარცვლოვანებისათვის.

მავთუნის კილები — მავთუნზე შემოხვეული სხვადასხვა ზომის უნაყოფო კილები, რომლებიც მფარე ფოთლებს შეესაბამება; ჩვეულებრივ ორია: ზედა და ქვედა კილი (მარცვლოვან მცენარეებში).

მავის ტვინის პარაკუჭები — თავის ტვინის ურთიერთ დაკავშირებული ღრუები. მავის ტვინის ჰემისფეროების ქერქი — აღამიანისა და უმაღლეს ხერხეულიანი ცხოველების თავის ტვინის დიდი კემისფეროების ზედაპირული შრე.

მავის ქალა — ხერხეულიანი ცხოველების თავის ჰონჩის ნაწილი, რომელშიც თავის ტვინი მოთავსებული.

მავის ქალას პარამხიდული ტიპი — იხ. პარამხიდული ტიპის ქალა.

თავის ქალიანი ცხოველები — იხ. ხერხემლიანი ცხოველები.

თავიშბაღა — უკუდო ამფიბიების (უკუდო წყალბელთა ცხოველების) ლარვა, რომელიც პირველ ხანებში, აგებულებით თითქმის სრულად განსხვავდება ზრდასრული მშობლებისაგან და ძალიან ჰგავს პატარა თევზს. მასაც თევზების მსგავსად აქვს ორსაკიანი გული, სისხლის მიმოქცევის ერთი წრე, გვერდითი ხაზი, სუნთქავს ლაყუჩებით, გააჩნია კუდი, რომლის საშუალებით ის დაცურავს წყალში და ა. შ.

თავმკერდი — კიბოსნაირების და ობობასნაირების სხეულის წინა ნაწილი, რომელიც წარმოქმნილია თავისა და მკერდის სეგმენტების შეზრდის შედეგად.

თავშეხაყარი — ცხოველთა, ჩვეულებრივ ფარულფეხიანების, თავმოყრის აღგარეო, სადაც ხდება მათი შეწყვილება და ნაშეირის გაჩენა.

თათი — ზოგიერთი ცხოველის (ძაღლის, ლომის, ვეფხვის, კატისა და სხვ. აგრეთვე მწერების) ფეხის ქვედა განყოფილება.

თათისებრ-რთული ფოთოლი — რთული ფოთოლი, რომლის ფოთოლაკები საერთო ყუნწიდან რადიალურადაა განლაგებული (ცხენის წაბლას, კანათის და სხვ. ფოთლები).

თათისებრძარღვიანი ფოთოლი — ფოთოლი, რომელიც ხასიათდება თათისებრი, თანაბრად განვითარებული რამდენიმე ძარღვით და მთავარი ძარღვი არა აქვს გამოსახული (კადარის, ნეკერხლის და სხვ. ფოთოლი).

თაღასოდრომული მიგრაცია — ცხოველთა მიგრაცია მდინარეებიდან ზღვაში.

თაღასოფრამბა — ზღვის პავთა და ზღვაში ბანაობით მკურნალობა.

თაღოში — თაღუსი; უმდაბლესი მცენარეების სხეული, რომელც არაა დანაწევრებული ლეროდ, ფოთლად და ფესვად.

თაღოშიანი მცენარეები — იხ. თაღოფრტები.

თაღოფრტები — თაღუსოვანი ანუ უმდაბლესი მცენარეები; მარტივი აგებულების მქონე მცენარეები, რომელთა სხეული არ არის დანაწევრებული, ფესვად, ლეროდ და ფოთლად (მაქტირები, წყალმცენარეები, სოკოები, მლიერები).

თაღუხი — იხ. თაღოში.

თაღუსოვანი მცენარეები — იხ. თაღოფრტები.

თანაბარდერძიანი ორგანიზმები — ყოველმხრივ სიმეტრული ორგანიზმები, რომელთა სხეულზე ყოველი მიმართულებით შეიძლება გეოგრაფიულ ცენტრზე გამავალი წარმოდგენითი სიმეტრიის სიმბრტყე.

თანაგვირგვინი — ზოგიერთი მცენარის ყვავილის გვირგვინზე განვითარებული გამოწარადი.

თანათებლები — იხ. კარუნკლები.

თანამზავარი უჩრდები — ლაფანში არსებული საცარიანი უჩრდების გვერდით მდებარე ეირო უჩრდები. რომელთა დანიშნულებაა პლასტიკურ ნივთიერებათა გატარება.

თანახაზოგადობა — იხ. ბიოცენოზი.

თანახაზოგადობა მცენარეული — იხ. მცენარეული თანახაზოგადობა.

თანაფარდობითი ცვალებადობა — ორგანიზმის ერთი ნაწილის ცვლილებით მისი სხვა ნაწილის ცვლილებას გამოიწვევს (დარჟინი).

თანაფოთლები — ფოთლის ყუნწი. ძირში წარმოქმნილი წყვილი გამოწარადი სითრიაფანების, ქერქლების, პატარა ზომის ფოთოლაკების, ყავრების, ეკლებისა და სხვათა სახით.

თანაყვადილაკი — იმ შემთხვევაში, როდესაც მთარავ ფოთოლი უწოდებენ თანაყვადილს, მაშინ ყვადლის ყუნწზე მჭდომ პატარა ფოთოლი თანაყვადილაკი უწოდება.

თანაყვადილი — ყვადლის ყუნწზე განვითარებული ერთი (ერთლებნიანებში)

ან ორი (ორლებნიანებში) პატარა ზე-
და ფოთოლი.
თანდაყოლილი რეფლექსი — ჩხ. უპირო-
ბო რეფლექსი.
თანმშობლი უჭრედები — ბაგეების რგე-
ლივ მღებარე კანის უჭრედები, რომ-
ლებიც სხვა უჭრედებსაგან განსხვავ-
დება ზომით.
თაობა — საერთო წინაპრებთან ნათესაუ-
რად ერთნაირი დამოკიდებულების
შქონე ინდივიდების ჭგუფი პოპულა-
ციაში.
თაობათა მორიგეობა — გენერაციების
ცვლა; ერთი და იგივე სახეობის უს-
ქესო და სქესიანი თაობების თანმრ-
დერული ცვლა — მორიგეობა თავი-
სი განვითარების ციკლში.
**თაობათა მორიგეობის ანომალიური ტი-
პი** — თაობათა მორიგეობა, როდესაც
სქესიანი და უსქესო თაობები მსგავ-
სნი არიან გარეგნულად, მაგრამ განს-
ვავლებიან ციტოლოგიურად და ფიზი-
ოლოგიურად. გვხვდება, მაგ., მწვანე,
წაბლა და წითელი წყალმცენარეების
ზოგ სახეობაში.
**თაობათა მორიგეობის ბეტერომორფული
ტიპი** — მორფოლოგიურად განსხვავებუ-
ლი თაობების მორიგეობა, როდესაც
ერთი თაობა დომინანტობს მეორე თა-
ობაზე, მაგ., ზოგი მცენარის (ხავსები)
სასიცოცხლო ციკლში გაბატონებუ-
ლია გამეტოფიტი (სქესიანი თაობა),
ზოგში (გვიმრები) კი — სპოროფი-
ტი (უსქესო თაობა).
თაობათა ცვლა — ჩხ. თაობათა მორიგე-
ობა.
თაფლოვანი მცენარეები — მცენარეები,
რომლებსაც ფუტკარი იყენებს ნექტ-
რის შესაგროვებლად. (ცაცხვი, სამ-
ყურა, მზესუმზირა და სხვა მრავალი).
თაყირი — სწორი დელუვიალური სივრ-
ცე, რომელიც ჩვეულებრივ მოკლე-
ბულია უშალღეს მცენარეებს, მაგ-
რამ ჭასიათდება წყალმცენარეების მა-
სიური განვითარებით გაზაფხულზე.
(უმთავრესად გავრცელებულია შუა
აზიაში).

თბილისხლანის ცხოველები — მუდმივი
ტემპერატურის შქონე ცხოველები (ჩხ.
ჰომიოთერმული ცხოველები).
თბილისხლანობა — ცოცხალი ორგანიზ-
მის ტემპერატურის მუდმივობა, რო-
დესაც ორგანიზმს აქვს ერთი გარკვე-
ული ტემპერატურა და არ არის და-
მოკიდებული გარემოს ტემპერატუ-
რაზე. დამახასიათებელია ფრიველუ-
ბისათვის და ძეძუმწოვრებისათვის.
თებოს ქირკვლები — ჩხ. ქონის ქირკვ-
ლები.
თევზების ბიოლოგიური ჭგუფები — თევ-
ზების დაყოფა: მტკნარი წყლების,
ზღვებზე და გამწვანებულ თევზებად.
თევზთმომწეობა — ღონისძიება ძვირფა-
სი თევზების ქვირითის ხელნური-
განაყოფიერების, მათი ლიტერების
გამოყვანისა და წყალსატევებში შეყ-
ვანის შესახებ.
თევზის ხასუქი — ორგანული სასუქი,
რომელსაც აზღადებენ გადამუშავებუ-
ლი თევზის ნარჩენებისაგან.
თევზის შხაში — შხაშიანი ნეთიერება,
რომელიც წარმოადგენს ბაქტერიების
ცხოველყოფილობის პროდუქტს. შე-
ცავენ, მეტწილად, ზუთხისებრი თევ-
ზები.
თევზისნაირნი — ცხოველთა ჭგუფი, რო-
მელშიც გაერთიანებულია მრგვალ-
პირიანთა და თევზების კლასი.
თეთრი ნეთიერება ტუინისა — ჩხ. ტუინის
თეთრი ნეთიერება.
თუნი — ჩხ. კოფეინი.
თუა — მარცნის პოლიმის სხეულის ქვე-
და ნაწილს ირგვლივ არსებული
რგოლისებრი კირიანი (შაგნთა) ლი-
ლვაკი, რომლიდანაც გარეთ გამოცალ-
კავებულია მეორე კირიანი (გარეთა)
ლილვაკი — ეპითეკა.
თუკოდონტური კბილები — კბილები, რო-
მლებიც სხედან ყბის ძვლის ფოსოებ-
ში (ორმოებში).
თელიბლახტი — მომწიფებელი მდებარე-
ბითი ჩანასახოვანი უჭრადი.
თელიგენია — მოვლენა, როდესაც მეტ-

წილად (ან მარტოოდენ) წარმოიქმნება მდებარეობით თაობა.

•თელეკარონი — კვერცხუჯრედის ბირთვი.

•თელეკაროტული — ორგანიზმი, რომელიც განვითარებულია გაუნაყოფიერებელი კვერცხუჯრედიდან.

•თელიტოკია — პარტენოგენეზის ერთერთი ფორმა, როდესაც გაუნაყოფიერებელი კვერცხიდან ვითარდება მხოლოდ მდებარეობით. სქესის ინდივიდები.

•თელოზი — უმაღლეს მცენარეთა უძველესი ფორმების (ფსილოფიტების) პირველადი მიწისზედა, დიქოტომიურად დატოტეილი, პატარა ზომის ცელინდრული ღერძული ორგანო. უმაღლეს მცენარეთა თალუსისაგან განსხვავებით თელოზი ხასიათდება სტელის (ცენტრალური ცელინდრის) და ეპიდერმისის შემცველობით.

•თელოზური თეორია — ეს თეორია ემყარება ზოგიერთი პალეობოტანიკოსისა და მორფოლოგის აზრს იმის შესახებ, რომ უმაღლესი მცენარეების ყველა ძირითადი ორგანო შეიძლება გამოიყვანოს „თელოზებიდან“ — ცელინდრული ღერძული ორგანოებიდან, რომლისგანაც აგებული იყო ხმელეთის პირველადი უმაღლესი მცენარეები — ფსილოფიტები. ამ თეორიის თანახმად თელოზებიდან, მთელი რიგი სახეცვლილების შედეგად შეიძლება წარმოიზიდაიყო მტვრისაგან და ნაყოფის ფოთლები; მაგალითად, მტვრისაგან შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სისტემა შემდგარი ოთხი შეზრდილი თელოზისაგან, რომელთაც ქონდა კენწრული სპორანგიუმები; ეს უკანასკნელები შეიზარდა და წარმოიქმნა სამტვრე — 4 სპორანგიუმისაგან შემდგარი სინანგიუმი. ამ თეორიის მიხედვით გვირგვინის ფურცლები განიხლებოდა, როგორც სტეტილიზებული მტვრისაგან.

•თეობრომიონი — ალკალოიდი, რომელსაც

შეიცავს შოკოლადის ხის თესლები. თერიაქი — ფისისებრი მომწვანო ფერის ნივთიერება, რომელიც გამოიყოფა ინდური კანათის ღეროების წვენიდან.

•თერიოლოგია — იხ. მამალიოლოგია.

•თერმოგენური მიკროორგანიზმები, ბაქტერიები — მიკროორგანიზმები, ბაქტერიები, რომლებიც ცწვევენ ორგანულ ნივთიერებათა (მაგ., ტორფის, თივის, ბამბის ზეინების) ჩახურებას.

•თერმონახტები — ნასტიური მოძრაობანი, რომელიც გამოწვეულია ტემპერატურის ცვალებადობით (მაგალითად, ზაფხულის ან ტიტას ყვავილების გაშლა სიცივიდან თბილ შენობაში გადატანით).

•თერმოპერიოდოზმი — ორგანიზმის რეაქცია მაღალი და დაბალი ტემპერატურის პერიოდულ ცვლასთან, რაც გამოიხატება ორგანიზმის ზრდა-განვითარების ცვლილებებში. არჩევენ დღელამტრ და სეზონურ თერმოპერიოდოზმს.

•თერმორეგულაცია — ფიზიოლოგიური პროცესების ერთობლიობა, რომელიც შესაძლებელია ხდის სხეულის ტემპერატურის შენარჩუნებას ერთ გარკვეულ დონეზე (ფრინველებსა და ძუძუმწოვრებში).

•თერმორეცეპტორები — ტემპერატურული გაღიზიანების მიმღები რეცეპტორები.

•თერმოტაქსისი — 1. ორგანიზმების გადაადგილება ტემპერატურული გამიზიანების გავლენით 2. მცენარის ორგანოების მოძრაობა ტემპერატურის ცალმხრივი მოქმედების გავლენით. არჩევენ უარყოფით და დადებით თერმოტაქსისს.

•თერმოტრონიზმი — ორგანიზმთა (ან მათი ორგანოების) მოძრაობა ან ორიენტირება, გარემოს ტემპერატურის ცვალებადობის შემოქმედებით. ოპტიმუმზე დაბალი ტემპერატურის დროს მოძრაობა ხდება უფრო თბილ

მხარეზე, ოპტიუმზე მაღალი ტემპერატურისას კი ციე მხარეზე.

თერმოფილები — სითბოს მოყვარული ორგანიზმები, რომლებიც ვითარდებიან მაღალი ტემპერატურის პირობებში (ცხელ წყაროებში, ძლიერ გახურებულ ნიადაგის ფენებში და სხვ.).
თერმოფილია — ორგანიზმის განვითარება მაღალი ტემპერატურის პირობებში; სითბოს მოყვარულობა.

თერმოფილური ორგანიზმები — იხ. თერმოფილები.

თერმოფობები — ორგანიზმები, რომლებიც ვერ ვითარდებიან შედარებით მაღალი ტემპერატურის პირობებში.

თერმული — სითბოსთან, მაღალ ტემპერატურასთან დაკავშირებული; სითბური.

თერმული რეჟიმი — სითბოს კანონზომიერი ცვალებადობა კლიმატურც პირობების გათვალისწინებით.

თესლების ბიონტიზაცია — იხ. ბიონტიზაცია თესლებისა.

თესლი—1. განაყოფიერების შემდეგ განვითარებული თესლკვირტე (მეგასპორანგიუმი), რომელშიც მოთავსებულია ჩანასახი და მისი საყვები მარაგი ნივთიერება. ონტოგენეზში თესლი მცენარის ჩანასახოვანი საფეხურია.

2. სპერმიტების ერთ-ერთი სახელწოდება.

თესლის აქტივირება — თესლების დამუშავება სხვადასხვა წესით მათი გალივების დასაჩქარებლად.

თესლის გალივება — თესლის ემბრიონული ნაწილიდან (ჩანასახიდან) მცენარის განვითარების საწყისი პროცესი, როდესაც ჩანასახიდან განვითარებას იწყებს ფესვი, ლერო და ფოთოლი, რომელთა ზრდა თესლში არსებული მარაგნივთიერებათა ხარჯზე მიმდინარეობს.

თესლის გაჩირქება — წყლის შთანთქმა მცენარის თესლებით, რასაც თან სდევს მათი მოცულობაში გადიდება.

თესლის ნაყრი — თესლკვირტის ინტე-

გუპენტზე თესლის ყუნწის მიზრდის შედეგად წარმოქმნილი ერთჯარი გამონაზარდი. მისი სიდიდე, ფორმა, შეფერილობა და სხვ. თავისებურებანი სისტემატიკურ ნიშნად ითვლება თესლების რკვევის დროს.

თესლის ჰიპი — იხ. ჰიპი 3.

თესლკვირტი — ფარულთესლოვან მცენარეთა მეგასპორანგიუმი.

თესლშიმღები — იხ. სპერმათეკა.

თესლოვანი მცენარეები — უმაღლეს მცენარეთა ჯგუფი, რომელთა თესლკვირტიდან (განაყოფიერების შემდეგ) ვითარდება თესლი და ამ უკანასკნელის საშუალებით მრავლდებიან.

თესლურა — შშრალი, ერთბუდოანი და ერთთესლიანი თეთიუხსნადი ნაყოფი ტყაიისებრი ნაყოფსაფართო. დამახასიათებელია, მაგ., რთულყვავილოვანი მცენარეებისათვის.

თემოს ხფეროხებრი ფოსო, ღრმული — მენჯის წინა ძვლების შეერთების ადგილას წარმოქმნილი ფოსო, რომელშიც შედის ბარძაყის ძვლის თავი.

თვალაკები — მარტივი აგებულების შექმენგარძნები ორგანიზმი, რომელიც განლაგებულია ბეერი უხერხემლო ცხოველის სხეულზე, მაგ., ზოგიერთი მოლუსკის მანტიის კიდეზე.

თვალბუდე — თავის ქალას პირისახის ნაწილში მდებარე წვეილი ღრმა ფოსო, რომელშიც თვალის კაკალია მოთავსებული.

თვალე — მხედველობის ორგანო.

„თვალის კბილები“ — ზედა ეშვები, რომლებიც მდებარეობს თვალბუდის ქვემოთ.

თვალის ლაკები — მეღუბების მხედველობის ორგანო, რომელიც შედგება მგრძნობიარე და პიგმენტური უჯრედებისაგან; მდებარეობს ექტოდერმაში საცეცხების ძირთან.

თვალის ორმოები, ფოსოები — მეღუბების მხედველობის ორგანო; წარმოადგენს მგრძნობიარე და პიგმენტური უჯრედების ჩაღრმეებებს, რომელიც

ლაბოვანი ნოთიერებითაა (მინისებრი სხეული) ამოვსებული.

თვალის რეფრაქცია — თვალის უნარი გარდატეხოს სინათლის სხივები.

თვალის უკანა კამერა — ფერად გარსსა და ბროლს შორის მოთავსებული პატარა სივრცე, რომელიც ამოვსებულია გამჭვირვალე სითხით, ე. წ. თვალის ცვარით.

თვალის წინა კამერა, ხაკანი — თვალის რქოვანასა და ბროლს შორის არსებული სივრცე, რომელიც ამოვსებულია სითხით.

თვალის ცვარი — სითხე, რომლითაც ამოვსებულია ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის თვალის წინა და უკანა კამერა ბროლსა და რქოვანას შორის.

თვითგანაყოფიერება — იხ. ავტოგამია.

თვითდამტვერვა — ორქქესიანი ყვავილის ბუტკოს დამტვერვა იმავე ყვავილის შტვრით, ე. წ. როდესაც ერთი ყვავილის შტვრის მარცვლები მოხედება (დაეცემა) იმავე ყვავილის ბუტკოს დინგზე.

თვითდიფერენცირება — ჩანასახის ნაწილების დიფერენცირება, რომელიც მიმდინარეობს სხვა ნაწილების გავლენის დამოუკიდებლად.

თვითნაყოფიერი მცენარე — იხ. თვითფერტილური მცენარე.

თვითსტერტილობა — თვითნაყოფობა; როდესაც თვითდამტვერვისას თესლი არ ვითარდება.

თვითსტერტილობა მცენარე — მცენარე, რომელიც თვითდამტვერვისას თესლს არ იძლევა (ჭვავი, სიმინდი, ბრინჯი, წითელი სამყურა და სხვ.).

თვითუნაყოფო მცენარეები — იხ. თვითსტერილური მცენარეები.

თვითფერტილობა — თვითნაყოფიანობა; როდესაც მცენარე თვითდამტვერვისას სავსებით ქანსალ (აღმოცენების უნარის მქონე) თესლს იძლევა.

თვითფერტილური მცენარე — მცენარე, რომელიც თვითდამტვერვისას სავსებით ქანსალ თესლს იძლევა.

თვითჩახახვის თეორია — მცდარი თეორია ცოცხალ არსებათა უეცარი, თვითნებური, ნახტომისებრი წარმოქმნის შესახებ არაცოცხალისაგან (იხ. აბოგენეზური თეორია).

თვისობრივი ცვალებადობა — იხ. ცვალებადობა თვისობრივი.

თიაზინი — იხ. ანეერინი.

თივთიკი — მოკლე, რბილი ბეწვი, რომელიც განლაგებულია ძუძუმწოვართა ბალნის უფრო მსხვილ და გრძელ ბეწვის ქვეშ.

თითებზეწმომხარულე ცხოველები — ცხოველები, რომლებიც სიარულის დროს ეყრდნობიან თითებს (ჩლიქოსნები და სხვ.).

თითების ფალანგები — ხმელეთის ხერხემლიანი ცხოველების მტევნის ან ტერფის ბოლო განყოფილება; თითების ჩონჩხი.

თითხებშია წიარკვლება — იხ. სანაჭუქე წიარკვლება.

თითხებთარა — უჭრედის აქრომატული კომპონენტი, რომელიც შედგება ცილოვანი ძაბუებისაგან; ძაფები ჩვეულებრივ გაქიმულია თითხებთარას ორ, მენტაკლებად მკვეთრად ხილვად პოლუსს შორის. თითხებთარას საშუალებით ხორციელდება ქრომოსომა მოძრაობა ანაფაზაში. ცენტროსომის რაოდენობის მიხედვით აქრომატული აპარატი შეიძლება იყოს უნი, ბი და მულტეპოლომარული.

თითხებთარას ძაფები — თითხებთარას ძაფისებრი სიგრძივი ელემენტები, რომლებიც შედგება ცილებისაგან.

თითხებთარისებრი უჭრედები — უჭრედები, რომელსაც აქვს თითხებთარის ფორმა. გვხვდება უმაღლესი მცენარეების პარენქიმასა და კამბიუმში.

თიყანი — თხის ნაშეირი ერთ წლამდე; ციკანი.

თილები — ბუშტისებრი წარმონაქმნები, რომლითაც ამოვსებულია მცენარის კუროვლების შრეები. წარმოიქმნება

თხელგარსიანი პარენქიმული უჯრედების შეკრით კურკლებში.

თომინი — აზოტის შემცველი ორგანული ნაერთი; შედის თომინოვანი ნუკლეოტიდის შედგენილობაში.

თომობაქტერიები — გოგირდის ბაქტერიები, რომლებიც გოგირდიან წყლებში ცხოვრობენ.

თირკმელი — ხერხემლიან ცხოველთა გამომყოფი ორგანო.

თირკმლები კარსხ ვენები — სისხლძარღვები, რომლითაც სისხლი თირკმლებიდან გამოდის.

თირკმელზედა ჭირკვალი — პატარა ზომის შინაგანი სეკრეციის ჭირკვალი, რომელიც მდებარეობს თირკმლის ზემოთ. გამოყოფს პორმონ ადრენალინს. (იხ. ადრენალინი).

თირკმლისწინა — იხ. პრინფერსი.

თიროზინაზა — იმინომეავა თიროზინის დამუქანვეელი ფერმენტი.

თიროზინი — ერთ-ერთი ამინომეავა.

თიროქსინი — ფარისებრი ჭირკვლის პორმონი. მონაწილეობას იღებს ნიუთიერებათა ცვლის პროცესების, ძვლის ზრდისა და ვეგეტატიური ნერვული სისტემის ავზნებადობის რეგულაციაში.

თმის ხოლქვი — კანში მქდომარე თმის ფესვის ქვედა გამსხვილებული ნაწილი.

თმის ღვრილი — იხ. თმის ძიძხი.

თმის ღეროს ვული — ფაზარი ქსოვილი, რომლითაც იშოვებულა თმის ღეროს შუა ნაწილი.

თმის ჩანთა — შემაურთებელქსოვილოვანი ჩანთა, რომელშიც თმის ფესვია მოთავსებული.

თმის ძირი, ფესვი — თმის ნაწილი, რომელიც კანშია ჩამჭდარი.

თმის ძიძხი — შემაურთებელქსოვილოვანი წარმონაქმნი, რომელიც შეკრილია თმის ფესვის ქვედა გაფართოებულ ნაწილში — თმის ბოლქვში; შეიცავს მრავალ სისხლის კაპილარს და ნერვულ ბოქოს.

თორაქსი — იხ. გულმკერდი.

თორმეტგოჯა ნაწლავი — წვრილი ნაწლავის, შედარებით უფრო ფართო, ნაწილი, რომელშიც კუჭიდან გადის საჭმელი. მასში იხსნება პანკრეასისა (კუჭქვეშა ჭირკვლის) და ღვიძლის სადინარი.

თორუსი — იხ. ტორუსი.

თარობი — სისხლის კოლტი, რომელიც ჩნდება სისხლძარღვებში.

თარობინი — ფერმენტი, რომელიც აბირობებს სისხლის შედედებას.

თარობოზი — სისხლძარღვებში სისხლის კოლტის — თარობის წარმოქმნის პროცესი.

თარობოქინაზა — ფერმენტი, რომელიც აჩქარებს სისხლის შედედებას.

თარობოქინაზა — თარობოციტების რაოდენობის შემცდრება სისხლში.

თარობოფლებიტი — თარობების გაჩენივების ანთების დროს.

თარობოციტები — სისხლის ფირფიტები; სისხლის სხეულაქები, რომლებიც ადვილად იშლება სისხლძარღვებიდან სისხლის გამოსვლის დროს; ათავისუფლებენ ფერმენტ თარობოქინაზას, რაც ხელს უწყობს სისხლის შედედებას.

თურქული კეხი — ტვინის ქალას ძირითადი ძვლის ზედა მხარეზე არსებული ჩაღრმავება, რომელშიც მოთავსებულია ტვინის დანამატი — ჰიპოფიზი.

0

თაბო — დაკოდილი მამალი ცხენი.

თაკი — ტიბეტური ხარი; მოშენაურებულა ღლი ჰეათ ცენტრალური აზიის ზოგო

ქვეყნის მაღალმთიან რაიონებში.

ბაკობხოსის ორგანო — ხერხემლიანი ცხოველების. (მაგ. ტაპტილიებში,

ზოგიერთ ქუქუწყოვარ (ცხოველში) გემოვნების ორგანო. წარმოდგენილია ყრუდამბოლოებული წყვილი ღრუს სახით, რომელიც ხსენება პირის ღრუში ორი ხერელით.

ბაროვიზაცია — მცენარის თესლების თესვისწინა სპეციალური დამუშავება დაბალე ტემპერატურის მოქმედებით გარკვეულ პერიოდში, რაც აჩქარებს მათ გაოივებას. უმთავრესად მიმართავენ ერთწლოვან და ორწლოვან მცენარეთა საშემოდგომო ფორმების განვითარებას დაჩქარებისათვის.

კაუხტობიოლიტები — ნაპარხი საწვავი ნიეთიერებანი, რომელიც ორგანული წარმოშობისაა: ბუნებაში გვხვდება მყარ, თხევად და გაზისებრ მდგომარეობაში, მაგ., ქვანახშირი, ტორფი (მყარი) ნეთი (თხვეადი) და ბუნებრივი საწვავი გაზი (გაზისებრი).

კაუჩუკი — მაღალმოლეკულური ნახშირ-

წყალი; ელასტიკური ნივთიერება, რომელსაც იღებენ ზოგიერთი მცენარის (ქოქ-სალიზის, ტაუ-სალიზის და სხვათა) რძეწვენიისაგან; ამზადებენ ხელოვნურადაც; იყენებენ რეზინის წარმოებაში.

კაუჩუკოვანი მცენარეები — კაუჩუკის შემცველი მცენარეები (ქოქ-სალიზი, ტაუ-სალიზი, გვაიულა, პევეია და სხვ.).

კაფსული — 1. გარსი, აპკი, რომელშიც გახვეულია ზოგი ორგანო (მაგ., თიჩკმელი) ან რაიმე პათოლოგიური წარმონაქმნი (პარაზიტი, უცხო სხეულაი და სხვ.). 2. ლორწოვანი ფენა, რომელიც გარშემორტყმულია ზოგიერთი ბაქტერიის (მაგ., ანობრბაქტერიების) გარსზე.

კახეხია — ორგანიზმის ღრმა დაუძლეურება, გამოფიტვა.

კბილები — განსაკუთრებული ძელოვანი ორგანოები, რომლებიც განვითარებულია უმრავლესი ხერხემლიანი ცხოველის პირის ღრუში.

კბილის საღებო ზედამირი — იხ. საღებო ზედამირი კბილისა.

კბილის ფეხები — კბილის ნაწილი, რომელიც ზის ფოსაში.

კბილის ფორმულა — კბილების სხვადასხვა ჩჯუფის აღნიშვნა მათი ლათინური სახელწოდების საწყისი ასოებით და რიცხვის ჩვენებით წილადის სახით.

კემბრული ვაკეეთა—მუცლისა და საშვილოსნოს ვაკეეთა ზავშვის ამოსაყვანად, როდესაც შეუძლებელია ნორმალური მშობიარობა.

კემბრიული პერიოდი — დედამიწის ისტორიის პალეოზოური ერის პირველი პერიოდი. ამ პერიოდში ზღვა კელავ სიცოცხლის პირველი გარემოა, რომელშიც ბინადრობენ ბაქტერიები, წყალმცენარეები და უხერხემლო ცხოველები.

კენკრა — მცენარის ნაყოფის ტიპი; წვნიანი, უხსნელი, ერთ—ან მრავალთესლიანი ნაყოფი. არჩევენ ორი სახის

კენკრას: 1. როდესაც კენკრა მთლიანად ხორციოვანია და ძალიან თხელკანიანია, როგორც, მაგალითად, ყურძნის, პომიდორის, მოცხარის და სხვ. ნაყოფი. 2. ქერქიანი კენკრა, რომლის ნაყოფსაფარო სქელქერქიანია, როგორც, მაგალითად, ციტრუსების ნაყოფი.

კენკროვანები — ველურად მზარდი და კულტურული მცენარეები, რომლებიც იძლევიან ე. წ. კენკრა ნაყოფს (ვაზი, პომიდორო, მოცხარი, ციტრუსები და ა. შ.).

კენკროვანი მცენარეები — იხ. კენკროვანები.

კენტფრთხებრ ჩთული ფოთოლი—ჩთული ფოთოლი, რომლის საერთო ყუნწი წვერში ერთი ფოთოლაკით ბოლოვდება (ტრუაქაციის, იფნის, ჟონჯოლის, ესპარტეტის და სხვათა ფოთლები).

კენტრლიქანები — ჩლიქიანი ცხოველების ერთ—ერთი ჩჯუფი, რომლებსაც თითოეულ ფეხზე თითების კენტი (ერთი ან სამი) რაოდენობა აქვთ განვითარებული და ჩლიქით დაფარული. მათ ეკუთვნის ცხენი, სახეღარი, ზებრა (მათ თითოეულ ფეხზე თითო ჩლიქი აქვთ), მარტორქა (სამი ჩლიქი აქვს) და სხვ.

კენწრული კვირტი — მზარდი ღეროს (ყლორტის) წვერზე მჭდომარე კვირტის, რომელიც შედგება ზრდის კონუსისა და მასზე მჭიდროდ განლაგებული ჩანასახოვანი ფოთლებისაგან; წარმოადგენს მომავალ ყლორტს.

კენწრული მერისტემა — მცენარის ყლორტის ან ფესვის წვერში არსებული არადიფერენციურებული ემბრიონალური ქსოვილი.

კენწრული ფოთლები — ფოთლები, რომლებიც განლაგებულია ყლორტის წვერზე და ყვავილების ან ყვავილეების არეში. დანარჩენი ფოთლებისაგან ჩვეულებრივ განსხვავდება მცირე ზომით და ფირფიტის ნაკლები დანაწევრებით.

კენწრული ყვავილი — სულ ბოლო ყვავილი ყვავილეში.

კენწრული ყლორტი — მთავარი (ცენტრალური) ყლორტი მცენარისა.

კირატი — 1. დაუყოფელი მამალი ღორი.
2. პარკოსანთა ოქახის ერთ-ერთი სახეობა (*Ceratonia siliqua* L.); ამ მცენარის ნაყოფი.

კირატინები — პროტეინოიდების ჯგუფის ცილოვანი ნივთიერებანი.

კურატინი — თვალის რქოვანი გარსის ანთება.

კურატოლახტიკა — თვალის რქოვანი გარსის პატარა ნაქრის გადანერგვის ოპერაცია.

კურიტოზია — უჯრედების წარმოქმნა ლურჯ-მწვანე წყალმცენარეების ქრომატოლაზმასა და ცენტროლაზმასში.

კუბონური ავადმყოფობა — ატმოსფერული წნევის მკვეთრი ცვლილებით გამოწვეული ავადმყოფობა.

კმბტობა—წვრილფეხა რქოსანი საქონლის ნაწლავებისაგან დამზადებული ძაფი, რომელსაც იყენებენ ქირურგიული ოპერაციების დროს შიგნითა ნაქერების დასადებად.

კმტოგენური ბაქტერიები — ძმარმეაუა ბაქტერიების ზოგიერთი სახეობა, რომელიც იწვევს სპირტის დაჟანგვას.

კმტონური სხეულები — ცხიმის ჰეაების არასრული დაჟანგვის პროდუქტები; მაღალი კონცენტრაციის დროს ტოქსიკურია; გამოვლინება შარდთან ერთად.

კვაბური ევოლუცია — იხ. ევოლუცია კვანტური.

კვარტერონი — აღმავალი, რომელიც დაიბადა თეთრკანიანისა და მეტისის შეუღლების შედეგად.

კვება — საკვების მიღება; ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის უმნიშვნელოვანესი პროცესი.

კვება მცენარის — მცენარეთა ცხოველმოქმედებისათვის აუცილებელი ნივთიერებების შეთვისება გარემოდან.

კვების ჭაჭვი — კვებითი ურთიერთობით დაკავშირებულ ორგანიზმთა მჭკრთვები — ჭაჭვები, რომელთა შემდგენელი

ყოველი რგოლი (ორგანიზმი) მომდევნო რგოლის საკვებს წამოადგენს. კვების ჭაჭვი იწყება ე. წ. პროდუცენტებით ე. ი. ორგანიზმებით, რომლებსაც აქვთ არაორგანული ნივთიერებიდან ორგანულ ნივთიერებათა შექმნის უნარი.

კვერცხი — 1. ცხოველური ორგანიზმის მდებარეობითი სასქესო უჯრედი (კვერცხუჯრედი). 2. ფრინველის ან ქვეწარმავალ ცხოველის მიერ დადებული ასეთი უჯრედი (განაყოფიერებული), რომელიც ნაქუქშია მოთავსებული.

კვერცხის გული — იხ. ყუითრი.

კვერცხის ვიგებატიური პოლუბი — კვერცხის ის მხარე, რომელიც მოპირდაპირეა იმ ნაწილისა, რომელზედაც ჩანასახის ზურგის მხარე ვითარდება.

კვერცხის უფთრის პარკი — ფრინველების, ქვეწარმავლების, ხრტილოვანი და ძელიანი თევზების ჩანასახის სუნთქვისა და კვების ორგანო.

კვერცხხალები — გარეთა სასქესო ორგანო ბევრ მწერსა და ზოგიერთ თევზში; საკვერცხე პარკი.

კვერცხხალო — კვერცხგამტარი; გამტარი მილი, რომლის გზითაც ხდება მომწიფებული კვერცხუჯრედის გადაადგილება საკვერცხიდან საშვილოსნოსაკენ.

კვერცხუჯრედი — მდებარეობითი სასქესო უჯრედი.

კვერცხოცხალშობი ცხოველები—ცხოველები, რომლებსაც ახასიათებთ კვერცხოცხალშობა.

კვერცხოცხალშობა — შთამომავლობის (შვილების) გაჩენის (შობის) ერთ-ერთი სახე, როდესაც ჩანასახი სრულ განვითარებას აღწევს დედის სხეულშივე მყოფ კვერცხში და გარსისაგან (ნაქუქისაგან) თავისუფლდება კვერცხის დადებისთანავე. დამახასიათებელია ზოგიერთი უხერხემლო (მორიელებიდან) და ხერხემლიანი ცხოველსათვის (ვევლგესლა).

კენიზი — თავის სარქველი.
 კვირტა — ის. დაკვირტვა.
 კვირტმერულობა — ის. კვირტწყობა.

კვირტწყობა — კვირტში ფოთლების, განსაკუთრებით კი მათი კიდეების, ურთიერთ განლაგების წესი; ფოთლებში შეიძლება ეხებოდეს ერთმანეთს კიდეებით; თითოეული გარეგანი ფოთოლი შეიძლება ფარავდეს მის შიგნით მდებარე ფოთლების ნახევარს ან ყველა ფოთოლს და ა. შ.

კვირტი — 1. გაუმწელი ყლორტი; ჩანასახი ყლორტისა ან ყვაეილისა. 2. ზოგიერთი უმარტივესი ცხოველის სხეულის გამონაზარდი, რომლიდანაც (უსქესო გამრავლების დროს) ახალი ინდივიდი ვითარდება.

კვირტით მყნობა — ეხ. ოკულირება.

კვირტის მფარავი ქერქლები — მრავალწლოვანი მცენარის კვირტის გარეთა, სახეცვლოლი მფარავი ფოთლები, რომლებიც იცავენ კვირტის ნაზ ნაწილებს დაზიანებისაგან.

კვირტის რგოლები — მცენარის დაგრძელებული ყლორტების ძირში დარჩენილი ნაქდევეები, რომელიც წარმოიქმნება კვირტის გარეგანი ქერქლების ჩამოცვენის შედეგად. მათი საშუალებით შეიძლება ხის წლიური ნაშბის განსაზღვრა.

კვირტობა — ის. დაკვირტვა.

კვირტწარმომქმნელი ხტოლონი — ქორდიანთა ზოგიერთი წარმომადგენლის (მაგ., ასციდიის) სხეულის მუცლის მხარეზე არსებული გამობერილობანი, რომლებიც საწყისს აძლევენ კვირტებს უსქესო გამრავლების (დაკვირტვის) დროს.

კვოც — ცენის ნაშიერი სამ წლამდე. კობო მცენარისა — მცენარეთა დაავადება, რომელიც გამოიხატება სიმსივნის წარმოქმნით და გამოწვეულია სოკოებითა და ბაქტერიებით.

კიდურების ხარტყელი — ადამიანისა და უმრავლესი ხერხემლიანი ცხოველის

ჩონჩხის ნაწილი, რომლითაც ზემო და ქვემო (წინა და უკანა) კიდურები შენაწევრებულია სხეულთან.

კიდური — ორგანო, რომელიც უმთავრესად ცხოველს მოძრაობას ემსახურება.

კინეზიზი — ორგანიზმის აქტიურობის მომატება, რომელიც გამორჩიანებლის ზემოქმედებით; ტრაქსისისაგან განსხვავებით, კინეზისის დროს მოძრაობის მიმართულება არ განისაზღვრება იმ მიმართულებით, რომლითაც მოქმედებს გამაღვიანებელი.

კინეზოზია — სხეულის ნაწილების მდგომარეობისა და მოძრაობის გრძნობა, რაც გამირობებულია პრაპროიორექტორების (კინესტეტორი რეცეპტორების) ფუნქციებით.

კინეტიკი — პორმონული მოქმედების ნივთიერება, რომელიც მონაწილეობს მცენარის ზრდის პროცესში და გამწვანებაში.

კინეტოგმა — თითისტარას მიმაგრების ადგილი ქრომოსომებთან.

კინეტოქორი — ის. ცენტრომერი.

კინინი — 1. პოლიპეტიდური ბუნების მქონე ნივთიერებათა ჯგუფი, რომელიც წარმოიქმნება სისხლსა და ქსოვილებში; მოქმედებს სისხლძარღვებზე, გლუვ კუნთებსა და ნერვულ დაბოლოებებზე. 2. ადენინის შემცველი ნივთიერება, რომელიც სტიმული აძლევს უჯრედის გაყოფასა და ზრდას მცენარეული ქსოვილის კულტურებში.

კინოლოგია — ძალთმცოდნეობა; მეცნიერება ძალების ჩიშების შესწავლის, მოშენების, მოვლისა და გამოყენების შესახებ.

კინოციტები — უჯრედები, რომელთაც აქვთ გადაადგილების (მოძრაობის) უნარი თავისი შოლტების მეშვეობით.

კირიანი ღრუბელები — ღრუბელები, რომელთა ჩონჩხი შედგება კირიანი ნივთიერებისაგან; ზღვის ბინადარი ერთეული ან კოლონიური ცხოველებია.

ქიროვანი ჭირკვლები — იხ. შორენის ჭირკვლები.

ქიხტა — პარკის მსგავსი სიმსივნისებრი წარმონაქმნი, რომელიც საესეა სითხით ინ ფაფისებური მასით (მაგ, საყვერცხის კისტა). ჩვეულებრივ საჭიროებს ამოკვეთას.

ქიუვეხ ორგანო — კანეკლიანთა დამცველი ორგანო, რომელიც მრავალი მიოლაკის სახითაა წარმოდგენილი. გალიზიანების დროს ეს მილაკები კლოაკიდან გამოისროლება გარეთ.

ქიუვეხ საღინარი — ხერხემლიან ცხოველთა სისხლძარღვები (განივი საღინარები), რომლებიც შექმნილია წინა და უკანა კარდინალური ვენების შეერთებით. ქიუვეხ საღინარი კარგადაა გამოხატული ყველა ხერხემლიან ცხოველისა და ადამიანის ჩანასახში. ზრდასრულ ორგანიზმებში კი სრულყოფილად განვითარებული აქვთ მხოლოდ თევზებს და კუდიან ამფიბიებს.

ქიფოზი — ხერხემლის გამრუდება (მკერდის განყოფილებაში), რომელიც გამოხეწილობით უკანა მიმართული.

კლადოდიუმი — გაბრტყელებული სახეცელი ღერო, რომელიც ჩვეულებრივ მწვანეა და ფოთლის ფუნქციებს ასრულებს. ფილოკლადიუმისაგან განსხვავებით კლადოდიუმი გარეგნულად ფოთლებს არ ჰგავს და ღეროსავით დიდხანს იხრდება სივრცეში (სატაქტარში, ზოგიერთ კაქტუსში). ბევრი ავტორი ამ ორ ტერმინს ერთიმეორის სინონიმად იხილავს.

კლახი — მცენარეთა და ცხოველთა კლასიფიკაციის ერთ-ერთი მსხვილი ტაქსონომიური ერთეული, მაგ, ძუძუმწოვართა კლასი.

კლახიფიკაცია — ცხოველთა და მცენარეთა სისტემატიზაცია (სისტემაში მოყვანა), რომელსაც საფუძვლად უდევს ფილოგენეტიკური ურთიერთდამოკიდებულება ჩვეულებსა და სახეობებს შორის. კლასიფიკაციის ძირითადი კა-

ტეგორიებია: ტიპი, კლასი, რიგი, ოჯახი, გვარი, სახეობა.

კლახიფიკაცია ფიტოცენოზებისა — მცენარეულობის შეცნობის ერთ-ერთი მეთოდი, რაც მდგომარეობს მსგავსი ფიტოცენოზების დაჯგუფებაში (მეტრაკლებად უფრო მსხვილ ჩვეულებში) ყველაზე არსებითი ნიშნების საფუძველზე. ანსხვავებენ ფიტოცენოზების მორფოლოგიურ, ეკოლოგიურ, ბიოეკოლოგიურ, ფლორისტიკულ, დინამიურ და გენეტიკურ კლასიფიკაციებს.

კლიხტოგამია — თვითდამტვერვა ზოგიერთი მცენარის დახურულ ანუ გაუშლელ ყვავილებში.

კლიხტოგამური ყვავილები — ყვავილება, რომლებიც არ იშლება და თესლებს მხოლოდ თვითდამტვერვით იძლევა (ზოგიერთი ია, უკადრისა, მცეველა, მრავალი მარცვლოვანი და სხვ.).

კლიხტოკარპიუმი — დახურული ნაყოფსხეული, რომელიც დამახასიათებელია ჩანთიანი სოკოების ბევრი წარმომადგენლისათვის.

კლიხტოტიციუმი — იხ. კლისტიკარპიუმი.

კლიმატი — ჰავა; ამა თუ იმ ადგილის მეტეოროლოგიურ პირობათა ერთობლიობა.

კლიმატადი — ეკოტიპი, რომელიც ფორმირებულია გარკვეული კლიმატური პირობების ზეგავლენით.

კლიმატოლოგია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს კლიმატს, მის წარმოქმნას, გეოგრაფიულ განაწილებას და გავლენას სიცოცხლეზე.

კლიმატოგრაფია — კლიმატოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს დიდამიწის სხვადასხვა ნაწილის კლიმატს და მისი გეოგრაფიული განაწილების კანონზომიერებას.

კლიმატოთერაპია — ამა თუ იმ ადგილის კლიმატური პირობების გამოყენება სამკურნალოდ.

კლიმატომა — ეკოტიპის კლიმატური პირობების ერთობლიობა.

კლიმატოფიზიოლოგია — ფიზიოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ცხოველთა და ადამიანთა ორგანიზმის სხედასხვა კლიმატურ პირობებთან შეგუების საკითხებს.

კლიმაქსი — 1. სასქესო ჭირკვლების მოქმედების ჩაქრობის პერიოდი. 2. სუქციისის (იხ.) შედეგად უკვე ჩამოყალიბებული მცენარეული დაჯგუფების განვითარება.

კლიმაქტერია — სქესობრივი ფუნქციის ჩაქრობა.

კლიმაქტერიუმი — იხ. კლიმაქსი.

კლიმოგრაფია — მრუდე, რომელზეც ასახულია ამა თუ იმ ადგილის (რაიონის) კლიმატის დამახასიათებელი მაჩვენებლები.

კლინი — ზოგერთი ნიშანთვისების თანდათანობითი, განუწყვეტელი ცვლილება სახეობის არეალის ფარგლებში. მაგ., მცენარის ზომის (სიმაღლის) თანდათანობითი შემცირება ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან დაკავშირებით.

კლინოსტატი — ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ მცენარის ფიზიოლოგიური გამოკვლევის დროს გარეშე ფაქტორების, მეტწილად სიმძიმის ძალის ან სინათლის ცალმხრივი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად; მაგ., გეოტროპიზმის და ფოტოტროპიზმის ცდების ჩატარებისას.

კლიტელუმი—საწელურა; მცირეჯაგრიანი ჰიების სხეულის ზედაპირზე (30—37 ნაწვევარს შორის) წარმოქმნილი გამსხვილება, რომლის უკრედები გამოყოფენ ლორწოვან პარკს, სადაც იდება კვერცხები. მისი წარმოქმნა ჩვეულებრივ ხდება გამრავლების დროს.

კლიტორია — ძუძუმწოვარი მღვდრობითი ცხოველის გარეთა სასქესო აპარატის ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც შეესაბამება მამრობითი ცხოველის ასოს, მაგარამ მისგან განსხვავებით მეტად მცირე ზომისაა.

კლოაკა — სწორი ნაწლავის გაფართოებული ნაწილი, რომელშიც იხსნება საკმლის მომწელებელი, გამოყოფი და სასქესო სისტემა. დამახასიათებელია ამფიბიების, ფრინველების, ქვეწარმევლებისა და ზოგიერთი თევზისა (ზეიგენი) და ძუძუმწოვარი ცხოველისათვის (იხენისკარტა).

კლოაკიანი — იხ. ერთგვასვლიანი ანუ კლოაკიანი ცხოველები.

კლონი — მცენარის ერთი ინდივიდის, გენეტიკურად ერთგვაროვანი შთამომავლობა, რომელიც მიღებულია ვეგეტატიური გამრავლებით.

კლონუსი — ცალკეული კუნთის ან კუნთების წგუფის რიბმული სწრაფი ტოკა, შეზრიალება, რომელიც წარმოიქმნება უნებლიედ ან გარეგანი გაღიზიანების ზეგავლენით; ერთ-ერთი ნიშანი ნერვული სისტემის დაავადებისა.

კნოდოციტი — მსუსხავი უკრედების ზედაპირზე არსებული მგრძობიარე ბეწვი; მასზე შეგებით ხდება გაღიზიანება, რასაც მოჰყვება უკრედის სწრაფი შეკუმშვა და მსუსხავი ძაფის გამოხროლა.

კნუტი, კნოტი — კატის ნაწიერი.

კოაგულატი — ნალექი, რომელიც ჩნდება კოლოიდური ხსნარის კოაგულაციის შედეგად.

კოაგულაცია — კოლოიდურ ხსნარში ნივთიერების ნაწილაკების ნალექად გამოყოფის, შედეგების პროცესი.

კოაგულაცია ცილებსა — ცილების შედეგება; ცილის კოლოიდური ნაწილაკების გამსხვილება მათი ერთმანეთზე მიწებებით, მიცელების ურთიერთ მიზიდულობის შედეგად; ეს კი იწვევს მათ ნალექად გამოყოფას. კოაგულაცია შეიძლება იყოს შექცევადი (მაგ., ტუტე მეტალების მაღალი კონცენტრაციის მარილებით მოქმედებისას) ან შეუქცევადი (მაგ., მაღალი ტემპერატურის დროს, მძიმე მეტალების მარილებით მოქმედებისას).

კოპიცია — ორგანიზმა ურთიერთმოქმედება, ურთიერთდამოკიდებულება ფიტოცენოზში.

კოაცერვაცები — კოლოიდურ ხსნარში წარმოქმნილი გროვები წვეთის ან შრის (ფენის) სახით, რომელსაც აქვს კოლოიდის უფრო მაღალი კონცენტრაცია, ვიდრე ხსნარის დანარჩენ ნაწილს.

კოაცერვაცია — კოლოიდური სისტემის შრეებად დაყოფა, რომლის დროსაც წარმოიქმნება კოლოიდური გროვები (კოაცერვატები) თხევადი შრის ან წვეთის სახით; კოაცერვაცია ხდება კოლოიდის დისპერსული ფაზის ნაწილობრივი დეპიდრატაციის შედეგად და წარმოადგენს კოაგულაციის საწყის სტადიას; ცოცხალი უჯრედის პროტოპლაზმა აგებულია კოაცერვატული ტიპის მიხედვით; ა. ოპარინის თეორიის თანახმად კოაცერვაციის მოვლენამ დიდი როლი შეასრულა სიცოცხლის წარმოშობის გარკვეულ ეტაპზე.

კობალამინი — ვიტამინი B₁₂, ნივთიერება, რომელიც აუცილებელია ერთროციტების წარმოქმნისათვის.

კობალტოვანი ხინჯი — მცენარის ფოთლების მიერ წყლის აორთქლების ინტენსიურობის აღრიცხვის მეთოდი 3%-იანი ქლოროვანი კობალტის ხსნარით გაყენებით ფილტრის ქაღალდის საშუალებით.

კოდომინანტი — ის კონდომინანტი.

კოდომინანტობა — მოვლენა, როდესაც პეტეროზიგოტაში წარმოიქმნება ორივე ალელის ნიშნები.

კოენზიმი — ის კოფერმენტი.

კოზაკი — აქლემის ნაშიერი.

კოზიშაზა — კოდებირაზა; დამეანგველი ფერლენტების აქტიური ჩვეუთი. მონაწილეობს მრავალ ფერმენტებულ რეაქციაში (მაგ., დელილში).

კოკაინი — ალკალიდი, რომელსაც შეიცავს მცენარე კოკა (ცენტრალურ ამერიკაში გავრცელებული ტროპიკული ბუჩქი), იყენებენ ტიკილების გასაყუ-

ჩებად და ნარკოტიკულ საშუალებად. **კოკაინიზმი** — ნარკომანიის ერთერთი სახეობა — ავადმყოფური მიდრეკილება კოკაინის, როგორც გამაზრუებელი საშუალების, ხმარებისადმი.

კოკი — სფეროსებრი ბაქტერიები; ხშირად ეს ბაქტერიები შეერთებულია წვეტილებად (დოპლოკოკი), ძეწვევად (სტრეპტოკოკი), ყურძნის მტევნის მსგავსად (სტაფილოკოკი); უმეტეს სფეროსებრი ბაქტერიას არა აქვს შოლტები და არ წარმოქმნიან სპორებს.

კოკორა — საყვავილე კვირტი, გაუშვლელი ყვავილი.

კოცხალური ჭირკვლები — ობობასნართა გამომყოფი ორგანოები (გარდა მალპიგის ორს მიღებისა), რომელიც წარმოადგენილია ერთი ან ორი წვეილი ჭირკვლით და იხსნება სასიარულო ფეხების პირველ-მესამე წვეილ სეგმენტზე.

კოცხოოდტი — ზოგიერთი ფესასხარისანი (უმალესი კიბოების) ორად დატოვილი კედლის ძირითადი ნაწილის პირველი ნაწიელი, ტოტი.

კოცციდოზი — ავადმყოფობა, რომელსაც იწვევს ზოგიერთი ერთუჯრედიანი ცხოველი, სახელდობრ კოკიდიები, დამახასიათებელია ბოცვერების, ფრინველებისა და სხვ. ცხოველებისათვის, აგრეთვე ადამიანისათვისაც.

კოლაგენი — შემეერთებელ-ქსოვილოვანი ბოქკოს შემადგენლობაში შემავალი პროტეინოიდების ჩვეუთის ცილოვანი ნივთიერება, რომელიც დუღილის დროს გარდაიქმნება ელატინად.

კოლაგენური ბოქკოები — შემეერთებელი ქსოვილის უჯრედშორისი ნივთიერების ბოქკოები ცხოველურ ორგანიზმებში.

კოლატერალური დამემკვიდრება — ერთნაირი მემკვიდრული ნიშნების გამორჩენა გვერდითი ზნით მონათესავე ნათესაებში (მაგ., ბიძასა და ბიძისშვილებში).

კოლატერალური კვანძები — ის პრევერტებრალური კვანძები.

კოლატერალური კვირტები — ფოთლის უბეში ეთმანეთის გვერდით განლაგებული კვირტები.

კოლატერალური კონა — მცენარეთა გამტარი კონა, რომელშიც მერქანი და ლაფანი ერთიგორის გვერდითაა განლაგებული (მერქანი გასწვრივი ღერძის ახლოს, ლაფანი კი პერიფერიისაკენ) ისე, რომ წრე არ იქმნება. ისეთ კოლატერალურ კონას, რომელსაც კამბიუმში არ გააჩნია, უწოდებენ დახურულს (ერთლებნიანთა ღეროში და მცენარეთა უმეტესობის ფოთოლში), ხოლო კამბიუმის მქონეს ღია კონა ეწოდება (ორლებნიანთა და შიშველთესლოვანთა ღეროში).

კოლატერალური სისხლძარღვები — სისხლძარღვთა განშტოებები, რომლებიც გამოდის მსხვილი სისხლძარღვებიდან და მათ პარალელურად მიედინება.

კოლაფხი — სისხლის წნევის და გულის მოქმედების ერთბაშად დაქვეითება, რასაც ხშირად თან სდევს გონების დაკარგვა.

კოლმები — მოკლე, ძირში გამობერილი, შუქმგარბობიარე უჭრედები, რომლებიც განლაგებულია თვალის ბადურაში.

კოლენქიმა — ცოცხალი შექანიკური ქსოვილი ირათანაბარი გასქელებებით. მეტწილად გვხვდება ნორჩ მზარდ ნაწილებში, სადაც სხვა შექანიკური ქსოვილი ჭერ კიდევ არ აარსს დიფერენცირებულია უმთავრესად გავრცელებულია ორლებნიან მცენარეებში. არჩევენ კუთხურ, ფირფიტოვან და შერეულ კოლენქიმას.

კოლომბტილი — მარცვლოვანთა ღვიის პირველი ფოთოლი (უფერული, მწვანე ან მოწითალო), რომლის შიგნით შემდეგი ფოთლებია მოთავსებული; აქვს ჩაზის ფორმა, თესლის ვალიევისას თავისი მაგარი წვერით მიიწვეს ნიადაგში და იცავს შიგნით მდებარე კვირტს.

კოლორიზა — ქსოვილი, რომელიც შე-

მოხვეულია ჩანასახის ფესვზე თესლში და იცავს მას დაზიანებისაგან. ფესვის განვითარებისას კოლორიზა იხევა და რამდენიმე ხანს საყელოს მსგავსადაა ფესვზე შერჩენილი (უმთავრესად გვხვდება მარცვლოვან მცენარეებში). მას ფესვის შალითასაც უწოდებენ.

კოლმეცია — ერთგვაროვანი სავნების კრებული, რომელიც რომელიმე ვარკვეული სისტემითაა დალაგებული, მაგ., მწერების, ფრინველების, მცენარის ნაყოფების, ყვავილებისა და სხვათა კოლექცია.

კოლმეი — ბიოლინის ერთ-ერთი ჭკუფი, რომელსაც გამოყოფს უმადლესი მცენარეები და სპეციფიკურად მოქმედებს ფიტოცენოზში უმადლეს მცენარეთა სხვა სახეობებზე. კოლმებს მიეკუთვნება, მაგ., ვაშლის ნაყოფებისაგან გამოყოფილი ვაშლის ეთილინი (ვაშლის გაზი), რომელიც აფერხებს ყლორტებისა და ფესვების სიგრძეში ზრდას, აჩქარებს ნაყოფის მომწიფებას და იწვევს ფოთლების ნაადრევ ჩამოცვენას.

კოლმეჩი — 1. მსხვილი ნაწლავის ზედა განყოფილება (ბრში ნაწლავიდან სწორ ნაწლავამდე). 2. ამ ნაწლავის ავადმყოფობა.

კოლოდიუმი — სქელი წებოვანი ბსნარი ცელულოზისა, სპირტისა და ეთერის ნარეფთან ერთად. იყენებენ მედიცინაში, ფოტოგრაფიაში და სხვ.

კოლონია — 1. ერთი სახეობის ინდივიდთა ერთად ცხოვრება. 2. ყველაზე მარტივი პროცენოზი; წარმოიქმნება მცენარის, ცოტად თუ მეტად, თავისუფალ ადგილზე ან შეუკერებელ ფიტოცენოზში დასახლებისას.

კოლონია ბაქტერიები — ერთი სახეობის გროვები, რომელთაც აქვს გარკვეული ფორმა, შეფერვა და წარმოქმნილია მყარ სუბსტრატზე.

კოლონიური ორგანიზმები — ორგანიზმები, რომლებსაც უსქესო ცვატბა-

ტიური) გამრავლების შემდეგ მომდევნო (შვილუული) თაობები არ სცილდებიან და მათთან ერთად ქმნიან კოლონიებს. კოლონიური ორგანიზმები უმთავრესად გვხვდება წყალმცენარეებში, ღრუბულელებში, ნაწლავღრუიანებში და სხვ.

კოლოფი — 1. მცენარის ნაყოფის ტიპი; ერთი ან მრავალბუდიანი შრალა, თვითხსნადი ნაყოფი, რომელიც წარმოქმნილია ორი ან რამდენიმე ნაყოფოთლისაგან; იხსნება ან სახურავით (ლენცოფას, მრავალძარღვას და სხვათა კოლოფი), ან ხერელებით (ყაყაიოს, დევისპირას, მაიტას), ან კბილებით (ფურისულას, მიხაკის) ანდა გასწვრივი ნაბრალეობით, რომელიც წვეროდან ფუძისაკენ მიემართება (ლუმას, რძიანას); ნაბრალი შეიძლება გადიოდეს ტიხარების გასწვრივ, ზურგის ნაკრზე და ა. შ. 2. სპორების სათავის ხაესებში.

კოლტი — 1. ღორის ქოგი; 2. შედედებულის სისხლი.

კოლუმელა — 1. სპორანგიუმის სეეტი, რომელიც წარმოადგენს სპორანგიუმში შეზრდილ იმ ჰიფის ნაწილს, რომელზედაც სპორანგიუმები ზის (ხავსებში). 2. მტკრიანების ცენტრალური ნაწილი ძალუფრქენასებრთა სამტკრეებში. 3. სპორების წარმოქმნელი ორგანოების შიგნით განვითარებული უნაყოფო ღერძული სხეული ზოგიერთ სოკოში.

კომა — უჯონო მდგომარეობა, რაც მეტწილად ცენტრალური ნერეული სისტემის ძლიერი დაქვეითების შედეგადაა გამოწვეული; მოგვიგონებს ღრმა ძილს.

კომპანიარებული ხაკეები — გარკვეული შეფარდებით აღებული სხვადასხვა საკვების ნარევი.

კომპოსტოს თავი — კომპოსტოს სიცოცხლის პირველ წელში მეტისმეტად გაზრდლი, მაგრამ ვაუშლელი კენწრული კვიტი; შედეგა მრავალრიცხო-

ვანი ფოთლებისა და დამოკლებულ ღეროსაგან.

კომენახლიზმი — სიმპიოზის ნაირსახეობა; ორი სახეობის თანაცხოვრება, რომლის დროსაც ერთი მათგანი იკვებება მეორე სახეობის საკვების ნარჩენებით და არაერთარ ზიანს არ აყენებს მას.

კომენახლიტი — ორგანიზმი, რომელიც იკვებება მისპინძლის საკვების ნარჩენებით.

კომისური — 1. ტუეპი ნაყოფის (თესლურა) ერთმანეთთან შეხების სიბრტყე (ქოლოსან მცენარეთა ნაყოფში). 2. განივი ზღუდარი (ყელი) რომლითაც ნერეული კვანძებია შეერთებული.

კომპახი მცენარეები — მცენარეები, რომელთა ფოთლების ფირფიტა ვიწრო მხრით მიმართულია სამხრეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით, ხოლო ფართო მხრით — დასავლეთით და აღმოსავლეთით. ასეთი მცენარეები განსაკუთრებით ბევრია ამეროკაში; ჩვენთან აღსანიშნავია გვარი *Lacluca*-ს ზოგიერთი წარმომადგენელი.

კომპენსაციური წერტილი — გარემო პირობების ერთობლიობა, რომლის დროსაც მცენარის ფოტოსინთეზი და სუნთქვა გათანაბრებულია.

კომპლექსი ახოციაციებისა — იხ. ასოციაციის კომპლექსი.

კომპლექსური ნერთი — ნივთიერება, რომელიც მიიღება 2 ან მეტი ქიმიური შენაერთის მოლეკულების შეერთებით.

კომპონენტი — რისიმე შემადგენელი ნაწილი; მაგ., რომელიმე მცენარეულობის კომპონენტი.

კომპოსტი — ორგანული სასუქი; წარმოადგენს სხვადასხვა ნარჩენისა და მიწის ან ტორფის ერთად გამოწვევარ, მიწისებარ მისის ნარევეს. იყენებენ თიქმის ყველა კულტურისათვის, განსაკუთრებით ბოსტნეული, ბაღეული და კენკროვანი კულტურებისათვის.

კონათშორახი კამბიუმი — კონებს შორის არსებული პირველადი გულგუ-

ლის სხივებში წარმოქმნილი კამბი-
ლური ზოლები, რომლებიც უკავშირ-
დებიან კონის კამბიუმს და იქმნება
ერთი მთლიანი კამბიალური რგოლი.

კონსოციაცია — მეტნაკლებად ხანგრძ-
ლივად არსებული თანასაზოგადოებათა
ერთობლიობა, რომელთაც გააჩნია
მსგავსი ვიქარირებული ან კორესპონ-
დირებული ფენები; მიეკუთვნება ერთ
ან ახლო ასოციაციების ჩვეუთს და კო-
მპლექსირდება პროგრესირებულო, დე-
მუტაციური ან დიგრესიული სერისის
ახლო თანასაზოგადოებებისაგან.

კონგლომერაცია — რაიმე ნაწილების ან
საგნების შეკავშირება, რომლის დროს-
საც ისინი ინარჩუნებენ თავიანთ თეი-
სებებს

კონგრეგაცია — ფიტოცენოზების გენე-
ზური კლასიფიკაციის კატეგორია; კო-
ნასოციაციების ერთობლიობა, რომ-
ლებშიც ძირითადი თანასაზოგადოებე-
ბის მთავარი ფენის დომინანტები მიე-
კუთვნება სხვადასხვა სახეობას ან
ჯეარს, მაგრამ როგორც ზრდის ფორ-
მით, ისე ეკოლოგიით, ეკუთვნის ერთ
ეკობიომორფას.

კონგრუენტული ზედაპირები — ურთი-
ერთშესატყვისი შემხები ზედაპირები,
მაგ., ერთი ზედაპირი ამოზნექილია, მე-
ორე — შესაბამისად ჩაზნექილი.

კონდენსაცია — 1. შესქელება, გამკვრი-
ვება, დაკროვება (მაგ., ენერჯისა). 2.
ორბოლის ან გზის თხევად მდგომარ-
ეობაში გადასვლა.

კონდილოზი — კანის დერილისებრი გა-
მონაზარდები, რომლებიც ჩნდება ჩირ-
ქოვანი გამონადენით გაღიზიანების
შედეგად; უმთავრესად ვითარდება სა-
სქესო ორგანოების ირგვლივ.

კონდომინანტი — თანადომინირებულ
მცენარის სახეობა ფიტოცენოზში; წა-
რმოადგენს მნიშვნელოვან ედიოფიკა-
ტორს. კონდომინანტები მონაწილეო-
ბენ მთავარი ფენის წყობაში ორი ან
მეტეი სახეობის რაოდენობით.

კონტექტავი — სიგრძივი ნერვული დეროს

ნაწილი, რომელიც აერთებს ნერვულ
კვანძებს.

კონექტორები — დომინანტები, რომლე-
ბიც ვეგეტატორი გამარაგების უნა-
რის მეშვეობით ქმნიან ფიტოცენოზის
ხშირ, გადახლართულ, ერთ მთლიან
ფენას; მაგ., ლელი, ლაქაში და სხვა.

კონფარიტები — კულტურულ მცენარე-
თა „ხელოვნური“ ჩვეუთი, რომელიც
მოიცავს მარტივ, მაგრამ სელექციისა
და მეურნეობისათვის მეტად მნიშ-
ვნელოვანი მორფოლოგიური ნიშნების
მიხედვით გაერთიანებულ, რამდენიმე
ჯიშსა და ჯიშთა ჩვეუთს.

კონვერგენცია — 1. სხვადასხვა სახეობის
ორგანიზმებში მსგავსი გარეგანი ან ში-
ნაგანი ნიშანთვისებების გაჩენა, რაც
გაპირობებულია არა მათი საერთო
წარმოშობით, არამედ ამ ორგანიზმე-
ბის შეგუებით შედარებით ერთნაირ
საარსებო პირობებისაღმძი. კონვერგენ-
ციის შედეგია, მაგ., ამერიკული კაქტუ-
სებისა და აფრიკული რძიანების მორ-
ფოლოგიური მსგავსება; აგრეთვე ზო-
გიერთი ევშაპისნაირისა და თევზის
სხეულის ფორმის მსგავსება. 2. თეა-
ლის უნარი ახლოს მყოფი საგნის
ცქერისას მიძღოს ისეთი მდგომარე-
ობა, რომლის დროსაც ორივე თვალის
მხედველობის დერძი მოცემული საგ-
ნისაკენაა მიმართული.

კონვერგენცია ფიტოცენოზებისა — 1.
მსგავსება თანასაზოგადოებებისა, რომ-
ლებიც განვითარებულია ანალოგიურ
კონსოციაციებში და მსგავს, მაგრამ
გეოგრაფიულად დამორბეულ ლანდ-
შაფტებში. 2. ორი მეზობელ თანასა-
ზოგადოების ერთ თანასაზოგადოება-
ში გაერთიანება სინცენოგენეტიკური
ცვლის გზით. 3. განსხვავებული თანა-
საზოგადოებების მოჩვენებითი მსგავ-
სება მათი განვითარების ერთ რომე-
ლიმე ეტაპზე, მაგრამ დიდი განსხვა-
ვებით სხვა ეტაპებზე.

კონვერგენციული ევოლუცია — ის ევო-
ლუცია კონვერგენციული.

კონულსია — ძლიერი კრუნჩხვები მთელი სხეულისა.

კონიდიომტვირთი — იხ. კონიდიოფორი.

კონიდიოსპორა — იხ. კონიდიუმი.

კონიდიოფორი — კონიდიუმის მატარებელი; პიფების განშტოებები რომლებზედაც სხედან კონიდიუმები.

კონიდიუმი — უსქესო გამრავლების სპორა უმაღლესი სოკოების უმეტეს და უმდბლესი სოკოების ზოგიერთ წარმომადგენელში; წარმოიქმნება მიცელიუმის ევრტიკალური განშტოების განსაკუთრებულ ბოლოებზე — კონიდიოფორებზე. მას კონიდიოსპორასაც უწოდებენ.

კონიუგატები — 1. მტნარი წყლის მწვანე წყალმცენარეები, რომელთათვისაც დამახასიათებელია კონიუგაციის ტიპის სქესობრივი პროცესი. 2. სიგარძივი ზომები მენჯისა.

კონიუგაცია — 1. სქესობრივი პროცესის ფორმა, რომლის დროსაც ხდება ორატოლფასოვანი უჯრედის (ერთნაირ ფორმის უჯრედები, რომელთაც გარეგნულად არ ემჩნევა სქესობრივი დიფერენცირება მამრობით და მდედრობით ელემენტებად) შერწყმა, დამახასიათებელია მწვანე წყალმცენარეებისათვის (კონიუგატები), ზოგიერთი კაეოვანი (დიატომები) წყალმცენარისათვის და აგრეთვე უმდბლესი სოკოებისათვის (ზიგომიცეტები); კონიუგაციას ხშირად ზიგოგამიას უწოდებენ. 2. სექსობრივი პროცესი ინფუზორიებში, რომლის დროსაც ხდება ბირთვების გაცელა-გამოცელა ორ ინდივიდს შორის. 3. ქრომოსომთა წყვილ-წყვილად შეერთება მეოზში.

კონიუქტივი — თვალის შემეერთებელი ანუ ლორწოვანი გარსი, რომელიც ფარავს ქუთუთოებს შიგნითა მხრიდან და გადადის თვალის კაკლის წინა მხარეზე.

კონიუნქტივიტი — თვალის შემეერთებელი ქსოვილის (კონიუნქტივის) ანთეზა.

კონიფერანი — არომატული შენაერთი გლუკოზიდების ჩგუფიდან. გვხვდება წიწყოვანთა კაბიალურ შრეში და ბევრი სხვა მცენარის ახალგაზრდა ქსოვილებში.

კონკურენცია — მეტოქეობა ორგანიზმებს შორის გარემოს საარსებო პირობებში უპირატესობის შესანარჩუნებლად.

კონსერვატიზმი მემკვიდრეობისა — იხ. მემკვიდრეობის კონსერვატიზმი.

კონსერვაცია — გაფუჭებისაგან, დაშლისაგან დაცვა სპეციალური დამუშავებისა და პირობების შექმნით, მაგ., სიკვების კონსერვად დამზადება; შეგროვებულ ცხოველთა და მცენარეთა შენახვა, ჩვეულებრივი ფისატორების—სპირტის, ფორმალინის და სხვათა გამოყენებით.

კონსერვაცია — იხ. კონსერვაცია.

კონსორცია — ცხოველთა და მცენარეთა სახეობების ჩგუფი, რომლებიც ცოტად თუ ბევრად დაკავშირებულა ერთერთ ინდივიდუმთან. კონსორტული კავშირები უწინარეს ყოვლისა გამონატულო პარაზიტობის დამოკიდებულებაში და სიმბიოზის მეტად სხვადასხვაგვარ ფორმაში.

კონსორციუმი — ორგანიზმი, რომელიც სინამდვილეში შედგება ორი, ერთად მცხოვრები სხვადასხვა ორგანიზმისაგან, მაგ., მლიერები.

კონსტანტები — ფიტოცენოზის ან ასოციაციის სახეობები, რომლებსაც გააჩნია შეხვედრილობის მდალი პროცენტი (80 — 100 %).

კონსტანტური ნიშნები — ამა თუ იმ ორგანიზმისათვის დამახასიათებელი შედარებით მუდმივი, მყარი, უცვლელი ნიშნები.

კონსტანტური სახეობები — ასოციაციის მუდმივი სახეობები; არჩევენ დომინანტ კონსტანტებს (რომლებიც ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება ასოციაციაში), საერთო კონსტანტებს (გვხვდება ასოციაციის ყველა ცენოზ-

ში) და ადგილობრივ ანუ ლოკალურ კონსტანტებს (გვხვდება მხოლოდ ერთ რომელიმე ცენოზში).

კონსტანტური ჰიბრიდი — ჰიბრიდი, რომელიც არ იძლევა დათიშვას თავის შთამომავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ის წარმოადგენს შექყარების პროდუქტს, ე. ი. პეტეროზოვოტას. კონსტანტურ ჰიბრიდს მუდმივ ჰიბრიდსაც უწოდებენ.

კონსტანტურობა ხახეობისა — ხახეობის მუდმივი შეხვედრილობა ფიტოცენოზის სხვადასხვა ნაწილში, რაც გაპირობებულია მისი ინდივიდების თანაბარი განაწილებით.

კონსტრუქციური ნეთიერება—უჩრდღში მუდმივად არსებული ნეთიერებანი. მათგან აგებულია ცოცხალი უჩრდღის პროტოპლასტები და გარსი.

კონსუმენტები — ორგანული ნეთიერების მომხმარებლები—ცხოველები და მცენარეთა ზოგიერთი წევრი.

კონტინენტური ჰავა — ზღვებიდან ან ოკეანებიდან დაშორებული ოლქების ჰავა, რომელიც ხასიათდება ტემპერატურის დიდი და მკვეთრი მერყეობით (როგორც წლიური ისე დღე-ღამური), სიმშრალით და ნალექების მცირე რაოდენობით, ამის შესაბამისად კი ცხელი ზაფხულითა და ცივი ზამთრით; მშრალი ჰავა.

კონტრაქტურა — 1. კუნთების ხანგრძლივი, ზოგჯერ შეუქცევადი შეკუმშვა, დამოკლება. 2. სახსრების მოძრაობის შეზღუდვა.

კონტუზია—ორგანიზმის საერთო დაზიანება, შერყევა მისი გარეგანი საფარველის (კანის) მთლიანობის დაუზიანებლად. საერთოდ კონტუზიაში ჩვეულებრივ გულისხმობენ მექანიკურ ზემოქმედებას სხეულის დიდ ნაწილზე (მაგ., ყუმბარის გასკდომის შედეგად).

კონტურული ბუმბული—ბუმბული, რომლითაც დაფარულია ფრინველის სხეულის ზედაპირის დიდი ნაწილი და გარკვეულ ფორმას აძლევს მას. მათი გა-

ნლაგების მიხედვით არჩევენ შემდეგი ჩვეულის ბუმბულს: საქნევი, ზედა საფარი, კუდისა და სხვ.

კონქიოლინური შრე — მონუსკების ნიქარის გარეთა ორგანული შრე; შედგება ცილოვანი ნეთიერებისაგან რომელიც შეიცავს 50 %-მდე ნახშირბადს, 16,5 % — აზოტს, 0,8 % — გოგირდს და სხვ.

კონცენტრათი — 1. სპეციალურად დამუშავებული მშრალად დაწნეხილი საკვები პროდუქტები, რომლებიც მეტად მოსახერხებელია შესანახად და საკმლის სწრაფად დამზადებისათვის. 2. საქონლის მეტად ყუათიანი საკვები (მარკულეული, ქატო, კობრონი და სხვ.).

კონცენტრაცია — 1. ხსნარის გაჭერების ხარისხი. 2. რისამე დაკრთება, თავმოყრა, ერთად დაჯგუფება.

კონცენტრული კონა — მცენარის ქურქელ-ბოქვოვანი კონა, რომელშიც ერთი სახის ქსოვილი, მაგ., მერქანი მთლიანად გაფორმებულია მეორე სახის ქსოვილზე, მაგ., ლათანზე (ამფივანალური კონა) ან პირიქით, ლათანია გარშემორტყმული მერქანზე (ამფიკრიბრალური კონა).

კონცეპტაკული — იხ. სკაფიდიუმი.

კოორდინაცია — 1. ორგანოთა ურთიერთკავშირი ისტორიული განვითარების პროცესში. 2. სხვადასხვა ორგანოების შეთანხმებული მოქმედება ცხოველურ ორგანიზმებში.

კოორტიკალიზაცია ფუნქციების — რთული ნერვული ფუნქციების გადაადგილება თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქში.

კოამპოილური მატლი, ლარვა — მატლობის უკანასკნელი სტადია ზოგიერთ უმდაბლეს კიბოსნაირებში (ნიჩაბფეხიანები).

კოამეცო — სანაყოფე ყლორტის ტიპი თესლოვან ხეხილოვან ჩიშებში.

კოპისებრი ჩირკვალი — იხ. ეპიფიზი.

კობროლიტები — გაღამუნებული ცხოვე-

ლებს გაქვავებული ექსკრემენტი; კობროლიტების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ზოგიერთი გადაშენებული ცხოველის არსებობის შესახებ, რომელთა ნაშთები ნაპოვნი არ არის.

კობროფაგია — ექსკრემენტებით კვება.

კობულაცია — სქესობრივი უჯრედების — გამეტების (მრავალუჯრედიან ორგანიზმებში) ან ინდივიდების (ერთუჯრედიან ორგანიზმებში) შერწყმის პროცესი; კობულაციას, სიტუვის ვიწრო გაგებით, უწოდებენ უმეტესი უმდაბლესი ორგანიზმების (წყალმცენარეები, სოკოები და სხვ.) სქესობრივ პროცესს.

კობულირება — ხეხილოვან მცენარეთა კალმით მყნობა, რაც შემდეგში მდგომარეობს: იღებენ ერთნაირი სისქის საძირე და სანამყენე კალამს, გადაჭრიან ირიბად, ისე რომ მათი გადაჭრილი ზედაპირები მტკიცედ დაემთხვეს ერთმანეთს და ზრალით ან რაფით მკობროდ შეკრავენ. შეერთების სიმტკიცისა და უკეთესი შეზრდისათვის საძირეზე და სანამყენეზე ზომიერად აკეთებენ ერთიმეორის შესატყვის ამონაკვეთს. ასეთ მყნობას, ენაკით მყნობა ეწოდება. როდესაც საძირე სანამყენეზე უფრო მსხვილია, ამ შემთხვევაში მიმართავენ გვერდით მყნობას ანუ მიმყნობას, ან გახლეჩით მყნობის სხვადასხვა ვარიანტს.

კოქსი — ხე მცენარეთა ღეროზე წარმოქმნილი ოვალური ფორმის გამსხვილება, რომელიც ჩნდება ქსოვილების არანორმალური ვაზრდით, რაც ქსოვილზე სხვადასხვა ზემოქმედების (ცივის, დასერის, დაქვების, ჩხვლეტის და სხვ.) შედეგადაა გამოწვეული.

კოქსის ბაქტერიები — პარკოსან მცენარეთა ფესვებზე მცხოვრები აზოტობაქტერიები, რომლებიც წარმოქმნიან კოქსებს; მათ აქვთ უნარი ატმოსფერული აზოტის შეთვისებისა, რის შედეგადაც ამდიდრებენ ნიადაგს აზოტის მარილებით, რომლებიც იუცილებე-

ლია მცენარის ზრდა-განვითარებისათვის.

კორაკოჯი — მხროს სარტყლის ერთერთი ძვალი ხერხემლიან ცხოველებში; კარგად აქვთ განვითარებული ფრინველებს, ძუძუმწოვარ ცხოველებში შემორჩენილია რუდიმენტის სახით, რომელიც ბეჭთანაა შეზრდილი (ნისკარტისებრი მორჩი).

კორალბი — მარჩნის პოლიმის ცალკეულ ინდივიდის ჩონჩხი.

კორაციდიუმი — ზოგიერთი ბრტყელი ჰიის კვერცხიდან გამოსული მატლის სტადია, რომელსაც აქვს წამწამისებრი საფარი.

კორდატივი — შიველთესლოვანთა ერთ-ერთი რიგი; გადაშენებული მერქნიანი მცენარეები, რომლებიც არსებობდნენ პალეოზოოტრ ერაში.

კორდი — ნიადაგის ზედა ფენა, ერთმანეთში მჭიდროდ გადახლართული ბალახოვანი მცენარეების ფესვებითა და ფესურებით.

კორელაცია — ორგანიზმის ცალკეულ ორგანოებს და ნიშნებს შორის შეთანხმებული ურთიერთმოქმედება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ორგანოს (ან ნიშნის) შეცვლა იწვევს მეორე ორგანოს (ან ნიშნის) შეცვლას; ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების ურთიერთდამოკიდებულება, მაგ., კვებისა და სუნთქვის პროცესების ურთიერთ გაპირობება; კავშირის მთავარი ღერძის ზრდასა და გვერდითი ორგანოების ზრდას შორის და ა. შ.

კორელაციური ცვალებადობა — მოვლენა, როდესაც ერთი გარკვეული ორგანოს შეცვლა იწვევს სხვა ორგანოების შეცვლას.

კორემა — საოკოს პიფების წვრილი კონა, რომლის, წვერზე ვარეგანი სპორები წარმოიქმნება.

კორინობაქტერიები — ბაქტერიების ჯგუფი, რომლებიც ახლოს დგას სხივისებრი სოკოებთან. კორინობაქტერიებიდან

უმთავრესად დიფთერიის გამომწვევი ბაქტერიებია ცნობილი.

კორიუმო — ხერხემლიანი ცხოველების კანის გარეთა შრის (ეპიდერმისის) ქვეშ მდებარე ღრმა შრე, რომელშიც ჩვეულებრივ შემეერთებულქსოვილოვანი ბოქვებია განლაგებული. იგივეა რაც დერმა.

კორმიდემა — ზღვის ჰიდროიდული კოლონიური პოლიპების (სიფონოფორების) სპეციალიზირებული წგუფი, რომელიც კოლონიის ღეროზე ზის.

კორმოფიტები — მცენარეთა წგუფი, რომელთა სხეული დაყოფილია ღეროდ და ფოთლად; მათ ღეროფოთლიან ანუ უმაღლეს მცენარეებსაც უწოდებენ (ხავსნაირნი, გვიჰრანაირნი, შიშველთესლოვანნი, ფარულთესლოვანნი).

კორმუხი — 1. უმაღლესი მცენარის სხეული; 2. ულორტი; 3. მიწისზედა ღერო; 4. ღეროს ან მისი ძირის ბოლქვისებრი გამსხვილება.

კორნეაგენუხი უჩრდებო — კიბოსნაირთა თვალის უჩრდებო, რომლებიც გამოყოფენ გამჟვეირვალე რქოვანას (კორნეალურ ბროლს).

კორნეალური ბროლი — კიბოსნაირთა თვალის რქოვანა, რომელიც წარმოქმნილია გამჟვეირვალე, ქიტინოვანი ფირფიტისაგან (კუტიკულისაგან).

კოროლა — იხ. გვირგვინი.

კორმა — მცენარის მეორეული მფარვეი ქსოვილი, რომელიც შედგება სუბერინით გაუღენთილი გარსის მქონე მკვდარი უჩრდებებისაგან; ფელემა.

კორმას კაშხიუმო — იხ. ფელოჯენი.

კორპუსი — 1. აღამიანის ან ცხოველის სხეული. 2. მცენარის ზრდის კონუსის (წერტილის) შიგნითა ცენტრალური ნაწილი, რომლის უჩრდებების დაყოფით წარმოიქმნება ღერძული ცილონდრი და პირველადი ქერქი.

კორპუსკული—1.შიშველთესლოვანი მცენარეების მდებარეობითი სასქესო ორგანოს — არქეოგონიუმის მოძველებუ-

ლი სახელწოდება. 2. მატერიის ნაწილი.

კორტიის ორგანო — მაღალორგანიზებული ხერხემლიანი ცხოველების ბგერების მიღების აპარატი, რომელიც მდებარეობს შიგნითა ყურის ლოკოინაში. **კორტიკოსტეროიდები** — თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი შრის პორმოზებო.

კორტიკოსტერონი — პორმოზული ნივთიერების წგუფი, რომელიც გამოიყოფა თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის შრეში.

კორტიკო-ბუღბარული გზა — ნერვული გზები, რომლებიც მოედინება ქერქის წინა ცენტრალური ხვეულის უჩრდებოდან სახისა და ენისქვეშა ნერვების ბირთვებთან.

კორტიკო-ვისცერალური ურთიერთობა — ფუნქციური ურთიერთობა თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქსა და შინაგან ორგანოებს შორის.

კორტიკო-ხედური გზა — ნერვული გზები, რომლებიც აკავშირებს თავის ტვინის ქერქს ნახევარს ქერქთან.

კორტინი — თირკმლისზედა ჯირკვლის ქერქოვანი შრის პორმონალური პრეპარტი.

კორშიანი სხეული—1. თეთრი ნივთიერების გარდვიარდმო ნაწიბური წინა ტვინის ორივე ნახევარსფეროს შორის. 2. ცილოვანი ნივთიერების თითისტარის მოყვანალობის გუნდა, რომელიც ჩნდება მცენარის საცრაიანი მილების ახალგაზრდა უჩრდებში.

კოსმოიდური ქირცილები — ფორფრთიანი თევზების ქერცილები; შედგება მოზრგვალ ან რომბისებრი ფორმის სქელი ფუნჯი ფირფიტებისაგან, რომლებიც ზემოდან კოსმინითა (სახვეცილილი დენტინით) და ემალის თხელი ფენითაა დაფარული.

კოსმოლოგია — მოძღვრება სამყაროს, როგორც ერთი მთლიანის შესახებ.

კოსმოპოლიტები — მცენარეთა ან ცხოველთა სახეობები, რომლებიც ძალიან

ფართოდაა დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე გავრცელებული. კოსმოპოლიტი შეენარება, მაგ., ლაქანი, ლუმა, ბირკა და სხვ.

კოსმოსი — სამყარო, როგორც მთლიანობა.

კოსმოსური გამოსხივება — ყოველგვარი გამოსხივება, რომელიც მოედინება კოსმოსიდან და აღწევს დედამიწაზე.

კოტილოზავრები — უძველესი ქვეწარმელები, რომლებიც ცნობილია ზედა ქვანახშირის ნალექებში; ახლოს დგანან ჭავჭავიან ამფიბიებთან — სტეგოცეფალებთან.

კოტაბი — შეენარის სახეობის ვგზემპლარი, რომელიც ტიპისა და მისი დღობოკატების (იზოტიპების) გარდა ციტირებულია სახეობის პირველ აღწერისას; იგივეა რაც პარაკიბი.

კოფინი — ალკალიოდი, რომელსაც შეიცავს ყუის ხის თესლები და ჩაის ფოთლები. იყენებენ სამკურნალოდ, აუშკობესებს სისხლის მიმოქცევას და გულის შეშაობას.

კოფერმენტი — ორგანული, დაბალმოლეკულური ნივთიერებანი, რომლებიც ცილებთან ერთად შეადგენენ ორკომპონენტიანი ფერმენტების მოლეკულებს. კოფერმენტი დამახასიათებელია დემსოლიზის ბევრი ფერმენტისათვის და გარკვეულ როლს ასრულებს ფერმენტაციული რეაქციების შესვლელობაში. ბევრი კოფერმენტი მონაწილეობს ეიტამინების წარმოქმნაში.

კოქსალური ქირკვადი — ობობასნაირთა გამოშვითი სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ჩვეულებრივ ერთი წყვილია.

კოქწვივის სახხარი — წინატერფის შესახსრება წვივთან.

კოზლვარული აპარატი — ბევრიითი ვალიზიანების მიმღები აპარატი, რომელიც მოთავსებულია შიგნითა ყურის ლაბირინთში.

კრავი — იგივეა რაც ბატკანი.

კრანიალური — თავის ქალასი; თავის ქალასთან ახლოს მდებარე.

კრანიალოგია — ანთროპოლოგიისა და ზოოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ადამიანისა და ცხოველების თავის ქალას და მისი ნაწილების აგებულებას.

კრასულები — ტრაქეიდების გარისის გასქელებული უბნები, რომლებიც წარმოქმნილია ფირფიტის შუალედების გასქელების შედეგად. აქვს სწორი ან მოხრილი ლილეკის ფორმა; განლაგებულია გაქვევებული ფორების ახლოს. გვხვდება შიშველთესლოვან მცენარეებში (მაგ. ფიქუსი).

კრეატინი — ორგანული ნივთიერება, რომელსაც შეიცავს ზერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის ქსოვილები (განსაკუთრებით განივზოლიანი კუნთების ქსოვილები); მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლის პროცესში.

კრეაციონიზმი — ერთ-ერთი მიმდინარეობა ბიოლოგიაში მე-18 საუკუნეში და მე-19 საუკუნის დასაწყისში; ამ მიმდინარეობის თანახმად ორგანული სამყაროს მრავალგვარობა წარმოადგენს დემერტისეული შემოქმედების აქტს და უარყოფს ფორმათა ცვალებადობას ისტორიული განვითარების პროცესში (ჯ. ლინე, ე. კიუვე და სხვ.)

კრემაცია — მიცვალებულის გვამის დაწვა სპეციალურ ლუმულში.

კრეოდონტები — უძველესი ძუძუმწოვარი ცხოველების რაზმი, რომელთაც გააჩნია ნაკლებ დიფერენცირებული კბილები.

კრეოლი — 1. პირველი ევროპელი კოლონიზატორების (უმთავრესად ესპანელების) შთამომავალი ლათინური ამერიკის ქვეყნებში. 2. ბრაზილიაში კრეოლს უწოდებენ პირველი მონაზანგების შთამომავალს. 3. ალიასკაში დასახლებული რუსები კრეოლს უწოდებენ რუსი მამაკაცისა და ესკიმოსი ქალის შთამომავალს; კრეოლს უწოდებ-

ბენ აგრეთვე ესპანელი შამაკაისა და ინდიელი ქალის შთამომავალს.

კრტინიზმი — გონების სიჩლუნგე, რომელსაც თან ახლავს ფიზიკური განვითარების მკვეთრი შეფერხება; გამოწვეულია ფარისებრი ჭირკელის პორმონის მცირე რაოდენობის გამოყოფით.

კრიზისი — დიდი გარდატეხა, მკვეთრი ცვლილება, მიიმე გარდამავალი პერიოდი, მაგალითად, ავადმყოფობის მემდინარეობაში გარდატეხის მომენტი, რომელსაც მოსდევს ავადმყოფის მდგომარეობის გაუმჯობესება ან გაუარესება.

კრინოიდული კირჩქეები — კირჩქეები, რომლებიც უშთაფრესად შედგება კანეკლიანთა ზოგიერთი კლასის წარმომადგენელთა (ყერძოდ ზღვის შროშანების) ნარჩენებისაგან.

კრინოზოლოგიტები — მარილგამძლე მცენარეები, რომლებიც ფოთლებზე არსებული განსაკუთრებული ჭირკვლებით გამოყოფენ კარბ მარილებს ხსნარის საბით (ნახევრადბუჩქისებრი შორაქანი, იალღუნი და სხვ.).

კრინოზოლოგიტები — მარილგამძლე ქსეროფილური მცენარეები (იხ. კრინოზოლოგიტები).

კრიოგენური — დაბალ ტემპერატურასთან დაკავშირებული.

კრიოშოქსეროფიტი — ცივი ადგილსამყოფელის, საცხოვრისის მუზოქსეროფილური მცენარეები.

კრიოფილური ორგანიზმები — იხ. ფსიხროფილური ორგანიზმები.

კრიოფიტები — სიცივის ამტანი მცენარეები, რომლებიც ცხოვრობენ ცივი და მშრალი საცხოვრისის პირობებში, მაგ., პამირისა და ტიანშანის მაღალმთის უდაბნოებში მოზარდი ბალიში მცენარეები წარმოადგენენ კრიოქსეროფიტებს ან კრიომეზოქსეროფიტებს.

კრიოქსეროფიტები — ქსეროფილური მცენარეები, რომლებიც ცხოვრობენ ცივი საცხოვრისის პირობებში.

კრიპტები — წერილი ნაწლავის ლორწო-

ვანი გარსის მილისებრი ჩაღრმავებები, ღრმულები.

კრიპტოგამები — ფარულად ქორწილვანი; მოძველებული ტერმინია. შემოიღო კ. ლინემ ყველა იმ მცენარის აღსანიშნავად, რომელთაც არ გააჩნიათ მტერიანები, ბუტკო და სპორებით მრავლდებიან; სპოროვანი მცენარეები.

კრიპტომერია — 1. ნიშნის დამოკიდებულება მრავალ, კომპლემენტალურად მომქმედ გენების წყვილზე, რომლებიც მენდელიანებენ (იხ.) დამოუკიდებლად და თითოეული მათგანი ცალკე არ იწვევს არაერთარ ფენოტიპურ ეფექტს. ნიშანი წარმოიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი განვითარებისათვის აუცილებელი გენები შეერთდებიან და ერთად მოქმედებენ ერთ ინდივიდში. 2. შიშველოვანი მცენარეთა ერთი გვარი.

კრიპტოპლანზა — ციტოპლანზის არამარცვლოვანი ნაწილი.

კრიპტორიზმი — არანორმალური განვითარება, როდესაც ერთი ან ორივე სათესლე არ ჩაღის სათესლის პარკში და რჩება მუცლის ღრუში ან ჩერდება საზარდულის არხში.

კრიპტოფიტები — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეები, რომელთაც ზამთრისათვის უხებებთ მიწისზედა ორგანოები და იზამთრებენ ფესურის, ბოლქვის ან სხვა მიწისქვეშა ორგანოების სახით, ამ ორგანოებზე ისახება და ვითარდება განახლების კვირტები.

კრიპტოქსანტინი — ყვითელი პიგმენტი კაროტინოიდების ჯგუფიდან; გვხვდება სიმინდის მარცვალში, მანდარინის ქერქში და სხვა.

კრისტალემი მცენარულ უჯრედში — არაორგანული და ორგანული ნივთიერებების გროვები უჯრედის წყენში.

კრისტალოიდები — ცილოვანი ნივთიერებების კრისტალისებრი დანალექი სხეულები მცენარეში. ტიპური კრისტალებისაგან განსხვავებით ისინი წყალში ჭირჭვდება, რომლის დროსაც კარ-

გავენ ფორმის სიმკვრივეს და წიბოების სწორბაზონებას.

კრიტიკული ხახეობები — ფენოტიპურად ძალიან მსგავსი სახეობები, რომლებიც ნორმალურად არ ეყვარებიან ერთმანეთს.

კრომანონელი ადამიანი — გვიანი პალეოლითის ეპოქის ადამიანი, რომელიც მიეკუთვნება ადამიანის თანამედროვე სახეობის ევროპეოიდულ რასას. მისი ჩონჩხი პირველად ნახული იყო კრომანონის გამოქვაბულში (საფრანგეთში).

კრონა — იხ. ვარჯი.

კროხბრიდიზმი — სხვადასხვა ჯიშის ცხოველების შეჯვარება (ინბრიდიზმის — ახლონათესაური შეჯვარების საწინააღმდეგო). ფართოდ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ცხოველებს მოშენებაში.

კროხნგოვერი — შეიოზის დროს მიმდინარე პროცესი (სინაპსისის სტადიის დროს), როდესაც პოპოლოგოურ ქრომოსომებს შორის ხდება პოპოლოგიური მონაკვეთების გაცვლა.

კროცინი — ყუითელი პიგმენტო, რომელსაც შეიცავს ზაფრანას ყვავილის დინგი. გამოიყენება ქსოვილების შესაღებად და საკონდიტრო წარმოებაში.

კრუნჩხვა — კუნთების არანებისმიერი შეკუმშვა. არჩევენ კლონურ (როდესაც კუნთის სწრაფი შეკუმშვა მისდევს მის სწრაფსავე მოღუნებას) და ტონუსურ (როდესაც შეკუმშვა ხდება ნელა და მოღუნებაც დიდხანს არ იწყება) კრუნჩხვას.

კრუპი — ხორხის ლორწოვანი გარსის ანთება, რომელსაც თან სდევს სულის ხუთეო.

კრუხად ჭდომა — ფრინველის, ჩვეულებრივ დედლის, კვერცხებზე ჭდომის პერიოდ კვერცხების დადებიდან შთამომავლობის (წიწილების ან ბარტყების) გამოჩენამდე. ყოველ ფრინველს კრუხად ჭდომის თავისი გარკვეული პერიოდი აქვს.

კულის განყოფილება — სხეულის ნაწილი, რომელიც მდებარეობს ანალური ხერხეის შემდეგ.

კულის ფარი — ზოგიერთ ფეხსახსრიანთა (ტრილობიტების) ზურგის ფარის უკანა (ბოლო) განყოფილება.

კუდუხუნი—ზოგიერთი ცხოველის (ფრინველები) ხერხემლის ბოლო ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია რამდენიმე შეზრდილი მალით.

კუთხური კოლენქიმა—კოლენქიმის ერთ-ერთი სახე, რომელშიც უჭრედის კედლების გასქელება ხდება კუთხეებში, ე. ი. გარსის იმ ნაწილში, სადაც რამდენიმე უჭრედი ერთმანეთს ეხება.

კულტივანი — სახეობა, რომელიც არსებობს მხოლოდ კულტურის სახით და წარმოქმნილია ადამიანის მოღვაწეობის შედეგად.

კულტივაცია — მოხული ნიადაგის დამუშავება კულტივატორით.

კულტივირება — 1. კულტივაცია. 2. რომელიმე მცენარის მოყვანა, გაშენება, დანერგვა.

კულტურა — 1. რაიმე მცენარის მოყვანა, გაშენება, კულტივირება, მაგ. შაქრის კარხლის კულტურა. 2. იდამიანის მიერ გაშენებული, კულტივირებული მცენარე, მაგ., სუბტროპიკული კულტურები, მარცვლოვანი კულტურები და ა. შ. 3. ლაბორატორიულ პირობებში რაიმე საკვებ არეზე მოშენებული მიკროორგანიზმები.

კულტურული ლანდშაფტი — ოაზისების, პლანტაციების, მინდვრების, სათიბი მდელოების, გაკულტურებული სათიბების, ბაღების, პარკებისა და ტყე-პარკების ლანდშაფტი.

კულტურული მცენარე — ადამიანის მიერ წინასწარ დამუშავებულ ნიადაგზე გაშენებული მცენარე.

კულტურული მცენარეულობა — კულტურული ლანდშაფტების მცენარეულობა; უმთავრესად შედგება აგროცენოზებისაგან.

კულტურფიტოცენოზი — იხ. აგროცენოზი.

კულტურფიტოცენოლოგია — იხ. აგროცენოლოგია.

კუმარინი — ორგანული ნაერთი, რომელსაც შეიცავს ბერი მცენარე (მაგ., ყვითულთაეთაეა); იყენებენ საპარფიუმერო, საკონდიტრო და სხვა წარმოებებში, როგორც სურნელოვან ნივთიერებას.

კუმულაცია—სამკურნალო ან შხამიან ნივთიერებათა დაგროვება ორგანიზმში მათი განმეორებითი, ხანგრძლივი ხმარების გამო; ასეთი დაგროვების შედეგად ადგილი აქვს ამ ნივთიერების მოქმედების მკვეთრ ზაძლიერებას.

კუნთოვანი კუჭი — ფრინველების და ზოგერთი სხვა ცხოველის კუჭის უკანა, სქელკედლიანი განყოფილება, სადაც ხდება საკმლის მექანიკური დაქუცმაცება.

კუნთოვანი ქსოვილი — ქსოვილთა ჯგუფი, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ადამიანისა და ცხოველის მოძრაობა.

კუპერის ჭირკვლები — იხ. ბულბოურეთრალური ჭირკვლები.

კუპულა — 1. ფილა, ბუდე; თანაყვავილების ერთმანეთთან შეზრდის შედეგად წარმოქმნილი საბურველი, რომლითაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარულია მუხის, წაბლის და სხვა მცენარეთა ნაყოფი. 2. ფილისებრ გაფართოებული ყვავილსაქდომი, რომელიც მონაწილეობს ნასკვის წარმოქმნაში.

კურკა, კურკიანა — მცენარის ნაყოფის ტიპი; წყნიანი ნაყოფის ერთ-ერთი ტიპი, რომლის ნაყოფსაფარის შედგება სამი შრისაგან: გარეთა სიფრიფანა შრე — ეგზოკარპიუმში, შუა — მესოკარპიუმში და შიგნითა — ენდოკარპიუმში; ზეეულებრივ ერთბუდლიანია და ერთთესლიანი, მაგრამ არის გამონაკლისებიც. კურკიანა ნაყოფი აქვს ბალს, ალუბალს, ატამს, კერამს და სხვა.

კურკიანი მცენარეები — კურკიანა ნაყოფის მქონე ხეხილიანი მცენარეები (ბალი, ატამი, ქლიაფი, ალუბალი, კერამი და სხვ.).

კურკიან მცენარეები — იხ. კურკიანი მცენარეები.

კურტინი — 1. კვალი ყვავილების ან სხვა მცენარეებისათვის. 2. ნაყეთი, სადაც დარგულია მცენარის ერთი რომელიმე სახეობის (სახესხვაობის ან ფორმის) ეგზემპლარები.

კუტიკულა — 1. ეპითელიუმის უჯრედების მიერ გამოყოფილი ნივთიერებებისაგან შექმნილი მკერძი წარმონაქმნი, რომლითაც დაფარულია ქიების დარგი სხვა ცხოველების სხეული. 2. კანზედა; გაშვირვალე აკი, რომლითაც დაფარულია მცენარის ფოთლებისა და ნორჩი ყლორტების კანი (წყდება მხოლოდ ბავებთან). უმთავრესად შედგება კუტინისაგან; ზოგიერთ მცენარეში შეიცავს ცვილს. იცავს მცენარეს გამოშრობისაგან და ზაქტერიებისა და სოკოთი დააჯადებისაგან. წყალქვეშ მყოფ მცენარეთა უმრავლესობას კუტიკულა არ გააჩნია.

კუტინი — მცენარეული წარმოშობის ცხიმოვან ნივთიერებათა ნარევი, რომლითაც თხელი, ცულისებრი აკის სახით დაფარულია ფოთლის ან ნორჩი ლეროს ზედაპირი და იცავს გამომშრობისაგან.

კუტინიზაცია — 1. კუტინის დაგროვება კანის (ეპიდერმისის) უჯრედების გარსის ზედაპირზე ან მათ ცელულოზურ შრეებში, 2. ეპიდერმისისა და უჯრედების გარსის გაუღენთა კუტინით.

კუტინი — იხ. ღერძა.

კუპი — საკმლის მომწივებელი მილის მნიშვნელოვნად გაფართოებული ნაწილი; ზოგიერთი ცხოველის კუჭში ხდება საკმლის დაგროვება, ზოგის კუჭში კი საკმლის მონელების ძირითადი პროცესები.

კუპის ხავალი გზა — კუჭის სიგრძივი

ნაოკები, რომლებიც მდებარეობს კუპის მთიან სიბრტლეს გასწვრივ საელაბაზე მილიდან კუპის ბოლომდე.
კუპის ხარქველი — კუპის შევიწროებული ნაწილი, რომელიც გადადის თორმეტგოჯა ნაწლავში.
კუპის ხარქველის წვენი — საკმლის მომწვანებელი წვენი, რომელსაც გამოყოფს კუპის ხარქველის ჭირკვლები.

კუპის წვენი — პეპსინისა და მარილმჟავას ნარევი, რომელიც გამოიყოფა კუპის კედლებში მდებარე ჭირკვლებიდან. მისი მოქმედებით ხდება ცილების დაშლა.
კუპ-ნაწლავის ტრაქტი — იხ. საკმლის მომწვანებელი ტრაქტი.
კუპქვეთა ჭირკვალი — იხ. პანკრეასი.

ლ

ლამბიალური მზარე კბილი — კბილის გვირგვინის ის მზარე, რომელიც ტუხებისკენაა მიმართულია.
ლამბილური — არამტკიცე; მერყევი, არამდგრადი; მოძრავი.
ლამბილური ცენოზონტები — თავისუფლად მოძრავი ორგანიზმები ბიოცენოზში (პლანქტონური წყალმცენარეები, უმარტივესები და სხვა უხერხემლო და ხერხემლიანი ცხოველები).
ლამბილურობა — 1. აგზნების პროცესის მიმდინარეობის სიჩქარის სიდიდე. 2. ორგანიზმის მერყეობა (არამდგრადობა) გარემო პირობების ცვლილებებისას. 3. აგზნებადი ქსოვილის ფუნქციონალური მოძრაობა.
ლამბირითი — ხერხემლიანი ცხოველების შიგნითა ყური. არჩევენ ძვლოვან და აპოსტერ ლამბირითს, ძვლოვანი ლამბირითი მოიცავს: ლოკონას, კარბოქეს და სამ ნახევარკალოვან არხს.
ლამოვანი დისკო — მალეპერის ბოკოვან-ბრტილოვანი დისკოს ცენტრალური ნაწილი, რომელიც ქორდის ნაშთს წარმოადგენს.
ლავიწი — ხმელეთის ხერხემლიანი ცხოველების წინა, ანუ მხრის სარტყლის ჩონჩხის წველი ძვლი.
ლავუხი — საღებავი ნივთიერება, რომელსაც იღებენ ზოგი სახეობის წყალმცენარისა და მღიერისაგან. ლავუხის წყალხსნარს და ამ ნივთიერებით გაჯენილ საშრობ ქაღალდს (რომელსაც

ლავუხის ქაღალდს უწოდებენ) იყენებენ როგორც ინდიკატორს: მას შეევა აწითლებს, ტუტე კი — აღურჩებს.
ლავუნა — ქსოვილებს ან ორგანოებს შორის არსებული ღრმული, ფოსო, რომელიც ჩვეულებრივ ამოვსებულია ლიმფით ან ჰემოლიმფით (უხერხემლო ცხოველებში, რომელთაც არ გააჩნიათ სისხლის მიმოქცევის დახურული სისტემა).
ლავუნადური სისტემა — ზოგიერთი წურბელის (სამედიცინო წურბელა) სისხლის მიმოქცევის ფუნქციის შემსრულებელი სისტემა, რომელიც ცელომური ნაშთების სახითაა.
ლამარკიზმი — ცოცხალი ბუნების განვითარების ევოლუციური თეორია, რომელიც წამოაყენა ფრანგმა ბუნებისმეტყველმა ე. ბ. ლამარკმა: ამ თეორიის თანახმად ყველა ცოცხალ არსებას ახასიათებს შინაგანი მისწრაფება გართულებისაკენ. — გრადაციისაკენ, რაც ევოლუციის საერთო მიმართულებას წარმოადგენს. ორგანიზმთა გართულება მიმდინარეობს ერთი მხრივ ორგანიზმში „შემოქმედის“ მიერ ჩანერგილი შინაგანი მიზნების და მეორეს მხრივ ორგანიზმზე გარემო პირობების მოქმედების შედეგად.
ლამარკის თეორია — იხ. ლამარკიზმი.
ლამელუმი — მწერების (მაგ., ოთახის ბუზის) მლოკავი პირის ორგანოს ქვე-

და ტუჩის ბოლოზე არსებული დისკოს შემადგენელი ნაწილი; არჩევენ მარჯვენა და მარცხენა ლაშელუმს, რომლებზედაც კბილაკების ოთხი კონცენტრული რიგია მოთავსებული.

ლაშინალური პლაცენტაცია — თესლეორტების განლაგება ნაყოფფოთლების ფორტიტების შიგნითა თავისუფალ ზედაპირზე.

ლაშინარისი — წყალში ხსნადი სამარაგო რთული ნახშირწყალი, რომელსაც შეიცავს წაბლაწყალმცენარეები.

ლანგერმანისი კუნძულები — კუჭკვეშა ქირკელის ქსოვილებში მდებარე უჯრედების ჯგუფი, რომლებიც გამოყოფენ პორმონ ისტულინს.

ლანდები — მარადმწვანე ბუჩქნარებისაგან (განსაკუთრებით ერიკსაგან) შექმნილი ფორმაცია (ხშირად მეორადი), რომელიც დასავლეთ ევროპის ტენიან ოლქებშია გავრცელებული.

ლანდშაფტი — 1. რაიმე ადგილის (სოფლის, მიწდერის, ტყის და სხვ.) საერთო ხედი; ასეთი ადგილის ამსახველი ნახატი, სურათი — პეიზაჟი. 2. ისტორიულად ჩამოყალიბებული დედაპირის ზედაპირის გარკვეული ნაწილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების (რელიეფი, ჰავა, ნიადაგი და სხვ.), მცენარეულობის, ცხოველებისა და სხვათა კანონზომიერი შეხამება, რითაც განსხვავდება სხვა ნაწილებსაგან.

ლანოლინი — ცხიმოვანი ნივთიერება, რომელსაც შეიცავს ცხერის მატყლი, იყენებენ მედიცინაში, კოსმეტიკაში (მაღაძრების დასამზადებლად), საპნის წარმოებაში და სხვ.

ლანუგო — ძუძუმწოვართა ჩანასახის ემბრიონული ბეჭვის საფარი.

ლანჩა — პიდრას სხეულის ის მხარე (ბოლო), რომლითაც სუბსტრატზეა მიმაგრებული.

ლაპი — ზოგიერთი ფრინველის — ხობის, კაკბის ახალგაშობილი.

ლარვა — ცხოველთა განვითარების ახალ-

მორფინი — ოპიუმის ძირითადი ალკალოიდი, რომელსაც ხმარობენ ნარკოტიკულ (ტკივილების გამაყუჩებელ და ძილის მომგვრელ) საშუალებად.

მორფინიზმი — ავადმყოფური მიდრეკილება მორფინის, როგორც ნარკოტიკისადმი.

მორფოგენეზი — ორგანიზმთა მორფოლოგიური სტრუქტურის (გარკვეული ორგანოს ან სხეულის ნაწილის) წარმოქმნისა და განვითარების პროცესი ონტოგენეზსა და ფილოგენეზში.

მორფოგენეზისი — ფორმათა წარმოქმნა; ორგანული სტრუქტურების განვითარების პროცესი.

მორფოზი — განვითარებული ორგანიზმის ცვლილებანი, რომელიც გაპირობებულია სხვადასხვა ქიმიური ნივთიერების ანდა მათგანზედელი გამოსხივების ზემოქმედებით.

მორფოლოგია — მეცნიერება ორგანიზმების და ორგანოების აგებულების შესახებ.

მორფოლოგია მცენარეებისა — იხ. მცენარეთა მორფოლოგია.

მორფოლოგია ცხოველებისა — იხ. ცხოველთა მორფოლოგია.

მორფოგენი — ჩონჩხოვანი ბოქვები ზოგერთი ერთუჯრედიანი ცხოველის პროტოპლანზაში.

მოსავლიანობა — სასარგებლო პროდუქციის რაოდენობა ფოტოცენოზის ან აგროცენოზის გარკვეული ფართობიდან.

მოსახლეობის ხემქიდროვე — ორგანიზმთა რაოდენობა ფართობის ან მოცულობის (პლანქტონური ფორმებისათვის) ერთეულზე.

მოსვენება მცენარეებში — იხ. სვენება მცენარეებში.

მოტონეგრონი — ნევრონი, რომლის ნერვული ბოქვებით (აქსონებით) ჩონჩხის კუნთებს გადაეკემა იმპულსები.

მოფრენილი, შემოფრენილი ფრინველები — ფრინველები, რომლებიც იმყოფებიან რომელიმე ადგილზე მხოლოდ გადაფრენისას, როდესაც იქინი საზღვხულო საცხოვრებლიდან მოფრინავენ საზამთრო ადგილისაკენ და პირაქით.

მოწინაურება — გარეული ცხოველების მოჩვევა და მათი შემდგომი მოშენება რაიმე გარკვეული მიზნით; დომესტიკაცია.

მოჩვენებითი კვება — სპეციალურად ოპერირებული ცხოველის კვება, როდესაც გადაუღაპული საკვები ცვივა გარეთ საყლაპავი მილის ფისტულიდან.

მოციმციმე უჯრედები — ეპითელური უჯრედები, რომლებსაც წამწამები გააჩნია.

მოციმციმე წამწამები — წამწამების მკერივი კონა, რომელიც განლაგებულია ე. წ. ტერმინალურ უჯრედებში, რომლებითაც იწყება პროტონეფრდიები — ბრტყელი კიების გამოძყოფი სისტემა.

მოძრაობა მცენარისა — მცენარის ორგანოების მდგომარეობის შეცვლა სივრცეში, რაც გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით; ოსმოსური წნევის შეცვლით (სეისმონასტური მოძრაობა), სხვადასხვა ორგანოთა ნაწილების ზრდის სხვაობით (ნასტიები, ტროპიზმები), ან მთელი ორგანიზმის მდგომარეობის შეცვლით სივრცეში (ტაქსისები). მოძრაობა შეიძლება გამოწვეული იყოს გარეგანი გამოზიანებლების (სინათლე, ტემპერატურა, დამიწის მიზიდულობა, ქიმიური აგენტები) მოქმედების შედეგად.

მოძრაობის კოორდინაცია — სწორი, მოწესრიგებული (ორგანოთა შორის შეთანხმებული) მოძრაობა, როგორც სიძლიერის ასევე მიმართულების მხრივ.

მოხრი — იხ. ხალები.

მოხრილი თესლკვირტი — იხ. კამპილოტროპული თესლკვირტი.

მრავალხაზისი გაყოფა — მარტივი გაყოფის მოდიფიკაცია უსქესო გამრავლების დროს, როდესაც მშობლის უჯრედი იყოფა არა ორ, არამედ რამდენამე უჯრედად.

მრავალხაზლიანი მცენარეები — მცენარეები, რომელთაც ორსქესიან ყვავი-

ლებთან ერთად გააჩნია აგრეთვე ერთსქესიანი ყუავილებიც. (ნეკერჩხალო, ვერხვი და სხვა). იგივეა რაც პოლიგამური მცენარეები.

მრავალუკრადიანი ორგანიზმები — ორგანიზმები, რომლებიც აგებულია მრავალი უჯრედისაგან.

მრავალწლოვანი მცენარეები, — მცენარეები, რომლებიც ცოცხლობენ ორ საკვებტატიო პერიოდზე (ორ წელზე) მეტხანს.

მრავლობითი აღედები — სამი ან მეტი ალტერნატიური მდგომარეობა ერთი ლოკუსისა, რომელიც განაპირობებს სხვადასხვა ფენოტიპს.

მრავლობითი ქროზოსომა — ქროზოსომა. რომელიც წარმოქმნილია ტრანსლოკაციის შედეგად და შედგება არაქოლოგიური ქროზოსომების ნაწილებისაგან.

მრავალი ხარკმელი — აქით გადაკრული ხერხეილი (ნასერუტი) ქვეწარმავლების სუნისი კაფსულაში.

მრავალი კიები — კიების ტიპი, რომელშიც გავრთიანებულია როგორც თავისუფლად მცხოვრები, ისე პარაზიტი კიები; მეტწილად ცალსქესიანი, პირველადლრუიანი სხეულის მქონე ორგანიზმებია, რომელთაც არა აქვთ სენთქისა და სისხლის მიმოქცევის სისტემა.

მსუსხავი კაფსული — მსუსხავი უჯრედის ნაწილი, რომელშიც მოთავსებულია სპირალურად დახვეული მსუსხავი ძაფი.

მსუსხავი უჯრედები — უჯრედები, რომლებიც მოთავსებულია ნაწლავდრეიანი ცხოველების გარეთა — ექტოდერმულ შრეში. შედგება ბირთვის, კნიდოცილისა და მსუსხავი კაფსულისაგან. ასრულებენ თავდაცვისა და თავდაცხმის ფუნქციას.

მსუსხავი ძაფი — მსუსხავი უჯრედის კაფსულში სპირალურად დახვეული ძაფი, რომელიც უჯრედის შეკუმშვისას (გალიზიანების შედეგად) გარეთ გამოსროლილი ადამბლავებს მსხვერპლს.

მსხვილი ნაწლავი — ექვ-ნაწლავის უკანა, წერილი ნაწლავის შემდგომი, განყოფილება.

მსხვილი რქოსანი საქონელი — შინაური წყვილწლიქოსანი ცხოველები: ძროხა, ხარი, კამეჩი.

მტაცებლობა — ცოცხალ ორგანიზმთა შორის ურთიერთობა, რომლის დროსაც ერთი სახეობა ზიანს აყენებს მეორეს და მის გარეშე არ შეუძლია არსებობა; ამ დროს პირველი სახეობის (მტაცებლის) წარმომადგენლები იჭერენ და ჭაპენ მეორე სახეობის წარმომადგენლებს.

მტევანი — 1. მარტივი ბოტრიული ყუავილედის ერთ-ერთი სახე, როდესაც ყუავილედის დაგრძელებულ მთავარ ღეროზე ცალკეული ყუნწიანი ყუავილებია განლაგებული (ხანჯკოლი, სელოქა, შოთხვი, შროშანა და სხვ.). 2. ხელუეთის ხერხემლიანთა წინა კიდურის ჩონჩხის ბოლო განყოფილება, რომელიც შედგება მაჩის, ნებისა და თითების ფალანგებისაგან.

მტვერი ყუავილიხა — თესლიანი მცენარეების (შიშველთესლიანები და ფარულთესლიანები) მიკროსპორები; წარმოიქმნება სამტრეე პარკში.

მტვერხავალი — იხ. მტერას საეალი.

მტერაიანა — ფარულთესლიანი მცენარეების ყუავილის ნაწილი, რომელშიც ეითარდება მამრობითი სასქესო უჯრედები; მიკროსპოროფილი.

მტერაიანანი ყუავილი — იხ. მამრობითი ყუავილი.

მტერაიანის ძაფი — მტერაიანის ქვედა წერილი ძაფისებრი ნაწილი.

მტერაის მარცვალი — თესლიანი (შიშველთესლიანი და ფარულთესლიანი) მცენარეების მიკროსპორა, რომელიც წარმოიქმნება სამტრეე პარკში არქესპორიუმის უჯრედების რედუქტიული და კარიოკინეზული დაყოფით.

მტერაის მილი — მტერის მარცვლის შიგნითა გარსის — ინტინის გამონაზარდი, რომელიც წარმოიქმნება მისი დინგზე

მოხედრისთანავე და სვეტში არსებული მილის გზით იზრდება.

მტერის ხავალი — მტენარის თესლკვირტში არსებულ ნასურტი (იხ. შიკრაბილუ 1.)

მტენარი წყლის თევზები — თევზების ერთ-ერთი ბიოლოგიური ჯგუფი; ცხოვრობენ მდინარეებსა და მტენარ წყალსატევებში.

მუღვივი მიბრიდი — იხ. კონსტანტური მიბრიდი.

მულატი — ზანგისა და თეთრკანიანის შეულღების შედეგად შობილი ადამიანი.

მულტივალენტი — ორზე მეტი ქრომოსომისაგან შემდგარი ქრომოსომა გერთიანება მეიოზში. მულტივალენტის წარმოქმნაში მონაწილე ქრომოსომები შეიძლება იყოს სრულიად ჰომოლოგიური, ნაწილობრივ ჰომოლოგიური და არაჰომოლოგიური.

მულტიფუნქციონირება — ორგანოს მიერ რამდენიმე ფუნქციის შესრულება.

მულჩირება — ნიადაგის ზედაპირის დაფარვა სხვადასხვა მასალით (ჩალით, ფოთლებით, ფიხით, ქაღალდით და ა. შ.), რათა შეუნარჩუნონ ტენი და სტრუქტურა და დაიცვან საჩვევლები-საგან: დამულჩვა.

მუშია — გახრწნისაგან დაბალხავებით (ან ბუნებრივად) დატული ადამიანის გვამი (ან ცხოველის ლეში).

მუშიო — მტენარეული წარმოშობის სამკურნალო ფისი.

მუშიფიკაცია — მუშიად ქცევა.

მუშიფიცილება — იხ. მუშიფიკაცია.

მუნი — იხ. ქეცი.

მური — 1. სურნელოვანი ფისი. რომელსაც შეიცავს ზოგიერთი ტრაპიკული ხემცენარის კანი; გამოიყენება პარფიუმერიასა და მედიცინაში. 2. მწერების განვითარების ადრეული სტადია.

მურკი — კომბოსტოს ლეროს გამსხვილებული, დამოკლებული ნაწილი ძირიდან ფოთლამდე; ხეიტი.

მუსკულატურა — ორგანიზმის კუნთების ერთობლიობა.

მუხტანგი — გაველურებული შინაური ცხენი; გაერცელებული იყო ჩრდილოეთ ამერიკის პრერიებში.

მუტაგენები — ფაქტორები, რომლებიც თავისი ზემოქმედებით იწვევენ გენურ და ქრომოსომულ მუტაციებს (მემკვიდრულ ცვლილებებს) ცოცხალ ორგანიზმში.

მუტაგენიზი — მუტაციის წარმოშობის პროცესი.

მუტანტი — მუტაციის შედეგად წარმოქმნილი ორგანიზმი; ინდივიდი, რომელიც საწყისი ტიპიდან გასხვავდება გენის შეცვლის ან ქრომოსომების სტრუქტურული ცვლილებების შედეგად წარმოშობილი ახალი ნიშნებით.

მუტაქრომოსომული ფაქტორი — გარეგანი ფაქტორი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ქრომოსომა სტრუქტურული ცვლილება.

მუტაცია, მუტაციები — 1. ორგანიზმის რაიმე ნიშანთვისების მკვეთრი, უცარი ევალუალობა, რაც მემკვიდრეობით გადაეცემა თაობებს; გაპირობებულია გენოტიპის ცვლილებით. 2. წყვეტილი ცვლილებანი ქრომოსომებში, რომელიც გადაეცემა შთამონავლობას და გარკვეულად მოქმედებს ნიშნებზე. მუტაციები წარმოიქმნება როგორც სპონტანურად, ისე მუტაგენური აგენტების მოქმედებით. ანსხვავებენ შემდეგი სახის მუტაციებს: გენური, ე. ი. მემკვიდრული ცვლილებანი, რომლებსაც თან სდევს ახალი ალელების წარმოქმნა და დაკავშირებული არ არის ქრომოსომების ჯარდამქმნასთან, რომლის დასაბუთება შესაძლებელია ციტოლოგიურად; ქრომოსომული, ე. ი. ქრომოსომა სტრუქტურის ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია მათი გახლეჩის შედეგად; გენომური, ე. ი. მთლიანი ქრომოსომების რიცხვის ან ქრომოსომა ანაწყობის შეცვლა; პლაზმონური, ე. ი. პლაზმური მემკვიდრული კომპონენტების შეცვლა; პლასტიდ-

ურთ, ე. ი. პლასტიდების მემკვიდრული ცელილებები. 3. ყმაწვილის ხმის შეცვლა (დაბობება) ასაკში შესვლის გამო.

მეტაცია პროგრესული—მეტაცია, რომელიც აპრობებს სრულად ახალი თვისების შექმნას.

მეტაციური თეორია — იდეალისტური თეორია ორგანიზმში მემკვიდრეობითი ნიშნების უცარი წარმოქმნის შესახებ. ამ თეორიის თანახმად ორგანიზმში ახალი მემკვიდრული ნიშანთვისებების წარმოქმნა ხდება უეტრად, ნაბტომისებურად — მუტაციების შედეგად და დამოკიდებული არ არის გარეშე პირობებზე (წამოაყენა დეფტრისმა, 1901).

მუტონი — გენის უმცირესი ელემენტი, რომლის ცვლილებას მოსდევს ორგანიზმის ახალი მუტანტური ფორმების წარმოქმნა.

მუტუალიზმი—ნამდვილი სიმბიოზი; სხვადასხვა ორგანიზმის მკვიდრო თანაცხოვრება, რომელთაც ერთმანეთისათვის ყოველთვის მოაქვთ სარგებლობა (მაგ., სოკოს და წყალმცენარის სიმბიოზი მღერებში).

მუშკი — ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ძლიერ სუნაანი, რთული შედგენილობის ნივთიერება. შეიცავს ცილებს, მარილებს. აგრეთვე ქოლესტერინის ჯგუფის ნივთიერებებს. ცხოველური მუშკი წარმოადგენს ზოგიერთი ცხოველის სპეციალური ჯირკვლების გამონაყოფს და უმთავრესად ემსახურება სხვა სქესის ცხოველის მიზიდვას. იყენებენ პარფიუმერიაში, როგორც ფიქსატორს.

მუშკის ჯირკვლები — ზოგიერთი ცხოველის (ნიადაგი, ხარვერძი და სხვ.) კანის ჯირკვლები, რომლებიც გამოყოფენ მძაფრა სუნის ნივთიერებას — მუშკს, რაც უმთავრესად მღერების მიზიდვას ემსახურება.

მუციანი — გლუკოპროტეიდულა ბუნებას ნივთიერება, რომელსაც გამო-

ყოფს ცხოველური ორგანიზმის ლორწოვანი ჯირკვლები.

მუცლის აკა—თხელი ეპითელური აკა, რომლითაც ამოფენილა მუცლის ღრუს შიგნითა ზედაპირი და მასში მოთავსებული ორგანოები.

მუცლის მილის უჩრედი — კვერცხუჭრედის ზემოთ მდებარე უჩრედა არქეგონიუშში.

მუცლის ნერვული ძეწკვი — მთელი სხეულის განწკვივ მდებარე მუცლის ორი ნერვული ღერო, რომელშიც განლაგებულია, ერთმანეთთან განივი კომისურებით შეერთებული, ნერვული კვანძები. დამახასიათებელია რგოლოვანი კიების, ფესხახსრიანებისა და სხვა უხერხემლო ცხოველისათვის.

მუცლის პარაიტარული ფურცელი — თხელი ვარსი, რომლითაც ამოფენილა მუცლის ღრუს კედლები.

მუცლის პრეხი — მუცლისა და დიაფრაგმის კუნთების ჯგუფი, რომლის მთავარი ფუნქციაა გარკვეული წნევის შენარჩუნება მუცლის ღრუს შიგნით.

მუცლის ღრუს ხართულეები — მუცლის ღრუს დაყოფა სამ განყოფილებაზე: ზედა სართული — დიაფრაგმისა და გარდიგარდმო კოლინჯის ჯორჯალს ზორის, შუა—ქვემოთ, მცირე მენჯში შესელამდე, და ქვედა — მცირე მენჯის ღრუ.

მუცლის ყელის უჩრედი — იხ. მუცლის მილის უჩრედი.

მუცლის წნული — იხ. მზის წნული.

მუხლთშორისი—მცენარის მუხლებს (ღეროს ნაწილი, სადაც ფოთოლი და კვირტია მიმაგრებული შორის მდებარე ღეროს ნაწილი.

მუხლი ღეროხი — ღეროს ის ნაწილი, რომელზედაც ფოთოლი და კვირტა მოთავსებულია.

მუხლუხი — ქერცლფრთიანი მწერების (პეპლები) კიისებრი მატლის სტადია.

მფარავი ბუმბული — ფრინველების კონტურული ბუმბული, რომლითაც დაფარულია ფრთის სიმბტყე.

მფარავი ფოთოლი — მცენარის ფოთოლი, რომლის უბეში კვირტია მოთავსებული. ხშირად მფარავი ფოთლის უბიდან ყვავილი ან ყვავილედი გამოდის, მაშინ მას თანაყვავილს უწოდებენ.

მფარავი ქსოვილები მცენარისა — ქსოვილები, რომლითაც დაფარულია მცენარის ორგანოები გარედან (კანი, გარსი).

მფარველობითი ფორმა — ცხოველის სხეულის ფორმა, რომელიც ჰგავს ირგვლივ მყოფ საგნების ფორმას, რითაც ცხოველი ნაკლებ შესამჩნევია მტრისათვის ან მსხვერპლის დაჭერის დროს. ხშირად მფარველობით ფორმასთან ერთად ცხოველს აქვს მფარველობითი შეფერვა.

მფარველობითი შეფერვა — უმეტეს ცხოველთა სხეულის შეგუებითი ხასიათის გარეგანი საფარველს შეფერვა, რომელიც გამომუშავებულია ევოლუციის პროცესში ბუნებრივი გადარჩევის ზემოქმედებით.

მფეთქავი ვაკუოლი — ზოგიერთი ერთფარედანი ორგანიზმის სხეულში არსებულს ვაკუოლი, რომელიც პერიოდულად ივსება სითხით და რიტმულად პულსირებს, ფეთქავს. მფეთქავი ვაკუოლი, ოსმორეგულიაციასთან ერთად, ასრულებს სუნოქეისა და უვარგისი ნივთიერებების გამომყოფი ორგანულის ფუნქციას;

მღერი — იხ. მღერიები.

მღვიმიანი სხეულები — ძუძუმწოვარ ცხოველთა მამრობითი ორგანიზმის საკოპულაციო ორგანოს შიგნითა ღრუები, რომელთაც აქვთ სისხლითი გავსების უნარი, რაც იწვევს ორგანოს მოცულობის გაზრდას.

მღვიმის ფაუნა — მღვიმეში მცხოვრებ ცხოველთა ერთობლიობა.

მღიერები — უმდაბლესი მცენარეების თავისებური ჩჯუფი, რომელიც წარმოქმნილია ორი, ურთიერთისაგან განსხვავებული ორგანიზმის (სოკოსა და

წყალმცენარის) თანაცხოვრებით და თვისობრივად განსხვავებულია როგორც ერთის, ისე მეორისაგან.

მუცხი — შემეარებელ ქსოვილოვანი კიემები, ფრთიტიები ან ზონრები, რომლითაც ეუნთები მიმაგრებულია ძელზე.

მუვირალობა — ცხოველთა ქცევა ქორწინების პერიოდში.

მუნობა — მცენარის ნაწილის გადანერგვა მეორე მცენარეზე იმგვარად, რომ მოხდეს მათი შეზრდა. მეტწილად მიმართავენ კალმით მუნობას და კვირტით მუნობას (ოკულირება).

მშობიარობა — დედის სხეულიდან ნაყოფის გამოსვლის ფიზიოლოგიური პროცესი.

მშრალი ნაყოფი — მცენარეთა ნაყოფი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მშრალი გახვეებული ან ტყავისებური ნაყოფსაფარი; არჩევენ თვითხსნად და თვითუხსნელ მშრალ ნაყოფს.

მჩხვლელტ-ხაწუნნი პირის ორგანო — მწერების პირის ორგანოს ერთ-ერთი ტიპი. ამ ტიპის პირის ორგანო გრძელი ხორთულის სახითაა წარმოდგენილი; შედგება ზედა და ქვედა ტუჩისა და ყბებისაგან და ჰიპოდარმისისაგან. დამახასიათებელია კოლოსათვის.

მცენარე ინდიკატორი — იხ. ინდიკატორი ორგანიზმები.

მცენარეთა ამოლობა (მონოსტა) — მცენარის დაღუპვის ერთ-ერთი მიზეზი; უმთავრესად ადგილი აქვს ვახაფხულზე, როდესაც ნიადაგის ხედაპირზე გროვდება მდნარი თოვლის ან წვიმას წყალი, რომელიც ვერ ჩადის მოყინულ ნიადაგში და ტბორდება. ამ დროს მცენარე განიცდის ტანგბადის ნაკლებობას და იღუპება.

მცენარეთა ამოჩრა — მცენარის (საშემოდგომო ნათესის) დაღუპვის ერთ-ერთი მიზეზი; ხდება იმ შემთხვევაში თუ გამდნარი თოვლის წყალი მოასწრებს ნიადაგში ჩასვლას და გაიყინება ნიადაგის გარკვეულ სიღრმეში, მისი გა-

ულობელი ფენების საზღვარზე. ამ დროს წარმოიქმნება ქრულის შუაშრინი, რომელიც თანდათანობით მატულობს სისქეში, რაც იწვევს ნიადაგის ზედა ფენების ზეეთივე წამოწევის მათში მუდგ მცენარეებთან ერთად, რასაც თან სდევს მცენარეთა „ამოჩრა“ ზეეთი. ამ დროს მცენარის ფესვები, რომლებიც შემოდგომაზე მნიშვნელოვან სიღრმეზე ჩაიზარდნენ ნიადაგში, წყდება; ვახუფულზე, როდესაც უინჯლის შუაშრინი გალღება და მის მიერ ამოწეული ნიადაგი დაქდება, ფესვებწაწყვეტალი მცენარე ნიადაგის ზედაპირზე რჩება და აღვირად იღუპება.

მცენარეთა ამოხუთვა — მცენარის დაღუპვის ერთ-ერთი მიზეზი; ადგილი აქვს თბილ ზამთარში ღრმა თოვლის საფარის არსებობის პირობებში, განსაკუთრებით მაშინ თუ თოვლი სველ მიწაზეა მოსული. იმყოფება რა 0°-ის ტემპერატურისა (ამ დროს კი სუნთქვა საკმოდ ინტენსიურად მშობინარეობს) და სრული სიბნელის პირობებში (რაც გამორაბხავს ფოტოსინთეზის შესაძლებლობას) მცენარე თანდათანობით ხარჭავს საკვებ ნივთიერებათ: მთელ მარაგს და შიშშილისაგან იღუპება.

მცენარეთა ანატომია — ბოტანიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის მცენარეთა შინაგან მიკროსკოპიულ აგებულებას.

მცენარეთა აღწერილობითი ანატომია — მცენარეთა ანატომიის დარგი, რომელიც შეისწავლის მცენარის შინაგან აგებულებას უმთავრესად უკვე სტრუქტურულად ლიფერენცირებულ მცენარის ნაწილებში. აღწერილობითი ანატომიის ძირითადად სადავგოზო მიზნებასათვის იყენებენ და ვარკვეული მნიშვნელობა აქვს მცენარეთა სისტემატიკაში.

მცენარეთა განლაგება — სახეობის ინდივიდთა განაწილების ესა თუ ის ხასი-

ათი თანახმაზოგადობაში. დამოკიდებულია სახეობის ბიოლოგიურ თვისებებზე, კერძოდ გამრავლების უნარსა და სპეულემაზე და ფიტოცენოზურ პირობებზე. ანსხვავებენ მცენარეთა განლაგების რამდენიმე ტიპს.

მცენარეთა გეოგრაფია — იხ. ფიტოგეოგრაფია.

მცენარეთა დაცვა — ღონისძიებათა სისტემა, რომელიც იცავს მცენარეებს მკენებლებისა და მათგან გამოწეული დაეადებებისაგან.

მცენარეთა ეკოლოგია — ბოტანიკის დარგი, რომელიც სწავლობს მცენარისა და გარემო პირობებს შორის ურთოერთ-დამოუკიდებლობას.

მცენარეთა ცოლოგიური ანატომია — მცენარეთა ანატომიის დარგი, რომელიც სწავლობს მცენარის შინაგან აგებულებაში მომხდარ ცვლილებებს სხვადასხვა გარემო პირობებში მოხვედრისას.

მცენარეთა თანახმაზოგადობა — იხ. ფიტოცენოზი.

მცენარეთა მონოხტა — იხ. მცენარეთა ამოლობა.

მცენარეთა მორფოლოგია — მეცნიერება მცენარეთა ორგანოების აგებულებისა და განვითარების კანონზომიერებათა შესახებ ონტოგენეზსა და ფილოგენეზში.

მცენარეთა მოხვეწება — იხ. სეწეება მცენარეებში.

მცენარეთა მოყწეწა — მცენარის დაღუპვა (სიკედილი) დაბალი ტემპერატურის გავლენით; მცენარის ქსოვილებში ყინულის წარმოქმნა და უკრედების წყლით გაღარიბება.

მცენარეთა ხახიციოცხლო ფორმა — გარემოს ვანსაზღვრულ პირობებთან შეგუების შედეგად წარმოქმნილი მცენარის ვარკვეული ფორმა; კატეგორია მცენარულ ფორმათა კლასიფიკაციაში (იხ. ბიომორფა).

მცენარეთა ხიცხეგამძლეობა — მცენა-

რეთა შეგუება ატმოსფეროს მაღალ ტემპერატურასთან. იხ. სიცხემტანობა.

მცენარეთა ტოქსიკოლოგია — იხ. ფიტოტოქსიკოლოგია.

მცენარეთა ფენოლოგია — ბოტანიკის დარგი, რომელიც სწავლობს სეზონურ მოვლენებს მცენარის სიცოცხლეში; მის განვითარების ფაზებს და ამ მოვლენათა დამოკიდებულებას ბუნებრივ პირობებთან.

მცენარეთა ფიზიოლოგია — იხ. ფიზიოლოგია 1.

მცენარეთა ფორმაცია — იხ. მცენარეული ფორმაცია.

მცენარეთა ქიშების გადაშენება — მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ამა თუ იმ ქიშის გაზრდისა და მოყვანისათვის არახელსაყრელი პირობების დადგომის დროს, გამოიხატება მოსავლიანობის შემცირებით და მცენარის საერთო განუვითარებლობით.

მცენარეული დაჩუვება — ტერმინი, რომელიც იხმარება სულ სხვადასხვა მნიშვნელობით, დაწყებული ფიტოცენოზიდან, მცენარეთა შემთხვევითი დასახლებით.

მცენარეული თანასაზოგადოება — იხ. ფიტოცენოზი.

მცენარეული ფორმაცია — ერთ-ერთი ძირითადი ტაქსონომიური ერთეული ფიტოცენოზთა კლასიფიკაციაში. საბჭოთა ბოტანიკოსთა უმრავლესობის თვალსაზრისით ფორმაცია არის ისეთი ასოციაციების ერთობლიობა, რომლის მთავარი ფენა (ძირითადი იარუსები) ერთი და იგივე დომინანტით ან კონდომინანტითაა შექმნილი და გააჩნია ზოგიერთი სხვა მსგავსი თავისებურება. ფორმაცია შეიძლება იყოს მონოდომინანტური და კონდომინანტური. ფორმაციები თავის მხრივ ერთიანდება ფორმაციათა ჩუვუში ან კლასში.

მცენარეული ქიშერები — გენეზურად სხვადასხვა ქსოვილისაგან შემდგარი მცენარეები.

მცენარეულობა — დედამიწის სფეროს

ან მისი ნაწილის მცენარეული თანასაზოგადოებების ერთობლიობა. თვისი განაწილებით ექვემდებარება ზონალურობისა და სარტყლიანობა-კანონებს. ბიოეკოლოგიური თავისებურებების მიხედვით მცენარეულობა, ყოფენ რამდენიმე ტიპად: ჰილუა, სავანა, ველი, მდელო, ქაობი და სხვა.

მცენარეულობის ზონალობა, ზონები — მცენარეულობის ტიპების განედური განაწილება დედამიწის ზედაპირზე ცენტრად თუ პერად ერთგვაროვან ზონებად, რაც ძირითადად კლიმატზეა დამოკიდებული. სსრკ-ის ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ თანმიმდევრულად არჩევენ მცენარეულობის შემდეგ ზონებს: ტუნდრის, ტაიგის, ფოთლოვანი ტყის, ველთა და უდაბნოს.

მცენარეულობის იარუსები, იარუსიანობა — მცენარეული თანასაზოგადოების ვერტიკალური განშრეება სხვადასხვა სიმაღლის სტრუქტურულ ნაწილებად.

მცენარეულობის ხარტყელები — მთავ მცენარეულობის განლაგება ზონებად, რომლებიც კანონზომიერად იცვლებიან მთის ძირიდან წვერისაკენ. სარტყელის საზღვარი განისაზღვრება ეკოლოგიური პირობებით.

მცენარეულობის ტიპი — იხ. ტიპი მცენარეულობისა.

მცენარის არუქვა, აწვა — მცენარის ქსოვილების ადგილობრივი დაზიანება ზედმეტი გადაშებულების შედეგად.

მცენარის აწვა — იხ. მცენარის არუქვა.

მცენარის გამოწრთობა — მცენარის ზრდა-განვითარებისათვის ამა თუ იმ არახელსაყრელი კლიმატური ფაქტორისადმი გამძლეობის გადიდება (ყინვაგამძლეობის ან გვალვაგამძლეობის გადიდება).

მცენარის გამტარი ქსოვილები — ქსოვილები, რომელთა საშუალებითაც ხდება ნივთიერებათა მოძრაობა მცენარეში.

მცენარის ზრდის წერტილი — ერთი ან

რამდენიმე კენწრული უჯრედი, რომლის დაყოფის ხარჯზე იზრდება მცენარე.

მცენარის ლაქიანობა — მცენარის ავადმყოფობა, რაც გამოიხატება ფოთლებზე ლაქების გაჩენით ქსოვილების კვდომის შედეგად.

მცენარის მოძრაობა — იხ. მოძრაობა მცენარისა.

მცენარის პოლარობა — უჯრედის, ქსოვილისა და მთლიანად მცენარის მოპირისპირე ბოლოების მორფოლოგიურ-ფიზიოლოგიური თავისებურება.

მცენარის ხიშავე — მცენარეთა დაავადება, რომელიც გამოიხატება შავი ნაფიფის გაჩენით რომელიმე ორგანოზე: გამოწვეულია მცენარის კანის ზედაპირზე მცხოვრები სოკოებით.

მცენარის სტერილური კულტურები — მცენარის კულტურა მიკროორგანიზმებისაგან თავისუფალ არეში.

მცენარის ხუნთვა — ენჯვალდგენითი პროცესების კომპლექსი მცენარეში, რომლის დროსაც მცენარე მოიხმარს ენჯვალდს და გამოყოფს ნახშირორჟანგს.

მცენარის ტირილი — გადაკრილ ღეროდან სითხის (ხის წვენის) გამოსვლა (ვაზის ტირილი)

მცენარის ქერქი — ღეროს და ფესვის გარეთა ნაწილი, საფარი.

მცენარის ქერქლები — კანის უჯრედების ბრტყელი ფორმის გამონაზარდები.

მცენარის ჩონჩხი — იხ. ჩონჩხი მცენარისა.

მცენარის ჰიდრატურა — იხ. ჰიდრატურა მცენარის.

მცირე წრე ხისხლის მიმოქცევისა — იხ. სისხლისმიმოქცევის მცირე წრე.

მცოცავი მცენარეები — მცენარეები, რომელთა ღერო ადის (მიოცავს) ბეჭებზე, კედელზე ან კლდეზე და სხვადასხვაგვარი სამარჯვების (მისაიდი ფესვების, ულვაშების და სხვ.) დახმარებით ემაგრება სუბსტრატზე (იხ. ლიანები).

მცოხნელი ცხოველები — ბალახით მკვებავი, წველილიქიანი ცხოველების ჯგუფი, რომელთა კუჭი ჩვეულებრივ შედგება 4 განყოფილებისაგან: ფაშიე, ბაღურა, წიგნარა და მაქიე; ასეთი ცხოველებია: ძროხა, კამერი, აქლემი, ცხვარი, ირემი, თხა და სხვა. ისინი მოძოვილ ბალახს დაუღებავად ყლავავენ; როდესაც ფაშიე და ბაღურა გაივსება, იქიდან ნაწილ-ნაწილ ამობოყინებული დამბალი საკვები ბრუნდება უკან პირის ღრუში, სადაც ხდება მისი სრული დაღეკვა — ცოხნა. კარგად დაღეკილი და დამბალი საკვები კვლავ კუჭში გადადის, მხოლოდ ყარ წიგნარაში, შემდეგ კი მაქიეში.

მძინარე კვირტი — მერქნიან მცენარეთა ტოტებზე შერჩენილი განუვითარებელი გვერდითი კვირტები. ზოგჯერ, მათ ზემოთ მდებარე ტოტების გადაქრის, მოყინვის, ღეროს დაზიანების და სხვ. შედეგად, მძინარე კვირტიდან მრავალი ახალი ყლორტი ვითარდება.

მძოვარი, მძოველი ცხოველები — იხ. ბალახისმკვამელი ცხოველები.

მძუნაობა — ახურება; ზურაობა; მაქისმალური სქესობრივი ლტოლვის პროცესი ძუძუმწოვარ ცხოველებში (გარდა მაიმუნებისა და ადამიანებისა); ადგილი აქვს საკვერცხე ფოლიკულების მომწიფების პერიოდში.

მწერიკაშია მცენარეები — მცენარეები, რომლებიც უფრო უკეთესად ვითარდებიან ზორციიანი საკვების დამატებისას, რისთვისაც გააჩნაათ მწერებას დასაუკერი სხვადასხვა სამარჯვი. მწერიკაშია მცენარეებიდან ჩვენთან ცნობილია: დროზერა, ბუტროსანა, ცხიმურა და სხვა.

მწვანე ბაქტერიები — იხ. ქლორობაქტერიები.

მწვანე ხაკები — საკვები მცენარეების მწვანე მასა; წარმოადგენს ძვირფას საკვებს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა უმრავლესობისათვის.

მწვანე ხასუჭი — ნიადაგში მთლიანად ან ნაწილობრივ ჩახსული მწვანე მცენარე. მწვანე სასუქად იყენებენ ხანკიკოლს, ზოგიერთ იონჯას და სხვა პარკოსან მცენარეს.

მწვანე წყალმცენარეები — უმდაბლესი მცენარეების ერთ-ერთი ტიპი, რომლის უმრავლესი წარმომადგენელი ცხოვრობს მტკნარ წყლებში. მათი უჯრედები შეიცავს ქლოროფილს და მწვანეა. მათ შორის გვხვდება ერთ-უჯრედიანი, კოლონიური და მრავალ-უჯრედიანი ფორმები (ქლაპიდომონადა, სპიროგირა, ულოტრიქსი, ვოლვოქსი და სხვ.).

მქადა — რთული, დაკიდული ყვავილედო, რომელიც დაყვავილების ან ნაყოფის მომწიფების შემდეგ მთლიანად ცვივა. მის მთავარ ღერძზე განლაგებულია ყვავილები ან მცირე ზომის ყვავილელები თეთაყის ან მტეენის მსგავსად (ფერხეის, ალვის ხის, მურყნის, კაკლის, თხილის და სხვ. მამრობითი ყვავილედო).

მხედველობა — ცხოველური ორგანიზმის მიერ გარე სამყაროს საგნების აღქმის პროცესი მხედველობის ორგანოს — თვალის საშუალებით. გარე სამყაროს საგნები მხედველობის ორგანოზე მოქმედებენ მათ (საგნების) მიერ გამოწვეული ან არეკლილი სინათლით.

მხედველობის ანალიზატორი — ნერვულ წარმოქმნათა რთული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მხედველობის აღქმას და ანალიზს.

მხედველობის ბორცვები (გორაკები) — რუხი ნივთიერების, კვერცხისებრი

ფორმის გროვები, რომლებიც მდებარეობს შორისული (შუამდებარე) ტენინის გვერდით კედლებზე.

მხედველობის ნერვი — თავის ტენინის მეორე წყვილი ნერვი.

მხედველობის პურპური, პორფირი — თვალის ბადურის ჩხირებში (მგრძნობიარე უჯრედები) შემავალი წითელი ფერის, რთული ცილოვანი შუქმგრძნობიერი ნივთიერება; როდოფსინი; მხედველობის მეწამულა; მხედველობის ძოწი.

მხედველობის ძოწი — იხ. მხედველობის პურპური.

მხედრები — აპკოვან-ფრთიანი მწერების ჯგუფი, რომლებიც თავის კევრტხებს დებენ სხვადასხვა მწერის, მათ შორის მეტად მაკვ მწერების, მატლებსა და კუპრებში.

მხეიარა მცენარეები — იხ. ხეიარა მცენარეები.

მხოხავი ღერო — ღერო, რომელიც გაწოლილია ნიადაგის ზედაპირზე და დამატებითი კვირტების საშუალებით ფესვიანდება მუხლებში (მარწყვის, მარწყვაბალახას, გველის სუროს და სხვ.).

მხრის ხარტყელი — ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის ჩონჩხის ნაწილი, რომელიც წინა წყვილი კიდურის საყრდენს წარმოადგენს.

მჭლომარე ბენთოსი — ფსკერის ცხოველები ან მცენარეები, რომლებიც ეწევიან მიმავარებულ (მჭლომარე) ცხოვრებას.

მჭლომარე ფოთოლი, ყვავილი — ფოთოლი (ყვავილი), რომელსაც უწეწი არა აქვს განვითარებული, ვ. ი. უუწეწოა.

6

ნაგალა მამრები — მამრობითი ინდივიდები, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან იმავე სახეობის მდედრობითი ინდივიდებისაგან ძალიან პატარა ზომით. ჩვეულებრივ ცხოვრობენ მდედ-

რობითი ორგანიზმის სხეულზე ან სხეულის ღრუში. მამრების ნაგალობა წარმოადგენს სქესობრივი დიმორფიზმის უკიდურეს გამოვლინებას. შეჩინებულია ზოგიერთ მოლუსკში, კი-

ბოსნიაში, ობობასნაში და სხვა
ჯგუფის ცხოველები.

ნავალაობა — ორგანიზმის არანორმალუ-
რი მცირე ზომა; ქონდრულობა.

ნაგანა — ჩლიქოსანი ცხოველების დაეა-
დება სამხრეთ აფრიკაში, რომელსაც
იწვევენ შოლტოსანი პარაზიტი —
ტრიფანოსომა; მისი ვადამტანია ბუ-
ზარების ერთ-ერთი წარმომადგენელი.
ნაე — იხ. ფარეანასებრი გვირგვინი.

ნათება — სინათლის, შუქის გამოცემის,
გამოსხივების უნარი. შემჩნეულია რიგ
ცხოველებში — უმარტივესებში, ნაწ-
ლავლრუიანებში, კიბებში, კიბოსნაი-
რებში, მოლუსკებში, მწერებში, აგ-
რეთვე ზოგიერთ ხერხეშიან ცხოვე-
ლში — თევზებში. წარმოადგენს
ე. წ. ქემილუმინესცენციის პროცესის
შედეგს, რომელიც მიმდინარეობს გან-
საკუთრებული ნივთიერების — ლუცი-
ფერინის დაენავვისას ფერმენტ
ლუციფერაზის ზემოქმედებით. ნა-
თება ფაქტიურად დამოკიდებულია
ამ ცხოველებზე დასახლებულ ბაქტე-
რიებზე. ნათებას ადგილი აქვს აგრეთ-
ვე ზოგიერთ სოკოში.

ნათებაი — მცენარი, რომელიც თესლი-
დანაა გაზრდილი.

ნათებში — ხერხეშიანი ცხოველების თა-
ვის ტენის ხუთი ძირითადი შემადგე-
ნელი ნაწილიდან ერთ-ერთი ნაწილი,
რომელიც მოგრობა ტენის ზემოთ
მდებარეობს. მას პატარა ან მცირე
ტენსაც უწოდებენ. და როდეს ას-
რულებს რთული უპირობო რეფლექ-
სური მოძრაობების შეთანხმებულო-
ბაში და სხეულის წონასწორობის შე-
ნარჩუნებაში.

ნაირბალახეულობა — ბალახოვან მცენარე-
თა ერთ-ერთი სამეურნეო ჯგუფი. ამ
ჯგუფში, მარცკლოვანთა, პარკოსანთა
და ისლისებრთა ოჯახის გარდა, შე-
დის სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენ-
ლები.

ნაირსვეტიანობა — იხ. პეტეროსტილია.

ნაირფოთლიანობა — იხ. პეტეროფილია

ნაკადისებრი მოძრაობა პროტოპლაზმი-
სა — იხ. პროტოპლაზმის ნაკადისებრი
მოძრაობა.

ნაკერი — 1. თავის ქალას ძვლების შეერ-
თების ადგილი, სადაც ერთი ძვლის
კბილები ჩამჯდარია მეორე ძვლის კბი-
ლებზეა არეებში. 2. იხ. თესლის ნა-
კერი.

ნაკრტენი — იხ. ბუმბული.

ნაკრძალი — 1. სამეცნიერო-საეკლექი და-
წესებულება, სადაც უშუალოდ ბუნე-
ბრივ პირობებში ხდება მცენარეთა
და ცხოველთა შესწავლა. 2. ტერიტო-
რია, სადაც აკრძალულია ადამიანის
ყოველგვარი მეურნეობის წარმოება,
რომელიც არღვევს ბუნებრივ პირო-
ბების კომპლექსურ მთლიანობას.

ნამარხები — მცენარეთა და ცხოველთა
ნარჩენები ან მათი ცხოველმოქმედე-
ბის კვალი, რომელიც შემონახულია
დედამიწის ქერქის ფენებში წარსული
გეოლოგიური ეპოქიდან.

ნამგლისებრი გამონაზარდი — კუნთი,
რომელიც მიმაგრებულია თევზის
თვალის ბროლის უკანა განყოფილება-
ზე. მისი შეეუმუშავ იწვევს ბროლის
გაღანაცვლებას ბადურასთან შეფარ-
დებით და ქმნის აკომოდაციას.

ნამგლილი ნაყოფი (მცენარისა) — ნაყოფი,
რომელიც მხოლოდ ერთი ბუტკოდი-
ნაა განვითარებული და მარტო ნასკვი
იღბს მის წარმოქმნაში მონაწილეო-
ბას.

ნამგლილი ნეენები — ნეენები, რომლებიც
უშუალოდ შეერთებულია მკერდის
ძვალთან.

ნამგლილი სახსარი — ძვლების მოძრაი
შეერთება, რომლის დროსაც წარმო-
იქმნება ქვალთა შორისი ღრუ და სა-
სახსრე ნაწთა, რომელშიც სასახსრე
ზედაპირებია მოქცეული.

ნამჭა — მომიკლ ყანაში დარჩენილი პუ-
რის, ქერის, კვავის და მისთ. ღერო-
ბის ქვედა ნაწილი; ადებული ყანის
დარჩენილი ნაწილი. მომიკლი პურის,

ქრისა, კვავის და მისთ. თავთავიანი ან უთავთავო ღეროები.

ნანახი — ქონდრულობა; ზრდასრული ადამიანის არანორმალური სიდაბლე, რაც გამოწვეულია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების (მაგ., ქაბოფიზის) ფუნქციის მოშლით.

ნანოლაქტონი — წყლის სიზრქეში პასიურად მოტივტივე უწყრილესი (20 მიკრონზე მცირე სიგრძის) ცხოველები.

ნანოტამი — იხ. ინდივიდუუმის ფართობი.

ნანოფანეროფიტები — დაბალი, 2 მ-მდე სიმაღლის, ბუჩქები.

ნარგაობა — ამ ტერმინით მეტყველებაში და ტყის გეობოტანიკაში აღნიშნავენ ტყის ან ფიტოცენოზის, როგორც ბუნებრივ, ისე ხელოვნურ, მონაკვეთს.

ნარკოზი — ხელოვნური ძალის მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ნარკოტიკული საშუალებების მოქმედებით.

ნარკოზანია — ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებისადმი ძლიერი, ავადმყოფური მიდრეკილება.

ნარკოტიკი — ნივთიერება, რომელსაც იყენებენ ტყვილის გამაყუჩებელ და ძილის მომგვრელ საშუალებად.

ნარკოტიკული მცენარეები — მცენარეები, რომლებიც შეიცავს ცენტრალურ ნერვულ სისტემის ამგზნებ ან დამაქვეითებელ ნივთიერებას (მაგ., ხაშხა-ქე, შშაგა და სხვ.).

ნარჩენი, დანაშთი ჰაერი — ჰაერი, რომელიც რჩება სუნთქვის ორგანოებში მაქსიმალური ღრმა ამოსუნთქვის შემდეგ.

ნახენი მიწა — მიტოვებული სახნავი მიწები, რომლებიც ველური მცენარეულობითაა დაფარული.

ნახევი — ბუტკოს ქვედა, უმეტესად გამოხატული ნაწილი, რომელიც თავისი ფუძით ყვავილსაქლოზე ზის და ერთი ან რამდენიმე ნაყოფის ფოთლისაგანაა წარმოქმნილი. ნახევი ერთი ან რამდენიმე თესლკეირტი ანუ მვგასპორან-

გიუმია, რომლიდანაც შემდეგ თესლი ვითარდება; ნასკვიდან კი ნაყოფი. მდებარეობის მიხედვით არჩევენ: ზედა, ქვედა და შუა ნახევს.

ნახევის ბუდე — ერთი ან რამდენიმე ნაყოფის ფოთლის კიდებინს შეზრდის შედეგად წარმოქმნილი ღრუ. ნახევი შეიძლება იყოს ერთი, ორი, სამი და მრავალბუდიანი.

ნახტიები — მცენარის ორგანოების ზრდისეული მოძრაობა, გამოწვეული ისეთი გამღიზიანებლებით (ტემპერატურის, ტენიანობის, სავითო განათების შეცვლა), რომელიც თანაბრად მოქმედებს მთელ მცენარეზე (ტროპიზმის საწინააღმდეგავ). ასეთი მოძრაობანი ხორციელდება ქსოვილების ზრდის არათანაბარი სისწრაფით ორგანოს შიგნით და გარეთა მხარეს. ის მხარე, რომელიც უფრო სწრაფად იწყებს ზრდას გამოზნევილი ხდება, ხოლო ის მხარე, რომელიც ჩამორჩება ზრდაში — შეზნევილი, ამიტომ ორგანო იღუნება იმ მხარეს, რომლის ზრდაც შენელებულია.

ნახტიური მოძრაობა — იხ. ნახტიები.

ნახუქობა — ცხოველთა ინტენსიური კვების პერიოდი, ჩვეულებრივ, გამრავლების შემდეგ.

ნატურალიზაცია — მცენარის ან ცხოველის შეგუება ან გახარება (მოშენება) ახალ ადგილსამყოფელში, რომელიც კლამატური და სხვა პირობებით ძალიან ემსგავსება მათ სამშობლოს.

ნატურალისტი — ადამიანი რომელიც სწავლობს ბუნებას.

ნაუპოუხი — კიბოსნაირთა ლარვის პირველი ფაზა, რომელსაც აქვს კენტი თვალი და სამი წყვილი კიდური, რომელთაგან ორი წყვილი ორადაა გაყოფილი.

ნაუპოუხის თვალი — ნაუპოუხის კენტი თვალი, რომელიც შეიძლება შერჩეს უმდაბლეს კიბოსნაირებს (ნოჩაბფეხანებს და სხვ.) მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ნაქარი — იხ. ძირნაყარი.

ნაქურთენი — იხ. მერქნის ცილა.

ნაღველი — საკმლის მომწვლელი წვენი, რომელიც წარმოიქმნება ღვიძლში, და სხეციალური საღინართი გადაღის თორმეტგოჯა ნაწლავში; აძლიერებს პანკრეასის წვენის ყველა ფერმენტის მოქმედებას; მისი ზემოქმედებით ხდება ცხიმების ემულგირება.

ნაღვლის ბუშტი — ორგანო, რომელშიც ხდება ღვიძლში კარბად გამოყოფილი ნაღვლის დაგროვება და შესქელება.

ნაღვლის პიგმენტები — საღებავი ნივთიერებანი, რომლებიც წარმოიქმნება ორგანიზმში (უმთავრესად ღვიძლში) ქემოკლობინის დაშლის დროს.

ნაღვლის საღინარი — საღინარი, რომლითაც ნაღველი ჩადის ნაღვლის ბუშტიდან თორმეტგოჯა ნაწლავში.

ნაყარი — 1. იხ. აონაყარი; 2. ერთდროულად შობილ (გაჩენილ) ნაშიერთა ჯგუფი; ნაყარისა და ნაშიერთა რიცხვი სხვადასხვა ცხოველში სხვადასხვაა.

ნაყოფადი — ნაყოფების კრებული (ჯგუფი), რომელიც წარმოქმნილია ყვავილედის ცალკე ყვავილებიდან განვითარებული ნაყოფების შეზრდით და ერთი ნაყოფის შთაბუქდილებას ტოვებს (თუთის ნაყოფი).

ნაყოფი — 1. კვერცხუჯრედის განაყოფიერების შედეგად სახეშეცვლილი ბუტკო, რომლის გამსხვილებულ ნასკვში ერთი ან რამოდენიმე თესლია მოთავსებული. ვინაიდან ზოგიერთი მცენარის ყვავილში რამდენიმე ბუტკოა და ნაყოფის წარმოქმნაში ბუტკოს გარდა ყვავილის სხვა ნაწილებიც (ყვავილსაჯდომი, ყვავილსათარი) მონაწილეობს, ნაყოფს, ფართო გაგებით, უწოდებენ ფარულთესლოვანი მცენარეების ყვავილობის შემდეგ გამსხვილებულ და სახეშეცვლილ ყვავილს, რომელიც შეიცავს ერთ ან რამდენიმე თესლს; არჩევენ ნამღვილ, ცრუ, მარტივ, რთულ,

მშრალ, წვინან და სხვა ნაყოფს. 2. ჩანასახი (ემბრიონი), რომელიც ღვიძლის ორგანიზმში ვითარდება.

ნაყოფიერება — ორგანიზმთა გამრავლების სიჩქარე, რაც დამოკიდებულია სქესობრივი მომწიფების სიჩქარეზე, მღვდრის მიერ მოცემული მონაშენის ოდენობასა და გამრავლების სიხშირეზე.

ნაყოფის სიღამლე — სოკოვანი დაავადება, რომელიც აზიანებს სეხილოვან მცენარეთა ნაყოფს.

ნაყოფის ფოთლები — იხ. ნაყოფფოთოლი.

ნაყოფის ყუნწი — ღეროს ნაწილი, რომლითაც ნაყოფია მიმაგრებული; წარმოიქმნება ყვავილის ყუნწიდან.

ნაყოფხაჭყარი — იხ. პერიკარპიუმი.

ნაყოფფოთოლი — სახეცვლილი ფოთლები, რომლებისგანაც, ფარულთესლოვან მცენარეებში ნასკვის კედლებია წარმოქმნილი.

ნაყოფშორისი — იხ. მეზოკარპიუმი.

ნაცარი — მცენარეთა ავადმყოფობანი, რომელსაც იწვევს ნაცროვანი სოკოები (ჩანთიანი სოკოებიდან).

ნაციო — ქვერასა; ადგილობრივი ფორმა, რომელიც უფრო ვიწროდაა გეოგრაფიულად ან ეკოლოგიურად შემოსაზღვრული.

ნაცროვანი ნივთიერებანი — მცენარის დაწვის შედეგად დარჩენილი, ნაცარში შემავალი, ნივთიერებანი.

ნაწილობრივი განაყოფიერება — განაყოფიერების მოდიფიკაცია ტაქსონომიურად მეტად განსხვავებული ინდივიდების კოპულაციის დროს. ნაწილობრივ განაყოფიერება ხასიათდება სპერმიებისა და კვერცხუჯრედის ბირთვების ქრომოსომებსა და ციტოპლაზმას შორის ნორმალური ურთიერთ მოქმედების დარღვევით, რის შედეგადაც კვერცხის განვითარება (დანაწევრება), თუ ეს ხდება საერთოდ, წყდება ნაადრევად ან მიმდინარეობს პართენოგენეზურად.

ნაწილობრივი მომოლოგია — იხ. კომეოლოგია; კომოლოგია.

ნაწლავები — საკმლის მომწელებელი ტრაქტის ყველაზე დიდი მონაკვეთი, რომელიც იწყება კუჭის შემდეგ და მთავრდება სწორი ნაწლავით. აღამიანის ნაწლავებში არჩევენ; წერილ, მსხვილ და სწორ ნაწლავს.

ნაწლავების ჩხირი (ბაცილა) — ბაქტერია, რომელიც მუდმივად ცხოვრობს აღამიანისა და ცხოველის ნაწლავებში. ეს ბაქტერია ნაწლავებისათვის უვნებელია, მაგრამ თუ ის მოხვდება სხვა ორგანოში, მაგ., თირკმლის მექში ან ნაღვლის ბუშტში, შეიძლება გამოიწვიოს ანთებითი პროცესი.

ნაწლავის არხი — გამკოლი საკმლის მომწელებელი ღრუ დაწყებული პირით და დამთავრებული ანალური ხერხელით. უმეტესად აქვთ მრავალუჯრედიან ცხოველებს.

ნაწლავის ფურცელი — იხ. სკლანქნოპლევრა.

ნაწლავის წენი — წენი, რომელსაც გამოყოფს წერილი და მსხვილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ქირკვლები.

ნაწლავდარღვიანობა — უმარტივესი მრავალუჯრედიანი ცხოველების ტიპი, რომელთაც აქვთ რადიალური სიმეტრია და სხეულის ორშიანი აგებულება (პილდები, მარჩნის პოლიები და სხე). ამ ცხოველთა პირის ხერხელს გაგრძელებას სხეულის შიგნით ერთადერთი ღრუ წარმოადგენს, სადაც ხდება საკვების მონელება. სხეულის ეს ღრუ ნაწლავის როლს ასრულებს და სახელწოდებაც აქედან წარმოდგება.

ნაწუში — კვერცხის გარეთა მაგარი გარსი; ფრინველებში ნაწუში უმთავრესად ნახშირმჟავა კალციუმითაა გაღლენითლი.

ნახევარკალოვანი არხები — იხ. შიგნითა ყური.

ნახევრადბუჩქი — ბუჩქბალახი; შუალედი ფორმა ბუჩქებსა და მრავალწლოვან

ბალახოვან მცენარეთა შორის, რომლის ლეროს ქვედა ნაწილი გახეხებულა და ზამთრობით არ კედება, ზედა ნაწილი კი ბალახოვანია და კედება.

ნახევრადგამხვლედი თევზები — თევზები, რომლებიც ცხოვრობენ ზღვის იმ ნაწილში სადაც მდინარეები ერთვის და წყალი გამტანარებულია. ვასამარაკლებლად, ზოგჯერ კი ზამთრის ვასამარებლადაც, მიდიან მდინარის აყოლებით (კაარკინა, ნაფოტა, კობრი, ლოქო და სხე).

ნახევრადმომწელები — ხეზე მცხოვრები ძუძუმწოვარი ცხოველები, რომლებიც ახლოს დგანან მიმწელებთან; მათგან განსხვავდებიან თავის ქალას წვარძლებული პირსახის ნაწილით. აქვთ რივი პრიმიტიული ნიშნებისა, რომლითაც უახლოვდებიან მწერბუჩქებებს. ცხოვრობენ სამხრეთ აზიასა და აფრიკაში.

ნახევრადგედი — იხ. საეანისებური მცენარეულობა.

ნახევრად პარაზიტი მცენარეები — მწვეანე მცენარეები, რომლებიც მასპინძელ მცენარიდან იღებენ მხოლოდ წყალსა და მასში გახსნილ მინერალურ (არაორგანულ) ნვთიერებას (ფითრი).

ნახევრადსავანური მცენარეულობა — იხ. საეანისებური მცენარეულობა.

ნახევრადხასხარი — გარდამავალი ფორმა ძვლების უწყვეტი შესახსრებიდან (შენაწევრებიდან) წვეტილ შესახსრებისკენ, როდესაც ძვლები ერთმანეთთან შეერთებულია ხრტილოვანი ბოქოვანი ქსოვილით და შეერთების შიგნით პატარა ღრუა წარმოქმნილი.

ნახევრადუღბანო — ლანდშაფტური ქვეზონა, რომელიც ხასიათდება ველისა და უღბანოს ტიპის მცენარეულობით.

ნახევრადუღბანოს მცენარეულობა — ეელისა და უღბანოს ზონებს შორის გარდამავალი ზოლის მცენარეულობა. ხასიათდება უღბანოს და ველის თანასაზოგადოების კომპლექსურობით და, ეკობიომორფების შედგენილობის

მხრივ გარდამავალი (შუალედი) თანა-საზოგადოების არსებობით.

ნახევრადქორღაანები — ზღვის ბინადარ ცხოველთა ერთ-ერთი ტიპი, რომლის წარმოადგენლები მთელი რიგი ნიშნებით ქორღაანთა ტიპს უახლოვდება (ნაწლავითმსუნთქავთა და ლაყუჩფიფიტიციანთა კლასი).

ნახევრადჩლიქიანები — ბალახის მკვებელი ნაპარხი და თანამედროვე ცხოველების ჭკუფეი, რომლებიც კიდურების ჩონჩხისა და კბილების სისტემით მოგვაგონებენ ჩლიქოსნებს (ზორთუშიანები).

ნახევრად ქვედა ანუ ნახევრად შუა ნასაკვი — ნასკვი, რომელიც მხოლოდ ქვედა ნაწილითაა შეზღუდული ყვავილსაფლომთან, ან ყვავილსაფლომთან და მტკრია-ნებთან, მისი ზედა ნაწილი კი თავისუფალია. ამ შემთხვევაში ყვავილსაფლორი ნასკვენს შუა ნაწილიდან გამოდის (ანწლში, ცხარტყავაში, ფხიჭაში და სხვ.).

ნახშირი — მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯოგი, გროვა.

ნახტომხებურთი ევოლუცია — იხ. ევოლუცია ნახტომისებური.

ნახშირწულეები — ცოცხალი ორგანიზმის ცხოველმკვამედებისათვის აუცილებელი ორგანული ნაერთები (სახამებელი, შაქრები, უჯრედისი), რომელთა შემადგენლობაში ნახშირბადის გარდა შედის წყალბადი და ეანგბადი; არჩევენ მარტივ და რთულ ნახშირწულეს.

ნეანდერტალელი ადამიანი — თანამედროვე ადამიანის წინაპარი, რომელიც ცხოვრობდა მეოთხეულა პერიოდის უკანასკნელი გამყინვარების ეპოქის დანაწიისში. უკავია შუალედი ადგილი პითეკანტროპსა და თანამედროვე ადამიანს შორის (გერმანიაში, ქ. დიუსელდორფის ახლოს მდებარე ხეობის — ნეანდერტალის სახელის მიხედვით სადაც პირველად აღმოაჩინეს ასეთი ადამიანის ჩონჩხის ნაწილები).

ნეანტროპები — თანამედროვე ადამიანის სახეობის ხალხი.

ნები — ადამიანისა და ხმელეთის ხერხემლიანი ცხოველების მტეენის შუა განყოფილების ძვლები, რომლებიც ხელისგულის საყრდენს ქმნიან.

ნეგროიდები — შავკანიანთა რასის წარმომადგენლები.

ნეგროიდული რასა — შავკანიანთა რასა.

ნეგრასთენია — ნერვული სისტემის მოშლილობა.

ნეგრიდმა — აქსონის (ნეიროტის) და დენდრიტის გარეთა, შემაერთებელქსოვილოვანი გარსი.

ნეგრიტი — იხ. აქსონი.

ნეგროგლაია — შემაერთებელქსოვილოვანი ელემენტი, რომელიც წარმოადგენს ნერვული სისტემის ნაზი ელემენტების საყრდენს.

ნევროზი — ცენტრალური ნერვული სისტემის შედარებით მსუბუქი და საკმაოდ გავრცელებული დაავადება.

ნევროლოგია — ანატომიის დარგი, რომელიც სწავლობს ნერვული სისტემას.

ნევრონი — ნერვული უჯრედი მისგან გამოავალი ყველა მორჩითა და დაბოლოებით; ნერვული სისტემის სტრუქტურული ერთეული.

ნევროპათოლოგია — მეცნიერება ნერვული სისტემის დაავადებათა შესახებ.

ნევროპლასმა — ნერვული უჯრედის პროტოპლასმა.

ნევროპოლიტი — მრავალჯერადი კიების პარაპოლიების (ყან-ყუნთოვანი გამონაზარდის) მუცლის მხარეზე არსებული ფრთეული.

ნევროსტერცია — იხ. ნეიროსტერცია.

ნევროტომი — ზურგის ტვინის სეგმენტი. ნევროტომი — ნერვული უჯრედისა და მოზრების წერილი პროტოპლასმური ძაფეები; ფიქრობენ, რომ ნევროტიზმები ასრულებენ მთავარ როლს ავზნების გადაცემაში.

ნევროფორი — ხერედი, რომლითაც გა-

რათ იხსნება ქორდიანთა ჩანასახის მი-
ლისებრი ნერვული სისტემა.
ნეკროციკლი—ქორდიანი ცხოველების მი-
ლისებრი ნერვული სისტემის შიგნითა
ლრუ.
ნეზი—დედალი ღორი, სანაშენოდ და-
ტოვებული; ტერმინი იხმარება თხისა
და ცხეარის მიმართაც.
ნეირიტი— იხ. აქსონი.
ნეირობლასტი— ტვინის მილის კელლის
შუა შრის ნერვული უჯრედი, რომლი-
დანაც ნეირონი ეითარდება.
ნეიროგლია— იხ. ნეეროგლია.
ნეიროლოგია— იხ. ნეეროლოგია.
ნეირონი— იხ. ნეერონი.
ნეიროპათოლოგია— იხ. ნეეროპათოლო-
გია.
ნეიროპლასმა— ნერვული უჯრედის ცი-
ტოპლასმა.
ნეიროპოდიტი— იხ. ნეეროპოდიტი.
ნეიროსტრეცია— ქორმონის გამომშემა-
ეება ნერვული უჯრედების მიერ.
ნეიროფანი— ნერვული ბოქვების უწე-
რილის ბაღე, რომელიც ატარებს გა-
ლიზინებს და უზრუნველყოფს ექ-
ტოპლასმამი განლაგებული წამწამოვა-
ნი აპარატის შეთანხმებულ მუშაობას
ინფუზორიებში.
ნეიროფიბრილი— იხ. ნეეროფიბრილი.
ნეირული— ჩანასახის განვითარების გას-
ტრულის შემდგომი სტადია ქორდიან
ცხოველებში; ამ სტადიაში ყალიბდება
ნერვული ფირფიტა, რომელიც შემ-
დეგ საწყისის აძლევს მთელ ნერვულ
სისტემას. ნეირულას უწოდებენ აგ-
რეთვე თვით ჩანასახს ამ სტადიაში.
ნეისტონი— ორგანიზმების ერთობლო-
ბა, რომელიც ცურავს წყლის ზედა-
პირზე ან ცხოვრობს ზედაპირულ შრე-
ში.
ნეიტროფილი— სისხლის თვითრი სხეუ-
ლაკების (ლეიკოციტების) ერთ-ერთი
ფორმა.
ნეკრობიოზი— უჯრედის ან ქსოვილის
კვდომის ნელი პროცესი, რომელიც
გამოწვეულია ნივთიერებათა ცულის

პროცესის დარღვევით; ნეკროზისაგან
განსხვავებით, ნეკრობიოტური პრო-
ცესი არ იწვევს უჯრედის აუცილებელ
ნიკედისს. ამ პროცესის გამოწვევი
პირობების შეწყვეტის შედეგად შეიძ-
ლება უჯრედი ნორმალურ მდგომარე-
ობას დაუბრუნდეს.
ნეკრობიოტოქური სხივები (ნეკრობიოზი-
ლან)—მოკლეტალღიანი ულტრაიისფე-
რი სხივები, რომლებიც გამოყოფა
მომაკლავი უჯრედებისაგან; ფიქრო-
რობენ რომ მათი გამოსხივების მიზე-
ზი პროტოპლასმური სტრუქტურის
დაშლა უნდა იყოს, რასაც თან სდევს
ენერჯის განთავისუფლება.
ნეკროზი— ორგანიზმის რომელიმე ნაწი-
ლის (უჯრედის, ქსოვილის, გარკვეუ-
ლი უბნის ან ორგანოს) სიკვდილი,
როდესაც მთლიანად ორგანიზმი სი-
ცოცხლეს განაგრძობს.
ნეკროპლანქტონი— წყლის სიბრქეში მო-
ცურავე ცხოველთა ნარჩენი (მეტწი-
ლად ნიჟარები); მკვდარი პლანქტონი.
ნეკროფაგია— ლეშით, მძორით ეება.
ნეკროპორმონები— ქრილობის ქორმო-
ნები; ტერმინი შემოღო გ. ჰაბერ-
ლანდმა იმ ნივთიერებათა გამოშვებე-
ლად, რომელიც წარმოიქმნება დაზი-
ანებული უჯრედების დაშლისას და იწ-
ვევს მისევენებული უჯრედების გაყო-
ფას.
ნემამერები— ქორმონემების სიპოთეზუ-
რი უწერილესი მონაკეუთები, რომელ-
თა ფარკლებში უკვე არ შეიძლება
მონდეს გაწვეტი. ვარაუდობენ, რომ
გენი შედგება მრავალი ნემამერისაგან,
რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირე-
ბულია შედარებით სუსტი კავშირე-
ბით.
ნემატოფორი— იხ. დაქტილოზოიდი.
ნემატოციხტი— იხ. მსუსხაი კათსული.
ნემსები ცხოველებში— მრავალი ცხოვე-
ლის სხეულის ზედაპირზე განვითარე-
ბული მაგარი, მჩხვლეთავე წარმონაქ-
მნები.
ნეოარქტიკა— პოლარქტიკის ჩრდილო-
ამერიკული ნაწილი, რომელსაც ზოგი-

ერთი ზოგეოგრაფი გამოყოფს დამოუკიდებელ ზოგეოგრაფიულ ოლქად. ნეოგია — ზოგეოგრაფიული კატეგორია, რომელიც მოიცავს ნეოტროპიკულ ზოგეოგრაფიულ ოლქს.

ნეოდარვინიზმი — ორგანული სამყაროს ისტორიული განვითარების დარვინისტული გაგების რევიზია იდეალისტური პოზიციიდან. მისი ფუძემდებელია ა. ვეისმანი, რომლის მიხედვით ორგანიზმში თითქოს არსებობს უკვდავი, შეუცვლელი და სხეულისაგან დამოუკიდებელი მემკვიდრული ნივთიერება ე. წ. ჩანასახოვანი პლაზმა. ნეოდარვინიზმი უარყოფს ბუნებრივი შერჩევის როლს და გარემო პირობების მოქმედების შედეგად ორგანიზმის მიერ შექმნილი თვისებების მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობას.

ნეონდემები — ახალი ენდემები; ახლახან წარმოქმნილი სახეობები, რომლებმაც ჭერ კიდევ ვერ ჰპოვეს ფართო გავრცელება, უკეთით გარკვეული მცირე არეალი და აქედან არეალის გაფართოების ტენდენცია.

ნეონდემიზმი — ახლახან წარმოქმნილი სახეობის ეიწრო გავრცელება, რაც გაპირობებულია მისი ახალგაზრდობით. ნეონდემიზმს ახალ ანუ პროგრესულ ენდემიზმსაც უწოდებენ, ვინაიდან ახალგაზრდა სახეობათა უმეტესობას აქვს არეალის გაფართოების ტენდენცია.

ნეოზოოლოგია — ზოოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ამჟამად მცხოვრებ ცხოველებს; განსხვავებით პალეოზოოლოგიისა, რომელიც სწავლობს წარსული გეოლოგიური ეპოქების ცხოველებს.

ნეოლამარკიზმი — სხვადასხვა მიმართულებანი ზოოლოგიაში, რომელიც ლამარკიზმის ზოგიერთი დებულების აღიარებასთან ერთად, ავითარებს მის უარყოფით მხარეებსაც.

ნეონტოლოგია — მეცნიერება თანამედროვე ორგანული სამყაროს შესახებ,

განსხვავებით პალეონტოლოგიისა, რომელიც სწავლობს წარსული, გეოლოგიური ეპოქის ორგანულ სამყაროს.

ნეოპალეოზმი — წინა ტენის ზედა შრე (ფენა), რომელიც ყალიბდება გვერდითი პარკუჭების კედლების ნერეული ნივთიერებისაგან.

ნეოტენია — ონტოგენეზის ნაადრევი დამთავრება, როდესაც უფრო პრიმიტიული ადრეული წინა ფაზა გადაიქცევა დეფინიტურ (დამაბოლოებელ) ფაზად, ხოლო გვიანი ფაზები ამოვარდება. სქესობრივი მომწიფება ორგანიზმის განვითარების ჭერ კიდევ იუვენილურ სტადიაში. ამ მოვლენას ადგილი აქვს როგორც მცენარეებში ისე ცხოველებში.

ნეოტიპი — ახალი ანუ შეუცვლელი ტიპი; ეგზემპლარი, რომელიც ამორჩეულია დასაცავად (შესანახად), როგორც ტაქსონის ნომენკლატურული ტიპი იმ აუთენტიკური მასალის უქონლობის გამო, რომლის საფუძველზეც მოცემული ტაქსონი იყო დადგენილი.

ნეოტროპიკული ოლქი — ზოგეოგრაფიული და ფლორისტული ოლქი, რომელიც მოიცავს სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკას და ინდოეთის კუნძულებს.

ნეოფიტები — მცენარეები, რომლებიც არც თუ ისე დიდი ხანია, რაც დასახლებული არიან ამა თუ იმ მხარის ბუნებრივ პირობებში; ჩვეულებრივ წარმოადგენენ ადამიანის თანამგზავრ, შემოტანილ საჩვევლა მცენარეებს.

ნეოცენტრომერები — ნორმალურ ცენტრომერებთან ერთად ქრომოსომების ბოლოებზე ან მათ ახლოს განლაგებული მეორადი კინეტიკური მონაკვეთები, რომლებზედაც თითისტარას ძაფები ემაკრება.

ნეპოტენი — ინდივიდები ჰიბრიდთა მეორე თაობიდან (F₂-დან) F₁—თაობამდე. ჩვეულებრივ მათ, არასწორად, ჰიბრიდებს უწოდებენ.

ნერკი, ნარგავი — ახალგაზრდა მცენარე,

რომელიც ირგება ხეხილის ან ტყის ნარგაობის გაშენებისას.

ნერვათა ფოთლხა — იხ. დამარღვა ფოთლისა.

ნერვი — 1. ნერველი ბოქოების კონა, რომელიც წარმოიქმნება საერთო გარსით დაფარული ნერველი უჯრედის გამონაზარდებისაგან (აქსონებისაგან). 2. მცენარის ფოთლის ძარღვის მოძველებული სახელწოდება.

ნერვ-კუნთოვანი შეერთება — ადგილი, სადაც მამოძრავებელი ნერვი შედის კუნთში.

ნერვული ბოქო — ნერველი უჯრედის შორი, რომელიც ატარებს მამოძრავებელი და მგრძობიარე ხასიათის იმპულსებს.

ნერვული დაბოლოებანი — სხვადასხვა ფორმისა და სტრუქტურის ნერვულ ბოქოთა დაბოლოებანი ქსოვილებში.

ნერვული აშულსი — აგზნების ტალღა, რომელიც ვრცელდება ნერვულ ბოქოში მისი დაბოლოებიდან ან ნერველი უჯრედის სხეულიდან მათი გაღიზიანების დროს.

ნერვული კვანძები — ნერველი უჯრედების სხეულის კვანძისებრი მასა, რომელიც მდებარეობს ცენტრალური ნერვული სისტემის გარეთ.

ნერვული რეფლექსური რკალი — ნერველი აგზნების გზა გაღიზიანების მიმდები ორგანოდან გაღიზიანებაზე მოპასუხე ორგანომდე ნერველი კვანძის გავლით.

ნერვული სისტემა — ცხოველისა და ადამიანის ორგანოთა სისტემა, რომელიც აწარმოებს ორგანიზმის ფუნქციონირებულადიასა და კოორდინაციას; მისივე მეშვეობით მყარდება კავშირი ორგანიზმსა და გარემოს შორის.

ნერვული ქსოვილი — ნერველი სისტემის ძირითადი ქსოვილი.

ნერვული ცენტრების პლაზტიკურობა — ნერველი ცენტრების ფუნქციური მნიშვნელობის ცვალებადობის უნარი.

ნესტარი — ზოგიერთი სიფრიფანა ფრთა-

ნი მწერის (მუშა ფუტყარი) თადასაცავი და თადასასხმელი ორგანო, რომელიც წარმოადგენს შხამიანი აპარატის მჩველეთაე ნაწილს. მას საწრეტელსაც უწოდებენ.

ნეტქორდა — იხ. ქორდა; ზურგის სიმი. ნეფრიდი — ზოგიერთი უხერხემლო ცხოველის (მუცელფეხიანი მოლუსკების) გამოყოფი სისტემა; ნეფრიდი (ბალის, ლოკოინის მაგალითზე) ერთი ბოლოთი (ფართო ძაბრისებრი წარმონაქმნით) უკავშირდება ცელომის უბანს, ხოლო მეორე ბოლოთი იხსნება მანტიის ღრუში საცელის გვერდით.

ნეფრომიქილში — ორგანო, რომელიც ერთდროულად ასრულებს როგორც გამოყოფის ორგანოს, ისე სასქესო გუბნის გამტარის როლს. დამახასიათებელია მრავალჯაგრიანი ქიების ზოგი წარმომადგენლისათვის.

ნეფრონი — ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის ჰირკმლის სტრუქტურული პისტოლოგიური ერთეული, რომელიც წარმოადგენს საშარდე არხების სისტემას და საწყის იღებს შუმილიანსკის კაფსულიდან.

ნეფროსტომი — წამწამებით მოფენილი ძაბრისებრი ფოსო, რომელიც მდებარეობს სეგმენტის ღრუში, საიდანაც იწყება მეტანეფრიდიალური გამოყოფი სისტემა მრავალჯაგრიან ქიებსა და სხვა ცხოველებში.

ნეფროფორა — მილისებრი გამოყოფის სისტემის (ნეფრიდიალური სისტემის) გარეთა ხერვილი.

ნეფროციტები — 1. მწერების ცხიმოვანი სხეულში მდებარე უჯრედების ჭკუფი, რომელიც ასრულებს გამოყოფის ფუნქციას. 2. ობობას გამოყოფი სისტემის შემადგენელი ნაწილი.

ნექტარი — ტბილი წვენი, რომელიც გამოიყოფა უმეტესი ფარულთესლოვანი მცენარის ყვავილის სპეციალური ჭირკვლებში — სანექტარეებში; წარმოადგენს მწერების მისაზიდს.

ნექტობენტოხი — ზღვის ფსკერზე მო-

- ბინდარე ცხოველები (თევზები) რომლებიც ზოგჯერ აქტიურად მოძრაობენ და ადვილს იცვლიან დიდ მანძილზე.
- ნეტონი—ცხოველთა ერთობლიობა, რომელიც აქტიურად მოძრაობს და ადვილს იცვლის წყლის სიზრქეში.
- ნეტოფორები—საეურაო ზარები; სიფონოფორის კოლონიის (ზღვის თავისუფლად მცურავი ნაწლავდრუიანი ცხოველები) ცალკეული ინდივიდები, რომელთა მეშვეობით ხდება მათი გადანაცვლება (მოძრაობა). თავის მხრივ წარმოადგენენ სახეცვლილ მელუზებს.
- ნეტობრეტა — იხ. მეტატროქოფორი.
- ნეშობაჲლა — იხ. ჰუმუსი.
- ნიადაგის გათაბაშირიანება — თაბაშირის შეტანა ნიადაგში სასუქის სახით უმთავრესად პარკოსან მცენარეებისათვის და ბიოციბი ნიადაგების გასაუმჯობესებლად.
- ნიადაგის დამლაშება — ნიადაგში, სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისათვის, მავნე მარილების დაგროვება.
- ნიადაგის ზონალობა — ნიადაგის ტიპების კანონზომიერი განაწილება ზოლების სახით, რომელიც იცვლება ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით (განედური ზონალობა) და მთის ძირიდან მთის წვერისაკენ (ვერტიკალური ზონალობა).
- ნიადაგის კულტურები — მცენარეთა მოყვანის მეთოდი ნიადაგიან კერძებში.
- ნიადაგის ტენიანობა — ნიადაგის წყლით გაჭერების (გაქვნიების) ხარისხი. ანსხვებენ: ნიადაგის აბსოლუტურ ტენიანობას და შეფარდებით ანუ აბსოლუტური ტენიანობისა და ნიადაგის მინდრული ტენეტევალობის შეფარდებას პროცენტებში.
- ნიადაგის ტენეტევალობა, წყალტევალობა—ნიადაგის უნარი შთანქვის და დააკავოს ტენი. არჩევენ სრულ, მინდრულ, კაპილარულ და მოლეკულურ ტენეტევალობას.

- ნიადაგის წყალტევალობა — ნიადაგის უნარი გაატაროს წყალი.
- ნილაშენტალური ჩირკვლება — ჩირკვლები, რომელთა მიერ გამოყოფილი ნივთიერებისაგან წარმოიქმნება თავუფიანი მოლუსკების კერცხების გარსა.
- ნილიკოლური ფუნა—უხერხემლო ცხოველთა კომპლექსი, რომელიც ცხოვრობს ნადირთა სრობებსა და ფრინველთა ბუდეში.
- ნილუსი — კულტურულ მცენარეთა კატეგორია კონვარეტეტსა და ჩიშს შორის.
- ნივთიერებათა ბრუნვა, მიმოქცევა დედამიწაზე—ნივთიერებათა გადანაცვლებისა და გარდაქმნის ციკლური პროცესი დედამიწაზე.
- ნივთიერებათა და ენერჯის ცვლა — უჩრედში მიმდინარე ყველა ფერმენტული რეაქციის ერთობლიობა, ე. ი. ურთიერთ და გარემოსთან დაკავშირებული პლასტიკური და ენერგეტიკული ცვლის (ასიმილაციისა და დისიმილაციის) ერთობლიობა, რომელსაც თან სდევს ენერჯიის შთანთქმა და განთავისუფლება.
- ნიკოტინი — ალკალიდი, რომელსაც შეიცავს თამბაქო.
- ნიკტინასტიები — მცენარის ორგანოების ზრდისეული მოძრაობა დღე-ღამის მორიგეობის შედეგად, მაგ., ყვავილის ან ყვავილედის გაშლა დღისით და დახურვა ღამით, ან ფოთლის მდგომარეობის შეცვლა და სხვ.
- ნიმფა — არასრული გარდაქცევის (არასრული მეტამორფოზის) მქონე მწერების განვითარების უკანასკნელი სტადია, რომელიც შეესაბამება სრული მეტამორფოზის მქონე მწერების კუპარს.
- ნიჟარა — 1. რბილტანიანი ცხოველების—მოლუსკების უმეტესი წარმომადგენლის სხეულის მკერძი საფარი, რომელიც შედგება სამი შრისაგან: რქოვანი, ფაფურისმაგვარი და სადაფისებრი, ნიჟარის ფორმას, აგებული-

ბას, დახვევის ხასიათსა და სხვა ნიშნებს სისტემატიკური მნიშვნელობა აქვს. 2. ყურის გარეთა განყოფილების (გარეთა ყურის) შემადგენელი ნაწილი, რომელიც იჭერს პაერის ბეგრით რხევებს და ავზაენის სასმენი შილისაყენ.

ნოსკარტი — მკერავი რქოვანი საფარი, რომლითაც დაფარულია ფრინველების ზედა და ქვედა ყბის წინაახევიარო.

ნიტრაგინი — ბაქტერიული სასუსი პრეპარატი, რომელიც შეიცავს კოჟრის ბაქტერიების კულტურას; პრეპარატის ხმარებისას მას ხსნიან წყალში და ნიადაგში შეაქვთ პარკოსან მცენარეთა თესვებთან ერთად.

ნიტრატები — აზოტმევა მარილები.

ნიტრატული ბაქტერიები — ბაქტერიები, რომლებიც აზორიულებზე ნიტრიფიკაციის მეორე ფაზას ანუ აზოტოვანი მეფას დაქანგვას. აზოტის მეფად. ამ ბაქტერიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ნიტრატობაქტერი.

ნიტრიტული ბაქტერიები — იხ. ნიტროზული ბაქტერიები.

ნიტროფიკაცია — ამონიაკის დაქანგვის პროცესი აზოტის მეფად (აზოტოვანი მეფას შუალედური სტადიის გავლით), რომელიც ხორციელდება ნიტრიფიკაციის ბაქტერიებით. ამ პროცესის დროს განთავისუფლებული ენერჯია გამოიყენება იმავე ბაქტერიების მიერ მათი სასიცოცხლო პროცესებისათვის, კერძოდ ნანშიროჯანგის შესათვისებლად (ქემოსინთეზის პროცესი); დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდისათვის; წარმოადგენს არა წმინდა ქიმიურ პროცესს, არამედ ბიოლოგიურ პროცესსაც.

ნიტრიფიკაციის ბაქტერიები — აერობროფული ბაქტერიები, რომელთაც აქვთ არაორგანული ნიტოერებიდან (წყალი და ნანშიროჯანგი) ორგანული ნიტოერების წარმოქმნის უნარი იმ ქიმიური ენერჯიის ხარჯზე, რომელიც თავისუფლდება მათ მიერ ამონიაკის დაქანგვისას კერ აზოტოვან, შემ-

დეგ კი აზოტის მეფად (აღმოჩინა ს. ვინოგრადოვმა 1889 წელს).

ნიტროზული ბაქტერიები — ბაქტერიები, რომლებიც აზორიულებზე ნიტრიფიკაციის პირველ ფაზას — ამონიაკის დაქანგვას აზოტოვან მეფად. ამ ბაქტერიების ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ნიტროზომონასი, მათ ნიტრიტულ ბაქტერიებსაც უწოდებენ.

ნიტროფილები — იხ. ნიტროფილური მცენარეები.

ნიტროფილური მცენარეები — მცენარეები, რომლებიც ამჟობინებენ და კარგად ეგუებიან ნიტრატების დიდი რაოდენობით შემცველ ნიადაგებს (დიდგულა, აწწლი, ქინძარი, ვერხვი, ეოლო და სხვა).

ნიტროფიტები — იხ. ნიტროფილური მცენარეები.

ნიქტინასტიები — იხ. ნიქტინასტიები.

ნიშანდება — იხ. დარგოლვა.

ნიშანდებულ ატომთა მეთოდი — ნიეთიერებათა ეკლის ან მათი დაგროვების გამოვლინების მეთოდი, მათში შემავალი ელემენტების რადიაციული გამოსხივების მიხედვით.

ნიშანდებული ქრომოსომები — ქრომოსომები, რომლებიც ხასიათდება გარკვეული გენით ან გარკვეული ქრომოსომული წყობის შეცვლით.

ნიშანთა დაცობლება — იხ. დივერგენცია.

ნიშანთვებისათა გათმვა — 1. არაერთგვაროვანი შთამომავლობის მიღება გარეგნულად ერთგვაროვანი. პიბრიდული წარმოშობის მშობლებისაგან. 2. იხ. დივერგენცია.

ნოსემატოზი — მწერების, თევზების, ამფიბიებისა და რიგი სხვა ცხოველების დაქაღება. რომელსაც იწვევს სპორიანების ზოგირით პარაზიტი. სახელდობრ ნოსემის (Nosemia) წარმომადგენელი.

ნომადური — მომთაბარე.

ნომენკლატურული ტიპი — იხ. ტიპი 2.

ნომოგენეზი — ცოცხალი ბუნების განვი-

თარების ერთ-ერთი იდეალისტური კონსტრუქცია, რომლის თანახმად ორგანიზმთა ისტორიული განვითარება ხორციელდება თათქოს და ორგეარის სახის მიზეზის მოქმედების შედეგად: შინაგანი (ავტონომიური) და გარეგანი (ქორონომიული) მიზეზით, რომლიდანაც მთავარი და გადაწყვეტი მნიშვნელოვან აქვს პირველ-შინაგან მიზეზს, რაც შეეხება გარეგან მიზეზს მას მხოლოდ შეუძლია არა არსებითი ცვლილებების გამოწვევა. ნომოგენეზის მიხედვით ორგანიზმთა ცვალებადობა ფაქტიურად დამოკიდებული არ არის გარეგანი გარემოს პირობებზე. (წამაყენა ლ. ბერგმა).

ნორმოზლასტები — ერთროტიკებისნაირი ფორმისა და ზომის უჯრედები, რომელთაც ბირთვი გააჩნიათ.

ნორმოგენეზი — ნორმალური განვითარება, განსხვავებით ანორმოგენეზისა.

ნორმოციტები — უბირთვო ერთროტიკები.

ნოტოგეა — ზოოგეოგრაფიული კატეგორია, რომელიც აერთიანებს სამ ზოოგეოგრაფიულ ოლქს: ახალი ზელანდიის, ავსტრალიისა და პოლინეზიის ოლქს.

ნოტომორფი — ჰიბრიდული ფორმა, დამოუკიდებლად იმისა მიეკუთვნება ის ჰიბრიდთა პირველ თაობას (F₁), თუ წარმოადგენს დათმვის ან უკუშეჯავრების შედეგს.

ნოტომორფი — მრავალჯავრიანი კიების პარამორფების (კანკუნთოვანი გამოწინაზარდის) ზურგის მხარეზე არსებული ლამოტიკების წარმონაქმნი.

ნოტოქორდა — ნაწლავით მსუნთქავი ცხოველების ქორდის ნასახი, საწყისი.

ნუკლეური ორგანოები — ღრმულეები, ფოსოები, რომლებიც განლაგებულია მრავალჯავრიანი კიების თავის განყოფილების ზურგის მხარეზე; წარმოადგენს ქიმიურ გალიზიანებათა მიმღებ ორგანოებს (ყნოსვის ორგანოებს);

ნუკლეაზები — ნუკლეინის შეკვებზე მომ-

ქმელი ფერმენტები. შედის ნაწლავისა და კუჭკვეშა ჩირკელის წვენიის შემადგენლობაში და ხელს უწყობენ რთული ცილების დაშლას.

ნუკლეინა — ბირთვის ნაწილები, რომელიც არ იღებება სპეციალური ქრომოსომული საღებავებით. ამჟამად მათ, ჩვეულებრივ, აქრომატინს უწოდებენ.

ნუკლეინის შეკვები — რთული ორგანული ნივთიერებანი, რომელიც პირველად აღმოჩენილი იყო უჯრედის ბირთვში; პოლიმერებია; მათ მონომერებს ნუკლეოტიდები წარმოადგენს. არსებობს ნუკლეინის შეკვას ორი ტიპი: დნ და რნმ.

ნუკლეოიდესმები — ფიბრილები, რომლითაც გამსჭვალულია ბირთვის გარსი, განივი მიმართულებით და დამყარებულია კავშირი ბირთვის შინაგან შემცველობასა და ციტოპლაზმას შორის. ამის გამო ბირთვის გარსს საცრის შესახედაობა აქვს.

ნუკლეოიდები — ნუკლეოიდებს უწოდებენ ბაქტერიების ოპტიკურად არადიფერენცირებული ბირთვის ეკვივალენტებს, რომლებიც უჯრედში გვხვდება მარტოულად და დიდ რაოდენობით. წარმოადგენს ბაქტერიებში ლოკალიზირებული მემკვდრეობითობის ერთეულს და ქიმიურად მსგავსია უმადლეს ორგანიზმთა ბირთვისა, რამდენადაც მხოლოდ ისინი შეიცავენ დნ-ს.

ნუკლეოპაზები — ეირუსის ცილოვანი გარსის შიგნით არსებული შემცველობა (შეკვავისი), რომელიც ძირითადად ნუკლეინის შეკვებისაგან შედგება.

ნუკლეოლი — იხ. ბირთვაკი.

ნუკლეოზი — ზოგადი ცნება ბირთვის შემცველობისა.

ნუკლეოზიქსიზი — კავშირი მტერის მარცვლის ორ დედა უჯრედს შორის.

ნუკლეოპლაზმა — ტერმინი, ძირითადად იმავე მნიშვნელობისაა რაც „ბირთვის წვენი“ და „პარიოლიმფა“, მაგრამ ამ ტერმინით ამჟობინებენ აღინიშნოს, ბირთვის თხევადი ან ველისებრი ძი-

რითადი ნეოთერება; მას ხშირად იხილავენ როგორც ცილოვან ზოლს ან გელს, სადაც შესაძლებელია აგრეთვე ლიპიდების არსებობაც, რომლებიც ქრომოსომა ირველივ წარმოქმნიან გარსს და მნიშვნელოვან აქვთ ბირთვის გაყოფის ფაზების ცვლის დროს.

ნუკლეოპროტეიდები — რთული ცილები, რომლებიც შეიცავენ ფუძე ხასიათის მარტივ ცილებსა და ნუკლეინის მკავეებს. წარმოადგენენ პროტოპლაზმისა და ბირთვის უმთავრეს შემადგენელ ნეოთერებას, რომელიც მონაწილეობს ორგანიზმის ზრდა-განვითარებასა და გამრავლებაში.

ნუკლეოსომა — თანამგზავრი (ქრომოსომული სეგმენტი), რომელიც მდებარეობს ბირთვების ზედაპირზე.

ნუკლეოტიდები — რთული ორგანული ნეოთერებანი, რომლებიც წარმოადგენენ ნუკლეინის მკავეების (დნმ-ს და რნმ-ს) სტრუქტურულ ერთეულებს. შედგება აზოტოვანი ფუძის, მარტივი ნახშირწყალისა და ფოსფორმკავეასაგან.

ნუკლეოტიდების ტრიბლები — დნმ-ისა და რნმ-ის ჭაჭვის უბანი, რომელიც შედგება თანმიმდევრობით შეერთებული სამი ნუკლეოტიდისაგან.

ნუკლეოზი — 1. ბირთვი; ცოცხალი უჯრედის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. 2. აპოთეციუმის განიერი ფენა, რომელზედაც ჩანთებია განლაგებული (მლიერებში). 3. პერითეციუმის ან პიკნიდიუმის ცენტრი (მიკოლოგიაში).

ნუკრი — ირმის, შელის, ქურციის, და მისთ. ნაწიერი.

ნულოსომა—უჯრედი ან ინდივიდი, რომლის დამლოიდურ ანაწყობში აკლია წყვილი ჰომოლოგიური ქრომოსომა (2n — 2).

ნუფრი — ზოგიერთი ფოთლოვანი (იშვითადად წიწვოვანი) ხე მცენარის ღეროს კოური, თია, რომელიც წარმოიქმნება მძინარე კვირტების უხვად განვითარების ადგილზე. იყენებენ ზოგიერთი ნახელების დასამზადებლად, განსაკუთრებით ძვირფასია კაკლის ნუფრი.

ნუტაცია — მცენარის მზარდი ორგანობის ბრუნვითი მოძრაობა, რაც გამოწვეულია ორგანოს მეტად სწრაფი ზრდით ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. შესაძინევია უმეტესი მცენარის ღეროს კენწეროებზე, განსაკუთრებით კი მოზარდ პეკლებსა და მხეიარა ღეროებზე. ეს მოვლენა პირველად ჩ. დარეინმა აღმოაჩინა და ცირკუმნუტაცია უწოდა, რაც ამ მოვლენის უფრო ზუსტი ამსახველია. უმეტეს მცენარეებში ბრუნვა მარცხნიდან მარჯვნივ ხდება.

ნუტირებული მცენარე (ნუტაციოიდან) — მცენარე, რომელსაც აქვს მიდრეკილება ხეიარობისაკენ მაგრამ არ ეხვევა, მაგ., გარდამავალი ფორმა კეტსა და ხეიარა ლობიოს შორის.

ნუზა — იხ. სკაფოგნატიტი.

ნუცელარული ემბრიონა — იხ. ალვენტიური ემბრიონია.

ნუცელუზი — თესლევირტის ცენტრალური, მრავალუჯრედოანი ნაწილი, რომელიც დაფარულია ერთი ან ორი საფარით — ინტეგუმენტით.

ო

ობდამლოსტემონური ყვაილი — ყვაილი, რომლის მტერიანები ორწრედაა განლაგებული, ამასთან გარეთა წრის მტერიანები სხედან გვირგვინის ფურცლების მოპირისპირედ. დამახასიათე-

ბელია მიხაკისებრთა, ნემსიწვერასებრთა და სხვათა წარმომადგენლებისათვის.

ობი — ობის სოკოების მიერ საყვებ პროდუქტებზე, ხილსა და გახრწნილ ორგა-

ნულ ნივთიერებებზე წარმოქმნილი თავისებური ნაფიფტი.

ობლიგატორი ანაერობები — ნამდვილი ანუ აუცილებელი ანაერობები; ორგანიზმები, რომელთა განვითარებისათვის აუცილებლად სპიროთა უფანგბადო არე, ჰაერის თავისუფალი ეანგბადის არსებობის პირობებში კი იღუპებიან (ერბოშეავი ბაქტერიები).

ობლიგატორი პარაზიტები — ნამდვილი ანუ აუცილებელი პარაზიტები; ორგანიზმები, რომლებიც ეწევიან მხოლოდ პარაზიტულ ცხოვრებას და არ გააჩნიათ საპროფიტული კვების უნარი (ყანგა და ნაცროვანი სოკოები).

ობლიგატორი პართენოგენეზი — როდესაც კვერცხი ყოველთვის პართენოგენეზურად ვითარდება. თავის მხრივ ობლიგატორ პართენოგენეზში არჩევენ: 1. მუდმივ ანუ სრულ პართენოგენეზს (როდესაც მთელი შთამომავლობა წარმოიქმნება პართენოგენეზური გზით); 2. ციკლურს (როდესაც ერთი ან რამდენიმე პართენოგენეზური თაობა იცვლება პერმათეროდიტული შთამომავლობით); 3. პედოგენეზურს (როდესაც კვერცხი პართენოგენეზური გზით ვითარდება უკვე ლარვაში).

ობლიტერაცია — 1. ზოგიერთი უჯრედის (ან ქსოვილის) გაქუცობა (გაბრტყელება), რომლის დროსაც მთლიანად ქრება უჯრედის ღრუ; ხშირად შესაძენეგია მეცნარის ორგანოების ზრდისას, მაგ., ღეროს სისქეში ზრდის დროს. 2. ორგანოს ან ქსოვილის შეზრდა (მაგ., სანათურის ანოეგება).

ობლიტოდასტები — ეპითელიური უჯრედები, რომელთა განვითარება წარმოქმნის ქიტინოვან კბილაკებს მორუსკების სტფხეკის (რადულას) დაშლილი კბილების ნაცვლად.

ობოში — ხორბლის მარცვლის სიმწფის ერთ-ერთი ფაზა, რომლის დროსაც მა-

რცვალი (და საერთოდ მეცნარე) ყვი-თლდება, ფრჩხილის დაქერისას იქრება და იმტვრევა. ამ დროს მარცვალი სიმწფით სანთლის მავგარია.

ობოშღერი — იხ. ოდოში.

ობციუმი — ზავსელების სხეულის წინა ნაწილის გუმბათისებრი გამონაზარდი — გამოსაჩევი კამერა, რომელშიც თავსდება განაყოფიერებული კვერცხები და ხდება ლარვების (მატლების) განვითარება.

ობციტები— XVII — XVIII საუკუნის ბიოლოგები (პარევი, მალპიგი და სხე.), რომლებიც თვლიდნენ, რომ კვერცხში იმყოფება სრულიად ჩამოყალიბებული, მაგრამ დაპატარავებული ზომის, ორგანიზმი.

ობეში — კვერცხუჯრედი მიმმართეული (პოლარული) სხეულაკების წარმოქმნის შემდეგ.

ობოგამია — იხ. ოოგამია.

ობოგენეზი — მდებრობითი სასქესო უჯრედის (კვერცხუჯრედის) განვითარების პროცესი.

ობოგონიუმი — იხ. ოოგონიუმი.

ობოლუმა — კვერცხუჯრედის გარსი.

ობოლუზმა — კვერცხუჯრედის ციტოპლასმა.

ობოხკობი — ხელსაწყო, რომლითაც აშუქებენ ქათმისა და მისთ. კვერცხებს მათი სიახლის გაპარკვევად; იყენებენ აგრეთვე კვერცხში ჩანასახის განვითარებაზე დასაკვირებლად ინკუბაციის დროს.

ობოციტები მეორე რიგისა — მდებრობითი სასქესო უჯრედები, რომლებიც წარმოიქმნება მეიოზის პირველი გაყოფისას პირველი რიგის ოვოციტებისაგან. მათ აქვთ ქრომოსომათა პალოიდური რიცხვი.

ობოციტები მირველი რიგისა — ოოგონიუმიდან განვითარებული მდებრობითი სასქესო უჯრედები, რომლებიც ოვოგენეზის დროს ზრდის პერიოდში იშყოფება. მათთვის დამახასიათებელია ქრომოსომათა დიპლოიდური რიცხვი.

ოკოცობა — კვერცხუქარედი განვითარებისა და მომწიფების პერიოდში.

ოკულაცია — მომწიფებული კვერცხუქარედის (კვერცხის) გამოსვლა საკვერცხიდან სხეულის დრუში.

ოთოლიტები — კიროვანი სხეულაკები, რომლებიც ყურის ლამბინთის (შიგნითა ყურში) ე. წ. სასმენ პარკებშია მოთავსებული. ხელს უწყობენ სხეულის წონასწორობის და საერთოდ სიერკეში ორიენტაციის მოწესრიგებას.

ოთოციხტი — წონასწორობის ორგანო რიგ ცხოველებში. სასმენი პარკები.

ოთხჯანუფილებიანი კუჭი — მცოხნავი ცხოველების კუჭი, რომელიც შედგება: ფაშვის, ბადურას, წიგნარას და მაკიკის განყოფილებისაგან.

ოთხბორაკი — ძუძუმწოვარი ცხოველების შუა ტვინის შემადგენლობაში შემავალი ოთხბორაკეიანი ფირფიტა; ბორაკეებს შორის შინაგანი სეკრეციის ჭირკვალი — ეპიფიზია მოთავსებული.

ოთხსპირულიანები — მღრღნელების ერთერთი ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებს ზედა ყბაზე, ძირითადი წყვილი საპრელი კბილის უკან გააჩნია აგრეთვე მეორე წყვილი განუვითარებელი საპრელი კბილი (კურდღლისებრნი).

ოთხულვჯშიანები — იხ. ლაყუჩითმსუნთქაენი.

ოთხფეხა ცხოველები — ხმელეთის ცხოველები, რომლებიც სიარულის დროს ორ წყვილ კიდურს ეყრდნობიან.

ოიდეები — ოვალური ფორმის, თავისებური უჯრედები, რომლებიც წარმოიქმნება ობის სოკოს მიცელიუმის ჰიფების დაყოფის შედეგად. წარმოადგენს ევგეტატური გამრავლების საშუალებას.

ოიდიუმი — ნაპროვანი სოკოების კონიდიალური ნაყოფიანობა.

ოიკოლოგია — მცენარეთა ეკოლოგიის მოძველებული სახელწოდება.

ოკეანოგრაფია — იხ. ოკეანთლოგია.

ოკეანოლოგია — ზღვებისა და ოკეანეების

შემსწავლელი მეცნიერება; ოკეანოგრაფია.

ოკლუზია — ზედა და ქვედა ყბის კბილების ურთიერთგანლაგება მოკუმულ მდგომარეობაში; თანკბილვა.

ოკლუზორია ზედაპირი კბილისა — იხ. სალექი ზედაპირი კბილისა.

ოკულანტი — 1. ოკულირებული მცენარე; კვირტი და მცენარეები. 2. ყლორტი, რომელიც განვითარებულია ოკულირებული (დამყნობილი) კვირტიდან.

ოკულირება — კვირტი მცნობა; ამ დროს სანამყენის ყლორტის შუა ადგილიდან აპკრიან კვირტს ქერქისა და მექნის ნაწილით და გადუნერგავენ საძირზე, რომელზედაც აკეთებენ T-ს მავარაქრისს.

ოლე — 1. პატარა ტყე ან ბუჩქნარი მინდორში ან მდინარის პირას. 2. საჩრდილობლად დატოვებული ხე საყანოდ გაყოფულ ტყეში (ახოში), ნატყეარში.

ოლეომატიტები — იხ. ელაიომატიტები.

ოლეოსომა — სხიმოვანი ჩანარები პლანქტში.

ოლიგოზები — ფერმენტები კარბოჰიდრატების ჯგუფიდან; მოქმედებენ როგორც კატალიზატორები დისაქარიდებისა და ტრისაქარიდების ჰიდროლიზის დროს.

ოლიგოგენი — გენების ან მეტაციების ტიპი, რომელიც: 1. უზრუნველყოფს ე. წ. წყვეტილი ან თვისობრივი ცვლადობის წარმოქმნას, რაც ადვილად ელინდება შეჯვარების დროს; 2. დამოუკიდებლად მოქმედებს ერთ ან რამდენიმე ნიშანზე; 3. გააჩნია თავისებური მოქმედება; 4. ლოკალიზებულია ეუქრომაცინში.

ოლიგოდინამურია მოქმედება — ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე ძლიერი ზემოქმედება რაიმე ნივთიერების უმცირესი რაოდენობით. ანუ თი მოქმედების უნარი გააჩნიათ აუქსინებს, ვიტამინებს და მიკროელემენტებს.

ოლიგოლომინანტური ფიტოცენოზი—მცენარეთა თანასახოვადობა, რომლის მთავარი ფენა შედგება მხოლოდ რამდენიმე კონდომინანტისაგან.

ოლიგომერია — გამეორებული კომპოზიციური ორგანოების რიცხვის შემცირება, მაგ., ყვავილის წვერთა რიცხვის შემცირება ყვავილის ერთ-ერთ წრეში; სხეულის სეგმენტების რიცხვის შემცირება და სხვა.

ოლიგოსპარობები — წყალში მცხოვრები ორგანიზმები, რომლებიც შეიცავენ ძალიან მცირე რაოდენობის ორგანულ ნივთიერებას.

ოლიგოსპარობული წყალხატეები — ნაკლებად, მცირედ გაჰუკუიანებული წყალხატეები, სადაც მიმდინარეობს ორგანული ნარჩენების სრული მიწერალიზაცია.

ოლიგოსაქარიდები — რთული შაქრები, რომლებიც შედგება მარტივი შაქრების (შოპრების) მცირერიცხოვანი ნაშთებისაგან.

ოლიგოტროფული ზონა—საკვებით უმცირი, ღარიბი ზონა.

ოლიგოტროფული მცენარეები — მცენარეები, რომლებიც ნაკლებ მომთხოვნი არიან მინერალური ნივთიერებებისადმი და ცხოვრობენ საკვებით ღარიბ, მწირ სუბსტრატზე (ფიჭვი, მანანა, ძიგვა და სხვ.).

ოლიგოფაგია—ორგანიზმი, რომელიც იკვებება შედარებით ერთგვაროვანი საკვებით და არ საჭიროებს მრავალნაირი სახის საკვებს.

ოლიგოფაგია—შედარებით ერთგვაროვანი (ერთნაირი სახის) საკვებით კვება.

ოლიგოცენოზი — ფიტოცენოზი, რომლის შედგენილობაში შედის მხოლოდ რამდენიმე უმაღლესი მცენარე.

ოლიგურია — შარდის წარმოქმნის მნიშვნელოვანი შემცირება.

ომბიდი—ზოგიერთი ფესხასხრიანი ცხოველის (მდინარის კიბო) რთული თვალის შემადგენლო ნაწილი — ცალკე-

ული თვალკი. ომატიდები ქმნიან რთულ ე. წ. ფასეტოზურ თვალს.

ომბიდიუმი — ფესხასხრიანების რთული თვალის ძირითადი სტრუქტურული ერთეული (იხ. ომატიდი).

ომბროფილია — წვიმის მოყვარულობა; ზოგიერთი მცენარის თვისება აიტანოს ხანგრძლივი წვიმები, მაგ., სელაგინეა, კორტანა და სხვა.

ომბროფიტები — მცენარეები, რომლებიც არსებობენ ატმოსფერული ნალექების ტენის ხარჯზე; ხანგრძლივი წვიმების პირობებში მოზარდი მცენარეები.

ომბროფობები—მცენარეები, რომლებიც ვერ იტანენ ხანგრძლივ წვიმებს.

ომონში — ერთი და იგივე სახელწოდება, რომელიც აქვს ორ, ურთიერთისაგან განსხვავებულ სახეობას.

ონაგრი—გარეული სახედარი (ვირი); გავრცელებულია ირანში, ავღანეთსა და თურქმენეთში.

ონიქოფორები — იხ. პირველადტრაქიანები.

ონკოლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს სიმსივნეებს და მათი მკურნალობის მეთოდებს.

ონკომეტრია—შინაგანი ორგანოების სისხლსაესეობის გაზომვა.

ონკოზფერა — ზოგიერთი თასმისებრი ქიის კვერცხიდან გამოსული მატლების პირველი სტადია. აქვთ სფეროსების ფორმა და აღჭურვილი არიან 6 კტიბოვანი კაუქით.

ონტოგენეზი — ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარება მისი ჩასახვიდან სიცოცხლის ბუნებრივ დასასრულამდე — სიკვდილამდე. ონტოგენეზი შეიძლება დაეყოთ ოთხ პერიოდად: 1. ჩანასახის განვითარება, ემბრიონული განვითარება ანუ ემბრიოგენეზი; 2. სიყმაწვილე ანუ პოსტემბრიონული განვითარება; 3. სიმწიფისა და გამრავლების პერიოდი; 4. სიბერე, რომელიც ბუნებრივი სიკვდილით მთავრდება.

ონტოგენეზის ემბრიონული ეტაპი — ონტოგენეზის საწყისი ეტაპი, რომლის განმავლობაშიც ხდება ჩანასახის ჩამოყალიბება (თესლოვან მცენარეებში — კვერცხუჯრედის განაყოფიერებიდან თესლოს ვალიებამდე).

ონტოგენეზის ეტაპები — ონტოგენეზის თანმიმდევრული პერიოდები, დამახასიათებელი მორფო-ფიზიოლოგიური თავისებურებებით. იხ. ონტოგენეზი.

ონტოგენია — იხ. ონტოგენეზი.

ობობლასტემა — განაყოფიერებული კვერცხი.

ობობლასტემური ძაფები — წითელი წყალმცენარეების კარაოგონის ქვედა გაფაროვებული (მუცლის) ნაწილიდან ამოზრდილი ძაფები, რომლებიც საწყის აძლევა ცისტოკარპიუმებს აუქსიალურ უჯრედებთან შერწყმის შემდეგ.

ობგამია — სქესობრივი პროცესის ფორმა, როდესაც ერთმანეთს ერწყმის ორა სასქესო უჯრედი — გამეტა; ამათგან ერთი უფრო დიდი ზომისაა და უძრავი (მეაროგამეტა), მეორე კი — უფრო პატარა და მეტწილად მოძრავი (მიეაროგამეტა).

ოოგენეზი — მდებარებითი სასქესო უჯრედის (კვერცხუჯრედის) განვითარება ოოგონიუმად.

ოოგონიატები (ოოგონიუმებიდან) — მცენარეთა ჭგუფი, რომელთა მდებარებით ორგანოს ოოგონიუმი წარმოადგენს; მათი სხეული არაა დანაწევრებული ღეროდ და ფოთლებად და სუბსტრატზე რიზოიდებითაა მიმაგრებული; მათ ჩვეულებრივ აკუთვნებენ წყალმცენარეებს, სოკოებს და მღვივებს.

ოოგონიუმი — 1. მდებარებითი, ჩანასახოვანი სასქესო უჯრედები, რომლებიც საშეილოსნოშია მოთავსებული. 2. მდებარებითი სასქესო ორგანო ბევრ წყალმცენარესა და ზოგიერთ უმდაბლეს სოკოში; უმეტეს შემთხვევაში ოოგონიუმი ერთუჯრედიანია, გამონაკლისს წარმოადგენს წყალმცენარე ხარა, რომლის ოოგონიუმი მრავალუჯრედიანია.

ვალუკრედიანია. ოოგონიუმი ვითარდება ერთი ან რამდენიმე კვერცხუჯრედი.

ოოგენეზი — შიტოზის პროცესები კვერცხუჯრედში მომწიფებისა და განაყოფიერების დროს.

ოოგენეტი — კოლოს მუცელში მალარჩის გამოწვევი პლამოლიუმის მიკროს და მეაროგამეტების შერწყმის შედეგად წარმოქმნილი ზიგოტა, რომელსაც აქვს თითისტარისებრი ფორმა და მოძრაობის უნარი.

ოოლოგია — ორნიოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ფრინველთა კვერცხებს.

ოოსომა — ციტოლაზმური სხეული ან ასეთ სხეულთა ჭგუფი მომწიფებულ კვერცხში; მას ჩანასახის პარკის დეტერმინანტსაც უწოდებენ. ოოსომა ონტოგენეზის პროცესში გადაიქცევა ჩანასახის პრიმორდიულ უჯრედად.

ოოსპერმი — განაყოფიერებული კვერცხი.

ოოსპორა — 1. განაყოფიერებულ კვერცხუჯრედიდან (ზიგოტიდან) განვითარებული, სქელკედლიანი სპორა. 2. განაყოფიერებული კვერცხი (იგივეა რაც ოოსპერმი და ოობლასტემა). 3. ოოგონიატების ზიგოტა, რომელიც წარმოიქმნება სქესობრივი პროცესის — ოოგამიის შედეგად.

ოოსფერა — კვერცხი განაყოფიერებამდე. მდებარებითი გამეტა.

ოოტიდები — ოთხი პაპლიოდური უჯრედი (კვერცხუჯრედი და სამი პლარული სხეულაქი), რომლებიც ვითარდება მდებარებითი ონიდიუმში ყოველი ოოგონიუმიდან მეიოზის ორი გაყოფის შედეგად.

ოოცენტრი — კვერცხუჯრედის გაყოფის ცენტრი, რომელსაც ოვოცენტრსაც უწოდებენ.

ოოციხტი, ოოციხტა — ზოგიერთი ერთუჯრედიანი ცხოველის, (გრეგარინების, კოკილიდების) ზიგოტა, რომელიც წარმოიქმნება განსხვავებულ (მიკრო და

მაკრო) გამეტების შერწყმით. ოლიცისტაში სპორები ვითარდება.

ოლიტი — იხ. ოლიტიტი.

ოხისტოხოსი — ზოგიერთ ფესხასრიაანთა (იობანსაირთა) სხეულის უკანა (მუცლის) განყოფილება.

ოხისტოციდური მალა — მალა, რომლის სხეულს აქვს გამობურცული წინა და შეწყველი უკანა მხარე.

ოპიუმი — ხაშხაშის მომწიფებელი ნაყოფის რძიანი წვენიდან მიღებული ძლიერი ნარკოტიკული ნივთიერება; მედიცინაში იყენებენ ტკივილების გასაყურებლად.

ოპტიმალური პირობები — ყველაზე უკეთესი პირობები ამა თუ იმ ორგანიზმის ცხოველშოქმედებისათვის ან რაიმე პროცესის მიმდინარეობისათვის; ოპტიმუმი.

ოპტიმუმი — იხ. ოპტიმალური პირობები.

ორალური მხარე — არამსუსხაეთა (სავარცხლურები) სხეულის ის მხარე სადაც პირია მოთავსებული.

ორანგულანგი — დამიანის მსგავსი მაიმუნი; გავრცელებულია სუმატრას და ბორნეოს კუნძულზე.

ორანფერა — სპეციალური მომინული სათავსო, სადაც სინათლისა და სითბოს საჭირო პირობების დაკეთთ აშენებენ თბილი ქვეყნების მცენარეებს ანდა აშენებენ ბოსტნულს და ყვავილებს სეზონის მიუხედავად; სათბური.

ორბტები — თავის ქალას გვერდითი კედლის ღრმა ფოსოები, რომელშიც თავისი კაქალია მოთავსებული.

ორგანიზმი — ავხორცული გრძნობა სქესობრივი აქტის დამთავრების მომენტში.

ორგანელები — იხ. ორგანოიდები.

ორგანიზმა ურთიერთობა — ინდივიდთა დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმა თანასახოვადობაში მათი ერთად ცხოვრებისას. ჩვეულებრივ ანსხვაებენ სახეობათაშორის და შიდასახეობრივ ურთიერთობას.

ორგანიზმი — ყოველი ცოცხალი არსება,

რომლის ძირითად თვისებას ნივთიერებათა ცკლა წარმოადგენს.

ორგანიზმის გაახალგაზრდაება — ორგანიზმის ცხოველყოფილობის გაძლიერება, რაც დაკავშირებულია ცილები-სა და ნუკლეინის მუკაების სინთეზის ინტენსიფიკაციასთან, უჯრედების გაყოფის აქტიურობასთან, ემბრიონული ქსოვილების წარმოქმნასა და ფიზიოლოგიური პროცესების საერთო გაძლიერებასთან.

ორგანიზმის დაბერება — ორგანიზმის ცხოველყოფილობის შესუსტება ხანში შესულასთან დაკავშირებით. სიბერე გამოიხატება ორგანიზმის მარეგულირებელი სისტემის შესუსტებით, ცილების სინთეზის შემცირებით ნაკლებქტიურ სტრუქტურათა დაგროვებით და ფიზიოლოგიური ფუნქციების საერთო დაქვეითებით, რასაც საბოლოოდ თან სდევს ორგანიზმის დასუსტება და ბოლოს, ბუნებრივი სიკვდილი.

ორგანიზმის ზრდა — იხ. ზრდა ორგანიზმისა.

ორგანიზმის შინაგანი გარემო — ორგანიზმის სისხლი, ქსოვილური სითხე და ლიმფა. შინაგანი გარემოთი მუარდებაკავშირი უჯრედებსა და გარეგან გარემოს შორის, რომლისგანაც უჯრედები ღებულობენ საკვებსა და ენგაზადს და აძლევენ თავისი ცხოველშოქმედების პროდუქტებს.

ორგანო — მრავალუჯრედიანი ორგანიზმის სხეულის ნაწილი, რომელიც ასრულებს გარკვეულ ფუნქციას და აქვს გარკვეული აგებულება.

ორგანოგენები — მთავარი ქიმიური ელემენტები, რომლებიც შედის ორგანულ ნივთიერებათა შენადგენლობაში (ნახშირბადი, წყალბადი, ენგაზადი, აზოტი და სხვ.).

ორგანოგენუმი — ორგანოთა ფორმირებისა და განვითარების პროცესი.

ორგანოგენუზი — იხ. ორგანოგენუზი.

ორგანოგრაფია — აღწერილობითი მორ-

ფლოროგია; ორგანიზმის ორგანოთა აღწერა.

ორგანოთა რედუქცია — მეგვიდრულად განმტკიცებული ამა თუ იმ ორგანოს განუვითარებლობა; როდესაც სახეობის ან სახეობათა წვედის ხანგრძლივი ფლოგენეზის განმავლობაში რომელიმე ორგანომ განიცადა საწინააღმდეგო განვითარება, გადაიქცა არადიფერენცირებულ ორგანოდ და დაკარგა თავისი ფუნქცია, მაგ, რედუქცია განუვლიდა მრავალი პარაზიტი და საფროფიტი მცენარის ფოთლებს, რომლებიც გადაქცეულია პატარა ქერქლებად.

ორგანოთა ხისტემები — ორგანოთა ჩვეულებები, რომლებიც ასრულებენ საერთო ფუნქციას, მაგალითად, შობილობის ორგანოები, სკუმლის მომწელებელი ორგანოები და სხვ.

ორგანოიდები — უჯრედის განსაკუთრებული სტრუქტურები, რომლებიც ხასიათდება სპეციფიკური აგებულებით, კიმიური შედგენილობით და ასრულებენ მნიშვნელოვან ფუნქციებს უჯრედის ცხოველმომწელებაში. ორგანოიდებია ე. წ. ქონდრიოსომები, პლასტიდები და სხვ.

ორგანოპლასტაქა — რაიმე ორგანოს ან ქსოვილის გადანერგვა სამკურნალო მიზნით.

ორგანოპარატები — პრეპარატები, რომლებსაც იღებენ ცხოველთა შინაგანი სეკრეციის ჩირკვლებისაგან და, აგრეთვე, სხვა ორგანოებისა და ქსოვილებისაგან.

ორგანული ხაშვარო — ცოცხალი ბუნება; ცოცხალ არსებათა ერთობლობა, რომლითაც დასახლებულია დედამიწის სფერო.

ორდინაცია — მცენარეულობის ანალიზის ერთ-ერთი მეთოდი, რაც მდგომარეობს თანასაზოგადოებებს განაწილებაში წინასწარ დადგენილი კლასების სერიაებში ერთი ან ორი ორდინატის ღერძის მიხედვით.

ორეოფიტები — მთის მცენარეები; ჩვეუ-

ლებრივ ორეოფიტებს უწოდებენ მაღალმთის (ალპურ) მცენარეებს.

ორთოგენეზი — 1. ცოცხალი ბუნების მიზანმიმართული ევოლუცია, რომელიც მიმდინარეობს ერთი გარკვეული მიმართულებით და გაიზარებულაა შინაგანი ფაქტორებით. „სწორხაზოვანი“ ევოლუცია. 2. ამ ტერმინს ხმარობენ აგრეთვე იმ ფაქტის აღსანიშნავად, რომ ევოლუციის მიმართულება ხასიათდება გარკვეული ორიენტაციით. **ორთონოტი** — ნამდვილი სახეობათა შორის ჰიბრიდები წყალხმელეთა ცხოველებში; ამასთან ბირთვები რჩებილილიდური და ინარჩუნებს ორივე მშობლის ქრომოსომებს.

ორთოპედია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს და მკურნალობს ხერხემალისა და კიდურების დეფორმაციებს.

ორთოპლოდია — მონოპლოიდური ქრომოსომული ანაწყობის ერთგვარი ვარადა წვეილი რიცხვით, რაც იწვევს დიპლოიდურ, ტეტრაპლოიდურ, პექსაპლოიდურ და ა. შ. ორგანიზმების წარმოქმნას.

ორთოპოე — სუნთქვის გაძნელება მწოლიარე მდგომარეობაში.

ორთოხელექცია — გადარჩევის პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს ნიშანზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთი და იმავე მიმართულებით, განაგებს შემგუებლობით ნიშნების განვითარებას და შეუძლია ორთოგენეზის იმიტირება.

ორთოხტიქი — სწორი ხაზი, რომელიც შეიძლება გაველოთ ღეროს ან ფესვის გასწვრივ, ისე რომ შის მიერ შეერთებული იყოს ვერტიკალურ რიგებად განწყობილი ფოთლები, კვირტები ან გვირდითი ფესვები.

ორთოტროპიზმი — მცენარის მზარდი ორგანოების ორიენტაცია გამოზიანების მიმართულების პარალელურად.

ორთოტრამული ორგანოები — ვერტიკალურად განლაგებული ორგანოები;

მათ როგორც წესი აქვთ რადიალურ-სიმეტრიული აგებულება (მთავარი ღერო, მთავარი ფესვი); გარემო პირობების შეცვლით ორთოტროპული ორგანოები შეიძლება შეიცვალოს პლაგიოტროპულ (პორიზონტალურად განლაგებულ) ორგანოებად, რაც შესაძინეია, მაგ., გართხმულ ფორმებში.

ორიზენი — ცილა, გლუტენინების ჭკუფიდან, რომელსაც შეიცავს ბრინჯის მარცვლი.

ორიქტოცენოზი — ცხოველთა და მცენარეთა ნაპარხი ფორმების კომპლექსი, რომელიც გვხვდება ამა თუ იმ ფენაში.

ორლაუფიანიები — თავფეხიანი მოლუსკების ერთ-ერთი ქვეკლასი, რომლის წარმომადგენლებს ჩვეულებრივ გააჩნია ორი ლაუჩი, ორი წინაგული და ორი თირკმელი.

ორლებნიანი მცენარეები — ფარულთესლოვანი მცენარეების ერთ-ერთი კლასი, რომლის წარმომადგენლებისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია: ჩანასახში, როგორც წესი, ორი მოპირისპირედ მქდომი ლეზნის არსებობა; ბადისებრ ძარღვიანი ფოთლები; მთავარღერძიანი ფესვთა სისტემა; ხუთ ან ოთხწევრიანი ყვავილი და სხვ.

ორმაგად მსუნთქვენი — თევზების ერთ-ერთი ქვეკლასი, რომლის წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელია როგორც ლაუჩებით, ასევე ფილტვებით სუნთქვა (ფილტვების როლს სახეცელი საპაერო ბუშტი ასრულებს).

ორმაგი აკომოდაცია — თვალის აკომოდაცია ფრინველებში ბროლის ფორმისა და ბროლსა და ბადურას შორის მანძილის შეცვლით, რაც ხდება თვალის კაქლის ფორმის ცვლილებადობით სკლერის ორგვლივ მდებარე კუნთების მოქმედებით.

ორმაგი განაყოფიერება — ფარულთესლოვანი მცენარეების განაყოფიერება, რომლის არსი იმაში მდგომარეობს,

რომ ჩანასახოვან პარკში შეკრილი ორი სპერმიდან (გენერაციული ბირთვიდან) ერთი ერწყმის კვერცხუჯრედს (ამის გამო ის დიპლოიდური ხდება), ხოლო მეორე — ცენტრალურს ანუ მეორეულ, უკვე დიპლოიდურ ბირთვს, რის შედეგადაც ის ტრიპლოიდური ხდება. განაყოფიერებული კვერცხუჯრედისაგან ჩანასახი ვითარდება, ხოლო ტრიპლოიდური ბირთვისაგან — ენდოსპერმი.

ორმაგი დიპლოიდი — ორგანიზმი, რომელსაც გააჩნია დიპლოიდური ქრომოსომული ანაწყობი ორივე მშობლიდან.

ორმაგი დომინანტი — ორი დომინანტური კომპლემენტური გენი.

ორმაგი მონოსომი — დიპლოიდური ინდივიდი, რომელსაც აქვია თითო ქრომოსომი ორი სხვადასხვა წყვილი ქრომოსომიდან (2n — 1 — 1).

ორმაგი ნომენკლატურა — იხ. ბინალური ნომენკლატურა.

ორმაგი ხმორა — ორბირთვიანი სპორა, რომელიც წარმოიქმნება შეიოზის პირველი დაყოფის შემდეგ.

ორმაგი ყვავილხაფარა — ფარულთესლოვან მცენარეთა ყვავილხაფარი, რომელიც შედგება ჭამისაგან და გვირგვინისაგან.

ორმაგი ჰაპლოიდი — დიპლოიდური ორგანიზმი, რომლის ქრომოსომული ანაწყობი შედგება ორი, სისტემატიკურად ურთიერი დაშორებული, სახეობის ჰაპლოიდური ანაწყობისაგან.

ორნითოფამია — ფიგეა რაც ორნითოფილია.

ორნითოლოგია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს ფრინველებს; მათ სისტემატიკას, ბიოლოგიას, თავისებურებებს, გავრცელებას, სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობას და ა. შ.

ორნითოფაუნა — ფრინველთა ფაუნა; რომელიც გარკვეულ ტერიტორიაზე გავრცელებულ ფრინველთა ერთობლიობა.

ორნითოფილა — მცენარეთა ყვავილის

დამტერვა ფრინველების დახმარებით.

ორნითოქორია — მცენარის ნაყოფებისა და თესვების ფრინველებით გავრცელება.

ოროგრაფიული ფაქტორები — ეკოლოგიური ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია ადგილის რელიეფზე (დაქანება, ფერდობის ექსპოზიცია, სიმაღლე ზღვის დონიდან და ა. შ.).

ორსაგდულიანები — მოლუსკების ერთ-ერთი კლასი, რომლის წარმომადგენლები ხასიათდება ორსაგდულიანი ნიჟარით და დიდი ზომის ფირფიტისებრი ლაყურებით. მათ ფირფიტაყუჩიანებსაც უწოდებენ. ცხოვრობენ როგორც ზღვებში ასევე მტკნარ წყლებში.

ორსაპრელაიანები — ჩანთოსანი ძუძუმწოვრების ერთ-ერთი ქვეკრიგი, რომელთაც ქვედა ყბაზე აქვთ ორ-ორი დიდი ზომის საპრელი კბილი (ავსტრალიური კენგურუ, ჩანთოსანი ცოყვი და სხვ.).

ორსახლანო მცენარეები — სახეობები, რომლების ერთ ინდივიდზე ვითარდება მხოლოდ მამრობითი (მტკრიანიანი) ყვავილები, ხოლო მეორეზე მხოლოდ მდედრობითი (ბუტკიანიანი) ყვავილები, მაგ., ვერხვი ტირიფი, კანაფი და სხვ.

ორსახლანობა — იხ. დიეცია.
ორსახლანანი ყვავილი — ყვავილი რომელშიც განვითარებულია მტკრიანებიც და ბუტკოც (ან ბუტკოები).

ორფილტვანება — ორმაგად შესუნთქავი თევზები, რომელთაც ორი ფილტვი აქვთ (აფრიკული პროტოფტერუსი).

ორფრთიანნი — ფრთიანი მწერების ერთ-ერთი რიგი, რომელთაც აქვთ ერთი წყვილი წინა ფრთა; მეორე წყვილი ფრთა კი რედუცირებულია და საბზუილედაა გადაქცეული. (კოლო, ბუზი და სხვ.).

ორშრიანნი — ცხოველები, რომელთაც სხეული შედგება უჯრედების ორი შრისა-

გან ექტოდერმისა და ენტოდერმისაგან, მათ მიეკუთვნება ღრუბელები და ნაწლავლრუიანები.

ორწლოვანი მცენარეები — მცენარეები, რომლებიც ცოცხლობენ 2 სავებეტაციო პერიოდის განმავლობაში. პირველ წელს უვითარდებთ ვეგეტატიური ორგანოები, მეორე წელს — ყვავილი და ნაყოფი, შემდეგ კი მცენარე კვდება (სტაფილო, კომბოსტო, კარხალი).

ორჭერ ფრთისებრი ფოთოლი — რთული ფრთისებრი ფოთოლი, რომლის მთავარ ყუნწზე ფოთოლაკების მაგიერ განვითარებულია მეორე რიგის ერთა წყება ყუნწები, რომლებზედაც ფოთოლაკები ფრთისებრანა განწყობილი (გლედისიას, შიმოზას და სხვ. ფოთოლი).

ოსიინი — ძვლის შემადგენლობაში შემავალი ორგანული ნივთიერება; მისგან შედგება ძვლის ფირფიტის შორისული ნივთიერების წვრილი ბოქვოები.

ოსიფიკაცია — გაძვალება.

ოსკულუმე — ნასვრეტი, რომელიც მიედინება ღრუბელას სხეულის პარავასტრალურ ღრუში; მდებარეობს იმ მხარის მოპირისპირედ რომლითაც ცხოველი სუბსტრატზეა მიმაგრებული.

ოსმალური კეხი — იხ. თურქული კეხი.

ოსმორავულიაცია — ოსმოსური წნევის სიდიდის რეგულირება ორგანიზმში გარეშო პირობების მოქმედების შესაბამისად.

ოსმორავულირება — იხ. ოსმორავულიაცია.

ოსმორეცეპტორები — ნორმალური ოსმოსური წნევიდან გადახრების შემგრძნები რეცეპტორები (მდებარეობენ სისხლძარღვთა კედლებში).

ოსმოზი — ნივთიერებათა (მეტწილად ხსნარების) დიფუზია გამჟოლავ ტიხრებში, რომლითაც გამოყნულია (გაყოფილია) ხსნარი და სუფთა გამხსნელი ან სხვადასხვა კონცენტრაციის მქონე ორი ხსნარი ერთმანეთისაგან.

ოსმოსურა პოტენციალი — უკრედის წვენის ოსმოსური წნევა, რომელიც შეუძლია დასძლოს ამა თუ იმ ხსნარმა გარემოდან საცხებით ნახევრადგამკოლვად აქეში წყლის შეწოვისას; „ბელოენურ უკრედებზე“ ცდების დროს ოსმოსური პოტენციალი შეიძლება გაიზომოს ვერცხლის წყლის მანომეტრით.

ოსმოსური წნევა ორგანიზმიზა — წნევა, რომელიც წარმოიქმნება გახსნილ ნივთიერებათა მიერ გამხსნელში; წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს ქსოვილებში წყლისა და გახსნილ ნივთიერებათა განაწილებაში.

ოსმოტაქსიზი — ორგანიზმების თვისება გადაადგილდეს მაღალი ან დაბალი ოსმოსური წნევის მხარეზე.

ოსმოფილურა მცენარეები — მცენარეები, რომლებიც ცხოვრობენ მაღალი ოსმოსური წნევის შქონე გარემოში (მლაშე ტბების წყალცენარეები, ფიქის თაფლის სოკოები და სხე).

ოსტეობლასტები — შემაერთებულქსოვილოვანი, დიდბირთვიანი უკრედები, რომელთა განვითარების ხარჯზე ხდება ხრტილის შეცვლა ძელის ქსოვილთ.

ოსტეოგრაფია — ჩონჩხის ძვლების აღწერა.

ოსტეოდენტინი — ძელის ნივთიერება, რომლისგანაც შედგება თევზის პლაკოიდური ქერკლი: ახლოს ღვას კბილის დენტინთან.

ოსტეოკლასტები — დიდი ზომის მრავალბირთვიანი უკრედები, რომელთა განვითარების ხარჯზე ხდება ძელის ნაწილობრივი დაშლა მისი საბოლოო ფორმირების დროს.

ოსტეოლოჯია — ანატომიის დარგი, რომელიც სწავლობს ძვლების ფორმასა და სტრუქტურას.

ოსტეომა — ძელის ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე.

ოსტეომიელოტი — ძელის ტენის ანთება.

ოსტეონი — ძელის ქსოვილის ძირითადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც შედგება პოვერსის არხისაგან, მასზე გარშემორტყმული პოვერსის ფირფიტების სისტემით.

ოსტეოპათია — ძვლების სხვადასხვა დაავადების საერთო სახელწოდება.

ოსტეოპოროზი — ძელის ფორიანობის ვადიდება.

ოსტეოსკლეროიდეზია — გაქეავებული უკრედები, რომლებიც გაფართოებულია ორივე ბოლოში: გვხვდება, მაგალითად, ჩაის ფოთლებში.

ოსტეოციტები — ძელის უკრედები, რომელთაც აქეთ მრავალრიცხოვანი შორჩები.

ოსტია — ფეხსახსრიანთა გულის წყელო, ნაპარალისებრი ნასერეტი, რომელთაც სარქველები აქეთ.

ოსტრაკული — მონუსკების ნიჟარის შუა, ყველაზე განვითარებული შრე, რომელიც შედგება ნახშირბეაჟა კირისაგან.

ოსცილოგრაფი — ელექტროხელსაწყო, რომლითაც შეიძლება დაეკვირდეთ ელექტრულ და არაელექტრულ სიდიდეთა სწრაფ რხევებს ან ჩაყენართ ისინი მრუდის სახით.

ოტოლოთები — ობ. ოთოლოები.

ოტორინოლარინგოლოჯია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ყურის, ცხვირის, ყვლისა და მათ მომიჯნავე არეების დაავადებას.

ოფთალმოლოჯია — მეცნიერება, თვალის სწეულებათა და მათი მეურნალობის შესახებ.

ოფიოლოგები — ზოგიერთი კანეკოვანი ცხოველის თავისუფლად მკურავი ლარვა.

ოფლდენა — ძუძუმწოვარ ცხოველთა სხეულის ზედაპირზე ოფლის გამოყოფა, რომელიც თავისი შედგენილობით შარდს უახლოვდება. ოფლის

აორთქლებით ხორციელდება სხეულის გაგრილება.

ოფტალმოლოგია — იხ. ოფტალმოლოგია.

ოქსალატური ხისხლი — სისქლი, რომელშიც შეყვანილია მჟაუნმჟაუნის მარილები, სისხლის შედედების თავიდან აცილების მიზნით.

ოქსიგენაზი — ქსოვილებში მყოფი ორგანული ნოვთიერება, რომელსაც აქვს მოლეკულურ ენგბაღთან შეერთების უნარი, რის შედეგადაც წარმოიქმნება ზეჟანგი (ა. შახის თეორიის მიხედვით).

ოქსილაზები — დამკანკეელი პროცესების გამაქტივებელი ფერმენტები.

ოქსიორედუქტაზები — ენგვა-აღდგენითი ფერმენტები.

ოქსილომეზოფიტები — მეზოფიტები, რომლებიც შეგუებულია ჭეავე ნიდაგებზე ცხოვრებას.

ოქსილომეზოპიგროფიტები — მეზოპიგროფიტები, რომლებიც შეგუებულია ჭეავე ნიდაგებზე ცხოვრებას; უკაცოათ შუალედი მდგომარეობა ოქსილომეზოფიტებსა და ოქსილოპიგროფიტებს შორის. მათ ზოგჯერ მეზოოქსილოფიტებსაც უწოდებენ (მცენარე ცელიანა).

ოქსილოფილური მცენარეები — იხ. ოქსილოფიტები.

ოქსილოფიტები — მცენარეები, რომლებიც ამჟობინებენ ჭეავე ნიდაგებს. მათ ეკუთვნის ოქსილომეზოფიტები, ოქსილომეზოპიგროფიტები, ოქსილოპიგროფიტები, მაგ., ტორფიანი ჭაობის მცენარეები (ტორფის ხაესი, მტოში, წყლის იელი, ქონდარა არყი და სხვ.).

ოქსილოპიგროფიტები — პიგროფიტები, რომლებიც შეგუებულია ჭეავე გარემოში ცხოვრებას. მათ ხშირად ოქსილოფიტებს უწოდებენ. მაგ., წყლის ბამბა.

ოქსიოცინი — პიოფიზის უკანა მონაკეითის პარმონი, რომელიც ახდენს საშვილოსნოს შეკუმშვის სტიმულირებას.

ოქსიპრომატინი — ბირთვის სტრუქტურის ნაწილი, რომელიც იღებება ჭეავე საღებავებით.

ოქსიპრომატინი — ქემოგლობინის ენგბაღთან შენაერთი (ქემოგლობინის ენგვი).

ოქსიფენი — იხ. ლატექსი.

ოქსი — სისტემატიკური კატეგორია, რომელიც აერთიანებს ახლო მდგომ მონათესავე გვარებს.

3

მათაფიში — აკი ზოგიერთი ცხოველის კიდურებსა და სხეულს შორის, რომელიც ასრულებს პარაშუტის როლს (ლაპერებში).

მათოგენეზი — ავადმყოფობის წარმოშობისა და განვითარების თანმიმდევრობა.

მათოგენეზიტი — იხ. მათოგენეზი.

მათოგენური — ავადმყოფობის მატარებელი; დაავადების გამომწვევი, მაგ., მათოგენური ბაქტერიები.

მათოლოგია — 1. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ორგანიზმთა ავადმყოფო-

ბის პროცესებს, 2. არანორმალურობა, სიმპინჯე.

მათოლოგიური — 1. მათოლოგიასთან დაკავშირებული, მაგ., მათოლოგიური ანატომია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს ქსოვილებისა და ორგანოების აგებულებასა და დაავადების შედეგად გამოწვეულ ცვლილებებს. 2. მახინჯი: ავადმყოფურად არანორმალური.

მათოტიპი — ინდივიდების ჭკუფი, რომელსაც აქვს ერთი და იგივე მათოლოგიური ნიშანი.

პალეარქტიკა — I. პოლარქტიკის აფრიკა-ევრაზიის ნაწილი, რომელსაც ზოგაერთი ზოოგეოგრაფი გამოყოფს დამოუკიდებელ ზოოგეოგრაფიულ ოლქად. 2. პოლარქტიკული ფლორისტული ოლქის ევრაზიული ნაწილი.

პალეოანთროპოლოგია — ანთროპოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს განაპარჩევილი ადამიანის ნაშთებს.

პალეობიოლოგია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს ნაპარჩევილი ორგანიზმებსა და მათ ურთიერთობას თანამედროვე ორგანიზმულ სამყაროსთან ისტორიული განვითარების პროცესში.

პალეობოტანიკა — პალეონტოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს წარსული გეოლოგიური ეპოქების განაპარჩევილი მცენარეებს; ფიტოპალეონტოლოგია.

პალეოგეა — ზოოგეოგრაფიული კატეგორია, რომელიც მოიცავს მადაგასკარის, ეფიოპიის და ინდო-მალაის ზოოგეოგრაფიულ ოლქს.

პალეოგეობოტანიკა — პალეობოტანიკის დარგი, რომელიც სწავლობს წარსული ეპოქების მცენარეულ საფარს.

პალეოგენატური ფრინველები — უძველესსაიანი ფრინველების ჯგუფი, რომელშიც სასის ჩონჩხის თავისებური აგებულების ნიშანთვისებით აერთიანებენ უძვედო ფრინველებს (სირაქლემა, საშხრეთ-ამერიკული ტინამუ და სხვ.).

პალეოგეოლოგია — პალეონტოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს უძველესი ნაპარჩევი ორგანიზმების დამოკიდებულებას მათ ირგვლივ მყოფ ორგანიზმულ და არაორგანიზმულ გარემოსთან.

პალეოენდემიოზმი — უძველესი ანუ რელიქტური ენდემიზმი, რომელიც წარმოქმნილია ადრეული ფართო არეალის შემცირებით; ვიწრო, შემორჩენილი არეალი, რომელიც გა-

პირიბებულია მოცემული ჯგუფის უძველესობით, რომლის დიდი ნაწილი გადაშენებულია.

პალეოზოოგრაფია — უზარმაზარი ნაპარჩევი ხელი.

პალეოზოოლოგია — პალეონტოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს წარსული გეოლოგიური ეპოქების გადაშენებულ ცხოველებს.

პალეოზოოური ერა — დედამიწის ისტორიის ერთ-ერთი (პეტროზოოლოგიის შემდგომი და მეზოზოოურის წინა) ერა.

პალეონისციდები — ძვლიანი თევზების ერთ-ერთი ევოლუციური შტო, რომლებიც გაჩნდნენ შუა დეკონში.

პალეონტოლოგია — მეცნიერება წარსული გეოლოგიური ეპოქების ნაპარჩევი ცხოველთა (პალეოზოოლოგია) და მცენარეთა (პალეობოტანიკა) შესახებ.

პალეონტროპი — იგუევა რაც ნეანდერტალელი.

პალეონტროპიკული ოლქი — ფლორისტული ოლქი, რომელიც მოიცავს აფრიკას (ჩრდილო ტროპიკებიდან კამის ოლქამდე), ტროპიკულ არაბეთს, ინდოჩინეთს, ფილიპინებს, პოლინეზიის, მელანეზიის კუნძულებს. თავის მხრივ იყოფა ინდო-აფრიკის, მელანეზიის და ახალი ზელანდიის ქვეოლქებად.

პალიდუმი — ზოლიანი სხეულის ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს რუხი ნივთიერების თავმოყრას თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების სიღრმეში. მას მკრთალ შრესაც უწოდებენ.

პალინგენეზი — ფილოგენეზის განმეორებითი სტადია ონტოგენეზში, რაც ეკონიდება წინაპართა ნიშნების გამოჩენით ჩანასახის განვითარებაში. მაგ., ლაუჩის ხერცელები ხმელეთის ხერხემლიანთა ჩანასახში (ტერმინი შემოღო ე. ჰეკელმა).

პალეონოლოგია — ბოტანიკის დარგი,

რომელიც სწავლობს მეცნიარის მტკარის მარცხლისა და სპორების მორფოლოგიას.

პალმელისებრაი მდგომარეობა — უჩრდ-დების ლორწოვანი გროვები შოლტონებსა და ზოგიერთ მწვანე წყალ-მცენარეში. წარმოიქმნება გამრავლების შედეგად მიღებული ახალი ინდივიდების—უჩრდების არახელსაყრელ პირობებში (ჯანგაღის სიმცი-რე ან უწყლო, მაგრამ ნოტიო არე-ში განვითარება) მოხვედრისას. შესაფერის პირობებში მოხვედრის შემთხვევაში ამ გროვების უჩრდები ივითარება შოლტებს და იწყებენ ამოიუციდებელ ცხოვრებას.

პალმები — მრავალჯგირიანი კიების პარასტომიუმის (თაგის ნაწილი) გვერდებზე მიმაგრებული წყვილი სა-ცეცი, რომელიც გრძნობის ორგა-ნოდ ითვლება. იხ. უღვაში 2.

პამპახები — სამხრეთ ამერიკის ველები (სტამბები).

პანალელი — კრებადი, საერთო სახელი ერთი ლოქუსის ყველა ალელისა.

პან-ალოპლოიდი — ალოპლოიდური ან ალოპოლიპლოიდური ფორმები უფრო ვიწრო გაგებით, ე. ი. ისეთი ფორმები, რომელთა ქრომოსომული ანაწყოები მკვეთრადაა განსხვავებული სტრუქტურულად. რის შედეგადაც სხვადასხვა გენომის პოლო-გოური ქრომოსომებისათვის დამახა-სიათებელი ამოციდებულება მათ არ გააჩნია.

პან-აუტოპლოიდი — მკაცრად დაცული აუტოპლოიდური ან აუტოპოლიპ-ლოიდური ფორმები ციტოგენეტიკუ-რად მთლიანად ან თითქმის მთლია-ნად იდენტურ ქრომოსომთა ანაწ-ყობით. მას მიეკუთვნება წმინდა ხა-ვის ყველა ექსპერიმენტული აუტო-პლოიდი და ზოგიერთი ბუნებრივი აუტოპოლიპლოიდი.

პანგენები — უჩრდების უწვრილესი, პი-პოთუზური ერთეულები; ფიქრობდნენ, რომ ისინი ლოკალიზებული არიან

მხოლოდ ბირთვში; შემდეგში კი აღმოჩნდა, რომ ისინი ლოკალიზებუ-ლია ციტოპლაზმაშიც. პანგენებს. მიიჩნევდნენ ცალკეული მექვიდრუ-ლი მონაცემების მატარებლად.

პანგენეზიზმი — ჩ. დარვინის მიერ შე-მოთავაზებული მექვიდრეობითო-ბის პიპოთეზა. ამ პიპოთეზის თა-ნახმად ორგანიზმის ცალკეული თი-შანი წარმოდგენილია ჩანასახის ყო-ველ უჩრდში გაკეცილი მატერია-ლური ნაწილაკებით, ე. წ. გემულე-ბით, რომელთაც აქვთ კვებისა და გამრავლების (დაყოფის გზით) უნა-რი. უჩრდის დაყოფისას ეს ნაწი-ლაკები ნაწილდებიან შეილუელ უჩ-რდებში. ორგანიზმის უჩრდები განვითარების ყველა სტადიაში გა-მოყოფენ ამგვარ გემულებს და აწე-ლიან ჩანასახის უჩრდებს. გემულე-ბი ჩანასახის უჩრდებს გადასემენ: იმ ნიშნებს, რომლებიც შექნილი-იყო შესაფეროსი ნაწილის უჩრდების მიერ მათი განვითარების პროცესში.

პანგენოსომები — კარიოკინეზის დროს შესამჩნევი ქრომატინული კომპლექ-სები, რომლებსაც ადრე პანგენების. კომპლექსებად თვლიდნენ, ამეამად-მათ ქრომოსომებს უწოდებენ.

პანგრაფაცია — გენეზისურად მსგავსი ფრატრიების გაერთიანება; ფრატრე-ნობების გენეზისური კლასიფიკა-ციის კატეგორია.

პანდემია — ეპიდემია, რომელიც ედება მოსახლეობის დიდ ნაწილს, მთელ-რიგ ქვეყნებს; რაიმე დაავადების ფართოდ გავრცელება.

პანზოტია — ცხოველთა ინფექციური დაავადება, რომლითაც მრავალი ცხოველი ავადდება. ცხოველთა რაიმე დაავადების ფართოდ გავრცელება.

პანკრეასი — ექუქეემა ჰირკვალე. რომე-ლიც მდებარეობს ექუკის ქვემოთ და სადინარით იხსნება თორმეტ-გოჯა ნაწლაეში. გამოყოფს საქმლის მომწნელებელ წვენს. პანკრეასის.

ქსოვილებში განლაგებულია აგრეთვე ე. წ. შინაგანი სერეციის ჩირკლეების უჯრედების ჯგუფი, ე. წ. ლანგერჰანსის კუნძულები, რომლებიც გამოყოფენ პირიმონ ინსულინს.

პანკრეასის წენი — ექვქვეშა ჩირკეალში გამოყოფილი საქმლის მომწელებელი წენი, რომელიც საღინართ ჩაედინება თორმეტგოჯა ნაწლავში. შეიცავს ფერმენტებს, რომლებიც მოქმედებს სამივე სახის ნივთიერებაზე: ცხიმებზე, ცილებზე და ნახშირწყლებზე.

პანკრეატული ჩირკვალი — იხ. პანკრეასი.

პანმიქსია — ინდივიდების სრულიად თავისუფალი შეჯერება პოპულაციის ფერკლებში, ამასთან შეწყვილების ყველა კომბინაციას აქვს თანაბარი ალბათობა.

პანსპერმია — იდეალისტური შეხედულება სიცოცხლის წარმოშობის შესახებ. ამ შეხედულების თანახმად სიცოცხლე წარმოიშვა ერთი პლანეტრიდან მეორე პლანეტაზე მარადიული და უცვლელი ჩანასახის გადატანით.

პანსპორობლასტები — ლორწოვანი სპორიანების 2რავალბირთვიანი ინდივიდების წყვილ-წყვილად კოპულირებული ბირთვების ირგვლივ არსებული პლანქტის გამოცალკეებული უბნები, რომლებიც შემდეგში სპორებს იძლევა.

პანტოკრინი — სამკურნალო პრეპარატი, რომელსაც ამზადებენ ხალიანი ირჩის ჩვილი რქისაგან (დოიისაგან); იყენებენ სხვადასხვა დაავადებისას ტონუსის ასაწევად.

პანტომონი — მორფის შემცველი სამკურნალო პრეპარატი; იყენებენ როგორც ტკივილების გამაყუჩებელს და ძილის მომგვრელ საშუალებას.

პანტოტერი — ძუძუწოვარ ცხოველთა ერთ-ერთი ჯგუფი, რომელიც როგორც ფიქრობენ, წარმოიქმნა ტრი-

სის ბოლოს და ცარცის პერიოდში. საწყისი მისცა ჩანთოსან და პლაცენტის ცხოველებს.

პანტოფაგია — მრავალი სახის საკვებით კვება.

პანფორმაცია — მცენარეული ფორმაციების გაერთიანება (შვედური კლასიფიკაციით).

პაპავერინი — ოპიუმის ერთ-ერთი ალკალოიდი; იხმარება როგორც ტკივილების გამაყუჩებელი და სისხლძარღვთა გამათაროებელი საშუალება (შეიცავს ყაყაჩოსებრთა ზოგიერთი წარმომადგენელი).

პაპაინაზები (პაპაინიდან) — პაპაინის ტიპის ფერმენტები, რომელთაც მიეკუთვნება თითქმის ყველა მცენარეული პროტეინაზები.

პაპაინი — პროტეინაზების ჯგუფის ფერმენტი, რომელიც ხელს უწყობს ცილების პიდროლიზს ნეიტრალურ ან სუსტმეფე არეში. იღებენ ნესვის ხის ნაყოფის წვენიდან.

პაპაიოტინი — იხ. პაპაინი.

პაპილარული მოხატულობა — მოხატულობა, რომელიც წარმოიქმნება ლილეკისებრი წვრილი ღარებით კანის ზედაპირზე; შესამჩნევია ტერფზე, ხელისგულზე და თითების ქვედა მხარეზე.

პაპილები — შეხების ფუნქციის შემსრულებელი გამონაზარდები (მორჩები). რომლებიც ქიებს განლაგებული აქვს თავის ბოლოზე, მოლუსკებს კი მანტიის ღრუს ნაპირებზე.

პარაბაზალური ხხეული — იხ. ბლეფარობლასტები.

პარაბიოზი — 1. ავზნებადი ქსოვილის მდგომარეობა ძლიერი გაღიზიანების შემოქმედების შედეგად, რომელიც ხასიათდება გამტარებლობისა და ავზნებადობის დაქარგვით, ე. ი. შეკავების ნიშნებით. 2. ორი (იშვიათად სამი) ორგანიზმის ერთიმეორესთან ხელოვნურად შეზრდა მათი ორგანოებსა და ქსოვილთა ურთიერთგა-

ლენის შესწავლის მიზნით.

პარაზიტები—განვითარებადი კვერცხის ზედა ბლასტომერების ქვეშ განლაგებული ყუითრის ფენა ბირთვებით (მაგ., მრგვალპირიანების — Agnathina-ის კლასის წარმომადგენლებში).

პარაბოლური ზრდა — ზრდა, რომელიც გრაფიკული გამოსახებისას იძლევა მრუდის სწრაფ და მკვეთრ აწევას, ხოლო შემდეგ იცლება ზრდის სისწრაფის დაკემით.

პარაბროქები — ფილტვებში შემაველი ბროქების განშტოებების შემაერთებელი მილები.

პარაგანგლიუმი — სიმპათიური ნერვული კვანძების შეერთებანი. ადრენალინის გამოყოფ უკრებდებთან (ქრომაფინულ უკრებდებთან).

პარაგასტრალური ღრუ — ღრუბელების სხეულის შიგნითა ღრუ.

პარავენომი — სახეობა, რომელიც თავისი არეალის ფარგლებში, რამდენიმე აბერანტული გენოტიპის გამოკლებით, ამჟღავნებს მხოლოდ შედარებით მცირე გენეტიკურ და მორფოლოგიურ ცვალებადობას.

პარავენოპლასტი — იხ. პარაქრომატინი I.

პარაზიტი — ორგანიზმი, რომელიც ცხოვრობს სხვა ცოცხალ ორგანიზმზე ან ორგანიზმში და მის ხარჯზე საზრდოობს.

პარაზიტოზი — ორგანიზმთა ურთიერთდამოკიდებულების ერთ-ერთი ფორმა. სხედასხვა სახეობის ორი ორგანიზმის თანაცხოვრება, როდესაც ერთი ორგანიზმი (პარაზიტი) ცხოვრობს მეორის (მასპინძლის) ხარჯზე და ზიანს აყენებს მას. ხშირად პარაზიტი იწვევს მასპინძლის დაავადებასა და სიკვდილს.

პარაზიტოლოგია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს პარაზიტებს და მათთან ბრძოლის საშუალებებს.

პარაზიტოფუნა — მასპინძელ ცხოველზე დასახლებული პარაზიტების ერთობლიობა (იგივეა რაც პარაზიტოცენოზი).

პარაზიტოცენოზი — იხ. პარაზიტოფუნა.

პარათორიკული მორფონი — იხ. პარათორმონი.

პარათორმონი — პორმონი, რომელსაც გამოყოფს ე. წ. პარათორიკული ანუ თარისებრბალო ჭირკვალი; არეგულირებს ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთ მხარეს და კუნთოვან-ნერვული სისტემის აგზნებადობას.

პარაკარპული ვინცეუმი — ცენოკარპული ვინცეუმი ერთბედიანი ნასკეით; წარმოქმნილია მხოლოდ კიდევებით შეზრდილი მრავალი ნაყოფიერი თლისაგან. ასეთ ვინცეუმი პლაცენტები ნასკეის შიგნითა კედლების გასწვრივაა განლაგებული, ე. ი. პარიეტალურია (მოცხარში, ტრიფტში, იებსა და სხვ. მცენარეში).

პარალელიზმი — მსგავსი ნიშნების დამოუკიდებელი განვითარება მონათესავე ცხოველების ორგანოთა აგებულებაში, ერთნაირ გარემო პირობებთან შეგუების პროცესში.

პარალელოტროპული ორგანოები — იხ. ორტოტროპული ორგანოები.

პარალელური განვითარება — ახლობელი ფორმებისაგან მსგავსი ნიშნების მქონე ახალი განშტოებების წარმოქმნა ევოლუციის პროცესში.

პარალელური ევოლუცია — იხ. ევოლუცია პარალელური.

პარალელურძარღვიანი ფოთოლი — ფოთოლი, რომელიც ხასიათდება ერთმანეთის პარალელურად განლაგებული თანაბარი სიგრძისა და სისქის ძარღვებით (მარცვლოვნების, ისლების და სხვა ფოთლები).

პარალიზური ხეკრეცა — რომელიც სეკრეტორული ორგანოს ფუნქციის ამოუარდნა მისი ნერვატიის დარღვევის გამო.

პარამეტრიუმი — ფაშარი შემაერთებელქსოვილოვანი უკრედისი, რომელიც

ლიც განლაგებულია საშვილოსნოს გვერდებზე.

პარამილი — სახამებელთან ახლოს მდგომი სამარაგო საკვები ნივთიერება, რომლის მარაგად გადადება ხდება შოლტონებში უხვად კვების დროს.

პარამილის მარცვლები — ევგლენას სხეულის უკანა ნახევარში არსებული უფერული სხეულაკები, რომლებიც სამარაგო ნივთიერებას წარმოადგენს.

პარამიტოზი — მიტოზის ფორმა, რომელიც შეიმჩნევა უმარტივესებში და განსხვავდება უმბლესი და უმბაბლესი ორგანიზმების ემბიტოზური გაყოფის ტიპისაგან იმით, რომ ქრომოსომები პროფაზაში, მეტაფაზასა და ანაფაზაში ან სრულიად არ სპარაღდებიან, ან აკვლავნებენ სუსტ სპირალიზაციას.

პარამოზი — ტროპიკული ზონის მაღალმთის მეზოქსეროფილურ ფორმაცია მატყლისებრ შებუსეილი, მეტწილად დაბალ და მიწაზე. განრთხმული ბუჩქებითა და ბალახებით (გვხვდება სამხრეთ ამერიკის ანდებში).

პარანეტროციტები — განსაკუთრებული გამომყოფი უჯრედები, რომლებიც მდებარეობს ზოგიერთი მცირე ზომის ბრტყელი ჰიის სხეულის გვერდების გაყოფებით.

პარანუკლეინი — ნივთიერება, რომლისაგანაც შედგება ბირთვაცო.

პარაპლაზმა — იგივე, რაც დეიტოპლაზმა.

პარაპოდები — მრავალჯაგირიანი კიების მოძრაობის ორგანოები, რომლებიც ტანის ყველა სეგმენტის გვერდებზეა განლაგებული. წარმოადგენს სხეულის სეგმენტების კანკუთოვან, ჯაგრებით მოფენილ გამონაზარდებს.

პარაპოფიზი — მალის სხეულის ქვედა განივი მორჩა (ზოგიერთ თევზში).

პარაპსიდული ტიპის ქალა — რეპტილების ქალა საფეთქლის ერთი ფოსოთი, რომელიც მდებარეობს შუბლის უკანა და საფეთქლის ზედა ძელების ზემოთ.

პარახიმნათიკური ნერვული სისტემა — ძუძუმწოვარ ცხოველთა და ადამიანის ევგენტატორი ნერვული სისტემის ნაწილი; სიმპათიკურ ნერვულ სისტემასთან ერთად მონაწილეობს შინაგანი ორგანოების მოქმედებისა და ფიზიოლოგიური სისტემების (სისხლის მიმოქცევა, საკმლის მონელება, გამოყოფა) რეგულაციაში.

პარახინამახისი — იგივეა რაც პარასინდუზი.

პარახინდუზი — ჰომოლოგიური ქრომოსომების პარალელური კონიუგაცია მეიოზის პირველი გაყოფის პროფაზაში, რომელიც იწყება ზიგოტენაში და გრძელდება პახიტენამდე.

პარასტროფი — ქლოროპლასტების განლაგება ფოთლის მეზოფილის უჯრედებში, დაცემული სხივების მიმართ პარალელურად მდებარე კედლებთან; შეიმჩნევა კაშკაშა განათების დროს.

პარატაბი — იხ. კოტაბი.

პარატოფი — მუცლის ტიფის მსგავსი მწვავე გადამდები დაავადება.

პარატოზია — ზოგიერთი მცირეჯაგირიანი ჰიის უსქესო გამრავლება, რომლის დროსაც ჰიის რომელიმე უბანში ხდება სხეულის მონაკვეთის გამოცალკეება, ამ მონაკვეთების ერთ ბოლოში (წინა მხარეს) ვითარდება ჰიის სხეულის უკანა ნაწილი, ხოლო მეორე (უკანა ნაწილში), სხეულის წინა ნაწილი. ამის შემდეგ ხდება წარმოქმნილი მონაკვეთების დამოუკიდებელ ინდივიდალ ჩამოყალიბება.

პარატონური მოძრაობა მცენარისა — მცენარის ორგანოების მოძრაობა, რაც გამოწვეულია გარეგანი გამლიზიანებლებით.

პარატრაქეალური პარენქიმა მერქნისა — მერქნის პარენქიმა, რომელიც ემიქნება ტრაქეებს — ქურქლებს.

პარატროფები — ორგანიზმები, რომლებიც იყენებენ მასპინძელს უჯრედების ენერჯიას.

პარატროფული ბაქტერიები — ბაქტერიები, რომლებიც ვითარდებიან მხოლოდ რთულ ორგანულ ნაერთებზე. უმეტესი მათგანი აღამიანისა და ცხოველის პარაზიტია.

პარატოპორონი — იხ. პარათოპორონი.

პარაულიზები — მრავალუჯრედიანი ან ერთუჯრედიანი უნაყოფო ძაფები, რომლებიც განლაგებულია ზოგიერთი წაბლა წყალმცენარის, ხავსის, ბუერი ჩანთიანი და ბაზიდიანი სოკოს სასქესო ან სპორების წარმოშობა ორგანიზმში და იყავს მათ მქვანიკური დაზიანებისა და გამომარობისაგან.

პარაქორდლიუმი — ხრტილის მონაკვეთი, რომლითაც შემოხვეულია ქორდის თავის ნაწილი (მრგვალპირიანებში და სხვ.).

პარაქრომატინი — 1. ბირთვის აქრომატინული ნივთიერება, რომლიდანაც, როგორც ნაეარაუდევა, წარმოიქმნება თითისტარას ძაფები. 2. სიმსივნის უჯრედების ბირთვებში არსებული ნივთიერება, რომელიც მოგვაგონებს ბირთვების ნივთიერებას, მაგრამ მისგან განსხვავდება ლოკალიზაციით.

პარაქსიალური ორგანო — წაგრძელებული ფირფიტის ფორმის წარმონაქმნი, რომელთანაც მორიელის თესლგამტარია წინა ბოლოთი დაკავშირებული. თითოეული პარაქსიალური ორგანო ბოლოში ვიწროვდება და წარმოიქმნება წერილი დანამატი, რომელსაც ფლაგელუმი ეწოდება. პარაქსიალური ორგანოს წინა ნაწილი შეერთებულია და სასქესო ფორაში (ნასკრეტში) იხსნება.

პარამორფონები — ტერმინი შემოიღონ. ხოლდინმა ხელოვნურად სინთეზირებული ნივთიერებების აღსანიშნავად, რომელთაც აქვთ აუქსინის, პეტეროაუქსინისა და სხვა ფიტოპორმონების მსგავსი ფიზიოლოგიური მოქმედება.

პარენქიმა — 1. შემაერთებული ქსოვილი, რომლითაც ამოყვებულია ორგანოთაშორისი შუალედები ბრტეულ ქიებში და ზოგიერთ სხვა ცხოველში. 2. მცენარის ქსოვილი, რომელიც შექმნილია პარენქიმული — თანაბარი განზომილების მქონე (იზოდიამეტრიული) უჯრედებით; მონაწილეობს ფოტოსინთეზში და საკვებ ნივთიერებათა დაგროვებაში. იკვივარაუ ძირითადი ქსოვილი.

პარენქიმატოზული ქიები — ბრტეული ქიები.

პარენქიმელა — მრავალუჯრედიანი ცხოველების წინაპრად მიჩნეული პიპოთეზური ფორმა, რომელიც ჰკავს პარენქიმულას სტადიას (ი. მეჩნიკოვის თეორიით).

პარენქიმულა — მრავალუჯრედიანი ორგანიზმის განვითარების ორშირიანი სტადია, რომელიც წარმოიქმნება პლასტოდერმის უჯრედების ჩვეულის შიგნითა მხარეზე ჩაწვეითა (ნიმიკრაციით) და მათი შემდგომი გაზრდით.

პარენქიმული უჯრედები — ცოტად თუ ბევრად იზოდიამეტრული ე. ა. დაახლოებით თანაბარი განზომილების მქონე უჯრედები.

პარენქიმული ქსოვილი — 1. ქსოვილი, რომელიც შექმნილია პარენქიმული უჯრედებისაგან. 2. იხ. პარენქიმა.

პართენოგამია — დიპლოიდური ანუ სომატური პართენოგენეზი.

პართენოგამის — 1. ემბრიონის განვითარება მამრობითი ბირთვის მონაწილეობის გარეშე. 2. მცენარის ნაყოფის განვითარება განაყოფიერების გარეშე.

პართენოგენეზი — ჩანასახის განვითარება

რება გაუნაყოფიერებელი კვერცხუჯრედოდან. წარმოადგენს უსქესო გამრავლების ფორმას იმ ორგანიზმებში, რომელთაც ახასიათებთ სქესობრივი გზით გამრავლება. პარტენოგენეზი გვხვდება ბევრ უხერხემლო სოკელში: ფუტკრებში, ბუგვრებში, ზოგიერთ კიბოსნაირში და სხვ.; იმის მიხედვით შეიიკავს თუ არა კვერცხი განვითარების დასაწყისში რედუქციურულ თუ არარედუქციურულ ქრომოსომა რიცხვს ანსხვავებენ: 1. სომატურ ანუ დიპლოიდურ და 2. გენერაციულ ანუ პაპლოიდურ პარტენოგენეზს.

პარტენოგენონი — პარტენოგენეზური გზით განვითარებული ორგანიზმი დამოუკიდებლად იმისა, წარმოადგენს ის ზრდასრულ ორგანიზმს, ემბრიონს თუ ნაყოფს.

პარტენოგენია — გამრავლება გაუნაყოფიერებელი ჩანასახოვანი უჯრედის ხარჯზე.

პარტენოგენიდიები — წყალმცენარე ეოლოქსის შედარებით დიდი ზომის სპეციალური უჯრედები, რომლებიც ემსახურება უსქესო გამრავლებას.

პარტენოკარპია — უთესლო ნაყოფების განვითარება მცენარეებში განაყოფიერების გარეშე. გვხვდება კულტურულ მცენარეთა მრავალ ჯიშში: მსხალში, ყურძენში, შანდარიანში და სხვ., შემკვიდრულად მუდმივ პარტენოკარპიის გარდა არჩევენ სტიმულაციურ პარტენოკარპიას, რომელიც მიიღება სხვადასხვა ფიზიკური და ქიმიური გამლიზიანებლის ზემოქმედებით.

პარტენოკარპული ნაყოფი — განაყოფიერების გარეშე განვითარებული ნაყოფი, რომელიც თესლებს არ შეიკავს იმ შეიკავს ე. წ. „ფუჭ“, უჩანასახო თესლებს. გვხვდება კულტურულ მცენარეთა მრავალ ჯიშში.

პარტენომიქსისი — ორი მდებარეობით

ბირთვის შერწყმა ერთ მრავალბირთვიან ოოგონად.

პარტენოსპერმია — მცენარის თესლის განვითარება ჩანასახის გარეშე, უჩანასახოდ; შეიძინევა წიწვოვანებში, განსაკუთრებით ხშირია ლარიქსში.

პარტენოსპორა — სპორა, რომელიც ვითარდება გაუნაყოფიერებელი კვერცხუჯრედიდან რედუქციული დაყოფის გარეშე (აზიგოსპორა). გვხვდება, მაგ. წყალმცენარე ხარაში.

პარტენოტი — პაპლოიდური ორგანიზმი, რომელიც ვითარდება პარტენოგენეზური გზით.

პარაიტალური ფურცელი მუცლისა — იხ. მუცლის პარაიტალური ფურცელი.

პარაიტალური ორგანო — შექმემგარძნები დამატებითი ორგანო, რომელიც განვითარებული აქვთ ქვეყარმავლებს შუამდებარე ტენის სარქველზე.

პარაიტალური პლაცენტაცია — კედლისპირა პლაცენტაცია; თესლკვირტების განლაგება ნასკვის შიგნითა კედლების გასწვრივ (ნაყოფფოთლების კიდების შერზღის ადგილას). გვხვდება პარაკარპული გინეეუმის მქონე მცენარეებში.

გალიზიანების მიმღები წარმონაქმნე-
ბი, რომლებიც რაიმე გალიზიანების
მიღებისას იწყებენ ტივილის გრძლო-
ბას.

ტილხეტიანობა — იხ. პომოსტილია.

ტიმილარია — ხეშეშფოთლიანი ნახევ-
ვრადბუჩქების რაყა ხმელთაშუა
ზღვის მხარეში. ძირითადად შექ-
მნილია ბეჭქონდარას, როზმარინისა
და სხვ. სახეობებით.

ტიონოლახტი — მცენარეული უჯრედის
შემზრანა — ფისკი, რომლითაც ვაკუ-
ოლები გამოიწვლია ციტოპლაზმისა-

გან. წარმოადგენს საკმაოდ მტკიცე და ნაკლებად გამტარ შრეს ვახსნილი ნივთიერებებისათვის. განაპირობებს ოსმოსურ წნევას.

ტონუხი — ნერული ცენტრებისა და კუნთების ხანგრძლივი აღზნება და უღლულად.

ტოპოდიში — იხ. დიში.

ტორნარია — ლარვი (მატლი) ნახევრადქორღიანი ანუ ნაწლავით მსუნთქავი ცხოველებისა.

ტორხი — ადამიანის სხეული, ტანი (თავისა და ხელფეხის გამოკლებით).

ტორუხი — 1. ყვავილსაჯდომი; ფარულ-თესლოვან მცენარეთა ყვავილის ღერძი; წარმოადგენს ყვავილის ყუნწის გაგრძელებას, რომელზედაც ყვავილია მათავსებული. 2. გარემოიანი ფორების ჩამკეტი ფორტიტების გასქელებული შუა ნაწილი; ხასიათდება ფორის ზვრელზე უფრო დიდი დიამეტრით. გვხვდება წიწვოვან მცენარეებში.

ტორფი — მკვრივი მასა, რომელიც წარმოქმნილია ქაობის მცენარეების (განსაკუთრებით ტორფის ხავსების) არასრული ლაობის შედეგად; იყენებენ საწვავად, სასუქად და სხვ.

ტორფიანები, ტორფნარები — ხმელეთის ქარბტენიანი ნაწილები ტორფის ბუდობებით და ტენის მოყვარული ტორფწარმოქმნელი მცენარეებით.

ტორფწარმოქმნელი მცენარეები — მცენარეები, რომლებიც წარმოქმნიან ტორფს (ტორფის ხავსები, ზოგიერთი ისლი და სხვ.).

ტოტის კვალი — ის კონა, რომელიც მთავარი ღეროდან ტოტში გადადის.

ტოფობა — ქვირითის ყრა; თევზებისა და ამფიბიების გამრავლების პროცესი, როდესაც მდებარეობითი ცხოველი კვერცხებს დებს ლორწოვანი გროვების სახით წყალში, რასაც შემდეგ მოსდევს მამალი ცხოველის მიერ სათესლე სითხის მოსხმვა.

ტოქსემია — ორგანიზმის მოწამულა ტოქსინებით.

ტოქსიკოლოგია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს შხამების თვისებებს და მათ მოქმედებას ორგანიზმზე.

ტოქსიკოლოგია მცენარეებისა — იხ. ფიტოტოქსიკოლოგია.

ტოქსინები — ცილოვანი ბუნების შხამიანი კოლოიდური ნივთიერებანი, რომელთაც გამოყოფს დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმები და ზოგიერთი მცენარე (მაგ., რიკინი აბუსუსალთინის თესლებში).

ტრამპულები — 1. ზერხემლიანი ცხოველების ჩანასახის ქორღის წინ ჩასახული ორი სტრილი, რომლიდანაც ვითარდება თვის ქალა. 2. სხვადასხვა ორგანოში არსებული „ტიხრები“, „ძვიდეები“, „შუამრები“.

ტრავმა — სხეულის ქსოვილების ან ორგანოების დაზიანება რაიმე გარეგანი ზემოქმედების (დაჟევის, დაქრის, დაწვის და მისთ.) შედეგად.

ტრავმატიზმი — ტრავმულ დაზიანება.

ტრავმატოლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ტრავმულ დაზიანებასა და მისი მკურნალობის მეთოდებს.

ტრავმატოპოზმი — მცენარის მოზარდა ორგანოების (ან მათი ნაწილების) გადახრა (გადაღუნვა) მათი დაზიანების დროს. მავალით, თუ ფესვის წევის ერთი მხრიდან დაზიანებთ ჩაქრით ან ამოწვით, ფესვი მოიღუნება დაზიანების საწინააღმდეგო მიმართულებით, რაც შეტად ეხმარება შემხვედრ წინააღმდეგობების გვერდის ავლამი (უარყოფითი ტრავმატოპოზმი).

ტრამაჯი — ველი, სტები; მცენარეულობის ზონა მშრალი ჰავითა და ქსეროფილური ბალახოვანი, მებრწილად მკერავკორდოვანი მარცელოვანი მცენარეებით.

ტრამი — უნაყოფო პიფების ფენები (ქსოვილი) ბაზილიანი სოკოების (მაგ., გასტერომიცეტების) ნაყოფსხეულში.

ტრანზიტორული ხახამებელი — მეორადი სახამებელი, რომელიც წარმოიქმნება გლუკოზის გადანაცვლებისას საასიმილაციო ორგანოებიდან (ფოთლებიდან) მოხმარების ადგილზე ან სამარაგო სათაფლებში (მაგ., კარტოფლის ფოთლებიდან ტუბერებში) გადაადგილების დროს.

ტრანსგენეზი — სინცენოგენეზისა და ფიტოცენოგენეზის ერთ-ერთი გზა; ერთი ფიტოცენოზის ან ასოციაციის გარდაქმნა სხვა ფიტოცენოზად სახეობათა შემადგენლობის ცვლილების გზით, მასში ახალი სახეობების ჩართვით ან ძველი სახეობების გამოკრევის გამო.

ტრანსგრესიული სახეობები — სახეობები, რომლებიც შესამჩნევად აძლიერებენ ან, პირიქით, ამცირებენ თავის როლს ფიტოცენოზის აგებულებაში და ცხოვრებაში.

ტრანსლუქცია — გენეტიკური მასალის ფრაგმენტის გადატანა ერთი ბაქტერიული უჯრედიდან მეორეში ბაქტერიოფაგებით.

ტრანსექტა — მიწაზე გადაზომილი ვიწრო სწორკუთხა ფართობი სახეობათა განლაგების, მათი პროექციის, რიხვობრობისა და სხვ. შესასწავლად.

ტრანსვერსალური სიბრტყე — 1. სიბრტყე, რომელიც სხეულს ყოფს წინა (თავის) და უკანა ნაწილად. 2. განვიხილოთ სიბრტყე; სიბრტყე, რომელიც სწორი კუთხით მდებარეობს მედიანური (შუათანა) სიბრტყისადმი და გაივლის იმავე ულოარტის ღერძზე, რომელზედაც გადის მედიანური სიბრტყე.

ტრანსლოკაცია — ერთი ქრომოსომის მონაკვეთის (უბნის), გადატანა მეორეზე, არა მის პოპოლოგიურ ქრომოსომაზე.

ტრანსმიხიული გადაცემა — ინფექციის გადაცემა ერთი მასპინძლიდან მეორეზე გადამტანის მეშვეობით (მეტწილად მწერებით).

ტრანსმიხიული დაავადება — დაავადება,

რომლის ინფექცია გადადის გადამტანის მეშვეობით.

ტრანსპალინარქტები — პალეარქტიკის ოლქში გავრცელებული ცხოველები.

ტრანსპირაცია — მცენარის მიერ წყლის ორთქლის სახით გამოყოფის ფიზიოლოგიური პროცესი; მცენარის მიერ წყლის აორთქლება.

ტრანსპირაციის ინტენსივობა — ფოთლების ზედაპირის ერთეულზე, მცენარის მიერ დაკარგული წყლის მთელი რაოდენობის გადაყვანის შედეგად მიღებული ოდენობა; გამოხატება გრამებით საათში 1. კვად. მეტრზე ან კვად. დეციმეტრზე.

ტრანსპირაციული კოეფიციენტი — მცენარის მიერ აორთქლებული წყლის რაოდენობა ერთი გრამი შშრალი ნივთიერების შესაქმნელად.

ტრანსპიროგრაფი — ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც ხდება ტრანსპირაციის მიმდინარეობის განუწყვეტელი აღრიცხვა.

ტრანსპლანტაცია — 1. ქსოვილის ან ორგანოს გადანერგვა ორგანიზმის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე ან სხვა ორგანიზმიდან; დიდი მნიშვნელობა აქვს ქირურგიაში. არჩევენ ტრანსპლანტაციის შემდეგ ტიპებს: ა) აუტოლასტიკური — როდესაც ქსოვილის გადანერგვა ხდება იმავე ორგანიზმის სხეულის სხვა ნაწილში; ბ) ჰეტეროპლასტიკური — ქსოვილის გადანერგვა სხვა ინდივიდიდან ან სხვა სახეობიდან; გ) ქსენოპლასტიკური — ქსოვილის გადანერგვა სხვა სისტემატიკური კატეგორიის ორგანიზმიდან. 2. მენობა; როდესაც ხდება ერთი მცენარის ორგანოს ან მისი ნაწილის გადანერგვა მეორე მცენარეზე, იშვებოდ რომ მოხდეს მათი შეზღვა.

ტრანსფორმაცია — გარდაქმნა, სახეცვლილება.

ტრანსფორმიზმი — მიმართულება ბიოლოგიაში, რომელიც ამტკიცებს, რომ გარემო პირობების შეცვლის ზეგავ-

ლენით ერთი ორგანული ფორმიდან ვითარდება მეორე ფორმა, ე. ი. ხდება ერთი სახეობის სხვა სახეობად გარდაქმნა (ტრანსფორმაცია).

ტრანსფორმირება — იხ. ტრანსფორმაცია.

ტრანსფუზია — გადასხმა (სისხლისა).

ტრანსფუზიური ქსოვილი — წიწვის გამტარი კონეხსა და ენდოდერმის შორის მდებარე ქსოვილი, რომლის დანიშნულებაც წყლის გადაღენა კონების ქსილემიდან მეზოფილში და ორგანული ნივთიერების გადასაცელება მეზოფილიდან კონების ფლოემურ ნაწილში.

ტრაქეა — სასუნთქი მილი; სასულე.

ტრაქეები — 1. სუნთქვის ორგანოები ფეხსახსრიანთა რიგ წარმომადგენლებში (მაგ., მწერები). თავის მხრივ წარმოადგენს დატოტილ მილაკებს, რომლებიც სხეულშია შეკრიბილი და იხსნებიან გარეთ ხვრელისებრი ნასვრეტებით — სტიგმებით. 2. კურკლები; წყლის გამტარი მილები მერქნთან მცენარეებში. წარმოიქმნება ვასწერევიად განლაგებული უჯრედების ერთმანეთთან შენაწეერებით, რომელთა განივი კედლები პერფორირებულია, ე. ი. გაჩნით ერთი ან რამდენიმე ორმხრივი ხვრელი (მოძველებული ტერმინი)..

ტრაქეიდები — მცენარის გამტარი სისტემის, კერძოდ ქსილემის წარმომადგენელი (ჩვეულებრივ ბოლოწაწვეტებული პროზენქიმული) მკვდარი უჯრედები უთანაბროდ გასქელებული და ფორებიანი კედლებით. მათი სიშუალებით ხდება წყლისა და მასში გახსნილი ნივთიერებების გატარება.

ტრაქეოლები — ტრაქეების უწვრილესი კაპილარისებრი მილაკები.

ტრაქომა — თვალის შემაერთებელი გარსის ქრონიკული გადაძვლები დაავადება.

ტრაქტი კუპ-ნაწლავისა — იხ. კუპ-ნაწლავის ტრაქტი.

ტრემატოდოზი — ავადმყოფობა, რომლის გამომწვევეა პარაზიტი ბრტყელი ჭიები ტრემატოდები — მწოველები.

ტრემანაცია — ძელოვანი ღრუს, მაგალითად, თავის ქალას, გაკვეთის ოპერაცია.

ტრიალები — სამი მიკროსპორისაგან შემდგარი სპორადები, რომლებიც წარმოიქმნება ერთი გონოკონტრიდან არასწორი მიოზის მსგელოებაში.

ტრიარქული ფხვი — ფხვი, რომელიც ხასიათდება ბირველადი ქსილემის სამი ჭიმით (განვიკრილში სამსხვიანი).

ტრიეცია — სამსახლიანობა; როდესაც მცენარის რომელიმე სახეობის ერთ ეგზემპლარზე გვხვდება მდღერობითი, მეორეზე — მამრობითი, ხოლო მესამე ეგზემპლარზე ორსქესიანი ყვავილები (მაგ., ჩვეულებრივი იფანი, მდღლოს სალი).

ტრილობტური ღარვა, მატლი — ფეხსახსრიანთა ზოგიერთი ჩვეულის (მახვილკუდიანები) სახეობის კვერცხიდან გამოსული ღარვა, რომლის სხეული შედგება ფართი დაფარული თავის განუოფილებსაგან (ოთხი წყვილი კოდური) და კუდის ფარის შქონე სეგმენტირებული შუცლისაგან.

ტრიმონეცია — ერთ მცენარეზე ორსქესიანი ყვავილებთან ერთად, ერთსქესიანი — მდღერობითი და მამრობითი ყვავილების (ე. ი. სამნარი ყვავილის) ირსებრება (მაგ., ცხენის წაბლზე).

ტრიმორფიზმი — სამი სხვადასხვა ფორმის ან ტიპის ორგანოს გამოჩენა ერთ სახეობაში.

ტრიბტოდები — მუტიდები, რომლებიც შედგება ამინომეავას სამი ნაშთისაგან.

ტრიბტები — გენის სტრუქტურული კომპონენტები, რომლებიც წარმოდგენილია ვირკვეული თანმიმდევრებით განლაგებული სამი ანტიკოვანი ფუძით.

ტრიბტური კოდი — გენტიკური კო-

დი, რომელშიც პოლიპეტიდური ქაქვის თითოეული ამინომჟავა განისაზღვრება დნმ-ის სამი ნუკლეოტიდის ჩჯვლით.

ტრაპლექსი — ტეტრაპლოიდი, რომელსაც გააჩნია მოცემული გენის სამი დომინანტური ალელი.

ტრაპლოიდი — უჯრედი ან ორგანიზმი ქრომოსომთა სამი პაპლოიდური ანაწყობით, ე. ი. სამჯერ მეტი ქრომოსომთა რიცხვით პაპლოიდურთან შედარებით.

ტრისომია — უჯრედი ან ორგანიზმი ქრომოსომთა ორი ნორმალური ანაწყობითა და ერთი, ორი ან მეტი ქარბი ქრომოსომით ($2n+1$; $2n+1+1$ და ა. შ.).

ტრიტოცერებრუმი — მწერების თავის ტვინის უკანა განყოფილება.

ტრიფსინი — პროტეოლიზური ფერმენტი; კუჭქვეშა ჭირკვლის წვენში შემავალი ფერმენტი, რომელიც შლის ცილებს.

ტრიჟინელოზი — ფადმუფობა, რომელსაც იწვევს ტრიჟინელი (პარაზიტიკია მრგვალი კიების ტიპიდან).

ტრიჟიტები — მეთუნეშევა კალციუმის ნემსისებრი პაწია კრისტალები, რომლებშიგანაც აგებულია სფეროკრისტალები.

ტრიპობაქტერიები — ძაფისებრი ბაქტერიები.

ტრიპოგონი — მდებარებითი სასქესო ორგანოს ზემოთა, წერილი მილისებრი ნაწილი ჩანთიან სოკოებსა და ძოწეულ წყალმცენარეებში.

ტრიჟოზი — მცენარის ეპიდერმისის (შფარავი ქსოვილი) სხვადასხვაგვარი გამოწონარდები: ბუსუსების, მექეკების, ქერქლების, ჭირკვლოვანი ბეწვების, სანექტრეებისა და სხვა სახით.

ტრიპოფიტები — მცენარეები, რომლებიც არსებობენ ნიადაგის კაპილარული ტენის ბარჯზე.

ტრიპოფორა — კიების, სახელდობრ რგოლიანი კიების, ლარვა.

ტრიპოციტები — წაგრძელებული, ჩხირისებრი სხეულაქები, რომლებიც მოთავსებულია ინფუზორიების ექტოპლანზმაში. ასრულებენ თავდაცვისა და თავდასხმის ფუნქციას.

ტრაქომადროფიტები — იხ. ტრიპოფიტები.

ტრიცეპი — სამთავო კუნთი; წინაშხრის მოძრაობაში მოყვანი (გამშლელი) კუნთი, რომელიც მდებარეობს მხრის გარეთა ზედაპირზე. მისი შეკუმშვა იწვევს იდაყვის სახსრის გიშლას.

ტრაგლოდიტი — პირველყოფილი იდამიანი, რომელიც გამოქვამულში ცხოვრობდა.

ტრომბი — იხ. თრომბი.

ტრომბინი — იხ. თრომბინი.

ტრომბოზი — იხ. თრომბოზი.

ტროპი — მკერდის გასწვრივი ქედი უშეტეს ფრინველებსა და ხელფრთიანებში.

ტრომბოზალური ტიპი თავის ქალახი — ზოგიერთი თევზის თავის ქალას აგებულების ტიპი, რომელიც ხასითდება უკან გადაწეული ტვინით და შეეიწროებული თვალთშორისი ტიხარით.

ტრომბოზი — მცენარის ორგანოთა ზრდისეული მოძრაობა (გადახრა), რაც გამოწვეულია რაიმე გაპლიზიანების (დედამიწის მიზიდულობის, სინათლის) ცალმხრივი მოქმედებით. არჩევენ დედებით (გაპლიზიანების მიმართულებით), უარყოფით (გაპლიზიანების საწინააღმდეგო მიმართულებით) და განივ (90° კუთხით გაპლიზიანების მიმართულებით) ტრომბოზს.

ტრომაიკები — დედამიწის სფეროს ცხელი სარტყელი, რომელიც მოთავსებულია ეკვატორის ჩრდილოეთით და სამხრეთით 23° 27'-ით დაშორებულ, ორ წარმოსახვით პარალელურ წრეს შორის.

ტრომაიკული — ტრომაიკებში გავრცელებული; ტრომაიკებში არსებული, მაგ., ტრომაიკული ტყე, ტრომაიკული სისხე, ტრომაიკული წვიმა.

ტროიკა-ატლანტური ოლქი — ზოგეოგრაფიული ოლქი, რომელიც მოიცავს ატლანტის, ვესტ-ინდოეთისა და ხმელთაშუა ზღვის თბილ წყლებს.

ტროიკა-ინდოპაციფიკური ოლქი — ზოგეოგრაფიული ოლქი, რომელიც მოიცავს წყნარ და ინდოეთის ოკეანის თბილი წყლების თითქმის მთელ სივრცეს.

ტროპოსფერო — დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ნაწილი.

ტროპოფიტები — მცენარეები, რომლებიც შეგუებულნი არიან ტენიანი და შრალი პირობების პერიოდულ (სეზონურ) ცვლასთან. ასეთი მცენარეები გაზაფხულსა და ზაფხულში მუზოფიტებია, ხოლო ზამთარში ქსეროფიტის თვისებებს იძენენ.

ტროფობლასტი — ძუძუმწოვარი ცხოველების განაყოფიერებელი კვერცხის დანაწევებისას წარმოქმნილი უჯრედების გარეთა შრე, რომლებიც წარმოქმნიან მრავალრიცხოვან ხაოებს, სადაც შემდგომში ჩანასახის სისხლძარღვები შედის.

ტროფილიები — მკვებავი ფოთლები; უმაღლესი მცენარეების ფოთლები, რომლებიც ასრულებენ მხოლოდ მკვებავ ფუნქციას (განსხვავებით სპოროფილებისა). ჩვეულებრივ ტროფილიები დიდი ზომისაა სპოროფილებთან შედარებით.

ტროქოზონი — რგოლიანი ქიების სასავარაუდო წინაპარი.

ტროქოფორა — რგოლიანი ქიების და ზოგიერთი მოლუსკის ლარვა.

ტროქოფორული თეორია — თეორია, რომლის თანახმად რგოლიანი ქიები წარმოშობილი არიან მათი სავარაუდო წინაპრის — ტროქოზონისაგან, რომელსაც კონდა ტროქოფორისებრი აგებულება და თავის მხრივ წარმოშობილია სავარცხლურებისაგან.

ტუბერ-ბოლქვი — ღეროს ერთ-ერთი სახეცვლილება, რომელიც წარმოადგენს ტუბერსა და ბოლქვს შორის შუა-

ლედ ფორმას; უვითარდება ზაფრანას, ხმალას და სხვ.

ტუბერი — იხ. გორგოლი.

ტუბერიდები — მიწისზედა ტუბერები, რომლებიც უვითარდება ჯადვარისებრთა ბევრ წარმომადგენელს.

ტუბერის გაბორჯღვა, ბორჯღის გამოტანა — კარტოფილის ტუბერის არანორმალური განვითარება დიდი გვალვების დროს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ტუბერზე კვირტების ნაცვლად წარმოიქმნება შეიღუული ტუბერაკები.

ტუგაი — მდინარის პირა ბარის ტყე უდაბნოსა და ნახევრადუდაბნოს ზონაში.

ტუნდრა — ჩრდილოეთ ნახევარსფეროს, სახელდობრ არქტიკის სამხრეთი ზონის, მცენარეულობის ერთ-ერთი ზონალური ტიპი, რომელიც უმთავრესად შექმნილია ფსინრომეზოფილური და ფსინროპიკროფილური ქონდარა ბუჩქებით, ხავსებით, მდიერებით და ნაწილობრივ მრავალწლოვანი ყვავილოვანი ბალახეულობით.

ტუნია — 1. მცენარის ზრდის კონუსის პერიფერიული ნაწილი, რომელიც შედგება ანტიკლინალური უჯრედების ერთი ან რამდენიმე შრისაგან. 2. მკერძივ გარსი, რომლითაც დაფარულია ასციდიების სხეული. შედგება ტუნიციისაგან — ნივთიერება, რომელიც შედგენილობით ახლოს დგას ცელულოზისთან.

ტუნოცია — იხ. ტუნია 2.

ტურბოზობირალი — მუცელუხიანი მოლუსკების კონუსურ სპირალად დახვეული ნივთი.

ტურგორი — მცენარის უჯრედის გარისს დაკუმული მდგომარეობა პროტოპლასტის დაწოლის შედეგად; რამდენადაც მეტი წყალია უჯრედისაგან შეწოვილი, იმდენად ძლიერია ტურგორი.

ტურგორული წნევა (ტურგორიდან) — პიდროსტატიკური შინაგანი წნევა,

რომელიც წარმოიქმნება მცენარის უჯრედებში ოსმოსის შედეგად წყლის შესვლით და ციტოლაზმის მიწოლით უჯრედის კედლებზე; ამირობებს უჯრედის დაქიმულ მდგომარეობას. აღინიშნება ასო T-ით.

ტურიზმი — 1. ამონაყარი, რომელიც წარმოიქმნება მცენარის მიწისქვეშა ნაწილებიდან. 2. ერთწლიანი ყლორტი, რომელიც მხოლოდ ფოთლებს ინვითარებს (მაგ., მაყვალში, უოლოში). 3. მოზამთრე კვირტი (პიდროზარიტაციების ოქახის ბეერ წარმომადგენელში).

ტურმ-შუაეური წონასწორობა ორგანიზმში — ცხოველთა და ადამიანის ორგანიზმში (სისხლში, ქსოვილებში) პიდროქსილისა და წყალბადის იონების წონასწორობა.

ტურის ხაეცეები — იხ. პირის ლაპორტები.

ტურის ჭირკვლები — ქვეწარმელების ტურებზე განლაგებული ჭირკვლები, რომელთა გამონაყოფი უადვილებს მათ საჭმლის გადაყლაპვას. ზოგიერთ გველში ეს ჭირკვლები შხამს გამოყოფს.

ტუვი — იხ. კანი 1.

ტუი — მცენარეული საფარის ტიპი, რომელშიც მთავარი იარუსი ხეებითაა შექმნილი.

ტუინარი — იხ. ტყის ნარგავი.

ტუისაკაფი — ტყის ნაკვეთი, რომელიც გამოყოფილია მოსაჭრელად, ვისაკაფად.

ტუი-ვალი — ტყისა (ჩრდილოეთით) და ველის (სამხრეთით) ზონებს შორის გარდამავალი ზონა; გვხვდება ვაკე რელიეფისა და ზომიერი კლიმატის (ცხელ ზაფხულთ) პირობებში; ყველაზე კარგად გამოსახულია სსრკ-ის ევროპულ ნაწილში, სადაც ის ქმნის ზოლს; ხასიათდება ველების მონაკვეთებს შორის ტყის მონაკვეთების არსებობით. ეს უკანასკნელი შუამდინარეთზეა გავრცელებული და შედგება

ფოთლოვანი (უმთავრესად მუხნარი ან ცაცხნარი), ალაგ-ალაგ კი ფიქვნარი ტყისაგან.

ტუი-ვალის მცენარეულობა — ტყისა და ველის (სტეპის) ზონებს შორის გარდამავალი ზოლის მცენარეულობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია კანონზომიერი შეთავსება ტყისა და ველის თანასაზოგადოებისა.

ტუი-სტიპი — იხ. ტუი-ველი.

ტუი-ტუნდრა — ტყისა და ტუნდრის ზონებს შორის გარდამავალი ზონა, რომელიც გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდილო ამერიკაში, როგორც ვაკეზე ისე მთებში; ხასიათდება ტყისა და ტუნდრის მონაკვეთების არსებობით შუამდინარეთზე. ტუი-ტუნდრაში ტუი ძირითადად მეჩხერი ტყის სახითაა და უმთავრესად არყით, ნაჭეთ ან ლარიქსითაა შექმნილი.

ტუი-ტუნდრის მცენარეულობა — ტყისა და ტუნდრის ზონებს შორის გარდამავალი ზოლის მცენარეულობა, რომელიც ხასიათდება ტყისა და ტუნდრის თანასაზოგადოების კანონზომიერი შეთავსებით.

ტუის აგრომელიორაცია — მელიორაციის ერთ-ერთი სახე; მეტყუვეობის ღონისძიებათა სისტემა კლიმატური და ნიადაგობრივი პირობების გაუმჯობესებისათვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მისაღებად. ამ ღონისძიებებიდან აღსანიშნავია ტყის საცავი ზოლების ნარგავების შექმნა, ბუჩქნარების გაწმენდა, ამოძირკვა, ქვიშების და ხეების დამაგრება და სხვა.

ტუის გაშენება — ტყის ხელოვნური გაშენება თესლის დათესვით ან სანერგეში გაზრდილი ნათესარის ან ნერგის დარგვით.

ტუის ზონა — ზომიერი კლიმატის სარტყელის ტყეების ზონა, რომელიც მოქცეულია ტუეტუნდრისა და ტუეველის ზონებს შორის; უმთავრესად გავრცელებულია ჩრდილო ნახევარსფეროში.

როში და უკავია ევროპის, აზიისა და ჩრდილო ამერიკის დიდი ტერიტორია. ტყვის კულტურა — ხე მცენარეთა ახალგაზრდა ნარგაობა, რომელიც ხელოვნურადაა შექმნილი (დარგვით ან დათესვით); ტყვის ხელოვნურად გაშენება. ტყვის ნარგავი — ბიოლოგიური და სამეურნეო ნიშნებით ერთგვაროვანი ტყვის მონაკეთი, რომელიც მკვეთრად განსხვავდება მეზობელი მონაკეთებისაგან; სახეობათა (ჭიშთა) შედგენილობის მიხედვით არჩევენ: წმინდა, ანუ სუფთა (შედგება მხოლოდ ერთი რომელიმე სახეობისაგან) და შერეულ (შედგება 2 ან რამდენიმე სახეობისაგან) ტყვის ნარგავს. წარმოშობით შეიძლება იყოს ამონაყარი (მოკრილი

ხეა ადგილზე) ან თესლით გაშენებული; ტყენარგი. ტყვის ხანირგე — მეურნეობა, სადაც აშენებენ ხეებისა და ბუჩქების დასარგავ მასალას. ტყუბი თხზურა — მშრალი ნაყოფი, რომელიც შედგება ორი, ერთმანეთთან შეზრდილი, ერთთესლიანი თესლურისაგან. მოშწიფებისას იყოფა ცალკეულ თესლურად; გაყოფა ხდება ქვევიდან ზევით, ისე რომ თითოეული ტყუბი ნაყოფის ცალი რამდენიმე ხანს კარბოფორის წვერზეა ჩამოკიდებული, ამიტომაც, რომ მას ზოგჯერ ჩამოკიდებულთესლურიანსაც უწოდებენ. დამახასიათებელია ქოლგოსანთა ოჯახის წარმომადგენლებისათვის.

უ

უბიკვისტები — იხ. უბიქვისტები. უბიქვისტები — ორგანიზმები, რომლებიც ნაკლებმომთხოვნი არიან საარსებო პირობებისადმი და ადვილად ეგუებიან სხვადასხვაგვარ ეკოლოგიურ პირობებს. უბის კვირტები — მცენარის ფოთლის უბეში (ყუნწის ძირთან) განლაგებული კვირტები (იხ. გვერდითი კვირტები). უღაბნო — 1. ფიზიკურ-გეოგრაფიული ზონა; ხასიათდება მშრალი ცხელი ან ცივი კლიმატით და მეტად მცირე ნალექებით. 2. მცენარეულობის ტიპი, რომელიც განვითარებულია უკიდურეს სიმშრალისა და ჩვეულებრივად დამლაშებული ნიადაგის პირობებში. უღაბნოთიფუხი—საქართველოში (უღაბნოში) ნაპოვნი ნამარხი ადამიანის მსგავსი მამონი. უზანჯი — ერთ-ერთი სასმენი ძველი შუა ყურში მდებარე სამი ძვლიდან. უზარუხო მცენარეები — წყალმცენარეები, მღიერები, სოკოები, ხავსები და

სხვა მცენარეები (ვანსაკუთრებით ეპიფიტები და ლიანები), რომლებიც არ ქნნიან დამოუკიდებელ იარუსებს და დასახლებულნი არიან უმადლეს მცენარეთა ტყვის, ბუჩქნარებისა და ნახევარაღებუჩქნარების მცენარეულობის იარუსებში. უჯანაშყრდი — მწერების სხეულის მკერდის მესამე, ბოლო სეგმენტი. უჯანაშუტელი — მორიელების მუცლის უჯანა, ვიწრო ნაწილი, რომელიც შედგება ხუთი სეგმენტისაგან და ე. წ. შხამიანი აპარატისაგან (შხამიანი ბუშტუკი); ეს უჯანასკნელი საწრეტელით ბოლოვდება. უჯანა კადურის ხარტყელი — იხ. მენჯის სარტყელი. უჯანა ნაწლავი — ცხოველის ნაწლავის მილის ბოლო განყოფილება, რომელიც ექრტადრენული წარმოშობისაა. უჯანა ტვინი — თავის ტვინის ნაწილი, რომელიც შედგება ნათხემისა და ვაროლის ხიდისაგან. „საქსტეზის“ მოყვენა — ერთი რეფლექ-

სის სწრაფი შეცვლა საწინააღმდეგო მნიშვნელობის მეორე რეფლექსით.

ულაუი — მამალი, დაუკოდავი ცხენი, სახედარი და მისთ.

ულვაში — 1. სახეშეცვლილი ბეწვები, რომლებიც ჩვეულებრივ განლაგებულია კონებად პირის ან თვალების ახლოს უმეტეს ქუძუმწოვარ ცხოველებში და წარმოადგენენ შეხების დამატებით ორგანოს. 2. რგოლიანი ჰიების, მწერების, კიბოსნაირების და საერთოდ ფეხსახსრიანთა თავზე განვითარებული ერთი ან ორი წყვილი გრძელი ჯაგრისებრი წარმონაქმნი, რომელიც შეხებისა და ყნოსვის ორგანოს წარმოადგენს. 3. ღეროს ან ფოთლის სახეცვლილება, რომლის საშუალებითაც მცენარე ემაგრება საყრდენს. დამახასიათებელია ვაზისებრთა, გოგრისებრთა და სხვ. წარმომადგენლებისათვის; შეიძლება იყოს მარტივი და დატოტვილი.

ულტიმობრანქიალური სხეულები — ჭირკეთოვანი წარმონაქმნები, რომლებიც მოთავსებულია საყლაპავი მილის ახლოს თავებში. მათი ფუნქცია არ არის დადგენილი.

ულტრაიისფერი აბხორბცია — სხეულის მიერ ულტრაიისფერი სხივების შთანთქმა.

ულტრამიკრობები — უწყრილესი ცოცხალი არსებანი, რომლებიც უხილავი არიან ოპტიკურ მიკროსკოპში და გადაან ბაქტერიოლოგიურ ფილტრში. ულტრამიკრობებს ხშირად აკუთვნებენ აგრეთვე ვირუსებს და ბაქტერიოფაგებს.

ულტრამიკროფლემენტები—ქიმიური ელემენტები, რომლებიც აუცილებელია მცენარის კვებისა და სასიცოცხლო პროცესებისათვის ძალიან უმნიშვნელო მცირე რაოდენობით (რუბიდოუმი, ცეზიუმი და სხვ.).

ულტრაფილტრაცია—კოლოიდური ხსნარების ფილტრაცია ნახევარგამტარ მემბრანებში.

უმარტივები ცხოველები — იხ. ერთუჯრედიანი ორგანიზმები.

უმალღესი მცენარეები — მცენარეები, რომელთა სხეული დანაწევრებულია ფოთლად, ღეროდ და ფესვად; უმეტესი მათგანი ავტოტროფია. მათ ღეროფოთლიან მცენარეებსაც უწოდებენ. გავრცელების საშუალების მიხედვით ყოფენ: თესლიან და სპოროვან მცენარეებად (ხაეხები, გვიძრები, შიშველთესლოვანები და ფარულთესლოვანები).

უმალღესი ნერვული მოქმედება — თავის ტვინის დიდი ნახეარსფეროების ქერქში მიმდინარე მრავალრიცხოვანი ურთიერთდაკავშირებული პროცესების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს მაღალორგანიზებული ცხოველებისა და ადამიანის ქცევის შეგუებას გარემოს მუდმივ ცვალებად პირობებთან.

უმალღესი ქუძუმწოვარი ცხოველები — იხ. პლაცენტიანი ცხოველები.

უმბროფიტები — ჩრდილისამტანი მცენარეები.

უმდაბლები კიბოსნაირნი — კიბოსნაირთა ერთ-ერთი ქვეკლასი, რომლის წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელია სხეულის სეგმენტების განუსაზღვრელი რაოდენობა (6—46-მდე), მეცლის კიდურების უქონლობა და რიგი სხვა ნიშანი.

უმდაბლები მრავალუჯრედიანები — მრავალუჯრედიანი ცხოველების შედარებით უფრო პრიმიტიული ჯგუფი, რომელიც მოიცავს ღრუბელებსა და ნაწლავღრუბიანებს.

უმდაბლები მცენარეები — იხ. თალოფიტები.

უმდაბლები ქუძუმწოვარი ცხოველები — ამ ჯგუფში ზოგჯერ აერთიანებენ ჩანთოსან ცხოველებს; განსხვავებით უმალღესი ცხოველებისა, რომელთაც აკუთვნებენ პლაცენტთან ცხოველებს.

უმდაბლები ჰიები — ჰიების ჯგუფი, რომელშიც გავრთიანებულია ბრტყელი

და მრგვალი ქიები, რომელთაც არა აქვთ სხეულის მეორადი ღრუ, სისხლის მომოქცევის სისტემა და სხეულის სეგმენტაცია. ამ ნიშნების არსებობის გამო რგოლიანი ქიები მიკუთვნებულია უმაღლესი ქიების ჯგუფში.

უნაერხალური რეციპიენტი — აღამიანი, რომელსაც აქვს მეოთხე ჯგუფის სისხლი და შეიძლება გადაესხას ყველა ჯგუფის სისხლი.

უნაონი — მეცნარეთა ერთიარუსიანი გაერთიანება. ზოგჯერ თბილავენ როგორც დამოუკიდებელ ასოციაციას.

უპირობო გამლიზიანებელი — გამლიზიანებელი, რომელიც იწვევს თანდაყოლილ ანუ უპირობო რეფლექსს, მაგ., სიკვები, რომელიც პირის ღრუს ლორწოვანი გარსის რეცეპტორებს აღიზიანებს უპირობო გამლიზიანებელია.

უპირობო რეფლექსი — თანდაყოლილი ანუ შემკვიდრებობითი რეფლექსი, რომელიც ორგანიზმისათვის დაბადებიდანვეა დამახასიათებელი, მაგ., პირის ღრუს სიკვებით გამლიზიანებაზე რეფლექსი.

ურაცოლი — აზოტის შემცველი ორგანული ნაერთი. პირიმიდინის ერთ-ერთი ფუძე: შედის რნმ-ს ნუკლეოტიდების შედგენილობაში.

ურაზა — ფერმენტი, რომელიც ხელს უწყობს შარდოვანას დაშლას ამიაკად და ნახშირორჟანგა გაზად.

ურედოზორუხი — ურედოსპორების ჯგუფი, გროვა.

ურედოზორა — ეანგა სოკოების სპორა, რომელიც წარმოდგენილია ფეხზე მქდომი ოვალური უჯრედით. ჩვეულებრივ ვითარდება ზაფხულში, ამიტომ მას ზაფხულის სპორასაც უწოდებენ.

ურეთრა — შარდსადენი მილი.

ურემა — ჭალის ფოთლოვანი ტყე ან ბუჩქნარი ველისა და ტყის ზონის მდინარეთა გაყოლებით.

ურემა — ორგანიზმის მოწამვლა თირკმლების დაავადების დროს, მათ ში-

ერ მანე ნეთიერებათა გამოყოფის უნარის დაქვეითების გამო.

ურეტრა — იხ. ურეთრა.

ურნა — ხაესების სპოროგონიუმის კოლოფის შუა, გაფართოებული ნაწილი, რომელშიც მოთავსებულია სასპორე პარკი სპორებით.

ურობაქტერიები — ბაქტერიები, რომლებიც შარდოვანას შლიან ამონიაკად (იყენებენ როგორც აზოტის წყაროს) და ნახშირორჟანგად; გამოყოფენ მეტად აქტიურ ფერმენტს — ურეაზას.

ურობილინი — შარდში არსებული ყვითელი საღებავი ნეთიერება ნალვლის პიგმენტების ჯგუფიდან.

უროგენიტალური სისტემა — შარდსასქესო სისტემა.

უროლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს შარდსასქესო სისტემის დაავადებას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას.

უროლოგი — უმაღლესი კიბობის ბევრი წარმომადგენლის მუცლის მეექვსე წყვილი ფეხის გაბრტყელებული ფირფიტოვანი ტოტი, რომელიც ტელსონთან (მუცლის უკანასკნელი სეგმენტი) ერთად წარმოქმნის საცურავ აპარატს.

უროსტილი — ძვალი, რომელიც წარმოიქმნება კუდის განყოფილების მალეების შეზრდის შედეგად უკულო ამფიბიებში.

უსახელო არტერია — აორტის რკალიდან განაღმავალი სისხლის მოკლე ძარღვი, რომელიც იტოტება ორად: მარჯვენა ლავიწქვეშა არტერიად და მარჯვენა საერთო საძილე არტერიად (ძუძუმწოვრებში).

უსახელო ტოტი — იხ. უსახელო არტერია.

უსახელო ძვალი — ძუძუმწოვრების მენჯის ძვალი, რომელიც შედგება სამი ურთიერთ შეზრდილი ძელისაგან.

უსრული სოკოები — უმაღლესი სოკოების ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელია მრავალ-

უქრედის მიცელიუმი და არ გააჩნიათ სქესობრივი გამრავლება.

უქეხო გამრავლება — მცენარის ან ცხოველის გამრავლების ერთ-ერთი სახე, როდესაც გამრავლება ხდება ერთი სპეციალური უქრედით, რომელსაც არ გააჩნია სასქესო უქრედისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები. ფართოდ გავრცელებული სპოროვინ მცენარეებში და უმარტივეს ერთ-უქრედის ცხოველებში.

უქეხო თაობა მცენარისა — იხ. სპოროფიტი.

უკვაფილსაფრო უკვაფილი — უკვაფილი რომელსაც ქაში და გვირგვინი არ გააჩნია, მაგ., ტირიფის, ისლის და სხვათა უკვაფილი.

უქრებმლო ცხოველები — ცხოველები, რომელთაც ქორდა (ზურგის სიმე) არ გააჩნიათ. ცხოველთა ამ ტაოს მიეკუთვნება დაწყებული უმარტივესებიდან (ქალამანი, აშუბა და სხვ.), კანეკლიანთა ჩათვლით.

უქრედანა — იხ. ცელულოზა.

უქრედგარეშე ხაჭმლის მონელება — იხ. ხაჭმლის არაუქრედული მონელება.

უქრედების დიფერენციაცია — ერთგვაროვანი უქრედების მასის გარდაქმნა სხვადასხვა ქსოვილის უქრედებად.

უქრედების შერწყმა — უქრედების გარის გახსნა, რის შედეგადაც ხდება უქრედების ეოცხალი მასის (პროტოპლასტების) შერწყმა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო მხოლოდ პლაზმოდესმებით. უქრედების შერწყმის შემდეგ წარმოიქმნება სინციტიუმი.

უქრედი — ცხოველური და მცენარეული ორგანიზმების ძირითადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც საფუძვლად უდევს მათ აგებულებასა და განვითარებას. ეოცხალი ნივთიერების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა.

უქრედის ბირთვი. — იხ. ბირთვი უქრედისა.

უქრედის განვლადობა — უქრედის გარსში ნივთიერებების შესვლა, გაცლა.

უქრედის „გარსი“ — ცელულოზისა და სხვა ნივთიერებებისაგან შექმნილი მკვრივი კედელი, რომლითაც დიფერულია მცენარეული უქრედი; ასრულებს დამცველ და საყრდენ ფუნქციას.

უქრედის დაკვირვა — უქრედის გამრავლება არატიპური შუაზე გაყოფის გზით, არამედ დედა უქრედიდან პროტოპლაზმის ერთი ან რამდენიმე მონაკვეთის მოწყვეტის გზით, თითოეულ მონაკვეთში, რომელიც კვირტიტები გაიზარდადის სახითა, ვადადის თითო შეიღებული ბირთვი, რის შემდეგაც ხდება შეიღებული უქრედების საბოლოო მოცილება დედა უქრედიდან.

უქრედის გაყოფა — ფიზიოლოგიურად დამოუკიდებელი ერთბირთვიანი უქრედის ავტონომური გაყოფა ორ, დაახლოებით ტოლ უქრედად, უქრედის გაყოფა წარმოადგენს მისი განვითარების ძირითად პროცესს. უქრედის გაყოფა ანუ ციტოკინეზი მეტწილად მოსდევს ბირთვის გაყოფას ანუ კარიოკინეზს.

უქრედის გარე შემზრანა — უქრედის ძლიან თხელი გარე საფარველი, რომელიც შედგება სამი ფენისაგან. ახსიათებს შერჩევითი შეღწევადობა. მისი მეშვეობით ხორციელდება ნივთიერებათა ცვლა უქრედსა და გარემოს შორის.

უქრედის ფარფიტა — თხელი შემზრანა, რომელიც წარმოიქმნება მცენარეული უქრედის ციტოკინეზის დროს ჭერ ფრაგმენტის ეკვატორიალურ ზონაში და შემდეგ ვრცელდება ლატერალურად.

უქრედის წვენი — მცენარეული უქრედის ვაკუოლის სითხე (წვენი), რომელიც გამოიყოფა პროტოპლაზმისაგან, მაგრამ მასთან არაა შერეული.

უკრედის წენი შედგება ნახშირ-წყლების, ორგანული გეაეებისა და მარილების, ალკალოიდების და პროტოპლაზმის ცხოველშოქმედების სხვა პროდუქტებისაგან.

- უკრედის ცენტრი — იხ. ცენტროსომა.
- უკრედიხი — იხ. ცელულოზა.
- უკრედული თეორია. — მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა ბუნებისმეტყველებაში, რომელმაც ნათელყო ყველა ცოცხალი ორგანიზმის აგებულებისა და განვითარების ერთიანობა. ამ თეორიის თანახმად: 1. ყველა ცოცხალი ორგანიზმი შედგება უკრედებისაგან. 2. ახალი უკრედები წარმოიქმნება მხოლოდ არსებული უკრედების გაცოდის გზით. 3. ყველა უკრედი ძირითადად მსგავსია თავისი ქიმიური შედგენილობითა და ნივთიერებათა ცვლის ფუნქციით. 4. ორგანიზმის აქტიურობა მთლიანად

- დამოკიდებულია მისი შემადგენელი უკრედული ელემენტების აქტიურობასა და ურთიერთშოქმედებაზე.
- უკრედული პირი — იხ. ციტოსტომი.
- უკრედული ქიმიკა — ქიმიკა, რომლის განსხვავებულ ქსოვილთა მონაკვეთები ან ქსოვილები განსხვავდება ქრომოსომა რიცხვით.
- უკრედშიგნითა საჭმლის მონელება — საჭმლის მონელება უკრედის პროტოპლაზმაში; საჭმლის მომნელებელი ღრუს კედლების უკრედებში.
- უკრედშორისები — უკრედებს შორის არსებული ღრუები მცენარის სხეულში. მათ უკრედშორისულ სივრცეებსაც უწოდებენ.
- უკრედშორისი ნივთიერება — უკრედებს შორის მოთავსებული სხვადასხვა სახის შემადგენელი ქსოვილის ელემენტები, რომლებიც აკავშირებენ მათ.

ფ

- ფაბრიციუსის ჩანთა — ფრინველების კლოაკის ზედა კედლის ყრუ გამოჩაზარდი, რომელიც იმუნოლოგიური რეაქციების შემსრულებელია.
- ფავი — იხ. ბაქტერიოფაგი.
- ფავოზომი — ვაკუოლა, რომელიც წარმოიქმნება ციტოპლაზმაში ფავოკუტოზის პროცესში.
- ფავოციტოლა — იხ. პარენქიმა.
- ფავოციტი — უკრედი, რომელსაც უნარი აქვს შთანთქას ორგანიზმში მოხვედრილი უცხო სხეულაკები და ბაქტერიები. იხ. სისხლის თეთრი სხეულაკები — ლეიკოციტები.
- ფავოციტოზი — უკრედის (მაგ., სისხლის თეთრი სხეულაკები) მიერ ორგანიზმში შეჭრილი უცხო სხეულაკების (ბაქტერიები, დაშლის პროდუქტები) შეტაცება და შთანთქმა.
- ფავოციტური თეორია — იმუნიტეტის თეორია, რომელიც წამოაყენა ი. მეჩ-

- ნიკოვმა. ამ თეორიის მიხედვით ორგანიზმი მასში შეჭრილი ინფექციისაგან თავს იცავს სისხლის თეთრი სხეულაკების (ლეიკოციტების) მიერ ბაქტერიების შთანთქმის მეშვეობით.
- ფავოციტური საჭმლის მონელება — საჭმლის ნაწილაკების მონელება არაკუჭ-ნაწლავის ღრუში, არამედ კუჭ-ნაწლავის კედლის უკრედებში, რომლებიც წინასწარ შეიტაცებენ თავისივე ამ ნაწილაკებს.
- ფაზოლონი — ცილა, გლობულინების ჭკუფიდან, რომელსაც შეიცავს ლობიოს თესლი.
- ფაფრისებრი შრე — მოლუსკების ნიჟარის შუა შრე (ფენა), რომელიც კიროვანი შედგენილობისაა.
- ფაკულტატური ანეჩრობები — ორგანიზმები, რომელთაც შეუძლიათ იცხოვრონ ჩოგორც თავისუფალი უანგბადის არსებობის, ასევე უქონლობის

პირობებში (საფუარები, რძისმჟეურნი ბაქტერიები, მუცლის ტიფის ჩინრები და სხვა).

ფაულტატური პარაზიტები — ორგანიზმები, რომელთაც შეუძლიათ იყვებოდნ. როგორც სხვა ორგანიზმის ხარჯზე, ასევე საპროფიტულადაც (ზოგიერთი სიკო).

ფაულტატური პარაზიტიზმი — პარაზიტების საწყისი ფორმა, როდესაც პარაზიტს შეუძლია განვითარდეს მასპინძლის სხეულში მოხვედრის გარეშე, როგორც თავისუფლად მცხოვრებში ორგანიზმში.

ფაულტატური პართენოგენეზი — როდესაც კვერცხს შეუძლია იყოს ან განაყოფიერებული ანდა განვითარდეს პართენოგენეზური გზით.

ფაულტატური პერმაფროდიტიზმი — ერთ და იმავე სახეობაში სხვადასხვა ინდივიდის — როგორც ცალსქესიანის ასევე პერმაფროდიტის (ორსქესიანის) არსებობა.

ფლანგები თითებისა — თითების მოკლე ლულოვანი ძვლები. იხ. თითების ფლანგები.

ფლოპის მილი (ლულა) — კვერცხსავალი (კვერცხგამტარი), რომლითაც კვერცხი საკვერცხიდან საშვილოსნოში გადადის.

ფლოზი — მამაკაცის სასქესო ორგანოს, როგორც ბუნების მწარმოებლური ძალის სიმბოლოს გამოსახულება.

ფანეროგამეზი — აშკარად ქორწილიანნი; მოძველებული ტერმინია, შემოიღო კ. ლინემ თესლოვანი მცენარეების (შიშველთესლოვანი და ფარულთესლოვანი) აღსანიშნავად.

ფანეროფიტები — მცენარეთა სასიცოცხლო ფორმა, რომელთაც განახლების კვირტები განლაგებული აქვთ ნიადაგის ზედაპირიდან საკმარის მალა; მათ ეკუთვნის ხეები და ბუჩქები, რომლებიც სიმაღლის მიხედვით იყოფა, მეგა, მეზო, მიკრო და ნანო ფანეროფიტებად.

ფარა — ცხერის ქოცა.
ფარვანახებრა გვირგვინი — გვირგვინი, რომლის ზედა (გარეთა) ფურცელი, დანარჩენებზე უფრო დიდი ზომისა და აფრა ეწოდება, ორი გვერდითი ფურცელი თანატოლია, უფრო ვიწრო და გრძელფრჩხილიანი — მათ ფრთები ეწოდება; ხოლო ორი ქვედა (შიგნითა) ერთნაირი ფურცელი შეზრდილია მთელ სიგრძეზე ან მხოლოდ წვერზე და ქმნის ე. წ. ნაეს, რომელშიც ბუტკო და მტერიანებია მოთავსებული. გარეგნულად პატარა პეპელას მოგავგონებს. დამახასიათებელია პარკოსან მცენარეთა ბევრი წარმომადგენლისათვის (ონიჭა, სამყურა, ესპარტები და სხვ.).

ფარი — 1. მარტივი ან რთული ბოტრიული ან ციმოზური ყვავილედის ერთ-ერთი სხე, რომელშიც ყვავილედის ტოტებშია და ყვავილის ყუნწების არათანაბარი სიგრძის გამო ყველა ყვავილი დაახლოებით ერთ სიბრტყეში იმყოფება; არჩევენ მარტივ (ვაშლის, კუნელის, მსხლის და სხვ.) და რთულ (ძახელის, დიდგულას და სხვ.) ფარს. 2. მარცვლოვან მცენარეთა ლებანი, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფს ჩანასახსა და ენდოსპერმს. წარმოადგენს ფირფიტისებრ სხეულს, რომელიც არ შეიცავს საზრდო მასალას.

ფარისებრი ჭირკვალი — ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის შინაგანი სეკრეციის ჭირკვალი, რომელიც მღებარეობს ყელის არეში. მის გამოყოფილ ჰორმონს დიდი მნიშვნელობა აქვს ნივთიერებათა ცვლაში და ორგანიზმის ზრდაში. ჰორმონის ჰარბი რაოდენობით გამოყოფა იწვევს ე. წ. ბაზედოვის დაავადებას, მცირე რაოდენობის გამოყოფისას კი ე. წ. ლორწოვან შემუშებას—შიქსედემას.

ფარისებრიჭირკვალთან მღებარე ჭირკვალი — იხ. ემითელიალური სხეულები.

ფარისქვეშა ჭირკვლები — პატარა ზომის, ოთხი ოვალური ჭირკვლოვანი სხეულაკი, რომელიც განლაგებულია ფარისებრი ჭირკვლის ახლოს. გამოყოფენ პარატივრეოიდულ პორმონს (პარატპორმონს), რომელიც არეგულირებს ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთ მხარეს და ნერვ-კუნთოვანი სისტემის აგზნებას.

ფარმაცოგნოზია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს სამკურნალო თვისებათა მქონე მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნივთიერებებს.

ფარმაცოლოგია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს სამკურნალო ნივთიერებათა მოქმედებას ორგანიზმზე.

ფარულად ქორწილიანი მცენარეები — იხ. სპოროვანი მცენარეები.

ფარულთხილგოვანი მცენარეები — უმაღლესი მცენარეების ყველაზე გავრცელებული და მრავალგვაროვანი წკეუფი (ტრიბი), რომლისთვისაც, როგორც წესი, დამახასიათებელია ის, რომ მათი თესლი ვითარდება ნასკეის შიგნით და ნაყოფშია მოთავსებული; მათ ყვეოლოვან, ზოგჯერ ბუტყოვან მცენარეებსაც უწოდებენ.

ფარულქორწილიანი მცენარეები — იხ. სპოროვანი მცენარეები.

ფარულ-თათა — ზოგიერთი ხერხემლიანი ცხოველის (ფარულთათიანები ანუ ფარულფეხიანები, ზოგიერთი ქვეწარმავალი) სახეცელილი, ნიჩბისებრი ფორმის კიდური, რომელიც წყალში ცხოვრების შედეგადაა ევოლუციის პროცესში განვითარებული.

ფარულთათიანება — ზღვის ბინადარი ძუძუმწოვარი ცხოველების ერთ-ერთი რიგი, რომლის წარმომადგენლებს, წყალში არსებობასთან დაკავშირებით, კიდურები ფარულებად აქვთ გადაქცეული. აქედან წარმოსდგება სახელწოდება — ფარულთათიანები, ფარულფეხიანები (სელაბები, ლომვეშაპები).

ფარფლი — წყლის ცხოველების წყვილი ან კენტი ნიჩბისებრი გამონაზარდი, რომლის საშუალებითაც ცხოველი დაიკურავს.

ფარფლფეხიანები — იხ. ფარულთათიანები.

ფახტური თვალი — მხედველობის რთული ორგანო, რომელიც შედგება მრავალრიცხოვანი ცალკეული მარტივი თვალისაგან (ომატოიდებისაგან); დამახასიათებელია ფეხსახსრიანთა უმეტესობისათვის.

ფახშიდები — პატარა, ერთუჯრედიანი ორგანოები, რომლებიც განლაგებულია ზოგიერთი მრგვალი ჰიის სხეულის ბოლოში გვერდებზე; ასრულებენ შეხების ფუნქციას.

ფასციაცია — ლეროს ან ყვავილედი თვისებური, ირანორმალური დეფორმაცია, სიმპინჩე, რომელიც სშირად მემკვიდრეობით გადადის. ფასციაციის დროს ლერო ან ყვავილედი მთლიანად ან ნაწილობრივ მობრტყო და თასმისებური ხდება. გვხვდება მურყანში, იფანში, ღიღულაში, ღეკორაციული მცენარის — ქათმის ქორჩორას ყვავილედებში და სხვ.

ფასციები — შემაერთებელქსოვილოვანი გარსები, რომლითაც დაფარულია ცალკეული კუნთი ან კუნთების წკეუფი.

ფასციოლოზი — ცხოველების (ჩქოსანი საქონელი) დაავადება, რომელსაც იწვევს ლეიქლის ორპირა (Fasciola hepatica).

ფაუნა — ცხოველთა სახეობების ერთობლიობა, რომელიც ცხოვრობს გარკვეულ ტერიტორიაზე; ცხოველთა სამყარო.

ფაუნახტია — ზოოგეოგრაფიის დარგი, რომელიც სწავლობს მოცემული ტერიტორიის ფაუნის სახეობრივ შედგენილობას.

ფაუნის რეკონსტრუქცია — იხ. რეკონსტრუქცია ფაუნისა.

ფაუნულა — „პატარა ფაუნა“, ცხოველ-

თა მოსახლეობა რომელიმე პატარა სივრცისა (მაგალითად, კუკ-ნაწლავის, ნაკელის გროვის და სხვ.).

ფართი — ვრძელი, სქელი ბეწვი ზოვიერთი ცხოველის თავზე ან კისერზე. ზოგჯერ წარმოადგენს მამალი ცხოველის მეორად სასქესო ნიშანს (მაგ., ლომებში).

ფაცხი — იხ. ბეწვი.

ფაცეტური თვალი — იხ. ფაცეტური თვალი.

ფაციესები — იხ. ფაცია.

ფაცია — ბიოტოპის მცირე მონაკვეთი, რომელსაც გაიჩნია სპეციფიური ადგილობრივი ნადაგობრივი და მიკროკლიმატური პირობები, მცენარეული შედგენილობა და აგრეთვე მათთან დაკავშირებული ცხოველთა ერთობლიობა (მაგალითად, კლდეები მთებში, გზები, მიწნები და სხვ.).

ფაშატი — დედალი ცხენი, სახედარა; ქაკი.

ფაში — მცოხნელი ცხოველების კუჭის პირველი, ყველაზე დიდი განყოფილება. ფაშიში ჩადის დაულეკავი, გაუცოხნავი საქმელი, რომელიც ღებება და განიცდის წინასწარ მექანიკურ და ქიმიურ დამუშავებას.

ფეკალია — ადამიანის შარდისა და განაელის ნარევი; სოფლის მეურნეობაში იყენებენ სასუქად.

ფელემა — იხ. კორპი.

ფელოგენი — კორპის კამბიუმი; მეორეული წარმოშობი ქსოვილი, რომელიც წარმოქმნის კორპს (გარეთ) და ფელოდერმს (შიგნით).

ფელოდერმა — მერქნიან მცენარეთა მფარავ ქსოვილთა კომპლექსის — პერიდერმის შეგნითა შრე; წარმოიქმნება კორპის კამბიუმისაგან (შიგნით); შედგება ცოცხალი, ჩვეულებრივ ქლოროფილის შემცველი უჯრედებისაგან.

ფელოიდი — კორპისებრი ქსოვილი; კორპის ფენებს შორის განლაგებული უჯრედების შრე, რომელთა გარსი მერ-

ნაკლებად ზეედება, მაგრამ სუბერონით არ ფენდება.

ფელოიდური ქსოვილი — იხ. ფელოიდი. **ფემინოსცია** — მამალ ცხოველში დედლისათვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობა.

ფენა, ხაფხური ფიტოცენოზისა — იხ. ფიტოცენოზის ფენა, საფხური.

ფენოგენეზი — მემკვიდრეობითი ნიშნების ონტოგენეზური განვითარება ზიგოტაში ყველა მოცემულ მემკვიდრეობითი ნიშნის გარემოს გაბატონებულ პირობებთან მოქმედებისა და ურთიერთმოქმედების შედეგად (ფიშერი, 1939).

ფენოგენეტიკა — გენეტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ორგანიზმის მორფოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ნიშანთა წარმოშობისა და განვითარების პროცესს. მოძველებული ტერმინია.

ფენოდიმი — იხ. დიმი.

ფენოკოპია — ინდივიდში სხვა გენოტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნების გამოჩენა განვითარების პროცესის შემცველი გარეგანი ფიზიკური ან ქიმიური ფაქტორების ზეგავლენით.

ფენოკრიზი — გარეგანი ნიშნის დიფერენციაციის მომენტი.

ფენოლოგია — მოძღვრება მცენარეთა და ცხოველთა სიცოცხლის ამ სეზონურ მოულენათა შესახებ, რომლებიც წლის დროთა ცვლითაა გაბირობებული.

ფენოლოგიური ფაქტორი — მცენარეული თანასაზოგადოების ან მცენარის ცალკეული სახეობის განვითარების მიმდინარეობის გრაფიკული გამოსახვა.

ფენოლოგიური ფაზა — მცენარის განვითარების ფაზა.

ფენოტიპი — ერთობლიობა ორგანიზმის ყველა გარეგანი და შინაგანი ნიშნებისა, რომლებიც ყალიბდება გენოტიპისა (ორგანიზმის მემკვიდრეულობის საწყისი) და გარემოს პირობების ურთიერთმოქმედების შედეგად.

ფენოტიპური სტაბილურობა — მოვლენა, როდესაც გარემო პირობების უმნიშვნელო ცვლილება ჰიბრიდებზე ახდენს უფრო სუსტ გავლენას, გარკვეული ნიშნის მიმართ, ვიდრე მათ საწყის ფორმებზე — მშობლებზე.

ფეოფილი — მოძველებული ტერმინი, რომლითაც აღინიშნებოდა წაბლა წყალმცენარეების პიგმენტი; ამჟამად დამტკიცებულია, რომ ე. წ. ფეოფილი ქლოროფილისა და ფუკოქსანტინის ნარევიანია.

ფეოფიტინი — ქლოროფილის მოლეკულაში მაგნიუმის წყალბადით (ორი ატომი) ჩანაცვლების შედეგად წარმოქმნილი პროდუქტი, რომელსაც წაბლის ფერი აქვს. მას ჩანაცვლებულ ქლოროფილსაც უწოდებენ. მიიღება ქლოროფილზე მკვას ფრთხილი მოქმედებით; ამ დროს ქლოროფილის მოლეკულა თითქმის ხელუხლებელი რჩება, მხოლოდ მაგნიუმის ადგილს წყალბადის ორი ატომი იკავებს.

ფერადი გარბი თვალისა — ირისი; თვალის სისხლძარღვთა გარბის წინა ნაწილი, განყოფილება; რომელსაც გაანია ხერელი — გუგა.

ფერადი მხედველობა — ადამიანისა და ცხოველთა უნარი მხედველობის ორგანოს საშუალებით გაარჩიონ სპექტრული შედგენილობის სინათლის გამოსხივება.

ფერაზები — ფერმენტები, რომლებიც ხელს უწყობენ ატომური ჩგუფების ერთი შენაერთიდან მეორეზე გადატანის რეაქციას, მაგ., ამინოფერაზები (ამინოჩგუფების გადატანები), ფოსფორაზები (ფოსფატური ნაშთების გადატანები) და სხვა.

ფერი, **ფეროვნება** — ცხოველთა შეფერვა, რაც განისაზღვრება კანისა და მისი წარმონაქმნების (თმა, ბეწვი და სხვ.) პიგმენტაციით.

ფერმენტაცია — გაფუების, გაღვიების პროცესი.

ფერმენტების ელუსია — აღსორბირე-

ბული ფერმენტების მოცილება აღსორბენტისაგან.

ფერმენტების პარალიზატორები — ნივთიერებანი, რომლებიც ანელებენ ფერმენტების მოქმედებას.

ფერმენტების სპეციფიკურობა — მდგომარეობს იმაში, რომ ცალკეულ ფერმენტს შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ გარკვეულ ნივთიერებაზე და მოახდინოს გარკვეული რეაქციის კატალიზი.

ფერმენტი — ცილოვანი ბუნების ორგანული კატალიზატორი, რომელიც წარმოიქმნება ცოცხალ უჯრედში; წარმოადგენს ყოველგვარი ბიოქიმიური პროცესების აუცილებელ მონაწილეს. ხასიათდება მაღალი აქტიურობით და თავისი მოქმედების სპეციფიკურობით; ხელს უწყობს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიური პროცესების დაჩქარებას. იგივეა რაც ენზიმი.

ფერმენტული შხაშხა — იხ. ინჰიბიტორი.

ფეროზინი — ორგანიზმის მეორე გარეგან გარემოში გამოყოფილი ნივთიერება, რომელიც გავლენას ახდენს იმავე სახეობის სხვა ინდივიდის განვითარებაზე ან ქცევაზე.

ფერონი — კოლოიდური მატარებელი; ორკომპონენტური ფერმენტების ცილოვანი ნაწილი, რომელსაც უერთდება აქტიური ჩგუფი.

ფერტილიზა — განაყოფიერებისა და შთამომავლობის მოცემის უნარი.

ფერტილური — ნაყოფიერი; განაყოფიერების უნარის მქონე.

ფესვბურკები — იხ. ფესვტუბერები.

ფესვგორგლები — იხ. ფესვტუბერები.

ფესვთა სისტემა — მცენარის ფესვების ერთობლიობა.

ფეხე — უმაღლეს მცენარეთა ერთ-ერთი ძირითადი ვეგეტატიური ორგანო, რომლის მთავარი დანიშნულებაა მთავარის მცენარე სუბსტრატზე და იქიდან შეიწოვოს წყალი და მასში გახსნილი არორგანული ნივთიერებანი.

ფეხვის ამონაყარი — ფესვის დამატებითი კვირტებიდან განვითარებული მიწისხედა ყლორტები (დამახასიათებელია ვერხვის, ტრიოფის, ქლაივის, ალუბლისა და სხვა მცენარისათვის.).

ფეხვის ბიწვები — მცენარის ფესვის წვეროს ახლოს მდებარე პერიფერიული შრის (ეპიბლემის) უქრედებიდან წარმოქმნილი, ბიწვისებრი თხელგარსიანი გამონაზარდები; მათი საშუალებით ხდება წყლისა და მასში გახსნილი ნივთიერებების შეწოვა.

ფეხვის ბუსუხები — იხ. ფესვის ბიწვები.
ფეხვის გამონაყოფი — მცენარის ფესვის მიერ ნიადაგისა და წყლის გარემოში გამოყოფილი ორგანული მინერალური ნივთიერებანი (ამინომჟავები, ნახშირწყლები, ფერმენტები, ფოსფატები და სხვ.). გარკვეულ როლს ასრულებს ნიადაგში მყოფი მინერალური მარილების გახსნაში; გამოიყენება მიკროორგანიზმების მიერ და გავლენას ახდენს მებოხელ მცენარეთა ფესვებზე.

ფეხვის დამატებითი კვირტები — ფესვზე პერიციკლიდან ენდოგენურად წარმოქმნილი კვირტები, რომლებიც შემდეგში მიწისხედა შეფოთილ ყლორტებად ვითარდება.

ფეხვის ნაყარი — იხ. ფესვის ამონაყარი.
ფეხვის ფარი — იხ. ფესვის შალითა.

ფეხვის ყელი — მცენარის ფესვის ის ნაწილი, რომლისათაც იგი ღეროს ესახლვრება; მთავარ ფესუსა და ღეროს შორის მდებარე ნაწილი.

ფეხვის შალითა — ფესვის სულ ბოლო, კენწრული ნაწილის უკრედების ჩვეუთ, რომელიც ზრდის კონუსს იჩაჩით იჭეს გამოფარებული და იცავს მას მექანიკური დაზიანებისაგან. შედგება ცოცხალი, თხელგარსიანი პარენქიმული უკრედებისაგან, რომლებიც გამოყოფენ ერთგვარ წებოვან ნივთიერებას, რაც უადვილებს ფესვს

იმ წინააღმდეგობების აღძვევას, რომელიც ზრდის პროცესში ელოდება. მას ფესვის ფარსაც უწოდებენ.

ფეხვის ჩანთა (ვაგინა) — იხ. კოლეორიზა.
ფეხვიჭაშია — სოკო, რომელიც იწვევს მცენარეთა (მეტწილად ქარხლის აღმონაყენის) დაავადებას.

ფესვტუბერები — გვერდითი ან დამატებითი ფესვებიდან წარმოქმნილი მარჯ ნივთიერებათა გამსხვილებული და ხორცოვანი სათავსები. მათ წვერზე ხშირად დამატებითი კვირტები ვითარდება; ამ შემთხვევაში ფესვტუბერი, როგორც გამსხვილებული მთავარი ღერძი, ემსახურება არამარტო გადამხმარებას, არამედ კვებრტიურ გამრავლებასაც (გვორგინას, ჩაწყობილი ბაიას, ქაფურას და სხვ.).

ფეხური წნევა — წნევა, რომელსაც წყალი აძეავს ფესვიდან ზევით ღეროს კურკლებში.

ფეხურა — სახეცლილი ყლორტი (ღერტი); მიწაში განვითარებული ღეროს ნაწილი, რომელიც გარეგნულად ფესვს მოგვაგონებს. დამახასიათებელია მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეების უმეტესობისათვის; წარმოადგენს მარჯ საზრდო ნივთიერებათა სათავსს და ემსახურება არახელსაყრელი პერიოდის გადატანას და კვებრტიურ გამრავლებას.

ფეხურაიანი მცენარეები — მცენარეები, რომელთაც აქვს ფესურა — მიწისქვეშა სახეცვლილი ყლორტი (მხოხავი ქანკა, სვინტრი, თეთრი ნამიკრეფია, ზამბახი და სხვ.).

ფეხის გული — ხმელეთის ბერხემლიანთა ტრტფის ჩონჩხის ძვლები, რომლებზედაც მიმაგრებულია თითების ფალანგი.

ფეხხახხრანები — ცხოველთა ერთერთი მრავალრიცხოვანი ტიპი, რომლის წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელია დასახსრული კიდურები და ნარჩენკვებრტივანი სხეული, რომელიც ქიტინოვანი კურტიკულითაა დაფარუ-

ლი (კიბოსნაირები, თობასნაირები და მწერები).

ფეხფარფლიანები — იხ. ფარფლათათიანები.

ფთხატირია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ფილტვების ტუბერკულოზს და მისი მკურნალობის მეთოდებს.

ფიალა — იხ. კუპულა 1.

ფიბრა — ბოქვო, ძარღვი.

ფიბრილარული ცილები — ცილები, რომელთა მოლეკულებს აქვს ძაფისებრი (ბოქვოსებრი) ფორმა.

ფიბრინგამოცილილი ხისხლი — სისხლი, რომელსაც მოცილებული აქვს ფიბრინოგენი (პლაზმის ხსნადი ცილა, რომლის ფიბრინად გარდაქმნა იწვევს სისხლის შედეღებას). ფიბრინგამოცილილი სისხლი არ ღედღება და ღიდღხანს ინახება.

ფიბრინი — სისხლში შემავალი უხსნადი ცილოვანი ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნება ბოქვოების სახით ფიბრინოგენის (ხსნადი ცილის) ქიმიური გარდაქმნის შედეგად სისხლის შედეღებისას. წარმოადგენს სისხლის პლაზმის ფიბრინოგენის პოლიმერიზაციის პროდუქტს.

ფიბრინოგენი — სისხლის პლაზმის ხსნადი ცილა, რომელიც პოლიმერიზაციის შედეგად გადაღის უხსნად ცილაში — ფიბრინში, რის გამო ზღება სისხლის შედეღება.

ფიბრობლასტები — შემაერთებელი ქსოვილის უჯრედები.

ფიბროზი — რაიმე ორგანოში ბოქვოვანი შემაერთებელი ქსოვილის განვითარების პათოლოგიური პროცესი.

ფიბროზული შრი — იხ. ენდოტეციუმი 1.

ფიბროინი — ცილოვანი ნივთიერება — აბრეშუმის ძაფის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი.

ფიბრომა — კეთილთვისებიანი სიმსივნე ბოქვოვანი შემაერთებელი ქსოვილისა.

ფიზიკური ღაუჭი — ჰაერის ბუშტი,

რომელიც მოთავსებულია წყალში მცხოვრები ზოგიერთი მწერის ზღდაფრთების ქვეშ; ამ ბუშტის მეშვეობით ზღება წყალში გახსნილი ფანგბადის შეღწევა ტრაქეებში.

ფიზიოთერაპია — ფიზიკური, ბუნებრივი საშუალებებით (ჰაერთ, წყლით, ელექტრობით და სხვ.) მკურნალობა.

ფიზიოლოგია — 1. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებს, მოქმედებას. 2. ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესები.

ფიზიოლოგიურად მუავე მარღები — მარღები, რომელთა კათიონი უფრო ძლიერ შთაინთქმება მეცნარის მიერ, ვიდრე ანიონი. ასეთი მარღების შეტანა მკვებზე ხსნარში იწვევს მის თანდათანობით გაძეაებას.

ფიზიოლოგიური ადაპტაცია — ფიზიოლოგიური რეაქციების ერთობლიობა, რომელიც საფუძვლად უძევს ორგანიზმის შეგუებას შეცვლილი გარემოს პირობებისადმი და მიმართულია მისი შინაგანი გარემოს შეღარებით მუღმიგობის შენარჩუნებისაკენ.

ფიზიოლოგიური ელექტროტონი — ნერვენთოვანი აბარატის აგზნებაღობის ცელილება, რაც შექმნილია მუღმივიღენის გატარებით.

ფიზიოლოგიური შაქხიმში — რომელიმე ფაქტორის მაქსიმუმი სიღიდე, რომლის დროსაც შეიძლება ფიზიოლოგიური პროცესის მიმდინარეობა და რომლის ზევითაც ეს პროცესი წყღება.

ფიზიოლოგიური მინიმუმი — ფიზიოლოგიურ პროცესზე მოქმედი რომელიმე ფაქტორის (მაგ., ტემპერატურის) ყველაზე უმციერესი სიღიდე, რომლის დროსაც ეს პროცესი მხოლოდ იწყება და რომლის ქვემოთ უკვე აღარ მიმდინარეობს.

ფიზიოლოგიური მოხვენება — ორგანიზმის მღღომარეობა, როღესაც ენერგეტიკული ხარჯვა, რაც ნივთიერებათა

დაშლასთანაა დაკავშირებული, მთლიანად იფარება ამ ნივთიერებათა აღდგენით.

ფიზიოლოგიური ოპტიმუმი — რაიმე ფაქტორის სიდიდე, რომელიც მოქმედებს ფიზიოლოგიურ პროცესზე და რომლის დროსაც ეს პროცესი მიმდინარეობს ყველაზე ინტენსიურად.

ფიზიოლოგიური რეგენერაცია — ორგანიზმის გაცვეთილი ნაწილების თანდათანობით შეცვლა ახლით.

ფიზიოლოგიური ხიშვრალი ნიადაგისა — როდესაც ნიადაგში გვაქვს წყლის საკმარისი (შეიძლება დიდი) რაოდენობა, მაგრამ მცენარე ვერ სარგებლობს ამ წყლით; შეიძლება გამოწვეული იყოს ნიადაგში მარილების სიჭარბით ან ნიადაგის დაბალი ტემპერატურით და სხვ.

ფიზიოლოგიურად ტუტე მარილები — მარილები, რომელთა ანიონი უფრო ენერგიულად შთანთქმება მცენარის მიერ, ვიდრე კათიონი. ასეთი მარილების შეტანა მკვებავ ხსნარში იწვევს მის თანდათანობით გატუტანებას.

ფიზიოლოგიური ფუნქციები — ორგანიზმის, მისი ორგანოებისა და ქსოვილების ცხოველმოქმედების გამოვლინება.

ფიზიოლოგიური შიშხილი — კვების აგზნებადობის შეკავება, ორგანიზმში დაგროვებული ნივთიერებების ხარჯზე მიმდინარე ცვლის პროცესების განმავლობაში; მაგ., ზამთრის პერიოდში ზოგიერთი ცხოველის: დათვის, მაჩვის, და სხვა ძილის დროს.

ფიზიოლოგიური ხსნარი — მარილების ხელოვნური წყალხსნარი, რომელიც თავისი კონცენტრაციითა და თვისებებით სისხლის პლაზმის მარილების შეესაბამება.

ფიკობილინი — წითელი და ლურჯმწვანე წყალმცენარეების პიგმენტები; ფიკოციანი და ფიკოერითრინი; ტერმინი მიუთითებს ამ ნივთიერებების სიახლოვეზე ნალელის პიგმენტთან.

ფიკოერთრინი — წითელი პიგმენტი, რომელსაც შეიცავს წითელი წყალმცენარეები, გვხვდება აგრეთვე ზოგიერთ ლურჯმწვანე წყალმცენარეში.

ფიკოლოჯია — იხ. ილგოლოჯია.

ფიკოშიტები — უმდაბლესი სოკოების კლასი, რომლის წარმომადგენლები დაკავშირებულია წყლის გარემოსთან და ზოოსპორებით მრავლდებიან. მათი მიცელიუმი დაუნაწევრებელია და მრავალბირთვიანი.

ფიკოფინი — იხ. ფუკოქსანტინი.

ფიკოცინი — ლურჯი პიგმენტი, რომელსაც შეიცავს ლურჯმწვანე წყალმცენარეები; გვხვდება აგრეთვე ზოგიერთ წითელ წყალმცენარეში.

ფილაქენტი — ქაფისებრი დანამატები ზოგიერთი თასმისებური ქვის კვარცხის გარსზე.

ფილეზმაროგენეზი — ემბრიონული განვითარების პროცესში შექნილი ცელილანის, რომელიც შენარჩუნებულია ზრდასრულ ცხოველში და გადაეცემა შთამომავლობას.

ფილოგენეზი — ორგანული სამყაროს (მცენარეთა და ცხოველთა ან მათი ცალკეული ჩჯუფების) ისტორიული განვითარების პროცესი.

ფილოგენეზური გარდაქმნა — ორგანიზმების ან მათი ნაწილების ცვლილება ისტორიული განვითარების პროცესში.

ფილოგენეზი — შეცნეარება, რომელიც სწავლობს ცხოველთა და მცენარეთა ისტორიული განვითარების კანონზომიერებებს (იხ. ფილოგენეზი).

ფილოგენეტიკური ზე — წარმოშობით მონათესავე ორგანიზმთა ჩჯუფების ისტორიული განვითარების მსვლელობის გამოსახვა.

ფილოლიფი — ფოთლის ფირფიტისმაგვარად გაბრტყელებული სახეცეცლადი ყუნწი (მაგ., აესტრალიის აკაციაში).

ფილოლი — წყალმცენარეების თალოზზე (სხეულზე) არსებული ნაკვთები, რომლებიც გარეგნულად ფოთლის მოგვაგონებს.

ფილოკლადიუმი — 1. ფოთლისებრი ფორმის სახეცელი ღერო, რომელიც ჩვეულებრივ მწვანეა და ფოთლის ფუნქციას ასრულებს, ნაშვლი ფოთლები კი რედუცირებულია ეკლებად ან ქერქლებად. კლადოლომისაგან განსხვავებით ფილოკლადიუმი გარეგნულად ფოთოლს ჰგავს და ადრე აჩერებს ზრდას (თავისარაში, ზოგიერთ კაქტუსში და სხვ.). ხშირად ფილოკლადიუმს კლადოლომის სინონიმად იხილავენ. 2. ზოგიერთი მღიერის პოდციუმზე განვითარებული ქერქისებრი ან ბორცვისებრი წარმონაქმნი, რომელიც შეიძლება ფოთლის ანალოგად ჩაითვალოს.

ფილომი — მცენარის ფოთლის საერთო სახელწოდება.

ფილოპოდიუმები — ზოგიერთი საცოდინის ძაფისებრი ცრუფეხები, რომლებიც ერთმანეთთან არ არის შეერთებული.

ფილოსფერო — ფიტოფეროს ნაწილი, ჰაერის ან წყლის სივრცე, რომელიც ჰარს აკრავს ცალკეული მცენარის ვარჯს (მეტწილად ფოთლები, ნაწილობრივ ყვავილები, ნაყოფები და ღერო) და განიცდის მისი ორგანოების მნიშვნელოვან გავლენას. ფილოსფეროში სახლდება მრავალი სიმბიონტი (კრძოდ ებიფიტები) და პარაზიტები.

ფილოტაქსისი — იხ. ფოთოლთვანლაგება.

ფილოცენოგენეზი — იხ. ფიტოცენოგენეზი.

ფილოცეკლი — ორგანიზმა გენეზისური მწკრივის — ფილუმის მიერ გავლილი სტადიების თანმიმდევრობა დაწყებული მისი წარმოშობიდან გადაშენებამდე, ამოწყდომამდე.

ფილტვები — ჰაერით სუნთქვის ორგანოები, რომელთა საშუალებით ბორციელდება გაზთა ცვლა ცხოველურ ორგანიზმსა და გარემოს შორის.

ფილტვების ვენტოლაიცია — სუნთქვის დროს ფილტვებში არსებული ჰაერის

ნაწილის შეცვლა ატმოსფეროს ჰაერით.

ფილტვების სახეცოცხლო ტევადობა — ჰაერის ის რაოდენობა (მოცულობა), რომელსაც ორგანიზმი ამოისუნთქავს მიქსიმალური ღრმა ჩასუნთქვის შემდეგ. მობრძილი ადამიანის ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა მერყეობს 2000-დან 6000 კუბურ სანტიმეტრამდე.

ფილტვრათი — ფილტვში გატარებული სითხე.

ფილტვრაცია — 1. სითხის ან გაზის ფილტვში გატარებით ვაჟმენდა. 2. სითხის გაუონვა ფოროვან გარემოში.

ფილტვში გამავალი ბაქტერიები — ბაქტერიოლოგიურ ფილტვებში გამავალი ულტრამიკროსკოპული ბაქტერიები.

ფილუმი — ორგანიზმთა გენეზისური მწკრივი.

ფინი — თასმისებური ქიების ლარვა; წარმოდგენილია მოთეთრო, ნახევრად გამჭვირიელ ბუშტის სახით, რომელიც შუამავალი მარჩენალის კუნთების ბოქოებს შორისაა მოთავსებული. ფორმის მიხედვით ასხვავებენ ფინის სხვადასხვა ტიპს: ცისტოცერკი, პლეროცერკოიდი და სხვა.

ფორფიტლუჟიანიები — იხ. ორსავლულიანიები.

ფორფიტოვანი კოლენქიმა — კოლენქიმის ერთერთი სახე, რომელშიც უჩრდის მხოლოდ ტანგენტალური კედლებია გასქელებული.

ფისის დენა — ფისის გამოყოფა წიწვიან ხე მცენარეთა ტოტებოდან და ღეროდან ქერქის დაზიანების შედეგად.

ფისის ხავალები — მცენარის ღეროსა და ფესვში არსებული განშტოებული, ხშირად ურთიერთდაკავშირებული არხთა სისტემა, რომელიც შეიცავს და ატარებს ფისის ხსნარს.

ფისტულა — რომელიმე შინაგანი ორგანოდან სხეულის ზედაპირზე გამოსული ხერალი.

ბა, რომლის დროსაც საგნები ყვით-
ლად შეფერილი გვეჩვენება.

ქსენიები — შამის ნიშნების გამოვლენა
მცენარის თესლის ენდოსპერმზე (პირ-
ველი რიგის ქსენიები) ან (იშვითად)
ნაყოფსაფარზე (მეორე რიგის ქსენიე-
ბი) პიბრიდიზაციის დროს.

ქსენოგამია — ქვარეღინი დამტვერვის
სახე, როდესაც ერთი მცენარის ყვა-
ვილი მტვერება იმავე სახეობის სხვა
ეგზემპლარის ყვავილის მტერით.

ქსენოპლასტიკური ტრანსპლანტაცია —
იხ. ტრანსპლანტაცია.

ქხეროდერმა, ქხეროდერმია — კანის
ქრონიკული დაავადება, რაც გამოიხა-
ტება კანის სიმშრალით, პიგმენტა-
ციით, აქერცვლითა და დასკლომით.

ქხეროკლეისტოგამია — კლეისტოგამია,
რომელიც გამოწვეულია უკიდურესად
შშრალი (გვალიან) პირობებით.

ქხეროპეზოფიტები — მცენარეები, რომ-
ლებშიც ამოზინებენ მეზოფიტებისა
და მეზოქსეროფიტების შუალედ პი-
რობებს (ზოგიერთი მუხა, ფიჭვი და
სხვ.).

ქხეროზოფიზმი — მცენარის ორგანოე-
ბის მორფოლოგიური და ანატომიური
აგებულების თავისებურებანი გვილვა-
გამძლეობისა და ტენიანობის სიმცო-
რისაღმე შეგუებასთან დაკავშირებით;
მაგ., ფოთლის წვრილუქვრდიანობა,
დაძარღვის ხშირი ქსელი, ბაგეების
დიდი რაოდენობა, სქელი კუტიკულა
და მთელი რიგი სხვა ნიშნები, რომ-
ლებიც ქსეროფიტებისათვისაა დამა-
ხასიათებელი.

ქსეროფილები — სიმშრალის მოყვარული ორგანიზმები.

ქსეროფილური ორგანიზმები — იხ. ქსეროფილები.

ქსეროფიტები — მცენარეები, რომლებიც შეგუებული არიან მშრალ, ტენის მცირე რაოდენობით შემცველ, გვალვიან ადგილსამყოფელზე ცხოვრებას (უდაბნოს, ნახევარუდაბნოს და ეელის ბევრი მცენარე).

ქსეროფიტიზმი — იხ. ქსერომორფიზმი.
ქსეროფიტიდები — იხ. ქსერომეზოფიტები.

ქსეროფტალმია — თვალის დაავადება, რომლის დროსაც რქოვანას ეპითელიუმში იშლება, რასაც მოსდევს გარსის გასქელება და სიმშრალე; გამოწვეულია ვიტამინი A-ს ნაკლებობით.

ქსერომალოფიტები — იხ. პალოქსეროფიტები.

ქსილემა — მერქანი; ქსოვილთა კომპლექსი, რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილია წყლის გამტარი ელემენტები — ქუჩკლები. ქსილემის გზით ხდება არაორგანული სიკვები ნივთიერებების მოძრაობა ქვევიდან (ფესვებიდან) ზევით (ღეროსა და ფოთლებიდან).

ქსილომიონტები — გადაჭრილ ხეზე მობინადრე ორგანიზმები.

ქსილოზა — მცენარეში თავისუფალი სახით არსებული პენტოზის ჩვეულის მონოსაქარიდი, რომელიც გახევებული უჯრედების გარსის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს; ხის შაქარი.

ქსილოზიდები — მცენარეები, რომლებიც წყლის მზარგს აგროვებენ მიწისქვეშა სპეციალურ წარმონაქმნებში.

ქსილოზიდუმი — მიწისქვეშა მსხვილი ვახევებული ლერო (მაგ., ასკილის, კოწახურის, თხილის და სხვ.).

ქსილოფაგი — მერქნის მკამელი (მთან-მთქველი) მიკროორგანიზმები.

ქსოვილი — ერთნაირი ფორმის, აგებულების, წარმოშობისა და გარკვეული ფუნქციის შემსრულებელი უჯრედების ჩვეუ.

ქსოვილბ კულტურა, ექსპლანტაცია — ცხოველური და მცენარეული ქსოვილის ხელოვნურად განვითარება, გაზრდა ორგანიზმის გარეშე; ამ გზით განვითარებული ქსოვილი.

ქსოვილური სითხე — სითხე, რომელიც მოთავსებულია უჯრედშორის სივრცეებში.

ქსოვილური ხუნთვა — ქსოვილებში მიმდინარე ქანგვითი პროცესი; ქსოვილებში მიმდინარე გაზთა ცვლა, ე. ი. უჯრედებისა და უჯრედშორისი ნივთიერებების მიერ ქანგბადის მოხმარება და ნახშირორჟანგის გამოყოფა.

ქსოვილური შეუთავსებლობის გენები — დონორის ანტიგენების გავლენით რეციპიენტში წარმოქმნილი ანტისხეულები, რომლებიც განაპირობებენ ქსოვილურ შეუთავსებლობას.

ქტენილია — მოლუსკების ზოგიერთი ჩვეულის (თაფხებიანები) სუნთქვის ორგანო, რომელიც წარმოადგენს ორფრთიან ლაყუნს. შედგება ღერაკისგან, რომლის ორივე მხარეს ლაყუნის ფურცლებია განლაგებული. ცხოველის მანტიის ღრუში ორივე მხარეს ერთი წყვილი ქტენილია მოთავსებული.

ქტენილიალური ლაყუნები — იხ. ქტენილია

ქტენოიდური ქერცლები — თხელი, ძელოვანი ფირფიტები დაკბილული უკანა კიდი (ძელიანი თევზების ბევრ წარმომადგენელში).

ქულა — 1. ზოგიერთი ფრინველის ახლადგამოჩეკალი, ნაზუმბულიანი წიწილა, ბარტყი. 2. გაბენტილი ბამბის ფთილა.

ქუჩმკერიცო მარცვლოვანები — იხ. ბუჩმკერიცო მარცვლოვანები.

ღ

ღერო — მცენარის ერთ-ერთი ძირითადი ვეგეტატიური ღერძული ორგანო, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში ახასიათებს რადიალური შინაგანი აგებულება, ჩვეულებრივ ხანგრძლივი კენწრული ზრდა სიგრძეზე, ფოთლებს გარკვეული წესით განლაგება და ფოთლის უბეში კვირტების წარმოქმნა. ტიპური მიწისზედა ღეროს დანიშნულებაა: გაადიდოს მცენარის ზედაირი დატოტვისა და ფოთლების უფრო მიზანშეწონილი განლაგების მეშვეობით; დააკავშიროს მცენარის ორი უმნიშვნელოვანესი ორგანო: ფესვი და ფოთლი ნივთიერებათა მიმოქცევისათვის.

ღერო ბუმბულისა — ფრინველის ბუმბულის ღერძის ზედა ნაწილი, რომელზედაც მარათა მიმაგრებული.

ღეროვანი თვალი — კიბოსნაირთა რთული თვალი, რომელიც ზის მოძრავ ღერაზე (გამონაზარდზე).

ღეროვანი სხეული — იხ. სოკოსებრი სხეული.

ღეროს ექსცენტრიულობა — მერქნის წლიური რგოლების უთანაბრო განვითარება (ერთ მხარეზე უფრო ძლიერაა განვითარებული ვიდრე მეორეზე), რის შედეგად გულგული მოქცეულია არა ღეროს ცენტრში, არამედ ერთ-ერთ კიდესთან ახლოს.

ღეროს მეორადი გამსხვილება, ხისქეში ზრდა — იხ. მეორადი გამსხვილება ღეროსი.

ღეროს მუხლი — იხ. მუხლი ღეროსი.

ღეროს შემორგოლვა — ღეროში ორგანულ ნივთიერებათა მოძრაობის გზების შესწავლის ერთ-ერთი ხერხი; ღეროს ქერქის რგოლური ამოჭრა.

ღეროფოთლიანი მცენარეები — იხ. უმაღლესი მცენარეები.

ღეროფოჩი — იხ. ფოჩი.

ღერძული ორგანო — 1. წერილ სისხლძარღვთა ხლართი, რომელიც ჩაფლუ-

ლია ჯირკვლევან ქსოვილში და აკავშირებს კანკელიანთა სხეულის ორალურ და ამორალურ მხარეზე განლაგებულ სისხლამტარ რგოლურ ძარღვებს. წარმოქმნის ამეზოციტებს და ასრულებს გარკვეულ როლს გამოყოფის პროცესში. 2. მცენარის ღერო და ფესვი.

ღერძული ჩონჩხი — ორგანიზმის საერთო ფორმის განმსაზღვრელი ჩონჩხი, მაგ., ხერხემლის სვეტი.

ღერძული ცილინდრი მცენარისა — იხ. სტელე.

ღვიძლი — საკმლის მომწვებელი ჯირკვავი, რომელიც ძუძუმწოვარ ცხოველებში გამოყოფს ნაღველს, გარდა ამისა ასრულებს ორგანიზმისათვის მთელ რიგ მნიშვნელოვან ფუნქციას: შაქრის შემცველობის რეგულიაციას, სისხლის გასუფთავებას შხამიანი ნივთიერებებისაგან და სხვა.

ღვიძლის კარხ ვენა — სისხლძარღვი, რომლითაც სისხლი ღვიძლში შედის.

ღია კონა — კონა, რომელშიც პროამბიუმისაგან (გარდა მარადი ქსოვილებისა) ვითარდება აგრეთვე წარმოშობი ქსოვილიც (კამბიუმიც) და გამსხვილების, ე. ი. ზომავში მატების თვისებაც აქვს. გვხვდება მერქნულ ორღონიანებში და წიწვოვანებში.

ღია მენჯი — ფრინველების მენჯის სარტულის აგებულება, როდესაც არ ხდება ბოქვენისა და საქლომი (ყეხის) ძელების ერთმანეთთან შეყრა და წარმოიქმნება გასასვლელი მკვარი გარით დაფარული კვერცხისათვის.

ღია სისტემა ხისხლის მიმოქცევისა — იხ. სისხლის მიმოქცევის ღია სისტემა.

ღია ფიტოტენონი და ახოცაიცია — მცენარეთა თანასაზოგადოება მიწისზედა იარუსების არასრული შეკრულობით.

ღია ჭურჭედილობკოვანი კონები — მცენარის გამტარი კონები, რომლებშიც წარმოქმნელი ქსოვილი მთლიანად

მარად ქსოვილად კი არაა გადაქცეული (როგორც ეს დახურულ ჭურჭელბოქოკიან კონებში), არამედ მისი ნაწილი განაგრძობს დაყოფას ქსილემისა და ფლოემას შორის, რაც იწვევს ღეროს სისქეში ზრდას. დამახასიათებელია ორლებნიანი და წიწვოვანი მცენარეებისათვის.

ლივი — მცენარის თესლის ემბრიონალური ნაწილიდან — ჩანასახიდან განვითარებული მომავალი მცენარე, რომლის ნორჩი ფესვი, ღერო და ფოთლები თესლში არსებულ მარჯვნივთვრებათა ხარჯზე იკვებება.

ლინლი — ფრინველის რბილი ნაქრტენი; გერმა.

ლილაში — 1. ახლად გამოჩეკილი შეუბუღბლავი ბარტყი. 2. ზოგი ძუძუმწოვარი ცხოველის ახალშობილი ნაწიერი.

ლრუ ვენები — მსხვილი ვენური სისხლძარღვები, ე. წ. ზედა და ქვედა ღრუ ვენა, რომელსაც ვენური სისხლი მიაქვს გულში.

ღრუბღრები—მარტივი იკვებულების მრავალუჯრედიანი, პარკისებრი სხეულის

მქონე ორგანიზმები, რომელთა სხეული არ არის დიფერენცირებული ქსოვილებად და ორგანობად და შედგება ორი ჩანასახოვანი შრისაგან—შიგნითა ენტოდერმისა და გარეთა ექტოდერმისაგან. ბინადრობენ ზღეებსა და მტკნარ წყლებში. გვხვდება როგორც ერთეული, ისე კოლონიური ფორმები.

ღრუბღრისებური ნივთიერება — ძელის ფაშარი ნივთიერება, რომელიც შედგება სხვადასხვა სისქის მრავალი ძელოვანი ხარისხისაგან, რომელთა შორის სივრცე ამოვსებულია ძელის ტვინით და სისხლძარღვებით.

ღრუბღრისებური პარენქიმა — იხ. ღრუბღრისებური ქსოვილი.

ღრუბღრისებური ქსოვილი — ფოთლის ფირფიტის რბილობის ერთ-ერთი შემადგენელი ქსოვილი, რომელიც ქვედა კანთან მდებარეობს და შედგება ქლოროფილის შემცველი, ფაშარად განლაგებული, მომრგვალო უჯრედების 2—7 შრისაგან. მას ფაშარ ქსოვილსაც უწოდებენ.

ღრუბ სითხე — იხ. სითხე ღრუსი.

ყ

ყბამკერდი — იხ. თაყმკერდი.

ყბაფხები — უმაღლესი კიბოების (მღინარის კიბო) მკერდის პირველი სამი უწყვეტის კიდურები, რომელიც ხელს უწყობს საკვების დაკერას და პირისაკენ მიწოდებას; მათ მაქსილაობღებსაც უწოდებენ.

ყბაყურა ჭირკვალი — ყველაზე დიდი სანერწყვეე ჭირკვალი, რომელიც მდებარეობს ყურის ნიჟარის წინ და ოდნავ ქვემოთ.

ყბები ცხოველებისა — საკმლის დამკერი და დამქუცამაცბელი ორგანო.

ყბისქვეშა ჭირკვალი — წყვილი სანერწყვეე ჭირკვალი, რომელიც მდებარეობს ყბის ქვეშა ფოსოში.

ყვლის ჭირკვლები — ზოგიერთი მრგვა-

ლი ქიის გამომყოფი ორგანო, რომელიც ერთი გიგანტური უჯრედითაა წარმოდგენილი.

ყვავილების სიხუტუხე, სიჭრჭრუხე — გვირგვინის ფურცლების რიცხვის არანორმალური გადიდება ყვავილში. მეტწილად ეს ხდება მტერაინების, ზოგჯერ კი ნაყოფფოთლების გვირგვინის ფურცლებად გადაქცევის შედეგად (ვარდი, იორდასალში, ხაშხაში და სხვ.).

ყვავილდი — ყლორტის ნაწილი (ორი ან მრავალი ყვავილით), რომელზედაც ყვავილების გარდა მხოლოდ მფარავი ფოთლები ან თანყვავილდობა განვითარებული და მოკლებულია ტიპიურ ვეგეტატიურ ფოთლებს.

ყვავილთანი — იხ. თანყვავილი.

ყვავილი — სქესობრივი გამრავლების ორგანო თესლოვან მცენარეებში; მას თესლით გამრავლების ორგანოსაც უწოდებენ. მორფოლოგიურად ყვავილი არის დამოკლებული, ზრდაშეზღუდული, დაუტოტავი ყლორტი, რომლის ფოთლებს სახე აქვს შეცვლილი სქესობრივ გამრავლებასთან დაკავშირებით, რაც აქვე ყვავილში ხდება და თესლების განვითარებით მთავრდება.

ყვავილის დიაგრაფა — ყვავილის ნაწილების სქემატური პროექცია პირიზონტალურ სიბრტყეზე; ჯამის ფოთლებს გამოსახვენ ქედიანი ფრჩხილით; გვირგვინის ფურცლებს — მრგვალი ფრჩხილით; მტკრიანებს — გაუხსნელი სამტკრის განივი კრილით; გინეცეუმს კი ნასკვის ან ნასკვების (თუ ყვავილში რამდენიმე ბუტკია) განივი კრილით.

ყვავილის დინგი — ბუტკოს ზედა, გაფართოებული ნაწილი, რომელიც ჩვეულებრივ სვეტზე ზის; თუ სვეტი არაა განვითარებული, მაშინ დინგი უშუალოდ ნასკვზე ზის, ე. ი. მჯდომარეა. მისი დანიშნულებაა მტკრის მარცვლების მიღება.

ყვავილის ზედა კილი — ყვავილის კილებიდან უფრო მომცრო კილი (მარცვლოვან მცენარეებში).

ყვავილის კილები — ყვავილზე შემოხვეული კილები, რომლებიც ყვავილსაფარს შეესაბამება, ჩვეულებრივ ორია: ზედა — უფრო მომცრო და ქვედა — შედარებით დიდი ზომის. ყვავილის კილები შემდეგში მტკრილად ნაყოფზეა შეზრდილი (მარცვლოვანებში).

ყვავილის მტერი — იხ. მტერი ყვავილისა.

ყვავილის სიფრიფანები — იხ. ლოდიკული.

ყვავილის ფოთლები — ყვავილის ნაწილები.

ყვავილის ფორმულა — ყვავილის აგებუ-

ლების მოკლე პირობითი აღნიშვნა; მორფოლოგიურად განსხვავებულ ნაწილებს (ჯამი, გვირგვინი, ანდროცეუმი, გინეცეუმი) აღნიშნავენ სათანადო ასოებით; ცალკეული წრის წევრთა რაოდენობას ციფრებით; წრის წევრთა შეზრდას ფრჩხილით, ამა თუ იმ ორგანოს რამდენიმე წრედ განლაგებას ნიშნით+და ა. შ.

ყვავილის ქვედა კილი — ყვავილის კილებიდან უფრო დიდი კილი, რომლის წვერზე ან ზურგზე ზოგჯერ ფხა ვითარდება (მარცვლოვან მცენარეებში).

ყვავილის ყუნწი — ღეროს ნაწილი (ყვავილსაქლომის ქვემოთ მდებარე), რომელზედაც ყვავილი ვითარდება; ზოგჯერ ყვავილის ყუნწი სრულიად განვითარებულია, ამ შემთხვევაში ყვავილი მჯდომარეა.

ყვავილის წარმოშობის ფოლიარული თეორია — ეს თეორია გამომდინარეობს ჯერ კიდევ ე. გოეთეს მიერ წამოყენებული მოსაზრებიდან, რომლის მიხედვით ყვავილი სახეცვლილი ყლორტია, სადაც ყველა წვერი, გარდა ყვავილსაქლომისა, სახეცვლილ ფოთლებს წარმოადგენს.

ყვავილობა — პერიოდი მცენარის სიცოცხლეში დაწყებული პირველი ყვავილის გაშლიდან უკანასკნელის დაყვავილებამდე.

ყვავილოვანი მცენარეები — მცენარეები, რომლებიც ყვავილს იწვეთარებენ (ფარულთესლოვანი მცენარეები).

ყვავილსაფარი — ფარულთესლოვან მცენარეთა ყვავილის — მტკრიანებისა და ბუტკოს მფარავი, სახეცვლილი ფოთლები; შედგება ჯამისა და გვირგვინისაგან. არჩევენ მარტივ და ორმაგ ყვავილსაფარს (იხ. ცალკე).

ყვავილსაქლომი — ტორუსი; ყვავილის ღერაქული ნაწილი; ყვავილის ყუნწის ცოტად თუ მეტად გაგრძელებული და გაფართოებული ნაწილი, რომელზედაც ყვავილია მოთავსებული.

ყველაფრის მჭამელი ცხოველები — ცხო-

ველები, რომლებიც იყვებებიან როგორც მცენარეული, ისე ხორცეული საკვებით.

უერული — დაკოდლი მამალი; სუქდება უკეთესად და ხორცილ უფრო გემრიელი აქვს.

უეთილი იოგები — იხ. რკალებსშორისი იოგები.

უეთილქანიანთა რახა — მონღოლოიდური რახა; ადამიანთა ერთ-ერთი ძირითადი რახა (იხ. რახა).

უეთილი სხეული — საკვერცხეში, მომწიფებული ფოლიკულის გასკდომის ადგილას განვითარებული უეთილი პიგმენტის შემცველი ქღე. წარმოადგენს ადამიანისა და ზოგიერთი ცხოველის დროებით ენდოკრინულ (შინაგანი სეკრეციის) ჩირკვალს.

უეთილი ხალი — თვალის ბადურას შუა მონაკვეთი, რომელიც მხედველობის სიმახვილისა და სიძლიერის პუნქტს წარმოადგენს.

უეთი — კვერცხუჩრედის (კვერცხის) შემადგენელი ნაწილი, რომელიც მდიდარია სამარაგო საკვებ ნივთიერებით; კვერცხის გული.

უეთრის ბუშტი — ჩანასახის ძლიერ გაგრძელებული ნაწლავის ღრუ, რომელიც საკვები ნივთიერებით — ყვით-რიითაა ამოვსებული.

უეთრის უჩრედები — საკვები ნივთიერებით მდიდარი უჩრედები, რომლებიც ხმარდება ჩანასახს (ჯამოსაკვეთად) განვითარების დროს.

უია — მბგერავ იოგებს შორის არსებული სივრცე, რომელშიც ხდება ამოსუნთქული ჰაერის ნაკადის გავლა ხმის წარმოქმნისას და სუნთქვის დროს.

უინაგამძლეობა — მცენარის უნარი გაუძლოს 0°-ზე დაბალ ტემპერატურას, ე. ი. ყინვას (იხ. ზამთარგამძლეობა, სიცივეგამძლეობა).

უინვანახარი — ხის მერქნის სივრცით ნაბრალეში, რომლებიც წარმოიქმნება ტემპერატურის მკვეთრი მერყეობის შედეგად ზამთარში.

უიფლიხანდი — ახალშობილის თავის ქალას შეუზრდელი შემაერთებელქსოვილოვანი წარმონაქმნი, რომელიც მღებარეობს თხემის ძვლების შეყრის ადგილზე.

ულორტი-ნორჩი ღერო, რომელიც ივითარებს ფოთლებს (ტიპიურს თუ სახეცილილს); ბალახოვან მცენარეთა ღერო ამავე დროს ყლორტისა წარმოადგენს. ხეების, ბუჩქებისა და ნახევრად ბუჩქების ყლორტებს კი ერთი და ორწლიანი შეფოთილი ტოტები წარმოადგენს.

უნოსვის ანალიზატორი — ადამიანისა და ხერხემლიან ცხოველთა ნერვულ წარმონაქმნთა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყნოსვითი გაღიზიანების მიღებასა და მის ანალიზს.

უოჩი — დაუყოღავი მამალი ცხვარი; ვერძი.

უურძნის შაქარი — იხ. გლეჯოზა.

უ

უალითა — იხ. კალიბტრა.

უალითისებური ავადმყოფობა მარცხლოვანებისა — იხ. მარცხლოვანთა უალითისებური ავადმყოფობა.

უაშბი — საერთო სახელწოდება რუდერალური მცენარეებისაგან შექმნილი დაჭრუფებისა, რომელიც გვხვდება დანაგვიანებულ, დაუსახლებელ ან საცხ-

ოვრებელ ადგილების ახლოს.

უაშნარი — იხ. შამბი.

უარდის ბუშტი — ცვალებადი ტევადობის ტომრისმაგვარი კუნთოვანი ღრუ ორგანო, რომელშიც შარდი გროვდება.

უარდის წარმოქმნა — სისხლიდან ცულების ცელის საბოლოო პროდუქტ-

ბის გამოყოფა თირკმელების მიერ.

შარლოვანა — ორგანული შენაერთი; ცილოვანი ცელის ერთ-ერთი ბოლო პროდუქტი ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში.

შარლხადენი არხი — არხი, რომლითაც შარდი გამოიყოფა გარეთ შარდის ბუშტიდან.

შარლ-ხახქენო სიხტემა — ადამიანის, ხერხემლიანი და ზოგიერთი უხერხემლო ცხოველის გამოყოფი (საშარდე) და სსაქვეს ორგანოების ერთობლიობა.

შარლხაწეთი — კუნთოვან-ფიბროზული მილაკი, რომელიც გამოდის თირკმლის შეზნეილი მხრიდან (თირკმლის მეჩქიდან) და უერთდება შარდის ბუშტს. შარლხაწეთში განუწყვეტლივ წვეთავს თირკმელებში წარმოქმნილი შარდი, რომელიც შემდეგ ჩაედინება შარდის ბუშტში.

შარპის ბოჭკოები — ელასტიური ბოჭკოების წვრილი კონები, რომლებიც ძელისაზრდელიდან გადის ძელის ნივთიერებაში.

შაქარი — ორგანული ნივთიერება, რომელიც მიეკუთვნება ნახშირწყლებს (ოქსალდეჰიდები და ოქსიკეტონები). ფართოდაა გავრცელებული ცხოველურ და მცენარეულ ორგანიზმებში, როგორც თავისუფალ მდგომარეობაში, ისე სხვა ნივთიერებების შენაერთებში. წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმის ენერჯისა და სხვადასხვა ორგანული ნაერთების შექმნის წყაროს.

შაქროვანი მცენარეები — მცენარეები, რომლებიც შედარებით დიდი რაოდენობით აგროვებენ (შეიცავენ) შაქრებს (შაქრის კარხალი, შაქრის ლერწამი და სხვ.).

შაშხვა — იხ. შებოლვა.

შებოლვა — კვამლში გამოყვანა, შაშხვა; ხორცის, ფეხვის და სხვა პროდუქტების დაკონსერვების ერთ-ერთი ხერხი; შებოლვისას სქელ კვამლში მოთავსებული პროდუქტი ოქლეწება კრეზოტით, ფენოლებით, ფორმალდეჰი-

დით, ძმარმჟავით და სხვა ნივთიერებით, რომელიც აძლევს მას სპეციფიკურ გემოს და იცავს გაუქუებისაგან. ასხეაებენ ცივ (32°-მდე ტემპერატურაზე) და ცხელ (140°-მდე) შებოლვას.

შებუსვა მცენარისა — სხედასხვაეგარი გამოწარმების—ზუსუსების არსებობა ბევრი მცენარის კანზე, ფიჭობენ, რომ შებუსვა მიუთითებს მცენარის ტენის ნაკლებობისადმი შეგუებაზე.

შეგრძნება — გაღიზიანების აღქმა კანის, კუნთების ან შუესების ზედაპირზე მდებარე რეცეპტორების გზით შეხებით ან დაწოლით.

შეგრძნების ზღვარი — გაღიზიანების მინიმალური ოდენობა რომლის დროსაც წარმოიქმნება შეგრძნება.

შეგუება — ორგანიზმის ცვლილება (შეცვლა) მისი საცხოვრებელი პირობების შესაბამისად.

შედარებით ანატომია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს სხედასხვა ჩვეულის ორგანიზმთა აგებულებას და მათ ურთიერთ შედარების გზით ოძლეთა მასალას გადაწყვეტით ამ ორგანიზმთა მსგავსებისა და ადგილის საკითხი ევოლუციურ სისტემაში.

შეთესვა — სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესების საშუალება. ხდება როგორც თანსაზოგადობაში არსებული მცენარეების, ისე სხვა მცენარეთა თესლების შეთესვით კორლისა და ნიადაგის ზედაპირის დაურღვევლად ან მცირედი დარღვევით.

შეთესმებალობა — ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმის უნარი გამოიყენოს თავისი ცხოველყოფილობისათვის საკვებიდან მიღებული საყუათო ნივთიერებანი.

შეჯავება — ნერვული პროცესების ერთი ძირითადი ფორმა — ნერვული ცენტრებისა და მუშა ორგანოების შეჩერება. შეჯავებისას გაღიზიანების მოქმედებაზე პასუხად ან მცირდება აგზნების სილიდე ან სრულებით

ალარ ხდება ავზნების გარეგანი გამოვლილება.

შეკრული ფიტოცენოზი — მცენარეთა თანასაზოგადოება, რომლის ვარჯს (კრონს) ან ფესვთა სისტემას გააჩნია შეკრულობა თუნდაც ერთ იარუსში მაინც.

შეკრულობა ფიტოცენოზისა — სივრცის გამოყენების ხარისხი მცენარეთა ვარჯით და ფესვთა სისტემით მისი ვაზომებისას პროექციული დაფარულობის მეთოდით.

შეღაქი — ზოგი ტროპიკული ან სუბტროპიკული მცენარის ახალგაზრდა ყლორტის ფისი.

შემეგრთებელი ქსოვილი — ქსოვილი, რომელიც წარმოიქმნება მეზენქიმიდან (ემბრიონული ქსოვილი). სხვა ქსოვილებისაგან განსხვავებით შეიცავს უჯრედშორისი ნივთიერების დიდ რაოდენობას. აგებულების თავისებურებისა და ფუნქციების მიხედვით ასხვავებენ რამდენიმე სახის შემეგრთებელ ქსოვილს: ტროფიკული (სისხლი), ტროფიკულ - დამცველობითი (ფაზარი შემეგრთებელი ქსოვილი), მექანიკური (ძელოვანი, ხრტილოვანი ქსოვილი).

შემნაცვლელი ძვლები — ხრტილოვანი წარმონაქმნების შემნაცვლელი ძვლები, რომლებიც ფორმირდება ხრტილოვანი ქსოვილის ძელოვანი ქსოვილით თანდათანობითი შეცვლით.

შემორგოლვა, რგოლის შეხმა — ცხოველების ნიშანდება, რგოლის და სხვა ნიშნის დადების საშუალებით, რომელიც გამოიყენება მიგრაციის გზის, გადაადგილების სიჩქარის და სხვა საკითხების დადგენისათვის ფრინველების, ძუძუმწოვრების, თევზებისა და სხვათა შესწავლის დროს.

შემწოვი კუჭი — ობობის წინა ნაწლავის უკანა გაფართოებული ნაწილი, რომელსაც გააჩნია მძლავრი კუნთები.

შემწოვი სისტემა მცენარისა — მცენარის ყველა ქსოვილი, რომელიც შთან-

თქავს წყალს შასში გახსნილი ნივთიერებებით, მაგ., ფესვის ბუსუსების ზონა.

შერეული კოლენქიმა — კოლენქიმის ერთ-ერთი სახე, როდესაც გასქელებას ადგილი აქვს ნაწილობრივ კუთხეებში და ნაწილობრივ სხვა ადგილებშიც.

შერეული ნერვი — ნერვი, რომელიც შეიცავს როგორც ცენტრიდანულ, ისე ცენტრისკენულ ნეირონებს და ავზნებას გადასცემს ორივე მიმართულებით.

შერეული ჩირკვალი — ჩირკვალი, რომელსაც აქვს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი სეკრეცია (მაგ., პანკრეასი).

შერეული მიბრბი — ჰიბრიდი, რომელიც ცალკეული ნიშნები წარმოადგენს შუალედურს შობლების ნიშნებს შორის, ე. ი. დომინირებას არა აქვს ადგილი.

შეუთავისებლობა — გამრავლების მოცემულ სისტემაში გამეტების შერწყმის დათარგუნვა, თუ ამის მიზეზი თვით გამეტის დეფექტი არაა.

შეუთავისებლობა პროტოპლაზმური — იხ. პროტოპლაზმური შეუთავისებლობა.

შეუცვლელი ამინომჟავები — ამინომჟავები, რომლებიც არ სინთეზირდება ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში და მას ორგანიზმი ღებულობს გარედან საკვებ ცილებთან ერთად (ლეიცინი, მეთიონინი და სხვ.).

შეძენილ ნიშანთიხებთა დამემკვიდრება — შობლების მიერ სიცოცხლის პროცესში შეძენილი ნიშანთიხებების შთამომავლობაზე გადაცემა.

შეძენილი ნიშნები — ნიშნები, რომლებიც ორგანიზმს უკალიბდება სასიცოცხლო პირობების ზემოქმედების შედეგად ონტოგენეზის პროცესში.

შენვლილება — 1. სხედასხვა სქესის ინდივიდთა დროებითი ან ხანგრძლივი თანაცხოვრება რასაც თან ახლავს შეუღლება. უფრო ვიწრო გაგებით — სქესობრივი ურთიერთობა, კავშირი. 2. ქრომოსომათა კონიუგაცია.

შექმადობა, ძოვადობა — ცხოველის მიერ ამა თუ იმ მცენარისადმი უფრო მეტი ან ნაკლები უპირატესობის მიცემა მათი შექმნის ან ძოვის დროს. დამოკიდებულია მთელ რიგ პირობებზე: მცენარის ქიმიურ შემადგენლობაზე, მორფოლოგიურ თავისებურებაზე, განვითარების ფაზებზე, ცხოველის ხნოვანებაზე და სხვ.

შეხება — ცხოველური ორგანიზმის მიერ შეხების და წნევის აღქმა.

შეხების ორგანოები — შეხების შემგრძნები წარმონაქმნები კანში, ლორწოვან გარსში, კუნთებსა და მუცლებში.

შეხების უჯრედები — ფესხახსრიანთა სხეულის ზედაპირზე განლაგებული შეგრძნობიარე უჯრედები.

შეხადრილობა — გარკვეული სახეობის პოვნის (ყოფნის) სიხშირის ხარისხი თანასახოგადობაში.

შეჩვარება — ბუნებრივი ან ხელოვნური შეერთება ორი, გენოტიპურად განსხვავებული, გამეტისა განაყოფიერების დროს (პიბრიდიზაცია).

შეანის ვარსი — ნერვული ბოქვოს დერძული ცილინდრის გარეთა ვარსი.

შეიღეული ქრომოსომები — ქრომატიდები მიტოზის მეტაფაზის ან მეორე მეიოზის მეტაფაზის შემდეგ.

შიბლაიკი — ქსეროფილური ან ნახევრადქსეროფილური ფოთლომცენი, ჩვეულებრივად ეკლიანი ბუჩქნარი, რომელშიც ზოგჯერ მონაწილეობს აგრეთვე (მცირე რაოდენობით) ხეშეფოთლიანი მარადმწვანე ბუჩქებიც. მეტწილად გვხვდება ნატყევიარ ადგილებზე. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვის მხარეში, განსაკუთრებით იუგოსლავიაში, ბულგარეთში; გვხვდება ყირიმსა და კავკასიაშიც. ბევრი ბოტანიკოსი ჩვენს ქვეყანებს, ჩაგვეკლიანებს და კენკრიანებს შიბლაიკში აერთიანებს.

შიგანაყოფედი — მცენარის ნაყოფედის შიგნითა აპისებრი, ტუავისებრი ან გახეებული ნაწილი.

შიგასქესობრივი გადარჩევა — გადარჩევა, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთი სქესის შიგნით კონკურენტული ბრძოლა გამრავლების შესაძლებლობისათვის.

შიგაქიშობრივი შეჭვარება — ქვარედინი დამტვერვა ერთი ქიშის ფარგლებში.

შიგნითა პლაზმა — იხ. მეზოპლაზმა.

შიგნითა უჯრი — სმენისა და წონასწორობის ძირითადი ორგანო ხერხემლიან ცხოველებში. შედგება კარიბებისაგან, სამი ნახევარკალოვანი არხისა და ლოკოკინისაგან. წარმოადგენს სითხით გასებული ღრუებისა და ხეუეული არხების რთულ სისტემას, რისთვისაც ლაბირინთსაც უწოდებენ.

შიდამოღეულარული სუნთქვა — იხ. ინტრამოღეულარული სუნთქვა.

შიდახეობრივი ბრძოლა — არსებობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ბრძოლა (შეჩიბრი) წარმოებს ერთი და იგივე სახეობის ინდივიდებს შორის.

შიზოგონია — უსქესო გამრავლების ფორმა, რომლის დროსაც ინდივიდი იყოფა მრავალ შეიღეულ ორგანიზმად. დამახასიათებელია უმარტივესებისათვის (ზღვის ნივარისი ამება, კოკილია და სხვ.).

შიზონტი — შიზოგონიის გზით გამრავლებული ერთუჯრედიანი ორგანიზმის განვითარების სტადია (ზღვის ნივარისი ამების, კოკილიისა და სხვ.).

შიმალი — მოზარდი; თვითნათესი, რომელიც წამოზრდილია გაკათული ტყის შემნაცელებად.

შიშშილი, შიშშილობა — ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმის შდგომარობა საკეების სრული მიუღებლობის ან ისეთი რაოდენობით მიღების დროს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ორგანიზმის მოთხოვნილებას.

შინაგანი განაყოფიერება — მდებარობითი და მამრობითი სასქესო უჯრედების შერწყმა მდებარის სასქესო გზებში ან ორსქესიან ინდივიდში.

შინაგანი გარემოს ქსოვილი — იხ. შემავრთებელი ქსოვილი.

შინაგანი მექანიკა ქრომოსომებისა — იხ. შინაგანი მოძრაობა ქრომოსომებისა.

შინაგანი მოძრაობა ქრომოსომებისა — ქრომოსომთა შიგნით მოძრაობის პროცესი, რომლის ეფექტი ვრცელდება მცირე მანძილზე; ასეთი მოძრაობა იწვევს ქრომოსომთა ფორმის შეცვლას (დარლინგტონი, 1937). ამავე გაგებით იხმარება ტერმინი, „შინაგანი მექანიკა“.

შინაგანი ნესტოები — იხ. ქოანები.

შინაგანი ხეკრეცია — ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა გამოყოფა ჭირკვლების ან რიგი ორგანოების მიერ უშუალოდ სისხლში ან ლიმფაში.

შინაგანი ხეკრეციის ჭირკვლები — იხ. ენდოკრინული ჭირკვლები.

შინაგანი ღრუ — იხ. ვისცერალური ღრუ.

შინაგანი ჩონჩხი — ძვლოვანი და ხრტილოვანი საყრდენი წარმონაქმნი, რომელიც მოთავსებულია სხეულის შიგნით (იხ. ჩონჩხი).

შინაური ფრინველები, ცხოველები — სხვადასხვა სახეობის ცხოველები და ფრინველები, რომლებიც მოშინაურებული პყავს ადამიანს სამეურნეო მიზნით (მსხვილი და წვრილი რქოსანი საქონელი, ცხენი, ღორი, აქლემი, ძაღლი, ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი და სხვ.).

შიშაჯი — იხ. შიშაჭი.

შიშაჭი — დედალი ცხვარი ერთიდან ორ წლამდე.

შიშველთხლოვანი მცენარეები — თესლოვანი მცენარეების ერთ-ერთი დიდი ჯგუფი, რომელთა თესლკვირტები (შეგასპორანგიუმები) და შემდგომი თესლებიც ჩუაულებრივ ღიად (შიშვლად) სხედან შეგასპოროფილებზე (სათესლე ქერქლებზე). მათ ეკუთვნის თესლიანი გვიმრები, საგოვანები, ბენეტრტალები, წიწვოვანები და სხვ.

შიოკი — ნერვული სისტემის აგზნებალობის მკვეთრი დაქვეითება, რაც გა-

მოხიბება ორგანიზმის ფუნქციების საერთო მძიმე მოშლილობით; შედეგია ძლიერი ფიზიკური დაზიანების ან ფსიქიკური შერყევისა.

შოლტები — გრძელი, პროტოპლაზმური ძაფები, რომლებიც წარმოადგენს ზოგიერთი უმარტივესი ორგანიზმის (შოლტიანები) მოძრაობის ორგანოებს. შოლტები გააჩნია აგრეთვე ზოგიერთი მრავალუჯრედიანი ორგანიზმის უჯრედებს.

შორსხედველობა — თვალის დეფექტი, რომელიც ხასიათდება იმით, რომ ადამიანი კარგად ხედავს შორსმყოფ საგნებს, მაგრამ ცუდად არჩევს ახლოსმყოფ საგნებს. გამოწვეულია თვალის კაილის დამოკლებით ან ბროლის ამონევილობის შემცირებით, რის შედეგადაც ახლო საგნების გამოსახულების მთავარი ფოკუსი ბადურის უკან წარმოიქმნება. ამ ნაკლის გამო სწორება ხდება ორმხრივ ამონევილობი მინიანი სათვალეებით.

შოხრა — იხ. სოგრა.

შრაბა — იხ. სკრები.

შტამბი — ხემცენარეთა ღეროს ნაწილი ფესვის ყელიდან პირველ დატოტვამდე.

შტამბი — მიკროორგანიზმების სუფთა კულტურა.

შუა მკერდი — მწერების სხეულის მკერდის განყოფილების მეორე ანუ შუა სეგმენტი.

შუა ნასკვი — ნასკვი, რომელიც მდებარეობს ჩაზნექილი, ქოთნისებური ყვივისაჯლომის ძირში, მაგრამ არ არის მასთან მთლიანად შეზრდილი, ყუვილის დანარჩენი წვერები კი მიმაგრებულია ნასკვის წვერის ღონეზე.

შუა ნაწლავი — კუჭ-ნაწლავის შუა განყოფილება, დაწყებული კუჭიდან სწორ ნაწლავამდე.

შუა ტვინი — ადამიანისა და ხერხემლიანი ცხოველების თავის ტვინის ერთ-ერთი განყოფილება.

შუა ყური — დაფის აპკის უკან მდება-

რე ღრუ, რომელშიც განლაგებულია სამი სასმენი ძეგლი: ჩაქჩი, გრდევლი და უზანგი.

შუალედი მარჩენალი, მახინძელი — ცხოველი, რომელშიც დროებით ცხოვრობს პარაზიტი და ხდება მისი ლარვის სტადიის განვითარება (საპირისპიროდ ძირითადი მასპინძლისა, მარჩენალისა, რომლის სხეულშიც ხდება პარაზიტის ზრდა-განვითარება და სქესობრივად მომწიფება). 2. მცენარე, რომელზედაც გადიან თავისი განვითარების ციკლის ნაწილს ეხნგა სოკოები.

შუამავლის მეთოდი — ეს მეთოდი შეიმუშავა ი. მიჩურინმა სისტემატიკურად დაშორებული სახეობების შეუჭვარებლობის დასაძლევად; მდგომარეობს იმაში, რომ თუ ორი რომელიმე სახეობა არ ექვარება ერთმანეთს, მაშინ ერთ-ერთ მათგანს აქვარებენ რომელიმე მესამეს, რომელსაც ორივე სახეობა ექვარება; მიღებულ პიბჩიდს, „შუამავალს“ შექვარების დიდი უნარი აქვს და მას წარმატებით აქვარებენ მეორე სახეობას.

შუამდებარე ტვინი — ადამიანისა და ხერხემლიანი ცხოველების თავის ტვინის ერთ-ერთი განყოფილება.

შუანახკვიანი ყვავილი — ყვავილი, რომლის ნასკვი მდებარეობს ჩაზნექილი,

ქოთნისებური ყვავილსაქლომის ძირში, მაგრამ არ არის მასთან მთლიანად შეზრდილი; ყვავილის დანარჩენი წევრები კი მიმაგრებულია ნასკვის წვერის ღონეზე.

შუანები — სპილოს გრძელი კბილები.

შუანაძვილი — იხ. დიაფრაგმა.

შუმლიანსკის კასულები — თირკმლის კასულები, რომლებიც წარმოადგენს ნეფრიდიული მილაკების ფილასებრ გაფართოებულ ყრუ დაბოლოებებს. პირველად აღმოაჩინა შუმლიანსკიმ 1793 წელს; ზოგჯერ მათ ბაუმანის კასულებსაც უწოდებენ, ვინაიდან ხელმოკრედ აწერილი იყო ბაუმანის შვიკ 1840 წელს.

შხამიანი კბილები — შხამიანი გველების ზედა ყბაზე განვითარებული ერთი ან ორი წყვილი დიდი ზომის კბილი, რომელსაც აქვს წვრილი მილისებრი ღრუ, რომლითაც შხამი ჩადის ნაკბენში.

შხამიანი მცენარეები—მცენარეები, რომლებიც შეიცავენ ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც იწვევს ცხოველების და ადამიანის მოწამვლას ან სიკვდილს.

შხამიანი ქიკელები — ქიკელები, რომლებიც გამოყოფენ შხამიან (მომწამველ) ნივთიერებებს, რომლებითაც ცხოველი იცავს თავს ან თავს ესხმის სხვას (გველებში, მწერებში და სხვ.).

ჩ

ჩაგახი — ადამიანის მძიმე ავადმყოფობა, რომელიც გავრცელებულია სამხრეთ ამერიკაში. გამოწვეულია ერთ-ერთი ტრიპანოზომა; გადამტანია ბალღინჯოს ერთ-ერთი სახეობა.

ჩაღის ღერი — იხ. წველი.

ჩამატებითი ანუ ჩართული ზრდა — იხ. ინტერკალარული ზრდა.

ჩამატებითი ანუ ჩართული ნეირონები — ნერვული უჯრედები, რომელთა მორჩები არ გამოდიან ამა თუ იმ ცენ-

ტრალური ნერვული განყოფილებიდან და რომლებსაც არ გააჩნია უშუალო კავშირი არც რეცეპტორებთან და არც ეფექტორებთან.

ჩამტანი ფეხვი — იხ. ჩამწვეი ფესვი.

ჩამწვეი ფეხვი — ფესვი, რომელსაც აქვს დამოკლების და ღეროს ძირის მიწაში ჩატანის (ჩათრევის) უნარი, მაგ. ხახვის, ზაფრანას, წყალკრეფიას და სხვ. ფესვი.

ჩანახაზი — 1. პირველადი სტრუქტურა,

ან უკრელების ჭკუფი, რომლიდანაც იწყება ორგანოების ან სხეულის ნაწილების განვითარება. 2. ცხოველებსა და ადამიანში — განვითარების ადრეულ საფეხურზე მყოფი ორგანიზმი კვერცხიდან დაწყებული გარემო პირობებთან აქტიური ურთიერთობის დამყარებამდე (დამოუკიდებელ კვებაზე, სუნთქვაზე, და სხვ. გადასვლა). ე. მცენარეებში, მაგ., გვიმრანაირებსა და თესლოვანებში — საწყისი ეტაპი მათი განვითარებისა — ონტოგენეზისა.

ჩანასახის დისკო — იხ. ჩანასახოვანი დისკო.

ჩანასახის ეპითელიუმი — ქსოვილი, რომელიც ქმნის საკვერცხის გარეთა ფენას.

ჩანასახის პარკი — ფარულთესლოვანი (ყვავილოვანი) მცენარეების ნასკეში განვითარებული პირველადი ერთბირთვიანი წარმონაქმნი, რომელშიც, ბირთვის დაყოფის პროცესში, წარმოიქმნება კვერცხუჯრედი, სინერგოლიტი, ანტიპოდები და მეორეული ბირთვი; მეგასპორა; მაკროსპორა.

ჩანასახის პარკის ცენტრალური უჯრედი — ჩანასახის პარკის მეორეული ბირთვისა და მის ირგვლივ არსებული პროტოპლაზმისაგან შექმნილი უჯრედი.

ჩანასახოვანი განვითარება — იხ. ემბრიონული განვითარება.

ჩანასახოვანი გარსები — ამნიოტების ჩანასახოვანი გარსები (ამნიონი, ქორიონი, ალანტიონი). იხ. ამნიოტები.

ჩანასახოვანი გზა — ჩანასახის პირველადი სასქესო უჯრედების თანმიმდევრული დაყოფა, რომელიც მთავრდება ზრდასრული ორგანიზმის ფუნქციონალურად უნარიანი გამეტების წარმოქმნით. ცნება ჩ. გ. შესახებ შემოიღო ა. ვეისმანმა თავისი თეორიის „ჩანასახოვანი პლაზმის უწყვეტობის“ დასასაბუთებლად.

ჩანასახოვანი დისკო — ჩანასახოვანი უკ-

რედების ჭკუფი კვერცხუჯრედის ერთ მხარეზე (ანიმალურ პოლუსზე) არასრული დანაწევრების დროს.

ჩანასახოვანი ეპითელიუმი — იხ. ჩანასახის ეპითელიუმი.

ჩანასახოვანი ზოლი — მწერების ჩანასახის განვითარებისას წარმოქმნილი უჯრედების ჭკუფი, რომლიდანაც შემდგომში ჩანასახოვანი ფურცლები ყალიბდება.

ჩანასახოვანი ლაქა — კვერცხუჯრედის ბირთვადი.

ჩანასახოვანი ორგანოები — ორგანოები, რომლებიც ცხოველს აქვს მხოლოდ განვითარების ადრეულ სტადიებზე, ზრდასრულ ფორმებს კი აღარ გააჩნია.

ჩანასახოვანი პლაზმა — იხ. ილიოპლაზმა.

ჩანასახოვანი უჯრედები — უჯრედები, რომლებიც ემსახურებიან წარმოქმნასა და გამრავლებას. არჩევენ: უსქესო ჩანასახოვან უჯრედებს ანუ სპორებს და სასქესო ჩანასახოვან უჯრედებს ანუ გამეტებს.

ჩანასახოვანი ფურცლები — კვერცხის განვითარებისას დანაწევრების შედეგად წარმოქმნილი უჯრედების შრეები, რომლებიდანაც ჩანასახის ორგანოები ვითარდება. ცხოველთა უმრავლესობას აქვს სამი ჩანასახოვანი ფურცელი: გარეთა — ექტოდერმა, შიგნითა — ენტოდერმა და შუა — მეზოდერმა; ღრუბელებსა და ნაწლავ-ღრუიანებს კი ორი — ექტოდერმა და ენტოდერმა.

ჩანასახოვანი ღინღლი, ბუსუსი — პირველადი თმა, რომლითაც დაფარულია ადამიანის ჩანასახის მთელი სხეული მუცელში ყოფნის უკანასკნელ თვეებში.

ჩანგისებრა ფოთოლი — ფრთისებრ დაკეთილი ფოთოლი, რომლის კენწრული ნაკეთი მნიშვნელოვნად აღემატება გვერდით ნაკეთებს (შალვის, თალგამის ქვედა ფოთლები).

ჩანვლისებრი ქირკვალი — შინაგანი სეკრეტის ქირკვალი ხერხეშლიან ცხოველებსა და ადამიანში. მისი ფუნქციური მნიშვნელობა საბოლოოდ არ არის დადგენილი. ადამიანში ფუნქციონირებს ძირითადად ბავშვობის ასაკში სქესობრივ სიმწიფემდე, შემდეგ კი განიცდის ე. წ. უკუგანვითარებას. ფიქრობენ რომ მის მიერ გამოყოფილი ჰორმონი ბავშვობის ასაკში აფერხებს სასქესო ქირკვლების განვითარებას.

ჩანთა — 1. იხ. ასკები. 2. ისლების მდებარებით ყვავილზე შემოხვეული მფარავი ფოთლების ნაპირების შეზრდის შედეგად წარმოქმნილი ღრუ, რომელშიც მოთავსებულია ბუტკო 3. ჩანთიანი ძუძუმწოვარი ცხოველების (კენგურუ) სარძევე ქირკვლების ახლოს მუცელზე წარმოქმნილი კანის ნაკეცი, რომელშიც დედა-ცხოველი ათავსებს თავის ახალშობილ უსუსურ შვილს.

ჩაპარალი — სუბტროპიკული ბუჩქნარების ფორმაცია, რომელიც შექმნილია მარადმწვანე მუხისა და სხვა ბუჩქებით. გვხვდება კალიფორნიაში, მექსიკაში.

ჩართული ზრდა — იხ. ინტერკალარული ზრდა.

ჩართული მერისტემა — იხ. ინტერკალარული მერისტემა.

ჩასუნთქვა — ჰაერის შესვლა ფილტვებში სასუნთქი გზებით გულ-შეკრდის ღრუს მოცულობის გადიდებისას.

ჩაქუჩი — ერთ-ერთი სასმენი ძვალი ძუძუმწოვარი ცხოველების შუა ყურის ღრუში განლაგებული სამი სასმენი ძვლიდან. ებჭინება რა დიფის აქს, ჩაქუჩის საშუალებით ხდება რხევების გადაცემა დიფის აქიდან შიგნითა ყურისაკენ.

ჩიქია კლათები — ლეიძლის ზავების, კერძოდ მარშანციას, ვეგეტატიური გამრავლების ორგანო, რომელიც თალუსის ზედა მხარეზეა განლაგებული;

წარმოადგენს პატარა ზომის თალუსის მაგვარ წარმონაქმნს, რომელშიც დიდი რაოდენობით ვითარდება მარშანციას ე. წ. ჩიქია კვირტები; ეს უკანასკნელი ადვილად მიაქვს წვიმის ნაკადს და ხელშემწყობ პირობებში მოხვედრისას ახალ თალუსს წარმოქმნის.

ჩიქია კვირტები — ზოგიერთი სპოროვანი მცენარის (გეომრის, შეიტის) ფოთლებზე წარმოქმნილი დამატებითი კვირტები, რომლებიც დეამცენარეიდან ჩამოვარდნის შემდეგ ლეგდებიან და ახალ მცენარეს აღწევენ საწყისს.

ჩინჩო — მზესუმზირის, ფეტვის და სხვა მცენარეთა თესლის გარეთა კანი, რომელიც მიიღება მათი ცხვის (დაფშენის) შედეგად.

ჩითილი — სათბურებში და კვალსათბურებში გამოზრდილი მცენარეები (ჩვეულებრივ ბოსტნეული მცენარეები), რომლებსაც შემდეგ ღია გრუნტში რგავენ.

ჩირგვი — მრავალწლოვან მცენარეთა ფორმა, რომელთა სიმაღლე ვერ აღწევს 0,5 მ-ზე მეტს (ლურჯი მოციცი, წითელი მოციცი და სხვ.).

ჩიუვი — ფარისებრი ქირკვლის სიმსივნისებური გადიდება (ადამიანში).

ჩიუვის ქირკვალი — იხ. ჩანვლისებრი ქირკვალი.

ჩიჩხვი — ზოგიერთი ფრინველის (ქათამი, მტრედი და სხვ.) და უხერხემლო ცხოველის (რგოლიანი კიები, მწერები და სხვ.) საყლაპავი მილის გაფართოებული, ტომრისებური ნაწილი, რომელშიც გროვდება გადაყლაპული საკვები.

ჩლიქი — რქოვანი წარმონაქმნი, რომლითაც დაფარულია ზოგიერთი ძუძუმწოვარი ცხოველის (ჩლიქოსნების) ფეხის თითები. ჩლიქი თითებზე ბუნების ან ხუდის სახითაა ჩამოცმული და იცავს მათ დაზიანებისაგან მაკარგრუნტზე მოძრაობის დროს.

ჩლიქოსნები—*ბუქუმწოვარი* ცხოველები, რომელთა ოთხივე ფეხის თითების ბოლო დაფარულია ჩლიქით. ყველა მათგანი იკვებება მცენარეული საკვებით. თითოეულ ფეხზე თითების რაოდენობის მიხედვით არჩევენ კენტჩლიქიან და წყვილჩლიქიან ცხოველებს.

ჩონჩხი— მკერვიე წარმონაქმნების სისტემა, რომელიც შეადგენს ცხოველური ორგანიზმის მტკიცე საყრდენს. ჩონჩხი უზრუნველყოფს სხეულის ფორმის შენარჩუნებას და ემსახურება მას საყრდენად ყოველგვარი მდგომარეობის დროს. მასზე მიმაგრებული კუნთებით ჩონჩხი მონაწილეობს სხეულის მოძრაობაში; გარდა ამისა, ის

ასრულებს შინაგან ორგანოთა დამცველ ფუნქციას.

ჩონჩხი მცენარისა— მცენარის მექანიკური ქსოვილების ერთობლიობა.

ჩოჩორი— სახედრის (ვირის) ნაშიერი; ჩოკინა, ჩოკი, მუტრუკი.

ჩრდილისამტანი მცენარეები— ის. უმბროფიტები.

ჩრდილის მოყვარული მცენარეები— ის. სციოფიტები.

ჩქიფი— დანამატი უმდაბლესი კიბოების სხეულის ბოლოზე.

ჩხირები— ნერვული უჯრედების შექმნაში მონაწილე დაბოლოებანი, რომლებიც თვალის ბადურაშია განლაგებული. მათი საშუალებით ხდება სხვადასხვა სიძლიერის სინათლის შერევა.

ც

ცალკამტარიანები— ის. კლოაკიანები.

ცალმხრავი სპეციალიზაცია პროცესი — ორგანიზმის შეგუება, ევოლუციის პროცესში, განსაკუთრებულ სპეციფიკურ საარსებო პირობებთან, რასაც თან სდევს ნაწილი ორგანიზმის განვითარება და სხვა ორგანოთა ძლიერი რედუქცია.

ცალმხრავი ჰიბრიდიზაცია — ის. ჰიბრიდიზაცია ცალმხრავი.

ცალმხრავი ყვავილი — ის. ერთსქესიანი ყვავილი.

ცეაქსანტინი — ის. ზეაქსანტინი.

ცეარა — 1. ციტრუსების (ლიმონი, ფორთოხალი) ნაყოფის კანის (ნაყოფისაფრის) ზედა, შეფერილი ფენა. 2. ციტრუსების ნაყოფის გამხმარი კანი; იყენებენ როგორც ხანებლებელს საკონდიტრო და სხვ. ნაწარმში.

ცელოზოზა — დისპარიტი, რომელიც შედგება გლუკოზის ორი მოლეკულის ნაშთისაგან; შედის უჯრედნას შედგენილობაში; თავისუფალი სახით გვხვდება ზოგიერთი ხის წვენიში.

ცელოზლასტულა — ზოგიერთი ჰიდროიდულის ლარვი, რომელიც თავისი

აგებულებით ასლოს დგას ჩანასახის ერთშრიან სტადიასთან — ბლასტულასთან.

ცელოზი — სხეულის მეორეული ღრუ; ღრუ ცხოველის სხეულის ედელსა და შინაგან ორგანოებს შორის, რომელთაც გააჩნიათ ე. წ. ცელომური ეპითელიუმის უჯრედებისაგან შემდგარი საყუთარი კედლები. ვითარდება შუა ჩანასახოვანი ფურცლისაგან. დამახასიათებელია რგოლიანი ქიების, მოლუსკების, ქორღიანებისა და სხვ. ცხოველებისათვის.

ცელოზოლქმები — ზოგიერთი მრავალჯერაინი ქიის წამწამებიანი სასქესო ძაბრი, რომლის გზითაც სასქესო პროდუქტები გამოდის სხეულის სეგმენტებიდან გამოყოფილ ნეფრიდიულურ სისტემაში, შემდეგ კი გარეთ.

ცელოზური ეპითელიუმი — ეპითელიუმი, რომელიც ქმნის სხეულის მეორეული ღრუს — ცელოზის კედელს, და ცელოზურ სითხეს გამოაცალკევებს ყველა ქსოვილისა და ორგანოსაგან. მას პერიტონეალურ ეპითელიუმსაც უწოდებენ.

ელომური ნაშთები—სამედიცინო წურბელის სისხლის მიმოქცევის შემსრულებელი სისტემა, რომელსაც ლაკუნალურ სისტემასაც უწოდებენ.

ელომური ხითხე — სითხე, რომლითაც ამოვსებულია ელომი — სხეულის მეორეული ღრუ. მასში ჩვეულებრივ იმყოფება სხვადასხვა უჯრედული ელემენტები: ლეიკოციტები, ელიოციტები და სხვ., აგრეთვე ნივთიერებათა ცელის პროდუქტები.

ელოტელიუმი — იხ. ელომური ეპითელიუმი.

ელოლაჟა — ფერმენტი, რომელიც ახდენს ელულოზას — უჯრედანას ქილოლოზური ვახლეჩვის კატალიზს დასაქარად ელობიოზამდე.

ელოლარული ტიპი ენდოსპერმის განვითარებისა — იხ. ენდოსპერმის განვითარების ელოლარული ტიპი.

ელოლუოზა — 1. უჯრედანა; უჯრედისი; როთული ნახშირწყალი, რომელიც წარმოადგენს მცენარეული უჯრედის გარსის ძირითად შემადგენელ ნაწილს. 2. ნივთიერება, რომელსაც იღებენ ზოგიერთი მცენარის მერქნისაგან მისი ქიმიურად დამუშავების შედეგად; იყენებენ ქაღალდის, ხელოვნური აბრეშუმის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და სხვ. დასამზადებლად.

ეშენტიხის ჭირკვლები — ციბრუტელების, უღვაშეხიანი კიბოების და სხვა ცხოველის ჭირკვლოვანი წარმონაქმნები, რომლებიც გამოყოფენ წებოვან ნივთიერებას, რის მეშვეობითაც ცხოველი ემაგრება სუბსტრატს.

ენანაბიოზი — პროდუქტების დაკონსერვების ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც საფუძვლად უდევს ლობის ბაქტერიების განვითარების ჩახშობა სხვა მიერობებით. მაგ., რძისშევაა ბაქტერიებისაგან რძისშევაის გამოყოფა ბოსტნეულის ჩამწნილების და საკვების დასილოსების დროს.

ენოარეალი — ტერიტორია, სადაც ამა თუ იმ სახეობას ენიჭება ცნობური

როლი და სადაც ის დიდი სიხშირით არის წარმოდგენილი.

ენობიონტი — ფიტოცენოზში მცხოვრები ინდივიდები.

ენობიუმი — ერთუჯრედიანი ცხოველების კოლონია, რომელშიც ფუნქციები დიფერენცირებულია ცალკეულ ინდივიდთა ჯგუფებს შორის.

ენოგამება — მრავალბირთვიანი გამება.

ენოგენეზი — 1. ორგანიზმის დროებითი შეგუება საარსებო პირობებთან ჩანასახოვან და ღრუელ სტადიაზე. 2. ღრუელული ან არასწორი განვითარება, რაც გამოიხატება ბიოგენეტიკური კანონებთან გადახრით და ხასიათდება ისტორიული განვითარების გარკვეული სტადიების გამოვარდნით ან მეტამორფოზის განსაკუთრებული სტადიების ჩართვით. 3. იხ. ფიტოცენოგენეზი.

ენოგენეზური მწკრივები — ენოდინამიურად ერთმანეთთან დაკავშირებული ფიტოცენოზების მორიგეობა რომელიმე ლანდშაფტში.

ენოგენია — გეობოტანიკის დარგი, რომელიც სწავლობს მცენარეთა თანასაზოგადოებების განვითარებას დროში.

ენოგეოგრაფია — გეობოტანიკის დარგი, რომელიც სწავლობს ფიტოცენოზთა განაწილების კანონზომიერებებს დედამიწის ზედაპირზე.

ენოდინამიკური არეალი — არეალი, როდესაც სახეობის მიერ შექმნილი ცენოზი წვეტილადაა გავრცელებული.

ენოზი — თანასაზოგადოება; იგივეა რაც ბიოცენოზი; იხ. ბიოცენოზი, ფიტოცენოზი, ზოოცენოზი.

ენოზიგოტა — ზიგოტა, რომელიც წარმოქმნილია ენოგამეტების (მრავალბირთვიანი გამეტების) შეარწყმის შედეგად.

ენოკარპული განეუფი — გინეკეუმი, რომელიც წარმოქმნილია რამდენიმე შეზრდილი ნაყოფფოთლისაგან; ნაყოფფოთლების შეზრდა ჩვეულებრივ

ქვეყიდან ზევით ხდება და შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ ნასკვზე (მიხაკისებრში), ან ნასკვზე და სვეტის ქვედა ნაწილზე ან მთლიანად დინგამდე (რთულყვავილოვნებში).

ცენტროტომი — ეკოტიპი, რომელიც მკიდროდა ფოტოცენოზურ გარემოსთან დაკავშირებული.

ცენტროპულაცია — ერთი სახეობის ინდივიდთა ერთობლიობა თანასაზოგადოებაში.

ცენტოსაკე — რბილი გარსი, რომლითაც დაფარულია მარჯნის პოლიპების კოლონია; მასში ვადის არხები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს ცალკეულ პოლიპსს ღრუს.

ცენტოკური ძალა — სახეობის უნარი დაიკავოს ესა თუ ის მდგომარეობა ცენტოში. დამოკიდებულია სახეობის ბიოლოგიაზე, ბიოტოპის პირობებთან შეგუებისა და არსებობისათვის ბრძოლის უნარზე.

ცენტოტიპი — ეკოტიპი, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ მცენარეულ დაჯგუფებასთან (ფიტოცენოზთან); იხ. ფიტოცენტოტიპი.

ცენტოტიპური სპექტრი — სხვადასხვა ფორმაციაში ან ასოციაციაში პოპულაციის ცენტოტიპური როლის გამოსახვა გრაფიკებსა და ტაბულებში.

ცენტოტიპი — მრავალბირთვიანი პლანქტის მასა, რომელიც წარმოიქმნება უჯრედის მრავალჯივის დაყოფის შედეგად პლანქტის გაუყოფლად.

ცენტრალური კაფსულა — ორგანული კაფსულა, რომლითაც შემოფარგლულია სხივარების (Radiolaria) სხეულის ცენტრალური ნაწილი; პროტოპლანქტის ყოფს კაფსულშიწინათა და კაფსულგარეთა ნაწილად.

ცენტრალურ-კუთხური პლაცენტა — ნასკვის ბუდეების შიგნითა კუთხეებში, მდებარე პლაცენტა (დამახასიათებელია შროშანასებრთა, მაჩიტასებრთა და სხვ. წარმომადგენლებში).

ცენტრალური ნერვული სისტემა — ნერ-

ვული სისტემის ძირითადი ნაწილი, რომელიც შედგება თავის ტვინისა და ზურგის ტვინისაგან; აწესრიგებს ორგანიზმში მიმდინარე ყველა პროცესს და უთანხმებს მას გარემოს მუდამ ცვალებად პირობებს.

ცენტრალური სხეული — 1. ლურჯ-მწვანე წყალმცენარეების უჯრედების უფერული ნაწილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია უჯრედის ტიპური ბირთვის ზოგიერთი თვისება. 2. იხ. ცენტროსომა.

ცენტრალური შეკავება — ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მიმდინარე აქტიური ნერვული პროცესი, რომლის დროსაც ხდება ნერვული ცენტრებისა და მუშა ორგანოების აქტიური შეჩერება.

ცენტრალური ცილინდრი — იხ. სტელე. **ცენტრიდანული ნეირონი** — ნეირონი (ნერვული უჯრედი), რომელიც აგზნებას ატარებს თავისა და ზურგის ტვინიდან სხვა ორგანოებისაკენ (პერიფერიისაკენ).

ცენტრიდანული ნერვი — ნერვი, რომელიც წარმოქმნილია ცენტრიდანული ნეირონების გრძელი მორჩებისაგან. ეს ნერვი აგზნებას ატარებს ზურგისა და თავის ტვინიდან სხვა ორგანოებისაკენ (პერიფერიისაკენ).

ცენტროლოები — უჯრედის ცენტრის — ცენტროსომის შემადგენელი ორი (ზოგჯერ ერთი) მეტად მცირე ზომის მუქადშეფერილი სხეულაკი.

ცენტროსკენული ნეირონი — ნეირონი, რომელიც აგზნებას ატარებს ორგანოდან (პერიფერიიდან) ზურგისა და თავის ტვინში.

ცენტროსკენული ნერვი — ნერვი, რომელიც წარმოქმნილია ცენტროსკენული ნეირონების გრძელი მორჩებისაგან. ეს ნერვი აგზნებას ატარებს სხვადასხვა ორგანოებიდან ანუ პერიფერიიდან ზურგისა და თავის ტვინში.

ცენტროტომი — მანქანა, რომელიც ცენტრიდანული ძალების მოქმედებით მე-

ქანიურად ყოფს ნარევეს შემადგენელ ნაწილებად; ციბრუტი.

ცენტროდესმა, ცენტროდესმოზა — ორ ცენტრიოლს შორის არსებული წარმონაქმნი, რომელიც შედგება ლაბოვანი ციტოპლაზმური ძაფებისაგან. მიტოზის დროს, როდესაც ცენტრიოლები მიემართება პოლუსებისაკენ, ცენტროდესმოზა გრძელდება და აქრომატინული თითისტარას ძაფებად გადაიქცევა.

ცენტროზომა — იხ. ცენტროსომა.

ცენტროლექციტადური კვარცხი — ფესხასხრიანთა ბევრი წარმომადგენლის კვარცხი, რომელშიც ყვითი თანაბრადაა განლაგებული.

ცენტროშერი — ქრომოსომის შევიწროებული ნაწილი, რომელზეც ემაგრება თითისტარას ძაფები; მიტოზისა და მეიოზის დროს ქრომოსომების ეს მონაკვეთი პირველი მიემართება პოლუსისაკენ.

ცენტროპლაზმა — 1. ლურჯმწვანე წყალმცენარეების უჯრედების პროტოპლაზმის ცენტრალური, უფერული ნაწილი. 2. პლაზმის პომოგენური „ბურთული“, რომელიც შემოხვეული აქვს ცენტრიოლს.

ცენტროსომა — უჯრედის ცენტრი; ცენტროზომა; უჯრედის ბირთვის ახლოს მდებარე ორგანოიდი, რომელიც შედგება ორი (ან ერთი) მომრგვალო ფორმის სხეულაქისაგან. მონაწილეობს უჯრედის არაპირდაპირი დაცოფის (მიტოზის) პროცესში.

ცენტროსფერები — სტრუქტურები, რომლებიც წარმოიქმნება ზოგიერთ ორგანიზმში ცენტროსომების ან ცენტრიოლების ნაცვლად. უჯრედში ცენტროსფერები ასრულებენ იმავე ფუნქციას, რასაც ცენტროსომები და ცენტრიოლები, მხოლოდ ისინი განლაგებულია მარტოოდენ თითისტარას პოლუსებზე ციტოპლაზმის მეტ-ნაკლებად მკვეთრად გამოჩნული მონაკვეთების სახით.

ცენტროსფერო — ციტოპლაზმის შემკერივებული მონაკვეთი, რომლის ცენტრშიც ცენტრიოლები იმყოფება. ცერებრალიზაცია — თავის ტვინის განვითარება.

ცერებრალური — ტვინისა. **ცერებრალური ნერვული განგლიონი** — მცირეჯაგრიანი ქიების (კიაყელას) თავის ნერვული განგლიონი, რომელიც მოთავსებულია წინა მესამე სეგმენტზე ხახის ზემოთ.

ცერებროსპინალური ნერვული ხისტემა — ნერვული სისტემის ზურგის ტვინისა და თავის ქალას ტვინის ნაწილი.

ცერებროსპინალური ხითხე — გამკვირვალე სითხე, რომლითაც ამოვსებულია ტვინის გარსებსშორისი შუალედები და მოთავსებულია ტვინის პარაკუჭების ღრუებსა და ზურგის ტვინის ცენტრალურ არხში.

ცერკარია — მწოველა ქიების (მაგ., ლეილის ოპირია) განვითარების ერთ-ერთი ლარვული სტადია, რომელიც მოსდევს რედიას; გააჩნია ორი მისაწოვარი და კული, რომლის საშუალებით წყალში მოძრაობს.

ცერკები — ზოგიერთი მწერის (ტარაკანას) მუცლის ბოლოში (უკანასკნელ სეგმენტზე) ანალური ხერხის გვერდებზე არსებული წყეილი, დანაწევრებული დანამატები (გამონაზარდები).

ცესტოლოზი — ავადმყოფობა, რომელსაც იწვევს თანამსებური ქიები.

ცეფალოზაცია — ტანის სეგმენტების შეერთების პროცესი თავის განყოფილებასთან (ფესხასხრიანებში, რგოლიან ქიებსა და ზოგიერთ სხვ. ცხოველში).

ცეცო — იხ. ულვაშები.

ცეციდიები — იხ. ვალები.

ცვალებადობა — 1. ორგანიზმის თვისება, განიცადოს ცვლილება და შეიძინოს ახალი ნიშანთვისებანი გარემო პირობების ზემოქმედებით. 2. განსხვავებანი.

ინდივიდებსა და ინდივიდთა ჯგუფებს შორის ერთი სახეობის ფარგლებში; ცვალებადობა ორგანიზმთა საერთო თვისებაა.

ცვალებადობა განსაზღვრული (ჯგუფური) — მეცნარეთა და ცხიველთა მისობრივი ცვალებადობა. ამ შემთხვევაში მოცემული ჭიშის ან სახეობის ყველა ინდივიდი განსაზღვრული მიზნების ზეგავლენით ერთნაირად იტყულება ერთი გარკვეული მიმართულებით (დარკინი).

ცვალებადობა განუსაზღვრელი — ერთი რომელიმე ჭიშის ან სახეობის ცალკეულ ინდივიდთა შორის ცვალებადობა, რომლის დროსაც ადგილი აქვს უსასრულოდ მრავალფეროვან უმნიშვნელო განსხვავებათა წარმოქმნას (დარკინი).

ცვალებადობა თანაფარდობითი — იხ. თანაფარდობითი ცვალებადობა.

ცვალებადობა თვისობრივი — ცვალებადობის ფორმა, რომლის დროსაც ინდივიდები (როგორც გენეტიკური ან მოლიტიკური გაპირებულნი ნიშნების მატარებელი) შეიძლება მოცემული ნიშნის არსებობის ან არარსებობის შესაბამისად გამოყოფილი იყოს მკვეთრად გამოხატულ ჯგუფებად. მას წყვეტილ, ან ალტერნატიულ ცვალებადობასაც უწოდებენ.

ცვალებადობა ინდივიდუალური — იხ. ცვალებადობა განუსაზღვრელი.

ცვალებადობა რაოდენობრივი — ცვალებადობის ფორმა, რომლის დროსაც ინდივიდებს შორის (როგორც ნიშანთა მატარებლებს შორის) არ შეიძლება მკვეთრი საზღვრის გავლება, ვინაიდან ისინი ერთმანეთთან მრავალი შუალედური ფორმით არიან დაკავშირებული. მას უწყვეტ ან პოლიგენურ ცვალებადობასაც უწოდებენ.

ცვალებადობა ჯგუფური — იხ. ცვალებადობა განსაზღვრული.

ცვარტაბილი — 1. წენი, რომელიც გამოიყოფა ბარაზიტი სოკოს. — კვავიხ.

რკის სპორების მატარებელ ორგანიზმებზე. 2. სიხე, რომელსაც გამოყოფს ზოგიერთი მცენარის (ტრიფტი, ნეკერხალი, თხილი) ფოთლები ტემპერატურის მკვეთრი მერყეობის მოქმედების შედეგად. 3. შაქროვანი გამონაყოფი (დეფეკაცია) ბუგრებისა და ფოთლის რწყილებისა, რომლებითაც ზვებუბიან ქიანველები და რიგი სხვა მწერები.

ცვილი — ჩეთიერება, რომელსაც გამოყოფს მუშა ფუტკრის მუცლის მხარეს მდებარე ოთხი უკანასკნელი სეგმენტის ჭირკვლები. მისგან ფუტკარი ამზადებს ფიქას. ცვილს გამოყოფს აგრეთვე ზოგიერთი სხვა მწერი (ტრუფარიანა, ქრტიონობელა). წარმოადგენს უმაღლესი ცხიმოვანი მჟავების და ერთატომიანი სპირტების რთულ ეთერებს.

ცილიანა — ზოგიერთი ფრინველის ნისკარტის ძირთან არსებული შიშველი, ტუაისებრი ნაწილი (დღის მტკცებელ ფრინველებში, თუთიყუშებში და სხვ.).

ცილის ჭირკვლები — მწერების გარეგანი საფარველის (კანის) ჭირკვლები, რომლებიც გამოყოფენ ცვილს. აქვს ფუტკარს, კელას, ტრუფარიანას და სხვა.

ცილისებრი ნაფიფქი — ნაფიფქი, რომელიც ვითარდება ფოთლის ზედაპირზე, ზოგჯერ კი ლეროზე. იცავს მცენარეს ზედმეტი აორთქლებისაგან.

ცთომილი ნერვი — თავის ტვინის მეთვე წვეილი ნერვი, რომელიც მოგრძო ტვინიდან გამოდის და სხეულის თითქმის მთელ შინაგან ორგანოებში (გულში, ფილტვებში, ღვიძლში, კუჭში, ნაწლავებსა და სხვ.) იტოტება.

ცთომილი უჩრედები — უჩრედები, რომლებიც განლაგებულია წერილი ნაწლავის კედლებში არსებული ე. წ. ლიბერკუნის ჭირკვლებში.

ცვათიუშე — კათხა; ყვავილედო, რომელიც შედგება ერთი ცენტრალური

ბუტკოიანი (მდღერობითი) და რამდენიმე მტკრიანინი (მამრობითი) უყვავილსადრო ყვავილისაგან და შემოხვეულია კთხისებრი საერთო საბურველით; ასე რომ, ყვავილედის საერთო საბურველი ყვავილსადრის მოგვაგონებს, ხოლო მთლიანად ყვავილეთი — ერთ ორსქესიან ყვავილს. დაშხისიათებელია რძიანსებრთა წარმომადგენლებისათვის. —

ცანაოზი — კანის ლურჯი შეფერილობა ზოგი ისეთი დაავადების დროს, რომელიც დაკავშირებულია სისხლის მემოქცევის დარღვევასთან; სილურჯე.

ცახხისლიანი ცხოველები — პოიკილოთერმული ცხოველები; ცხოველები, რომელთაც არა აქვთ სხეულის მუდმივი ტემპერატურა; მათი სხეულის ტემპერატურა დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურაზე (მწერები, თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები).

ცაკლი აქტიურობისა — იხ. აქტიურობის ცაკლი.

ცაკლოვანია — ერთი სასიცოცხლო ციკლის განსხვავებული მორფოლოგიური ტიპების თანმიმდევრობითი ცვლა.

ცაკლოვანობა — ადამიანისა და ცხოველის სხეულის ცალკეული პუნქტის მოძრაობის ჩაწერისა და ანალიზის ტექნიკა.

ცაკლოზი — ციტოპლაზმის წრიული მოძრაობა; ჩვეულებრივ შესაძრწევია მცენარის ფოთლის უჯრედებში.

ცაკლოიდური ქერსოლები — კანში ჩამყვადრი წერილი ძლოვანი ფირფიტები თანაბარი უკანა კილთი (ძვლიანი თევზების ბევრ წარმომადგენელში).

ცაკლოზორფოზი — განსხვავება ერთი სახეობის, მაგრამ სხვადასხვა თაობის, ინდივიდთა აგებულებაში, განსხვავებულ პირობებში განვითარებასთან დაკავშირებით. ჩვეულებრივ აქვს სეზონური ხასიათი (კიბოსნაირებში და სხვ.).

ცაკლოზონდილური ტაი მადღებისა — სტრუქტურული თევზების მადღები, რომ-

ლებსაც შუა ფენაში კირიანი ფირფიტა გაჩნია.

ცაკლოზი ყვავილი — წრიული ყვავილი; ყვავილი, რომლის ყველა ნაწილი რგოლურადაა განლაგებული (ფარულთესლოვან მცენარეთა უმრავლესობაში).

ცაკლოზობა — სქესიანი თაობის მორიგეობა უსქესო თაობით, რომელიც პართენოგენეზურად მრავლდება (კიბოსნაირთა ზოგიერთ წარმომადგენელში, მაგ., დაფნიებში).

ცილა — მაღალმოლეკულური ორგანული შენაერთი, რომლის რთული მოლეკულა აგებულია ამინომჟავებისაგან; წარმოდგენს ცოცხალი მნივთიერების მუდმივ და ყველაზე მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, მისი სტრუქტურისა და ფუნქციის საფუძველს.

ცილა შერქნისა — იხ. შერქნის ცილა.

ცილების ბიოხინთეზი — პოლიპეტიდების სინთეზი, რომელიც ხორციელდება ცოცხალ უჯრედში დნმ-ისა და რამდენიმე რნმ-ის მონაწილეობით.

ცილიარული სხეული — თვალის სისხლძარღვოვანი გარსისაგან წარმოქმნილი რგოლისებური ლილვაკი, რომელშიც წამწამოვანი კუნთი იმყოფება.

ცილით დამშევა — ორგანიზმის მდგომარეობა, როდესაც არ ხდება ცილების დანაკარგის მთლიანად (სრული) შეეცება; ცილის ნაკლებობა.

ცილის მინიმუმი — საქმელთან მიღებულ ცილის ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ე. წ. აზოტოვანი წონასწორობის შენარჩუნებისათვის ორგანიზმში. ადამიანს დღე-ღამეში ესაჭიროება 6—7 გრ. ცილოვანი აზოტი.

ცილის ოპტიმუმი — ცილის რაოდენობა, რომლის შეყვანა ორგანიზმში ყველაზე უკეთესად პასუხობს ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს. ადამიანისათვის ეს რაოდენობა საშუალოდ 100 გრ ეთანაბრება დღე-ღამეში.

ცილოვანი გარხი თვალისა — იხ. სკლერა.

ციმოზური ყვავილედ — განსაზღვრული, კენწრულყვავილიანი ყვავილედ, რომელშიც ყვავილები იშლება ზევოდან ქვევით; ყვავაზე პირველად იშლება მთავარი ღერძის კენწრული ყვავილი; ხასიათდება სიმპოდიური ან ცრულიჭოტომიური დატოტებით. ციმოზურ ყვავილედებს ეკუთვნის: მონოქაზიუმი, დიქაზიუმი, პლეიოქაზიუმი.

ცირები — მუცელწამწამიანი ინფუზორიების სხეულის ქვედა მხარეზე არსებული მკერივი ქაგრები, რომლებზედაც ცხოველი ეყრდნობა სუბსტრატზე გადანაცვლების დროს; თავის მხრივ წარმოადგენს მუცლის მსხვილ, შერწყმულ წამწამებს.

ციტაკულაცია, ციტაკულირება — წრიული მოძრაობა.

ციტაკულაციური მოძრაობა პროტოპლაზმისა — იხ. პროტოპლაზმის ნაკადისებური მოძრაობა.

ციტაკულაციური ციები — იხ. ნუტაცია.

ციროზი — რაიმე ორგანოს შემადგენელი ქსოვილის გაზრდა, რაც იწვევს ამ ორგანოს ფუნქციის დარღვევას; მაგ., ლვიძლის ციროზი.

ცირუხი — 1. ულუაშისებრი დანამატი 2. ბრტყელი ჭიების (მაგ., მწოველების) საკოპულაციო (შემავლელბეღელი) ორგანო.

ცირუხის პარკი — ბრტყელი ჭიების, სახელდობრ მწოველი ჭიების შემავლელბეღელი ორგანოს — ცირუხის გარსი.

ციბა — მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფი ერთჯერდიანი ცხოველური ან მცენარეული ორგანიზმი, რომელიც დაფარულია ცობად თუ ბევრად მკვრივი გარსით, რაც უზრუნველყოფს ორგანიზმის გადარჩენას არახელსაყრელ პირობებში.

ციბილები — სქელგარსიანი ბუშტისებური უნაყოფო უჯრედები, რომლებიც განლაგებულია ზოგიერთი ბაზილიანი სოკოს (პიქენომიციტები) პიქენიალურ შრეში.

ციბიდი — ხაცსელების სხეულის ბოლო ნაწილი, რომელიც ჩვეულებრივ შეიადგენს კოლონიის ღეროს ნაწილს.

ციბიტი — საშარდე ბუშტის ანთება.

ციბიტეცრკო — თასმისებური ჭიების ბუშტისებრი ფინა (ლარვა) შიგნით ჩაბრუნებული ჭიის თავით (სკოლექსით) და სითხით. წარმოადგენს აღნიშნული ჭიების განვითარების ერთ-ერთ სტადიას.

ციბიტოგონია — ცისტების წარმოქმნის პროცესი.

ციბიტოზოიდები — ზოგიერთი პიდროიდული ნაწლავღერუანის, მაგ., სიფონოფორას, პოლიმორფული კოლონიის ინდივიდთა ერთ-ერთი ჯგუფი; ფიქრობენ, რომ ციბიტოზოიდები გამოყოფენ ფუნქციას უნდა ასრულებდეს.

